114
1957/9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

57

114/4

**11**

ნოემბერი

**1957**

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 34-ე | № 11 | ნოემბერი, 1957 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


7078

## შინაარსი


გვ.

დიმიტრი გულია — სადღეგრძელო, ლექსი. თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა . . . 3
გიორგი ლეონიძე — ელვათა ცეცხლში იჭედებოდა, ლექსი . . . 4
კარლო კალაძე — ლექსები . . . 5
შალვა აფხაიძე — იყვნენ... იბრძოდნენ... ლექსი . . . 7
ჟენგიზ გოგოლაძე — მჭედლები. მოთხრობა . . . 8
ლადო სულაბერიძე — ეპიტაფია. ლექსი . . . 13
ანდრო ლომიძე — ჩემი სულის ნათელი. მოთხრობა . . . 14
ვასილ გორგაძე — იმ დღეს. ლექსი . . . 20
კალე ბობოხიძე — კაცობრიობის გვირგვინი. ლექსი . . . 21
არჩილ ჩაჩიბაია — ლაშქრობის წინ (ციკლიდან „მძაფრი დღეები“) . . . 22
სერგეი ესენინი—სიმღერა დიდი ლაშქრობისა. ნაწყვეტები. თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა 30
ვლადიმერ მგალობლიშვილი — დასაწყისი გაზაფხულისა. (ფრაგმენტები). პიესა . . . 31
გრიგოლ ჩიქოვანი — სოფლის დედა. ნარკვევი . . . 54
გრიგოლ ბერძენიშვილი — ნასაკირალის ღამე. პიესა . . . 65
ალი დავითიანი — განახლებული სვანეთი . . . 87
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი. ტეტრალოგია. გაგრძელება . . . 91
ბაგრატ შინკუბა — სიზმარი. ლექსი. თარგმანი რ. მარგიანისა . . . 107
ი. ლისაშვილი — ერთგულება, რომანი. გაგრძელება . . . 108


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


გიორგი ნატროშვილი — პოეტი და რევოლუცია . . . 124
ვ. სიფრაშვილი — ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი . . . 127
გ. სიხარულიძე — საქართველოს კომუნისტური პარტია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში . . . 132


იხ. მე-2 გვ.

სახელგამი ★ თბილისი

გვ.

ს. ქავთარაძე — 1921 წელი, თებერვალი . . . . . . . . . . 142
ხუხუტ ბღაჟბა — აფხაზეთის ლიტერატურა . . . . . . . . . . 150

## ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 წლისა და გარდაცვალების 50 წლისთავის

ვ. ითონიშვილი — ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროები . . . . . . . . . . . . . . . . . 161
რუბენ სხვიტარიძე — ი. ჭავჭავაძე ქართველთა შორის სასოფლო-სამეურნეო განათლების მედროშე . . . . . . . . . . . . . . . . . 168

---

მამია დუმბაძე — გურიის სახალხო გმირი ბუღარა მამალაძე . . . . . . . 171

## წიგნების მიმოხილვა

მონოგრაფიები ოქტომბრისათვის მებრძოლ ქართველ რევოლუციონერებზე:
1. ნ. კუპრავა — სამუელ (ნოე) ბუაჩიძე . . . . . . . . . . 178
2. გ. კეთილაძე — მიხეილ ბოჭორიძე . . . . . . . . . . 180
3. შ. ობოლაძე — მიხეილ დავითაშვილი . . . . . . . . . . 182
შ. ნემსაძე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ბროშურები . . . . . . . . . . . . . . . . 184
ავთ. იოსელიანი — „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ . . 187
შალვა ამისულაშვილი — სევერიან ისიანის ლექსები . . . . . . . . . 191
ახალი წიგნები . . . . . . . . . . გარეკანის მესამე გვ.

---

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 606. უე 03352. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили. 5.



# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი


**დიმიტრი გულია**

აფხაზეთის სახალხო პოეტი


★

## *სადღეგრძელო*

ამქვეყნად არის ერთი სახელი,
არ იპოვება მისი ბადალი,
ყველა სიმძლავრის გამომსახველი,
ზღვებზე ვრცელია,
        მთებზე მაღალი.
ის, ვინც ატარებს ამ სახელს დიადს,
ცამდე დიდების ამტანი არი,
მას წინ სიცოცხლის სინათლე მიაქვს,
ეს სახელია
        — ადამიანი.
ჩემი პირველი სადღეგრძელო მას! —
უფრო იზარდოს,
        ამაღლდეს მეტად,
დიდება იმის სიბრძნეს, ქველობას,
იდგეს უკვდავი სიცოცხლის სვეტად!
საბჭოთა ქვეყნის ადამიანის
სადღეგრძელოს ვსვამ სახემზიანი.
მე ვადღეგრძელებ შვილს ჩემი ქვეყნის,
ვისაც აქვს წმინდა სწრაფვა და რწმენა,
ვინც ქარიშხლის წინ წარბსაც არ
                                        შეხრის,
ვინც ბრძოლაც იცის, შრომაც და
                                        ლხენაც,
ვის სულშიც ერთად შერწყმული არის
სიბრძნე, სინაზე, უტეხი ძალა.
        მას დღეგრძელობა,
            მას მზეგრძელობა,
მას ბედნიერი სიცოცხლე მარად!

თარგმანი **თეიმურაზ ჯანგულაშვილისა**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### გიორგი ლეონიძე

✶

## ელვათა ცეცხლში იჭედებოდა

მე გამოვაბი ჩემს ვენახს ცხენი,
ბევრი დავთელე გზები ტიალი,
მე თავს მიხრიდნენ ქართლის ციხენი,
მატიანეში ნახეტიალნი.

მესალმებოდნენ მწვანე წნორები,
სამამულე რქას ცრემლი სდიოდა,
მე ხელს მიქნევდნენ ჩემი სწორები,
სუფრა გაშლილი ჰქონდათ იორთან.

მამათა სახლის ნაცარის სითბო,
რაც ვინაჩუქრე, სულში ღვიოდა;
თითქოს იმ ყრმობის სუმბულის
სიტკბოს
ნაზი სურნელი მე მომდიოდა.

და რას ეძებდა სული მღვიძარი,
რატომ მტკიოდა გულის ფიცარი?

თითქოს ვაზებმაც ფეხი აიდგეს,
დამდევნებოდნენ უკან მტევნებით...
სად მივდიოდი, ვისკენ, საითკენ,
რა მქონდა გულში დაუტევნელი?

ჩამოვიშორე აკი მიჯნური,
მისი სიტკბო და მისი სიავეც,
ჩემი გულიდან გამონიჩბული
ცრემლების ხვავიც გავანიავე, —

დიდ ნანგრევების ჩამონაფშვენი
ნაცარი აკი თავს დავიყარე;
და სამშობლოში, რაიც კი შვენის
მშვენიერებით, ხომ შევიყვარე!

ელვით მოსილი მთის მწვერვალები
მაშ, რას მეძახდნენ, რას
მიმღეროდნენ?
და მეგობართა ხმა მღელვარებით,
რად ადიოდა არწივთ ჩერომდე?

იქნებ ძველ სევდას ვეთხოვებოდი,
იქნებ სამშობლოს ჩემი გულნებით?
არ ვიცი, არა, რით ვიწვებოდი,
და რა წყურვილის ვიყავ მწყურნები?

მხოლოდ ვხედავდი,
სივრცეში, იქით
ელვათა ცეცხლში იჭედებოდა
ის გზა სავალი, იგი ბილიკი...
და ქარიშხალი ყალყზე დგებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

★

# კვლავ საქართველოს მთაგორებს

## ოქტომბრის დღეებს

სხვა სიხარული თუ არის ნეტავ
მთებში მოგზაურ გულივით ჩქარი:
კვლავ საქართველოს მთა-გორებს ვხედავ
და გულ-მკერდს მიხსნის შავი ზღვის ქარი!

ოქტომბრის დღეებს ვუმღერო მინდა,
ისევ ოქტომბრის დღეებს ბრწყინვალეს!
დგანან ჩემს ირგვლივ დღეები გმირთა,
თმაგათეთრებულთ ჰგვანან მყინვარებს...

ვინ იცის, იქნებ ახსოვდეთ, ვინ ვარ,
რად მიყვარს მათი დგომა მთებური,
მეც ხომ სიმღერით იმავე მძვინვარ
ბრძოლების დღეს ვარ დაბადებული!

წითლად ელვარე დილის ნათელი
და ალი დამწვარ საღამოების
არის ორმოცი წლის წინანდელი
პირველი შუქი ჩემი პოემის!

ქვეყნის გუგუნი დღითა და ღამით,
და ახალშენთა ლაღი შრიალი, —
თვითეულ სუნთქვით, თვითეულ წამით
ცისქვეშ კი არა, — ჩემს გულში არი!

და იქ თუმცა-და ოქტომბრის გმირთა
დღეებიც უხვად მოიპოება,
მაინც ჩემი დღე იცოდეთ მინდა,
მეც ვარ ოქტომბრის ერთი პოემა!

## ენგურის ტყეებისადმი

ღრუბლებწაშლილ ცაში მწვანედ
მთაა ფიჭვის ტყით შემკული
ხე ბეჭებით სწვდება სვანეთს,
ფეხქვეშ ალის კლდეს ენგური!
და მე ჩუმად ვიცი უკვე —
რა ოცნებით სუნთქავს ტყეში
ტანაყრილი სიჭაბუკე
და ენგურის მღვრიე თქეში...
კლდეზე დგომა რაა, ვიტყვი,
რაა ბედზე ჩაფიქრება,
იმ ათასში ერთი ფიჭვი
მე რომ ვიყო — რა იქნება!?
წამწამივით უკრთის წიწვი,
მაგრამ მხრებში არ იხრება, —
ჩანჩქერებში გადამიშვით,
შიში თვითონ გამიქრება!
ხომ გამართლდა ჩემი იჭვი
და ღვართქაფი მოხვდა ჩემს გულს, —
იმ ათასში ერთი ფიჭვი
ვაჟკაცივით ენდო ენგურს!
იმ ათასში ერთი ფიჭვი
როგორც ლექსის ერთი ბწკარი,
მთელი ტანით ისე იბრძვი —
დუდს ნალეწი ქვა და წყალი!
სულ რომ დადგე თავდაყირა
ენგურს მაინც გასჭრი ბოლოს!
მაგრამ უცებ დაგხვდა რკინა
რომ მკერდშიშველს შეგებრძოლოს!
და აწ უკვე გვიანღაა
დაიძახო: „არ მინდაო!“
მანქანების ტაშისხმაა
სწრაფი როგორც საჭიდაო..
ბიჭი ენგურს გადაურჩი,
რკინა აქ ვინ აგიმხედრა!?
სიჭაბუკე თმახუჭუჭი
ამ ერთ წამმა გაგითეთრა!
ბეჭს არ დაჰკრავს მიწას ტივი,
არა, ბრძოლით არ იღლება,
მაგრამ ერთხელ ქაღალდივით
რომ გაფითრდეს, რა იქნება!
ხმა ენგურის მწვანე ფიჭვნარს
ამ ერთ წამმა გაუვრცელა:

ას დაზგაზე გულის-ფიცარს
გაშლი როგორც ასფურცელა!
ალისქარი ლუმელს უქე,
ენგურს მარად-მღვრიე თქეში, —
რომ ჩანს შენი სიჭაბუკე
შენი თმების სითეთრეში!..
და ამაო არის ამბად
უბის-წიგნში ვინმე თუ წერს,
ჩაუწერლად ახსოვს ალბათ

ეს ქალაქლდის ყოველ ფურცელს!
დაიფერფლე, გადაიწვი
და ბედს მაინც არ ემდური! —
იმ ათასში ერთი ფიჭვი
თუ ხარ მართლა გაბედული —
ბრძოლას გული ისევ ანდე,
იქნებ ჩემთან შეგახვედროს, —
ნახე თუ არ აშრიალდე,
ისე როგორც ტყეში, ერთდროს!..

## *ენგური*

ენგური რუხის ციხესთან ვნახე,
აქ მოჩანს მისი ტალღების ლეწვა! —
და ერთი სიტყვა მეც გადავძახე,
ენგურის ერთი ერთგული მეც ვარ!

— გაგირღვევია კლდეების სისქე,
როგორღა გინდა მთებს უერთგულო,
სამურზაყანოს მიწიდან ზღვისკენ
თავდავიწყებით გარბი, ენგურო!

იმღერე, სანამ არაა გვიან,
სანამ მთებიდან გასული არ ხარ,
იმღერე, სანამ ენგური გქვიან
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა! —

...ენგური რუხის ციხესთან ვნახე,
აქ მოჩანს მისი ჩქარი ფერხული,
ჩამოღარვია მურზაყანს, სახე
და ღვართქაფებად მოქუხს ენგური!

მთა შეფოთლილი ახლაც მაგონებს
რომ ტანზე ჯაჭვის პერანგი ეცვა,
ენგურმა ხელი ჰკრა და მთა-გორებს
ესმით ამ ჯავშნის აშკარა ლეწვა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა აფხაიძე

★

## იყვნენ... იბრძოდნენ...

იყვნენ... იბრძოდნენ, ეთქმით კიდევაც
პატიოსნების ქუდი ეხურათ.
წამოაყენეს, წინ წარიმძღვარეს
დიად ბრძოლებში ხალხის დიდება.
მათ არ იცოდნენ დალლა და შიში
ჰქონდნენ, გრგვინავდნენ ყველგან
მეხურად.
დღეს არ ჰქონიათ არც ერთი მშვიდი,
მრავალ თაობის ზიდეს სიმძიმე,
რომ გაეფანტათ ცხოვრების ბინდი,
ტახტზე დაესვათ მზე მოციმციმე,
რომ თავისუფლად გვესუნთქა მარად,
ძმობას გაეკრა ცაში კამარა.

მათ ფრთებს ასხამდა ოქტომბრის ქარი,
პარტიის სიბრძნე, ოცნება დიდი
გულში უდუღდათ დრო ბობოქარი,
მათ მომავალთან გაიგეს ხიდი.
ყინვას ალღობდა მათივე რწმენა,
მხოლოდ ოქტომბრის იცოდნენ ენა.

რამდენისათვის დღემ, როგორც სიომ,
მწვანე შამბნარში გაისისინა.
ახლა სიკვდილის თოქალთოებზე
და სადღაც მიწის ჯურღმულში სძინავთ,
შვილთა ცხოვრებას რომ გაებრწყინა.
მათი სამარეც არავინ.იცის.
გმირული იყო მათი ცხოვრება
და წმინდა, როგორც ოქტომბრის ფიცი.

რამდენი კიდევ ღია ბრძოლაში
დაუნდობელმა ტყვიამ დაცხრილა
მაგრამ ოცნება დარჩათ ცოცხალი
მათი ნამუსი ძირს არ დახრილა.
ოფლმა, შიმშილმა, დაღვრილმა სისხლმა
ღამე აქცია შუშხუნა დილად.

იბრძოდნენ. ამის ძალაც შესწევდათ.
მათ ხალხს გადასცეს გული მზიური
ლხენაც იცოდნენ, ცრემლიც შვენოდათ
და გატაცება რომანტიული.

მათი სახელი მადლით მოსილი
მათი სიცოცხლის ზღუდეს შორს გასცდა
საქმე, რომელსაც მტლად შეეწირნენ
შუქით აივსო და დავაქკაცდა.
იმათგან მოდის ჩვენი ნათელის,
ჩვენი სიცოცხლის უშრეტი წყარო
და მინდა მუხლი მათი ხსოვნის წინ
მადლობის ნიშნად დღეს მოვიყარო.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

★

# მჭედლები

მოთხრობა

შეგირდებში ბედი არ სწყალობდა მჭედელ იოსებს. ვის არ ასწავლა ხელობა, მაგრამ ყველამ მალე მიატოვა თავისი ოსტატი, დამხმარედ არავინ დაურჩა. ყველაზე მეტხანს ლილოელი წრიპა სანდრო იყო მასთან. წრიპა კი არა, უროს რომ დასცხებდა, გეგონებოდათ, გრდემლიანად მიწაში ჩაიტანსო. იოსებს ამ წრიპა სანდროს ღონე აკვირვებდა და ისიც აცვიფრებდა, თუ რატომ შეარქვეს მას წრიპა.

ერთხელ სანდრო ცირკში წარმოდგენას დაესწრო. იქ სიმძიმეების ამწევი მსახიობი მოსწონებოდა. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ცირკის დირექტორთან მისულიყო. დირექტორს დაცარიელებულ არენაზე გამოუყვანია სანდრო. მჭედელს მსახიობი დაუჩაგრავს, ორჯერ მეტი სიმძიმე ისე აუწევია, რომ ადგილიდან ფეხი არ მოუნაცვლებია. მისი მოძრაობა თუმცა ულამაზო, ცირკისათვის გამოუსადეგარი ყოფილა, მაგრამ დირექტორს ისიც შეუმჩნევია, რომ ამ კორძიანი მუხის გაშალაშინებას სულ ადვილად შეძლებდა.

და ერთ დღეს წრიპა სანდრო გამოემშვიდობა იოსებს.

— აფსუს, ბიჭო, რა ბიჭი ხარ და ცირკის მაიმუნი ხდები! — სინანულით უთხრა ოსტატმა.

იოსებს არ მოსწონდა მსახიობები, მათი მანჭვა-გრეხვა. ჭიდაობას კი სულს ანაცვლებდა. გულდაწყვეტით გაისტუმრა სანდრო, კარგი ღონე მოაკლდა მის სამჭედლოს. უკანასკნელად შინ აჭამა სადილი, ღვინოც დაალევინა.

თვალციმციმა ქალიშვილი ჰყავდა მჭედელ იოსებს. იმ საღამოს თვალები უფრო მეტად უციმციმებდა, რადგან ცრემლით ჰქონდა სავსე. სანდრო შეჰყვარებოდა და მას ვეღარ ელეოდა. როცა შეთვრა სანდრო და სუფრიდან წამოდგა, გამოემშვიდობა ოსტატს და თამროს ჩამოართვა ხელი. ქალიშვილის სევდიან თვალებში ცრემლი შენიშნა. მაშინვე მიხვდა ყველაფერს. არ წახვიდეო, ემუდარებოდნენ თამროს თვალები, მაგრამ წრიპა სანდრო მაინც წავიდა.

დარჩა იოსები ერთი შეგირდის ამარა, სამუშაო კი ყელამდე ჰქონდა. ვის ნალს გამოუჭედავდა, ვის ბარსა და თოხს. დანების, ცელებისა და ნამგლების სწორუპოვარი ოსტატი იყო და ამიტომ ლილოელი, წყნეთელი, დიღმელი თუ კოჯრელი და ავჭალელი გლეხები მასთან მოდიოდნენ.

ძველი სამჭედლო სახაბაზოებისა და სამღებროების გაყოლებაზე იყო. ვიწრო ფილაქანზე, სამჭედლოს წინ, ბლომად ეყარა რკინეული, გამომწვარი და გამოუმწვარი ნახშირის გროვები. ფარღალალა, დიდ კარს იქით მოჩანდა გამურული მღვიმე, სადაც გველეშაპი ქშინავდა და ცეცხლსა ჰყრიდა. კართან გრდემლი იდგა დიდ მორგვში მორგებული. სამჭედლო შიგნითაც სავსე იყო ათასგვარი რკინეულით. ოფლში გაწურული დაკუნთული მჭედლები გრდემლთან ტრიალებდნენ. ცალ მხარეს აალებული ნახშირის წითელი შუქი უნათებდათ, ცალს კი — დღის სინათლე. ხტუნავდა კუნთები, მძიმედ ეცემოდა ურო გავარვარებულ რკინაზე და მჭედლების მძლავრი ამოქშინვა საბერველის ქშინვას უერთდებოდა.

ვინ იცის, რამდენს და როგორ შველოდა წრიპა სანდრო იოსებს. მისი წასვლის მეორე დღეს საქმეს ისეთი ლაზა-

თი აღარ ჰქონდა. ერთი დღე კი არა, ერთი საათი უქმად ყოფნა ზარალში აგდებდა ხელოსანს, რომელიც სარფიანად იღებდა ხოლმე გასამრჯელოს.

რამდენიმე ხნის შემდეგ უცხოდ ჩაცმული უზარმაზარი კაცი მიადგა სამჭედლოს. თან ერთი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილკაცი ახლდა. უცნობი სამჭედლოს კართან გაჩერდა და მუშაობაში გართულ იოსებს რიხიანად მიესალმა.

იოსებმა აიხედა და თვალს არ დაუჯერა. მის წინაშე ევროპულად გამოპრანჭული წრიპა სანდრო იდგა.

— შენა ხარ, ბიჭო? — ახედ-დახედა იოსებმა.

— ჰო, მე ვარ, ოსტატო. აი, ჩემს მაგივრად ეს ბიჭი მოგიყვანე. ხელობის სწავლა უნდა. ამისი მამა შემეხვეწა სადმე მიაბარეო... ქალაქში საამისო სასწავლებელი არ არის. შენც გამოგადგება და ესეც რამეს ისწავლის.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — დაფაცურდა იოსები. ბიჭი შეათვალიერა და მისი თვალ-ტანადობა მოეწონა.

— რა გქვია, ბიჭო?

— გიორგი.

— ჩემთან დარჩები?

— დარჩება, მა არ დარჩება! — გიორგის მაგივრად უპასუხა წრიპა სანდრომ.

ამ დროს, როცა გიორგი სამჭედლოში შეიყვანა ოსტატმა, თამრო ფილაქანზე მოდიოდა, მამისთვის საჭმელი მოჰქონდა, თამრომ სამჭედლოს კართან გაჩერებული და თვალწარმტაცად დამშვენებული სანდრო იცნო და ისე დაიბნა, ისე აღელდა, რომ ხელიდან კალათი გაუვარდა, ჭურჭელი დაემსხვრა. ვაჟმა ხმაურზე მიხედა და რა დაინახა თამროს კალათი გავარდნოდა ხელიდან, მაშინვე მისკენ გაიქცა. თამრო ატირებული შეეგება სანდროს, ყელზე მოეჭდო და ცრემლით დაუნამა გულმკერდი.

იოსებმა ქურასთან მიიყვანა გიორგი, მერე შემობრუნდა, რათა ორიოდე სიტყვა ეთქვა თავის ძველი შეგირდისათვის. წრიპა სანდრო ვეღარ დაინახა, გამოიხედა, ვიწრო და ოღროჩოღრო ქუჩას ჯერ აღმა გაავლო თვალი, მერე აქეთ, თავის სახლისაკენ გამოიხედა. ქვებზე თავისი კალათი დაინახა და იქვე დამტვრეული ჭურჭელი. არც თამრო ჩანდა და არც წრიპა სანდრო. მიხვდა, ყველაფერს მიხვდა იოსები. გული შეუქანდა. ამ ბიჭმა (ცირკის მაიმუნმაო, ახლა მოუვიდა გული) ის გოგო არ წამართვასო, სახლი მაგას არა აქვს და კარი, შეძლებაზე ხომ ლაპარაკიც არ იქნებაო.

ერთ წუთს სამჭედლოში შეტრიალდა, წინსაფარი მოიძრო, ხალათი გადაიცვა, შეგირდებს დაუბარა, ახლავე მოვალო და შინისაკენ გაქუსლა.

სანამ აღრენილი ძია იოსები შინ მივიდოდა, სანამ აქეთ ეცემოდა და იქით ეცემოდა, სანამ იგი თამროსა და სანდროს ძებნით დაიღლებოდა, — შეგირდებმა ერთმანეთი გაიცნეს.

გიორგის ქურასთან რომ ბიჭი დახვდა, ასე, თხუთმეტი წლის თუ იქნებოდა. თვალმალხაზა იყო, გიორგისთან შედარებით — სუსტი აგებულებისა. დიმიტრი რქმეოდა და მეტად კეთილი ჩანდა. გაიხარა, თანატოლი ამხანაგი რომ ეყოლებოდა. გიორგის ახლადგაცნობილმა ბევრი რამ შესჩივლა, ძალიან მიძნელდება სამჭედლოში ყოფნაო, უროს ძლივს ვერევი და ერთი ორჯერ ოსტატმა კიდევაც წამითაქა თავშიო.

გიორგიმ ერთხელ კიდევ მიმოიხედა სამჭედლოში. ქურაში ცეცხლი ჩაწეულიყო. სიწყნარე სუფევდა. სანამ ოსტატი დაბრუნდებოდა, დიმიტრიმ ცეცხლი რამდენჯერმე გაახალისა, რომ იოსებს გული არ მოსვლოდა. ერთხელ უკვე ეწვნია მისგან. იოსები სადღაც წასულიყო, დაღლილ შეგირდს თბილ ქურასთან რული მორეოდა და მის ძილში ცეცხლი მინავლულიყო. მწარე სილამ გამოაღვიძა. მერე რა ხელი აქვს იოსებს! აბა, რა იქნებოდა გრდემლთან და უროსთან მინაჩვევი მარჯვენა!

გიორგი უროს დასწვდა და აწევისას ემძიმა, მაინც ასწია და ზათქით დაუშვა გრდემლზე. პირველივე დარტყმამ რაღაც

უჩვეულო და გამამხნევებელი ძალა შემატა. მეტად საამურმა ფიქრმა შეიპყრო.

— ვირისა და ხარ-კამეჩის ნალები უნდა ვჭედოთ, — თითქოს მის ფიქრს მიაშველაო, უთხრა დიმიტრიმ.

გიორგის მისი დამცინავი კილო არ ესიამოვნა, სამჭედლოში მიმოიხედა და იკითხა:

— მარტო ნალები?

— არა... მაგრამ ორთქლმავლებს რომ არ აკეთებს ძია იოსები, ხო ხედავ?!. იქნებ ბოლოს ჩვენც ცირკში წავიდეთ.

გიორგი ერთ ხანს უბრად იყო. დალონებული გაჰყურებდა ქუჩის ერთ კუთხეს, სამჭედლოს ღია კარში რომ მოჩანდა.

— რა ვქნა, აქ მაინც მაჭმევს ლუკმაპურს ოსტატი...

გიორგის თვალები აუწყლიანდა და სახე მოარიდა ახლადგაცნობილ ამხანაგს.

მტრისას, ისეთ ყოფაში მოვარდა იოსები სამჭედლოში. უშვერი გინებით მოსწამლა იქაურობა. არეული და აფორიაქებული იყო. ბიჭებმა ვერ გაიგეს მისი უგუნებობის მიზეზი. ოსტატმა უმიზეზოდ დაუტია მათ და ისინიც სწრაფად გაიძურწნენ სამჭედლოდან.

სამჭედლოს უკან, პატარა ფიცრულ ოთახში ცხოვრობდა დიმიტრი. უწინ აქვე იყო წრიპა სანდროც. მისი ულოგინო რკინის საწოლი ახლაც დიმიტრის საწოლის გვერდში იდგა. ამ ფიცრულში შეცვივდნენ ოსტატის მიერ გამოგდებული ბიჭები. კარი მიხურეს, საწოლზე ჩამოსხდნენ და ერთხანს ყურს უგდებდნენ იოსების ბობოქრობას.

— ბიჭო, დიმიტრი! — გაისმა მჭედლის ღრიალი.

დიმიტრი მაშინვე დაბრუნდა სამჭედლოში.

ფიცრულში დარჩენილმა გიორგიმ მალე გაიგონა ღრიალითვე ნათქვამი:

— ის სადღა არის? სად მემალებით, თქვენი დედა!..

გიორგის პირველ დღეს არაფერი ავნო იოსებმა. პირშიც არაფერი უთხრა ცუდი. იმ ღამეს თამრო არ გამოჩენილა. მაშინ კი მთლად გადაირია მჭედელი. მთელი ღამე არბენინა დიმიტრი უბან-ში, ეგებ სადმე მიაკვლიო თამროს კვალსო. არც გიორგი დატოვა ფხიზლად, შენ კარგად გეცოდინება, სადაც ღამეს ათევდა ჩემგან წასული სანდრო, შუაღამისას ვერის ხიდთან გამოიყვანა საწყალი ბიჭი.

თამრო კი ამ დროს ლილოში სანდროს ძალუასთან იყო და თავის სატრფოს მკერდს ეკვროდა.

* * *

ხასიათი მთლად გაუფუჭდა ისედაც უხასიათო იოსებს. ახლა დიმიტრისთან და გიორგისთან ხშირად ღრინავდა, უბრალო რამეზე იფეთქებდა ხოლმე. ერთხელ ლამის ყური სთხლიშა გიორგის.

ბიჭები პატარა ოთახში ერთად ცხოვრობდნენ, ერთად ინაწილებდნენ ჭირსა და ლხინს. რკინის წრთობასა და ჭედვაში თვითონაც იწრთობოდნენ და იჭედებოდნენ. კარგი ბიჭები დგებოდნენ თვალად და ტანად. ლილოელ, დიღმელ და წყნეთელ გლეხებს ატანდნენ თავიანთ ნაოფლარს, ისინი კი ფულს მჭედელ იოსებს უდებდნენ ხელში და მხოლოდ მის მარჯვენას ლოცავდნენ; არაფრად აგდებდნენ გრდემლთან გაჩერებულ ოფლში გალვითქულ ორ ვაჟკაცს.

იოსები ფულს ჯიბეში ჩაიჩხრიალებდა, შეგირდები ერთმანეთს ნაღვლიანად გადახედავდნენ და ამ უსიტყვო გამოხედვაში ჩანდა მათი დაჩაგრული კაცობა.

* * *

ერთ დღეს ქალაქში უცნაური ხმა გავარდა:

— ბოლშევიკები მოდიანო!

მენშევიკების ხმით და შთაგონებით მოწამლული იოსები სამჭედლოში გულგახეთქილი მოვარდა, ყველა საქმე გვერდზე მიაგდო და ბიჭებს სახლის კარი და ფანჯარა რკინით მოაჭედვინა, რქიანი ეშმაკები მოდიანო და ყველას შეჭმას უპირებენო.

წითელმა ლაშქარმა გრიგალივით გადმოიქროლა. როცა თბილისში წითელი დროშა პირველად აფრიალდა, იმ დღეს იოსები შინ ჩაიკეტა და დიდ უბედურებას ელოდა, მაგრამ კარგა ხანს ეს უბედურება არსად არა ჩანდა. ჯერ ფრთხილად გამოიხედა გარეთ. ვიწრო ქუჩაზე, რომელიც მისი სახლის წინ იყო, ჩვეულებრივ გაიარა მეთულუხჩემ. აგერ ნაცნობი ხაბაზი სურენა, აგერ მეწაღე ჯამბაზაც... თოფ-ზარბაზანს გადაურჩნენ. ქალაქში სიწყნარეა. ჩანს, მოსულან და ისევ წასულან ეშმაკები, მაგრამ ამ წვრილ-წვრილი ხელოსნებისათვის არაფერი დაუკლიათ.

უბანში ცხოვრება ჩვეულებრივ მიდიოდა.

პირველად მღებავ პოლოსას შეხვდა. პოლოსას საკუთარი სამღებრო ჰქონდა და იოსებს ცხოვრებაში არაფრით ჩამორჩებოდა.

— ცოცხალი ხარ, პოლოს? — გაეხარდა იოსებს მისი დანახვა. რახან ეს გადარჩა, მეც არა მიშავს რაო, ამიტომ უფრო ეფონა გულს პოლოსას ცოცხლად დანახვა.

— ცოცხალი ვარ, ვა... მა რათ უნდა მოვკვდე!

— რა ვიცი... აკი ამბობდნენ... ეშმაკებიო.

— ეშმაკები და რქებიო! — გაიცინა პოლოსამ, — ხალხი ჩამოვიდა, რქიანი ქუდები ხურამთ და ხელში თოფები უჭირამთ... მებნებიან: ლებეო... მეც ვხარშამ, რალა.

პოლოსას სიტყვებით გამხნევებული იოსები თავის სამჭედლოს მიადგა. სამიოთხი დღის მიტოვებულ სახელოსნოს კიდევაც დამჩნეოდა უპატრონობა: ღუმელში ნაცარი იდო, სამჭედლოს შავ ფონზე კარგად მოჩანდა ობობას ახალთახალი ქსელი, აქა-იქ გულმოდგინედ გაბმულ-გამობმული. მჭედლის თვალმა ყველაზე უწინ ეს შეამჩნია და ღვარძლიანად შეიგინა, მერე სამჭედლოს უკანა კარი გახსნა, რომ შეგირდების ფიცრულისკენ გასულიყო. დაუძახებდა, ქურას გაახურებინებდა, გრდემლზე უროს აახმიანებდა და გულზე დადებული ყინულიც გაულხვებოდა, ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგებოდა, იქნებ სჯობდა, ჯერ ქალაქში ჩაევლო, მიეხედმოეხედა, ქვეყანაზე რა ხდებოდა, ვის როგორ ექცეოდნენ ეს ახალი ჯურის ადამიანები?

ამ ფიქრით გამოვიდა ფიცრულისაკენ. კარს მიადგა. ოთახი ღია დახვდა, შიგ შეიხედა და ბიჭები იქ არ იყვნენ. აქეთ გამოსძახა, იქით გასძახა, მაგრამ შეგირდების ჩაიბური არსად იყო.

და აღარც გამოჩენილან ისინი.

* *
* *

ოცდარვა წელი გავიდა.

პირველ ხანებში იოსები უკაკუნებდა საკუთარს სამჭედლოში. მუშტარი თანდათან შემოაკლდა, ბოლოს უცნობი ხალხი მიადგა და სამჭედლო ჩამოართვეს. თუ გინდა, არტელში შედი და იმუშავეო, ურჩიეს, მაგრამ იოსებმა ყურად არ იღო მათი რჩევა.

გადიოდა დღეები. იოსები სიძეს და ქალს შეურიგდა. წრიპა სანდრომ ცირკს მალე მიანება თავი, მუშფაკი დაამთავრა, ქარხანაში კარგა ხანს იმუშავა და კარგი ადგილიც მისცეს. მშვენიერი ბინა მიიღო, ტკბილად ცხოვრობდა თავის ცოლ-შვილში. რაღა დარჩენოდა იოსებს, რომ მათ არ შერიგებოდა. კვირაში ერთხელ, შაბათ საღამოს გასწევდა ხოლმე აწ წელში მოხრილი იოსები თავისიანების სანახავად.

დაბერდა, დაჩაჩანაკდა. მის გარშემო კი ცხოვრება გახალისდა, გადასხვაფერდა. მისი სამჭედლო დაანგრიეს, სხვა წვრილ-წვრილი სახელოსნოებიც ზედ მიაყოლეს, იმ ადგილზე ქუჩა გააგანიერეს და ახლა ხუთსართულიანი სახლი დადგეს. ეჯავრებოდა ეს სახლი იოსებს, ასე ეგონა, რომ ამ სახლმა შეიწოვა მისი სამჭედლოს კედლები. ამ მხარეს არ დადიოდა, ქალაქში გამოსასვლელად სხვა გზა ჰქონდა არჩეული. ხვნეშით, ნელა ამოლევდა აღმართს და ფეხით გასწევდა ქალაქის ქუ-

ჩებში. ტრამვაი და ტროლეიბუსი მისთვის არ არსებობდა, არც რომელიმე მსუბუქ მანქანაში ჯდებოდა ხოლმე.

ერთხელ თავის ქალთან მიმავალ იოსებს ქუჩა უნდა გადაევლო. აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. ცალ მხარეს მსუბუქი მანქანა გამოჩნდა. გადავუსწრებო, გაიფიქრა და ფეხაჩქარებით გადავიდა ქუჩაზე. ტროტუარზე არ შეედგა ფეხი, რომ ის ლურჯი მანქანა გიჟურად მოიჭრა მასთან და სწრაფად დამუხრუჭდა. გულგახეთქილი იოსები ადგილზე გაშრა.

— ეე, ოხერო! — ამოხდა, სული ძლივს მოიბრუნა, მაგრამ გულის სწრაფი ფეთქვა მაინც ვერ დაიცხრო. მანქანას მიხედა. ერთ მამაკაცს თავი გადმოეყო მანქანის ფანჯარაში და იღიმებოდა.

— ძია იოსებ, ვერ მიცანი?

მოღუშული და შეშინებული იოსები ახლოს მივიდა ამ კაცთან.

— ვერა, ვერ გცნობ, ღვთის მადლმა.

— ვერც ამას იცნობ? — კარი გამოაღო უცნობმა და მანქანის საჭესთან მჯდარი მეორე მომღიმარე მამაკაცი დაანახა მოხუცს.

იოსებს ძალიან უნდოდა მეხსიერებაში აღედგინა, სად და როდის ენახა ესენი, მაგრამ საგონებელში ჩავარდნილს ოდნავადაც არ შერხევია გონებაში წარსული სურათის აღმდგენი სიმი.

— ჩვენ კი ხელად გიცანით, ძია იოსებ.

— ვინა ხართ, ბიჭებო?.. მე კი შემაშინეთ და დღე ლამის მომისწრაფეთ.

— შენი ყოფილი შეგირდები ვართ, ძია იოსებ,—მიმართა საჭესთან მჯდომმა, — მე გიორგი ვარ, აი, ლილოდან რომ ჩამომიყვანა სანდრომ, გახსოვს? ეს კი დიმიტრია.

მოხუცმა თვალები აჭყიტა და ახლაღა შეერხა მოგონების სიმი, ორივე ვაჟკაცი შეათვალიერა. მოეწონა მათი ლაზათიანი ჩაცმულობა. ორივეს კოხტად გადავარცხნილი ჭაღარაშერეული ქოჩრები ჰქონდათ.

— შოფერი გამოსულხარ, ჰა? — მეტი ვერაფერი ვერ მოახერხა რა დაბნეულმა იოსებმა და გიორგის შეხედა.

— შოფერიც ვარ და მჭედელიც... დიმიტრიც მჭედელია. შენ გვექეცით, მაგრამ მაინც სამჭედლოში მოვხვდით.

— კარგი კაცები გამოსულხართ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!.. მე კი გამაკოტრეს, სამჭედლო წამართვეს, — მეტად ნაღვლიანად შესჩივლა ცხოვრების უმადურმა ბერიკაცმა.

— ახლა სად მიგეჩქარება, ძია იოსებ?

— ჩემიანებთან მივდივარ.

— წაგიყვანთ, მობრძანდი.

— ფეხით მიჩვეული ვარ... თქვენ თქვენი გზა გაქვთ... — თქვა მოხუცმა, მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, თვალები წამოეგზნო, — იმ თქვენს სამჭედლოს არ მაჩვენებთ?

წელში შესწორება უნდოდა, ეცადა, მაგრამ ვერ შეძლო: ცხოვრების უჩინარსა და მძლავრ უროს მაგრად დაერტყა მისთვის მხრებზე. დაკოჟრილი ხელები კი ღონივრად მიისვ-მოისვა მკერდზე.

... მანქანა მიადგა უზარმაზარ რკინის ჭიშკარს, გაიარა იგი და ლამპიონებით განათებულ დაზგათმშენებელი ქარხნის მაღალ კორპუსებს შორის გასრიალდა.

იოსები ამწყობ საამქროში შეიყვანეს. თვალები აუჭრელდა მოხუცს, მაშინ თვალწინ წარმოუდგა თავისი პატარა, გამურული სამჭედლო, ნალები, კაპაჭები, ბარები...

— ეს დაზგა ინდოეთისათვის გავამზადეთ, — ეუბნება გიორგი ძველ მჭედელს, ეს კი ჩინეთში უნდა გავგზავნოთ. ამ სამჭედლოს უფროსი დიმიტრია, მე კი აი, ეს დაზგა გამოვიგონე... ნალების ჭედვას სჯობს, ჰა?

იღიმებოდნენ ინჟინრები. იღიმებოდნენ ძველი მჭედლის გარშემო შემოკრებილი ახალი დროების მჭედლები, ხოლო იოსები დუმდა და სადღაც შორით-შორიდან, თავისი გამურული სამჭედლოდან მოესმოდა უროს და ჩაქუჩის ყრუ ჯახანი, რომელიც უზარმაზარი ქარხნის ხმაურში ინთქმებოდა და ქრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

★

## ეპიტაფია

ის სამარის ქვა მოსკოვთან ვნახე,
ბრძოლის დროს იმას ამოვეფარე,
ზედ წარწერილი ერთი მგზნებარე
ეპიტაფია შემოვინახე...
მტერი გამაგრდა ცოტახნით მთაზე,
შეტევის დროშის ველოდი ფრიალს...
და ვკითხულობდი საფლავის ქვაზე
მე იმ მგზნებარე ეპიტაფიას:

„სიცოცხლე ბრძოლის ქარში ჩამიქრა,
ტყვიამ გამგმირა მზის ამოსვლამდე,
მე ვერ გავძლებდი, ამ სამარის ქვას
იმ მზის ნათელი რომ არ მოსავდეს.
მე იქ დავეცი, სადაც აღმართეს
წითელი დროშა ოქტომბრის ქარში...
შენ აქ მოსვლისას თუ შეგაღამდეს,
იმ ქარიშხალის მიმღერე მარში.
მუშა-მჭედელი ვიყავი ერთი,
გრდემლზე ნამგალს და ჩაქუჩს
ვკვერავდი,
ცხრაასჩვიდმეტიდან მე ოქრომკედით
დიდი ოქტომბრის დროშას ვკერავდი.

მე იქ დავეცი, იმ დროშის ახლოს,
მერე რა, განა ეს სიკვდილია?
შენ ეს საფლავი როდესაც ნახო,
თქვი, სამარის ქვა ისევ თბილია.
შენზე ვფიქრობდი სიკვდილის დროსაც,
გზა გაგიკაფე ნაფენი ეკლით,
და თუ არ დახრი ოქტომბრის დროშას,
იქნები ჩემი ცოცხალი ძეგლი“.

წავიკითხე და წინ გავიხედე...
ეს იყო ცხრაასორმოცდაორში...
და როცა მტრები უკან იხევდნენ,
მე მათ მივდევდი იმ მჭედლის დროშით.
თითქოს საფლავით წამოდგა ისიც,
გრგვინავდა მტერთა თავზარის მცემი,
და დავიცავით ჩვენ ერთად რისხვით
ოქტომბერი და მამული ჩემი.
მტერს ბერლინამდე მივდიე ასე,
იქ შევხვდი წითელ დროშების ფრიალს.
ვხარობდი, რომ იმ საფლავის ქვაზე
კვლავ დარჩა იგი ეპიტაფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

★

# ჩემი სულის ნათელი

— დაგელოცოს მარჯვენა, — მეტყოდა ხოლმე მეგობარი მეზღვაური ვარდენ ჟორდანია, — მუშტი მართლაც ქვასავით მძიმე და მაგარი გაქვს!

ნავსადგურებში ხშირად ვთვრებოდი, მერე მდიდრულად ჩაცმულ, თავმომწონე ჭაბუკებზე ვნადირობდი — აბუჩად ვიგდებდი, დავცინოდი. ზოგიერთი მათგანი ჯიქურ რომ შემომიტევდა, ღვინითა და არყით გაბრწყინებული მეზღვაურების თვალები მაშინ ჩემკენ იყო მოპყრობილი; არავინ იცოდა — რა ხერხს მივმართავდი.

უმალვე ვიგრძნობდი: იარაღის ხმარებას აპირებდა, თუ იმედს მკლავზე ამყარებდა. ლანძღვა-გინება და გაწევ-გამოწევა არ მჩვეოდა, ან ვხეთქავდი, ან გავეცლებოდი. ჩემი ბოჰემური ცხოვრება სულს უწამლავდა დედას, მემუდარებოდა — მიატოვე ფოთიო. ზღვის პირას დავიბადე, ტანი ავიყარე, მერე რამდენიმე წელი დავყავი თბილისში და გავეწამე, მცხუნვარე მზითა და ზღვის მარილით გაჟღენთილ ჩემს მკვრივ სხეულს ზღვის მშფოთვარე სული გამოჰყვა და იგი ძალუმად მიილტვოდა ტალღებისაკენ, საიდუმლოებით მოცული ლურჯი უსასრულობისაკენ. როგორც იქნა, ისევ დავუბრუნდი ზღვას, დედა კი მთხოვდა, ყოველ წერილში მთხოვდა: შვილო მოგკლავს ვინმე, ან დაგაპატიმრებენ და გადაგასახლებენ, მიაფურთხე იქაურობას და იქ იცხოვრე, სადაც შენი დები და ძმა ეწევიან პატიოსან შრომასო.

* * *

თბილისის ერთ-ერთმა გაზეთმა ორი ფელეტონი მომიძღვნა, საზოგადოებისათვის ფრიად საშიშ პიროვნებად დამსახა. ამის შემდეგ აბა რომელი კაპიტანი გამაჩერებდა გემზე?

ხან გემებს ვტვირთავდი და თავს იმით ვირჩენდი, ხანაც თევზს ვიჭერდი და ვყიდდი.

ნოემბრის მზიანი, უქარო კვირა დღე გათენდა. სატინის ბლუზა ჩავიცვი, ჯიბეცარიელმა დუქნებისაკენ გავწიე, ვფიქრობდი: ნაცნობებს გადავეყრები და, რა თქმა უნდა, საჭმელიც გამოინახება და სასმელიც-მეთქი.

მზისა და შავი ზღვის დამათრობელ სითბოს სახლებიდან გამოეტყუებინა ხალხი. ბავშვები, ქალ-ვაჟნი ქუჩებში, ბაღებში დასეირნობდნენ, მამაკაცებს დუქნების წინ მოეყარათ თავი — ყაყანებდნენ. პირველი, რომელმაც შემიპატიჟა დუქანში და არაყი შემომთავაზა, იყო ორიოდე წლის წინათ ჩემ მიერ ნაბეგვი, მხარბეჭიანი, შუახნის პოლიციელი ვასილ ჩიჟი. არყით გამოვთვერი, გადავკოცნე ჩიჟი, დავემშვიდობე და გავუხვიე მაღაზიისაკენ, სადაც ნაირნაირი პაპიროსი იყიდებოდა. მდიდრულად ჩაცმული, ახმახი, შეზარხოშებული, ქერა მოჭიდავე შემეფეთა კარებში. გზა არ დავუთმე. დამცინავად მღიმარმა, თვალებმოწკურულმა ნესტოებზე ისე მაგრად მომიჭირა ბარის ტარის სიმსხო თითები, მეგონა ცხვირი მომაძრო-მეთქი. ბევრი არ მიფიქრია, მარცხენა ფეხს დავებჯინე, მარჯვენა მოვხარე, მუშტი გავაქანე, თან მხარი გავაყოლე და ნიკაპს ქვემოდ დავაჯახე. დაიბნა, პირი დააღო, თვალები დაახამხამა, ვიდრე გონს მოვიდოდა, კვლავ ვხეთქე; მარჯვენა — თვალებშუა, მარცხენა კი — ტუჩებში. მაშინ კი დაბორიალდა, ბუღასავით გამოქანდა. თავის დახრა ძლივს მოვასწარი, უზარმაზარმა მუშტმა შხუილით გადა-

მიარა. ისე ღონივრად მომიქნია, კინაღამ არ წაიქცა. მყისვე ყურში მივცხე მუშტი, ხოლო ჩემკენ რომ მოტრიალდა, ნიკაპს ქვემოდ ამოვკარ. გახევდა, სულის მოთქმა გაუჭირდა. ვისარგებლე ამით, ავხტი და სახეში თავი დავაჯახე. ჩაიმუხლა, რამდენსამე წუთს თავს აკანტურებდა, მძიმედ სუნთქავდა, მერე ადგა, მაგრამ ხელს უაზროდ იქნევდა, ჩემი ყოველი დარტყმა კი არეტიანებდა, თავბრუს ახვევდა. რამდენჯერმე დაეცა, მერე გაქცევა იკადრა. გავეკიდე, ორთავემ ბრაგვანი მოვადინეთ ქვაფენილზე. ქვეშ მომიქცია. პირაღმა მწოლარემ ხელი თმაში ჩავავლე, მარჯვენას უროსავით ვცემდი სახეში, არ იცოდა — სახე სად წაეღო. ნელ-ნელა გადავუწიე თავი და მოჭიდავეს ზედ მოვაჯექი. მაშინ მოცვივდნენ პოლიციელები, ეტლში ჩაგვსხეს და ციხისაკენ გაგვაქროლეს.

ბუნდოვნად მახსოვს — ციხის მსახურთა შორის დავა ატყდა, ზოგი ამბობდა — ამ ჭაბუკმა ეს დევკაცი ულმერთოდ გალახაო, ზოგი წინააღმდეგი იყო — მოჭიდავეს ვერ მოერეოდაო, ალბათ დანით დაუსერა სახეო. ისინი რომ კამათობდნენ, ხმამაღლა განვაცხადე:

— გამიშვით შინ, ხომ ხედავთ სატინის ბლუზა მაცვია, მცივა. გამიშვით...

— ვერ გაგიშვებთ, მოქალაქევ, ამის მიზეზი კი ის კაცია, აი, ეზოში რომაა ახლა საპირფარეშოსთან, აბა გაიხედე, — ახალგაზრდა, ულვაშებაწკეპილმა, პირხმელმა მორიგემ თვალი ჩამიკრა, მკლავში ხელი ჩამჭიდა, კარებთან მიმიყვანა და მოჭიდავე დამანახვა.

— მიდი, თუ ვაჟკაცი ხარ, მიდი... — წამაქეზა მხრებგაშლილმა, ყლალულვაშიანმა მგელაძემ, მერე სხვებს მიუბრუნდა: ახლავე გამოირკვევა — ჩვენში ვინც არის მართალი.

ციხის ეზოში, საპირფარეშოსთან მოჭიდავე დავლანდე, კიბე ჩავირბინე, ერთმანეთისაკენ ორთავემ გავიწიეთ, იგი უწმაწური სიტყვებით მამკობდა, მემუქრებოდა და მთასავით მოისწრაფოდა. იმჟამადაც ავიცდინე მისი ვეება მუშტი და მთელი ძალღონით გავარტყი ნიკაპში.

ციხის ეზოში გაისმა მუშტების ცემის ხმა, პატიმრები ფანჯრებს მოაწყდნენ.

— ხელი კი არა, რკინა ჰქონია, — ჩემზე თქვა ულვაშაწკეპილმა მორიგემ.

— მამაძაღლია, იცის — სადაც სუსტი ადგილია და იქ სცემს, ხომ ხედავ ინდაურივით დაარეტიანა მოჭიდავე, — აღფრთოვანდა მგელაძე.

— გავაშველოთ, ცოდვაა მოჭიდავე, მდიდარი კაცია, ვიღაც სალახანამ უნდა გალახოს? — ჩაერია ხანში შესული.

— მდიდრებს ისე ექომაგები, თითქოს ბანკში მილიონები გქონდეს, — გაკენწლა მგელაძემ.

გაგვაზავეს, მოჭიდავე ციხის უფროსის კაბინეტში შეიყვანეს, მე კი შუშებჩალეწილ დიდ ოთახში შემაგდეს. ცემენტის იატაკზე პირაღმა გავიშოტე და მაშინვე წამიღო ძილმა.

სიცივემ გამომაღვიძა. დაღამებულიყო, თმაქოჩორა ზორბა ჭაბუკი ჩამხუტებოდა, მისი თავი ჩემს მკერდზე ესვენა, ხვრინავდა.

„ჩემს ბინაში როგორ გაბედა შემოსვლა?“ — გავიფიქრე და სუფთად გაპარსულ მსუქან ლოყაზე წავუტიალე. თავი წამოსწია, აიფხორა — გარტყმას მე გასწავლიო; ისეთი სილა გავაწანი, ტარაბუა დაესხა.

— მიშველეთ! — დაიღრიალა, წამოხტა და კარებისაკენ დაიხია.

ციხის მსახურმა კარები შემოაღო, იკითხა:

— რაშია საქმე?

უცებ გამოვფხიზლდი, მივხვდი — სადაც ვიმყოფებოდი.

— შენ რაღა გინდა აქ? — ვკითხე ჭაბუკს დაყვავებით.

— რა უნდა მინდოდეს, დავთვერი და ამისათვის შემომათრიეს. რას მერჩოდი, რატომ გამასილაქე? — თავდახრილი გაბუტული ბავშვივით იდგა.

— ჩემს ქოხში შემოსვლა როგორ გაბედა-მეთქი, მეგონა შინ ვიყავი. ნუ მიბრაზდები... ნუ მიბღვერ.

— მე, ჩემო ბატონო, პატიოსანი კაცი ვარ, არავისთვის არაფერი დამიშავებია, გემებს ვტვირთავ, მაგრამ თქვენ რომ

დამსახურებულად ბრძანდებით აქ, ეს ფაქტია, — გესლიანად ჩაილაპარაკა და სიცივისაგან აკანკალდა.

ვცახცახებდი მეც. სურამის დათოვლილი უღელტეხილიდან მოვარდნილი ცივი ქარი ღმუოდა ფანჯარასთან, გაყინული კლანჭებით გვეხებოდა. ავდექი, კუთხიდან კუთხემდე ვირბინე—იქნებ ცოტათი მაინც გავთბე-მეთქი, მერე გრძელ, ვიწრო დერეფანში გავედი. ჩაწკრივებულ საკნებზე დიდი ბოქლომები ეკიდა. თითოეულ საკანში შევიხედე, არ ეძინა მხოლოდ ერთ პატიმარს — ოქროსფერთმიან თვალწარმტაც გოგონას.

— ასეთი ლამაზი როგორ გაგიმეტეს?

— მსუბუქი ყოფაქცევის მადონა გახლავარ, — ღვარძლიანად მიპასუხა.

— მართალი თქვი.

— მართალს გეუბნები, რატომ არ გჯერა? — საბნიდან გამოჰყო გრძელი, თოვლისფერი, ჩამოქნილი კანჭი. — არ მოგწონს?

— სულელო, კანჭს რატომ მიჩვენებ?

— სულელი თვითონ ბრძანდები. ფუ, რა საძაგელი ყოფილხარ, სახე კი ისეთი ვაჟკაცური გაქვს. ამ სანატორიუმში ვინ მოგათავსა?

— ვიჩხუბე და დამაპატიმრეს.

— მაშ, მოჩხუბარი ხარ! — გადაიხარხარა.

— მეძავეობისათვის ზიხარ აქ?

— დიახ.

—ლამაზი ფეხი გქონია.

— აი შე წუწკო, თითქოს მტუქსავ — კანჭს რატომ მიჩვენებ, თვალი კი ზედ დაგრჩა? დაიკარგე აქედან, გაეცალე ფანჯარას, თორემ გუშაგს დავუძახებ.

— რა გაყვირებს?

— ნუ იყურები მელასავით, დაიკარგე შე წუწკო, მსუნაგო, განა მე მხოლოდ კანჭი ვარ? მეც მინდა ადამიანური ცხოვრება, განა მე მხოლოდ კანჭი ვარ? ლუკმა პურისათვის უნდა დავუწვე თქვენსთანა ოხერსა და მუდრეგს და იმის ნაცვლად, რომ შემიცოდოთ, გზაზე დამაყენოთ, ციხეში მამყოფებთ? ოხრებო, საზიზღრებო, ძაღლებო..

* * *

შუაღამე გადასული იყო, ჭაბუკი გაიძახეს და მერე აღარ შემოსულა.

მთელი ღამე ძილღვიძილში გავატარე. ჩავთვლემდი, თვალწინ წარმომესახებოდა ჩემი ქოხი, ლოგინი, თუჯის ღუმელი და უფრო შემცივდებოდა, ძვლებამდე გამტანი სიცივე მაკრთოლებდა, მაძაგძაგებდა.

თვალი მინებჩამსხვრეულ ფანჯრისაკენ მეჭირა, გათენების რამ ნიშანს ველოდი. უკუნი ეფინა მინებს და კვლავინდებურად ღმუოდა ქარი. მივუახლოვდებოდი გუშაგს, რომ კედლის საათისათვის შემეხედა. ქურქში გახვეული, ქუდჩამოფხატული, ხშირულვაშიანი გუშაგი ხან ფხიზლობდა, ხან ორთავე ხელს შემოხვევდა თოფს, თავს ქურქის სახელოებში ჩარგავდა და ძილს ეძლეოდა.

ფანჯრის მინის ნამსხვრევებზე ნათელი რომ აციმციმდა, სულშიაც ჩამიდგა ნათელი, სიცივემ უეცრად დაკარგა ძალა და ძილის სურვილიც თან გაჰყვა ღამეს.

დილით მოჰიდავე პირისპირ დამიყენეს. ლოყები გახეთქოდა და შესიებოდა, მარჯვენა თვალი ოდნავ უჩანდა, ცხვირზე, ტუჩებზე ყურებზე ბლომად ეცხო შემხმარი სისხლი.

— იცანი? — უხეშად შემეკითხა ხანში შესული ჩოფურა მორიგე.

მეხსიერებამ შემომინახა მკრთალი სურათები გუშინდელი დღისა — ვილაცას წავეჩხუბე, პოლიციელებს ვაგინე, მაგრამ ეს გოლიათი აგრე რიგად ნეთუ მე მივბეგვე?

— არ ვიცნობ.

— შენ რაღას იტყვი ამ დავაქარზე?— მორიგემ მოჰიდავეს მიმართა.

ალმაცერად, სასტიკად მზირალი მოჰიდავის მოჭუტულ პატარა თვალებში შურისძიების განუზომელი სურვილი ისახებოდა.

— სამი დღეა, რაც ფოთში ვარ, აქაურებს არ ვიცნობ, — ტუჩები აიბზუა, წყლისფერი თვალები დააბლატუნა.

მორიგემ ჩემი ცერის ანაბეჭდი დაიტოვა.

მეოთხე დღეს მგელაძემ გამიღიმა და მითხრა — თავისუფალი ხარო. ჩემს ღარიბულ ქოხს მივაშურე, გამიკვირდა: კარები ღია დამხვდა, ლოგინი არეული, იატაკზე ოთხად დაკეცილი ქაღალდი ეგდო. გავშალე, წავიკითხე: პურს, ძეხვს და ფულს გიტოვებთ, ჩვენებრ წყალწადებული ყოფილხართ. ქურდების მიერ დატოვებული პური და ძეხვი არ ჩანდა, ალბათ რომელიმე მშიერმა ძაღლმა ცხვირი შემოჰყო ქოხში და კუჭი გამოიძღო, ფული კი მაგიდის უჯრაში ვიპოვე.

იმ საღამოსვე შემაცხელა, მარჯვენა ბარძაყი ძალზე ამტკივდა. ჭამის მადა დღითიდღე მეკარგებოდა, გული მერეოდა, ვყვითლდებოდი, სიარული მიჭირდა. სიცხემ და უჭმელობამ ბოლოს ლოგინად ჩამაგდო. არავის შემოუხედნია ჩემს ქოხში, ნათესავი იქ არავინ მყავდა, მეგობრები კი შორს იმყოფებოდნენ—სერავდნენ ზღვებს და ოკეანეებს. როგორ გამეხარდა მეჩხერულვაშიანმა, გამხდარმა ვარდენმა რომ შემოაღო ქოხის კარი და შემოალაჯა!

— გემი ახლახან შემოვიდა ნავსადგურში. მითხრეს — დაპატიმრებული იყოო, მერე ავადმყოფობდაო. საავადმყოფოში უნდა დაწვე თამაზ. ეტლი რომ გიქირავო, ფული არა მაქვს, მოგიკიდებ და წაგიღებ.

— ვერ მზიდავ.

— გზიდავ, დარდი ნუ გაქვს.

ზურგზე ტომარასავით მომიგდო და გაეცინა.

— ბუმბულივით მსუბუქი ხარ, რა დაგემართა, დიდი ხანია შიმშილობ?

— ბარე ორი კვირაა.

გზაზე რამდენჯერმე შეისვენა, გამეხუმრა:

— ბუმბულივით მსუბუქი იყავი, ახლა კი დამძიმდი, ჰაერმა ხომ არ გაგასუქა.

მწუხრის ჟამს მივადექით საავადმყოფოს; უილაჯოს, სიცხიანს მისაღებ ოთახშივე ჩამეძინა. დილით ქაფანდარა ექიმმა გამსინჯა და თქვა — ღვიძლის მძაფრი ანთება გაქვსო.

საავადმყოფოშიც ნიადაგ მერეოდა გული. საუზმეს, სადილს, ვახშამს რომ შემოიტანდნენ, თავზე საბანს გადავიხურავდი. ჩემი ერთადერთი საკვები — ტკბილი წყალი იყო.

როცა ავადმყოფებს საუბარს შეწყვეტდნენ და უნაზესი სიხარულით გაცისკროვნებული თვალებით კარებს მიაჩერდებოდნენ, ვიცოდი — ექთანი ხათუნა შემოდიოდა. საროსტანიანს მხრებზე მბზინავი, მსხვილი, ღამისფერი ნაწნავები ეფინა, კაკბის მშვიდ, ჟუჟუნა თვალებს შეგავლებდა და სულს გაგილამაზებდა. ერთხელ მთხოვა ლუკმა მაინც ჩაიდე პირშიო. წინააღმდეგობა ვერ გავუწიე, პური დავღეჭე და გადავყლაპე. თვალები აუციმციმდა, მერე შეშფოთდა, აიწურა — უკანვე ამომაღებინა. ჩქარა ძვალტყავად ვიქეცი, ბარძაყში თელგამი დამიგროვდა, მტეხდა. საოპერაციო მაგიდაზე დამაწვინეს. შემრცხვა, უღონო თითებით ჩავებღაუჭე ქვედა საცვალს; გარდა ულვაშიანი მსუქანი ქირურგისა, იქ იყვნენ ქალები, და რაც მთავარია — დამყურებდა ხათუნა. სწრაფად ჩამძრეს ქვედა საცვალი, მე დავინახე კუნთებიანი ჩემი მუხლები კი არა, ძვლები, რომლებსაც მწიფე კომშის ფერი ბალნიანი კანი ფარავდა და საკუთარი თავი შემეზიზღა. დამაძინეს. პალატაში გამომეღვიძა, სირცხვილით ვიწვებოდი — ხათუნამ მნახა ასეთი საზარელი... მაინც რა ყოფილა ადამიანი! წაართვით ხორცი თვით ღვთაებრივი სილამაზით დაჯილდოებულ ადამიანს და კანგადაკრული ძვლების შემაძრწუნებელი ხროვა-ღა შეგრჩებათ.

ოპერაციის შემდეგ უფრო დავსუსტდი, ციებამ მიყელა, მაგრა ჩამჭიდა ხელი, ყოველ საღამოს მაციებდა, მაღალი სიცხე ცნობიერებას მიბნელებდა. მეშინოდა დედას არ გაეგო ჩემი ამბავი, ჩამოვიდოდა, დაიტანჯებოდა.

ერთ ღამეს, ყველას რომ ეძინა, გარკვევით გავიგონე ქირურგის სიტყვები — ვაი, რა ბიჭი მიკვდებაო. თუმცა ქირურგი ჩვენს პალატში არ შემოსულა, დერეფანში თქვა ეს, რატომღაც გადავწყვიტე, რომ მას მე ვყავდი მხედველობაში

და ავლელდი. „მე ხომ ჯერ ახალგაზრდა ვარ, ამ ორი თვის წინათ ოცდაორი წელი შემისრულდა! ვის ვკითხო — მოვკვდები თუ არა?“ სიმართლე რომ გამეგო, ასეთ უცნაურ ხერხს მივმართე: შუაღამისას, ხათუნა ჩვეულებისამებრ იჯდა ჩემს სარეცელთან; ხელი მუხლზე დავადე, ხათუნა არ განძრეულა. თითები მოვუჭირე. მის გაოცებულ თვალებში სიბრალულის გარდა ვერაფერი ვერ ამოვიკითხე და დავრწმუნდი — ჩემი დღეები დათვლილი იყო, ხელი მოჭრილი ტოტივით ჩამომივარდა.

ხათუნა გადმოიხარა, ვიგრძენი იოდის სუნი, მერე სიცოცხლესავით ტკბილი და დამათრობელი შეკავებული სუნთქვა.

— მაპატიეთ, უხეშად შეგახეთ ხელი... მაპატიეთ... მაპატიეთ... მომაკვდავს ყველაფრის უფლებას აძლევენ თურმე...

იგრძნო — მისი შეურაცხყოფა რომ არ მინდოდა, მიმიხვდა ყოველივეს, ქვედა აბურცული ტუჩი შეუტოკდა.

— მაპატიეთ, მაპატიეთ, თქვენ ჩემი სულის ცისფერი ნათელი ხართ. — კაბის კალთის კიდეზე ვაკოცე.

* * *

მეორე სართულიდან პირველში ჩამიყვანეს, გაჭვარტლულ, უმზეო ვიწრო პალატაში დამიდგეს საწოლი. თვალი გადავავლე იქ მყოფთ: სამი ლოგინზე იყო მიჯაჭვული, ორი ლანდივით დალასლასებდა.

ერთხანს მნახულობდნენ ნაცნობები, ოხუნჯობდნენ, მანუგეშებდნენ, მერე ყველამ ერთბაშად შეწყვიტა სიარული.

არ მეშვებოდა მაღალი სიცხე, თითქმის ყოველ საღამოს მაბოდებდა. განა საკვირველი არ არის! გონმიხდილი მხოლოდ უსაყვარლეს ადამიანებს — დედასა და ჩემს ძმას ვესაუბრებოდი თურმე. ხანდახან მომნახავდა ცნობიერება და მაშინ ვწუხდი — დედა არ ჩამოსულიყო, ჩემი მოხუცი დედა მენანებოდა.

ავადმყოფებს სარკე ვთხოვე, არა გვაქვსო — იცრუეს. „ნუთუ ისეთი საშინელი ვარ, რომ თვით მომაკვდავთა პალატის განწირული ადამიანებიც კი არ მაძლევენ სარკეს!“ — გავიფიქრე და მწარედ გამეღიმა. ხათუნას დავეღრიჯე — სარკე მიშოვნე-მეთქი. ჯერ წამიყრუა, რომ აღარ მოვეშვი — მომიტანა. ხარბად დავაკვირდი მრგვალ სარკეში გამოსახულ თმააბურდულ მოხუცის ჩამოგრძელებულ, გაძვალტყავებულ, ქარვისფერ სახეს, თვალები მოვლულე. „ეს მოხუცი სადღაც მინახავს, მაგრამ სარკემ ხომ ჩემი სახე უნდა მიჩვენოს?“ კვლავ ჩავხედე მოხუცს, იგი მკვდრის თვალებით მიმზერდა. ბევრი უცნაური ფიქრი დამებადა, მე ეჭვიც კი შევიტანე ჩემს არსებობაში... „ვთქვათ, მოხუცი ჩემი ანარეკლია, მაგრამ ცოცხალს მიცვალებულის თვალები რატომ უნდა ჰქონდეს? მიცვალებული თუ ვარ, როგორღა ვჭვრეტ ჩემს სახეს?“ თვალები დავახამხამე, მოხუცმაც დაახამხამა, ვცადე გაღიმება — მოხუცმაც უშნოდ ააცმაცუნა გაცრეცილი ტუჩები. „უეჭველად გავგიჟდი“, — გადავწყვიტე, სარკე გამივარდა ხელიდან.

ვგრძნობდი: სადღაც ახლოს იყო სიკვდილი, უხილავი, უშველებელი ობობასავით თავს წამომადგებოდა, ჩემს ფეხებს ჩააფრინდებოდა, ჯერ თითებსა და ფეხის გულს წამართმევდა, მერე შეუპოვრად, ყინულივით მოიწევდა ზემოთ — მუხლებისაკენ, მუცლისაკენ, მკერდისაკენ... ჰაერს ხარბად შევისუნთქავდი და ვცდილობდი — რაც შეიძლება დიდხანს გამეჩერებინა იგი ფილტვებში; და, მაშინ მკერდი ნელნელა მევსებოდა საამური სითბოთი, სითბო მიედინებოდა ფეხებისაკენ და აძევებდა სიკვდილს. მერე ისევ შემომიტევდა სიკვდილი და მე აგრე ვებრძოდი მას. თუმცა დაკარგული მქონდა გადარჩენის იმედი, მაინც მახარებდა ის, რომ მე კიდევ შემრჩენოდა უნარი სიცოცხლის ამ უბოროტეს მტერთან შებრძოლებისა.

* * *

დედაზე ფიქრი არ მასვენებდა, არ მინდოდა მომაკვდავი ვენახე. სიცოცხლემ მომიძულა, ვბრაზობდი სიკვდილი რომ იგვიანებდა. ბარათი დავწერე:

„საყვარელო დედა!

შენს თხოვნას ვასრულებ, ერთი თვის შემდეგ სამუდამოდ ვტოვებ ზღვას, საცხოვრებლად გადმოვდივარ თბილისში. შენი ბიჭი ლომივით ჯანმრთელია, მოკითხვა გადაეცი ჩემს დებსა და ძმას.

შენი თამაზი".

— დღესვე ხომ გაუგზავნით.

ხათუნამ თავი დამიქნია, ბარათი დაკეცა.

— რამდენიმე წელია შორიდან თვალს ადევნებთ და მეცოდებით. წარამარა რატომ ლოთობთ და ჩხუბობთ, ნუთუ არ გიყვართ სიცოცხლე?

— მიყვარს, ძალიან მიყვარს, ქვირფასო! მაგრამ, რა ვქნა, მე მძულს უსამართლობაზე აგებული ეს ქვეყანა.

ხათუნა ერთხანს მოჭუტული თვალებით მიცქერდა, მერე ჩაეღიმა და თქვა:

— მეც ასე ვფიქრობდი, ამ ცხოვრებამ გაგამწარათ და გაგაბოროტათ, სხვა პირობებში თქვენ სულ სხვანაირი, ქვეყნისათვის სასარგებლო კაცი იქნებით.

* * *

მას შემდეგ ორმოცჯერ აყვავდა ნუში, ტყემალი და ატამი, მე დავემსგავსე იმ მოხუცს, სარკიდან რომ მათვალიერებდა მიცვალებულის თვალებით.

ხათუნა! შენი სურვილი ახდა, ახალმა ცხოვრებამ მეც დიდ გზაზე დამაყენა, ქვეყნისათვის სასარგებლო კაცი გამხადა. დავბერდი, ჩემო ხათუნა, და ისევ ვოცნებობ შენზე, ვფიქრობ და ვდარდობ, რატომ არ გახდი ჩემი, შენ ხომ ჩემი, ჩემი სულის ცისფერი ნათელი იყავი! ისე განვიკურნე და წავედი საავადმყოფოდან — გულში არ ჩაგახედე, შორიდან გეტრფოდი, გეალერსებოდი, არავისთვის მემეტებოდი, ამით ისარგებლა სხვამ და სამუდამოდ წამართვა შენი თავი.

ნეტავი ახლა სადა ხარ ხათუნა, სად არის შენი კარგი, თბილი გული? მომწყურდები, უსაზღვროდ მომენატრები, ისევ გიხმობ და დაგეძებ ჩემი სულის უკვდავო ნათელო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ გორგაძე

✶

## იმ დღეს

დაუსრულებელ ღამეთა მთეველს —
პეტროგრადს ცივი ნისლი ფარავდა;
ნევა მრისხანე გრანიტის კედელს
გრგვინვით ახლიდა ზვირთთა ქარავანს.

ბინდს გაეშალა ქალაქზე კალთა,
აღარ ისმოდა ქუჩებში ჩქამი,
ახლოვდებოდა მონობის ტახტთან
უკანასკნელი შეტევის წამი.

უცებ გადაჭრა ფინეთის ყურე
და ნევის წყალში გაჩნდა თუ არა —
ზამთრის სასახლეს — ტირანთა ბუდეს —
„ავრორამ“ მძლავრი სტყორცნა ყუმბარა.

ხანძრების ალი ავარდა ცისკენ,
ცეცხლში დანაცრდა უკუნი ბნელი.
იმ დღეს ლენინმა ახალი გზისკენ
შემოაბრუნა პლანეტა ძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალე ბობოხიძე

★

## კაცობრიობის გვირგვინი

ლამაზად მოჩანს გორა — გვირგვინა,
მოღელავს ვოლგა — ტალღებმრავალი,
სადაც სიმბირსკმა რისხვით იგრგვინა,
რომ ეხსნა აწმყო და მომავალი.

ამ ქალაქს ახსოვს რბევა ბანდების,
მრისხანე ხმალი ტამერლანისა
და, ვერ ჩაუკლეს გულის ნადები,
მწუხრმა ნათელი ვეღარ დანისლა.

წამოიმართა, მხრები გაშალა,
ჩაკეტა მტერთა მისასვლელები;
ცაზე აენთო, როგორც მაშხალა
შვიდფეროვანი ცისარტყელები.

იზარდა. იქცა ულიანოვსკად, —
ლენინის კერა ქარიშხლიანი;
ოქტომბრის დილამ გულით დალოცა
დედა მდინარის ტალღის შრიალი.

დღესაც იხსენებს რაზინს, პუგაჩოვს,
გლეხების რბევას, გმირთა დაღრჩობას
და მხნედ გასძახის:—ხალხს გაუმარჯოს,
ვინც ჯალათების ხროვას აჯობა!..

მოგესალმები ვოლგის ნაპირო,
გორა—ვენეცო, გორა—გვირგვინა;
შენ, — ხალხს უთხარი სიტყვა საგმირო,
შენმა გაზრდილმა აზრით იგრგვინა,
მთელი მსოფლიოს დიდო აპრილო, —
შენ, მართლაც ჩანხარ ქვეყნის
გვირგვინად!..

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ ჩაჩიბაია

★

# ლაშქრობის წინ

**ციკლიდან „მძაფრი დღეები“**

თოვლით გადაპენტილ ველებზე ძეხორციელი არ ჩანდა.

ზოგჯერ ტაიგიდან თუ ტუნდრებიდან ღმუილით, ფორიაქით ავარდნილი ქარბუქი შორ ველებსა თუ მდინარეების ყინულოვან ნაპირებზე, ხეობებსა თუ თოვლით ჩაგვიფულ დაბებსა და ქალაქების ცარიელ ქუჩებში საოცარი ხმით წიოდა, ყველაფერს გლეჯდა.

სივრცეში თოვლის მშრალი ფიფქები და ღრუბლის ნაფლეთები ერთმანეთში ირეოდა, ყველგან იდგა თეთრად შემღვრეული ბური. ცა თითქოს ქარიშხალს ჩამოეგლიჯა, მრავალწლოვანი ნაძვისა და ფიჭვის ხეების თოვლშეყინულ ტოტებზე ჩამოეფლითა და მიწაზე გაეშხლართა. ერთ ნაბიჯზედაც კი გარკვევით არაფერი ჩანდა.

პარტიზანთა ჯგუფი, რომელსაც ზიტიჩი მეთაურობდა, სალაშქროდ წასვლის წინ ბრძანების მოლოდინში ისვენებდა.

ზიტიჩი ფანჯარაში ლულაგაყოფილ მაქსიმის სისტემის ტყვიამფრქვევთან იდგა ღრმად ჩაფიქრებული. მისი გამხდარი სახე და ღრმად ჩაცვენილი ცისფერი თვალები ყველას არწმუნებდა, რომ ამ კაცს დიდი ტანჯვა ჰქონდა გამოვლილი. მაგრამ ეს სულიერ მხნეობას ოდნავადაც ვერ უნელებდა.

ბოწოწიანი ქუდი ოდნავ გვერდზე გადაეწია, ქაღალდში სქლად შეხვეულ თუთუნს ექაჩებოდა. მას აგონდებოდა ბავშვობის უდარდელი წლები: მეზობლის ბიჭებთან მთელი დღე მდინარეში როგორ ჭყუმპალობდა, ხან კი ტირიფებში ძეწნებსა და მაღალ ეამბნარში როგორ ემალებოდნენ ბიჭები ერთიმეორეს.

ვიღაც ნაღვლიანად აღიღინდა.

ამ სიმღერამ ზიტიჩის მოგონებებს ნაღველი გაურია, ხოლო მის გულს უცნაური ყრუ ტკივილი მოჰგვარა.

ზიტიჩმა მომღერალ ჭაბუკს დახედა. იგი სავაზნე ყუთთან იატაკზე პირაღმა იწვა, ქუდი თავქვეშ ამოედო, აბურძგვნილ ხუჭუჭა თმებში მარცხენა ხელის თითები გაეხლართა და გატაცებული მთელი გრძნობით მღეროდა.

— ძმობილო, — მიმართა მას ზიტიჩმა — ეგ, რა სიმღერა წამოიწყე?

— არ მოგწონს? — უხალისოდ შეეკითხა იგი.

— სევდიანია!

— მერე რა, რომ სევდიანია?

— ადამიანს კაეშანს ჰგვრის.

— განა ჩვენი ცხოვრება კაეშნიანი არ არის?

— მე არ მიყვარს კაეშნის მოგონება.

— არც მე...

— მაშ ნაღვლიანი სიმღერა რატომ დაიწყე?

— განა მე დავიწყე?

— როგორ?

— გულმა დაიწყო, ჩემო ძმაო, გულმა. აი, მისმინე:

> გეძებ, ვერ გნახე, სადა ხარ,
> მკერდს მოგაგლიჯეს ჩვილები?
> მოვკვდები, ჯავრად ჩამყვება
> დედა, სამშობლო, შვილები...

ასეა, გული ხანდახან თავისას აკეთებს და მეც ამ სევდას გავყევი, გულმა ამიყოლია.

— გული უნდა დაიმორჩილო!

— მართალი ხარ, მაგრამ ჩემი დანგრეული ოჯახი რომ მომაგონდება, ბრაზი და სინანული მახრჩობს. შვებას სიმღერაში ვპოულობ, გამიგე?

— მარტო სიმღერა რას გიშველის?

— მე ბრძოლაშიც არავის ჩამოვრჩები.

— შენი სიყოჩაღე ყველამ იცის. ამაზე მე ხომ არაფერს ვამბობ.

ზიტიჩი გაინაბა. ეტყობოდა, მასში სიბრალულის გრძნობამ იფეთქა. პაპიროსი გვერდზე გადააგდო, მერე, იატაკზე გაწოლილ მებრძოლთან მივიდა, გვერდით მიუჯდა და დაყვავებით უთხრა:

— ჩვენ ყველანი, ძმობილო, უბედურებამ გაგვაერთიანა... მამაჩემი კრონშტადტში მეზღვაურად იყო და პეტერბურგში კადეტებმა მოკლეს. დედის შესახებ არაფერი ვიცი. წლებ ჩემი ბავშვობა, ჩემი სოფელი მომაგონდა. ამ მოგონებებში რომ ვიყავი გართული, შენი ნაღვლიანი სიმღერაც გაისმა და მეც მწარე ფიქრებმა შემიპყრო. თითქოს ძველი ჭრილობა გამეხსნა...

— მეც ნათესავთაგანი ცოცხალი არავინ მეგულება. მე მხოლოდ თქვენ შემოგცქერით და თქვენთან ერთად ვიბრძვი... მაგრამ დავრჩები კი ცოცხალი?

— ძმობილო, — უთხრა ზიტიჩმა დამშვიდებული ტონით, — პარტიზანს სიკვდილი ქუდში უზისი, ხომ გაგიგონია? სისულელეს თავი დაანებე. ახლა ერთი მაგრად გამოიძინე, სანამ სალაშქროდ გავწევდეთ, ნერვები დაგიმშვიდდება.

ყირტას შერცხვა თუ მორიდებამ შებოჭა, გაჩუმდა.

*
* *

ფანჯარასთან კვლავ საზარლად ზუოდა ქარბუქი.

ქართოვა მაინც არ წუდებოდა.

ღამე, როგორც შავი ფრინველი, ფრთებზე დაყრილი თეთრი ფიფქებით, ფანჯარას ეხეთქებოდა.

მრისხანე პარტიზანი ნესტორ კალანდარაშვილი ასეთ ამინდში კიდევ უფრო მეტად დგებოდა ბრძოლის ხასიათზე. ამიტომ იყო, რომ ზიტიჩს გამოუძახა.

— აი, დასახლებული პუნქტი, სადაც ორლოვი, ამაღამ თუ არა, ხვალ მაინც დაბანაკდება და თუ დაუყოვნებლივ არ გავანადგურეთ, ირკუტსკზე გალაშქრება გაგვიძნელდება.

— მზად ვართ, დავარტყამ, თუკი ამას გვიბრძანებთ!

— მისმინე, ჩემო ზიტიჩ! — დაიწყო ნესტორმა ნელა, დამარწმუნებლად. — შენ დაუყოვნებლივ გასწევ დასავლეთის მხრისაკენ, საიდანაც ისინი არავის მოელიან. მე კი პირდაპირ შუბლში დავახლი, პირდაპირ!

ნესტორმა დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი, გააგებინა, როგორ მოქცეულიყო, უთხრა შეცვლილი პაროლი და ბოლოს დაუმატა:

— სად არის შენი „სათადარიგო“ ტანისამოსი?

— აქ არის! — მტკიცედ უპასუხა ზიტიჩმა და თვალებში შეხედა.

— „სათადარიგო“ ჩაიცვი და რაზმს ისე გაუძეხი. ეს საჭიროა მტრის შტაბში შესაღწევად.

— მესმის!

— პირველ რიგში „კეთილი მოხუცი“ მოინახულე, გამოკითხე ყველაფერი. მისი ცნობები სარწმუნო იქნება. „კეთილი მოხუცი“ ხომ გახსოვს?

— როგორ არა, ამხანაგო მეთაურო! — სწრაფად მიუგო ზიტიჩმა. — რა დამავიწყებს მის კეთილ სახეს. მას ხომ ჩვენთვის სურსათ-სანოვაგე ჰქონდა სახლის ქვეშ გადამალული, ვიღაცამ გასცა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა, მაგრამ შვილები ამოუხოცეს, მხოლოდ ერთმა შვილიშვილმა გაქცევით უშველა თავს. მე ახლა მისი შვილიშვილის ბედი მაფიქრებს. გაქცეულ ტყვია სად დაეწია, ვინ იცის?

— სწორია!—რაღაც სევდიანად წარმოსთქვა ნესტორმა. — გაქცეულა, დიახ, გაქცეულა... ნეტავი სადმე შეგვახვედრა, ბრძოლას მე ვასწავლიდი მას.

წუთით გაირინდნენ და შემდეგ ნესტორმა ზიტიჩს კვლავ უთხრა:

— აი, სწორედ იმ მოხუცმა იცის პაროლი. წადი, იჩქარე და...

რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი, ქარბუქსა და ქართოვას აყოლილნი, გაუჩინარდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

სტეფანეს განა ქარბუქი და ქართოვა აშინებს?

განა სუსხი და ყინვა აკანკალებს მის სხეულს?

არა!

ქარბუქსა და ქართოვას ის არასდროს შეუშინებია.

ვინ იცის, ნადირობისას ტაიგასა თუ ტუნდრებში, თვით პოლარულ ბნელ ღამეშიც კი რამდენჯერ მოჰყოლია საშინელ ქარიშხალში, ქარბუქის მძვინვარებაში, გზაც დაბნევია, მაგრამ მის გულს შიში არ მიჰკარებია.

მისი ღრმად დაღარული და დანაოჭებული სახე, ჩავარდნილი და მიმქრალი თვალები, თუთუნის სქელ და ლილისფერ ბოლქვებში სევდიანად, უსიცოცხლოდ რატომ გამოიყურება?

სამოვარი დიდი ხანია, რაც შიშინებს, მაგრამ მოხუცი ახლა არც სამოვარის შიშინს, არც ქარბუქის ღრიალს ყურადღებას არ აქცევს.

სახლში მარტოდ არის დარჩენილი და მარტოობაში ჯავრი და ბოღმა ახრჩობს.

მისთვის ახლა ერთადერთი იმედი შვილიშვილია, რომელიც ლავინელების მხეცობას გაექცა და მისი ასავალ-დასავალი დღემდე ვერ გაუგია.

მოხუცი ელოდა შვილიშვილის გამოჩენას. მაგრამ ის არ ჩანდა.

ელოდა ნესტორს, მაგრამ არც ის გამოჩენილა.

— იქნებ ნესტორის კვალს მიაგნო და მის რაზმში ჩაეწერა? — თავს ინუგეშებდა იგი: — მაგრამ იქნებ დაიჭირეს ლავინელებმა და დახვრიტეს? ვინ იცის, სად გდია უპატრონოდ...

მღვრიე ფიქრებში გული საოცრად უძგერდა და თვალებს ძილი არ ეკარებოდა.

სამოვარი კვლავ შიშინებდა.

გარეთ ქარბუქი კვლავ ღმუოდა.

ღუმელის ნელ ღუღუნში მოხუცს სხეული ეთენთებოდა, უძლურება ერეოდა.

საწყალი მოხუცი!

*
* *

და, აი, იური დაბრუნდა.

შინ დახვდა მხოლოდ ცარიელი კედლები, დუმილი, შიში, ჩუმი ქვითინი და ბაბუას ცრემლები.

მას ხომ არასოდეს ენახა ბაბუას ცრემლები.

პატარაობისას იური რომ ატირებულა, ბაბუას ყოველთვის უთქვამს მისთვის — ცრემლები რა ვაჟკაცის საქმეა. არავინ დაგვინახოს, თორემ თავი მოგვეჭრებაო.

ახლა, დახეთ, მას რა ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლები ღრმად ჩაცვენილი სევდიანი თვალებიდან.

მწარე მოგონებებმა აუჩუყეს გული თუ მისი მოსვლით გახარებულმა თავი ვერ შეიკავა?

იური ვერ ცნობდა აქაურობას: ფანჯრის მინები ჩალეწილია, სამაგიეროდ, მსხვილი ლურსმნებით ფიცრებია მიჭედილი.

ოთახში ბნელა.

ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული სურათები ჩამოუღიათ, თავლა დაუნგრევიათ, ქვიშორი ცხენი, რომელიც ბაბუა სტეფანეს ძალიან უყვარდა, თეთრებს წაუყვანიათ, ძროხა დაუკლავთ და შეუჭამიათ.

— გაუნადგურებიათ, გაუნადგურებიათ ოჯახი! — ფიქრობდა იური.

— ჩემო ბაბუა, ჩემო ნუგეშო! — განუწყვეტლივ ელერსებოდა სტეფანე იურის და ზურგზე ხელებს უთათუნებდა. — ჩემო ბიჭუნა, ჩემო ბაბუა! — იმეორებდა მოხუცი ისევ და, როცა გულზე წითელი ნიშანი შენიშნა, გაკვირვებულმა უთხრა:

— ბაბუა, ეგ, რა ნიშანია? კომკავშირელი ხარ, ბაბუა?

— მაშ, თეთრებს ტყავი უნდა გავაძრო!

— ბაბუა! შენისთანებს ხვრეტენ... თუ სადმე შეგხვდნენ, მოგკლავენ... ერთი კვირის წინ ვასილ მიხაილოვიჩის გოგო დუნია დაიჭირეს.

— ვინ დაიჭირა, ბაბუ?

— ლავინელები იყვნენ... საბრალო გოგონა. ჯიბეში თურმე კომკავშირის ნიშანი უპოვნეს, ამოუღეს, მკერდზე მიაკრეს და ნიშანს ესროლეს. როდესაც დუნია კვდებოდა, ლავინელთა მეთაური ორლოვი იცინოდა და ხარხარებდა...

იური ხედავდა ბაბუას ერთიანად ჩაშომჭკნარ, ღრმა ნაოჭებიან სევდიან სახეს და გული უჩუყდებოდა.

— აი, ეს თავიც მან გამიტეხა. — განაგრძობდა მოხუცი. — ხმლის ყუა მთხლიშა და კინაღამ სული ზედ შევალიე...

მოხუცს უნდოდა ამბავი გაეგრძელებინა, მაგრამ ამ დროს სოფლის ბოლოს თოფი გავარდა, თოფის სროლას მოჰყვა ყრუ ხმაური და მთელი სოფელი შეიძრა.

იური ფანჯარასთან მიიჭრა და დაინახა, თუ როგორ ავარდა ცეცხლი შუა სოფელში.

— ბაბუა, ცეცხლია სოფელში!

— თუ ცეცხლია, ეს იმას ნიშნავს, რომ ორლოვი შემოსულა ისევ. მან ასე იცის ხოლმე, როცა სოფელში შემოვა, სახლს ცეცხლი უნდა წაუკიდოს... — აკანკალდა მოხუცი. — დაიმალე სადმე. თვითონ ორლოვი ყოველთვის ჩვენთან მოდის, რადგან ტყე ახლოსაა და ფიქრობს, თუ პარტიზანები დაგვეცნენ, თავს ტყეს შევაფარებთო. წადი ტყეში, წადი „მრისხანე პარტიზანს“ შეიძლება შეხვდე. პაროლი „ირკუტსკია“ არ დაგავიწყდეს...

სოფელში სროლა ძლიერდება.

ქარბუქი კვლავ ღრიალებს.

— წადი, წადი, იურიკ და პარტიზანებს შეუერთდი... ჩქარა! — ეხვეწებოდა მოხუცი და თანაც აჩქარებდა.

იურიმ საყვარელი შაშხანა გასინჯა, ტყვიები ჯიბეში ჩაიწყო.

კარებთან ბრახუნი გაისმა.

ეს იყო ორლოვი.

იური უკანა ოთახში გავიდა და იქიდან ფრთხილად ტყეს შეაფარა თავი.

*

* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცრად ამრეზილი ორლოვი, აბრიალებდა თვალებს და მოღუნული ცხვირის ფართო ნესტოებით ხარბად ისუნთქავდა ჰაერს.

ბანდის საიმედო წევრები ორლოვს ყოველთვის თავის გარშემო ჰყავდა შემოკრებილი, მათ გარდა, არავის ენდობოდა. ახლაც ისინი ორლოვის ირგვლივ ფუსფუსებდნენ. ფანჯარასთან მაგიდა დადგეს და ფანჯარაში ლულა გაყოფილი მძიმე ტყვიამფრქვევი მაგიდაზე საიმედოდ დაამაგრეს. კარებთან, კუთხეში თოფები მიაწყვეს და შემდეგ ისინი ორლოვმა თავის ოთახში შეიყვანა.

მალე ორლოვმა სტეფანე ივანიჩი მოიხმო.

მოხუცი გარინდული დადგა მის წინ და შუბლი შეიჭმუხნა.

— შენ ჩვენი მასპინძელი ხარ. მოიტანე პური, არაყი და რაც გვესიამოვნება. ჩვენთან არაფერი დაგეკარგება — კარგზე მადლობას გეტყვით, ცუდზე ცხელ ტყვიას გავიმეტებთ... ამისი მწარე მაგალითი მიღებული გაქვს და ალბათ უკვე ჭკუაზე მოხვედი.

მოხუცს ხმა არ ამოუღია, ადგილიდან არ განძრეულა.

ორლოვმა ქუდი გვერდზე გადაიწია, ზიზღით შეხედა მოხუცს და მერე შეუღრიალა:

— წადი, მოიტანე!

— სად ვიშოვო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, სოფელი დამშეულია.

— სად ვიშოვო, სოფელი დამშეულიაო, ეს მე დიდი ხანია შენგან მესმის. დაგავიწყდათ, მეფის სამსახური თქვენგან რას მოითხოვს. ამას მე მოგაგონებ, შე ბებერო ძაღლო!

მათრახი აიღო და სტეფანეს ზურგზე რამდენჯერმე გააშხუილა.

— ოოოჰ, — ამოიგმინა მოხუცმა და წაიქცა.

— აეთრიე, შე ბებერო მგელო, შე წისქვილის ვირთხავ, შენა!..

დაუძლურებული და აკანკალებული მოხუცი ტანს ვერ ითრევდა.

— არ დგები, არ მემორჩილები? აჰა, ესეც შენ! — დაიღრიალა ორლოვმა და მათრახი ისევ გადაჰკრა ზურგზე.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ! ღვთის გულისათვის გამიგონეთ...

— წაეთრიე, ჩქარა! თუ არაფერი მოგიტანია, აგკუწავ, გაიგე?

მოხუცი ფეხზე წამოაყენეს და...

რამდენიმე ხნის შემდეგ ნელი ბარბაცით გავიდა კარში.

*
* *

სოფელში ვინც კი იყო ახალგაზრდებიდან დარჩენილი, ტყეში გაიხიზნა და იურიმ თავის გარშემო შემოიკრიბა. სულ ცამეტნი იყვნენ. იურის გარდა არც ერთ მათგანს იარაღი არ ჰქონდა.

— ამხანაგებო! — ეუბნებოდა მათ იური, — სოფელი ორლოვის ბანდისაგან ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ!

ახალგაზრდები უხმოდ უსმენდნენ იურის და ირგვლივ ჩამობნელებული, ქარბუქით დაფლეთილი სივრცე ამაზრზენი მოულოდნელობით იყო სავსე.

— ამაღამ უნდა დავეცეთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს! — განაგრძობდა იური. — მრისხანე პარტიზანის ნათქვამი ხომ გსმენიათ — პარტიზანებს თეთრგვარდიელები „აიარაღებენო"... მოულოდნელად უნდა დავეცეთ და მათი იარაღი დაგვრჩება...

მარჯვნივ, გაჩეხილი ტყიდან ადამიანის ფიგურა გამოჩნდა.

იური იქითკენ გაიჭრა და შესძახა.

— ვინა ხარ? ვინ მოდის?

— მომეშველეთ, თუ ადამიანები ხართ! — გაისმა პასუხად.

მაშინ იური მივიდა პირდაპირ და ბაბუამისი დაინახა.

— ბაბუა!

— იური, შენ?

— ბაბუა, ასეთ ღამეში'აქ რამ მოგიყვანა?! — გაოცებით შეეკითხა იური.

— მცემეს, გამომაგდეს საჰმელის საშოვნელად! — ძლივსძლიობით ამბობდა მოხუცი.

ახალგაზრდები მალე მოხუცს შემოერკალნენ და, გაოცებულნი, ხმას ვერ იღებდნენ.

— წინა ოთახში ტყვიამფრქვევები დადგეს. ახლა ორლოვს თავბირი აქვს თავის ოფიცრებთან. — ამბობდა მოხუცი.

იური გაჩუმდა.

მის გულში წყრომა აბობოქრდა. წუთით ათასგვარმა აზრებმა გადაურბინეს და მერე ერთბაშად წამოიძახა:

— ბიჭებო, არ შეგეშინდეთ, პირველი მე მივალ, გამომყევით, ორლოვს იარაღი ავყაროთ, რას იტყვით?

ყველა გაჩუმდა, გაინაბა ამ საშიში მოსაზრების გამო. მათ ხომ ჯერ ბრძოლის გამოცდილება არ ჰქონდათ? ვინ უხელმძღვანელებდა მათ, ვინ მისცემდა რჩევა-დარიგებას?

— მეც წამოვალ, შვილებო, მეც დაგეხმარებით! — აკანკალებული ხმით წარმოთქვა სტეფანე ივანეს ძემ. — მე წინასწარ დავათვალიერებ იქაურობას. მე ჩემს სახლში ყოფნის უფლება მაქვს...

— არა, შენ მახლობლად დარჩები! — უპასუხა იურიმ და მერე ბიჭებს მიმართა: — მოდიხართ თუ არა? ჩემს თოფს მოგცემთ, მე რევოლვერიც მეყოფა.

— წავიდეთ! — იყო საერთო პასუხი და...

რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი ფრთხილად გაჰყვნენ ტყეს.

*
* *

იური ახალგაზრდებს წინ მიუძღოდა. თოვლის სითეთრე ღამის სიბნელეს თითქოს ფერს უცვლიდა. სივრცე ფითრდებოდა.

ხან სისინებდა, ხან ცასა და დედამიწას გლეჯდა ქარბუქი და სვლას აძნელებდა, ამის გამო ისინი ხშირ ტყეს და გაუკაფავ გზაზე ფრთხილად მიიწევდნენ სოფლის დასავლეთი მხარისაკენ.

მათ ბაბუა სტეფანემ უთხრა, რომ ორლოვის ბანდის ნაწილები სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში იყო დაბანაკებული და ამიტომ დასავლეთით უფრო თავისუფლად შეეძლოთ სიარული.

ბაბუა სტეფანემ იურის ისიც უთხრა, რომ ორლოვს ძლიერ ეშინია მრისხანე პარტიზანის რაზმებისა და შესაძლებელია გაძლიერებული გუშაგები სოფლის დასავლეთ ნაწილშიც დააყენაო.

ყოველივე ეს, იურიმ კარგად იცოდა, რას მოითხოვდა მისგან და ამიტომ პირველი ის მიიწევდა წინ, სივრცეს გულდაგულ სინჯავდა.

არც ნამქერი, არც სახეზე შემოყრილი ცივი ფიფქი, არც ქარბუქის ზმუილი მას არ აშინებდა.

შურისძიების გრძნობამ ისე აიტაცა ახალგაზრდის გული, რომ შებრძოლების ჟინმა ერთიანად დაიმორჩილა.

ჩახევებული ადგილი რომ დაიწყო ხეების მოქანავე მწვერვალებმა, თითქოს თოვლი ახლა ჩამოიბერტყაო, რაღაც ერთბაშად ხმაურით დაეშვა ძირს ზემოდან და...

— ადგილიდან არ დაიძრეთ!

— დაგვნებდით!

— იარაღი დაყარეთ, თქვენი დედაც! — თითქოს ერთსა და იმავე დროს შემოესმათ მათ ყოველი მხრიდან.

იური შეკრთა.

— მაინც დაგვხვრეტენ და ვეკვეთოთ! — ჩასჩურჩულა იურის ერთმა.

მაგრამ...

დამიზნებული თოფების ლულები მათ სულ უფროდაუფრო უახლოვდებოდა.

„არა, ცოცხალი არ დავნებდები“, — გაიფიქრა ბოლოს იურიმ, მაგრამ ეს აზრი მეორემ შესცვალა: „იქნებ პარტიზანები არიან? ისინიც ხომ უნდა მოვიდნენ აქ ამ საღამოს?“

დააკვირდა მათ და ახლა კი გარკვევით გაარჩია ოფიცრის სამხრეები.

ჩანდა, დამხვდურთა შორის თეთრგვარდიელთა ოფიცერი იდგა.

— ო, შენი დედაც! — ამოიგმინა ერთი და რევოლვერი ოფიცრისაკენ მიმართა, მაგრამ ამ დროს, თითქოს კისერში ვეფხვმა თათი დაჰკრაო, მეტად მწარე ტკივილი იგრძნო და მოიკუნტა, იარაღი ხელიდან გაუვარდა.

ეს ჟირტა იყო, რომელიც იურის ფრთხილად გვერდიდან მიპარვოდა და, როდესაც თოფი სასროლად მოამზადა, ისეთი სისწრაფით და ისეთი ძალით დააფრინდა თავს, რომ თოფი ხელიდან გააგდებინა, მზად იყო, უხმაუროდ წაეხრჩო მსხვერპლი, მაგრამ ოფიცერმა შეაჩერა.

— რად ველოლიავებით, ჩავაძაღლოთ! — მიმართა ერთ-ერთმა „ოფიცერს“ და უბიდან ფინური დანა ამოიღო.

— დაიცა! — გააფრთხილა „ოფიცერმა“ იგი და იურის მიუახლოვდა.

ჟირტა თითქოს გაქვავდაო, ადგილიდან არც კი დაძრულა.

„ოფიცერმა“ დაინახა, რომ იარაღი მხოლოდ ორს. ჰქონდა. დაეჭვდა.

„თუ ესენი ლავინელები არიან, უიარაღოდ რატომ უნდა იყვნენ? იქნებ მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას ეწეოდნენ და გლეხებმა იარაღიც წაართვეს?“ — ასეთმა აზრმა ერთბაშად გაუელვა და მათ მკაცრად შეეკითხა.

— ვინა ხართ? სად იყავით?

— აქაურები ვართ.

— იარაღი ვინ მოგცათ?

— ტყეში ეგდო და წამოვიღეთ! — იცრუა იურიმ.

„ოფიცერი“ წუთით გაჩუმდა.

სახეზე ქარბუქი კვლავ უხვად აყრიდა თოვლს.

— წაიყვანე შტაბში. მაგათ „პაპა“ მოუვლის.

როგორც კი გაიგონა იურიმ, „პაპას“ სახელი, გაოცდა; „პაპას“ ხომ მრისხანე პარტიზანს ეძახიან? რას ნიშნავს შტაბში „პაპა“ მოუვლის ამათო? ნუთუ ესენი მრისხანე პარტიზანის რაზმებიდან არიან? თუ ისინი არიან, მაშინ ოფიცერი აქ საიდან გაჩნდა? იქნებ განგებ ახსენეს „პაპა“, რათა ამით გაიგონ, ჩვენ რას ვიტყოდით?

— „პაპასთან“ მიგყავართ? — შეეკითხა იური.

— ეს თქვენი საქმე არ არის! — შეუტიეს იურის.

— მას ხომ მრისხანე პარტიზანსაც ეძახიან? — კვლავ შეეკითხა მათ იური.

— მერე რა რომ მას „მრისხანე პარტიზანსაც“ ეძახიან?

— თუ მასთან წაგვიყვანთ, ჩვენც ეს გვინდა.

— თქვენისთანა მაწანწალებსა და ავაზაკებს ის სპობს! — ახლა კი ძალზე მკაცრად წარმოთქვა „ოფიცერმა“, თითქოს იურის გამოწვევა სურსო.

— ჩვენ არც ავაზაკები ვართ და არც მაწანწალები, რას გვემუქრებით? მრისხანე პარტიზანს ჩვენ კი არა, სწორედ თქვენ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ვერ გადაურჩებით. ჩვენ „პაპამ“ უნდა დაგვსაჯოს? ჩვენ ხომ თქვენსავით ხალხს არ ვაწიოკებთ?

იურის ამ სიტყვებმა ახლა არა მარტო „ოფიცერი“, არამედ სხვებიც ჩააფიქრეს; მათ იცოდნენ, სოფლიდან თუ ქალაქიდან ნესტორის პარტიზანულ რაზმებს დღითიდღე თავისუფლებისათვის მებრძოლთა უფროდაუფრო მეტი ჯგუფები უერთდებოდნენ. ამის გამო მათ იფიქრეს, „ხომ შეიძლება ესენიც მრისხანე პარტიზანთან შეერთებას ცდილობენო, მაგრამ, თუ ვერ ბედავენ რისიმე თქმას, ეს იმის გამო, რომ „ოფიცერმა“ ძალზე დააეჭვესო“.

— ამ ტანისამოსს თქვენ ნუ უყურებთ! — დაიწყო „ოფიცერმა“ — ეს ჩემი სათადარიგო ტანისამოსია. იყავით გულწრფელი და გვითხარით, ვინა ხართ. თუ საიმედო პირები ხართ, სთქვით პაროლი. მე პირადად მრისხანე პარტიზანის რაზმის მეთაური ზიტიჩი ვარ.

სიხარულმა აიტაცა თუ მომავალი გამარჯვებების რწმენამ აღტაცების ფრთები შეასხა, იურიმ მთელი ხმით წამოიძახა:

— ირკუტსკი!

მომართული თოფების ლულები სწრაფად ძირს დაეშვა.

* * *

შუაღამე გადასული იყო, როდესაც იური თავისი ბიჭებით სახლს მიუახლოვდა. მათ შორიახლო ზიტიჩი თავისი რაზმით მისდევდა.

არც გზაზე, არც სახლის მისასვლელებთან გუშაგები არ იდგნენ.

ზუოდა, ფორიაქობდა სივრცე და ქარბუქი ციდან კვლავ მოხვეტავდა თოვლის ფიფქებს.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — ეუბნებოდა ორლოვს ერთი ოფიცერი. — ის მოხუცი თქვენი შიშით აღარ დაბრუნდება.

— ჯანდაბას იქით ჰქონია გზა მაგ ეშმაკის კერძს!

ოფიცერს ხმა არ ამოუღია.

— წადი, საქმეს მიხედე. — უთხრა ორლოვმა და ლოგინზე წამოწვა.

ამ დროს იური ფრთხილად უახლოვდებოდა სახლის წინ მდგომ გუშაგს.

უკან ასევე ფრთხილად მოიწევდა ზიტიჩი თავისი რაზმით.

დადგა გადამწყვეტი წუთები.

— ვინა ხარ, სად მიხვალ! — ჩახლეჩილი ხმით დაიძახა გუშაგმა და თოფი მოიმარჯვა.

— ორლოვი მინდა ვნახო, მის რაზმში უნდა ჩავეწეროო! — მიუგო იურიმ.

გუშაგმა თოფი დაუშვა.

თოფის დაშვება და იურის მივარდნა ერთი იყო, იმავე წუთს ქირტამ მკერდში ფინური დანა ჩასცხო და გუშაგი ჩაიკეცა.

სადღაც აფეთქება აფეთქებას მოჰყვა, თითქოს ცა და დედამიწა შეირყა.

აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები.

სროლა უფროდაუფრო ძლიერდებოდა და ახლოვდებოდა.

ხმაურზე მეორე ოთახიდან ორლოვი გამოვარდა, ტყვიამფრქვევთან მიწოლილ ჯარისკაცს შეუღრიალა. ძილგამფრთხალმა მეტყვიამფრქვევემ უთავბოლოდ და უმიზნოდ დაიწყო სროლა.

იურის ბევრი არ უფიქრია, ის იყო რევოლვერით ხელში ორლოვს უნდა მივარდნოდა, რომ მტრის ტყვიამ იგი მძიმედ დასჭრა, დაეცა.

*

* *

აირია, აიშალა, დაფრთხა ორლოვის ძირითადი ნაწილი, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით იყო განლაგებული.

მრისხანე პარტიზანი თავისი მამაცი რაზმებით ქარბუქივით შეიჭრა მათ რიგებში და ააფორიაქა, აყარა, აწეწა.

ნესტორმა იცოდა ორლოვის შტაბი ბაბუა სტეფანეს სახლში იყო მოთავსებული.

ზიტიჩი ხომ ორლოვის შესაპყრობად გააგზავნა?

იქნებ მიშველებაა საჭირო?

ხომ შეიძლება ზიტიჩის სათადარიგო ტანისამოსში გამოწყობილმა ვერც კი მოახერხა ორლოვის შტაბში შეღწევა?

იქნებ იცნეს და დახვრიტეს კიდევაც!

არა, ნესტორმა ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ნახოს.

აი, ის, ახლა ორლოვის შტაბისაკენ მიქრის.

ის იყო იურის დაჭრისთანავე ქირტა ყელში სწვდა ორლოვს, მაგრამ ოფიცრისაგან ნასროლი ტყვიით შუბლგახვრეტილი უსულოდ დაეცა. სწორედ ამ დროს ნესტორიც იქ გაჩნდა...

ორლოვმა ხელები ასწია.

ზიტიჩი მივარდა მას და წინ გაიგდო.

თოვლში ამოგანგლული ბაბუა სტეფანე ოთახში შემოვიდა თუ არა, ნესტორს იმედიანად შეხედა.

ნესტორი მაშინვე გადაეხვია მოხუცს, როგორც შვილი მამას გადაეხვევა ხოლმე. ის სიყვარულით უთათუნებდა მხრებზე ხელებს და გულთბილად ეუბნებოდა:

— რა შემიძლია გითხრა, მოხუცო არწივო, მადლობის მეტი! შენგან მოწოდებულმა ცნობებმა ჩვენ ბრძოლა გაგვიადვილა.

მოხუცის ჩამქრალ თვალებში სიხარულის ნაპერწკლებმა გაიელვა. უცებ დაჭრილ იურის თვალი მოჰკრა, შეშფოთდა, როგორღაც თავშეუკავებლად აკანკალდა, გული საოცრად შეეკუმშა, სუნთქვა შეეკრა, მუხლებშიც ძალა გამოელია, მაგრამ უკანასკნელად მოიკრიბა ძალ-ღონე, თავი შეიმაგრა და იურისაკენ გალასლასდა.

ნესტორი დაუყოვნებლივ გაჰყვა მას.

— იური, ბაბუა დაგჭრეს? — მწარედ აღმოხდა მოხუცს და დამჭკნარი, აკანკალებული ხელი სიყვარულით გადაუსვა შუბლზე.

— ბაბუა, არა მიშავს... გადავრჩი... ნუ გეშინია! — ნელა წარმოთქვა იურიმ.

ნესტორმა ჭრილობა გაუსინჯა.

იური პირველად ხედავდა იმ კაცს, რომელზედაც ბაბუა სტეფანეს ბევრი რამ ეამბნა.

ეჰ, როგორ უნდოდა იურის მისი ნახვა, მის რაზმში ჩაწერა.

— გოლიათია, ნამდვილი გოლიათი!— ახსენდებოდა ბაბუა სტეფანეს ნათქვამი. — ნამდვილი რისხვაა მტრისათვის...

იური გაკვირვებული შესცქეროდა ნესტორს, მის ქცევას და გრძნობდა მშობლიურ მზრუნველობას, სითბოსა და სიყვარულს.

— საშიში არაფერია! — ანუგეშა ნესტორმა მოხუცი. — ირკუტსკისათვის ბრძოლაში ჩემ გვერდით იქნება, ნამდვილად!

*

* *

ისევ და ისევ ღმუოდა ქარბუქი.

ისევ და ისევ თეთრად პენტავდა სივრცეს ქართოვა.

ცა ისევ მოქუფრული იყო.

ალაგ ტყვიისფერი, ალაგ ნაცრისფერი ღრუბლების გაბუბღულ ქულებში თეთრად ჩაკეცილი მიდამოები, ყინულებით ჩანაოჭებული ფლატეები თუ ხეობები მშრალი და წვრილი თოვლისაგან ისევ და ისევ იგვიფებოდა.

მრისხანე პარტიზანის მებრძოლები ყინვასა და ქარბუქში, ტყვიების ცეცხლში წინ მიიწევდნენ საბრძოლო ყიჟინით:

— გაუმარჯოს რევოლუციას!

— წინ, ირკუტსკისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სერგეი ესენინი

★

## სიმღერა დიდი ლაშქრობისა

(ნაწყვეტები)

ორასი წლის შემდეგ,
ცივ ოქტომბრის თვეში,
ატორტმანდა ნევა
მძლავრ ტალღების თქეშით.
დილით ხედავს ხალხი,
ქარბუქი დიდია,
ფლიდი დიდკაცები
ბოძებზე ჰკიდიან.
ჰეი, გიდი, ხალხო,
ჰაი, პიტერ-გრადო!
მაგრამ ზარბაზნების
ჭექა ისმის რატომ?
... სროლა — ქალაქგარეთ,
სროლა ისმის ზღვიდან.
მიდი და გაიგე,
ახლა როგორც გინდა.
იქ ბევრი რამ მაშინ
სწრაფად შეიცვალა,
მე გიმღერებთ მათზე,
როგორც შემწევს ძალა.
... დილა უთენია,
წვიმაში და ქარში,
არეს აღვიძებდა
ჩვენი სტვენა მაშინ.
სათამაშო ვაშლო,
შენ გვიხარებ გულსა,
დავცხოთ... აი, იმას...
ბურჟუაზიულსა.
ტყვია შედის მკერდში,
როგორც ფუტკრის კბენა,
ჩვენმა რაზმმა შესძლო
კვლავ წინ გადარბენა.
ჯერ ის ტბა და ფშანი,
მერე კვლავ ყამირი,
კომუნარი ჩაწვა,
მიწას ეკვრის ცხვირით.
ჩვენ მივდივართ წინ, წინ!
და იხევენ მტრები.
არა უშავთ, იყვნენ
ჯერ წვიმაში მკვდრები.
იძინეთ, მამაცნო,
ხართ ვალმოხდილები!
თქვენ დაგასაფლავებთ
სულ ყველას დიდებით.
... მორჩა ბრძოლა! ბრწყინავს
დროშა ალისფერი.
გარბის, თავს არ ზოგავს,
შერცხვენილი მტერი.
უკვირს, რომ გადარჩა,
და ჩვენმა ზემდეგმა
ისევ გადმოიღო
და ჩაიცვა ჩექმა.
თქვა: „დედაკაცისთვის
ჩექმა რა წესია,
ისევ მე ჩავიცვამ,
ეს უმჯობესია“.
... ჰა, გათავდა ბრძოლა
და დამარცხდა მტერი.
ვინც ცოცხალი დარჩა,
ზეიმობს და მღერის.
ჰა, პიტერ-გრადო,
წითელო, ახალო!
შენ მშრომელო ხალხო,
აწ თავისუფალო!
და შუაღამიდან
პეტრე დიდის ლანდი
ნევის ნაპირებზე
წრიალებს დილამდე.
დადის პეტრეს ლანდი
და მკაცრად უცქერის
ქალაქის ქუჩებში
დროშებს წითელ ფერის.
ტალღა ურტყამს ნაპირს,
ღელავს და მქუხარებს...
თითქოს მიდის გემი
ინდოეთის მხარეს...

თარგმანი **გრიგოლ ცეცხლაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვლადიმერ მგალობლიშვილი

★

# დასაწყისი გაზაფხულისა

### ისტორიული დრამა ოთხ მოქმედებად

### ფრაგმენტები

1917 წ. აგვისტოს მიწურული. ვ. ი. ლენინის არალეგალური კარავი სადგურ რაზლივთან. მთვარიანი ღამეა. ტბის პირას გადაშლილია სათიბები, აქა-იქ თივის ზვინები ჩანს. წინა პლანზე, პატარა მდელოზე, მოზრდილი კარავია. ტბის ნაპირიდან კარავისაკენ ბილიკი მიდის. კარავთან ცელი ჰკიდია. იქვე მთიბავის ტანსაცმელში გამოწყობილი, უწვერულვაშო ლენინი ზის, რვეულს სინჯავს, თან ესაუბრება სერიოჟას, რომელიც ბადეს აკერებს.

ლენინი — მაშ, დღეს აღარ მოჰყვა თევზი, სერიოჟა?

სერიოჟა — იმედი გამიცრუვდა. ეს ოხერი ბადე აღარ ვარგა, მთლად დაიხა. ვაკერებ, ვაკერებ და მაინც არაფერი გამოდის.

ლენინი — გულს ნუ გაიტეხ, ბიჭიკო. მალე ჩინებული ბადე გექნება და თევზსაც ბლომად დაიჭერ.

სერიოჟა — (ამოიხვნეშა) ეჰ! კარგ ბადეს ფულიც კარგი უნდა. ჩვენ კი... აბა საიდან? წიგნის ფულიც არა მაქვს. სკოლიდან დამითხოვეს. უწიგნოდ აქ არ დაგინახოთო!

ლენინი — (წამოდგა. ტბისკენ გაიარა, მიდამო შეათვალიერა. შემდეგ სერიოჟას მოუბრუნდა, მხარზე ხელი დაადო, ალერსით მიმართა). მე გამოგიგზავნი, სერიოჟა, რჩეულ წიგნებს და ახალ ბადესაც გამოგიგზავნი. მალე, სულ მალე... მხოლოდ ერთი პირობით: თევზს რომ დაიჭერ, მარტოკამ არ შესჭამო, მეც მინაწილე (გაიღიმა).

სერიოჟა — რასაც დავიჭერ, სანახევროდ გავიყოთ, ძია კოსტია... მერე, რა თევზი იცის... ნაფოტა. ფარგა — რამდენიც გინდათ. იცით რა, ძია კოსტია? როგორც კი ინათებს, ანკესები ჩავყაროთ. ანკესითაც ბლომად დავიჭერთ. ცოტაოდენს დედაჩემსაც წავუღებ, ძალიან უყვარს... კარგი?

ლენინი — კარგი, კარგი, ეგრე იყოს! ამხანაგებსაც კარგად გავუმასპინძლდებით ცოცხალით, როცა მოვლენ. (დაინახა ნავი, რომელიც ტბის ნაპირს უახლოვდება. სერიოჟას) მგონი, მამაშენი მოდის. ვიღაც მოჰყავს. შეხვდი! ნახე, ვინ ახლავს.

სერიოჟა — ახლავე! (ტბისკენ წავიდა. ლენინმა წიგნები და რვეულები აკრიბა, კარავში შეიტანა. ნავი ნაპირს მოადგა. გადმოვიდნენ გრიანოვი და ლიდა სვეტლოვა. ნიკოლოზ ემელიანოვი ნავში საქმიანობს).

გრიანოვი — (ლიდას) აი, მოვედით კიდეც!

ლიდა — რა მშვენიერი ადგილია. ალბათ, აქ აგარაკები იქნება. კიდევ შორს არის?

გრიანოვი — არც ისე. (სერიოჟა დაინახა). აა, ჩვენო მებადურო, შენც აქა ხარ?

სერიოჟა — უკვე მეორე დღეა, ძია მიშა. (ლიდას დააკვირდა) ოჰო, ლიდაც მოიყვანეთ?!

გრიანოვი — როგორც ხედავ!..

ლიდა — აი, მოვედი შენი თევზების სანახავად.

სერიოჟა — (თავისთვის) ძია კოსტიას უნდა შევატყობინო, რომ ჩვენები არიან (გულწითელა ჩიტივით უსტვენს).

ემელიანოვი — (ნავიდან) სერიოჟა, აქ მო! (სერიოჟა ნავთან მივიდა). აქ დაიცდი! თვალყური გეჭიროს. (თვალში ჩაპხედა, თითქოს რაღაცას ეკითხებაო).

სერიოჟა — მესმის, მამი! (კარავზე ანიშნა)... იქაა, გამომგზავნა, გაიგე ვინ მოჰყავსო.

ემელიანოვი — (ნავიდან გადმოვიდა. გრიანოვს და ლიდას) აქეთ წამოდით, ამხანაგებო! (გაუძღვა. კარავიდან ლენინი გამოვიდა. საქმიანობს. შეხვდნენ. ემელიანოვმა გაიღიმა, თვალით ანიშნა. სხვები ცივად მიესალმნენ. ლიდამ გზა განაგრძო).

ლენინი — (გაიღიმა. გრიანოვს მხარზე ხელი დაჰკრა) რაო, ამხანაგო მიხეილ, ვერ მიცანით?

გრიანოვი — (იცნო. გაოცებით) ვლადიმირ ილიჩ! (ხელი ჩამოართვა). ჩინებული მსახიობიც რომ ყოფილხართ!

ლენინი — კონსპირაცია რთული ხელოვნებაა, მეგობარო, და მით უფრო საჭიროა ახლა, როცა კერენსკის მეძებრები ყველგან დაძრწიან ულიანოვის შესაპყრობად. (ემელიანოვი კარავში შევიდა).

ლიდა — (წინ წასული). მიშა, წავიდეთ! ვის ემასლაათები?

გრიანოვი — ლიდა, სადღა მიდიხარ! აქეთ მოდი! (ლიდა მობრუნდა, ახლოს მივიდა). აი, ვლადიმირ ილიჩი. (ლენინს) ამხანაგი სვეტლოვა, პუტილოვის ქარხნიდან.

ლენინი — აა... ვიცი, ვიცი (ხელი ჩამოართვა). მარგარიტას ქალიშვილი, არა? (ლიდას) გიცნობთ. თქვენზე ზოგი რამ მიამბო ნიკოლოზმა. გამოცვლილხართ, დაქალებულხართ.

ლიდა — (დარცხვენით) მე თქვენ ვიღაც მთიბავი მეგონეთ, ამხანაგო ლენინ!.. ბოდიშს ვიხდი.

ლენინი — (მხიარულად) ეს ძალიან კარგია, რომ ვერ მიცანით. ჩანს, საიმედოდ ვყოფილვარ მორთული.

ემელიანოვი — (კარავიდან გამოვიდა). კარავში ხომ არ გირჩევნიათ, ვლადიმირ ილიჩ? შემოდით!..

ლენინი — არა, აქ სჯობს, მწვანეზე, მთვარის ჩრდილში... დასხედით, ამხანაგებო, გთხოვთ.

გრიანოვი — (ემელიანოვს) ოღონდ ფრთხილად, ნიკოლოზ! ათასი თვალი და ყურია საჭირო. (მოლზე დასხდნენ კარავთან).

ემელიანოვი — გული საგულეს გქონდეთ, მიხეილ ივანიჩ! ნავთან სერიოჟაა, გაღმა კიდევ ცოლი დავაყენე (ემელიანოვი კარავში შევიდა. საქმიანობს. ხანდახან გამოვა, ნავისკენ წავა, მიდამოს ათვალიერებს).

ლენინი — (გრიანოვს) აბა, ახალს რას მეტყვით? რა ამბებია პიტერში? ქარხნებში რა ისმის? (ლიდას) პუტილოველები რას ფიქრობენ?

გრიანოვი — აი, ბარათი ცენტრალური კომიტეტიდან (გადასცა).

ლენინი — (ბარათი გამოართვა, გახსნა, მთვარის შუქზე ჩაიკითხა უხმოდ. კმაყოფილებით წარმოსთქვა) გასაგებია. მე დიდად ვაფასებ ამხანაგების ზრუნვას. მაშ, გადაწყდა ფინეთში გადავიდე? პიტერიდან კიდევ უფრო შორს?

გრიანოვი — ცენტრალურ კომიტეტს ეს აუცილებლად მიაჩნია, ვლადიმირ ილიჩ! სიცივეები იწყება. აქ შემდგომი დარჩენა თქვენი ჯანმრთელობისათვის საშიშია. ესეც არ იყოს, არის ცნობები, რომ კერენსკი...

ლენინი — ვიცი, ვიცი.. მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლაც ახლა იწყება. და რევოლუციას სწორედ ახლა სჭირდება უშუალო ხელმძღვანელობა... (ჩაფიქრდა, შემდეგ ცივად) თუმცა, რა გაეწყობა! პარტიულ დისციპლინას უნდა დავემორჩილოთ... ეს მითხარით, ამხანაგები ხომ კარგად არიან? თვითეული მათგანის სიცოცხლე ახლა ბევრად უფრო ძვირფასია და მეტად უნდა გავუფრთხილდეთ. ჩვენები ხომ არ გინახავთ?

გრიანოვი — თქვენებთან სერგო ორჯერ იყო. დარდი ნუ გაქვთ, საიმედოდ არიან. ამხანაგებიც ყველანი ჩინებულად გრძნობენ თავს, ვლადიმირ ილიჩ! იაკობ მიხაილოვიჩი დღედაღამ მუშაობს. სტალინი, თქვენი მითითებისამებრ, ამ დღეებში სავსებით გადავიდა რედაქციაში. სხვებიც მხნედ არიან, აღფრთოვანებულნი... პარტიის საქეს, თქვენგან მინდობილს, მტკიცედ წარმართავენ. წამოსვლისას დამავალეს: თან გამოგყვეთ, იალკალაში ჩაგიყვანოთ და დაგაბინავოთ. ყველაფერი მზად არის თქვენს გადასაყვანად.

ლენინი — დრო კარგი შეგირჩევიათ. თუმცა მთვარიანი ღამეა, მაგრამ...

ლიდა — ამხანაგებმა ასე გვირჩიეს: სწორედ ახლა ყველაზე მარჯვე დროა ფინეთში ილიჩის გადასაყვანადო. გეგმა და მარშრუტიც თვითონ შეიმუშავეს.

ლენინი — (მოახლოებულ ემელიანოვს) მოვემზადოთ, ნიკოლოზ! (ხუმრობით) ხომ ხედავ, ამათი ტყვე ვარ!..

ემელიანოვი — ახლავე ყველაფერი მზად იქნება, ვლადიმირ ილიჩ! (კარავში შევიდა).

ლენინი — (გრიანოვს) ევაკუაციის რა ისმის?

გრიანოვი — კერენსკი აპირებს პიტერი გერმანელებს ჩააბაროს და მოსკოვს გადაბარგდეს. მაგრამ მუშების ეშინია, ჯერჯერობით ვერ ბედავს. ქარხნებში მღელვარება ყოველდღე მატულობს. გუშინ ოთხი ქარხანა დახურეს, მათ შორის ლესნერისაც. გერმანელთა მოსალოდნელი თავდასხმის საბაბით მთავრობა მთავარი ქარხნების ევაკუაციას ახდენს, ამით უნდა მუშათა რიგები შეარყიოს. პიტერის მენშევიკური საბჭო კი ამას ეთანხმება. საცოდაობაა, ვლადიმირ ილიჩ, როდესაც უცქერით, როგორ ანგრევენ უზარმაზარ ქარხნებს, ქალაქიდან ეზიდებიან ჩარხებს, მანქანებს...

ლენინი — მუშები რას ამბობენ?

ლ ი დ ა — აღშფოთებულნი არიან. სხვანაირად რომ ვერა გააწყო რა, კონტრრევოლუცია ახლა სამუშაოს ხელიდან გვაცლისო, გაიძახიან. მაგრამ პუტილოველები არ ფიქრობენ დაჰყარონ იარაღი, რომელიც კორნილოვის აჯანყების დღეებში ხელთ იგდეს. დაგვჭირდებაო, ამბობენ.

ლ ე ნ ი ნ ი — (ჩაფიქრდა) დიახ... დიახ... ეს სწორია... ეს მართლაც რომ მუშებისა და გლეხების აზრია. შემდეგ?.. შემდეგ?..

ლ ი დ ა — ყველანი დავიხოცებით, მაგრამ პიტერს გერმანელებს არ მივცემთ, ჩვენ თვითონ დავიცავთო... მთავრობას თავიდან მოვიშორებთ და ჩვენს თავს ჩვენვე მოვუვლითო... ახლა წითელგვარდიელთა რაზმებს ვადგენთ...

ლ ე ნ ი ნ ი — (მტკიცედ) მართალია!.. მუშათა მოთმინების ფიალა დიდი ხანია აივსო... აჯანყება მომწიფდა. ისტორია არ გვაპატიებს, თუ ჩვენ ახლა ძალაუფლება არ ავიღეთ. სულერთია, ვინ დაიწყებს. პიტერშიც და მოსკოვშიც უნდა ავიღოთ ძალაუფლება.

გ რ ი ა ნ ო ვ ი — იცით რა, ვლადიმირ ილიჩ: სერგომ თქვა, არა უგვიანეს სექტემბერ-ოქტომბრისა ძალაუფლებას ბოლშევიკები აიღებენ და მთავრობის თავმჯდომარე ლენინი იქნებაო!

ლ ე ნ ი ნ ი — (გამოცოცხლდა) ჰო, ეს ასეც იქნება. მართალი უთქვამს. (დაფიქრდა. წამოდგა. სხვებიც წამოდგნენ). ფრონტზე რა ხდება? ჯარისკაცები რას ფიქრობენ?

გ რ ი ა ნ ო ვ ი — ფრონტი არა ნაკლებ ღელავს, ვიდრე პიტერი. ხალხი სანგრებში ჩალპა. აი, დღევანდელი „პრავდაც" ჯარისკაცების წერილებითაა სავსე (გადასცა „პრავდა").

ლ ე ნ ი ნ ი — (გაზეთი შეათვალიერა). სხვათა შორის, გაზეთებს რეგულარულად არ მაწვდიან. გადაეცით, ვისაც ჯერ არს, ახალი მისამართით მაინც წესიერად მიგზავნონ... უკლებლივ ყველა გაზეთი...

გ რ ი ა ნ ო ვ ი — (საათს დახედა). ვლადიმირ ილიჩ! ჩვენს განკარგულებაში წუთებია...

ლ ე ნ ი ნ ი — მოვასწრებთ... (ჩაფიქრდა). ფრონტთან დაკავშირებული ხართ? გარდა იმისა, რომ პიტერის გარნიზონის ძირითადი ნაწილი ჩვენთან იქნება, აჯანყების მომენტისათვის საიმედო პოლკები ფრონტიდანაც უნდა გამოვიწვიოთ. მე ამის თაობაზე უკვე გწერდით.

გ რ ი ა ნ ო ვ ი — ცენტრალურმა კომიტეტმა ეს საქმე მე მომანდო. თქვენგან დავბრუნდები თუ არა — ფრონტზე წავალ.

ლ ი დ ა — მეჩვიდმეტე პოლკთან მჭიდრო კავშირი გვაქვს. იქაურ ჯარისკაცებში ბოლშევიკური განწყობილებაა.

ლ ე ნ ი ნ ი — აი, მეჩვიდმეტე პოლკი... შესანიშნავი პოლკია. ჩინებული ბოლშევიკები არიან იქ. შემთხვევა მქონდა პირადად გავცნობოდი ზოგ მათგანს. (ლიდას) ალექსანდრე ემელიანოვს იცნობთ? აი, ჩვენი ნიკოლოზის უფროს ვაჟს, პოლკის ბოლშევიკური კომიტეტის თავმჯდომარეს...

ლ ი დ ა — (შერცხვა, გაწითლდა). ალექსანდრეს? დიდი ხანია. ჩვენ ხომ ბავშვობის ამხანაგები ვართ და...

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — (კარავიდან თავი გამოჰყო) და, მგონი, გულით მეგობრებიც!..

ლ ი დ ა — (თითქოს გაწყრა). აბა რას ამბობთ, ბიძია ნიკოლოზ!..

ლ ე ნ ი ნ ი — (გაიღიმა). ნუ სწყრებით, ამხანაგო სვეტლოვა. თქვენი ამბავი უფრო ადრეც მსმენია დედათქვენისგან, როცა თქვენსა ვიმალებოდი პიტერში, თორემ, აბა, ნიკოლოზს კაცი ვერაფერს დააცდენინებს. მუნჯია, მუნჯი... ალექსანდრე მარჯვე ვაჟკაცია, კარგი ბოლშევიკი, ასე რომ, საკვირველი აქ არა არის რა.

ლ ი დ ა — ამხანაგო ილიჩ! ჩემთვის ახლა უხერხულია ამაზე ლაპარაკი, თუმცა...

ლ ე ნ ი ნ ი — ... თუმც დიდად სასიამოვნო! (მოეფერა). კარგი, აღარ გაწყენინებთ... ჰოდა, აი ასეთი ადამიანები, როგორიც ალექსანდრეა, ახლა ფრონტზე ათასობით არიან. ჯარისკაცთა მასა მათ ენდობა და კიდეც გაჰყვება. სწორედ მათი პოლკები უნდა შემოვიყვანოთ პიტერში აჯანყების მომენტისათვის.

გ რ ი ა ნ ო ვ ი — ამიტომაც ვაპირებთ ჩრდილოეთის ფრონტზე წასვლას. ამხანაგები ფიქრობენ, რომ პიტერისათვის ამ ფრონტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

ლ ე ნ ი ნ ი — (დაფიქრდა). ეს მართალია. ჩრდილოეთის ფრონტი პიტერის ზურგია, საიმედო ზურგი კი სანახევროდ სწყვეტს აჯანყების ბედს... კარგი იქნება, თუ გადამწყვეტ მომენტში ფრონტზე მუშათა დელეგაციასაც გაგზავნით, აი, მაგალითად, პუტილოველებისგან. ჯარისკაცები მუშებს ენდობიან, დაუჯერებენ და გამოჰყვებიან... საჭიროა ძალთა დიდი უმეტესობის თავმოყრა გადამწყვეტ ადგილას და გადამწყვეტ მომენტში. თუ ასე არ მოვიქეცით, მტერი გაგვანადგურებს, რადგან მას უკეთესი მომზადება და ორგანიზაცია აქვს. ის მოსპობს აჯანყებულებს. მარტო მუშათა რაზმები აქ ვერას გააწყობენ. საიმედო პოლკები და მეზღვაურები იქნებიან საჭირონი.

ლ ი დ ა — იარაღი არ გვყოფნის, ამხანაგო ილიჩ, იარაღი. ჩვენთან ხუთ წითელგვარდიელზე ერთი შაშხანა მოდის...

ლ ე ნ ი ნ ი — შაშხანები იქნება, ოღონდ ხალხი იყოს. მთავარი ის არის, რომ ხალხი მხარს გვიჭერდეს. ხალხი კი ჩვენთანაა... (ჩაფიქრდა). ყოველდღე ვუახლოვდებით აჯანყების მომენტს. ხალხი მზად უნდა გვყავდეს. მაგრამ აქაც არქისიფრთხილე გვმართებს... აჯანყება ხელოვნებაა, მასთან თამაში არ შეიძლება.

გ რ ი ა ნ ო ვ ი — ცენტრალური კომიტეტი, ვლადიმირ ილიჩ, ყველაფერს აკეთებს თქვენი მითითებების შესასრულებლად.

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — (კარავიდან გამოვიდა). შეგვიძლია წავიდეთ, ვლადიმირ ილიჩ! (თვითონ ნავისკენ გაემართა).

ლ ე ნ ი ნ ი — (გრიანოვს) მარშრუტი? თქვენი ვარიანტი?

გ რ ი ა ნ ო ვ ი — სადგურ ლევაშოვომდე ფეხით მივალთ, შემდეგ უდელნაიამდე — მატარებლით, იქ კი ორთქლმავალი მზად არის. ფინეთში გახვალთ როგორც ორთქლმავლის ცეცხლფარეში.

ლ ე ნ ი ნ ი — (დაფიქრდა) მემანქანე ვინ არის? ჩვენიანია?

გ რ ი ა ნ ო ვ ი — დიახ, ბოლშევიკია... ხუგო იალავა.

ლ ე ნ ი ნ ი — ვიცნობ. სწორი არჩევანია.

გ რ ი ა ნ ო ვ ი — ხელბარგს ამხანაგი სვეტლოვა წაიღებს პიტერში.

ლ ე ნ ი ნ ი — ხელბარგს? (რაღაც გადაწყვიტა). ახლავე, ახლავე... (კარავში შევიდა, რვეულები და რამდენიმე წიგნი გამოიტანა) აი, მთელი ჩემი ხელბარგი. თავისუფალ დროს სახელმწიფოსა და რევოლუციის საკითხებზე ვმუშაობდი. ახლა ეს უაღრესად აქტუალურია. მარქსიზმი ამ საკითხშიც შერყვნეს ათასი ჯურის ოპორტუნისტებმა და არქარამზადებმა. ჩვენ, ბოლშევიკებს, არ შეგვიძლია გულგრილად ვუცქეროდეთ ყოველივე ამას. (სახე გაუბრწყინდა). მალე, როცა ქვეყნის საჭეს ხელში ავიღებთ, პრაქტიკულად მოგვიხდება სახელმწიფოს საკითხების გადაჭრა. ყოველი საათი ამ სანატრელ ჟამთან გვაახლოებს. (ლიდას) აჰა, ამხანაგო სვეტლოვა. ამ რვეულებისათვის თქვენ აგებთ პასუხს პარტიის წინაშე. ნადეჟდა კონსტანტინოვნას გადაეცით!

ლ ი დ ა — (გამოართვა). დარწმუნებული იყავით, თვალის ჩინივით გავუფრთხილდები!

ლ ე ნ ი ნ ი — (ჩაიჩოქა. ბარათი დაწერა. ლიდას გადასცა). ამ ბარათს კიდევ სვერდლოვს გადასცემთ. სასწრაფოა. დადგა დრო, როცა აჯანყებისათვის მზადება ფართოდ უნდა გავაჩაღოთ.

ლ ი დ ა — ჩვენ მზადა ვართ, ამხანაგო ილიჩ! პუტილოველები ყველაფერს გააკეთებენ თქვენი დავალების შესასრულებლად.

ლ ე ნ ი ნ ი — (ხელი ჩამოართვა). სრული იმედი მაქვს. (გზას გაჰხედა). ფრთხილად იარეთ, გაბედულად იმოქმედეთ... დედათქვენი მომიკითხეთ.

ლ ი დ ა — გმადლობთ, ამხანაგო ილიჩ. ნახვამდის. (წასვლა დააპირა. ემელიანოვი მოვიდა).

ლ ე ნ ი ნ ი — (უცბად მოაგონდა თითქოს). დაიცათ! ფრონტზე წასვლა მოგიხდებათ, ალბათ, დელეგაციაში. ალექსანდრეს გადაეცით ჩემი სალამი.

ლ ი დ ა — (გახარებული) გადავცემ, ვლადიმირ ილიჩ, ყველაფერს ვუამბობ!

ლ ე ნ ი ნ ი — უთხარით, რომ მე იგი მახსოვს. ისიც უთხარით, რომ მამამისი (ემელიანოვზე) ყოჩაღად არის და პიტერში ელოდება მის თანაპოლკელ ამხანაგებთან ერთად. ხომ ეგრეა, ნიკოლოზ?

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — ეგრეა, ვლადიმირ ილიჩ, ეგრე. აი, თქვენ გაგისტუმრებთ თუ არა, მეც პიტერში გადავბარგდები! ჩვენი ბიჭები კი ყოველთვის ჩვენთან იქნებიან! (სერიოჟას გასძახა) სერიოჟა, ნავი მოამზადე! უნდა წავიდეთ. (ლენინს) ლიდას სერიოჟა ნავით გადაიყვანს, ჩვენ კი სხვა გზით წავალთ.

ს ე რ ი ო ჟ ა — (მოვიდა) მზად არის, მამი! (ლენინს) ძია კოსტია, მიდიხართ? პირობა ხომ არ დაგავიწყდებათ?

ლ ე ნ ი ნ ი — (მხიარულად). არა, ჩემო მებადურო, არ დამავიწყდება. ჩვენი სიტყვა გაუტეხელია. შეგისრულებ.

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — (სერიოჟას). ფრთხილად გადასცურე. დედაშენი გაღმა გელოდებათ.

ს ე რ ი ო ჟ ა — ჯავრი ნუ გაქვს, მამი. პირველი ხომ არაა! (ლიდას). წამოდით, ლიდა! (ლიდა და სერიოჟა წავიდნენ).

ლ ე ნ ი ნ ი — ყოჩაღი ბიჭუნაა! აი, ამათთვის გათენდება ბედნიერი დღე!.. (ლენინი კარავში შევიდა. ლიდა და სერიოჟა ნავში ჩასხდნენ. ჩანს, როგორ შორდება ნავი ნაპირს. ემელიანოვი და გრიანოვი იქ ყოფნის ნაკვალევს სპობენ. ლენინი კარავიდან გამოვიდა, თავისი პალტო, ქუდი და რამდენიმე ცალი კიტრი გამოიტანა). აი, კიტრებიც გვქონია, იქნებ, გზაში გამოგვადგეს (მიაწოდა გრიანოვს და ემელიანოვს, ერთიც თვითონ ჩაიდო პალტოს ჯიბეში). მე მზად ვარ, წავიდეთ!

გ რ ი ა ნ ო ვ ი — წავიდეთ, ვლადიმირ ილიჩ! (მიდიან: წინ — ემელიანოვი, შუაში — ლენინი, ბოლოს — გრიანოვი).

ფ ა რ დ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

1917 წ შუა ოქტომბერი. ჩრდილოეთის ფრონტი. პოზიციებს მოფარებული მყუდრო ალაგი. შემოდიან გრიანოვი და ალექსანდრე ემელიანოვი.

გრიანოვი — აქ დაუცადე, ალიოშა. საცაა მოვლენ.

ალექსანდრე — მალე დაბრუნდები? მეთვრამეტე პოლკი, ყოველ შემთხვევაში, მზად უნდა ვიყოლიოთ. მდგომარეობა ერთობ დაძაბულია. პოლკის პიტერში წასვლაზე ოფიცრებს ლაპარაკიც არა სურთ.

გრიანოვი — (იმედიანად). ეგ არაფერი, ჩემო კარგო. გზას გავიგნებთ. უოფიცრებოდაც იოლად წავალთ. პოლკს შევამზადებთ თუ არა, მაშინვე აქეთკენ გამოვსწევ. თქვენ დაიწყეთ, ნუ დამელოდებით. შემდეგ მიტინგის დროც აღარ გვექნება. საღამოს უნდა დავიძრათ.

ალექსანდრე — მიშა, მაშ მოახლოვდა გადამწყვეტი ჟამი?!

გრიანოვი — მოახლოვდა, ძმაო ,მოახლოვდა. ყველაფერი ისე მიდის, როგორც ამხანაგი ლენინი გვეუბნებოდა. მისი დავალება ხომ გახსოვს: აჯანყების მომენტისათვის პიტერში რამდენიმე რევოლუციური პოლკი უნდა შემოვიყვანოთო. აი, ჩვენც მივდივართ. პიტერელ მუშებთან ერთად. ეს პოლკები—რევოლუციის ურყევი კედელი იქნება. მაშ ასე, ხვალ პიტერში ვიქნებით!

ალექსანდრე — ისინიც მაგისთვის მოდიან?

გრიანოვი — ჰო, პუტილოველთა დელეგაციაა. ლენინმა დაავალა: ჯარისკაცებს პიტერისაკენ მოუწოდეთ და გამოუძეხითო.

ალექსანდრე — ჩვენი ბიჭებიც მზად არიან. თითქოს ვეფხიაო, მოსასხლეტად გამზადებული, ისე შემდგარა მთელი პოლკი ყალხზე. ერთი დაკვესება და — ისეთი ცეცხლი ავაგიზგიზოთ, რომ მისი ალი მამაზეციერსაც ხრუკავდეს (გაიცინა). ჰო, მართლა, ვინ მოდის? მე ვიცნობ?

გრიანოვი — ჩვენები არიან. იქნებ საგანგებოდაც გესიამოვნოს — ლიდაც არის.

ალექსანდრე — (გაეხარდა, ოდნავ შეწითლდა). ხომ არ მეხუმრები, მიშა?

გრიანოვი — აი, თავათ ნახავ... აბა, მარჯვედ იყავით! (წასვლა დააპირა, როცა შემოვიდა ჯარისკაცი ინასარი).

ინასარი — შენ დაგეძებ, ალიოშა, სასწრაფო ცნობა მაქვს.

ალექსანდრე — რა ამბავია, შალვა? კიდევ ხომ არავის აბურთავებენ ბიჭები?

ინასარი — არა! ახლა ოფიცრებს შიშის ეშმაკები შეუჯდათ. აბუზულ წიწილებივით დასდევენ პოლკოვნიკს.

გრიანოვი — მაშ რა მოხდა? სთქვი!

ინასარი — ტელეგრაფისტი ბიჩენკო შემხვდა, მითხრა: პოლკოვნიკმა დაყნოსა, რომ პოლკი პიტერში წასვლას აპირებს და შტაბს აცნობაო. გამაფრთხილა: ამ საქმეზე, აგრეთვე კაპიტან ბაკლანოვის ცემის გარემოებათა გამოსაძიებლად დროებითი მთავრობის რწმუნებული მოდისო დღეს.

ალექსანდრე — მოდის და მოვიდეს. იმასაც შევუნთებთ.

გრიანოვი — (ჩაფიქრდა). არა, ალიოშა, იგი აქ ხელცარიელი არ მოვა. ზამთარს სუსხიც მოსდევს... კაზაკებს მოიყვანს, ალბათ.

ალექსანდრე — შენ მართალი ხარ. აბა აქ ვისი იმედი უნდა ჰქონდეს?!

გრიანოვი — ავჩქარდეთ. პროვოკაციას ნუ ავყვებით. სისხლისღვრას ვერიდოთ. მე ახლავე შევამზადებ ეშელონს. რკინიგზელები ჩვენთან არიან. აქ კიდევ შენ დაუჩქარე. თუ რამე გართულება იქნეს, მაცნობე!

ალექსანდრე — კარგი, შაგოვს გამოვგზავნი. საღამომდე მიტინგსაც ჩავატარებთ და პოლკსაც მოვამზადებთ. მეთაური დაგვჭირდება. ხომ იცი, გუმანი ვისზე გვაქვს?

გრიანოვი — ვიცი, ბერზინს შეიძლება ენდოთ, პატიოსანი ოფიცერია. ოღონდ ფხიზელი კონტროლი გაუწიეთ. ახლავე მოელაპარაკეთ. აბა, მე წაველი. (გადის).

ალექსანდრე — (ინასარს) შალვა, ერთი იმ გორაკს გადახედე, შაგოვი ხომ არ მოდის. (ინასარი გადის. ემელიანოვი ჩაჯდა. ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა. შემდეგ თავისთვის). არა, დიდი გველაძუა ვინმე კია ეს ჩვენი პოლკოვნიკი. როგორ გაიგო, რომ პიტერში მივდივართ? აქ უთუოდ ვოლსკის ხელი ურევია... (ჩაფიქრდა). ორივეს კისერს მოვუგრეხთ!..

ჰმ! ახლა კი დღესავით ნათელია ჩემთვის, რატომ დაგვავალა ამხანაგმა ლენინმა, რომ პიტერში წასასვლელად მოვმზადებულიყავით. (ამაყად). ჯარისკაცი ემელიანოვი და მისი ამხანაგები არასოდეს არ უმტყუნებენ ლენინს...

ილიჩი!.. რა საყვარელი ადამიანია! უდიდესი პარტიული საქმეებით დატვირთულს, კერენსკის ჯალათებისგან დევნილს და სადღაც ქოხში თავშეფარებულს, მას იქაც არ ავიწყება უბრალო ჯარისკაცები, ფრონტზე სანგრებში რომ ჩამპალან. სალამიც კი შემოგვითვალა. (აღტაცებით). ოჰ! ნეტავი შევძლო და მისი ეს გულთბილი სალამი ჯარისკაცთა ხიშტებზე

აფრიალებულ გამარჯვების წითელ დროშებად დავუბრუნო ამ ძვირფას ადამიანს, როგორც ღარიბთა მილიონების სამადლობელი... ნეტავი შევძლო!.. (ჩაფიქრდა. წამოდგა. მტკიცედ). არა, შევძლებთ!.. უთუოდ შევძლებთ! ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ჯარისკაცის შინელში გამოწყობილ მუშათა და გლეხთა პოლკებს, რომლებსაც პარტია პიტერისაკენ მოუწოდებს!..

ხვალ პიტერში ვიქნები... იქ ჩვენები არიან... მამა, სერიოჟა (პაუზა)... დედა, საყვარელი დედიკო! რახანია არ მინახავს... (ჩაფიქრდა). ლიდა... ნუთუ ის მართლა მოვა?.. ეჰ, კარგი იყო მის გვერდით ყოფნა, მასთან ერთად სუნთქვა. პიტერის უკუნეთს მისი ცქრიალა სახე მინათებდა, ის ანიჭებდა მაცოცხლებელ სითბოს ცხოვრების ყინვისგან გათოშილ ჩემს სულს, დაწყლულებულ გულს მისალბუნებდა... როგორ დაგვაშორეს ერთურთს... და რა მძიმედ მიიზლაზნება ეს დრო, რა მძიმედ! მთელი წელიწადი... თითქოს მთელი საუკუნეაო... თუმცა, არც ამ დროს ჩაუვლია ტყუილუბრალოდ, ბევრი რამ შემძინა ფრონტმა. აქ, სანგრებში, გავუსწორე თვალი ცხოვრების სიმართლეს, აქ ვიხილე ჩაგრულთა ნამდვილი მზე... მართალი მითხრა მამაჩემმა: ფრონტზე უბრალო ჯარისკაცი მიდიხარ, იქიდან კი ბოლშევიკი დაბრუნდებიო. დავბრუნდები, ოღონდაც რომ დავბრუნდები!.. ჩემს პიტერში... დედასთან... ჩემს ძმებთან... ლენინთან... (ინასარი ბრუნდება).

ი ნ ა ს ა რ ი — მოდიან, ალიოშა, გორაკი უკვე ამოიარეს...

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — წადი, ჩვენი ბიჭები გააფრთხილე. პოლკოვნიკზე თვალი გეჭიროს. ხომ იცი, ვოლსკი მელიასავით დაძვრება მასთან.

ი ნ ა ს ა რ ი — ვოლსკისა მე ვიცი, იმ წოწოლა კისერს ისე დავუზელ, მგელივით გაუშეშდეს!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. შეამოწმეთ, საეჭვო არავინ იყოს. ბაკლანოვის ძაღლები ახლა მომრავლებული არიან. თვითონ ისიც, ბაკლანოვი, ლიდას რომ დაინახავს, ძველი ვნებები აეშლება, როცა პიტერში ამაოდ ეფიცებოდა მას სიყვარულს.

ი ნ ა ს ა რ ი — ჰო, მესმის, უარყოფილი სიყვარული მძიმე მოსაგონარია. მაგრამ ჯავრი ნუ გექნება!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — აბა, შენ იცი, შალვა, შენი იმედი მაქვს. ჩვენი ძმობა მარტო თანაფრონტელთა ძმობა როდია, ჩემო შალვა. იგი რუსთა და ქართველთა მიერ დაღვრილი საერთო სისხლითაა ჩაკირული ჩვენს გულში.

ი ნ ა ს ა რ ი — ქართველი ვაჟკაცის სიტყვა და საქმე მუდამ ერთია, ძმაო. მენდე, როგორც საკუთარ თავს. (ხელი ჩამოართვა)... არხეინად იყავი. ყველაფერს მოვაგვარებთ... მეთვრამეტე პოლკში მივდივარ, იცოდე. (ინასარი გადის. ალექსანდრე მიდამოს ათვალიერებს. შემოდიან შაგოვი, გოლენკო, მოწყალების ფორმაში გამოწყობილი ლიდა სვეტლოვა).

შ ა გ ო ვ ი — (დელეგატებს) აი, ამხანაგი ემელიანოვიც...

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — (აღტაცებით) ბიძია ანტონ! (გადაეხვია). ლიდა! (ხელი ჩამოართვა).

შ ა გ ო ვ ი — ოჰო, თქვენ ძველი ნაცნობებიც ყოფილხართ!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — მერე და როგორი! ჩვენები არიან, პუტილოველები. (მოსულთ) ჩამოჯექით, შეისვენეთ! (ჩამოსხდებიან).

გ ო ლ ე ნ კ ო — შენზე ბევრი კარგი გავიგე, ბიჭო! ყოჩაღ, გივარგია, შვილო! პუტილოველის სხეულში სისხლიც პუტილოველისა გქონია... აფერუმ შენს ბიჭობას, აქაც რომ გვასახელე!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — მე რა, ძია ანტონ, შენ ჩვენი ბიჭები უნდა ნახო. ხმლებივით არიან ალესილნი, თითქოს ჩახმახი შეუყენებიათო (წამოდგა. ლიდასთან მივიდა). გამოცვლილხარ, ლიდა, ქუშად გამოიყურები. განა რა მოგსვლია ისეთი?

ლ ი დ ა — არც რა, ალიოშა. გზამ მომქანცა. ეს რამდენიმე დღეა საქმეც თავსაყრელი გაგვიჩნდა. ხომ იცი, რა დროა...

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ვიცი, ვიცი... მაგრამ ეს რა ჩაგიცვამს? (მოწყალების დის ფორმაზე მიუთითა) ჰოსპიტალში ხომ არ დაიწყე მუშაობა?

ლ ი დ ა — ეს? ჰო, ეს აქ წამოსვლისას ჩავიცვი. ჩვენებმა მირჩიეს — სჯობს მოწყალების დის ფორმით წახვიდეო ფრონტზე... (უცბად მოსჭრა). შენთან საუბარი მწყურია, ალიოშა, მაგრამ დრო არ ითმენს. სამერმისოდ იყოს. ახლა კი წავიდეთ. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებას ხომ იცნობთ?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — გრიანოვმა ყველაფერი გადმომცა. ჩვენ მზადა ვართ. აი, უკანასკნელად თქვენთან ერთად შევუნთებთ და სალამოსვე გავსწევთ. (შაგოვს). აბა, ფედია, ძია ანტონს შენ შეიყვან სანგრებში, ლიდას კი მე გამოვუძღვები. სიფრთხილისათვის ეგრე სჯობს. ხომ იცი! (თვალი ჩაუკრა).

შ ა გ ო ვ ი — (გაუღიმა) ჰაი-ჰაი, რომ ვიცი. (გოლენკოს) წავიდეთ, ბიძავ! (ემელიანოვს) მესამე ასეულში ვიქნებით. (ორივე გადის).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ლიდა!.. თავი სიზმარში მგონია... (მოეხვევა).

ლ ი დ ა — მეც, მეც... ჩემო ალიოშა! ლამის არის სიხარულით ავტირდე, ცხადლივ რომ გხედავ... რა ბედნიერი ვარ, დელეგაციაში რომ მოვხვდი... ამასაც ამხანაგ ლენინს უნდა ვუმადლოდე, მან სთხოვა. სმოლნში კი შიშობდნენ: ვაი თუ რამე შეემთხვესო.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — რაკი აქამდე მშვიდობით მოაღწიე, დარდი ნუღარ გაქვს... ლიდა!.. ნუთუ მართლა შენა ხარ, ჰა! (შეატრიალა, თვალი შეავლო ალერსით).

ლ ი დ ა — მე ვარ, შენი ლიდა, ჩემო კარგო! რარიგ ვნატრობდი, შორით მაინც მომეკრა თვალი შენთვის, თუნდაც ერთხელ გამეგონა შენი ხმა. მოვესწარ!..

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ეჰ, რამდენი დღე, რამდენი თეთრი ღამე გავატარე შენზე ტკბილ ოცნებაში... აწ კი, მგონი, გათავდეს ეს ტანჯვა. იქ ერთად ვიქნებით, ერთად...

ლ ი დ ა — ჰო, ერთად ვიქნებით, ჩემო ყველავ! (მოეხვია, აკოცა. გამოერკვა. მკაცრად). კმარა, ალიოშა. ახლა ამის დრო არ არის... მოვესწრებით. გრძნობებს დღეს ყველაზე ნაკლებად უნდა ავყვეთ. ხომ ხედავ. რევოლუცია კარზეა მომდგარი!..

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — არა, ჩემო სინათლევ, არც მთლად ისეა საქმე, შენ რომ ფიქრობ. რევოლუცია მე იმიტომ მიყვარს, რომ ადამიანები მიყვარს, შენ მიყვარხარ. ჩვენი რევოლუცია ხომ ადამიანური სიყვარულის უმაღლესი განსახიერებაა... როგორ მიხარია, ლიდა, ამ ბრძოლის აკვანში ჩვენი სიყვარულიც რომ იზრდება... (შედგა. ხელი ჩაიქნია). მაგრამ კარგი, იყოს ნება შენი!.. (კილო შეიცვალა). ეს მითხარი: ლენინი პიტერშია? ნახე?

ლ ი დ ა — რაზლივში ვნახე, გრიანოვს ვახლდი. აკი შემოგითვალე კიდეც! ახლა კი ილიჩი უკვე პიტერშია, ისევ ჩვენსას დაბინავდა. მაგრამ დედაჩემი ახლოს არავის გვაკარებს. მე ნინასთან გადავბარგდი, ვასია კიდევ — სოკოლოვთან. წამოსვლის წინ ვნახე ჩვენსას ილიჩი. დაგვარიგა... ბევრი რამ მინდა გიამბო, ალიოშა, მის შესახებ, მაგრამ შემდეგისთვის გადავდოთ, დიდი დრო უნდა ამას.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ჩვენები როგორ არიან?

ლ ი დ ა — პიტერში დაბრუნდნენ. ბიძია ნიკოლოზი საიარაღო საამქროში მოეწყო ჩვენთან. დედაშენი თბილებს მატანდა — არ წამოვიღე. არ იცის, რომ სულ მალე იქ იქნები. სერიოჟა კარგად არის, ოღონდ სკოლაში არ დადის, მუშაობა უნდა დაიწყოო. იმასაც ჩვენთან უნდა — ქარხანაში. მაგრამ ჩვენი ქარხანა ახლა სანახევროდ უქმად დგას.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — რატომ, თქვენ ხომ საომარ მასალებს ამზადებთ?

ლ ი დ ა — აღარ გვენდობიან. პიტერში ახლა ბევრი ქარხანა დგას უქმად, ბევრიც დაშალეს. იქ ხალხი შიმშილით წყდება, აქ — ყუმბარებით... (დაფიქრდა). მგონი ზედმეტად გავერთეთ... წავიდეთ! (წასვლა დააპირეს. წინ შემოეფეთათ ყბაახვეული კაპიტანი ბაკლანოვი და ექიმი ვაინბერგი).

ბ ა კ ლ ა ნ ო ვ ი — (ლიდა დაინახა) ამას ვის ვხედავ! ლიდა, თქვენ აქ რა გინდათ, საიდან?

ლ ი დ ა — საიდანაც თქვენ არ გველოდით. ჩრდილოეთის ფრონტის სტუმრები ვართ.

ბ ა კ ლ ა ნ ო ვ ი — ვისი ფრონტისა? (ალექსანდრეზე აჩვენა). ამათი? ვერაფერი შვილი მასპინძლები გყოლებათ! (ლიდამ ზურგი შეაქცია).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — მაგას მალე ვნახავთ, კაპიტანო! (ორაზროვნად) გახსოვდეთ, წარსული სამუდამოდ მოკვდა...

ბ ა კ ლ ა ნ ო ვ ი — (გაკვირვებული) ოჰო! ეს რა ამბავია? (მედიდურად). ჯარისკაცო ემელიანოვ! აქ ფრონტია, თუ ბულვარი?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ერთიც და მეორეც, ბატონო კაპიტანო! ჩვენთვის ფრონტია და სასაკლაო, თქვენთვის კი — ბულვარი. (ლიდას) წავიდეთ...

ბ ა კ ლ ა ნ ო ვ ი — (ბრაზით) ემელიანოვ! სმენა! იცი თუ არა, ვის ელაპარაკები?

ვ ა ი ნ ბ ე რ გ ი — ოჰო, ერთი ამას დამიხედეთ! ფაქტია, რომ კაპიტანი ელაპარაკება, ეს კი, თითქოს აქ არაფერიაო, ყურსაც არ იბერტყავს. ფაქტია! შენ გეუბნებიან... (დაიღრიალა) სმენა-ა!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — (დაცინვით) ხმა არ წაგიხდეთ, ბატონო ექიმო! ცივა, თავს გაუფრთხილდით. ესეც არ იყოს, ხომ ხედავთ? (ბაკლანოვის ყბაზე აჩვენა). ჯარისკაცები ცოტა უხეში ხალხი ვართ.

ლ ი დ ა — წამოდი, ალიოშა, რა საჭიროა... (ორივე სწრაფად გადის. გაცეცხლებულმა ბაკლანოვმა რევოლვერზე ხელი გაიკრა, მაგრამ ვაინბერგმა შეაჩერა).

ვ ა ი ნ ბ ე რ გ ი — სემიონ პავლოვიჩ! ღვთის გულისათვის!.. თქვენ არ გეკადრებათ... გამოიჩინეთ ნაპოლეონის სულგრძელობა. (ბაკლანოვმა რევოლვერს ხელი გაუშვა). ესეც არ იყოს, ჰოსპიტალში ადგილიც არა მაქვს... ფაქტია!

ბ ა კ ლ ა ნ ო ვ ი — (ხელი მოიფშვნიტა). როგორც გინდათ სთქვით, და გემრიელი ლუკმაა. ისიც კმარა, რომ პიტერში ხელიდან გამისხლტა. დახე, ფრონტზე ყოფილა! ახლა კი მე მაგას მოვუვლი. ლიდა... ჰმ! მაშ კაპიტანი ბაკლანოვი მოკვდეს, თუ არ განანოს! მაგ მტრედსაც დავიჭერთ, ხომ, ექიმო? (ულვაშებზე ხელი გადაისვა).

ვ ა ი ნ ბ ე რ გ ი — რასაკვირველია, სემიონ პავლოვიჩ!.. ფაქტია!.. თუმცა, იცით რა? (ყურში უჩურჩულა. ბაკლანოვმა მხიარულად გაიცინა). ამაღამ, დიახ ამაღამ. ფაქტია! ხომ ასე სჯობს?

ბ ა კ ლ ა ნ ო ვ ი — სჯობს და — მერე როგორ!.. (ორივე ხარხარით გადის).

ფ ა რ დ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეორე მოქმედება

### პირველი სურათი

პოლკოვნიკ სინეგუბის ოთახი ფრონტზე. სინეგუბი და რამდენიმე ოფიცერი მაგიდას უსხედან და ბანქოს თამაშობენ. ფანჯარასთან დგანან და ხმადაბლა საუბრობენ ელენე სინეგუბისა და პრაპორშჩიკი ბერზინი.

ვოლსკი — მგონი მოვჭერი. მე თქვენ გეტყვით, ცხრამეტი, ბატონო პოლკოვნიკ!

კამინსკი — (ვოლსკის) აბა, გაშალე!

სინეგუბი — რა საჭიროა, მაგისთვის ცხრამეტიც კმარა. ვერაფერი შვილი მოჭრა გცოდნიათ, პორუჩიკ. აქ ოცია!.. (საერთო სიცილი. სინეგუბმა ფული მიიხვეტა და კარტი გდინოვს გადასცა).

ვოლსკი — ეშმაკმა დალახვროს, მე თქვენ გეტყვით, პოლკოვნიკთან ბედი არ მწყალობს.

სინეგუბი — ბედი, ყმაწვილო, შენ კი არა, კერენსკისაც არ წყალობს, ჯარასავით ატრიალებს.

გდინოვი — (კარტი ჩამოარიგა). აი, ეს კი მართალია. საკუთარი თვალით ვნახე, რა დაბნეულობაცაა პეტროგრადში... ბანკში ხუთი ათასი მანეთია... მთავრობა ნერვიულობს, ქალაქში რაღაც მზადდება, ათასი ხმა და ეჭვი ჭიასავით დაძვრება. (კამინსკის). აბა, რას მეტყვით, პორუჩიკ?

კამინსკი — ამჯერად კერენსკის სახელზე მივდივარ. ნახევარი ბანკი, ბატონო კაპიტანო.

გდინოვი — (კარტი მიაწოდა) აილეთ!.. ბატონებო, ამას წინათ კერენსკი ფრონტზე ყოფილა, და იცით, როგორ უმგზავრია?

ყველანი — როგორ? როგორ?

ვოლსკი — ალბათ ისე, როგორც რუსეთის დიდებულ მთავარსარდალს შეჰფერის.

გდინოვი — (ირონიულად) დიახ, სწორედ ისე... სპეციალური მატარებელი... ვაგონი-კაბინეტი — ცალკე, საწოლი ვაგონი — ცალკე, ვაგონი-კანცელარია — ცალკე, ვაგონი-სამზარეულო — ცალკე (ოფიცრები იღიმებიან). ყველაფერი კრიალებს, მინები ბრწყინავს. კერენსკიც გამარჯვებულის მედიდურობით ათვალიერებს გზას, სადგურებს...

ვოლსკი — მე თქვენ გეტყვით, მართლაც რომ ღირსეული მეთაური და მთავარსარდალი ჰყავს რუსეთს. მერე, მერე? განაგრძე!

გდინოვი — მერე და, როცა ფრონტს მიატანა, ვაგონებში ქარი ქროდა, იატაკი ქვებითა და რკინის ნამტვრევებით იყო სავსე... გზაზე ჯარისკაცებმა ყველა ფანჯარა ჩაულეწეს (საერთო ხარხარი).

ვოლსკი — (გაანჩხლებული). ეს წარმოუდგენელია!.. ჭორია, ჭორი!..

კამინსკი — (კარტი გასინჯა) ოჰო, მომიგია, გეთაყვა. ოცდაერთი!

გდინოვი — ღმერთმა დასწყევლოს კერენსკი. მასლაათმა შემიქცია და შენ სულ გადამავიწყდი. რა გაეწყობა, აილე! (თამაში გრძელდება).

ელენე — (სიცილით) ჰა, ჰა, ჰა! მაშ, თქვენ გგონიათ, ეს ხუმრობა იყო, ბატონო პრაპორშჩიკო?

ბერზინი — რასაკვირველია, ელენე სტეპანოვნა, რასაკვირველია. იმასთან შედარებით, რომ მოსალოდნელია, ბაკლანოვის შემთხვევა უბრალო ხუმრობაა. ან კი, რა საჭირო იყო ასეთი მკაცრი დასმენის გაგზავნა.

ელენე — ეგ იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ტუტუცებმა ჭკუა ისწავლონ. სად გაგონილა, რომ ჯარისკაცებმა ოფიცერს სცემონ?

ბერზინი — ასეთ დროში ყველაფერი მოსალოდნელია, ქალბატონო. ჯარისკაცებიც ადამიანები არიან. იმათაც ადამიანურად უნდა მოვეპყრათ. ბაკლანოვი კი...

ელენე — ოჰო, თქვენ მეტისმეტად კაცთმოყვარე ყოფილხართ, პრაპორშჩიკ... თუმცა, არ გაგემტყუნებათ, სანგრებში პირდაპირ უნივერსიტეტის სკამიდან გადმოჯექით. (შემოვიდა პაშა).

პაშა — ქალბატონო, გრაფინია პანინა გეახლათ.

ელენე — ახლავე, ახლავე. (ბერზინს) ჯერჯერობით. პეტროგრადში შევხვდებით, ალბათ.

ბერზინი — როგორ, უკვე მიბრძანდებით პეტროგრადში?

ელენე — დიახ. ბორის ვლადიმიროვიჩის ახალი დანიშვნა ხომ გაიგეთ?

ბერზინი — როგორ არა, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ.

ელენე — გმადლობთ, გმადლობთ. ნახვამდის. (გადის).

ბერზინი — (მოთამაშეებს მიუახლოვდა. სინეგუბს მიმართა) პოლკოვნიკ, შეიძლება დაგტოვოთ?

სინეგუბი — სად მიგეჩქარებათ, ყმაწვილო. ასეთ კამპანიას კაცი მიატოვებს?! დაიცადეთ. თქვენთან საქმეც მაქვს.

ბერზინი — კეთილი, პოლკოვნიკ, დაგელოდებით (თამაშს თვალყურს ადევნებს).

ვოლსკი — მე თქვენ გეტყვით და, ახლა კი სამაგიერო უნდა გიზღოთ, ბატონო პოლკოვნიკ!

(კარტი მიაწოდა. შემდეგ გდინოვს მიმართა). კი მაგრამ, პეტროგრადში მხოლოდ იმისთვის გაგგზავნეს, რომ კერენსკის მატარებლის ამბავი ჩაგვეტანა?

გ დ ი ნ ო ვ ი — რატომ! ზოგი რამ სხვაც ჩამოვიტანე. რაც საჭირო იყო, უკვე მოვახსენე პოლკოვნიკს. დანარჩენს გაგიზიარებთ.

ვ ო ლ ს კ ი — აბა, აბა გისმენთ. (თამაში ნელდება).

გ დ ი ნ ო ვ ი — ისეთი, განსაკუთრებით საინტერესო, არაფერია. ჰაერში აჯანყების სუნი ტრიალებს. ამბობენ, ლენინი ქალაქშიაო. ბოლშევიკები ყველგან დაძვრებიან, მიტინგებს მართავენ და ხალხს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებენ. თუმცა, მათგან აქაც ვერ მოგვისვენია.

კ ა მ ი ნ ს კ ი — მერე და — რას აკეთებს კერენსკი? რატომ არაა დაპატიმრებული ლენინი? ვინ აავსო ფრონტი და პეტროგრადი ბოლშევიკებით?!

გ დ ი ნ ო ვ ი — (დაცინვით). კერენსკი!.. რას ამოგიჩემებიათ ეს კერენსკი! კერენსკი სამხედრო ფორმაში გადაცმული დედაკაცია მხოლოდ. ფრონტზე სიკვდილით დასჯა შემოიღო, სასიკვდილო განაჩენზე კი ხელი ვერ მოუწერია.

ბ ე რ ზ ი ნ ი — სიკვდილით დასჯის შემოღება ხომ უკან დახევაა. სულერთია, რუსეთის არმიას ვერც ეს უშველის.

ს ი ნ ე გ უ ბ ი — დისციპლინა, ჩემო კარგო, სამხედრო საქმის სული და გულია. ფრონტზე კი დისციპლინის ნასახიც გაქრა. განა ოდესმე გაბედავდნენ ჯარისკაცები სანგრების თვითნებურად მიტოვებას, ან ოფიცრის ცემას? კერენსკი! ჰმ! საბრალო ვექილი არმიის მეთაურად... თუმცა, იცით რა გითხრათ? კერენსკი ჯერჯერობით საჭიროა ჩვენთვის.

ბ ე რ ზ ი ნ ი — არა მგონია. კერენსკიმ თავისი დრო მოსჭამა.

ს ი ნ ე გ უ ბ ი — ნაჩქარევი დასკვნაა, ყმაწვილო. დამფუძნებელ კრებამდე თუ მიაღწევს, ისევ კერენსკი... (ხაზგასმით) მერე კი — მერე ჩვენ ვიცით.

ბ ე რ ზ ი ნ ი — და განა დამფუძნებელი კრებისგან მოელით რაიმე საიმედოს? სცდებით. ფრონტს — მე მხედველობაში მყავს ჯარისკაცთა მასა — ახლა ყველაზე მეტად ზავი სწყურია და არა დამფუძნებელი რახარუხი.

გ დ ი ნ ო ვ ი — ოჰო, ჩანს, პრაპორშჩიკსაც დასტყობია ფრონტზე გრიანოვის ჩამოსვლა.

კ ა მ ი ნ ს კ ი — ოღონდაც, ოღონდაც რომ დასტყობია... ოხ, ეს გრიანოვი! სიცოცხლე გაგვიმწარა. თუ ამ გველს თავი არ გავუჭეჭყეთ, ჩვენ ყველას ამოგვხოცავენ ჯარისკაცები...

გ დ ი ნ ო ვ ი — გრიანოვის მსგავსი არამზადებისთვის ტყვიაც კი ძნელი გასამეტებელია. გასანთლული თოკია მაგათი მალამო (შემოდიან ბაკლანოვი და ვაინბერგი).

ბ ა კ ლ ა ნ ო ვ ი — (ყური მოჰკრა გდინოვის სიტყვებს). გრიანოვს არც ემელიანოვი ჩამორჩება. ისიც ისეთივე გველის წიწილაა. მე მაგათ როზგით ამოვხდიდი სულს.

ვ ა ი ნ ბ ე რ გ ი — დიახ, დიახ, ფაქტია!

ს ი ნ ე გ უ ბ ი — (ბანქოს თამაში შეწყვიტა) ოჰო, კაპიტანო! თქვენ ისევ ბრძოლის გუნებაზე ხართ? ყოჩაღ! ყველანი რომ თქვენისთანა საიმედონი გვყავდეს (ირონიულად გადახედა ბერზინს), რაღა გვიჭირს. ერთი თვის შემდეგ ბერლინში ვიქეიფებდით.

ბ ე რ ზ ი ნ ი — მე კი მგონია, პოლკოვნიკ, რომ დემარშზე ფიქრიც სასაცილოა. ჩვენი არმია მორალურად გატეხილია, მატერიალურადაც უსუსური. ხალხი ომის წინააღმდეგია. საქმეს მხოლოდ ზავი უშველის... პატიოსანი ზავი.

ს ი ნ ე გ უ ბ ი — ეჰეე... თქვენ, მგონი, გაბოლშევიკებულხართ... ფრთხილად, პრაპორშჩიკ! ასეთი აზრებისთვის პაგონებს კარგავენ.

ბ ე რ ზ ი ნ ი — თუ თქვენ კვლავ ძველი გზით ივლით, პაგონებს კი არა, თავებსაც დაჰკარგავთ, პოლკოვნიკ!

ს ი ნ ე გ უ ბ ი — (შეშფოთებული) ბერზინ! მე თქვენ გიკრძალავთ!

ვ ა ი ნ ბ ე რ გ ი — (სინეგუბს) რა საჭიროა, თქვენო კეთილშობილებავ! ნერვებს გაუფრთხილდით, მამულისათვის ძვირფასია თქვენი ნერვები. ფაქტია!.. ესეც არ იყოს, ნაპოლეონი...

ბ ა კ ლ ა ნ ო ვ ი — (შეაწყვეტინა) ბატონებო, დროა უაზრო კამათს თავი ანებოთ და საქმეზე ვიფიქროთ. (სინეგუბს). ბატონო პოლკოვნიკ, ესეცაა პოლკში ბოლშევიკური დელეგაცია მოვიდა. რაღაც ფაციფუცი აქვთ. თუ ახლავე რამე არ ვიღონეთ, ალბათ, ჩვენ ყველას დაგვაპატიმრებენ ჯარისკაცები. ეშინიათ, პეტროგრადში წასვლა არ ჩავუშალოთ.

ვ ო ლ ს კ ი — რაო? დელეგაცია? მერე და, მე რატომ არ შემატყობინეს? მე თქვენ გეტყვით, ეს ხომ ჯარისკაცთა კომიტეტისთვის გვერდის ავლაა?!

ბ ა კ ლ ა ნ ო ვ ი — (ვოლსკის, ირონიულად) ვიდრე თქვენ აქ ბანქოთი ერთობით, ისინი იქ საქმეს აკეთებენ. ესეც არ იყოს, ჯარისკაცებს თქვენი, მგონი, აღარც სჯერათ (ვოლსკი შეიშმუშნა, უნდა შეაწყვეტინოს, მაგრამ სინეგუბი ჩაერია).

ს ი ნ ე გ უ ბ ი — კმარა!.. (გდინოვს) დელეგაცია ახლავე დააპატიმრეთ. ოღონდ ჯარისკაცებთან შეტაკებას ჯერჯერობით ერიდეთ. ჯერ ძალა მათ მხარეზეა. პოლკი უნდა განვაიარაღოთ. მე უკვე გამოთხოვილი მყავს კაზაკები, საცაა მოვლენ. მერე კი მე მაგათ ვაჩვენებ პეტროგრადში

წასვლას! (ვოლსკის) თქვენ კი თქვენი ხაზით იმოქმედეთ! (ბაკლანოვს) კაპიტანო, მოემზადეთ, გდინოვთან ერთად პეტროგრადს წამოხვალთ. ჩემთან იმუშავებთ შტაბში.

ბაკლანოვი — (გამოეჭიმა) მესმის, პოლკოვნიკ!

ბერზინი — პოლკოვნიკ' ჯარისკაცები ისედაც საშინლად აღელვებულნი არიან. ასე იოლად არ დათმობენ დელეგაციას... თქვენმა განკარგულებამ შეიძლება სისხლისღვრა გამოიწვიოს. სჯობს ასეთი ზომებისგან თავი შეიკავოთ.

სინეგუბი — (მკვახედ) ეს თქვენ არ გეხებათ. უფროსი მე ვარ და პასუხსაც მე ვაგებ. (შემოდის პოლკის მორიგე).

მორიგე — (სინეგუბს) თქვენო კეთილშობილებავ! დროებითი მთავრობის რწმუნებული გეახლათ. (ყველამ ტანსაცმელი შეისწორა, კარტი აალაგეს).

სინეგუბი — (ოფიცრებს, განსაკუთრებით ბერზინს გადახედა). ბატონებო, ახლა მაინც არ დაივიწყოთ თქვენი მოვალეობა. გახსოვდეთ, სად და ვისთან იმყოფებით. (მორიგეს) წადით, მე თვითონ შევხვდები.

მორიგე — მესმის! (გავიდა).

სინეგუბი — (ოფიცრებს) იმედი მაქვს, რუსეთის არმიის სახელოვანი ოფიცრები ამჯერადაც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდება!

გდინოვი — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო პოლკოვნიკ! (სინეგუბმა გასვლა დააპირა, როცა კარებში გამოჩნდა კოვალსკი. სინეგუბი მიესალმა და შემდეგ ოფიცრები წარუდგინა).

სინეგუბი — კერენსკის ერთგული ოფიცრობა, ჩვენი პოლკის თვალი.

კოვალსკი — სასიამოვნოა, სასიამოვნო! ასეთი რჩეული ოფიცრობა და ასეთი უმსგავსობანი პოლკში?! პირდაპირ წარმოუდგენელია!.. საოცარია!.. ჯარისკაცებზე ზეგავლენის უნარი დაგკარგვიათ, ბატონებო. მაგრამ არა უშავს. რაკი მე ჩამოვედი, ყველაფერი გამოსწორდება. (მედიდურად) კოვალსკი მატყუარა არ არის.. (სინეგუბს) ახ, მართლა. პოლკოვნიკ, დამავიწყდა თქვენთვის მომელოცნა. ფრიად სასიამოვნოა — პეტროგრადში, ალბათ, ახლო თანამშრომლობა მოგვიხდება.

სინეგუბი — გმადლობთ, დიდად გმადლობთ.

კოვალსკი — ასეა, პოლკოვნიკ! ალექსანდრ თედორიჩი ადამიანების შერჩევის ნამდვილი ოსტატია. ოთხ კანდიდატურაში თქვენზე შეჩერდა. ხუმრობა ხომ არ არის — ასეთ გადამწყვეტ მომენტში პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის ხელმძღვანელობა. მაგრამ მთავრობისადმი თქვენი ერთგულება და პირადი ღირსებები... (კილო შეიცვალა) ჰო, სხვათა შორის, კაზაკთა ბატალიონი მოდის. საჭიროა გაბედული მოქმედება.

სინეგუბი — ყველა ზომა მიღებულია, მოქალაქე რწმუნებულო. თუმცა პოლკში დისციპლინა შერყეულია. მაგრამ...

კოვალსკი — ჰმ! ცხადია, შერყეული იქნება. მათთან ლაპარაკი უნდა შეგეძლოთ, პოლკოვნიკ! ჯარისკაცთა მასა — ეს ხომ ბრბოა, ბატონებო, უფერული ბრბო. ბრბოზე კი ფსიქიურად უნდა იმოქმედო, დიახ, ფსიქიურად! კოვალსკი მართალს მოგახსენებთ...

ვაინბერგი — სიმართლეს ბრძანებთ, ჩემო ბატონო, ხალას სიმართლეს. ფაქტია!.. მედიცინა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფსიქიურ ზემოქმედებას. უებარი საშუალებაა... პირადი გამოცდილებით მოგახსენებთ... თვით ნაპოლეონიც კი...

კოვალსკი — (შეაწყვეტინა). თქვენი მჯერა, მოქალაქევ! აი, დღეს მე თავათ გიჩვენებთ ფსიქიური ზემოქმედების ძალას. ამ იარაღსაც გამოყენება უნდა. საჭიროა, მომენტი შეურჩიოთ, მომენტი... ჩვენი — ესერების პარტია ხომ ამით არის განთქმული! (სინეგუბს). პოლკოვნიკ. საეჭვო ჯარისკაცები გყავთ?

სინეგუბი — მთელი პოლკი საეჭვოა, რამდენიმე კი — განსაკუთრებით. აი, მოთავეთა სიაც, ინებეთ! (სია გდინოვს გამოართვა და კოვალსკის გადასცა).

კოვალსკი — (სია გადაათვალიერა). ოჰო! მაშ გრიანოვიც აქ არის?

გდინოვი — უკვე ერთი კვირაა. სისხლი გაგვიშრო!

კოვალსკი — (გდინოვს) თქვენგან მიკვირს, კაპიტანო, გრიანოვს აქამდე რომ ითმენთ. ჩვენ ხომ შეთანხმებული ვიყავით?

გდინოვი — თქვენს განკარგულებას ველოდებოდი დაპირებისამებრ!

კოვალსკი — (გდინოვს) კარგი, კარგი! აი, მე უკვე აქა ვარ. შემდეგ მოვილაპარაკოთ. (სინეგუბს). პოლკოვნიკ! მთავრობის სახელით მოვითხოვ პოლკის განიარაღებას და ყველა ამ არამზადის (სია აჩვენა) დაპატიმრებას დაუყოვნებლივ. დანარჩენებს კი მე პირადად მოველაპარაკები. ერთი ჯარისკაცი რაა, ცოცხალი ისიც კი ვერ წავა პეტროგრადში. პოლკი ფრონტზე უნდა დარჩეს. დიახ, ამას კოვალსკი მოგახსენებთ. ახლავე კაზაკებიც მოვლენ. ჰოემზადეთ!

სინეგუბი — მესმის! (ოფიცრებს) ნაწილებში! განკარგულებას მიიღებთ. (გდინოვს) თქვენ აქ დარჩებით, კაპიტანო! (ოფიცრები გადიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე რ ზ ი ნ ი — (შედგა, თითქოს უნდა პოლკოვნიკს რაღაც უთხრას, მაგრამ გადაიფიქრა. შემდეგ თავისთვის) არა, სჯობს მოსახდენი მოხდეს! (გადის).

ფ ა რ დ ა

## მესამე მოქმედება

### პირველი სურათი

ემელიანოვების ბინა. ღამეა. წითელგვარდიელებს მეცადინეობა დაუმთავრებიათ, იარაღს წმენდენ და ალაგებენ. წყნარი სიმღერა. იქვეა ინასარი. ცალკე სხედან ნადეჟდა ემელიანოვა და სამარკინა; ისინი დროშის ტარზე წითელ ნაჭერს ამაგრებენ და წითელი ჯვრის ნიშნებს ამზადებენ.

ს ი მ ღ ე რ ა — მედგრად, ძმებო, ალისფერი
დროშა მაღლა ავმართოთ.
ამ სუსხიან ოქტომბერში
ბრძოლის ცეცხლი დავანთოთ!..

ნ ა დ ე ჟ დ ა — (ამოიხვნეშა) ეჰ, შვილო ალიოშა, ერთხელ მაინც მაჩვენა შენი თავი...

ს ა მ ა რ კ ი ნ ა — დამშვიდდით, დეიდა ნადია. ალიოშა კარგად იქნება!

ს ე რ ი ო ჟ ა — რა იყო, დედაჩემო, მკვდარი ხომ არაა, მგლოვიარესავით რომ მოსთქვამ. უბრალოდ გაუკაწრავს ტყვიას...

ნ ა დ ე ჟ დ ა — (სერიოჟას მოეფერა) ეჰ, დედის გული, შვილო. აბა რა ვიცი, რაღა ახლა იგვიანებს. გული კარგს არ მეუბნება... აკი ვიგრძენი, უბედურება რომ მოხდებოდა, როცა მამაშენმა მითხრა, ალიოშასთან წავიდნენ ფრონტზეო...

გ ო ლ ე ნ კ ო — სადარდებელი არაფერია, ნადეჟდა კონდრატიევნა. ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა. მკლავში მოარტყა იმ წყეულმა. მსუბუქი ჭრილობა იყო.

ს ა მ ა რ კ ი ნ ა — (ინასარზე აჩვენა) აი, ამხანაგმაც ხომ სთქვა, კარგად არისო!

ნ ა დ ე ჟ დ ა — (ინასარს) შვილო, შენ მაინც მითხარი მართალი. ნამდვილად ქალაქშია ალიოშა? იქნებ გზაში სადმე ჩარჩა?

ი ნ ა ს ა რ ი — ტყუილი რა საკადრისია, დედი. აკი გითხარით, ერთად ჩამოვედით-მეთქი. ესეც არ იყოს, თქვენს ბინას ვინ მომასწავლიდა, თუ არა ალიოშა. მითხრა: შენ ჩვენებთან წადი, გადაეცი, რომ კარგად ვარ, მე სმოლნში შევივლი და მალე მოვალო.

გ ო ლ ე ნ კ ო — (ნადეჟდას) ნუ ღელავ, ჩემო მეგობარო. შენი ბიჭი უვნებლად არის. (პაუზა)... ეჰ, კარგი ამბავი რომ არ შეგვემთხვეოდა, მაშინვე მიაზრა გულმა, ის ძაღლი რომ დავინახე.

ვ ა ს ი ლ ი — ვინ, ძია ანტონ, ვინ?

გ ო ლ ე ნ კ ო — ვიხა და, ამათი მეზობელი, შვილო, აი, იქ (ჭერზე აჩვენა) რომ ცხოვრობს. თქვენ, იქნებ, არ იცით და, პოლკოვნიკი სინეგუბი ჩემი ძველი ნაცნობია.

ს ა მ ა რ კ ი ნ ა — ძველი ნაცნობი? საიდან?

ს ო კ ო ლ ო ვ ი — სად შენ და სად პოლკოვნიკი, ძია ანტონ? ან რატომ აქამდე არა სთქვი?

გ ო ლ ე ნ კ ო — ცხოვრებამ შეგვახვედრა, შვილებო, ცხოვრებამ. ცოტას არ გაწყდა, კინაღამ შემოაკვდათ ჩვენს ბიჭებს. ნეტამც ჩაეძაღლებინათ! (ვასილის) მაშინ საწყალი მამაშენიც იქ იყო.

ვ ა ს ი ლ ი — მამაჩემი? როდინდელი ამბავია ეს, ძია ანტონ? გვიამბე ერთი. (შემოეხვივნენ).

გ ო ლ ე ნ კ ო — არც ისე ძველი. ამ თორმეტი წლის წინათ მოხდა. ცხრაასხუთის ერთ მშვენიერ დღეს დამაპატიმრეს და ჟანდარმთა როტმისტრთან მიმიყვანეს. როტმისტრს მაგიდაზე ქაღალდები გაეშალა. ეტყობოდა, საქმე მე შემეხებოდა. ჟანდარმებმა შემიყვანეს და კარებთან აიტუზნენ. როტმისტრს წინ დავუდექი. ხმას არ ვიღებ. „რას გაჩუმებულხარ, ენა შინ დაგრჩა თუ?“ — შემომჰყვირლა მან. მე კი ისევ ჩუმად ვარ. მაშინ, გაბრაზებულმა, ხეთქა მუშტი მაგიდას და დაიღრიალა: „გაფიცვას აწყობთ? რა გვარი ხარ?“ მანდ გიწერიათ მეთქი, ვუთხარი. როტმისტრმა ჟანდარმებს გადახედა, ანიშნა გარეთ გასულიყვნენ. მარტონი დავრჩით. „რედაქციაზე თავდასხმაში რომ მონაწილეობდი, დაგავიწყდა? ამათ იცნობ?“ — და ამ სიტყვებით სურათების დასტა ცხვირზე ამაფარა. ვიცანი. ჩვენები იყვნენ. ხმა არ გავეცი. როტმისტრი გაცეცხლდა, აენთო, და ის იყო მაგარი სილა უნდა გაეწნა ჩემთვის, როცა გაფითრებული შემოვარდა ჟანდარმი და ყურში რაღაც უჩურჩულა... ახლა კი გაშრა საწყალი, სამარიდან ამოღებულს დაემსგავსა, ქუდს ხელი დაავლო და მიმავალმა კარებიდან მომაძახა: „აქ დამიცადეო“.

ვ ა ს ი ლ ი — მერე? შენც დაუცადე?

გ ო ლ ე ნ კ ო — როტმისტრი გასულიც არ იყო, რომ მეორე მხრიდან ხმაურობა მოისმა და წამსვე კარებში ხალხი შემოიჭრა. ვხედავ — ჩვენი ბიჭები არიან. (ვასილის) მამაშენიც არის. ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმად შემომძახეს: ანტიუშა, აქ რა გინდა... წამოდი, ჟანდარმების განკითხვის დღე დადგა... და მეც თან გავყევი... (საერთო სიცილი)...

სამარკინი — ადვილად გადარჩენილხარ, ძია ანტონ, ადვილად!

სოკოლოვი — კი მაგრამ, პოლკოვნიკი სინეგუბი აქ რა შუაშია?

გოლენკო — იმ შუაშია, ჩემო შვილო, რომ ის ჟანდარმთა როტმისტრი დღეს პოლკოვნიკი სინეგუბია. გვარი არ შეუცვლია, თორემ ისე, ხომ ხედავთ: პეტროგრადის შტაბის უფროსობას მიაღწია... ეჰ, კერენსკის უნდა უმადლოდეს... (იარაღის წმენდა და სიმღერა განახლდა. გვერდით კარებიდან პაშა შემოვიდა და ვასილი განზე გაიხმო).

პაშა — პოლკოვნიკი შინ არის. ის და გენერალი მთელი დღე კაბინეტში იყვნენ ჩაკეტილი. როგორც დამავალე, სადილობისას გავსინჯე: რაღაც ნომრები და გვარებია ჩამოწერილი. ყველა გვარს წინ ნიშანი უზის. პოლკოვნიკი ისეთ კარგ გუნებაზეა, გაგიკვირდება. გენერალს უთხრა: აწი კი ამოვისუნთქავთ თავისუფლადო. მგონი მისისტრებიც არიან. წვეულება აქვთ.

ვასილი — სწორედ რომ მისწრებაა. წვეულების დროს უფრო მოხერხდება.

პაშა — უჯრები რომ დაკეტილი აქვს?

ვასილი — უჯრების გაღება ჩემზე იყოს. შენ ოღონდ კაბინეტის გასაღები ჩაიგდე ხელში.

პაშა — მაშ წამოდი, რაღას აყოვნებ?

ვასილი — ჯერ ადრეა როცა სტუმარ-მასპინძლები შეზარხოშდებიან, მაშინ აჯობებს. შენ ახლა წადი, კარგად გასინჯე ყველაფერი და, დრო რომ იხელთო, ჩამოირბინე. მეც მოვემზადები.

პაშა — კარგი, მელოდე! (გავიდა. ვასილი სოკოლოვს ეჩურჩულება).

ინასარი — (უკანასკნელი შაშხანა შეათვალიერა და შესანახად გადასცა). აჰა, ესეც უკანასკნელი... იარაღი კარგა ბლომად გქონიათ. ოღონდ ცოტა სამხედრო მეცნიერებას უნდა მიეძალოთ.

სოკოლოვი — რა დროს სამხედრო მეცნიერებაა. შენ მტრისთვის შუბლის გახეთქვა გვასწავლე.

გოლენკო — ცდები, ვანია. სამხედრო მეცნიერებაც უნდა იცოდე, თორემ საკუთარ შუბლს გაიხეთქავ!

ინასარი — იარაღს მოხმარა უნდა, ჩემო ძმაო. აი, მოვრჩებით აქ საქმეს და მერე ჩემ სამშობლოსკენ, საქართველოსკენ გავსწევ. მალე, ალბათ, ეს იარაღი იქაც დაგვჭირდება.

სოკოლოვი — დაგვჭირდებათ და გიშოვნით. იარაღს კი არა — თავს არ დავიშურებთ სახალხო საქმისთვის (შუა კარზე კაკუნი ისმის).

ნადეჟდა — შინაურია ვიღაც... (კარი გააღო. შემოდიან ნიკოლოზ ემელიანოვი და ლიდა სვეტლოვა).

ნიკოლოზი — რა ამბავია, ვასია, გარეთ კაცი არ გიყენიათ. ქალაქი კი ჯაშუშებითა და პატრულებით არის სავსე. (სერიოჟას) აქ რას აკეთებ? ხომ გითხარი, ხიდთან დადექი-მეთქი!

სერიოჟა — ახლახან შემოვედი, მამა! დედამ დამიძახა.

ნადეჟდა — ჰო, გული რაღაც ცუდს მეუბნება. თანაც ცივა. რამე თბილი უნდა ჩავაცვა.

ლიდა — (ვასილს საყვედურით) ესაა, ბიჭო, შენი სიფრთხილე? ხომ ყველას ერთად აგწაპნიან, რომ მოგაგნონ? (სოკოლოვს). ვანია, შენ გადი, თვალი ფხიზლად გეჭიროს. (სოკოლოვი გადის).

ვასილი — ნუ შფოთავ, დაიკო. აქ (ჭერზე აჩვენა) თვით შტაბის უფროსი პოლკოვნიკი სინეგუბი ცხოვრობს, ეჭვსაც ვერ აიღებენ.

ნადეჟდა — ლიდა, შვილო, რატომ აქამდე არ მოდის ალიოშა? ხომ არაფერი უბედურებაა ჩემ თავს? არ მეტყვით? (აცრემლდა).

ლიდა — (მოეხვია) აბა რას ამბობთ, დედი! ალიოშა კარგად არის, მალე მოვა. ერთი საათის უკან ვნახე. (მნიშვნელოვნად). იქ იყო.

ნადეჟდა — სად, შვილო, სად?

ლიდა — სმოლნში ვნახე, დედი, კარგად არის. აი, მეც აქა ვარ. ვიდრე ალიოშა არ მოვა, არც მე წავალ. ნუ დარდობ, გენაცვალე! (მოეფერა).

ნადეჟდა — ეჰ, ჩემო კარგო, შვილი მაინც სხვა არის (თვალი მოიწმინდა, სერიოჟას) წამოდი, შვილო, წამოდი, მოგინახო რამე. (გვერდის კარით გადიან).

ვასილი — ხვალ ვმუშაობთ თუ არა, ბიძია ნიკოლოზ? რა გადაწყდა?

ემელიანოვი — არ ვმუშაობთ, ქარხნის კომიტეტმა უკვე დაადგინა. არა მარტო ჩვენი — საიარაღო საამქრო, მთელი პუტილოვის ქარხანა ხვალიდან გაფიცულია. რახან ანტონისა და ლიდას სამუშაოდ დაბრუნებაზე დირექციამ უარი განაცხადა, იძულებული ვართ ჩვენი დელეგატები გაფიცვით დავიცვათ.

ხმები — მაშ რა ეგონათ!

— რატომ დაითხოვეს ამხანაგები!

— ბარემ ჩვენც დაგვითხოვონ!

— ფრონტზე ხომ დელეგაცია ჩვენ გავგზავნეთ!

— დირექციას რა ესაქმება!

ლ ი დ ა — დამშვიდდით, ამხანაგებო! მე და ბიძია ანტონი ცოტა ხანს როგორმე გავძლებთ. მართალი გითხრათ, ახლა მუშაობის დროც არ არის, ყოველ საათს უნდა ველოდოთ გამოსვლის დაწყებას.

ვ ა ს ი ლ ი — ჰოდა! ჩვენც მზადა ვართ! შენ ისა სთქვი, იქ რას ამბობენ, სმოლნში რა არის ახალი?

ლ ი დ ა — ახალი? (ამოიღო გაზეთი „ნოვაია ჟიზნ"). აი, ახალი გამცემლობა და ღალატი. (ჩამოსხდნენ). ნახეთ, ზინოვიევი და კამენევი აჯანყების წინააღმდეგ გამოდიან, და ისიც მენშევიკების გაზეთში! როგორ მოგწონთ? (ყველანი გაზეთს შეათვალიერებენ). პარტია მუშებს რაზმავს, აიარაღებს, საიდუმლოდ ამზადებს აჯანყებას, ეს მოღალატენი კი საქვეყნოდ გაჰყვირიან ამ საიდუმლოებაზე, „ნოვაია ჟიზნში" გარბიან და აცხადებენ: იცოდეთ, ლენინი აჯანყებას ამზადებს და ჩვენ წინააღმდეგნი ვართო. კერენსკიც სიამოვნებით იღებს ამ ცნობას და პიტერის დაცვის, ლენინისა და სხვა ბოლშევიკების დაპატიმრების გეგმას ადგენს. აი, ნახეთ (გაზეთზე აჩვენა): მთავრობამ ფრონტიდან კაზაკთა პოლკები გამოიწვია. განა ეს ჯაშუშობა და ღალატი არაა? რას იტყვით, ამხანაგებო?

გ ო ლ ე ნ კ ო — რას ვიტყვი? (დაფიქრდა). ლენინი რას ამბობს?

ს ა მ ა რ კ ი ნ ა — ჰო, რას ამბობს ამხანაგი ლენინი?

ვ ა ს ი ლ ი — ლენინი რას ამბობს, რა ვიცი, მე კი ამით (რევოლვერი აჩვენა) გავუმასპინძლდები ასეთ კახპებს.

ლ ი დ ა — ცენტრალურ კომიტეტში აღშფოთებულნი არიან ამ გამცემლობით. ლენინი პარტიიდან მათ გარიცხვას მოითხოვს.

ს ა მ ა რ კ ი ნ ა — გამოსვლას ხომ არ გადასდებენ?

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — არა, ამხანაგებო, ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ, მაგრამ სირცხვილი მოღალატეებს... ეჰ, პარტიას არასოდეს არ ჰქონია მათი იმედი.

გ ო ლ ე ნ კ ო — ნაღდი სიტყვაა, ჩემო ნიკოლოზ... ასეთი ლაჩრები და მოღალატენი ახალი ხილი როდია. ისინი წინათაც გვიფეთქებდნენ ციხეს შიგნიდან. ჰმ! მაშ, კერენსკისთან დაგვაბეზღეს? (ჩაფიქრდა). აჯანყება უნდა მოხდეს. რაკი ლენინი ასე ამბობს, მაშასადამე, ასე სჯობს. ამაში მე ჩვიდმეტი წლის გამოცდილებამ დამარწმუნა.

ლ ი დ ა — ძია ანტონი მართალია. ისინი უკვე ჩვენი მტრები არიან, მტერს კი მტრულად უნდა შევხვდეთ.

ხ მ ე ბ ი — სწორია!
მართალია!

ი ნ ა ს ა რ ი — იარაღი აგვიღია და ახლა უნდათ ხელიდან გაგვაგდებინონ? საკითხს იარაღი გადაწყვეტს, იარაღი. (ბაასი გრძელდება. ზოგი გაზეთს ათვალიერებს, ლიდა დროშას სინჯავს. შემოვიდა სოკოლოვი).

ს ო კ ო ლ ო ვ ი — ხიდთან იუნკრები გამოჩნდნენ. ერთი ჯგუფი აქვე ტრიალებს, ფოსტის წინ.

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — აკი გითხარით! მაშ, უკვე დაიწყეს? ეტყობა ჩხრეკაა.

ლ ი დ ა — ისინი ალბათ ჩვენს კვალზე მოვიდნენ. ბაკლანოვი მთელი დღე უკან დამდევდა.

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანღაა! ესეც არ იყოს, მგონი მეძებრებმა ჩვენს კვალს მიაგნეს. ქარხანაში უკვე ეჭვი აუღიათ... როგორმე შეუმჩნევლად უნდა დავიმალოთ, ამხანაგებო...

ვ ა ს ი ლ ი — მე გაგიყვანთ. ჯერ ქალები... აბა, ლიდა, ნინა, ჩაიცვით (წასასვლელად ემზადებიან, როცა კარზე ძლიერი კაკუნი მოისმის. ყველა შეკრთება. გვერდის კარიდან შემოდიან ნადეჟდა და ქურქში გამოწყობილი სერიოჟა).

ნ ა დ ე ჟ დ ა — რა მოხდა? ვინ არის? იქნებ ალიოშაა?

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — რაღაც არა ჰგავს. იუნკრები გვესტუმრნენ, მგონი.

ვ ა ს ი ლ ი — ცოცხალი არავინ დავნებდეთ, ამხანაგებო. თქვენ გაუღეთ, ნადეჟდა და კონდრატიევნა. თუ ცოტანი არიან, ხაფანგში გაებენ და ისაა. (ყველამ იარაღი მოიმარჯვა, კედელს გაეკრნენ).

გ ო ლ ე ნ კ ო — არ ივარგებს .ალბათ, ქუჩა ალყაშემორტყმულია. ტყუილუბრალოდ თავს ნუ გავიფუჭებთ... (კაკუნი განმეორდა).

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — სულერთია, გასვლა უკვე შეუძლებელია. ნადია, გაუღე! (ნადეჟდა შიშით უახლოვდება კარს. მოისმის ბრახუნი).

ნ ა დ ე ჟ დ ა — ვინ არის, რა ამბავია?

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ — გააღეთ! რა მოგივიდათ, ხომ არ დაიხოცეთ? (ხმა იცნეს, ყველამ გაკვირვებით გადახედა ერთმანეთს, გულს მოეშვათ).

ნ ა დ ე ჟ დ ა — შვილო! ალიოშა! მისი ხმაა! (კარი გააღო. შემოდიან შეშინებული და აცახცახებული კაპიტანი ბაკლანოვი და ერთი იუნკერი. შემდეგ კარებში გამოჩნდნენ მარცხენა ხელაკრული ალექსანდრე და ბერზინი ნაგანებით ხელში).

ნ ი კ ო ლ ო ზ ი და ნ ა დ ე ჟ დ ა — (ერთად) შვილო! (გადაეხვივნენ. სერიოჟაც ძმასთან მიიჭრა. საყოველთაო გაოცება და სიხარული. ალექსანდრეს შემოეხვივნენ, ბერზინს მიესალმებიან, კუთხეში აბუზულ ბაკლანოვს გაოცებული გადახედავენ ხოლმე).

ლ ი დ ა — (ბაკლანოვი დაინახა) აკი ვამბობდი! ალიოშა!.. (ბაკლანოვზე აჩვენა) ეს რა ამბავია! ხომ მშვიდობაა?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — მშვიდობაა, მშვიდობა. (ბაკლანოვს და იუნკერს გადახედა) ველარ მოასწრეს!..

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — ხელი რას გიშვრება, ბიჭო, ხელი?..

ნ ა დ ე ჟ დ ა — შვილო!.. ჭრილობა!.. ვაი ამ დღის მომსწრეს!

ს ე რ ი ო ჟ ა — დედას ჯავრით ვერ მოუსვენია, ყოველ წუთს გელოდებოდა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — არაფერია, დედი! ოდნავ გამკაწრა. გაივლის. (შეატრიალა. დააკვირდა. მხიარულად) თქვენ რასა იქთ, დედი, ხომ კარგად ხართ?

ნ ა დ ე ჟ დ ა — ჩვენ თავს ვინღა დაეძებს, შვილო, თქვენ მყავდეთ ბედნიერად... ვინ დაიდო ჩემი ცოდვა?.. ვინ ოხერმა ესროლა ჩემს ძუძუს ტყვია, შვილო?..

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — (ბაკლანოვსა და იუნკერზე) ესენი ვიღაა, სად გააბი ამ შუაღამისას?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ესენი?.. უბანს ალყა აქვს შემორტყმული. ამ ვაჟბატონს როგორღაც დაუყნოსია და — ის იყო ჩვენს ეზოში შემოვიდა. მე და ამხანაგი ბერზინიც ფეხდაფეხ შემოვყევით. მაშინვე მივხვდი, საქმე რაშიაც იყო. ჭიშკარი სწრაფად მივკეტეთ და ეს ყმაწვილებიც დაგვნებდნენ... ბნელაში თითის განძრევაც ვერ გაბედეს. (ირონიით) ბატონ კაპიტანს დღე უფრო ემარჯვება სროლა. (გოლენკოს) ძია ანტონ, სცნობ, ვინც არის?

გ ო ლ ე ნ კ ო — ვცნობ, შვილო, ვცნობ, რა სულიერიცაა. მაგისგან დიდად პატივცემულნი ვართ!

ვ ა ს ი ლ ი — (მიხვდა ვინც არის) მაშ ეგ იყო? ძმადნაფიცის სისხლი!.. (რევოლვერზე ხელი გაიკრა).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — არ გაბედო, ვასია! სულმდაბლობა ჩვენ არ გვჩვევია. (რაღაც მოიფიქრა). პოლკოვნიკი სინეგუბი ისევ აქ ცხოვრობს?

ვ ა ს ი ლ ი — (დამშვიდდა) ჰო, აქ არის. ახლა დიდი წვეულება აქვს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — (ბაკლანოვს) აბა, კაპიტანო, გაისარჯეთ და პრაპორშჩიკს ბარათი მისწერეთ, რომ აქ შეცდომით მოგიყვანეს და საძებარი არაფერია. ისიც ჩასწერეთ, რომ თქვენ პოლკოვნიკ სინეგუბთან რჩებით და რაზმს უბრძანებთ მოიხსნას და უკან გაბრუნდეს. (სერიოჟას) საწერ-კალამი მიეცი, სერიოჟა. (სერიოჟა ბაკლანოვს საწერ-კალამს მიუტანს, ისიც ჯდება და წერს).

ს ო კ ო ლ ო ვ ი — აი, ეს კი მართლაც რომ სეირია! (შემოვიდა პაშა, ვასილი გაიხმო).

პ ა შ ა — შეუმჩნევლად შესვლა შეუძლებელია. პოლკოვნიკმა კაბინეტი ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

ვ ა ს ი ლ ი — მართლა? აი, ხათაბალა! (დაფიქრდა. შემდეგ სხვებს მიუბრუნდა). კერენსკის ადიუტანტი გინახავთ ვინმეს?

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — რომელი? კერენსკის რამდენიმე ადიუტანტი ჰყავს.

ვ ა ს ი ლ ი — ეგ სულერთია, ბიძია ნიკოლოზ. თუ გინახავთ მეთქი?

ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ი — ერთ მათგანს ვიცნობ, სტუდენტია, კაპიტნის ფორმაში.

ვ ა ს ი ლ ი — (სახეგაბრწყინებული). საქმე გაჩარხულია! (ბაკლანოვს და იუნკერს) ყმაწვილებო, ერთ წუთს აქეთ მობრძანდით. (სოკოლოვს) ვანია, მოდი. (ალექსანდრეს). ალიოშა, წერილი პაშას გაატანე. (ბაკლანოვმა ბარათი ალექსანდრეს გადასცა და იუნკერთან ერთად გაჰყვა ვასილს და სოკოლოვს).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — (ბარათი უხმოდ ჩაიკითხა). კარგია. მაგრამ პაშას იქნებ არ ენდონ. სჯობს ამხანაგმა ბერზინმა წაიღოს. სამხედრო პირია.

ბ ე რ ზ ი ნ ი — რასაკვირველია!.. მე უფრო დამიჯერებენ (ბარათი გამოართვა).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — (ინასარს) შალვა! სმოლნში მოითათბირეს და გადაწყვიტეს ჩვენი პოლკის კომისრობა დაგვავალონ. მე კომენდატურაში მომიხდება მუშაობა. ამხანაგებს იმედი აქვთ, პარტიის ამ ახალ დავალებას სასახელოდ შეასრულებ.

ი ნ ა ს ა რ ი — ვეცდები, ძმაო. მე პარტიის ჯარისკაცი ვარ და სადაც საჭიროა იქ დავდგები ჩვენი საერთო საქმისათვის საბრძოლველად. რაკი ეგრეა, მაშ ჩვენ (ბერზინზე ანიშნა) ახლავე წავალთ. ათასი საკითხია მოსაგვარებელი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — კარგი, წადით. დილით ყაზარმაში შევხვდებით. ამაღამ ყველანი გააფრთხილეთ, პოლკი მოამზადეთ.

ი ნ ა ს ა რ ი — (ბერზინს) წავიდეთ, ამხანაგო მეთაურო!

ბ ე რ ზ ი ნ ი — წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო კომისარო! (ბერზინი და ინასარი გადიან).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — (დარჩენილთ მიმართავს) როგორა ხართ, ამხანაგებო, რასა იქთ? დედი, ხომ არ გაჯავრებს მამაჩემი, ჰა?

ნადეჟდა — ეჰ, შვილო, რაკი შენ ცოცხალი გნახეთ, აწი არა გვიშავს რა. (წითელგვარდიელებზე მიუთითა) აი, ესენი არიან ჩემი იმედი, ესენი მახარებენ.

ემელიანოვი — გამაგრდი, დედაკაცო! ხომ ხედავ, შვილებიც შინ არიან და ჩემი ბებერი თავიც კარგად გყავს! (ლიდას გადახედა) მერე კი, ვინ იცის, იქნებ ოჯახმაც იმრავლოს...

ალექსანდრე — ჰო! აი, ამიერიდან ლიდაც აქ იქნება, ჩვენთან. ხომ, დედი?

ნადეჟდა — კი, შვილო, კი. თქვენი ნებაა. ეს ბედნიერი დღეა ჩემთვის. (ლიდას) მოდი შვილო... მოდით, გაახარეთ დედის გული. ამდენი სიმწარის შემდეგ ასეთი სიხარული! ღმერთო დიდებულო! შენ ჰფარვიდე ჩემ შვილებს. (ხელი მოჰხვია ორივეს. შემოვიდა კაპიტნის ფორმაში გადაცმული ვასილი, შემდეგ სოკოლოვი).

ვასილი — (ხუმრობით) ხომ მიხდება, ბიჭებო, ა?

ლიდა — (გაჯავრდა). ვასია, ეს რასა ჰგავს! ჩვენ და ძარცვა?! ახლავე დაუბრუნე!

ვასილი — ნუ ცხარობ, დაიკო! ის ახალს იშოვნის. აქ სხვა ამბავია. შემთხვევა საშუალებას გვაძლევს ძვირფასი ცნობები ხელთ ვიგდოთ. ვფიქრობ, ამხანაგები არ გამამტყუნებენ. (ბაკლანოვსა და იუნკერზე). ამათ თქვენ მოუარეთ. ამ წუთიდან მე კერენსკის ადიუტანტი ვარ. მთავრობის თავმჯდომარეს ოლქის სარდალი უნდა მივგვარო. (პაშას) შენ წადი, პაშა! ოღონდ იქ არაფერი გაიკვირვო! (სოკოლოვს) აბა, ვანია, წავიდეთ! (გადიან).

ფარდა

## მეოთხე მოქმედება

### პირველი სურათი

24 ოქტომბრის საღამო, ლენინის უკანასკნელი არალეგალური ბინა. ოთახი მორთულია სადად. ერთი — ჩვეულებრივი კარი, მეორე — საიდუმლო. სხედან და საუბრობენ ლენინი და ნიკოლოზ ემელიანოვი.

ნიკოლოზი — წითელგვარდიელებს ველარ ვაკავებთ, კონსტანტინ პეტროვიჩ. ფრონტიდანაც ჯარისკაცები, როგორც გითხარით...

ლენინი — გაიქცევიან, არა? (ადგა. გაიარ-გამოიარა. მერე ნიკოლოზს მიმართა) აი, დღისით ამხანაგებიც მეუბნებოდნენ ცენტრალური კომიტეტიდან... თქვენმა სიტყვებმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლება...

ნიკოლოზი — გაიქცევიან, ნამდვილად გაიქცევიან. მე თვითონ ველაპარაკე ბევრ მათგანს. ყველას თვალი სოფლისკენ უჭირავს. რისი დამფუძნებელი კრების ლოდინი, მაგისთვის სად გვცალიაო.

ლენინი — მართალს ამბობთ. დაჰკრავენ ფეხს და გაიქცევიან. ახლა ისინი თითქმის სასოწარკვეთილნი არიან, ცოტაც და — ველარ მოითმენენ, ყველაფერს ბედის ანაბარა მიატოვებენ... ასეთ დროს მხოლოდ რეგვენები კითხულობენ: რა ვქნათ? ვაი თუ ისე არ გამოვიდესო. ერთ რეგვენს კი იმდენი კითხვის მოცემა შეუძლია, რომ ათი ბრძენი პასუხს ვერ გასცემს... რა ვქნათ და — უკვე სასახლეზე შეტევა უნდა დავიწყოთ...

ნიკოლოზი — დიახ, დროა, კონსტანტინ პეტროვიჩ! და მეც ამიტომ მოვედი. პუტილოველ წითელგვარდიელთა ორათასიანი რაზმი მზად არის იერიშისათვის.

ლენინი — (დაფიქრდა, გაიარ-გამოიარა, რაღაც მოისაზრა). აი რა, ნიკოლოზ... (კარი შემოაღო და შემოიხედა სერიოჟამ. ლენინმა თვალი მოჰკრა). შემოდი, შემოდი!

სერიოჟა — (შემოვიდა, ხელში კალათი უჭირავს) აი, ცოცხალი თევზები მოგიყვანეთ, ძია კოსტა!

ნიკოლოზი — (სერიოჟას) ხომ გითხარი, დაიცადე და დაგიძახებ-მეთქი!

სერიოჟა — მარგარიტა დეიდა იქ არის... ნება მომცა... ამათაც (თევზებზე ანიშნა) წყალი უნდათ, ნახე, როგორ ფართხალებენ!

ლენინი — (კალათს დახედა, თევზებს ხელი შეავლო) ჰო-ჰო-ჰო, ეს რა ამბავია... ცოცხლებია, ცოცხლები! (ნიკოლოზს) არა უშავს, აქ საიმედოდ ვარ, მარგარიტა ისე ნებას არ მისცემდა...

ნიკოლოზი — (ლენინს) ვერაფრით ვერ დავაკავე! საღამოს, როგორც კი დაიჭირა, აიჩემა — კოსტიას უნდა წავუღო, შევპირდიო. ისევ ვარჩიე, თან წამომეყვანა...

ლენინი — კარგია, რომ მოიყვანე. ზაფხულში ჩვენ პირობა დავთქვით! (სერიოჟას) სიტყვის პატრონი ყოფილხარ, ჩემო მებადურო! მაგრამ მეც შეგისრულე დაპირება (მაგიდისკენ გაემართა, წიგნების შეკვრა აიღო, სერიოჟას გაუწოდა). აი, ესეც ჩემი საჩუქარი!

სერიოჟა — (წიგნები გამოართვა, ცალ-ცალკე ათვალიერებს) უჰ, ეს რა კარგია! ფიზიკა, რუსული ლიტერატურა... (სიხარულით) აჰ! ჯეკ ლონდონი. რამდენი ხანია მინდოდა წამე-

კითხა... გმადლობთ, ძია კოსტია... (დარცხვენით) მე ხომ თევზები იმიტომ არ მოვიყვანე, რომ...

ლ ე ნ ი ნ ი — (შეაწყვეტინა) არა, სიტყვა-სიტყვაა, მეგობარო. ჯერ ეს იყოს. მალე სხვა სახელმძღვანელოებსაც გიშოვნი. შენ უნდა ისწავლო... ისწავლო წიგნითაც და შრომითაც... აბა, მშვიდობით (ხელი ჩამოართვა).

ს ე რ ი ო ჟ ა — ნახვამდის, ძია კოსტია, ვისწავლი, ოღონდაც რომ ვისწავლი... და თევზსაც არ მოგაკლებთ!

ლ ე ნ ი ნ ი — აბა შენ იცი როგორ ისწავლი!

ნ ი კ ო ლ ო ზ ი — (სერიოჟას) იქ დამელოდე. ახლავე მოვალ. (მნიშვნელოვნად) მიხვდი?

ს ე რ ი ო ჟ ა — მივხვდი, მამი, ვიცი. იქ არიან. (გადის).

ლ ე ნ ი ნ ი — ყოჩაღი ბიჭია! პუტილოველთა მოდგმის... (გაიარ-გამოიარა). ჰო, ნიკოლოზ, აი რა უნდა მეთქვა: თქვენი გვარდიელები დაუყოვნებლივ გადაიყვანეთ სმოლნში. ახლა საქმეს საათები წყვეტს. როგორც კი განკარგულება იქნება, დაიწყებთ. განკარგულება კი ამაღამვე იქნება... უსათუოდ ამაღამ... კიდევ რა უნდა გთხოვოთ: შეატყობინეთ, რომ მეჩვიდმეტე პოლკიც ახლავე სმოლნისაკენ დაიძრას. ეს მეტად საშურია...

ნ ი კ ო ლ ო ზ ი — მაშ მივდივარ! ნახვამდის, კონსტანტინ პეტროვიჩ!

ლ ე ნ ი ნ ი — ნახვამდის, ნიკოლოზ, სულ მალე ნახვამდის! (ხელი ჩამოართვა. ემელიანოვი წავიდა. ლენინმა გაიარ-გამოიარა. ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა). ჩინებული ადამიანია! რა გულჩვილი, თანაც რა სალივით მტკიცე!.. ვფიქრობ ,არ ცდება... სწორედ ახლაა აჯანყების დაწყების მომენტი... ლოდინი აღარ შეიძლება... მაშ, ჩემი წერილიც ჩავათავო... საცაა, მარგარიტა მოვა (მაგიდას მიუჯდა, დაწერილ ბარათს თვალი გადაავლო, კიდევ რაღაც დაუმატა, კალამი დადო. ისევ გაიარ-გამოიარა. ფიქრობს. კვლავ წერილს მიუბრუნდა, ჩაათვალიერა. შემდეგ პირველი და უკანასკნელი სტრიქონები ხმამაღლა ჩაიკითხა): „ძვირფასო ამხანაგებო! ამ სტრიქონებს ვწერ 24 ოქტომბერს საღამოს. მდგომარეობა უაღრესად კრიზისულია. ცხადზე უცხადესია, რომ ახლა, ჭეშმარიტად, აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის... ახლა ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია... ახლა დღის წესრიგში ისეთი საკითხები დგას, რომლებსაც თათბირები, ყრილობები (თუნდაც საბჭოების ყრილობები) კი არ სწყვეტენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხალხი, მასა, შეიარაღებული მასების ბრძოლა... არავითარ შემთხვევაში არ დავტოვოთ ხელისუფლება კერენსკისა და კომპანიის ხელში 25 ოქტომბრამდე, არავითარ შემთხვევაში: უეჭველად დღეს საღამოს ან ღამით უნდა გადაწყდეს საქმე. ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომლებსაც შეეძლოთ გაემარჯვნათ დღეს (და უეჭველად გაიმარჯვებენ დღეს), ხვალ კი შეიძლება ბევრი დაჰკარგონ, შეიძლება ყველაფერი დაჰკარგონ..." (წერილის დანარჩენ ნაწილს თვალი გადაავლო და ბოლო სტრიქონები კვლავ ჩაიკითხა): „... გამოსვლის დაყოვნება სიკვდილს უდრის. (ხელი მოაწერა, თან წარმოსთქვა): თქვენი ლენინი". (შემდეგ წერილს ერთხელ კიდევ გადახედა, დაკეცა. შემოდის მარგარიტა სვეტლოვა).

მ ა რ გ ა რ ი ტ ა — ვლადიმირ ილიჩ, საღამოს გაზეთები მოგიტანეთ. გადაათვალიერეთ.

ლ ე ნ ი ნ ი — უწინარეს ყოვლისა, მე ჯერ ვლადიმირ ილიჩი არა ვარ, მე კონსტანტინ პეტროვიჩი ვარ. ნუ გავიწყდებათ ეს, მარგარიტა ვასილიევნა! გაზეთებისთვის კი გმადლობთ (გამოართვა, ათვალიერებს).

მ ა რ გ ა რ ი ტ ა — ჩვეულება ვლა... კონსტანტინ პეტროვიჩ, რჯულზე უმტკიცესიაო. თანაც, ახლა აქ ხომ უცხო არავინაა... ესეც არ იყოს, კონსპირაცია თქვენვე დამარღვევინეთ... და აი, მეც წამცდა.

ლ ე ნ ი ნ ი — მაშ, ბარი ბარში ვართ. წესი დავარღვიეთ, მაგრამ არა უშავს, საჭირო იყო. ემელიანოვი ჩვენია, ვენდობი, თუმცა, კონსპირაციის დარღვევისთვის ბოდიშს ვიხდი... (ხიშნეულად) წავიდნენ? ვფიქრობ, არაფერი დაშავებულა, მოსვლის ნება რომ მივეცი. აი, თევზიც გვისაჩუქრეს.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა — (თევზს დახედა. საქმიანობს, ჩაის აწყობს) თქვენი ხათრით, თორემ მე მას არ მივიღებდი. ბიჭიც რომ თან მოიყვანა!.. კარგად იცით, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა თქვენთან მოსვლა ყველას აუკრძალა, გარდა ნადეჟდა კონსტანტინოვნასი და გრიანოვისა. სიფრთხილისათვის ლიდაც კი სახლიდან დავითხოვე.

ლ ე ნ ი ნ ი — მართლა, ლიდასი რა გაიგეთ? როგორ არის?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა — არა უშავს რა, კონსტანტინ პეტროვიჩ. ამხანაგთან იყო ბინად, ოთხი დღის წინ კი უკვე ალექსანდრესთან გადასულა... ეჰ! ასეთ ორომტრიალში განა ამის დრო იყო? ცოტა დაეცადათ... ქვეყანა მიწყნარდებოდა, მერეც მოესწრებოდნენ.

ლ ე ნ ი ნ ი — ნუ წუწუნებთ, მარგარიტა ვასილიევნა... ლიდა ყოჩაღი გოგონაა, ყოჩაღი! ალექსანდრეც დამდგარი ვაჟკაცია. ხომ იცით, ახალგაზრდობას თავისი დრო აქვს. ერთად მუშაობამ, საერთო ბრძოლამ ისინი სამუდამოდ შეასისხლხორცა. მათი სიყვარული — რევოლუ-

ცის სიყვარულის ნაყოფია... უნდა გიხაროდეთ, თქვენ კი...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა — განა მწყინს! დედის გულს შვილის ბედნიერება თუ გაახარებს, თორემ... ჩაი მიირთვით, კონსტანტინ პეტროვიჩ. აცივდა, ცოტა შეგათბობთ.

ლ ე ნ ი ნ ი — (წამოდგა. გაიარ-გამოიარა) იცით რა, მარგარიტა ვასილიევნა: ახლა ჩაის დრო არ არის. (ბარათი აიღო). აი, ეს ბარათი. სასწრაფოა. ნადეჟდა კონსტანტინოვნას წაუღეთ, მყისვე გადასცეს სვერდლოვს. მართალია, დღისით ცენტრალურმა კომიტეტმა ნაადრევად ჩათვალა ჩემი გადასვლა სმოლნში, მაგრამ მას შემდეგ ათი საათის განმავლობაში ვითარება არსებითად შეიცვალა. ახლა ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. მე იქ უნდა ვიყო.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა — (წერილი გამოართვა). კარგი. ახლავე გავეშურები. ოღონდ ფეხით მომიხდება წასვლა. ტრამვაი არ მუშაობს... აი, ჩაის შეექცით. ჩვენები იქ დგანან, ასე რომ...

ლ ე ნ ი ნ ი — კეთილი, კეთილი... მეცოდინება. უთხარით, პასუხი გამოგიტანონ... ჩემი შემდგომი აქ ყოფნა დანაშაულია. (ჯიბის საათს დახედა) თერთმეტსაათამდე გელოდებით. თუ ამ დრომდე არ დაბრუნდებით, ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ ჩავთვლი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა — კონსტანტინ პეტროვიჩ! ეს ყოვლად შეუძლებელია. მაშინ მე არსადაც არ წავალ. თქვენ თვითონ იცით, რომ ამხანაგები ჯერჯერობით წინააღმდეგი არიან სმოლნში თქვენი გადასვლისა. უნდა დაიცადოთ. მალე მოვალ. იქნებ ნებართვაც მოგიტანოთ.

ლ ე ნ ი ნ ი — მხოლოდ თერთმეტამდე დაგიცდით. არც ერთი წუთი მეტი!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა — თერთმეტამდე დავბრუნდები. ქარივით გავფრინდები. კარი დაკეტეთ. (გადის).

ლ ე ნ ი ნ ი — (კარი შიგნიდან დაკეტა, ჩაფიქრდა. ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა, მერე უკან გამობრუნდა, პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიდო და ოთახში — კუთხიდან კუთხეში — გაიარა. შემდეგ ისევ მაგიდას მიუჯდა. კარზე პირობითი კაკუნი გაისმა. ლენინმა მაგიდაზე ქაღალდები მიასწორ-მოასწორა, დარწმუნდა, რომ პირობითი კაკუნია და კარი გააღო. შემოვიდა გრიანოვი). აქამდე სადა ხართ? გელოდებით!

გ რ ი ა ნ ო ვ ი — ეს-ეს არის ამხანაგმა სვერდლოვმა გამომგზავნა. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ თქვენ სმოლნში გადახვიდეთ .გასაცილებლად მოდიან ამხანაგები.

ლ ე ნ ი ნ ი — (კმაყოფილი). თერთმეტზე მე თვითონ ვაპირებდი წამოსვლას. კარგია, რომ მოხვედით. ესეცაა ბარათი გავგზავნე.

გ რ ი ა ნ ო ვ ი — ვიცი. მარგარიტა შემხვდა, მაგრამ არ მითქვამს, რომ თქვენთან მოვდიოდი ამ დავალებით.

ლ ე ნ ი ნ ი — კარგი გიქნიათ. შეიძლება მას არც დაველოდოთ. რა ცვლილებებია?

გ რ ი ა ნ ო ვ ი — ქალაქი თითქმის მთლიანად ჩვენ ხელშია. ტელეფონი გამოგვითიშეს, მაგრამ ჩვენებმა უკვე დაიკავეს ტელეგრაფი და ტელეფონის სადგური. რედაქციასა და სტამბაში მდგომარეობა სავსებით აღდგენილია. გაზეთი კვლავ გამოვა. ახლა წითელგვარდიელთა რაზმები ცენტრისკენ მიიწევენ. ვიწყებთ ზამთრის სასახლის რაიონისთვის ალყის მეორე რკალის შემორტყმას. მთავრობა სასახლეშია, ოღონდ კერენსკი არა ჩანს... შტაბში იყო. სად წავიდა, ვერ გავიგეთ.

ლ ე ნ ი ნ ი — კერენსკი? ასეთი მყვირალები პირველნი გარბიან ბრძოლის ველიდან. ალბათ გაიპარა. თუმცა, ის ყოველ ღონეს იხმარს...

გ რ ი ა ნ ო ვ ი — დანამდვილებით ჯერ არაფერი ვიცით, ხმებია მხოლოდ!.. უკვე მივიღეთ ზომები...

ლ ე ნ ი ნ ი — იმ კახპების რა ისმის?

გ რ ი ა ნ ო ვ ი — მთელი დღე პიტერის საბჭოს სხდომაზე მენშევიკებთან ერთად გაჰყვირიან ბოლშევიკების სისხლიან აჯანყებაზე...

ლ ე ნ ი ნ ი — იყვირონ, იყვირონ!.. რევოლუცია ამით არაფერს დაკარგავს. ჰმ! ზინოვიევი!.. რაც უფრო ნაკლებ მოგვეტმასნება ასეთი ხალხი, მით უკეთესია საქმისთვის. (ხელი ჩაიქნია). ეჰ, მაგათი იმედი არასოდეს არ მქონია... დაე, მაგ ვაჟბატონებმა დააარსონ საკუთარი პარტია რამდენიმე გზააბნეული ადამიანისა და დამფუძნებელი კრების კანდიდატებისაგან. მუშები ასეთ პარტიაში არ შევლენ, მას მხოლოდ ტროცკი თუ მიაშურებს. (უცბად შედგა და შემდეგ)... არც ტროცკის... დიახ, არც ტროცკის... ხომ ნახეთ, როგორ მოღალატურად გაამჟღავნა აჯანყების ვადა პიტერის საბჭოს ღია სხდომაზე. ეს ხომ პარტიული საიდუმლოების გაცემაა!.. თქვენ გგონიათ, ეს შემთხვევითია? არა... სრულიადაც არა... ის ახლაც იუდას როლს შეასრულებს.. .ეს მისი ძველი ხელობაა (პაუზა)... არამზადები!..

გ რ ი ა ნ ო ვ ი — ასეთ დროს ღალატი!..

ლ ე ნ ი ნ ი — ძნელი დროა. მძიმე ღალატია. მაგრამ მუშები მაინც გაიმარჯვებენ... სად არიან გამცილებლები, დიდხანს დააგვიანდებათ?

გ რ ი ა ნ ო ვ ი — საცაა მოვლენ... ჰო, მართლა, ოლქის უფროსს ბრძანება გაუცია ნევაზე ხიდები გადახსნან. უნდათ მუშათა რაიონები ცენტრს მოწყვიტონ.

ლ ე ნ ი ნ ი — ხიდები გადახსნანო? რატომ აქამდე არ მითხარით? მაშ თვითონ დაიწყეს? (დაფიქრდა, გაიარა)... სად არის ახლა სტალინი?

გრიანოვი — რედაქციაში დავტოვე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ახლა იქ არ იქნება. შეიძლება უკვე სმოლნში იყოს.

ლენინი — გამცილებლებს, ალბათ, დააგვიანდებათ... (დაფიქრდა. შემდეგ — გადაწყვეტით) სჯობს წავიდეთ. აქ დაიცადეთ... ერთი წუთი და... (მეორე ოთახში გასვლა დააპირა).

გრიანოვი — მარტონი ვერ წავალთ, კონსტანტინ პეტროვიჩ!

ლენინი — არა. ცდის დრო აღარ არის. ახლა მე იქა ვარ საჭირო... (გავიდა. მალე დაბრუნდა პარიკით. მაგიდას მიუჯდა. ბარათი დაწერა. თეფშის ქვეშ ამოსდო). მე მზად ვარ!

გრიანოვი — ეს ყოვლად შეუძლებელია. იქნებ გზაზე რაიმე ხიფათს წავაწყდეთ. პასუხს მე მაგებინებენ. რამდენიმე წუთი დავიცადოთ.

ლენინი — პასუხს მე ვაგებ. ლოდინი დროის ფუჭი დაკარგვაა. წავიდეთ! (კარზე პირობითი კაკუნი ისმის).

გრიანოვი — აჰა, უკვე მოვიდნენ. (კარი გააღო, გაიხედა, გასძახა) მზად ხართ? შეიძლება წასვლა?

ხმა გარედან — შეიძლება, შეიძლება!

გრიანოვი — ახლავე შემოვალ, კონსტანტინ პეტროვიჩ! (გავიდა, რაღაც განკარგულება მისცა და შემობრუნდა. ლენინს). ახლა კი წავიდეთ (თამამად, სიყვარულით), ამხანაგო ილიჩ! სმოლნში... რევოლუციის შტაბში! (ლამპას აქრობენ და საიდუმლო კარით გადიან. მალე მეორე კარიდან შემოვიდა უკვე დაბრუნებული მარგარიტა, ასანთი მოძებნა, ლამპა აანთო, რაკი ლენინის პალტო და ქუდი ვერ დაინახა, მაგიდას მივარდა. წერილს მიაგნო, აიღო).

მარგარიტა — (კითხულობს) „წაველი იქ, სადაც თქვენ არ გინდოდათ წავსულიყავ. ნახვამდის. ილიჩ"... (თავისთვის) არ დამიცადა! ნეტავ ხიფათი არაფერი შეემთხვეს!.. მაშ, მეც წავალ. აქ რაღა დამრჩენია... (თევზიანი კალათი აიღო) ამასაც იქ წავუღებ, მოვუხარშავ. (წასასვლელად ემზადება, როცა გარედან მოისმის ხმაურობა და ბრახუნი. მარგარიტამ ბარათი გადამალა, კალათი დადგა, იქაურობა მიალაგა და კარი გააღო. შემოდის გდინოვი რამდენიმე იუნკრით) რა გნებავთ, მისამართი ხომ არ აგერიათ?

გდინოვი — (დაცინვით) სრულებითაც არა, ქალბატონო. ჩვენ უკვე ყველაფერი ვიცით (ოთახი შეათვალიერა). სად არის ულიანოვ-ლენინი?

მარგარიტა — (ამაყად) ლენინი? ნახევარი საათის წინ იგი აქ იყო, ახლა კი ლენინი მთელ რუსეთშია! (დაცინვით) დაგაგვიანდათ, ვაჟბატონებო. (კალათს ხელი წამოავლო და სწრაფად გავიდა).

ფარდა

## მესამე სურათი

ღამეა. თოვს. ზამთრის სასახლის წინ რევოლუციურ პეტროგრადს ბარიკადები აღუმართავს. მარცხნივ ჩანს ნევა და კრეისერი „ავრორა", წინ — სასახლე მოედნით. შუა მოედანზე აღმართულია ალექსანდრეს კოლონა ანგელოზის ემბლემით. წყვდიადში იჭრება სამხედრო გემების პროჟექტორების შუქი. სასახლის ფანჯრებიდან აქა-იქ სინათლე გამოკრთის. ერთ-ერთი ბარიკადის უკან, სახელდახელოდ გაჩაღებულ კოცონთან, თავი მოუყრიათ მეჩვიდმეტე პოლკის ჯარისკაცებს, ბალტიელ მეზღვაურებს. კამათობენ, ცეცხლზე თბებიან, მღერიან. სიმღერით მოდიან ახალ-ახალი რაზმები. კანტი-კუნტი სროლაა. შემდეგ და შემდეგ სროლა ხშირდება. გაისმის ტყვიამფრქვევთა კაკანიც. ქვემეხების ლულები სასახლეს შესცქერიან.

პირველი ჯარისკაცი — აქ ჩვენც ვიკმარეთ, მუშების სისხლი რაღა საჭიროა. თუ ჩვენ არ გვენდობიან?

შაგოვი — აბა რომელ უნდობლობაზე ლაპარაკობ, როცა მთელი გარნიზონიდან ყველაზე წინ ჩვენ გაგვიშვეს? ცენტრიდან იერიშის მიტანა სხვა პოლკებსაც სურდათ, მაგრამ ჩვენ მოგვანდეს. ასე უთქვამს ამხანაგ ლენინს.

მეზღვაური „ავრორადან" — ლენინსო?.. იცით რა, ბიჭებო? მე ვნახე ამხანაგი ლენინი!

პირველი ჯარისკაცი — ნახე?.. სად?.. როდის?..

მეზღვაური — დღეს, სმოლნში... როცა ჩვენს ბიჭებს ვუამბე „ავრორაზე", სიხარულით ცას ეწივნენ.

პირველი ჯარისკაცი — ბედნიერი კაცი ხარ, ჩემო ძმაო, ბედნიერი! ნეტავ, მეც მანახა ლენინი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ ე ლ ი უ კ ი ნ ი — (მეზღვაურს) ერთი აგვიწერე, როგორია ამხანაგი ლენინი?

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — როგორია და — ჩვეულებრივი, ისეთი, როგორიც შენ, მე, აი ესენი (დანარჩენებზე აჩვენა).

ტ ე ლ ი უ კ ი ნ ი — მე კი მეგონა, რომ... (შემოდის ბერზინი).

ბ ე რ ზ ი ნ ი — როგორაა საქმე, ამხანაგებო? ხომ არ მოგწყინდათ?

შ ა გ ო ვ ი — სულაც არა, ამხანაგო მეთაურო. პუტილოველებს ველოდებით.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — არ მესმის, რაღას ვუცდით. მთავარანგელოზის კურთხევას ხომ არა?

ბ ე რ ზ ი ნ ი — ნუ ბუზღუნებ, ამხანაგო. განკარგულება ასეთია. ასე სჯობს, ალბათ. ბრძანება უნდა შევასრულოთ.

ტ ე ლ ი უ კ ი ნ ი — (მეზღვაურზე მიუთითა) ერთი ამანაც გამოიგონა, რაღა. რაკი საერთო საქმეა, დაე მუშებმაც ჩვენთან ერთად იბრძოლონ. ბარემ ერთად მოვრჩებით და ის იქნება. სოფელშიაც ადრე წავალთ. (შემოდის ინასარი, რომელმაც ყური მოჰკრა უკანასკნელ სიტყვებს).

ი ნ ა ს ა რ ი — მაგასაც მოესწრები... ჯერ მტრის მთავარი ბუდე გავანადგუროთ და მერე სოფლადაც დიდი ბრძოლა მოგველის. (ბერზინს) ამხანაგო ბერზინ, განკარგულებაა, სანაპიროზე და გოგოლის ქუჩაზე შევწყვიტოთ ყოველგვარი მოძრაობა. ყველა ავტომობილი და მგზავრები დააკავეთ და სმოლნში გზავნეთ. (პირველი ჯარისკაცი წინ გადის — ბარიკადებზე).

ბ ე რ ზ ი ნ ი — ქრის! (ჯარისკაცებს) პირველი ათეული ჩემთან! (ტელიუკინი და რამდენიმე სხვა ჯარისკაცი ბერზინთან ერთად გადიან).

ი ნ ა ს ა რ ი — (შაგოვს) ფედია, ის ბარიკადა (მიუთითა) უფრო უნდა ავამაღლოთ. ხომ ხედავ. ფანჯრებიდან ისვრიან. მეორე ბარიკადაც უნდა გავმართოთ... აი იქ, ხიდთან. მესამე ასეული გაგზავნე, ისინი გააკეთებენ.

შ ა გ ო ვ ი — მესმის! (გადის).

ი ნ ა ს ა რ ი — (დანარჩენებს) აბა, ბიჭებო, არ მოიწყინოთ. იმ ანგელოზს ხომ ხედავთ? (მიუთითა ალექსანდრეს კოლონის თავზე). სულ მალე ის მიწაზე უნდა ჩამოფრინდეს! (სიცილი).

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — იქამდე მივიდეთ და — მერე სული სამოთხეში იქნება, ყველანი მისი მფარველი ფრთების ქვეშ აღმოვჩნდებით! (სიცილი).

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — (ბარიკადიდან გადმოსძახა) ამხანაგო კომისარო, არ გვასვენებენ ეს მამაძაღლები... განუწყვეტლივ ისვრიან... ნება მომეცით, შესაშინებლად მაინც მივაყარო...

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — ერთ ყუმბარას მეც გავუგზავნი საჩუქრად, ამხანაგო კომისარო, ა?

ი ნ ა ს ა რ ი — როცა დრო მოვა, ყველანი ერთად გავუგზავნით... სული ნუ მიგდით. (გარედან ისმის და თანდათან ახლოვდება სიმღერის ხმა. ინასარმა მეზღვაურს მიმართა). ნახე, ვინ მოდის! (მეზღვაური გადის. შემოდის შაგოვი).

შ ა გ ო ვ ი — ხიდთან ბარიკადის აგებას უკვე შეუდგნენ. იქ წითელგვარდიელებიც დგანან... გვეხმარებიან. აქაც ახლავე ავამაღლებთ (რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად შეუდგა ბარიკადის ამაღლება-გამაგრებას. მეზღვაური ბრუნდება).

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — მუშები მოდიან, ამხანაგო კომისარო, პუტილოველები. (ყველანი წინ წაიწევენ. სიმღერით შემოდის პუტილოველთა წითელი გვარდიის რაზმი ლიდას მეთაურობით. მათ „ვაშათი“ და ხვევნა-კოცნით ხვდებიან).

ლ ი დ ა — (ინასარს) აი, ჩვენებიც! ორასი კაცი ხიდთან დავტოვეთ.

ი ნ ა ს ა რ ი — (წითელგვარდიელებს) ამხანაგებო, თქვენი პოზიცია აქ იქნება. რაც შეიძლება გაამაგრეთ ბარიკადები და ბრძანებას ელოდეთ. შეგიძლიათ ცეცხლსაც მიეფიცხოთ.

ლ ი დ ა — დალაგდით, ამხანაგებო, მოეწყეთ. (ვასილს) ვასია, აბა, შენ იცი... არ შემარცხვინო.

ვ ა ს ი ლ ი — თავი მოუკვდეს ვასოსა, თუ კერენსკის არ დასცხოსა... (ამხანაგებს) ბიჭებო, მოდით, დავიკავოთ ჩვენი ადგილები. (სოკოლოვს) ვანია, მოიტა მაქსიმიჩი (ტყვიამფრქვევს მოაგორებენ. წითელგვარდიელები განლაგდებიან, ჩაღდება საქმიანობა და საუბარი. სამარკინა, „წითელი ჯვრის“ ნიშნებით მკლავზე, დადის და იქაურობას ათვალიერებს. ტელიუკინს და ერთ ჯარისკაცს შემოჰყავთ დაპატიმრებული პროკოპოვიჩი).

ტ ე ლ ი უ კ ი ნ ი — ამხანაგო კომისარო! აი, თვითონ მინისტრი... შეხედეთ, თავს გეფიცებით, მინისტრია...

პ რ ო კ ო პ ო ვ ი ჩ ი — (ისტერიულად) მე პროტესტს ვაცხადებ... ეს უმსგავსობაა... რათ დამაკავეთ! ვერა მცნობთ? მე მინისტრი პროკოპოვიჩი ვარ... მთავრობის სხდომაზე მაგვიანდება. (ცნობისმოყვარენი გარს შემოერტყნენ).

ი ნ ა ს ა რ ი — თქვენ სმოლნში წაბრძანდებით!

პ რ ო კ ო პ ო ვ ი ჩ ი — რაო? რასა ჰგავს ეს? მთავრობის წევრს ძალას ატანთ? გაუგონარი ამბავია... თქვენ ვინა ხართ?

ი ნ ა ს ა რ ი — პიტერის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის კომისარი ინასარი. კმაყოფილი ბრძანდებით?

პროკოპოვიჩი — მერე და, ვინ მოგცათ უფლება მთავრობის წევრი დააპატიმროთ? ეს თვითნებობაა!.. თქვენ სასტიკ პასუხს აგებთ!.. მე მოვითხოვ ბოდიში მოიხადოთ და ახლავე გამათავისუფლოთ!

მეზღვაური — ეჰე-ეე... ძალიან შორს ნუ შესტოპავ შენ, რალაც მინისტრი ხარ თუ პროკოფი, თორემ ისეთი მოვიდეს რომ...

ლიდა — (მეზღვაურს) დამშვიდდი, ამხანაგო. ეგ რა საჭიროა...

პროკოპოვიჩი — გიმეორებთ, მთავრობის სხდომაზე მაგვიანდება.

ინასარი — თქვენ იქ ვერასოდეს ველარ მიხვალთ. (ტელიუკინს) სმოლნში გაგზავნეთ.

პროკოპოვიჩი — თქვენ პასუხს აგებთ... ეს ძალმომრეობაა. მე პროტესტს ვაცხადებ... (მიჰყვება ჯარისკაცებს. ყველა თავის ადგილს უბრუნდება. აჩქარებული ნაბიჯით შემოდის ალექსანდრე ემელიანოვი).

ალექსანდრე — (ინასარს და ლიდას) აი, ულტიმატუმიც მზად არის. თუ არ დაგვნებდებიან, ცეცხლს გავხსნით. ვინმე უნდა გავგზავნოთ.

ინასარი — მე თვითონ წავალ...

ლიდა — არა, შენი წასვლა არ შეიძლება... აქ ყველა შენი მოიმედეა. ვინ იცის, იქნებ არც გამოგიშვან. (ალექსანდრეს) მე წავალ, ალიოშა... ქალი ვარ, ადვილადაც გავაღწევ.

ინასარი — ეგ შეუძლებელია. აქ ამდენი მამაკაცები ვართ და...

ლიდა — სწორედ მამაკაცებს არ გაატარებენ.

ინასარი — მაშინ ამხანაგ ბერზინს ვთხოვოთ... ახლავე დავუძახებ (სწრაფად გადის).

ალექსანდრე — ლიდა, შენს წასვლას გული არ მიშვება, ჩემო. განა აქ საამისოდ ხალხი არ მოიძებნება?! არ მინდა ამ გადამწყვეტ წუთებში მარტოკა იყო. სჯობს, ერთად გავიმარჯვოთ, ან ერთად მოვკვდეთ.

ლიდა — სიკვდილი რა ბედენაა, ალიოშა! საქმე ისაა, გამარჯვებულებმა ვიცოცხლოთ ერთად. მომავალი გამარჯვებას გვიმზადებს, ჩემო, მე ამას ვგრძნობ. ნუ შიშობ, მშვიდობით დავბრუნდები.

ალექსანდრე — ვაი თუ უბედურება რამ მოხდეს... (შემოდიან ბერზინი და ინასარი).

ინასარი — აი, ამხანაგი ბერზინი მზად არის წასასვლელად.

ბერზინი — (ალექსანდრეს) მომეცით ულტიმატუმი. ახლავე წავიღებ.

ლიდა — (დაასწრებს) არა, ჩვენ უკვე შევთანხმდით. მე მივდივარ!

ალიოშა — (ყოყმანობს. ინასარს და ბერზინს გადახედავს, შემდეგ ლიდას მიმართავს) კარგი, თანახმა ვარ... მაგრამ მარტო ნუ წახვალ, ვინმე თან წაიყვანე.

ლიდა — (მიმოიხედა. სამარკინა დაინახა) ნინას წავიყვან. ჩვენ ორნი ადვილად გავალთ. ნინა, მოდი, მოდი! ჩემთან ერთად წამოხვალ...

სამარკინა — (მივიდა) სად უნდა წავიდეთ?

ლიდა — ახლავე გვეტყვიან. შენ ოღონდ თეთრი ბაირაღი მოამზადე!

ალექსანდრე — (ლიდას) აი ამ პაკეტს შტაბში გადასცემთ. (პაკეტი მისცა. ლიდამ გახსნა, გადაათვალიერა და უბეში შეინახა. სამარკინა ბაირაღისთვის წავიდა. ალექსანდრემ ბარიკადაზე წინ გასულ შაგოვს გასძახა). სროლა შეწყვიტეთ! ნიშანი მიეცით! პარლამენტიორებს ვგზავნით. (ბარიკადაზე აღმართეს თეთრი დროშა. სროლა თანდათან შენელდა).

სამარკინა — (ბაირაღი მოიტანა) აი, ბაირაღიც. (ალექსანდრეს) შეგვიძლია წავიდეთ?

ალექსანდრე — ფრთხილად იყავით. მოსაფიქრებლად ათ წუთს მისცემთ. შემდეგ დაბრუნდებით.

ინასარი — რომ დააკავონ?

ლიდა — სისულელეა!.. ვერ გაბედავენ!..

ალექსანდრე — თუ გაბედავენ და... ძვირად დაუჯდებათ! (სროლა შეწყდა).

შაგოვი — (ბარიკადიდან გადმოსძახებს). იუნკრებმა თეთრი დროშა დაინახეს. შეგიძლიათ გადახვიდეთ.

ლიდა — მაშ მივდივართ! (ინასარს და ბერზინს) ნახვამდის. (ალექსანდრეს) ნახვამდის, ალიოშა! (თვალში სიყვარულით ჩახედა, ორივე ხელი ჩამოართვა. შემდეგ ქალებმა იარაღი აიხსნეს, ხელში თეთრი ბაირაღი დაიკავეს და გავიდნენ).

ბერზინი — ჩვენც (ინასარზე მიუთითა) გავყვებით, ამხანაგო ემელიანოვ. წინა ხაზამდე გავაცილებთ (გადიან).

ალექსანდრე — (თითქოს გაბრუებულია) ლიდა!.. ლიდა!.. (თავისთვის) მე წავიდოდი... გული ცუდს მეუბნება... (გამოერკვა) შორს ჩემგან შავო ფიქრებო... (გაისმა სროლა)... აჰა, ესროლეს... უიარაღო ქალებს ესროლეს... (სწრაფად გადის წინ, ბარიკადზე).

შაგოვი — (ბარიკადიდან) დააკავეს..! მგონი ესროლეს კიდეც. ეშმაკმა დალახვროს... ვერაფერი ჩანს! (საერთო მღელვარება).

მეზღვაური — მე მაგათი... სროლა ეგრე არ უნდა... მთელი ასეული ამოვწყვიტო... (წასვლა დააპირა).

შაგოვი — არ გაბედო, დადექ!

მეზღვაური — როგორ, მაშ უიარაღოს უნდა ესროლონ?!

ვასილი — (სოკოლოვს) ვანია, მოდი ერთი შენი სარეკელა მივუშვათ. აბა ნახონ, როგორ უნდა სროლა... (სოკოლოვი და ვასილი ტყვიამფრქვევს გააწყობენ).

ალექსანდრე — (ინასართან ერთად ბრუნდება) ვასია, რას სჩადიხარ. არ ისროლოთ! განკარგულება არ მიგვიღია.

ინასარი — მოითმინეთ, ამხანაგებო. იუნკრებმა, მგონი, ჰაერში ისროლეს. ცოტა დავიცადოთ!

მეზღვაური — რაღა დროს დაცდაა! მათ უკვე ტყვიით გვიპასუხეს!

ალექსანდრე — (თავისთვის) ჰმ! მაშ ასე? ცეცხლს ეთამაშებით, ავაზაკებო!.. ცეცხლს. სისხლი!.. ლიდას სისხლი!.. (შემოდის ბერზინი).

ბერზინი — (ალექსანდრეს) სმოლნიდან გეძახიან.

ალექსანდრე — ახლავე... (საათს დახედა). პასუხის მოსაფიქრებლად მიცემული დროიდან წუთები-ღა დარჩა. (ინასარს და ბერზინს). უბრძანეთ, საიერიშოდ მოემზადონ. ტყვიას მხოლოდ ტყვია მოერევა. ელოდეთ „ავრორას" გასროლას. იერიშს თქვენ დაიწყებთ! (გადის).

ინასარი — (ბერზინს) მოემზადეთ... მე მეზღვაურებს დავხედავ. (გადის).

ბერზინი — (განკარგულებას იძლევა). ყველანი თავის ადგილას. იერიშისათვის მზად იყავით. (მეზღვაურს და მის ჯგუფს) ქვემეხები მიმართეთ იმ ფანჯრებისაკენ, საიდანაც სინათლე მოჩანს. (ყველა თავის ადგილს იკავებს. სროლა ხშირდება. მოისმის საიერიშო სასიგნალო გასროლა „ავრორადან". ბერზინმა საათს დახედა) დაიწყო!.. (რევოლვერით ხელში შემოიჭრება ინასარი და ბერზინს გვერდით ამოუდგება).

ინასარი — აბა, ბიჭებო, სასახლის საიერიშოდ — მომყევით! (შემორბის ალექსანდრე).

ალექსანდრე — ძმებო, მეც თქვენთან ვარ! არა სიკვდილი, არამედ გამარჯვება, ამხანაგებო! თავისუფლებისათვის, სიცოცხლისათვის, წინ!

ხმები — ვაშა-ა-ა! ვაშა-ა-ა! წინ!

თოვლის ფანტელში, „ავრორას" ქვემეხების გრიალში, ელვასავით რომ ანათებენ ოქტომბრის ბნელ ღამეს, იწყება საერთო იერიში ზამთრის სასახლეზე.

ფარდა

## ᲛᲔᲦᲗᲮᲔ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

ზამთრის სასახლე. დარბაზში თავი მოუყრიათ დროებითი მთავრობის წევრებს. ყველანი ღელავენ. ზოგი ბოლთას სცემს, ზოგი სავარძელში თვლემს, ზოგიც მაგიდას უზის. იუნკრები კარს იცავენ. ოფიცრები შემოდიან და გადიან. შემდეგ და შემდეგ გარედან მოისმის ტყვიამფრქვევთა სროლა, ქვემეხების გრიალი, ყიჟინა, რაც თანდათან ძლიერდება. პოლკოვნიკ სინეგუბთან ლიდა სვეტლოვა და სამარკინა დგანან, მათ იუნკრები აქეთ-იქით ამოსდგომიან.

სინეგუბი — (ლიდას) თქვენ ერთხელ გადამირჩით იქ, ფრონტზე, ახლა კი ველარსად წამიხვალთ. ჩემ ხელში ხართ. კარგად დაფიქრდით... გირჩევთ დაგვთანხმდეთ.

ლიდა — (ამაყად) არასოდეს! მოღალატენი საკუთარ რიგებში ეძიეთ.

სინეგუბი — სამწუხაროა თქვენი ჯიუტობა... (პაუზა) მაშ, თანახმა არა ხართ, რომ სმოლნს დაურეკოთ და იერიშის შეჩერება ურჩიოთ?

ლიდა — მაგაზე ლაპარაკიც არა მსურს...

სამარკინა — უსინდისოდ იქცევით, პოლკოვნიკ, ლაჩრულად... უიარაღო პარლამენტიორებს ესვრით, აპატიმრებთ...

სინეგუბი — თქვენ შეგიძლიათ ახლავე თავისუფლება მიიღოთ, მხოლოდ ჩვენი მოთხოვნა შეასრულეთ.

ლიდა — ღალატით ნაშოვნ თავისუფლებას სახელოვანი სიკვდილი გვიჯობს! ვერ ეღირსებით!..

სამარკინა — დაგვიანებულია! ჩვენები მალე სასახლის ეზოში იქნებიან. (შემორბის ნინა პანინა, რომელიც ხელით მოათრევს არტილერისტთა ოცეულის უფროსს).

ნინა — პოლკოვნიკ!.. ჩვენს გვერდით არტილერისტებმა პოზიცია მიატოვეს. აი მათი მეთაურიც!

არტილერისტი — თანახმად დივიზიონის მეთაურის განკარგულებისა, ბატარია ყაზარმაში ბრუნდება. გამომგზავნეს, რომ მოგახსენოთ.

სინეგუბი — (განრისხებული) ხომ არ გაგიჟდით! ეს ღალატია!.. აქვე დაგხვრეტთ! ბატარია მე [illegible] მემორჩილება... (ნინას) წადით და ჩემი სახელით გააჩერეთ ბატარია!

ნ ი ნ ა — მესმის!.. (გადის).

ა რ ტ ი ლ ე რ ი ს ტ ი — უკვე გვიან არის... ჯარისკაცები აცხადებენ, რომ მხოლოდ დივიზიონის კომიტეტს ემორჩილებიან. ანკი, ვის უნდა ვესროლოთ ჩვენ?

ს ი ნ ე გ უ ბ ი — მე თქვენ გაპატიმრებთ, ბატარიას კი ცალკე მოველაპარაკები.

ა რ ტ ი ლ ე რ ი ს ტ ი — დარჩენა არაფრით არ შემიძლია. ნაბრძანები მაქვს სკოლაში დავბრუნდე! (სწრაფად გადის. სინეგუბი სახტად რჩება).

ლ ი დ ა — პოლკოვნიკ, გიჯობთ შეწყვიტოთ ეს სისხლისღვრა! ხომ ხედავთ — სასახლის დაცვა თოვლივით დნება. უბრძანეთ, წინააღმდეგობას ნუ გვიწევენ!

ს ი ნ ე გ უ ბ ი — (გაბრაზებული — ლიდას). კმარა ლათაიები! (ტელეფონზე აჩვენა) აი, ტელეფონი. უკანასკნელად გეკითხებით: დაურეკავთ თუ არა? თუ იერიშს შეაჩერებენ, შემდეგ შეიძლება მოვილაპარაკოთ. ჩვენ მზად ვართ შევთანხმდეთ. (გარედან სროლა და ყიჟინა ძლიერდება).

ლ ი დ ა — (რაღაც მოიფიქრა) კარგი... თანახმა ვარ. (ტელეფონთან მივიდა).

ს ი ნ ე გ უ ბ ი — (ხელები მოიფშვნიტა). აი, ეს გონივრულია! (მთავრობის წევრებმა ყურები ცქვიტეს).

ლ ი დ ა — (ტელეფონით) ალლო... შემიერთეთ სმოლნი. სმოლნია?.. მომეცით კომენდანტი... დიახ, კომენდანტი.., ამხანაგო გრიანოვ! ლაპარაკობს სვეტლოვა... ჰო, ლიდა ვარ, ლიდა... ზამთრის სასახლიდან... დიახ.. დიახ... გთხოვთ გადასცეთ ამხანაგ სტალინს, რომ სასახლეზე იერიში გააძლიერონ (ღელავს) მთელი ძალებით... უფრო მედგრად... ჰო, ყველანი აქ არიან... თავზარდაცემულნი... ცეცხლი!.. რაც შეიძლება ძლიერი ცეცხლი!.. აჰა, ჩვენების ყიჟინა მესმის... ისინი ახლოვდებიან... ცეცხლი!..

ს ი ნ ე გ უ ბ ი — (მივარდა, ტელეფონი გამოგლიჯა) ახ! მაშ ასე?! (რევოლვერი იძრო).

გ დ ი ნ ო ვ ი — (დამფრთხალი შემოვარდა ქოშინით. სინეგუბს) ბატონო სარდალო! ისინი უკვე სასახლეში შემოიჭრნენ. პირველი სართულის დერეფნებში ხელჩართული ბრძოლაა... იუნკრები გარბიან... ნებდებიან სიცოცხლის შენარჩუნების პირობით...

ს ი ნ ე გ უ ბ ი — (შედგა. რევოლვერი დაუშვა). როგორ თუ ნებდებიან?! ვინ უბრძანა?!

ლ ი დ ა — (აღელვებული, გახარებული) აჰა! მაშ, აღსრულდა!.. (ყიჟინის ხმა მატულობს. იქ მყოფთ). ხომ გესმით, არამზადებო!.. თქვენი წუთები დათვლილია!.. დაჰკრა თქვენი აღსასრულის ჟამმა! (შემორბის ნინა პანინა).

ნ ი ნ ა — (სინეგუბს) მეზღვაურები უკანა ეზოშიც შემოიჭრნენ. ქალთა ბატალიონი დანებდა!.. იუნკრებმა იარაღი დაჰყარეს!..

კ ო ნ ო ვ ა ლ ო ვ ი — ეს შეუძლებელია!.. იუნკრებმა უნდა იბრძოლონ!.. დილამდე უნდა გავუძლოთ!.. სადაცაა კერენსკი მოგვეშველება. (გდინოვს) გაიქეცით!.. შეაჩერეთ!.. გზა გადაუჭერით იმ ბანდიტებს!.. (საყოველთაო დაბნეულობა. ზოგი სავარძელს და მაგიდას ეფარება, ზოგი კარისკენ იცქირება. გდინოვი გაბრუებული მისჩერებია სინეგუბს).

ს ი ნ ე გ უ ბ ი — (ფიქრობდა. გამოერკვა). მაშ, ველარ შევაჩერებთ? (გდინოვს და პანინას) ვერ დააბრუნებთ იუნკრებს და ბატალიონს?

ნ ი ნ ა — ველარ, ბატონო სარდალო!

გ დ ი ნ ო ვ ი — შეუძლებელია. ისინი უკვე განიარაღებული არიან.

კ ო ნ ო ვ ა ლ ო ვ ი — (მედიდურად) მე თვითონ წავალ!.. მე დავაბრუნებ!.. მე ვაჩვენებ ავაზაკ ბოლშევიკებს დიდი რუსეთის ძალას! (გადის).

ს ი ნ ე გ უ ბ ი — (მოიფიქრა. გდინოვს სვეტლოვასა და სამარკინაზე მიუთითა). გაათრიეთ! მაგათი სული რუსეთის მფარველ ანგელოზებს გაუგზავნეთ!

ლ ი დ ა — ძაღლებო!.. ჩვენი სიკვდილი თქვენ ვერ გიხსნით... დაე, ჩვენი სისხლიც ჩვენი ძმების სისხლს შეუერთდეს...

ს ა მ ა რ კ ი ნ ა — სულერთია, ამ სისხლის ზღვას თქვენ ვერ გადაურჩებით... იგი წაგლეკავთ დაგახრჩობთ... (ლიდას და სამარკინას ძალით გაყვანას უპირებენ, როცა შემოვარდება გაფითრებული კონოვალოვი. გარედან ისმის ყვირილი, სროლა, ხმები).

კ ო ნ ო ვ ა ლ ო ვ ი — ეს რა ამბავია, გაქცევაც აღარ შეიძლება! პოლკოვნიკ! რა ვქნათ?..

ხ მ ე ბ ი გ ა რ ე დ ა ნ — აქ მოიტათ ეგ დროებითი არამზადები!

— სიკვდილი ბურჟუებს!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ — ვასია, ლიდა მონახე, ლიდა!.. (კარებში შემოიჭრებიან ალექსანდრე, ინასარი, ბერზინი, მეზღვაურები, წითელგვარდიელები. დროებითი მთავრობის წევრებს და რამდენიმე იუნკერს გარს შემოერტყმიან).

ლ ი დ ა — ალიოშა!.. ამხანაგებო!.. (ალექსანდრესთან მიიჭრა, გადაეხვია).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ლიდა!.. ძვირფასო!.. შენ ცოცხალი ხარ?!

ს ი ნ ე გ უ ბ ი — (ალექსანდრეს) ჩვენ თანახმა ვართ შევთანხმდეთ!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სახელით თქვენ დაპატიმრებული ხართ,

პოლკოვნიკ! (დანარჩენებს) თქვენც, მოქალაქე მინისტრებო!

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — (შაშხანა იატაკს დაჰკრა) რაღას ვებოდიშებით! კმარა რაც დალიეს ჩვენი სისხლი!

ხ მ ე ბ ი — აქვე გავათავოთ, მაგათი...

კ ო ნ ო ვ ა ლ ო ვ ი — როგორ ბედავთ! იცით თუ არა...

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — რაც საჭიროა, ვიცით... აქ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტია უფროსი და არა თქვენ (მეზღვაურს) არავითარი თვითნებობა, ამხანაგო! (ინასარს) გაჩხრიკეთ! სია შეადგინეთ! (იწყება ჩხრეკა. იუნკრებს ჯიბიდან აცლიან ნაპარავ ძვირფას ნივთებს, მაგიდაზე ალაგებენ. სიას ადგენენ და პატიმრები სათითაოდ გაჰყავთ. ბერზინს) ამხანაგო ბერზინ, სასახლე გაწმინდეთ, პატრულები დააყენეთ. (ტელეფონი აილო) მომეცით სმოლნი... კომენდატურა... სთხოვეთ ტელეფონთან ამხანაგ გრიანოვს... დიახ, გრიანოვს...

ფ ა რ დ ა

## ეპილოგი

25 ოქტომბერი. შუაღამე გადასულია. მიმდინარეობს საბჭოების მეორე ყრილობის სხდომა სვერდლოვის თავმჯდომარეობით. დარბაზი გაჭედილია დელეგატებით, მუშებით, მეზღვაურებით, ჯარისკაცებით. ზოგი ფანჯარაზე ჩამომჯდარა, ზოგიც გასასვლელში დგას. ლაპარაკობს გოლენკო.

გ ო ლ ე ნ კ ო — პეტროგრადის პროლეტარიატი არავის დაუთმობს საკუთარი სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას. აი, ამ წუთებში, პიტერის ქუჩებში და მოედნებზე იღვრება ჩვენი ადამიანების სისხლი არა იმისათვის, რომ ძალაუფლება ეშმაკს ჩამოვართვათ და ტარტაროზს გადავცეთ... არა! რუსეთის მართვა მუშებმა უნდა აიღონ საკუთარ ხელში... (შემოდის გრიანოვი, სვერდლოვთან მიდის, ხმადაბლა ელაპარაკება)... პუტილოველ მუშათა სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ არ დავუშვებთ არავითარ შეთანხმებას, არავითარ ვაჭრობას, არავითარ უკანდახევას... უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ ჩვენი საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის!.. (ტრიბუნიდან ტაშით მიაცილებენ).

ხ მ ე ბ ი — ვაშა-ა-ა!

— გაუმარჯოს პუტილოველებს!

ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი — (ზარი დარეკა). სიწყნარე, ამხანაგებო, სიწყნარე! ცნობისათვის სიტყვა ეძლევა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელს.

გ რ ი ა ნ ო ვ ი — (ტრიბუნაზე ადის) ამხანაგებო, საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატებო! სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სახელით გაცნობებთ, რომ პიტერის მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა რევოლუციურმა რაზმებმა ბრძოლით დაიკავეს ზამთრის სასახლე (ტაში, „ვაშას“ შეძახილები). სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებით დროებითი მთავრობა დაპატიმრებულია და პეტრე-პავლეს ციხეში გაიგზავნა. კერენსკი გაიპარა. სასახლის გარნიზონი განიარაღებულია... პეტროგრადში რევოლუციამ გაიმარჯვა, ამხანაგებო!.. (დარბაზის ტაშის გრიალში და „ვაშას“ შეძახილში გრიანოვი ტრიბუნიდან ჩამოდის. დარბაზის მთავარ კარში გამოჩნდება თანამებრძოლებით გარშემორტყმული ლენინი, მაყურებელთა დარბაზს გადაივლის და ტრიბუნისაკენ მიდის. გაისმის შეძახილის ხმები).

ხ მ ე ბ ი — ლენინი! ლენინი!

— ლენინი ჩვენთან არის!

— ვაშა ამხანაგ ლენინს!

— გაუმარჯოს რევოლუციას!

მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ტაშის გრიალით ეგებება რევოლუციის ბელადს. ლენინი ტრიბუნაზე ადის, ელოდება დარბაზის დაწყნარებას, შემდეგ ამოიღებს საათს და ისარზე აჩვენებს: დროს ნუ ვკარგავთო. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდება.

ლ ე ნ ი ნ ი — ამხანაგო დელეგატებო! რუსეთის მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! სოციალისტური რევოლუცია, რომლის აუცილებლობაზე მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, უკვე მოხდა... (ოვაცია, „ვაშას“ შეძახილები). ამიერიდან რუსეთისა და მთელი მსოფლიოს ისტორიაში დგება ახალი ერა... ეს არის დასაწყისი გაზაფხულისა, რომელმაც კაცობრიობას უნდა მოუტანოს ნამდვილი ბედნიერება. რუსეთის ეს მესამე რევოლუცია საბოლოოდ მიგვიყვანს ჩვენ სოციალიზმის გამარჯვებამდე როგორც რუსეთში, ისე მთელ მსოფლიოში... (მქუხარე ოვაცია და „ვაშას“ უერთდებიან სცენაზე მყოფნიც. ისინი იწყებენ „ინტერნაციონალის“ სიმღერას, რასაც მთელი დარბაზი აიტაცებს).

ფ ა რ დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

★

# სოფლის დედა

ნარკვევი

გვალვისაგან დამსკდარ გზაზე სწრაფი ნაბიჯით მიდის ქალი. კაბის კალთის შერხევაზე მტვერი მძიმედ დგება მიწიდან და სქლად ეფინება პლანტაციის შეყვითლებულ ფოთლებს.

რამდენიმე დღეა, პაპანება ადგას მიწას და ხელფეხს უბორკავს სულდგმულს. მაგრამ გზაზე გასული ქალი არ ერიდება ხვატს, თაკარა მზეს, ჯიქურად მიიჩქარის წინ. თავსაფარი მხრებზე ჩამოვარდნია. არ გრძნობს ამას, არც ტყვიისფერი, გახურებული მტვრით გადაპენტილ ჩაის ბუჩქებს ამჩნევს, არც შემჭკნარ დუყებს, სხვა დროს თვალდახუჭულიც რომ შენიშნავდა და გულს დაწვავდა. ახლა მის გულსა და გონებას სხვა დარდი და ფიქრი შესჩენია.

„ასეთ გახურებულ კრეფის დროს უბრალო საქმეზე არ დამიბარებდა, რაღაც ფათერაკია ჩემს თავს.., ჰო, რაღაც ფათერაკია ჩემს თავს! — ჩურჩულებდა შეშფოთებით. დიდი თვალები შიშისაგან კიდევ უფრო გადიდებია. მზისაგან გარუჯულ კოლხურ სახეზე ოფლი უბრწყინავს, — იქნებ ბიჭს დაატყდა რაიმე... ან პიმენს უჭირს... ამისათვის მიბარებენ, ჰო, ამისათვის მიბარებენ. ნამდვილად რაღაც ფათერაკია ჩემს თავს... საქმეზე რომ მეძახდეს, ამ დილით ჩემს რგოლში არ იყო!“

პლანტაციიდან და ყანიდან თავმჯდომარე გამგეობაში არასოდეს არ დაიბარებდა კოლმეურნეს, არ მოაცდენდა სამუშაოს. თუ საქმე ჰქონდა, თვითონ, თავისი ფეხით მიაკითხავდა იქ. ახლა, როცა კოლმეურნეთა ერთი მესამედი ჯარში იყო წასული და დარჩენილები ფოთლის კრეფას თავს ვერ ართმევდნენ, თავმჯდომარე არაფრის დიდებით არ დაიბარებდა პლანტაციიდან.

კოლმეურნეობის კანტორამდე სამი კილომეტრი აღმართი იყო სავალი. სანამ კანტორამდე მიაღწევდა, თავისი დაემართებოდა. „ღმერთო, ნუ გაუჭირვებ ჩემს ბონდოსა და ჩემს კაცს“, — არასოდეს არ სწამდა ღმერთი, მაგრამ ახლა მზად იყო, ამ მტვრიან გზაზე ჩაემუხლა და შევედრებოდა უფალს — ოღონდ ცუდ ამბავს ამაშორე და ასი ქალის საქმეს დავადგამ თავსო!

პლანტაციიდან გზატკეცილზე გავიდა. გზისპირას, მინდორზე ცხენი დაინახა. ულაყი ახალი გახედნილი იყო და ჯერ პატრონიც ვერ ბედავდა შეჯდომას, მაგრამ ქალს ისე მიუჩქაროდა, ურა ცხენზე კი არა, ქაჯზე შეჯდებოდა. თხრილზე გადახტა და ცხენისკენ გაეშურა.

— ფვიტ... ფვიტ! — დაუძახა ულაყს.

ცხენმა თავი ასწია და ყურებდაცქვეტილი შემოაჩერდა მისკენ გაჩქარებით მომავალს. მისმა სითამამემ ისე გააოცა, რომ არ განძრეულა მაშინაც, ქალმა ფაფარში რომ ჩასჭიდა ხელი, დაიფრუტუნა მხოლოდ. ქალმა არ დააყოვნა; ქორივით მოაფრინდა ზურგზე. ულაგმო ცხენმა მაშინვე თავი წაართვა და წინ გაენთო.

გათხოვების შემდეგ იგი უბელო ცხენზე არა მჯდარა. არასოდეს არ იფიქრებდა, რომ ოცდათხუთმეტი წლის ქალი კვლავ მოევლებოდა ცხენის ტიტველ ზურგს...

კოლმეურნეობის კანტორის ოთახში, მაგიდის წინ ნერვულად მიმოდიოდა შუა ტანის, ხმელ-ხმელი, ერთი შეხედვით მკაცრი შესახედაობის მამაკაცი. კედელთან სკამზე კოლმეურნე იჯდა. იქვე მის ფეხებთან სახელდახელოდ შეკერილი ჯარისკაცის სამგზავრო ჩანთა იდო. კოლმეურნე სამობილიზაციო ფურცელს კეცავდა, რომ მერე უბის ჯიბეში შეენახა. ეტყობოდა, ამ ორ კაცს შორის საუბარი უკვე დამთავრებულიყო და ახლა ის უხერხული სიჩუმე იდგა, რომელიც დაშორების წინა წუთებს ახლავს. ხმელ-ხმელი მამაკაცი უცებ შედგა, ღია ფანჯრისკენ მოტრიალდა და დაყურადდა.

— ვიღაცაა, გადარეულია! — თქვა თავისთვის. ჩვეულებად ჰქონდა, ლაპარაკის დროს თანამოსაუბრეს სახეში არ უყურებდა, მის მხრებს იქით, სივრცეში იცქირებოდა.

— ვიზე ამბობ, ანთიმოზ? — გაიკვირვა სკამზე მჯდომმა კოლმეურნემ.

გავიდა ცოტა ხანი და ოთახში გარკვევით შემოიჭრა თქარათქური. ორივე ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრიდან ქვევით მთელ ორ კილომეტრზე ხელისგულივით მოჩანდა ზუგდიდ-ახალსოფლის გზატკეცილი, რომელიც ახლა მტვრის კორიანტელს დაეფარა. როცა მტვრის კორიანტელი კანტორის ეზოს გაუთანაბრდა, გაქაფული ულაყი ისარივით გამოიჭრა მტვრიდან და ჭიშკრის წინ ყალყზე შეიმართა.

ფანჯარასთან მდგომნი სახტად დარჩნენ.

ქალი სწრაფად გადმოხტა ცხენიდან, თავსაფარი და კაბა შეისწორა, სახეზე ოფლი მოიწმინდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინჯი, დამშვიდებული ნაბიჯით გასწია კანტორისაკენ.

— რომ ეამბათ, არ დავიჯერებდი, თამარია ეს, ანთიმოზ? — ჰკითხა გაოცებით ჩანთიანმა კოლმეურნემ ხმელ-ხმელ მამაკაცს. — სილოვანის გადარეულ ულაყზე იჯდა?!

— შენ კი ამბობ, ვერ გაუძლევბაო თამარ ყუფუნია ბრიგადას, — ნიშნისმოგებით უთხრა ანთიმოზმა. — ეხ, ბრიგადირო, ცუდად იცნობ თამარ ყუფუნიას.

— შენ ფიქრობ, კარგი ბრიგადირობისათვის კარგი ცხენოსნობა კმარა? — გაიღიმა ბრიგადირმა.

ანთიმოზმა წარბი შეიკრა, უნდოდა რამე მკვახე ეთქვა ამ „მოსწრებული სიტყვისათვის", მაგრამ ამ დროს კარი გაიღო.

თამარი შემოვიდა. ისეთი მშვიდი და უნაღვლო იყო, კაცი ვერ იფიქრებდა, რომ ეს ქალი წუთის წინ ასე გააფთრებით მოაფრენდა იმ „გადარეულ ულაყს".

— სამუშაოს მოგაცდინე, თამარ, — უთხრა მობოდიშების კილოთი ანთიმოზმა, რადგან მისმა დაკვირვებულმა თვალმა უმალ შენიშნა, რა შიში და მღელვარება იფარებოდა ქალის მოჩვენებით სიმშვიდეში.

— ალბათ რაღაც სასწრაფო საქმე გაქვს, ანთიმოზ, თორემ ასეთ დროს ნაკვეთიდან არ დამიბარებდი, — უთხრა თამარმა, რამდენადაც შეეძლო, დამშვიდებით, მაგრამ ბოლოს მაინც ხმა შეუკრთა და მოუთმენლად ჰკითხა: — მითხარი, თავმჯდომარევ, რა ამბავია ჩემს თავს?

— შენი ბრიგადირი მიდის, თამარ.

თამარმა შვებით ამოისუნთქა, მადლობა ღმერთს, თუ მარტო ეს ამბავიაო. ბრიგადირი ჯარში რომ გაიწვიეს, ეს ყველაზე უწინ მან გაიგო. ამ დილით თვითონ იონა ყუფუნიამ ჩამოუარა თავისი ბრიგადის წევრებს, გაწვევის ამბავი შეატყობინა და გამოეთხოვა.

— შენ უნდა მიხედო ბრიგადას, სანამ ვინმეს შევარჩევდე, — განაგრძო თავმჯდომარემ.

— მე... ე! — გაიოცა თამარმა და ბრიგადირს გადახედა.

იონა ყუფუნიამ მხრები აიჩეჩა — მე არაფერ შუაში ვარო.

— სად შემიძლია ბრიგადის გაძღოლა, ანთიმოზ!

— „სად შემიძლია ბრიგადის გაძღოლა", — გამოაჯავრა თავმჯდომარემ თამარი.

ანთიმოზი ფიცხი იყო და ხანდახან უკმეხიც. მაგრამ მას ყველაზე კარგად იცნობდა თამარი და იცოდა, გული კეთილი ჰქონდა.

— ღმერთი ამოაგდებს ამ ქალებს, — ცხარობდა თავმჯდომარე, — ჩვენ ახლა არავინ გვეკითხება, შეგვიძლია თუ არა... იქ, ფრონტზე არ ეკითხებიან ჩვენს ძმებს, შვილებს შეუძლიათ თუ არა... გასაგებია!

— გასაგებია, — თქვა მორჩილად თამარმა.

. . .

„ვინღა დაგვრჩა ჯარში გასაწვევი? ოცდაერთი კაციდან იონა დღეს მეთოთხმეტე მიჰყავთ, — ფიქრობდა კანტორიდან მიმავალი თამარი. — როცა ყველა წევრი შინ გვყავდა, არ გვიჭირდა, არაფერი გვაკლდა, არც ხარ-კამეჩი, არც სასუქი, მანქანა-იარაღი. თუ რამე დაჭირდებოდა ბრიგადირს, გაუჩენელს გაუჩენდნენ... ისეთი კაცები წაგვივიდნენ ჯარში, ქვას წვენს აღენდნენ... ახლა მე, ქალების იმედით დარჩენილმა, როგორ გავართვა თავი ბრიგადას! ყველა ყველა, მაგრამ შრომადღეების აღრიცხვას რომ ვერ მოვახერხებ! ამას ხომ ცოდნა, ანგარიში უნდა..."

ფიქრიდან ცხენის ჭიხვინმა გამოარკვია. ულაყს, რომელზეც თავმომწონე ვაჟკაცები ვერ ბედავდნენ შეჯდომას, თითქოს ახლა მოუვიდაო გული, რომ ქალმა ულაგმოდ, უბელოდ ტყრიპი გააგდებინა ამ აღმართზე. გაშმაგებული ხვიხვინებდა, ყალყზე დგებოდა. „რამ გამაბედვინა ამ გადარეულზე შეჯდომა?" — გაოცდა თამარი და, შეშინებულმა, გზიდან გადაუხვია...

კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე ახალსოფელში გლეხი წელებზე ფეხს იდგამდა და მაინც კუჭი შიმშილით უხმებოდა. აქ სიმინდისა და ლობიოს მეტი არაფერი მოჰყავდათ. სიმინდი იყო გლეხის შემოსავლის ერთადერთი წყარო, მაგრამ კავით მოხნული ერთი მტკაველი წითელი მიწა აბა რა მოსავალს მისცემდა გლეხს!

ახალსოფლის ნახევარზე მეტი მიწები ეკალბარდით იყო დაფარული. მათ წალდითა და ცულით ვერ გაკაფავდა გლეხი. ან ვინ გააკაფინებდა! მიწები მემამულეებს ეკუთვნოდა. ამიტომ გლეხი წელიწადში რვა-ცხრა თვე გარეთ სამუშაოზე დადიოდა ლუკმაპურის საშოვნელად.

უმამაკაცოდ დარჩენილი სახლ-კარი გაპარტახებული იყო, არც ყანა ჰგავდა ყანას და არც საქონელი საქონელს.

1928 წლიდან კი დაიღო გამოკეტილი სახლების კარები, როგავებმა, ყუფუნიებმა, ქუთელიებმა, ღუბელაძეებმა, ჭურღულიებმა და მაქაცარიებმა შეწყვიტეს სამუშაოს საძებნელად სხვის კარდაკარ სიარული. დაუბრუნდნენ თავის კერას, თავის მიწას. ეს მიწა სულს ხდიდა მათ, ჭაპანს წყვეტდა და ამის საფასურს არაფერს აძლევდა. აბა, როგორ იფიქრებდნენ, რომ ის ვინც ხელს გაანძრევდა, ამ მიწაზე მწვანე ოქროს მოკრეფდა. (მწვანე ოქრო უწოდეს შემდეგ გლეხებმა ჩაის ფოთოლს).

1928 წელი იყო საქართველოში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების დამკვიდრების წელი. ყველა პირობას უქმნიდნენ გლეხს, ოღონდ ახალი და დიდი საქმისათვის მოეკიდა ხელი. მაგრამ მან ჯერ არ იცოდა ამ უცნობი ბუჩქისა და ხის ფასი.

„მართლაც ოქრო რომ გამოისხას, სად ვუცადო მე მის ნაყოფს სამი-ოთხი წელიწადი!" ამბობდნენ ერთნი.

„ჩაი ვასვა ჩემს ცოლ-შვილს და მანდარინი და ფორთოხალი ვაჭამო, როცა ჭადი არ აქვს სამყოფი!

მწარედ ეცინებოდათ სხვებს.

ახალსოფელში პირველად კაპიტონ ქუთელიამ გააშენა ჩაის პლანტაცია.

რახან ამ გამრჯელმა კაცმა ჩაის ხელი მოჰკიდა, უთუოდ დიდი მადანია ამ საქმეშიო, — თქვეს სოფელში და მალე იონა ყუფუნიამ და გრიგოლ რევიამაც გააშენეს ჩაი. როცა სხვებმა დაინახეს, რომ ქუთელიას, ყუფუნიას და რევიას სახელმწიფომ ყოველგვარი შემწეობა მისცა ჩაის პლანტაციის გასაშენებლად, თვითონაც გაეხსნათ გული. ხალხი ჯერ მხოლოდ იმით მოიხიბლა, რომ სახელმწიფო მათ პლანტაციის გაშენებისათვის ხორბალს, ბრინჯს, შაქარს, ჩითეულს და ფულს აძლევდა. მეტი რა უნდოდა მაშინდელ გლეხს, რომელსაც ღორის ტყავის ქალამანი და შინ მოქსოვილი ჩოხა ეცვა, რომელსაც ნაბდის ოდენა მიწა ჰქონდა, რომლის სასიმინდე არასოდეს ივსებოდა.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბება რომ დაიწყო, იმ დროს ახალსოფელში უკვე ბევრ გლეხს ჰქონდა პატარა, ახალგაზრდა პლანტაცია გაშენებული. ვინც კოლმეურნეობაში შედიოდა, თავის პლანტაციას კოლმეურნეობის მიწებს უერთებდა. ამიტომ რაიონის კოლმეურნეობათა შორის პირველმა ახალსოფლის კოლმეურნეობამ მიიღო სუბტროპიკული კულტურათა პროფილი. ამის გამო ამ კოლმეურნეობამ იმთავითვე მიიპყრო რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღება. ისინი ყოველნაირად ხელს უწყობდნენ პირველ სუბტროპიკულ კოლმეურნეობას, რათა სხვა კოლმეურნეობებს დაენახათ, თუ რა სიმდიდრეს მოუტანდნენ მათ ჩაი და ციტრუსი.

ჩაის პლანტაციის გაშენება ერთობ ნძიმე და რთული სამუშაო იყო ახალსოფლელებისათვის. უნდა გაეკაფათ ეკალ-ბარდებით დაფარული ყამირი მიწები, დაებარათ 45 სანტიმეტრის სიღრმეზე, გაეფხვიერებიათ, გაეყვანათ თხრილები და შემოეღობათ. ყველა ამ სამუშაოს შესრულება ძნელი აღმოჩნდა მარტო სიმინდის და ლობიოს მოწევას შეჩვეული გლეხისათვის. ამ ახალი საქმით გატაცებული კოლმეურნეები არ შედრკნენ, უკან არ დაიხიეს, სახელმწიფოსთან პირი არ გაიტეხეს. მაგრამ სიმინდის თესვაში ჩამორჩნენ.

ამან გლეხების ერთი ნაწილი აღაშფოთა. სამეგრელოში ხომ სიმინდი პურსა ცვლის. მეგრელმა გლეხმა ღომი, ან მჭადი თუ არ ჭამა, იმ დღეს იგი მშიერია.

უკმაყოფილო კოლმეურნეებს ცეცხლს უკიდებდნენ კოლმეურნეობის მტრები: კულაკები, ჩარჩები და სხვა ნაძირალები. აქეზებდნენ პატიოსან გლეხებს, ხელი აეღოთ ჩაის პლანტაციის გაშენებაზე, გასულიყვნენ კოლმეურნეობიდან.

ყოფილი ჩაფარი ანტონ ნანავა საჯაროდ დასცინოდა გლეხებს, სადაც კი შემთხვევა მიეცემოდა — კოლმეურნეობის ნაკვეთებში, სოფლის მაღაზიაში, გზაზე, წისქვილში. ერთხელ ჩაის საპლანტაციო მიწის გადაბარვაზე მომუშავე კოლმეურნეებს წაადგა თავზე.

— არიქათ, თხარეთ, თხარეთ, — უთხრა გლეხებს ნანავამ გესლიანი ხითხითით. — 45 სანტიმეტრზე ბარავთ ხომ! საფლავს თხრიან ამ სიღრმეზე, თქვე წყეულებო! არ მიჯერებთ ხომ, არ ეშვებით ამ საქმეს! კარგით, გაითხარეთ, გაითხარეთ საფლავი, ე მაგრე!.. არ დათესოთ სიმინდი და უცადეთ, როდის მოგცემთ ეს პლანტაცია ჩაის. ხუთი წელიწადი უნდა უცადოთ... მაგრამ ვთქვათ სასწაული მოხდა და ხვალვე მოგცათ ფოთოლი. რად გინდათ მერე? ფოთოლს აჭმევთ თქვენს მშიერ ცოლ-შვილს?! თქვენ მეტყვით, ფოთოლს სახელმწიფოს მივყიდითო... მეტი არაა თქვენი მტერი, ვინაა მყიდველი. სადაა, ჩაის ფაბრიკის აშენებას რომ გპირდებოდნენ ზუგდიდში! სახელმწიფოს თუ ფოთლის გადამმუშავებელი ფაბრიკა არ ექნა, ისე რა თავში სახლელად უნდა თქვენი ფოთოლი. ხა, ხა, ბიძიკებო, ისე დაგემართათ, როგორც ერთ თავქარიან გლეხს, რომელმაც წისქვილი ააშენა და მერე მოაგონდა, რომ წყალი არა აქვს... მოგატყუათ სახელმწიფომ, ჩაი იმიტომ მოიგონა, რომ კოლმეურნეობაში შეეტყუებინეთ...

ამ სცენას იმ დღეს შემთხვევით თამარ ყუფუნიაც დაესწრო. იგი თვითონ კოლმეურნეობის წევრი არ იყო. ქმარი არ აძლევდა არტელში შესვლის ნებას და ამიტომ გულდაწყვეტილი მხოლოდ შორიდან ადევნებდა თვალს ჩაის პლანტაციაზე მომუშავე მის მეზობელ და ნაცნობ ქალებს.

თამარს სულითა და გულით უნდოდა გვერდში ამოდგომოდა მეზობლებს, ყელში წვდომოდა აწ ნაჩაფრალს. „მაგრამ მე ხომ გარეშე ადამიანი ვარ კოლმეურნეობისათვის! ვინ მკითხავს მის საქმეში ჩარევას, მისი საქმის დაცვას!"

თამარის თანაგრძნობა და შეშფოთება იმ დღეს გამწარებულმა ქალებმა დაცინვათ მიიღეს. ანტონ ნანავას რომ ვერაფერი უპასუხეს, ჯავრი თამარ ყუფუნიაზე იყარეს.

— ამოუდექი მხარში შენც ანტონ ნანავას, — ეუბნებოდნენ ქალები თამარს, — გაიხარე მასთან ერთად, რომ მოტყუებული დავრჩით.

ყველამ როდი დაუჯერა ნანავას, ყველამ როდი ჩამოუშვა ცხვირი.

— დაგვცინე, დაგვცინე, თამარ! ამ საფლავს ნანავასთვის და მისი დამქაშებისათვის ვთხრით, — უჩვენებდნენ საპლანტაციოდ გადაბარულ მიწაზე.

თამარს თავისი მეზობლები და თანასოფლელები ისე ელაპარაკებოდნენ, როგორც უცხოს, რომელსაც თითქოს მართლა ახარებდა, რომ ვერ გაართვა თავი კოლმეურნეობამ ყანისა და პლანტაციის გაშენებას.

„რა გასაკვირია, რომ ასე ფიქრობდნენ. მე ხომ განზე ვდგავარ ანტონ ნანავასავით და მონაწილეობას არ ვიღებ კოლმეურნეობის ჭირ-ვარამში... როდის ვმდგარვარ ჩემი მეზობლის და ახლობლის

გასაჭირის ჟამს განზე და არ გამიწვდია დახმარებისათვის ხელი! ახლა რა მაჩერებს გულხელდაკრეფილს?! არა, არა, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს“, — ფიქრობდა შინ მიმავალი თამარი.

მალე კოლმეურნეობაში შემაძრწუნებელი ამბავი დატრიალდა. ანტონ ნანავამ ვერაგულად მოკლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლაზარე ქაჭუა. ლაზარე ქაჭუა ხალხისათვის თავგადადებული კაცი იყო, სხვისთვის პერანგს გაიხდიდა. ასეთი კაცის მოკვლა იმას ნიშნავდა, რომ მტრები ხალხის საქმეს უპირებდნენ მოკვლას. თამარის გადაწყვეტილება მტკიცე იყო. ის ღამე თეთრად გაათენა, თვალწინ ედგა მტრის ტყვიით განგმირული თავმჯდომარის სახე. „რისთვის, რისთვის! — ჩურჩულებდა მწუხარებისაგან გამშრალი ტუჩებით. — იმისათვის, რომ ლაზარე ქაჭუას ხალხისათვის კარგი უნდოდა? იმისათვის, რომ ჩაი და ციტრუსი წელში გამართავდა გლეხის ცხოვრებას?.. არა, მე ვერ დავუცდი პიმენის ჩამოსვლას“.

გათენებული არ იყო, რომ თამარი კოლმეურნეობის კანტორას მიადგა.

მალე დაბრუნდა პიმენი. დარწმუნდა, რომ სანარდო სამუშაოს ძებნით ოჯახს ფეხზე ვერ დააყენებდა და თვითონაც შევიდა კოლმეურნეობაში. მას სამუშაოს ძებნაში საქართველოს ბევრი კუთხე ჰქონდა შემოვლილი, ბევრი ენახა და გაეგონა: ნამყოფი იყო ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. იცოდა, რა დიდ მომავალს უქადდა ჩაი და ციტრუსი საქართველოს სოფლის მეურნეობას.

ჩაის მეურნეობის საქმე სულ უფრო ფართოდ იკიდებდა ფეხს ახალსოფლის მეურნეობაში. ახლა უაგრონომოდ ამ საქმის გაძღოლა ძნელი იყო. ახალგაზრდა ჩაის პლანტაცია მოვლის თავის წესებს მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩაის ბუჩქი საქართველოში ჯერ კიდევ 1833 წელს შემოიტანეს ჩინეთიდან და იგი მშვენივრად ხარობდა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის, ზუგდიდის სასახლის ცნობილ ბაღში, ახალსოფელში კი, ზუგდიდიდან სულ რაღაც სამიოთხი კილომეტრის მოშორებით, ჯერ არ იცოდნენ ჩაის პლანტაციის მოვლის საქმე.

მაშინ მთელ ზუგდიდის რაიონში სულ ერთი აგრონომი იყო. რამდენს არ ეცადა ლაზარე ქაჭუას ადგილზე არჩეული ახალი თავმჯდომარე სოფრომ ჯიქია, ეშოვა აგრონომი თავის კოლმეურნეობისათვის, მაგრამ ვერაფერს გახდა. აბა, საიდან მოიყვანდა, როცა სუბტროპიკული კულტურების სპეციალისტი აგრონომი იმ დროს საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი იყო.

დასავლეთ საქართველოს მრავალი რაიონის კოლმეურნეობებში შენდებოდა ციტრუსისა და ჩაის პლანტაციები. ამიტომ არ ყოფნიდა ქვეყანას აგრონომები.

ჩაისა და ციტრუსოვანთა მეურნეობის განვითარების საქმეში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების დასახმარებლად ყალიბდება ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იხსნება სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა ფაკულტეტები, აგრეთვე მრავალი ტექნიკუმი და ლაბორატორია სუბტროპიკული რაიონის ცენტრებში და სოფლებში. შენდება ჩაის ფაბრიკები და რამდენიმე წელიწადში სახელმწიფო საქართველოს 26 რაიონისათვის, რომელთა კოლმეურნეობებში ჩაის მრეწველობა თანდათან ძირითადად, წამყვან დარგად იქცა, ამზადებს ასობით აგრონომს და აგროტექნიკოსს.

მართალია, თამარ ყუფუნია არც ინსტიტუტში სწავლობდა, არც ტექნიკუმში, მაგრამ დღედაღამ იმის ცდაში იყო, ისე მოევლო პლანტაციისათვის, რომ მას მეტი ფოთოლი მოეცა. უკვირდებოდა ბუჩქს, ნიადაგს, რა აკლდა მიწას ბუჩქის ძლომაზე გამოსაკვებად, რა უყვარდა ბუჩქს, რა სწყინდა, რა ვნებდა და ბუჩქზე თავგადადებულმა ქალმა ხუთი-ექვსი წლის შემდეგ, როგორც ბავშვის ენა იცის დედამ, ისე შეისწავლა ჩაის ბუჩქის ენა.

მაგრამ თამარის თავგადადება, მისი ზრუნვა და ჯაფა ბუჩქისათვის უნაყოფო იყო, რადგან მაშინ ნაკვეთები არ იყო გაპიროვნებული. პლანტაციის ჰოვლაზე არავინ ფიქრობდა გარდა თითოოროლა თამარ ყუფუნიასავით თავგადადებული ქალისა.

კოლმეურნეთა უმრავლესობას მხოლოდ ერთი ინტერესი ჰქონდა: — მეტი მოეკრიფათ. იმ დროს ის ითვლებოდა დამკვრელ, მოწინავე მეჩაიედ, ვინც მეტს კრეფდა. ამ დამკვრელებიდან მხოლოდ ცოტანი იცავდნენ კრეფის წესებს. ისინი კრეფდნენ შემოუსვლელ, ჯერ დაუმწიფებელ დუყებს.

თამარ ყუფუნია თავდაპირველად არაფრით არ გამოირჩეოდა მუშაობაში. იმუშავებდა შრომადღეებს, მუშაობდა ერთგულად და პატიოსნად, ეს იყო და ეს. გარეგნულად თითქოს მას არაფერი აწუხებდა და ახარებდა, არც მეჩაიეთა პირველი წარმატებები, არც შეცდომები. მაგრამ ვინც ახლო გაიცნობდა, კარგად დაინახავდა, რომ მის გულში ცეცხლი ტრიალებდა. თამარ ყუფუნია ხედავდა, რა დიდ ზიანს აყენებდნენ „დამკვრელები“ კოლმეურნეობას, სახელმწიფოს, საკუთარ თავს. როგორ არ უხსნიდა თავის მეზობელ და მეგობარ მეჩაიე ქალებს, რომ უწესო კრეფით ყველაზე დიდ ვნებას თავისთავს აყენებდნენ, არაფერი გამოუდიოდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ თამარმა გადაწყვიტა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს, ანთიმოზ როგავას მოლაპარაკებოდა. ანთიმოზი სოფელში ყველას უყვარდა.

სოფლის სიყვარული და პატივისცემა ანთიმოზ როგავამ ხალხის სამსახურით მოიპოვა. ამ კაცს მოსვენებულს ვერ ნახავდით, სულ საქმიანობდა, სულ იმის ცდაში და ფიქრში იყო, სოფლისათვის რა გაეკეთებინა. იცოდა ყოველი ოჯახის გასაჭირი, გლეხის ფიქრი და დარდი. ვის სახლის გადახურვაში ეხმარებოდა, ვის ავადმყოფს საავადმყოფოში წაუყვანდა. მისი თაოსნობით გაკეთდა სოფლის გზები, მდინარე ჯუმზე ხიდი აიგო, გაიხსნა საექიმო პუნქტი, სოფლის მაღაზია, ბიბლიოთეკა. ერთ-

ხელ მდინარეც მოისვენებსო, მაგრამ ამ კაცის მოსვენება არ იქნებაო, ამბობდნენ სოფელში ანთიმოზზე. ვინ არ ეკითხებოდა რჩევას, ვინ არ უხსნიდა გულს. მისი სიტყვა ყველასათვის კანონი იყო.

თამარ ყუფუნიამ იცოდა, რომ მხოლოდ ამ კაცა შეეძლო მოეხდინა „დამკვრელებზე“ გავლენა. თამარმა დაწვრილებით აუხსნა ანთიმოზს, თუ რა ზიანი მოჰქონდა ჩაის ფოთლის არაწესიერ კრეფას პლანტაციისათვის და ასწავლა მისი წამალიც:

— პლანტაციის ნაკვეთები მივამაგროთ ყოველ კოლმეურნეს. კოლმეურნე იქნება თავისი ნაკვეთის პასუხისმგებელი; თვითონ მოუვლის, ფოთოლს უწესოდ აღარ მოკრეფს, ბუჩქი არ დაზიანდება. კოლმეურნის ხელისგამოღებაზე იქნება დამოკიდებული ფოთლის მოსავალი, კოლმეურნეს შემოსავალი, მისი შრომადღის ღირებულება, კოლმეურნის სახელი და ქონება. მაშინ გამოჩნდება, ვინ რისი გამკეთებელია.

ყველაფერი ეს შეეძლო თამარს კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის ეთქვა, ან გამგეობის სხდომისათვის გაეცნო, მაგრამ ეშინოდა, არ გამიგონებენო. ანთიმოზს კი ტყუილსაც დაუჯერებდნენ. მაგრამ, როცა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ კრებას თამარის წინადადება გააცნო, ყველამ როდი მოიწონა, ყველა როდი დარჩა ანთიმოზ როგავას კმაყოფილი. იმ კაცს, ვისაც სხვა დროს სიტყვასაც არ შეუბრუნებდნენ, ახლა ბევრი წინაღუდგა, ზოგმა ისიც კი უთხრა, კოლმეურნეობის საქმეში რად ერევიო, ჩვენ ჩვენი თავმჯდომარე გვყავს და ჩვენი თავი გვადგასო.

ამ მოულოდნელმა წინააღმდეგობამ უკან არ დაახევინა ანთიმოზს. ზოგიერთების უკმაყოფილება იმის მაჩვენებელი იყო, თუ რამდენად მართალი იყო თამარი. ნაკვეთების გაპიროვნების წინააღმდეგ ის „დამკვრელები“ ილაშქრებდნენ, რომლებიც ჩაის უწესრიგო კრეფით ხელს ითბობდნენ.

— ეს რა კოლექტიური შრომაა ცალ-ცალკე, ასე ხომ წინათაც ვმუშაობდით, — ამბობდნენ ისინი.

— ეს კოლმეურნეობის წესდების დარღვევაა, — კვერს უკრავდნენ მეორენი.

— რამდენიმე კაცი რომ არაკეთილსინდისიერად მუშაობს, ამიტომ გავეთიშოთ ერთმანეთს! არა, ამის მომხრენი არა ვართ!

კოლმეურნეობის თავმჯდომარე არავითარ მონაწილეობას არ იღებდა კამათში. კრებამ მისი დუმილის მიზეზი მაშინვე გაიგო. არ მოსწონდა თავმჯდომარეს, რომ მის საქმეებში სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ერეოდა და კოლმეურნეობის ჭირისუფლობას ჩემობდა.

ამას ანთიმოზ როგავაც მიხვდა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. მისთვის შენ-ჩემობა არ არსებობდა. ანთიმოზს შეეძლო ეწყენინებინა ყველაზე ახლობელი ადამიანისთვისაც კი, თუ ამას საზოგადო საქმე მოითხოვდა. მან სათითაოდ ამხილა კოლმეურნეობის წესდების ასე თავგამოდებით დამცველი „დამკვრელები“.

ამას შემდეგ სოფელი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ანთიმოზ როგავა ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა, რომ ხალხის საქმისთვის იგი არაფრის წინ არ დაიხევდა. ანთიმოზ როგავაზე უკეთეს ჭირისუფალს ვერავის მოუძებნიდნენ კოლმეურნეობას და მალე ხალხმა იგი თავმჯდომარედ აირჩია.

არც თამარ ყუფუნიამ და არც ახალმა თავმჯდომარემ მაშინ არ იცოდნენ, კიდევ რა დიდ სიკეთეს მოიტანდა ნაკვეთების გაპიროვნება, რამდენად წინ წაწევდა საკოლმეურნეო წყობილებას, გაზრდიდა კოლმეურნეობის შემოქმედებითს ინიციატივას, მის შრომადღის ფასს.

თუ წინათ მეჩაიეს მთავარი ყურადღება იმისკენ იყო მიქცეული, რომ საერთო პლანტაციაში რაც შეიძლება მეტი ფოთოლი მოეკრიფა და წესსა და რიგს არ დაგიდევდა, ნაკვეთების გაპიროვნების შემდეგ კი კოლმეურნემ მთავარი ყურადღება მასზე მიზომილ პლანტაციის მოვლაზე გადაიტანა, რადგან კარგად მოვლილი პლანტაცია მეტ ფოთოლს მისცემდა და თავის ნაკვეთში ხომ კრეფის წესს არ დაარღვევდა და არა.

კოლმეურნის სურვილზე იყო დამოკიდებული, რამოდენა პლანტაციის ფართობს მიიმაგრებდა. არც ერთ ქალს, გარდა თამარ ყუფუნიასი, არ გამოუთქვამს სურვილი, ნახევარ ჰექტარზე და ერთ მესამედ ჰექტარზე მეტი პლანტაცია მიემაგრებინათ მისთვის. თამარმა კი ერთი ჰექტარის მოვლა იდო თავს. ჯერ კიდევ არ იცოდა ყველა კოლმეურნემ, რომ თავისი შემოსავალი მასზე მიმაგრებული ნაკვეთის სიდიდეზე და მუყაით მუშაობაზე იქნებოდა დამოკიდებული. თამარის საქციელით ყველა გაკვირვებული იყო.

— როგორ მოუვლის ამოდენა პლანტაციას?!

— ვინმე მომხმარე მაინც ჰყავდეს ოჯახის წევრებიდან?!

— ხარბმა ადამიანმა აგრე იცის!

— ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებს, — ამბობდნენ მაშინ თამარ ყუფუნიაზე. მართლაც გაიწია თამარმა: თავზე ევლებოდა პლანტაციას. დროულად ბარავდა, სხლავდა, შეჰქონდა სასუქი. ყველაფერ ამას ასწრებდა, თავს ადგამდა. მაგრამ მოკრეფას ვერ აუვალო, შიშობდა გულში.

დადგა ჩაის ფოთლის კრეფის დრო.

— აბა, ახლა რას იზამს, როგორ მოკრეფს ამოდენა პლანტაციის ფოთოლს!

ზეიმობდნენ თამარის მოშურნენი.

მაშინ კრეფის დღიური ნორმა 8—10 კილოგრამი ფოთოლი იყო. იყვნენ ისეთი მკრეფავებიც, რომლებიც 20 — 30 კილოგრამ ფოთოლს კრეფდნენ. მთელ კოლმეურნეობაში პირველი მკრეფავი იყო 18 წლის, ჯან-ღონითა და ენერგიით სავსე ქალიშვილი გუგუ ყუფუნია. მთელი რაიონი ლაპარაკობდა გუგუ ყუფუნიას სარეკორდო კრეფაზე. ამ ქალიშვილს ნახევარი ჰექტარი პლანტაცია ჰქონდა. პლანტაციის მოვლაში ოჯახის წევრებიც ეხმარებოდნენ.

თამარს კი არავინ ჰყავდა მომხმარე, არც პლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაციის მოვლაში, არც კრეფაში და იმის შიშით, ვაითუ მართლა ვერ მოვკრიფო ერთ ჰექტარზე ფოთოლიო, ღამე არ ეძინა. ნათქვამია, მონდომება ნახევარი საქმეაო. თამარი მთელი გულით იყო მოწადინებული: მალე კიდეც დაეწია გუგუ ყუფუნიას კრეფაში, მაგრამ ეს წარმატება ცოტა იყო მისთვის. თამარს ორჯერ უფრო დიდი პლანტაცია ჰქონდა.

იმ ხანებში, მართალია, ფოთოლს ორი ხელით კრეფდნენ, მაგრამ თამარმა დიდი დაკვირვებისა და ფიქრის შემდეგ შენიშნა, რომ ეს არ იყო ორი ხელით კრეფა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. „აბა, საიდან არის ორი ხელით კრეფა, თუ ჯერ ერთი ხელით მოწყვეტ ფოთოლს და მერე მეორით. ორი ხელით კრეფას იმიტომ ვეძახით ასეთ კრეფას, რომ ორივე ხელი მუშაობს დუყზე... ორი ხელით კრეფა მაშინ იქნება, რომ ორივე ხელით ერთდროულად ვწყვეტდეთ სხვადასხვა ფოთოლს. რამდენ დროსა და ენერგიას დავზოგავთ მაშინ!"

თამარი ორივე ხელით ერთდროულად შეუდგა კრეფას, მაგრამ პირველ დღეებში თავი ვერ გაართვა, თითქოს ორივე ხელით ერთდროულად დააწყებინეს წერაო. „არაფერია, შევეჩვევი... შევეჩვევი უსათუოდ!" ინუგეშებდა თავს... რამდენიმე დღეში უკვე აღარ გრძნობდა პირვანდელ უხერხულობას. „შემდეგ კიდევ უფრო გავიწაფები!" ხარობდა გულში.

ჯერ ერთი კილოგრამით მეტი მოკრიფა, გავიდა დღე და კიდევ ერთი კილოგრამი წაუმატა, და ასე თანდათან... ერთ მშვენიერ დღეს თამარმა ბრიგადირს 55 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩააბარა. 5 კილოგრამით მეტი ვინემ მთელ კოლმეურნეობაში პირველი მკრეფავი ქალი, გუგუ ყუფუნია კრეფდა.

ეს უკვე კრეფის ახალი რეკორდი იყო.

ბრიგადირ იონა ყუფუნიას გაეხარდა თამარის წარმატება, მაგრამ ამის შესახებ ბრიგადაში არაფერი უთქვამს. არც გამგეობაში დაუძრავს კრინტი და არც შრომადღეების წიგნაკში ჩაუწერა. თამარი გაჩუმებული იყო. თუმცა გულში კი სწყინდა, რომ მის წარმატებას მალავდა ბრიგადირი. ამან გული არ გაუტეხა. თავის თავზე ნაკლებად ფიქრობდა, საერთო საქმეზე ზრუნავდა. მე თუ ორივე ხელით ერთდროულად კრეფით დღეში 5 კილოგრამით მეტი მოვკრიფე, სხვებმაც რომ ასე კრიფონ, მაშინ რამდენად გაიზრდება კრეფა მთელ კოლმეურნეობაშიო. იანგარიშა და ისეთი დიდი ციფრი მიიღო, თვითონაც არ დაიჯერა, მაგრამ ეს ხომ ფანტაზია არ იყო. ადგა და თავის მეგობარ მეჩაიე ქალს — ოლია ყუფუნიას უჩვენა ორი ხელით კრეფის თავისი წესი.

— ასე მეტი იკრიფება ვითომ? — ჰკითხა ოლია ყუფუნიამ, რომელიც ერთბაშად ვერ გაერკვა თამარის კრეფის უპირატესობაში.

— რასაკვირველია, — მიუგო თამარმა.

— მაშ რატომ ვერ კრეფ 50 კილოგრამზე მეტს?

— მოვკრიფე მეტი...

— მერე?

— რა მერე?

— რამდენი მოკრიფე?

— 55 კილოგრამი.

— მერე გაჩუმებული ხარ?! — შესძახა გაოცებულმა ოლიამ. — 5 კილოგრამით მეტი! ეს ხომ ახალი რეკორდია. ბრიგადირმა მაინც რატომ დაიგუბა პირში წყალი. ვის უმალავთ?!

— დამალვა რომ მდომებოდა, მაშინ არც გეტყოდი, — უთხრა თამარმა.

მთელი კოლმეურნეობა შესძრა იმ დღეს ბრიგადირის საქციელით აღშფოთებულმა ოლია ყუფუნიამ.

— შევცდი, — ამბობდა თავის დანაშაულს მიმხვდარი ბრიგადირი. — მართლა დავმალე... ვიფიქრე, გუგუ ყუფუნია ახალგაზრდა ქალია, პირველი მკრეფავია, კოლმეურნეობის სიამაყეა... თამარი რომ კრეფაში გაუსწრებს, გული გაუტყდება-მეთქი...

— „ახალგაზრდა ქალია, პირველი მკრეფავია!"

— გამოაჯავრეს ქალებმა. — რატომ თამარის გულზე არ იფიქრე, ბრიგადირო?!

— რატომ გეგონა, რომ მე გული გამიტყდებოდა! — სხვაზე მეტად გუგუ ყუფუნია საყვედურობდა ბრიგადირს. — რა გამიტეხს გულს, ჩემი ამხანაგის წარმატება! შემცდარხარ იონა!

მალე მთელმა ბრიგადამ შეისწავლა ორი ხელით ერთდროულად კრეფის წესი. თამართან სხვა ბრიგადებიდანაც მოდიოდნენ ამ ახალი მეთოდის შესასწავლად, შემდეგ სხვა კოლმეურნეობაშიაც გაიგეს, და ასე მოედო მთელ რაიონს, მთელ საქართველოს.

ამ წესით კრეფა დიდი მოვლენა იყო იმ დროს ჩაის მეურნეობაში.

თამარ ყუფუნია ამ მიღწევაზე არ შეჩერებულა. ახლა მას სხვა საფიქრალი ჰქონდა: ახალგაზრდა პლანტაციის ბუჩქები ძალიან დაბალი იყო. მკრეფავი წელში სამად იკაკვებოდა, რომ ბუჩქს დასწვდომოდა. თითქმის მიწამდე დახრა და მერე სხვა ბუჩქზე გადასასვლელად ისევ წელში გამართვა ძლიერ ქანცავდა მკრეფავს და დროსაც უქმად აკარგვინებდა.

გავიდა ხანი და ერთ საღამოს სამუშაოდან შინ მიმავალმა ქალებმა თამარი ჩაჩოქილი დაინახეს პლანტაციაში. გაუკვირდათ, ჭკუიდან ხომ არ შეიშალაო. ეგონათ, თამარი ლოცულობდა. პლანტაციაში გადავიდნენ და თავზე წაადგნენ..

თამარი ჩაჩოქილი კრეფდა ფოთოლს.

ქალები სახტად დარჩნენ.

— რას სჩადიხარ, თამარ? — შესძახეს ერთხმად.

— ვკრეფ, — მიუგო თამარმა ჩვეული სიდინჯით.

— დაჩოქილი?!

— ჰო, სამაგიეროდ, სამად არ ვიკაკვები, არ ვიღლები და დროც არ მეკარგება უქმად.

— ეს კია...

— მაგრამ მუხლით კრეფა მაინც... — თავი შორს დაიჭირა ზოგმა.

— მუხლით კი არ კრეფს, გულით კრეფს, თამარი, — გამოექომაგა თამარს გუგუ ყუფუნია, იმისი მეტოქე და სახელოვანი მკრეფავი. ადგა და თამარის გვერდით ჩაიჩოქა.—არაფერი სამარცხვინო არ არის ასე კრეფა, — თქვა სიცილით და სიხარულით. ორ-სამ წელიწადში ტანს აიყრიან ბუჩქები და მერე დახრაც არ დაგვჭირდება...

ჩამუხლულმა კრეფამ კიდევ უფრო გაზარდა ფოთლის კრეფის დონე. ისინი, რომლებმაც პირველად ჩაჩოქილი კრეფა შეიცხადეს და სამარცხვინოდ მიიჩნიეს, ახლა თამარის მზეს ფიცულობდნენ. ეს ქალები ერთ მშვენიერ დღეს ალაპარაკდნენ, რომ თამარ ყუფუნია მერგოლურად აერჩიათ.

— რატომ. ჩვენ ხომ გვყავს მერგოლური?! — უარი თქვა თამარმა.

— გვყავს. მაგრამ შენისთანა არა გვყავს, — მოუჭრა სიტყვა ოლია ყუფუნიამ.

— რით ვჯობივარ ჩვენს მერგოლურს? — გულწრფელად უკვირდა თამარს.

— საქმით, — ბანი მისცა ოლიას, მეჩაიე ლილი რევიამ.

— გულით — დაუმატა ლუბა სახოკიამ, ტანმორჩილმა შავგვრემანმა ქალმა.

თამარს არ დაუჯერეს და ერთხმად აირჩიეს მერგოლურად.

ეს იყო 1938 წელს...

ახლა კანტორიდან პლანტაციაში მიმავალს ყველაფერი ეს აგონდებოდა. „მაშინაც ვშიშობდი, მერგოლურად რომ მირჩევდნენ... მაგრამ ხომ გავართვი თავი. იქნებ არც ბრიგადირობაში ვჭამო სირცხვილი", — ფიქრობდა თამარი და სწრაფად მიაბიჯებდა მტვრიან გზაზე, რომ მალე ენახა ბრიგადის წევრები და დაკითხებოდა ჭკუას, რჩევას.— „არა, არ უნდა ვჭამო სირცხვილი... მაშინ მშვიდობა იყო, იმის ნახევარი არ ვიცოდი, რაც ახლა ვიც. და მაინც გვარიანად გავუძეხი საქმეს... ახლა ომია, ასი იმდენი უნდა შევძლო და გავაკეთო... უნდა შევძლო... უნდა შევძლო!.."

— აბა, სხვა ვინ უნდა დაენიშნათ! — უთხრეს თამარს ბრიგადაში.

— ნუ გეშინია, თამარ, ჩვენ ჩვენი მხრივ თავს არ დავზოგავთ. ქალის საქმესაც გავაკეთებთ და კაცისასაც.

გულს უმაგრებდნენ, აიმედებდნენ ქალები თამარს. მაგრამ ყველა ქალმა როდი შეძლო ქალისა და კაცის საქმის გაკეთება. ყველამ როდი გამოიდო თავი. ბრიგადირ იონა ყუფუნიას ჯარში წასვლის ერთი კვირის შემდეგ მისმა ცოლმა სახლი გაყიდა, სამი ბავშვი სასიმინდის ჯიხურში დაყარა უპატრონოდ და სხვა სოფელში გათხოვდა. ბრიგადის ერთ-ერთი მოწინავე მეჩაიე ოლია ყუფუნია იმის გამო, რომ ქმრის ჯარში წასვლის შემდეგ ორი მოხუცი და ხუთი პატარა ბავშვი ყურისმგდებლის გარეშე დარჩა, სამუშაოდ ვერ გამოვიდა, ვერ გამოვიდა სამუშაოდ ლილი რევიაც — ოთხი ბავშვის დედა. ვერ გამოვიდნენ ის ქალებიც, რომლებსაც ძუძუთა ბავშვები ჰყავდათ და შინ მათი მომვლელი არავინ მოეძევებოდათ.

ბრიგადა განახევრდა. ეს იყო ივნისის თვეში, როცა ჩაის პლანტაციაში ფოთოლი ზღვასავით მოდის და ფოთლის მოკრეფის ერთი დღით დაგვიანება აუხეშებს ფოთოლს, უვარგისს ხდის, როცა სიმინდის გახურებული მარგვლაა და მარგვლის დაგვიანება ფრთას ასხამს სარეველას. ყანაშიაც გაჭირდა და პლანტაციაშიაც. თამარის ერთი მუჭა ბრიგადა ყველაფერს ხომ ვერ გასწვდებოდა... და საქმე საგრძნობლად ჩამორჩა.

„ტყუილად ვიმაგრებდი გულს, — წუხდა თამარი. — ვერ შევძელით ქალისა და კაცის საქმე ქალებმა... ვერ გავამართლე თავმჯდომარის იმედი". ასე ეგონა, ქვეყანა იქცეოდა, დიდი და პატარა მასზე ლაპარაკობდა და დასცინოდა.

და ივნისის მიწურულის ერთ ღამეს მართლაც დაიქცა თამარისათვის ქვეყანა, დასცინეს და მერე ვინ?! თავმჯდომარემ, ანთიმოზ როგავამ, იმან, ვინც ბრიგადირად დანიშნა, ვინც მფარველად და მოქომაგედ ეგულებოდა. კრებას თვითონ ანთიმოზი თავმჯდომარეობდა. ბრიგადირები სამი დღის მუშაობის შედეგს აბარებდნენ გამგეობას. არც ერთ ბრიგადაში არ მიდიოდა საქმე კარგად. ვერც ერთგან ვერ ასწრებდნენ ჩაის ფოთლის კრეფას, სიმინდის მარგვლას, ყანის მოვლასა და ათას სხვა საქმეს.

ეს თავმჯდომარეს არ აკვირვებდა. ისიც ბევრად მიაჩნდა, რასაც განახევრებული ბრიგადები ასწრებდნენ და კმაყოფილი იყო მათი მუშაობით. „დროა საჭირო, ერთბაშად ას ხელს ვერ გამოიბამენ. ვინ იფიქრებდა ამ ერთი თვის წინათ, რომ ამ ქალებს ამდენის გაკეთება შეეძლოთ!" — ფიქრობდა ანთიმოზი, სახე კი მკაცრი ჰქონდა, სათქმელად სხვა სიტყვა ჰქონდა მომზადებული.

— აბა, გამობრძანდი, თამარ დედოფალო, — დაცინვით და ცივად მიმართა ანთიმოზმა თამარს. — მოგვიყევი, როგორაა შენი ყვავილნარი.

თამარი ყურებამდე გაწითლდა. მიხვდა, რომ ყვავილნარს სარეველამორეულ სიმინდზე ამბობდა თავმჯდომარე.

— ვიცი, რასაც იტყვი, — მისჩერებოდა დაბნეულ თამარს ანთიმოზი. — მუშახელი არ გვყოფნის, მეტი არ შეგიძლია. ამას იტყვი, არა?

— არა! — როგორღაც მკაცრად და ყრუდ უპასუხა მისდაუნებურად თამარმა. — ამის თქმას არ ვაპირებ, — ბუნებით თავაზიანი და რბილი, იგი ახლა შეუპოვარი იყო. — ვერ ვაკეთებთ იმას...— კინაღამ არა თქვა, რასაც სამშობლო გვავალებსო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. არასოდეს არ ლაპარაკობდა მაღალფარდოვნად. — ვერ ვმუშაობთ ისე, როგორც საჭიროა... არ შეიძლება ისე მუშაობა, როგორც აქამდე ვმუშაობდით.

— აბა, აბა, როგორ აპირებ მუშაობას. გისმენთ.

— მე ეს ჯერ არ ვიცი... არავინ არ იცის.. არც შენ... მაგრამ ისე აღარ შეიძლება მუშაობა.

„მართალი ხარ თამარ, — გაიფიქრა თავმჯდო-

მარემ. — შენ შეგახოცე ხელი და მე თვითონ, აბა რა გავაკეთე ახალი. შენგან ვთხოულობ და თვითონ... ისევე, როგორც მე შენ გელაპარაკები, შეუძლიათ, ხვალ რაიკომში მე მითხრან იგივე... ჰო, არც მე ვიცი, რომ არ შეიძლება ისე მუშაობა, როგორც აქამდე ვმუშაობდით და არც ის ვიცი ჯერ, როგორ უნდა ვიმუშაოთ".

— ჩვენ ვერ დავუცდით, როდის მოიფიქრებ შენ, — უთხრა თამარს და ის, რასაც ფიქრობდა, თავის გულში დამალა. — სამ დღეს გაძლევ ვადას,..

— გასაგებია...

კრება გვიან დაიშალა. ბნელი, ღრუბლიანი ღამე იყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. თამარი მარტო მიდიოდა თემშარზე. ტიროდა, ცრემლს არ იკავებდა. უნდოდა თავის მწუხარება გამოეტირა. სადღაც სულ ახლოს ტურებმა დაიჩხავლეს, გზაზე რაღაცამ გადაირბინა და ბუჩქებში შევარდა. შიშისაგან სული შეეგუბა თამარს. ნაბიჯს აუჩქარა. ბრმასავით მიდიოდა, სიბნელეში არაფერს ხედავდა. ისევ თავის საფიქრალს დაუბრუნდა და შიში მიავიწყდა. მისი გონება გამალებით მუშაობდა: როგორ, რანაირად, სამ დღეში 25 ჰექტარი?

წინ ლაპარაკი შემოესმა. ხმაზე იცნო მასწავლებლები. სამნი იდგნენ ჭიშკრის წინ. თამარი გზას ვერ აუქცევდა. არ უნდოდა, ნამტირალევი ენახათ. თვალები ამოიწმინდა, მაგრამ დაელაპარაკნენ თუ არა, კვლავ მოერია ცრემლი. გაუმხილა მათ თავისი გაჭირვება. მასწავლებლები დაფიქრდნენ. არავინ ცდილა, დაემშვიდებინა ბრიგადირი, უნდა მოხმარებოდნენ, გამოსავალი ეჩვენებინათ, მაგრამ როგორ, რანაირად?!

— აიღეთ თოხი და ამოგვიდექით მხარში, — უთხრა მოულოდნელად თამარმა და თვითონვე გაუკვირდა.

— კარგი თქვი ეს, — მოუწონა აზრი მასწავლებელმა იონა ურიდიამ მაგრამ როდის, დღისით გაკვეთილებს ხომ ვერ გავაცდენთ?

— გაკვეთილების შემდეგ, — ისე მიუგო თამარმა, თითქო პასუხი მომზადებული ჰქონდა.

— თანახმა ვართ, — მხარი დაუჭირა მასწავლებელმა გრიგოლ შონიამაც. — ოღონდ სხვა მასწავლებლებსაც მოველაპარაკებით.

— თქვენ არა, მე თვითონ მოველაპარაკები მათ ამალამ, — თამარს შეეშინდა, იქნებ მათ უარი თქვანო.

— ჩვენ წამოგყვებით, — შესთავაზა პილა მაქაცარიამ.

— არა, — არც ეს ინდომა თამარმა. — საცაა გათენდება. წადით, გამოიძინეთ...

სკოლაში თორმეტი მასწავლებელი იყო. თუ ისინი ნახევარ დღეს იმუშავებდნენ, ბრიგადა სამოთხ დღეში სიმინდის მარგვლას მორჩებოდა. თამარმა სათითაოდ ჩამოუარა იმ ღამეს ყველა მასწავლებელს. ისინი ერთი, ან ორი კილომეტრის მანძილით სახლობდნენ ერთმანეთისაგან, ზოგი — ფერდობზე, ზოგი — ქვევით. გულად ვაჟკაცსაც გაუჭირდებოდა ისეთ ბნელ და უკუნეთ ღამეში სოფლის გარდიგარდმო გადასერვა. აღვიძებდა, ლოგინიდან აყენებდა ტკბილ ძილში მყოფ ქალსა და კაცს. შემოათენდა. ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ თავს ბედნიერად გრძნობდა. არავინ უთხრა უარი. შინ წასვლის დრო არ ჰქონდა: ერთი წაძინება ქვეყანას ერჩია, მაგრამ სანამ მასწავლებლები მოვიდოდნენ ყანაში, თოხები უნდა ეშოვნა მათთვის.

როცა მეორე დღეს გაიგეს, თამარ ყუფუნიას ბრიგადაში მასწავლებლები მივიდენ სიმინდის გასამარგლავადო, არ გაჰკვირვებიათ თამარისაგან რას არ უნდა ელოდე, ქალი კი არა, ამოღებული ხმალიაო.

„იონა ყუფუნია კი ამბობდა, კარგი ცხენოსნობა არ კმარა კარგი ბრიგადირობისათვისო, — ფიქრობდა ამ ამბით გახარებული თავმჯდომარე. — ეს რა შესანიშნავი საქმე გააკეთა თამარმა. თუ მასწავლებლები გამოვიდნენ მარგვლაში მოსახმარებლად, რატომ არ შეიძლება უფროსი კლასებიც მოვიხმაროთ... ბიჭები — მარგვლაში, გოგოები — ჩაის ფოთლის კრეფაში. რამოდენა შეღავათი იქნება კოლმეურნეობისათვის... აი როგორ უნდა ახლა მუშაობა. წუხელ კი თქვა: მე ჯერ არ ვიცი, როგორ უნდა ახლებურად მუშაობაო, არც შენ იციო. არა, მე არა... შენ კი გცოდნია!.."

იმ დღიდან სკოლამ კოლმეურნეობაზე შეფობა აიღო. მაგრამ თამარი ამით არ დაკმაყოფილდა. საჭირო იყო წვრილშვილიანი დედების სამუშაოდ გამოყვანა. კოლმეურნეობას საბავშვო ბაგა არ ჰქონდა. თამარმა შეარჩია ერთი კოლმეურნის ოჯახი, რომელსაც კარგი სახლი და კოინდრით ამწვანებული ვრცელი ეზო ჰქონდა საჩრდილობელი ქადრის ხეებით. აკვნები სახლში რომ არ დაეტია, ხის ჩრდილში დადგეს. დედები ძუძუს მოსაწოვებლად აქ აკითხავდნენ შვილებს. თუ რომელიმე დედას მოსვლა დააგვიანდებოდა და მშიერი ბავშვი ატირდებოდა, სხვა დედა აჭმევდა ძუძუს. მრავალი ბავშვი გახდა ამგვარად ძუძუმტე.

დაუბრუნდნენ ბრიგადას მოწინავე მეჩაიები — ოლია ყუფუნია და ლილი რევია. სხვა ბრიგადებმაც გადაიღეს თამარის თაოსნობა. ეზოებში, ხის ძირას დაიდგა აკვნები. ამ თავისებურმა საბავშვო ბაგებმა საშუალება მისცა, სამუშაოდ გამოსულიყვნენ ის მოხუცებიც, რომლებიც ბავშვების მომვლელად შინ იყვნენ ჩაკეტილები.

თამარი არა მარტო ბრიგადირი იყო, იგი იყო დედა, ქალი. ზრუნავდა არა მარტო ბრიგადის მუშაობაზე, არამედ ბრიგადის ყოველი წევრის ცხოვრებაზე. იმ წელიწადს ბევრ კოლმეურნეს სიმინდი არა ჰქონდა. თავმჯდომარემ ერთხელ სადღაც ორასი კილოგრამი სიმინდი ისესხა. სიმინდი გვიან ღამით მოიტანეს .ბევრმა კოლმეურნემ ამის შესახებ არაფერი იცოდა. მაგრამ ეს მცირე სიმინდი იმათაც არ ეყოფოდა, ვინც იმ დროს კოლმეურნეობის კანტორაში იყო. ვის მივცეთ, რამდენი მივცეთ? ძნელი შეიქნა ამის გადაწყვეტა. ყველაზე თავგამოდებით თამარი იბრძოდა, მაგრამ თავისთვის კი არა, მისი ბრიგადის წევრის ოლია

ყუფუნიასათვის, რომლის ხუთი ბავშვი და ორი მოხუცი მშივრები იყვნენ. დიდი ბრძოლისა და ხვეწნის შემდეგ თამარმა ერთი ფუთი სიმინდი მიიღო.

გარეთ კოკისპირულად წვიმდა, არც ტომარა ჰქონდა, არც ხურჯინი. როგორ, ან რით მიეტანა ოლიასათვის? აქ ვერ დატოვებს, ამაღამვე უნდა წაუღოს. გაიხადა ქვედა კაბა, მასში სიმინდი გამოკრა და მხარზე გაიდო.

ოლია კანტორიდან სამი კილომეტრის მანძილზე ცხოვრობდა, მაგრამ თამარი არც სიშორეს დაერიდა, არც წვიმასა და ტალახს, არც ბნელ ღამესა და ხიფათს. თვალწინ ედგა მშიერი ბავშვები, მოხუცები, შრომითა და მწუხარებით დაღარული ოლიას სახე.

„ასეთი საქმე არასოდეს გავიწყდება", ჰყვებოდა მეორე დღეს თამარის ამბავს ოლია. ახლაც თექვსმეტი წლის შემდეგ რომ ამ სიკეთეს მოიგონებს თვალში ცრემლი გაუბრწყინდება ხოლმე.

იმ ღამის შემდეგ თამარმა რომ სიმინდი მოუტანა, მოსვენება დაკარგა. რამდენი ოჯახი ელის ასეთ დახმარებას, რამდენ ჯარისკაცს აკლია იქ ფრონტზე, ძლომაზე საჭმელი! რა მოასვენებს ოლიას ხელებს! დღედაღამ უნდა მუშაობდეს, რომ სულ მცირედით მაინც დაეხმაროს მათ. მაგრამ რისი გაკეთება შეუძლია ოლიას მთელი დღე ყანასა და პლანტაციაში წელგაუმართავი შრომის გარდა? იქნებ მეტის გაკეთება შეუძლია. ომამდე ოლია 50 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა, ახლა 200 კილოგრამს კრეფს. ყველაფერს ხომ აქვს თავისი საზღვარი. მაგრამ რატომ არის საზღვარი 200 კილოგრამი, ვინ იფიქრებდა ომამდე, რომ ერთ ქალს დღეში 200 კილოგრამი ფოთლის მოკრეფა შეეძლო?! მისი გონება უცებ სასიხარულო აზრმა გაანათა... ერთ ღამეს ოლია ორი ანთებული ჭრაქით შევიდა თავის პლანტაციაში. თურმე ჭრაქის შუქზე შესაძლებელია ფოთლის კრეფა! რატომ უნდა მეძინოს მე ღამე თბილ ლოგინში, როცა ჩვენს შვილებს, ძმებს, ქმრებს და მამებს არ სძინავთ და ტყვიასა და ცეცხლისთვის მკერდი მიუშვერიათ. რატომ არ უნდა ვმუშაობდეთ ასეთ გასაჭირის ჟამს ღამითაც!

იმ ღამის შემდეგ მთელმა კოლმეურნეობამ ღამითაც დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა...

... დამთავრდა ომი. იონა ყუფუნია ფრონტიდან დაბრუნდა. მის ეზოში ახალი სახლი იდგა. გაუკვირდა, სხვის კარ-მიდამოს ხომ არ მივადექიო. არ იცოდა, რომ ცოლმა არა მარტო ბავშვები მიუტოვა, სახლიც გაუყიდა. მაშინ იონას უფროსი გოგო დადალი 12 წლისა იყო. იგი თამარმა წაიყვანა შინ საპატრონოდ, დანარჩენი ორი ბავშვი იონას ძმას მიუყვანა და მათ სარჩენს თვითონ აძლევდა.

სკოლიდან დაბრუნებული დადალი მეცადინეობის შემდეგ პლანტაციაში დაჰყავდა თამარს და ჩაის ფოთლის კრეფას ასწავლიდა, ბავშვის შრომადღის ღირებულებას სათუთად ინახავდა, არც ერთ კაპიკს არ ახარჯიებდა.

პატარა დადალი იზრდებოდა, იზრდებოდა მისი შრომადღეებიც. და აი, მან, 17 წლის, მეჩაიე გოგონამ თავისი შრომით აშენებული სახლი დაახვედრა მამას. არა, ეს სახლი დადალიმ კი არა, თამარ ყუფუნიამ დაახვედრა იონას, ამბობდნენ სოფელში.

იონამ თავისი ბრიგადაც ვერ იცნო. ვერ იცნო ბრიგადის წევრები, მათი საქმე. ქალები, 20 — 30 კილოგრამი ჩაის ფოთოლის ნაცვლად, ახლა 300 კილოგრამზე მეტს კრეფდნენ. ესენი იყვნენ ოლია ყუფუნია, ლილი რევია, ვერა სახოკია, ხუტა და ბაბუცა ყუფუნიები. თუ ომამდე მთელი ბრიგადა 25000 კილოგრამ ფოთოლს კრეფდა, ახლა 100,000 კილოგრამს კრეფდნენ. თუ ბრიგადის ფულადი შემოსავალი მაშინ 250,000 მანეთს არ აღემატებოდა, ახლა 700,000 მანეთზე მეტი იყო. ომამდე კოლმეურნის შრომადღის ღირებულება 4 მანეთამდე აღწევდა, ახლა 30 მანეთს ღებულობდნენ შრომადღეზე.

— ახლა შენთან ერთად ორ იმდენს გავაკეთებთ, — უთხრა თამარმა გახარებულ და გაოცებულ იონას. — ჩაიბარე შენი ბრიგადა და გაგვიძეხი, შენებურად, ფრონტულად. ახლა აქ გვჭირდება ფრონტული იერიშები!

იონამ უარი თქვა ბრიგადირობაზე.

— როცა მე ომში მივდიოდი, ვეჭვობდი, რომ შენ ბრიგადირობას შესძლებდი, — უთხრა გულახდილად თამარს. — ახლა შენ ბრიგადას კი არა, მთელს კოლმეურნეობას გაუძღვები. ბევრი გაგიკეთებიათ და გისწავლიათ. ყველაფერი ეს რომ ეამბათ ჩემთვის, არ დავიჯერებდი... მე ველარ შეგცვლი შენ, თამარ. მოწაფედ დაგიდგები...

იონას ესწრაფებოდა გაეგო, რა გააკეთა ბრიგადამ ისეთი, რომ ჩაის ფოთლის მოსავალი ომამდელ მოსავალთან სამჯერ გაზარდა.

— მართალია, ჩემს აქ არ ყოფნაში ახალგაზრდა ჩაის პლანტაციები გაიზარდა და მეტ ფოთოლს მოგცემდნენ, მაგრამ ბუჩქის გაზრდა ასე ძლიერ ვერ გაადიდებდა მოსავალს.

— რასაკვირველია, ვერ გაადიდებდა, — მიუგო ყოფილ ბრიგადირს საშუალო ტანის, ცოცხალი სახის მეჩაიე ქალმა ლუბა სახოკიამ და გაუღიმა თავისი ეშმაკური თვალებით. — ჩვენმა სიყვარულმა გაადიდა მოსავალი.

— სიყვარულმა?! — გაკვირვებით მიაჩერდა იონა ლუბას.

— ჰო, სიყვარულმა და თავდადებამ.

— მაინც რას უკეთებთ ისეთს ჩაის ბუჩქს, რომ ასე დაუჯერებელ მოსავალს გაძლევთ?

— ახლებურად ვუვლით, — ფარული სიამაყით უპასუხა ლუბამ. — გახსოვს, თამარი ამბობდა: პლანტაციის ყოველწლიური ზამთრის გადაბარვა, მოსავალს კი არ ადიდებს, ამცირებსო, რადგან ღრმა გადაბარვით ბუჩქს ფესვები უზიანდებაო.

— ამ ახირებული აზრის გამო ბევრი დასცინოდა მაშინ თამარს, — გაიხსენა ბრიგადირმა და ახლაც ჩაიღიმა.

— შენი წასვლის შემდეგ თამარმა ბარები გა-

დაგვაჭრევინა, სიგრძე დაუმოკლა და 10 სანტიმეტრზე ვბარავდით. აბა, დაცინვა მაშინ უნდა გენახა, მაგრამ თამარი აინუნში არ აგდებდა, ზოგმა მავნებლობაც კი დასწამა, მაგრამ ანთიმოზი გამოგვექომაგა...

— მერე, მერე? — დაინტერესდა იონა. — ანთიმოზს არ მოსთხოვეს პასუხი?

— მოსთხოვეს, მაგრამ, ხომ იცი, ანთიმოზს პასუხისგებისა არასოდეს ეშინოდა... გავიდა ხანი და თამარმა ერთ დღეს სასიხარულო ამბავი მოგვიტანა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალიდან. თურმე ინსტიტუტს დაუდგენია, რომ პლანტაციის ყოველწლიური ღრმა გადაბარვა, მართლაც ამცირებს მოსავალს. სხვა თამარის ადგილზე ქვეყანას აიკლებდა: აი, ნე ხომ ვამბობდი, თქვენ კი დამცინოდით.

— გულში მეც დავცინოდი მაშინ თამარს, — გამოტყდა იონა და უხერხულად ჩაახველა, —

— ახლა შენი საქმეები მითხარი. შენ ხომ მოანგარიშედ მუშაობდი. რამ გაიძულა წვრილშვილის პატრონი ქალი, რომ კანტორის სუფთა ოთახი მიატოვე და დღედალამე წელგაუმართავი მუშაობ პლანტაციაში?

— ოჯახში არავინ მყავდა ისეთი, რომ ჯარში წასულიყო... კანტორაში ვერ დავუდე გული საქმეს. ოლია ყუფუნია რომ ღამე—ჭრაქით ხელში—ფოთლის საკრეფად გავიდა, მე მეორე დღეს მივედი და თამარის ბრიგადაში დავიწყე მუშაობა.

ბრიგადაში ბევრი ახალი წევრი დახვდა იონას. ისინი იმავე მოვალეობის გრძნობამ მოიყვანა აქ. მაგრამ ყველაზე მეტად თავისი შვილის პატარა დადალის საქმემ გააკვირვა. დაბრუნდა და მისი აშენებული სახლი დახვდა, ღედის მიერ დანგრეული ოჯახი ისევ ფეხზე წამომდგარი დაახვედრა...

თამარის ბრიგადა ომის შემდეგ წლებში კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით იბრძოდა უხვი მოსავლისათვის და ახალ და ახალ წარმატებას აღწევდა. პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს სახელოვანი მეჩაიების თავდადებული და ნოვატორული შრომა; თამარის ბრიგადის 40 წევრიდან 16 სოციალისტური შრომის გმირობა მიენიჭა, სხვები დაჯილდოებული იქნენ მრავალი ორდენითა და მედლით. თამარს კი 1950 წელს გმირობის მაჩვენებლობის მოპოვებისათვის მეორედ მიენიჭა გმირის წოდება და გადაეცა ვარსკვლავი ნამგლითა და უროთი. გმირის წოდება მეორედ მიენიჭა ანთიმოზ როგავასაც. კოლმეურნეობას 40 სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს და 206 კოლმეურნე დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ორდენითა და მედალით.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ომის წლებში რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ, მრავალდარგობრივ სუბტროპიკულ მეურნეობად იქცა. აქ ფართოდ დამკვიდრდა ისეთი ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები, როგორიცაა ჩაი, ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, ხეხილი, ვენახი, დაფნა, ტუნგო, თუთა, ევკალიპტი და სხვა.

მარტო თამარ ყუფუნიას ბრიგადა ყოველწლიურად კოლმეურნეობას 1,300,000 მანეთზე მეტს აძლევს.

თუ ჩაის და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის საცდელ ნაკვეთებზე ჰექტარზე საშუალოდ 5,500 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ, ხოლო რაიონის კოლმეურნეობების ნაკვეთებზე ჰექტარზე 2,790 კილოგრამს, თამარ ყუფუნიას ბრიგადის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 7,194 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოყავთ.

სოციალისტური შრომის გმირებს — ოლია ყუფუნიას, ლუბა სახოკიას და ლილი რევიას ჰექტარზე 10,000-12,000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოყავთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამშობლო თითქმის უზრუნველყოფილია საკუთარი წარმოების ჩაით, ეს მაინც ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. საქართველოს მეჩაიები დიდ სასელექციო მუშაობას ეწევიან კოლმეურნე მეჩაიებთან ერთად, აუმჯობესებენ ჩაის ხარისხს და ცდილობენ მაღალმოსავლიანი ჩაის ჯიშების გამოყვანას. მაღალხარისხოვანი და უხვმოსავლიანი ჩაის ჯიშები გამოიყვანა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალმა. მათი გამომყვანია სოფლის მეურნეობის დოქტორი ქსენია ერმილეს ასული ბახტაძე. მის მიერ გამოყვანილი „ქართული № 1“ და „ქართული № 2“ ჩაის მოსავლიანობა 30-35 პროცენტით უფრო დიდია, ვინემ არასელექციური ჯიშების ჩაისა.

თამარ ყუფუნია პარტიის მე-20 ყრილობის დელეგატი იყო. ყრილობიდან დაბრუნებული, იგი დიდი აღფრთოვანებით ესაუბრებოდა რაიონის მეჩაიეებს იმის შესახებ, რომ ყრილობამ გადაწყვიტა, 1960 წელს საბჭოთა სამშობლოს, ნაცვლად 118,000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა, 165,000 ტონა ფოთოლი მოუკრიფონ.

ყრილობის ამ გადაწყვეტილებას აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ საქართველოს მეჩაიები, და ეს არა მარტო იმიტომ, რომ სამშობლოს მეტი ჩაი სჭირდება, არამედ იმიტომაც, რომ ჩაის მეურნეობამ მკვეთრად აამაღლა კოლმეურნის მატერიალური და კულტურული დონე.

* * *

მარტის დასაწყისში ზუგდიდის რაიონში ვიყავი. აღრინდელი გაზაფხულის მზიანი დღე იდგა. ხეხილის დაბერილი კვირტები მზის სხივებზე ხმაურით სკდებოდა, ჰაერში გამთბარი მიწისა და მცენარის სურნელი გამდგარიყო. მე და ზუგდიდის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი ახალსოფლისაკენ მივდიოდით, ჩვენი მანქანა ფართო ასფალტირებულ გზაზე გარბოდა. გზის პირად ჩამწკრივებული იყო ორსართულიანი და ერთსართულიანი აგურისა და ხის ლამაზი შენობები. მწვა-

ნედ ლივლივებდა კოინდრით აბიბინებული მეგრული წარმტაცი ეზოები. მზეზე ბრწყინავდა ფორთოხლის კრიალა ფოთლები.

მანქანა კოლმეურნეობის კანტორის ახალ ორსართულიან შენობის კარებთან შეჩერდა. ქვის განიერ კიბეს ავყევით და შევაღეთ თავმჯდომარის ოთახის კარი. თავმჯდომარის მაგიდასთან იდგა თამარ ყუფუნია და კოლმეურნეებს რაღაც დავალებას აძლევდა. სამი წელიწადი არ მენახა თამარი. ჭაღარა გახშირებია და ეს კიდევ უფრო ამშვენებდა და აკეთილშობილებდა მის სახეს, თავსაფარი მხრებზე ჰქონდა გადავარდნილი, როგორღაც შეუჩვევლად იდგა მაგიდასთან. ორ თვეზე მეტია, იგი კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარეს — შალვა გაბედავას სცვლის. უნებლიეთ იონა ყუფუნიას სიტყვები გამახსენდა: „შენ ახლა ბრიგადას კი არა, მთელ კოლმეურნეობას გაუძღვები..."

თამარი ფეხზე ამდგარი იმიტომ ელაპარაკებოდა კოლმეურნეებს, რომ თურმე თავის ბრიგადაში მიეჩქარებოდა. ვერ ჯდება კაბინეტში, პლანტაციებსა და ყანებშია მისი ადგილი. ამას ერთი შეხედვით შეატყობთ. ჩემი ნახვა გაეხარდა.

— ახლა ჩვენ ბრიგადაში წავალთ, — მითხრა აჩქარებით, — მოთმინება არ ყოფნიდა, ეჩვენებინა ჩემთვის თავისი ბრიგადა. — ხვალ ტრაქტორს ველი, — მითხრა უკვე მანქანაში.—ბრიგადა დღეს საყანე მიწების გასუფთავებას შეუდგა.

მანქანიდან გადმოვედით. ქალი და კაცი სიმინდის ღეროებს სთხრიდნენ და აგროვებდნენ ნაყანარზე, იქვე წვავდნენ. ოცამდე კოცონი ენთო და ბოლავდა. გამხმარი, გაფიცხებული ღეროები ტკაცანით იწოდა.

წინ ოლია ყუფუნია შემოგვეგება. მარტის მზეს უკვე თავისი ელფერი დაუკარგავს მის ცოცხალ და ენერგიულ სახეზე. ოლია, თავის ხანთან შედარებით, გაცილებით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა, მისი ქალიშვილებრივ ეშმაკური თვალები ბრიგადირის დანახვაზე კიდევ უფრო აენთნენ. ასეა, როცა ორი მოსიყვარულე მეგობარი ერთმანეთს ხვდება. თამარმა მისალმება არ მაცალა.

— ყაჰის ჩელტებისათვის ღეროები შეაგროვე, ოლია? — ჰკითხა ოლიას.

— არა... მე წელს ყაჰს ხელს არ მოვკიდებ.

— რაო?! — გაიკვირვა თამარმა, — რას ამბობ, ოლია?!

— შარშან პირველი ხარისხის პარკი მივიტანე რაიაბრეშუმის მიმღებ პუნქტში და მეორე ხარისხად ჩაიბარეს, — უთხრა უკმაყოფილო და განაწყენი ადამიანის ხმით ბრიგადირს ოლიამ. — ამიერიდან ყაჰს არ მოვკიდებ ხელს.

— ვიღაც მიმღები პუნქტის გამგემ გაწყენინა და ამის გამო... შენ უთუოდ ხუმრობ, ოლია.

— სულაც არ მეხუმრება.

დაიწყო ოლიამ, მაგრამ ამ დროს იქვე მდგომმა ქერა გოგონამ პოლინა შერბაკოვამ ვერ მოითმინა და ოლიას სიტყვა გააწყვეტინა. პოლინამ რა დაინახა, რომ თამარი შეწუხდა ოლიას ნათქვამზე, არ დააყოვნა და ასე უთხრა თამარს:

— დედა, დეიდა ოლიამ ჯერ კიდევ სამი დღის წინ შეაგროვა საჩელტე ღერი. თქვენ გულის მოსაფხანად გეუბნებათ არ მოვკიდებ ხელს ყაჰსაო, თორემ ღერი იმდენი შეაგროვა, რომ წელს ორჯერ მეტი ყაჰის ყოლას აპირებს.

პოლინა შერბაკოვა კოჯრის საბავშვო სახლიდან ჩამოიყვანეს ზუგდიდში და ჩაის ფაბრიკაში მოაწყვეს სამუშაოდ. ბავშვი იქაურობას ვერ შეეგუა. ტიროდა, ნაღვლობდა. გაიგო თუ არა თამარმა ეს ამბავი, წავიდა და შინ მოიყვანა პატარა პოლინა, იშვილა და ასწავლა. ახლა პოლინა სოფლის ფოსტალიონია. თავისუფალ დროს ბრიგადაშიაც მუშაობს.

რამდენი პოლინასთანა ბავშვი გაუზრდია თამარს, რამდენს მიულია შრომის გმირობა, მოუხვეჭია სახელი, სამშობლოსათვის საჭირო და სასარგებლო ადამიანი გამხდარა. ისინი ახლა პოლინა შერბაკოვასავით დედას ეძახიან თამარს... არა მარტო ისინი, მთელი სოფელი ასე ეძახის.

ნათქვამია, ბავშვის ენა დედამ იცისო. ისე არავინ იცის სოფლის ფიქრი და ოცნება, მისი ტკივილები და სიხარული, როგორც თამარ ყუფუნიამ.

კარგად შეარქვა ხალხმა — სოფლის დედა.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ბერძენიშვილი

★

# ნასაკირალის ღამე

გურიის გლეხთა მოძრაობა იშვიათი მოვლენაა მსოფლიოს ისტორიაში, ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად ემხრობა მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი.

1905 წ. 30 აპრილი, გაზეთი „ვპერიოდ".

ხალხური დრამა 4 მოქმედებად, 11 სურათად.

## მოქმედნი:

1. კ ო ბ ა — ამხანაგი კავკასიის კომიტეტიდან
2. უ შ ა ნ გ ი — ნასალდათარი. ახალგაზრდა
3. მ ა რ ი ა მ ი — უშანგის სატრფო.
4. ნ ი ნ ო — მარიამის დედა. მსხვილი მემამულე. ქვრივი.
5. ა პ ო ლ ო ნ — ნინოს ვაჟი, მარიამის ძმა.
6. დ ა თ ი კ ო შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე — წითელრაზმელი, მეთაური, 30 — 34 წლისა.
7. გ უ ლ ო — შევარდნაძის მეუღლე
8. კ ი კ ი ა (იასონ) მამულაიშვილი — დათიკოს ძმადნაფიცი.
9. ჯ ა ბ უ ლ ო — ახალგაზრდა გლეხი.
10. ლ ა დ უ შ ა — ჯაბულოს ძმა, პატარა ბიჭი.
11. ფ ა ტ ი — ჯაბულოს საცოლე.
12. გ ლ ა ხ უ ნ ა — მოხუცი, ნაყმევი გლეხი, ცალხელა.
13. გ ი გ ო — ახალგაზრდა გლეხი.
14. ნ ი კ ო ი ა — ოხუნჯი კაცი
15. ფ ე ო დ ო რ ო ვ ი — „პოტიომკინელი" მეზღვაური.
16. რ ა ზ მ ე ლ ი
17. ჯ ა მ ბ ა კ უ რ ო ვ ი — ოზურგეთის მაზრის უფროსი.
18. ქ უ ც უ რ ბ ე გ ი — ბოქაული ინგუში.
19. თ ა ყ ა — ყაჩაღი, გაქსუებული აზნაური.
20. გ ო ჯ ა ს პ ი რ } — დათიკოს მეზობლები.
21. ყ ა ი ს ა რ }
22. ტარსეი — ინგლისელი მოიჯარადრე.
23. დ ი მ ი ტ რ ა — სტრაჟნიკი.
24. მ ე ა რ ღ ნ ე

სტრაჟნიკები, პლასტუნები, რაზმელები, ხალხი.

მოქმედება — გურიაში, 1905 — 1909 წ. წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქმედება პირველი

### სურათი პირველი

მთიდან მოდენილი სქელი ნისლი თანდათანობით იფანტება, მოჩანს თვალწარმტაცი პეიზაჟი მთიანი გურიისა. მთები, კლდეები მწვანით დაბურული. კლდეებიდან წყაროები მოჩხრიალებენ. წინ წამოშვერილი ვეება კლდე. კლდეზე ასწლოვანი წიფელი დაკოჟრილი ფესვებით კლდეს ჩაპკვრია თითქოს ფესვებით ლოდებს იჭერს, რათა ლოდები არ მოზვავდნენ და გზა არ ჩაიხერგოსო. წიფლის ქვეშ, პატარა მოედანია. ციცაბო დაქანებული, ციცაბოზე, ჯაბულო, წელზე თოკით ხეს გამობმია და თოხნის. კლდის მარცხნივ მთის მდინარის ღრმა ხევია, ხევზე დაკიდული ხიდი, რომელიც გზას უერთდება. გზა აღმართს მიდის. შუადღეა. მუხლებამდე დაკაპიწებული გლეხები, ოფლში გახვითქულნი, ხევში უზარმაზარ ხეს მოათრევენ, მათთან ერთად არიან ცალხელა გლახუნა და ნიკორია.

გ ლ ე ხ ე ბ ი — (მღერიან) ეი და... ოპოი... ო... დილა...

მოსწი მოჰქაჩე...
არვის ჩამორჩე....
ეი და ოპოი...
დღე დაალამე...
ღამე ათენე...
ეი და... ოპოი... ო... დილა....

გ ი გ ო — (შედგა) მომწყდა წელი!

გ ლ ა ხ უ ნ ა — დაისვენეთ.

გ ი გ ო — აი ჩემი ახალგაზრდობა ქე გავათავე და....

გ ლ ა ხ უ ნ ა — გაუძელი, ბაბა, გაუძელი. კნეინა ნინომ ბრძანა თუ ჭკუით იქნებითო, იმ ბუნტოვჩიკებს არ აყვებითო, მეც ჩემს მადლს არ მოგაკლებთო. სანადელოს დაგიკლებთო, ცოტა მიწასაც მოგცემთო.

ნ ი კ ო რ ი ა — კი, კი, ნინო, საყანე მიწას თუ არა, სამარხ მიწას მაინც არ დაგამადლით.

გ ი გ ო — სამარხ მიწაში ფულს არ გვახდევინებენ თუ!?

ნ ი კ ო რ ი ა — აბა რავა, საიქიოს უფასოდ გინდა წახვიდე?

გ ი გ ო — ძალა მქონდეს, ნინოსა და მის სტრაჟნიკებს საიქიოს უფასოდ გავაგზავნიდი, მარა...

ნ ი კ ო რ ი ა — რაღას უცდი მერე? — გააგზავნე!

გ ი გ ო — რითი?! ცარიელი ხელებით?! სტრაჟნიკს თოფი აქვს, მე თოხი! ის თოფს მესვრის, მე თოხი ვესროლო?

გ ლ ა ხ უ ნ ა — (გიგოს თავში წაჰკრავს) სუ! არავინ გაგიგონოს. ენას კბილი დააჭირე!

გ ი გ ო — აი ჩემი ენა რო არაფერი ხაჭაპურია!

გ ლ ა ხ უ ნ ა — სუ! სუ! იმუშავეთ.

გ ი გ ო — ესაა ცხოვრება!

გ ლ ა ხ უ ნ ა — გიგო, მეფის საწინააღმდეგო ლაპარაკისათვის ბათუმში რაც გირტყეს, არ გეყო? იმუშავე, იმუშავე!

გ ი გ ო — სანამდე ვიყოთ ასე მუნჯივით, რისთვის? ვისთვის ვიმუშაოთ?! ამ ჩვენს ხე-ტყეს ინგლისში რომ მიათრევენ. გლახუნა, შენ მოგწონს?

გ ლ ა ხ უ ნ ა — მე, ბაბა, მზეთუნახავი მომწონს, მარა სად არის!

ტ ა რ ს ე ი — (ხიდზე გამოჩნდა) ჰელოუ, მისტერ გლახუნა!

გ ი გ ო — მოვიდა უცხო ბატონი.

გ ლ ა ხ უ ნ ა — იმუშავეთ. (მირბის).

ნ ი კ ო რ ი ა — ვითომ ჩვენი ჭირი არ გვეყოფოდა... ეს უცხო...

გ ლ ა ხ უ ნ ა — კეთილი კაცია ეს ინგლისელი.

გ ი გ ო — კი, ჩვენზე ამოდის მზე და მთვარე. ასი ძირი ურთხელის ხე თითო თერთმეტ შაურად იყიდა. ინგლისში კი გირვანქას ყიდის ათ შაურად.

ნ ი კ ო რ ი ა — მაგან გაზიდა ბზა, წაბლი, წიფელი. ახლა ჩალის ფასად მიაქვს ეს ტყე.

ტ ა რ ს ე ი — (გლახუნასთან ერთად, მუშებთან მოდის) ჰაუ დუ ი დუ! სალამი.

გ ი გ ო — იცოცხლე რა გენაღვლება.

ტ ა რ ს ე ი — რატომ მუშაობა არა?

გ ლ ა ხ უ ნ ა — ახლა შეისვენეს.

ტ ა რ ს ე ი — მუშაობა ბევრი, ფული ბევრი. მუშაობა ცოტა, ფული ცოტა. (ნიკორიას) შენ ჩემი მუშა არა?

ნ ი კ ო რ ი ა — არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარსეი — შენ ბეიბი არა?

ნიკოია — ბებიაჩემს მიჰყევი შენ. გლახუნა, ბებიაჩემი რად უნდა, ამ ვიგინდარას?

ტარსეი — ბეიბი... ბეიბი... (ბავშვს აჯავრებს, ტირის) არა?

ნიკოია — არა. გესმის, ბიჭო, აქაური ბებია ინგლისში ბავშვი ყოფილა. (სიცილი).

ტარსეი — შენ ბუნტი? წადი! აქ ჩემი მუშა.

ნიკოია — შენ თითონ წადი აქედან...

გლახუნა — ჩუმად, რას უბედავ?!

გიგო — აბა ვის უპირებს გადენას? თითონ წაეთრიოს!

გლახუნა — ჩუმათ-მეთქი! შე ლაწირაკო.

გიგო — არ ვიმუშავებთ!

ტარსეი — ბუნდი გინდა? ფული არ გინდა?! მე კნეინა ლედი — ნინო უთხარი... ბუნტი არა! ფული არა!

ნიკოია — წადი მოგვშორდი! (ტარსეი ბურდღუნით გარბის).

გლახუნა — რას მიშვები ნიკოია?! გიგო, მოგკლავ მე შენ.

გიგო — არ ვიმუშავებ, არ მსურს ჩვენი ხე-ტყე გაძარცონ, არ მინდა, გესმის, გლახუნა, არ მინდა!

გლეხები — არ გვინდა! არ ვიმუშავებთ!

გლეხი — კომიტეტში ვიჩივლოთ!

გიგო — არც ისეა საქმე, როგორც სხვას ჰგონია. ახალთაობაში ვიჩივლებთ.

გლახუნა — სუ! ნუ სულელობთ! იყუჩეთ სუ-მეთქი!

გიგო — ხიდისთავში კრებას დავესწარი. იქ კობამ სთქვა...

გლახუნა — გიგო, კობა ვინაა?

გიგო — ისაა რაცაა! დასწრებოდი ხიდისთავში კრებას და გაიცნობდი.

ნიკოია — კობა სოციალისტია!

გიგო — ა! რას ამბობ ნიკოია! ის სოციალისტზე მეტია! სოციალისტები, ბიჭო, კარლო ჩხეიძე და ბენია ჩხიკვიშვილია! კობა კი იმათ ებრძვის.

ნიკოია — შე აბდალავ, შენ ვისაც თმა აქვს მოშვებული, ყველა სოციალისტი გგონია? თუმცა შენ მართალი ხარ ხომ იცი! კობა კომუნისტია.

გლახუნა — კომუნისტი რაღაა, ნიკოიავ?

ნიკოია — როგორ აგიხსნა ახლა მე შენ? ყური დამიგდე... სოციალისტი — ისტია! ისტ! მიხვდი ხომ? კომუნისტიც ისტია! ოღონდ სულ სხვანაირი ისტი! ჩვენებური, მუშური და გლეხური ისტია! ხომ მიხვდი გლახუნავ! შენ ჭკვიანი კაცი ხარ და დარწმუნებული ვარ მიხვდები.

გლახუნა — კი, კი! შენ თუ მიხვდი, მე ვერ მივხვდები? რა სთქვა...

გიგო — იმ კაცმა სთქვა, თუ მუშები და გლეხები პირს შევკრავთ, ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებსო. მეფეს გადმოვაყირავებთო!

გლახუნა — სუ! სუ! იყუჩე! თოკით შეგკრავ მე შენ! იმ ცოციალისტმა თქვა ეს სიტყვა და წავიდა. შენ კი აქ ტყავს გაგაძრობენ.

გიგო — რაღას გამაძრობენ, ტყავგამძვრალი არა ვარ?!

ნიკოია — არ გვინდა! არ გვინდა.

გლახუნა — ვაი რა ვქნა! ნიკოია, ხალხს მიბუნტებ?!

გიგო — ბევრმა სოფელმა თქვა უარი საეკლესიო და სახელმწიფო ბეგარაზე, მარა ვერაფერი დააკლეს. თურმე ასეა მთელ რუსეთში.

გლეხები — ვერც ჩვენ დაგვაკლებენ ვერაფერს.

ნიკოია — არ გვინდა! (უბიდან გაზეთს ამოიღებს) გიგო, შენ კითხვა იცი. წაიკითხე, აქ რა სწერია. (გიგო გაზეთს გამოართმევს).

გლახუნა — ეს რა არის, ნიკოიავ?

ნიკოია — კავკასიის კომიტეტის გაზეთია! „პროლეტარიატის ბრძოლა“ ბათუმიდან ჩამოვიტანე.

გიგო — გაზეთი?

გლახუნა — შიგ რა წერია?

ნიკოია — როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს.

გლახუნა — (გიგოს გაზეთს გამოსტაცებს) მე წმინდა სახარებაში დაწერილმა ვერ მიშველა და გაზეთში დაწერილი მიშველის?! აბდალი ხარ შენ, ნიკოია! (გაზეთს უბეში ჩაიდებს).

გიგო — მოიტა გაზეთი!

ნიკოია — გლახუნა, მაგ გაზეთისათვის გაგაციმბირებენ.

გლახუნა — ჰოდა, გაგაციმბირებ მე შენ.

ნიკოია — ჯაშუშობას აპირებ?

გლახუნა — ლაწირაკო!

ნიკოია — უფროსი არ იყო...

გიგო — მოიტა გაზეთი! (ცხენების ფეხის ხმა).

გლახუნა — ჩუმად-მეთქი! (ყველანი მიყუჩდნენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინოს ხმა — ბიჭო, ცხენები ჩამომართვი!

გლახუნა — აგერ კნეინა ნინო მობრძანდა თავის ქალიშვილით.

ნინოს ხმა — ცხენები ბალახზე მიუშვი!

გლეხები — ნინო!

ნიკოია — წმინდა ნინო!

გლახუნა — სუ! ჩუმად, არ გაგვიგონოს!

გიგო — წაწყდეს მაგის სული.

გლახუნა — მამაჩემი მაგის მამამ გაყიდა, მე გამაჩუქა. სუ! სუ! იმუშავეთ! იმუშავეთ! (ყველანი მიყუჩდნენ, უხმოდ მიათრევენ ხეს. მიიმალებიან.)

ნიკოია — (დაფიქრებული) ესაა საქმე?! მეგონა აგია მოვაწყე ჯანყი-მეთქი, გამოჩნდა აფთარი და ქე არ გაიფანტენ! ფუი...

ლადუშა — (გარედან ყვირილით, მორბის, ხიდზე გამოჩნდება) ჯაბულო! ჯაბულო!

ჯაბულო — (მაღლიდან) რა იყო, ლადუშა?!

ნიკოია — უბედურება ხომ არაფერია?!

ლადუშა — სტრაჟნიკებმა აიკლეს ყველაფერი! ყველას სცემენ!

ჯაბულო — სცემენ! რისთვის?!

ლადუშა — საბატონო და საეკლესიო მიწებზე რატომ არ მუშაობთო, მათრახებით ააჭრელეს ყველა. პრისტავი ყველას „ნაობახში" ჩასმით ემუქრება.

ჯაბულო — „ნაობახში" არა ვარ!

ლადუშა — წამოდი, ჩემი ძამიე. დედამ თქვა, მოვიდესო. წამოი რა! პრისტავი ისეც ქეა შენზე გადაკიდებული, „ბუნტოჩიკიაო". ვინც უარს ამბობს, მიაქვთ ყველაფერი, თოხი, წალდი, ცული, ტაშტი, თუნგი, წამოდი, თვარა აგვიკლებენ.

ჯაბულო — აკლებული არა ვართ?!

ლადუშა — ჩამოდი რა! ჩამოდი, თვარა ამ კლდეზე შევატკლეც თავს!

ჯაბულო — არ წამოვალ! ამ ხრიოკს დავაკვდები. ქვას მოვხნავ, ქვას მოვხრავ, ქვაზე დავთესავ! ბატონის მიწაზე კი არ ვიმუშავებ.

ლადუშა — მოგკლავენ, ძამია.

ჯაბულო — მომკლან! შინ წადი, უთხარი ვერ ვნახე-თქვა, თუ რამე მოხდეს, შემატყობინე. მერე...

ლადუშა — მერე, მერე, რას იზამ? რას გვიშველი?!

ჯაბულო — მერე მე ვიცი! წადი.

ნიკოია — წადი, ბიძიკო, წადი. უფროსი რო გეუბნება, დაუჯერე.

ლადუშა — წავიდე?

ჯაბულო — წადი, ჩემზე ნუ იფიქრებ.

ნიკოია — ბიძიკო, დათიკო ხომ არ დაგინახავს? ან უშანგი?

ლადუშა — შევარდნაძე? კიკიასთან ერთად ზეგანზე მიდიოდნენ. უშანგი. ბიძია არ შემხვედრია.

ნიკოია — ზეგანზე? კაი, წადი. (ლადუშა ხიდზე გარბის. ნიკოია, ჯაბულოსთან ადის) წიგნის კითხვა იცი?

ჯაბულო — ისე, საყველპუროდ.

ნიკოია — (უბიდან ქაღალდს ამოიღებს) მერე წაიკითხე.

ჯაბულო — რაა?

ნიკოია — ახალთაობის ფურცელია. „გურიის გლეხობას". წაიკითხე.

ჯაბულო — პრისტავი არ მეყოფა! ახლა მეფე გინდათ გადამკიდოთ? წაიღე, მე მიწა მინდა, მეფესთან საჩხუბარი არაფერი მაქვს. (ქაღალდს უკანვე უბრუნებს).

ნიკოია — მიწა თუ გინდა, წაიკითხე, ეს ქაღალდი და გაიგებ თუ მიწა როგორ უნდა მიიღო! როგორ უნდა იბრძოლო.

ჯაბულო — ყაჩაღად ახლა ვერ გავალ მე... სხვა მოძებნე, ნიკოია, სხვა. (თოხნას განაგრძობს. თოხნითვე გადის).

ნიკოია — აბდალი ხარ, აბდალი. (ჩამოდის, ხიდზე გადის ღიღინით).

გუშინ მაჭარი დავლიე,
არც ღვინოა და არც წყალი,
რად გინდა კაცი მართალი,
თუკი იქნება აბდალი. (გადის)

(გარედან უშანგის ხალისიანი, სატრფიალო სიმღერა ისმის, კრიმანჭულით)

სიცოცხლევ და სიხარულო,
ენა ტკბილო, დაშაქრულო,
ჩემო სულო, ჩემო გულო,
სანატრელო, სიყვარულო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ — (მაღლობზე ამოფრინდა. მომღერალს უსმენს, თვალები უბრწყინავს) ჩემო სულო! ჩემო გულო!

(უშანგი განაგრძობს)

უშენობით ვერას ვხედავ
ჩემთვის დღე არის ბნელიო.
ან მაცოცხლე, ან მომკალი
დამაყენე საშველიო...

ან მაცოცხლე, ან მომკალი. (სიმღერა შეწყდა).

ნინო — (დარბაისელი დედაკაცი, შავი სამოსით. ამაყი. გოროზი. ხელში მათრახი უჭირავს. გზის თავში გამოჩნდება. მიდამოს დასცქერის როგორც მეფე) კარგად მღერის ვიღაც!

მარიამ — უსმენდი, დედა ბატონო?

ნინო — (გამომცდელად) ვინ არის ვერ ვიცანი. უშანგის ხმას ჰგავს.

მარიამ — (თავი დახარა) ვერც მე ვიცანი.

ნინო — უშანგი ჯარიდან გამოპარულაო.

მარიამ — (შეკრთა) არ გამიგია.

ნინო — არც შეხვედრიხარ?

მარიამ — აბა საიდან?

ნინო — მეგონა ჯარში გონს მოიყვანდნენ... იქაც დაუწყია მეფის წინააღმდეგ ლაპარაკი.

მარიამ — დედა ბატონო! მე უშანგი სრულებით არ მაინტერესებს. გთხოვ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

ნინო — ჭკვიანი მყევხარ! მასზე ლაპარაკი არ ღირს. უმამო ბიჭი ჩემს კარზე აღვზარდე. იმან კი...

მარიამ — შენგან... ხსენების ღირსი არ არის! სხვა რამ სთქვი. (ხევს დასცქერის).

ნინო — გეტყვი — აი ამ ხეობას და ოც ქცევა საყანე მიწას მზითვად გაგატან. ბათუმში ხე-ტყეს დავტვირთავ თუ არა ფულს ჩამირიცხავენ, სამი თვით პარიზსა და ლონდონს გაგგზავნით, საქორწინო მოგზაურობას მოგიწყობ. გუშინ პორუჩიკმა შენი ხელი მთხოვა....

მარიამ — (შეჰკივლა) აი!

ნინო — რა მოხდა?!

მარიამ — ხევში გლეხებს ხე დაუცურდათ, ერთი კინაღამ მოჰყვა.

ნინო — (ცივად) შეგეცოდა?

მარიამ — ცოდვაა!..

ნინო — სხვის შეცოდებას თავი დაანებე! თორემ მერე შენ არავინ შეგიცოდებს. ეს ტყე, მიწა-წყალი, ჩემია. საგვარეულო მამეულია, პაპის-პაპიდან გადმოცემული. მოწყალებით არ მიმიღია! არც არავის შევცოდებივარ და მოწყალებასაც არ გავცემ. თორემ ამ ქვეყანაზე იმდენი მათხოვარია, რომ თითოს თითო ფიჩხი უწყალობო, ერთი ხეც კი არ დამრჩება. წავიდეთ შვილო! მოწყალე მხოლოდ ცაზე ღმერთია და მიწაზე იმპერატორი. (პირჯვარს ისახავს) ადამიანს კი რაც გააჩნია, ღვთის ნაჩუქარი, თვით უნდა მოიხმაროს.

მარიამ — ჰო, მაგრამ...

ნინო — წავიდეთ.

მარიამ — წავიდეთ, დედავ-ბატონო. (ნინო წინ მიდის, მას მარიამი მიყვება. ისევ გაისმა უშანგის სიმღერა. გარედან რევოლვერის გასროლის ხმა. მარიამი შეკრთა. ცხვირსახოცი დაუვარდა. ამ დროს მის წინ მოკლული გვრიტი დავარდა) დედა!

ნინო — ვინ ისროლა?

აპოლონ — რევოლვერით ხელში შემორბის. ევროპულად აცვია. გვრიტს დასწვდა) მამან, შენთვის მომირთმევია (ხევიდან გლახუნა და გიგო ამოყოფს თავს) თვალი შევამოწმე.

ნინო — ო, შვილო ჩემო, შენი დიდი იმედი მქონდა. ვფიქრობდი ჩემს მამულს დიდი გამოცდილი მეურნე დაუბრუნდებოდი. ისწავლიდი, ფული არ დამიზოგავს. შენ კი პარიზში სატრფიალო მეურნეობას დაეუფლე მხოლოდ.

აპოლონ — რა ვქნა თუ ქალები...

მარიამ — დედავ. წავიდეთ.

ნინო — შვილო აპოლონ, ტყვიას გაუფრთხილდი. დაგჭირდება.

აპოლონ — ნუ გეფიქრება. ტყვია მაქვს, სროლაც ვიცი არ ავაცდენ. ხომ ნახე? მაღლა გვრიტს ვესროლე, დაბლა კი ბულბულს ხმა ჩავუწყვიტე. (მარიამს გადახედავს).

მარიამ — დედა, წავიდეთ! თორემ აპოლონის ტრაბახს თუ უსმინეთ....

ნინო — შვილო აპოლონ, მუშებს მიხედე. ჩვენ შინ მივდივართ.

აპოლონ — მესმის მამან! (ნინო, მარიამი და აპოლონი გადიან, საიდანაც მოვიდნენ. ხმა გარედან) ბიჭო ცხენები. (ცოტა ხნის შემდეგ მოისმის ცხენების ფეხის ხმა).

გლახუნა — გიგოია, დაინახე აპოლონს როგორი სროლა ცოდნია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგო — კაია მარა. აპოლონი დათიკოსთან სროლაში მაინც ვერ მოვა. დათიკო შევარდნაძე გაფრენილ ჩიტს, ნიძლავზე გინდა მარჯვენა თვალში მოარტყამს, გინდა მარცხენაში.

გლახუნა — აპოლონი ტყვიას ტყვიაში აჯენს.

გიგო — დათიკო ასროლილ კაპიკიანს ტყვიით ხვრეტავს.

გლახუნა — აპოლონი...

გიგო — დათიკო შევარდნაძეს ტყვია არ ეკარება. დათიკოს თოფი რომ არ გაუვარდეს, თვალებით გაგლეჯს მტერს.

გლახუნა — ეგერ უშანგი მოდის. (შემოდის უშანგი, სალდათის ფორმა აცვია. უპაგონოთ. გზა აღმართს ასცქერის) უშანგი!

უშანგი — (სწრაფ მოხედა) გლახუნა, გოგი, დაბლა დამელოდეთ, ახლავე მოვალ. თქვენგან ათმეთაური უნდა ავირჩიოთ.

გიგო — გელოდებით. (გიგო და გლახუნა გადიან)

უშანგი — (რამდენიმე ნახტომით გზის თავში გაჩნდა).

გურიაში მივალ მარა,
სულმა წინ-წინ გაიპარა.
ვეხვეწე და არ დაბრუნდა
არ მიიღო ქრთამად ფარა.

მარიამ — (შემორბის) ცხვირსახოცი დამეკარგა.

უშანგი — მარიამ! ჩემი გული....

მარიამ — (ცხვირსახოცს აიღებს) აი ვიპოვე. ამ გზის პირას რისთვის დგეხარ? არ გეშინია?!

უშანგი — სადაც შენა ხარ, ჩემთან შიშს რა უნდა!

მარიამ — შენ რომ მოგკლან, თავს არ ვიცოცხლებ.

უშანგი — სიცოცხლევ ჩემო! (მოეხვევა).

აპოლონ — (მაღლობზე გამოჩნდა. იძრო რევოლვერი. მას გოჯასპირი მოსდევს) მოვკლავ!

გოჯასპირი — არ გაბედოთ! ეგ ახალთაობის მეთაურია. გადაგწვავენ. (აპოლონი ძალით გაჰყავს).

ნინოს ხმა — მარიამ... აუ... მარიამ...

მარიამ — (უშანგის) წადი ახლა. დედა მეძახის.

უშანგი — როდის? სად გნახო?

მარიამ — მე თვით მოგძებნი. წადი, წადი. (სწრაფად გასცილდებიან ერთმანეთს. უშანგი ხევში გადაეშვება. მარიამი აღმართს მიდის).

გოჯასპირ — (შემოდის. უშანგის თვალს გააყოლებს) იქეთ თუ აქეთ! მღვრიე წყალში ვდგევარ. ასეთ დროს შეიძლება დაიხრჩო, შეიძლება კარგი თევზი დაიჭირო. თევზი სჯობს. (უკანვე გაბრუნდება).

ფატი — (ცოტა ხნის შემდეგ ხიდზე გამოჩნდება. გამოირბენს. შედგება. ჯაბულოს უცქერის) მკერდი მოუღელიაო, ნეტა ვისი ბედიაო, მკერდი მოუღელიაო. (კლდის ძირას შედგება).

ჩიტი ვიყო, შენთან ვიყო,
საკენკიც კი არა მქონდეს.

(ჯაბულო ვერ ამჩნევს, ასძახებს) ოჯო, არ ჩამოვარდე!

ჯაბულო — ფატი!

ფატი — არ ჩამოვარდე-მეთქი!

ჯაბულო — ნეტა ჩამოვარდებოდე,
შენს ფეხთან დავარდებოდე.

ფატი — უი! რას ჩივი!

ჯაბულო — ნეტა შენი ფიჩხი ვიყო,
შენს ცეცხლზე დავიწვებოდე.

ფატი — მტერი დაიწვას.

ჯაბულო — ჩამოვიდე თუ ამოხვალ?

ფატი — ამოვიდე თუ ჩამოხვალ?

ჯაბულო — ჩამოვალ, შენთან ჩამოვალ.

ფატი — კარგი, ამოვალ, ამოვალ.

ჯაბულო — ინდი-მინდი ფერად შინდი,
ამოფრინდი, ამობრწყინდი.
(ფატი ვიწრო ბილიკით მაღლა ადის, ჯაბულოსთან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფატი — ხის ფოთოლი მოვიფაროთ.

ჯაბულო — ოჯო, რისთვის დავიმალოთ?

ფატი — რომ არავინ არ გაგვთვალოს! (ხის ტოტებს მოეფარებიან)

აპოლონ — (შემოდის, მას გოჯასპირი მოყვება) იმ გოგოს ხედავ, გოჯასპირ!

გოჯასპირ — ჯაბულოს საცოლეა. კაი წყვილია, არა?

აპოლონ — ერთი ქცევა მიწა ჩემზე იყოს, ის გოგო მაშოვნინე.

გოჯასპირ — რაც გინდა მთხოვე, ჯაბულოს ნუ გადამკიდებ.

აპოლონ — გეშინია?

გოჯასპირ — მხეცია, ბატონო. ეგ გოგო კი თავზე უფრო უყვარს.

აპოლონ — ჯაბულოს მე მოგაშორებ. სხვა თუ ვერაფერი, სალდათში ვუკრავ თავს. ყოყმანობ?! ქცევა ნახევარი საყანე ლეკიანში, რას იტყვი?

გოჯასპირ — ვაი რა ცეცხლში ვარ! უმიწაწყლო კაცისათვის ქცევანახევარი მიწა მთელი სარჩო-საბადებელია. მარა რად მინდა, შენ მიწა მომცე, ჯაბულო თუ დამამიწებს. არა, არ შემიძლია!

აპოლონ — პა, ორი ქცევა იყოს.

გოჯასპირ — ორი ქცევა? არ გადამრიო! ნამდვილად?!

აპოლონ — ნამდვილად.

გოჯასპირ — ახალთაობამ რომ გამიგოს?! უშანგი?! დათიკო შევარდნაძე ამჩეხავს.

აპოლონი — დათიკოს მალე მოუღებ ბოლოს, უშანგის კი ციხეში ჩავსვამ, როგორც დეზერტირს. ახალთაობა რას გაიგებს, ვიყიდეთქვა. პა! გადაწყვიტე. (ხელს გაუწვდის).

გოჯასპირ — ჯანდაბას ჩემი თავი! მე თუ მოვკვდები, ჩემს ცოლ-შვილს მიწა მაინც დარჩება. (ხელზე ხელს დაჰკრავს).

აპოლონ — რაც ჩქარა, უკეთესია. საჩუქარი ცალკე.

გოჯასპირ — ვეცდები.

აპოლონ — ახალთაობის ნუ გეშინია, აბა შენ იცი! იქ ისევ შეწყდა მუშაობა. თუ თავს არ ადგიხარ... (უკანვე გაბრუნდება).

გოჯასპირ — ვინ გამიგებს?! ვიყიდე-თქვა.

ფატი — (ჯაბულო) ეკლესიამდე ახლო არ მომეკარო.

ჯაბულო — ეკლესიის გუმბათი, ვითომ ჩვენ რომ დაგვყურებს, ამ ცაზე უფრო წმინდაა? (გოჯასპირი კლდეს მოეფარა. უსმენს).

ფატი — ღმერთო, ნუ უწყენ! ტუჩზე ხელი მიირტყი, ნუ სცოდავ.

ჯაბულო — საკურთხეველი ჩემს გულზე წმინდა იყოს, მეეჭვება.

ფატი — ვიცი, მჯერა, მაგრამ ამ გზისპირას, ჩვენს სიყვარულს გაფიცებ, ხელი არ მახლო... ვაი ვიღაც მოდის.

ჯაბულო — მერე რა! მოვიდეს (ფატი ჩამორბის) სად გნახო?

ფატი — სად უნდა მნახო?! ვერსად... ქორწინებამდე ვერ შეგხვდები... ხვალ საღამოს მამიას წისქვილიდან დაფქვილი უნდა წამოვიღო. (გოჯასპირი მიიმალა).

ჯაბულო — ფატი! (ფატი ხიდზე გარბის. დიდხანს გასცქერის გზას, რომლითაც ფატი წავიდა).

„ჯოჯოხეთში რომ ჩამაგდონ,
ბელზებელი ამბავს მკითხავს,
არ შევდრკები, მასაც ვეტყვი:
საყვარელი მყავს და მიყვარს“.

(ისევ განაგრძობს თოხნას).

აპოლონ — (შემოდის, შეჩერდება. ჯაბულოს უცქერის) ქვაზე სთესს, რომ ჩემს მიწაზე არ იმუშაოს. ქვას გაკვნეტინებ მე შენ.... (ხევს გადაადგება.) გლახუნა!.. გლახუნა!

გლახუნა — (შემორბის) გისმენ, ბატონის ჭირიმე.

აპოლონ — გლეხები ხომ კარგად მუშაობენ?

გლახუნა — თქვენი წყალობის იმედი აქვთ, თავს არზოგავენ.

აპოლონ — ინგლისელი გამწყრალია, რა მოხდა?

გლახუნა — ცოტა წაიმასხრეს ბიჭებმა და ალბათ ეწყინა.

აპოლონ — მისტერ ტარსეისთან ხუმრობა არ შეიძლება! ის საქმის კაცია და ხუმრობა არ უყვარს. ის გურულების მეგობარია, ხომ ხედავ ხევი გასწმინდა, ხიდი ააგო... გლეხებს ბავშვებს უნათლავს.

გლახუნა — რა მაგის პასუხია, ბატონო, მარა, თითონ თუა მონათლული?

აპოლონ — როგორ არა.

გლახუნა — რა ვიცი, ვისიც არ მესმის, ყველა ურჯულო მგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა პ ო ლ ო ნ — ჩამოჯექი, გლახუნა, დაისვენე.

გ ლ ა ხ უ ნ ა — როგორ გეკადრებათ, ბატონიშვილო, ბატონთან ჯდომა როგორ შეიძლება!

ა პ ო ლ ო ნ — რატომ გლახუნა?

გ ლ ა ხ უ ნ ა — ცხონებულმა მამაჩემმა მითხრა ერთხელ: — ბატონის წინ ყმა ფეხზე უნდა იდგეს, რომ ადვილად შეეძლოს გაქცევაო.

ა პ ო ლ ო ნ ი — მამაშენზე ბევრი ქება გამიგონია. კარგი ყაძახი იყოვო უთქვამთ.

გ ლ ა ხ უ ნ ა — ნამდვილად კარგი ვაჟკაცი იყო, კაი ფასშიაც გაყიდა დიდმა ბატონმა, პაპა თქვენმა, კაი ფული აიღო! დათიკო შევარდნაძე რომაა, ასეთი თვალ-ტანადი იყო მამაჩემი. ულაპარაკოდ იყიდა თათარმა.

ა პ ო ლ ო ნ — დრო იყო უკულმართი?

გ ლ ა ხ უ ნ ა — აბა რას ვამბობ, დრო არ ვარგოდა თორემ, პაპა-თქვენი, იმის სული კი განათლდეს. ყმას იშვიათად თუ დასჯიდა, ან გააჩუქებდა, ან ძაღლში გადაცვლიდა.

ა პ ო ლ ო ნ — ცუდი დრო იყო, ცუდი. ჩვენით უკმაყოფილო ხომ არ ხარ, გლახუნა?

გ ლ ა ხ უ ნ ა — მე?! როგორ გეკადრებათ. თქვენი ნაწყალობები ცოტა მიწა ქე მაქვს.

ა პ ო ლ ო ნ — ცოლი გყავს ავადო.

გ ლ ა ხ უ ნ ა — მოხუცდა, რაღა დროს მისი კარგად ყოფნაა. ან როდის იყო კარგად, რომ ახლა იყოს?

ა პ ო ლ ო ნ — (ქისას ამოიღებს) ა ფული, ოზურგეთში წაიყვანე ექიმთან, მოარჩინე.

გ ლ ა ხ უ ნ ა — (ფულს გამოართმევს) მადლობა როგორ გითხრა, სიცოცხლეს შემოგწირავ! (მუხლებზე მოეხვევა) შაქარს ვიყიდი, ცხელ ჩაის დავალევინებ და ექიმი რათ უნდა?!

ა პ ო ლ ო ნ — ადექი გლახუნა, ადექი. კარგი კაცი ხარ, ჩემგან წყალობა არ მოგაკლდება.

გ ლ ა ხ უ ნ ა — იცოცხლე, იცოცხლე!

ა პ ო ლ ო ნ — ყური დამიგდე, გლახუნა. გლეხებში ახალთაობის კაცები დაძვრებიან და მეფის საწინააღმდეგო სიტყვებს ლაპარაკობენ, გლეხებს აჯანყებისაკენ მოუწოდებენ.

გ ლ ა ხ უ ნ ა — ჩემთან მაგას ვერ გაბედავენ. (ჯაბულო კლდეს გადმოადგა, ყურს უგდებს)

ა პ ო ლ ო ნ — თუ გაბედონ, დაიხსომე, ვინც იქნება, და მე მომახსენე.

გ ლ ა ხ უ ნ ა — მოგახსენო?!

ა პ ო ლ ო ნ — (ქისით ფულს გადაუგდებს) ა, კიდევ აიღე. სადღაც იარაღის საწყობი აქვთ. თუ გამიგებ....

გ ლ ა ხ უ ნ ა — ამ ხნის კაცს ჯაშუშობას მიკვეთ?!..

ა პ ო ლ ო ნ — აიღე ვერცხლი, მეფეს ემსახურო, ჯაშუშობა არაა.

გ ლ ა ხ უ ნ ა — (ქისა აიღო) ფული ავიღო და კაცი გავყიდო?!

ა პ ო ლ ო ნ ი — ნუ ყეყეჩობ.

გ ლ ა ხ უ ნ ა — ფული ავიღო და სული წავიწყმინდო?!

ა პ ო ლ ო ნ — ჭკუით, ბებერო!

გ ლ ა ხ უ ნ ა — ღმერთმა შენ შეგარცხვინა და შენი ფულიც. (უკანვე მიახლის, შებრუნდება, მიდის).

ა პ ო ლ ო ნ — (რევოლვერს იძრობს) ბებერი ძაღლი! (უმიზნებს)

ჯ ა ბ უ ლ ო — (ზემოდან) არ გაბედო! (თოხი აღმართა)

ა პ ო ლ ო ნ — ბუნტია?! მოგკლავ!

ჯ ა ბ უ ლ ო — მომკალი! თქვენთან სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს.

ა პ ო ლ ო ნ ი — ვინც დაგინდოს შენისთანა იყოს. გესვრი!

ჯ ა ბ უ ლ ო — რას უცდი, მესროლე.

ა პ ო ლ ო ნ — ბუნტისთავებზე პასუხს არ ვაგებ. (გამართა რევოლვერი, უნდა ესროლოს. გარედან თოფი გავარდა. აპოლონს რევოლვერი ხელიდან გაუვარდება) ვინ ბედავს?!! შევარდნაძე!

ჯ ა ბ უ ლ ო — დათიკო? (თოფით ხელში, ხიდზე გამოდის დინჯად)

ა პ ო ლ ო ნ — შევარდნაძევ, გლეხის გულისათვის გამწირე?!

დ ა თ ი კ ო — (ჯაბულოს) შე კაცო, ამხელა კაცი დამდგარხარ და სიკვდილს ეხვეწები. როგორ, სიცოცხლე ამან გაჩუქა თუ? თოფი არ გაქვს, ქვა მაინც ვერ იშოვე?!

ა პ ო ლ ო ნ — დათიკო, ამას არ გაპატიებ!

დ ა თ ი კ ო — შენგან საპატიებელი რომ შევიქმნე, ტყვიას ნუ მესვრი, ერთი ბელტი მიწა დამარტყი გულზე.

ა პ ო ლ ო ნ — შევარდნაძევ, მერე არ გეწყინოს.

დ ა თ ი კ ო — მიჯაშუშებ?

ა პ ო ლ ო ნ — არ გეწყინოს.

დ ა თ ი კ ო — შენგან თუ რამე მეწყინოს, სისხლი მერწყიოს!

ა პ ო ლ ო ნ — მე მესროლე, ხომ?

დ ა თ ი კ ო — არა! მე კაცი გადავარჩინე!

ა პ ო ლ ო ნ — ვნახოთ ვინ იქნება შენი გადამრჩენი.

დ ა თ ი კ ო — ერთი ტყვია კიდევ მაქვს, აპოლონ, გესვროდი, მაგრამ მეშინია შენი თავი კაცად არ ჩამითვალონ. (აპოლონმა რევოლვერი აიღო, არაფერი უპასუხა, წავიდა)

ჯ ა ბ უ ლ ო — (დაბლა ჩამორბის) დათიკო! გადამარჩინე!..

დ ა თ ი კ ო — ამოდენა კაცი სხვისი გადასარჩენი რათ უნდა იყო?! ხელი გაკლია თუ ფეხი? გაიხედ-გამოიხედე რა ხდება ქვეყანაზე!

ჯ ა ბ უ ლ ო — კარგად ვხედავ, რაც ხდება, მაგრამ რა ვქნა?

დ ა თ ი კ ო — რა ქნა? (ჩაიღიმებს) დაუდექი ყველას და ეღლარჯე მესროლე-თქვა, მცემე-თქვა! წადი ახლა, თორემ ის წუწკი დაბრუნდება და...

ჯ ა ბ უ ლ ო — სად წავიდე?!

დ ა თ ი კ ო — რა ვიცი სად?! ამ დალოცვილ ქვეყანაში კაცს საცხოვრებელი ადგილი არა აქვს, თორემ დასამალი რამდენიც გინდა. ვიღაც მოდის. საღამოს მნახე.

ჯ ა ბ უ ლ ო — სამაგიეროს...

დ ა თ ი კ ო — თავს მიხედე. (ჯაბულო გარბის).

უ შ ა ნ გ ი — (ხევიდან ამოდის) შენ ისროლე?

დ ა თ ი კ ო — ოჰ, უშანგის გაუმარჯოს!

უ შ ა ნ გ ი — შენი თოფის ხმა იყო.

დ ა თ ი კ ო — ყვავს ვესროლე.

უ შ ა ნ გ ი — რამდენჯერ გითხარი, ჯერ სროლა არ შეიძლება-მეთქი!

დ ა თ ი კ ო — ჯაბულოს მოკვლას უპირებდა. რა გაქვს უბეში?

უ შ ა ნ გ ი — პროკლამაციები, ბათუმიდან მივიღე... მიპასუხე, რად ესროლე?!

დ ა თ ი კ ო — მაგ პროკლამაციები რომ მქონოდა, მაშინ თოფს აღარ ვისროდი, პროკლამაციებს დავაყრიდი თავზე აპოლონს...

უ შ ა ნ გ ი — მე არ მეხუმრება!

დ ა თ ი კ ო — (აენთო) მე გეხუმრები თუ?! რად მინდა ეგ ქაღალდები! თოფია საჭირო! სროლაა საჭირო!

უ შ ა ნ გ ი — დადექი და ისროლე მარტო.

დ ა თ ი კ ო — მარტო რატომ! ხალხი! ხალხს იარაღი უნდა.

უ შ ა ნ გ ი — თავის დროზე იარაღიც იქნება.

დ ა თ ი კ ო — მაგ დროს არ ვუცდი მე. სადაც წავაწყდები წუწკს, წუწკალს, ჯაშუშს, სულს ამოვხდი.

უ შ ა ნ გ ი — კომიტეტის დადგენილების გარეშე გასროლა აკრძალულია! ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, ის დაისჯება.

დ ა თ ი კ ო — მე დამსჯით?

უ შ ა ნ გ ი — ვინც არ უნდა იყოს!

დ ა თ ი კ ო — შეხედე შენ!.. იყავი კარგად.

უ შ ა ნ გ ი — სად მიხვალ?!

დ ა თ ი კ ო — მე იმასთან წავალ, ვინც შეიარაღებისაკენ, ვინც ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს.

უ შ ა ნ გ ი — მოიცა! შეიარაღება უიარაღოდ ხომ არ იქნება! იარაღს შოვნა უნდა.

დ ა თ ი კ ო — ჰოდა, ვიშოვოთ. (ვიღაც შეამჩნია) ე, მოდის ჩემი გენერალ-გუბერნატორი. ორი დღეა შინ არ ვყოფილვარ და უკვე მეძებს. გულოსთან არაფერი წამოგცდეს.

უ შ ა ნ გ ი — არ ენდობი?

დ ა თ ი კ ო — მეცოდება, ბავშვებიც ეყოფა საფიქრებლად, ახლა ჩემზე... (უშანგის) ვითომ ღვინოს ვსვამდით.

უ შ ა ნ გ ი — არა, მე წავალ, ხომ იცი ვიმალები. სეფე ცინცაძისას შევხვდეთ. არ გინდა ის კაცი განახვო?

დ ა თ ი კ ო — ვინ?

უ შ ა ნ გ ი — კობა, ჩვენი ამხანაგი კავკასიის კომიტეტიდან. ხიდისთავში და ფარცხმაში ბენია ჩხიკვიშვილის ამალას კუდით ქვა რომ ასროლინა.

უ შ ა ნ გ ი — მოდი სეფესთან, მოდი. (გარბის).

დ ა თ ი კ ო — შენი ჭირიმე მანახვე. (გულო ხიდზე გამოჩნდება).

გ უ ლ ო — დათიკო ხარ? მშვიდობა შენს მნახველს.

დ ა თ ი კ ო — დათიკო ვარ გულო, დათიკო.

გ უ ლ ო — რომ გაიქცა, ის კაცი ვინ იყო?

დ ა თ ი კ ო — ამხანაგია ჩემი, ერთად ვსვამდით. რომ დაგინახა, შენი შეეშინდა და გაიქცა.

გ უ ლ ო — ვითომ ასე საშინელი ვარ?! (დათიკო როხროხით იცინის) რა გაცინებს?! ეს ორი დღეა სად იკარგები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიკო — სად უნდა ვიკარგებოდე! ჯერ საქმე. ოზურგეთს ვიყავი, მერე ამხანაგებს შევხვდი და წავიქეიფეთ.

გულო — მე რას მიმალავ? კარგად ვიცი როგორც ქეიფობ.

დათიკო — რა იცი?!

გულო — ერთი კაცი იყო ჩვენსას, ბათუმიდან ვარო. შენი ნახვა უნდოდა.

დათიკო — ბათუმიდან? როდის იყო? სად წავიდა? რა უნდოდა?

გულო — რა საქმე აქვს იმას შენთან? ეს წერილი დამიტოვა.

დათიკო — (წერილს გამოართმევს) ეგ შენი საქმე არ არის! (წერილი წაიკითხა) კარგია! არაფერი დაიბარა?

გულო — მერე ცნახავო! დათიკო, მე თუ არ გეცოდები, ბავშვები? ბავშვებს რას ერჩი?

დათიკო — რა გინდა?!

გულო — ვიცი რაღაცა საშინელს აპირებ. ი ცხრა თავა მეფეს შენ ვერაფერს დააკლებ, ოჯახს კი აგვიწიოკებ, თავი დაანებე?

დათიკო — წინ მელობები?

გულო — ასკანიდან ნასროლი მაჭახელა პეტერბურგში ნიკოლოზს ვერაფერს დააკლებს, ის კი იქედან ზარბაზანს გესვრის და მოგწვდება.

დათიკო — (იცინის) შენ, ჩემო გულო, მონარხისტი ხარ.

გულო — ისტი-ბისტი არ ვიცი მე. ბავშვები არავინ ამიწიოკოს, თორემ ვიღაცას ჩემი ხელით გამოვგლეჯ ყორყს! შინ წამოდი.

დათიკო — ისე კარგ გუნებაზე დამაყენე, რომ პირდაპირ შინ მოვდივარ. შენ კი ხელში აყვანილს წაგიყვან. (ხელს მოხვევს).

გულო — კაი ახლა! რას სულელობ! დათიკო, მოვიჯაყე!

აპოლონ — (სტრაჟნიკებთან ერთად. მაღლობზე დიმიტრა გადმოდგება) ესეც აქ არის.

დათიკო — წავიდეთ, გულო!

დიმიტრა — (დასძახებს) შეჩერდით!

დათიკო — მე მეძახით? ო! დიმიტრას გაუმარჯოს. ქორწილში ხომ არ მიდიხართ?

გულო — ვაიმე!

დიმიტრა — შენთან ხუმრობის დრო არა მაქვს, იარაღი ჩაგვაბარეთ და გამოგვყევით!

დათიკო — მიზეზი?!

გულო — ამ კაცს რას ერჩით?! აპოლონ ბატონო!

აპოლონ — მაგ კაცმა ტყვია მესროლა.

დათიკო — მე შენთვის არ მისვრია! შენს რევოლვერს ვესროლე.

აპოლონ — ის შემთხვევით იყო.

დიმიტრა — მოიტა იარაღი!

დათიკო — შემთხვევით?!

დიმიტრა — იარაღი ჩაგვაბარე!

დათიკო — ჩემი იარაღი რად გინდა? შენ არა გაქვს თუ! (თოფი შემართა) ასწით ხელები!
(ხიდიდან, ხევიდან რამდენიმე რაზმელი იარაღშემართულნი ამოძვრნენ).

რაზმელები — რა ამბავია?
— სიკვდილი ვის მოუნდა?
— გავცვეთ?
— გავაქროზ.

დათიკო — (რაზმელებს) უკან! როდის იყო დახმარება მჭირდებოდა. თუ მართალი ვარ მით უმეტეს. (დიმიტრას და აპოლონს) ასწით ხელები.

გულო — დათიკო!

დიმიტრა — როგორ ბედავ!

დათიკო — გაგაქრობთ. (ორთავემ ასწიეს ხელები) მხარიმხარ დადექით! (ორთავენი ასრულებენ დათიკოს ბრძანებას. სტრაჟნიკებმა იარაღი დაუშვეს)

დიმიტრა — მე მჯერა.

დათიკო — ხმა! გულო, მოხადე ქუდი ბატონ დიმიტრას და ორთავეს, თავებს შუა გაუჩერე.

გულო — დათიკო!

დათიკო — გულო! (გულო დიმიტრას ქუდს მოხდის და აპოლონსა და დიმიტრას თავებს შუა აჩერებს. ისინი გაშეშდნენ. დათიკო უკან იხევს. გადმოიღებს თოფს და ესვრის) გულო, ანახვე!

დიმიტრა — მჯერა! მჯერა! (ქუდს დახედავს) გახვრეტილია.

დათიკო — (გულო დათიკოსთან მირბის) ბატონო დიმიტრა, დაიხსომეთ, მაგ უკუდო რაინდსაც გადაეცით, რომ დათიკო შევარდნაძე არც სიტყვას და არც ტყვიას შემთხვევით არ ისვრის!

დიმიტრა — შევარდნაძევ! ეს ულვაში იყოს ძაღლის ბალანი, თუ შეგარჩინო.

დ ა თ ი კ ო — გასწით! უკან არ მოიხედოთ. (დიმიტრა და აპოლონი სტრაჟნიკებთან ერთად ხელებაწეული გადიან) წავიდეთ... გულო! (ხევიდან მარსელიოზა ისმის) გესმის?! გულო! ხედავ? დაიძრა ხალხი! ხალხი უარს ამბობს მონობაზე, ხალხმა „ზურგი აქცია ძველ ადათ-წესებს!" ამათ რომ იარაღი მისცა! მეფის ტახტს ბავშვის სათამაშოდ გადააქცევენ! რა ახლოა თავისუფლება! საჭიროა იარაღი! იარაღი! იარაღი! გულო! იარაღი! (ხევში გადაეშვება, მას გულო მისდევს).

ფარდა

## სურათი მეორე

იგივე ადგილი. დაკიდულ ხიდთან. მთვარიანი ღამეა.

ფ ა ტ ი — (ხიდზე გამოჩნდება. ფრთხილად მოდის, მიდამოს ათვალიერებს. შედგა. შეკრთა. უკან მოიხედა) ვინ მეძახის?! არავინაა! ასე მოვტყუვდი აგერ მესამედ. ვინ დამიძახებს?! ვითომ ჯაბულო არ დამიძახებს? მე ვარ დამნაშავე, რომ ვუთხარი, ქორწინებამდე არ შემხვდე-მეთქი. მართლა დაიჯერა? და იფიქრა გავუჯავრდებოდი! გვიან წამოვედი, იქნებ მელოდა და წავიდა! ჩემი ბრალია... არა, კარგი ვქენი, რომ ავუკრძალე... კაცი როგორც არ უნდა გიყვარდეს, შორს უნდა იყოლიო, უფრო შეუყვარდები. არა, მთლად შორსაც არ ვარგა, თორემ შეიძლება გული გაუგრილდეს, დააეიწყდე... ახლა რომ ჯაბულო დამხვედროდა, ახლოს არ მოვუშვებდი, მაგრამ. (ისევ უკან მიიხედა) ა! არ მოვა. რა ოხუნჯია დათიკო, მეფეს რო გადმოვაგდებთ, შენ და ჯაბულოს მეორე დღეს გაქორწინებთო. (ჩაიკისკისებს) ნეტაი ი მეფე რამ სიმაღლეზე ზის, რომ აქამდე ვერ გადმოაგდეს?! რა სულელი ვარ, მეფის გადმოგდება როგორ იქნება! (ხიდის თავში შეჩერდება) კარგი ცხოვრება იქნებაო! თავადი არ იქნებაო! ნეტა როგორ იქნება?! მღვდელი აღარ იქნებაო! უმღვდლოდ როგორ იქნება?! ქორწინება?! (იცინის) სულელი ვარ, სულელი. ხალხი ხუმრობს, მე კი ნამდვილი მგონია. (მიდამოს გადახედავს) იმ აბდალამ დასურ დაიჯერა, და არ მოვიდა. აბდალი! აბდალი! (ხიდს გვერდით აუხვევს. გადის).

გ ო ჯ ა ს პ ი რ — (გზაზე მოდის. დათიკოს მოჰყვება. ორთავენი ნაბდებში არიან) სადაც ხალხია, მეც იქ უნდა ვიყო.

დ ა თ ი კ ო — ჰო, საცა ცხვარია, მგელიც იქ არის. გოჯასპირ, სახალხო საქმე კეთდება, აქ ღალატი არ შეიძლება.

გ ო ჯ ა ს პ ი რ — მაგას რად მეუბნები?!

დ ა თ ი კ ო — წუწკი ხარ, ბიჭო, ფულის გულისათვის კაცს გაყიდი.

გ ო ჯ ა ს პ ი რ — მთელი ქვეყანა რომ გავყიდო, შენ მაინც არ გიღალატებ, მეზობლები ვართ.

დ ა თ ი კ ო — მე რა ოხრად გჭირდები?! მართალია, ხატი ღელეში გადააგდე?

გ ო ჯ ა ს პ ი რ — მართალია. არ მწამს და რა ვქნა!

დ ა თ ი კ ო — შე კაცო, დაბადებიდან რომ ლოცულობდი და ფიცულობდი, შენ იმ ღმერთს უღალატე და მე დამინდობ?! (იცინის).

გ ო ჯ ა ს პ ი რ — შენ ღმერთი გწამს თუ?

დ ა თ ი კ ო — როცა გამიჭირდება, ღმერთო, შენ მიშველეო, ქე გეტყვი.

გ ო ჯ ა ს პ ი რ — დათიკო, ახალთაობას ნუ გამომთიშავ. მწამს, ხალხი გაიმარჯვებს, განზე არ მინდა ვიყო.

დ ა თ ი კ ო — რომ დავმარცხდეთ?

გ ო ჯ ა ს პ ი რ — სიტყვას გაძლევ, ხალხის ჭირი გავიზიარო.

დ ა თ ი კ ო — სიტყვას?

გ ო ჯ ა ს პ ი რ — (ხანჯალი იძრო) სისხლით შემოგფიცავ.

დ ა თ ი კ ო — სისხლი რა საჭიროა! ვაჟკაცის სიტყვა სისხლზე იაფი არ უნდა ღირდეს. მომეცი ხელი, თუ ჩვენ გვიღალატე, თავს წააგებ.

გ ო ჯ ა ს პ ი რ — ძმაი ვარ შენი. (ხელს ართმევს) შენთან ერთად ცეცხლში შევვარდები.

დ ა თ ი კ ო — მარტო ვერ გაბედავ?

გ ო ჯ ა ს პ ი რ — შენთვის კი.

დ ა თ ი კ ო — ჩემთვის კი არა — ხალხისათვის, გოჯასპირ.

გ ო ჯ ა ს პ ი რ — მოგიკვდეს გოჯასპირ, თუ ვისმეს რაიმეში ჩამორჩეს.

დ ა თ ი კ ო — კარგი, საქმეში გაგიცნობ. საით მიდიხარ?

გ ო ჯ ა ს პ ი რ — წისქვილში ავირბინო მინდა.

დ ა თ ი კ ო — წადი, ბიჭებს ვეტყვი შენს შესახებ.

გ ო ჯ ა ს პ ი რ — შენ იცი. (მიდის იქით, საითაც ფატი წავიდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიკო — (ხევთან მიდის. მიმოიხედავს. ორჯერ დაუსტვენს) კიკია!

კიკია — (დაბლიდან თითქო ამოფრინდაო) შეგაგვიანდა. (გოჯასპირი გამოჩნდება. კლდეს მოფარებული. უსმენს).

დათიკო — უშანგი სად არის?

კიკია — ათმეთაურებთან თათბირობს. რად შეგაგვიანდა?

დათიკო — ბათუმიდან კაცი იყო ჩემთან იარაღის თაობაზე. საჭიროა ჩვენგან ვინმე წავიდეს ფელუგაზე.

კიკია — ან შენ, ან მე,უშანგი ვერ წავა.

დათიკო — მე წავალ თუ გინდა ჯოჯოხეთში, ოღონდ იარაღი ვიშოვოთ.

კიკია — კავკასიის კომიტეტი დაგვეხმარება. თუ იარაღი ვიშოვეთ, ხალხი მზად არის. (თაყა ხიდზე გამოჩნდება) ვიღაც მოდის.

დათიკო — თაყაა, ჩვენი თაყა.

კიკია — მაგ ისეა ჩვენი, როგორც სხვისი. ყაჩაღია. იარაღის შესახებ მაგასთან ჩუმად.

დათიკო — მაცალე. (თაყას შესძახებს) ხელი ასწი!

თაყა — (სწრაფ გადახტა ხიდიდან) გაგაფუჭებ. (დათიკო იცინის) დათიკო ხარ?! (ამოდის) თავი არ გეცოდება?!

კიკია — მარტოხელა რას დაყიალობ!

თაყა — თქვენ დაგექებდით! ქალებთან მომწყინდა, კაცები კი ტყეში ხართ ყველა. კარგი ამბავი გავიგე.

კიკია — ქორწილია თუ ქელეხი?

თაყა — სამხედრო გემ „პოტიომკინზე“ მეზღვაურები აჯანყებულან.

დათიკო — ნამდვილად?! ახლა გაიგე?

თაყა — ისეთმა კაცმა მითხრა, არ დაუჯერო არ შეიძლება. (სტვენა).

კიკია — გვეძახიან.

დათიკო — წავიდეთ.

თაყა — მე?

დათიკო — შენ წადი, დუქანში დამელოდე. გადაეცი კარგი სუფრა გაშალონ.

თაყა — არ მალოდინო.

დათიკო — მოვალ.

თაყა — მჯერა. (სასწრაფოდ გადის).

კიკია — დარწმუნებული ხარ რომ წავიდა?

დათიკო — თაყას სუფრა უხსენე და...

კიკია — გზაზე საეჭვო ხომ არავინ შეგხვედრია?

დათიკო — სიწყნარეა. რა იყო?

კიკია — მიდის.

დათიკო — ვინ?

კიკია — ამხანაგი კობა. აი მოდიან.

დათიკო — მობრძანდით. (წინ მოდის კობა, ფაფარა თმა და ოდნავ მოშვებული წვერ-ულვაშით. აცვია ლურჯი ხალათი. და ჩექმებში ჩატანებული შარვალი. მას მოჰყვება უშანგი).

კობა — ამხანაგებო, არ დაგავიწყდეთ, ამხანაგებო, რომ მხოლოდ გურიის კომიტეტი ვერაფერს გახდება თუ მტკიცე კავშირში არ იქნებით სამეგრელოს კომიტეტთან, ბათუმის, ქუთაისის, თბილისის ორგანიზაციებთან. კავკასიის კომიტეტთან. რუსეთის მშრომელებთან. არ ჩაიკეტოთ, არ გამოითიშოთ. მენშევიკებსა და შემთანხმებლებს ისევე ებრძოლეთ, როგორც მტერს. მეფის მთავრობასთან შესათანხმებელი არაფერი გვაქვს. არ დაგავიწყდეთ, მუშათა და გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელი, სწორუპოვარი ხელმძღვანელი არის ამხანაგი ლენინი.

ყველა — ლენინი!

კობა — მარქსი და ლენინი. მარქსი ლენინური გაგებით.

უშანგი — განა მარქსი სხვა გაგებითაც შეიძლება?

კობა — არიან მარქსიზმის გამყალბებელნიც. წასვლის დროა. გამყოლი არ მჭირდება. მარტო წავალ.

დათიკო — გზას ვერ გაიგნებთ, თქვენ ხომ აქაური არ ბრძანდებით.

კობა — მაშ სადაური ვარ?

დათიკო — ქართლელი ბრძანდებით. მარტო ვერ გაგიშვებთ.

კობა — მერე რა რო ქართლელი ვარ! ლექსი არ გაგიგონიათ?

„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგი გამყვება. თქვენ კი თათბირს დაუბრუნდით. იარაღი არ დაგავიწყდეთ, ბიჭებო, რევოლუცია უიარაღოდ, თევზია უწყლოდ. ნახვამდე. (დათიკოსა და კიკიას ხელს ართმევს)

დ ა თ ი კ ო — ნახვამდე.

კ ი კ ი ა — არ დაგივიწყებთ.

კ ო ბ ა — უშანგი, წავიდეთ. (უშანგი და კობა ხიდზე სასწრაფოდ გადიან).

დ ა თ ი კ ო — კაი მარჯვე ყაზახია.

კ ი კ ი ა — კაია, კაი. (ორთავენი ხევში გადაეშვებიან. კარგა ხანს სიჩუმეა).

გ ო ჯ ა ს პ ი რ — (კარგა ხანს სიჩუმის შემდეგ. ხიდთან გამოჩნდება. მიდამოს ათვალიერებს) მოდის! (სახე ყაბალახით აიხვია. კლდეს მოეფარა).

ფ ა ტ ი — (ტომარი მხარზე მოუგდია. ხიდთან მოირბინა). არა! არა! არ მოსულა! როგორ ბნელა! არ მოვიდა! მარტო წამოვედი! იქნებ რამე მოუვიდა?! დამიჯერა! რათ დამიჯერა, რათ?! (ხიდზე შედგება).

გ ო ჯ ა ს პ ი რ — (წამოეპარება, ნაბადს თავზე შემოახვევს ფატის, ფატიმ შეყვირებაც ვერ მოასწრო. გოჯასპირმა ხელში აიტაცა ქალი და აღმართზე გაიქცა)
(კარგა ხანს სიჩუმეა).

ლ ა დ უ შ ა — (ჯერ გარედან) ჯაბულო!.. ძმია... ჯაბულო!..

დ ა თ ი კ ო — (ხევიდან ამორბის კიკიასთან ერთად) ვინ იძახის?

ლ ა დ უ შ ა — (ხიდზე გამორბის) ჯაბულო!..

კ ი კ ი ა — ჯაბულოს რა მოსვლია?!

დ ა თ ი კ ო — ლადუშა!

ლ ა დ უ შ ა — დათიკო ბიძია! მიშველეთ!

კ ი კ ი ა — რა მოხდა?

ლ ა დ უ შ ა — სტრაჟნიკები თავს დაგვესხნენ. ჯაბულო შეკრეს და წაიყვანეს. დედას სცემეს. გვიშველეთ, დათიკო ბიძია! კიკია ბიძია, თოფი მომეცით რა! მომეცით თოფი რა!

დ ა თ ი კ ო — დაწყნარდი ლადუშა. (კიკიას) ვიცი ეს ვისი ძაღლობაც არის.

ლ ა დ უ შ ა — რომ იძახით ახალთაობა ვართო. ძალა გვაქვსო. იხსენით ჩემი ძმიე.

დ ა თ ი კ ო — ვერავინ იცანი?

ლ ა დ უ შ ა — სახე ყაბალახით ჰქონდათ ახვეული.

დ ა თ ი კ ო — სახე ახვეულნი... ის არის, ის! აპოლონისა და დიმიტრას ოინებია! რაზმელებო, მომყევით. ჯაბულო უნდა ვიხსნათ, გზაში დავხვდეთ, გამოვტაცოთ. კიკია შენ აქეთ წახვალ, მე აქეთ. ლადუშა, სახლში წადი, დედას მიხედე.

ლ ა დ უ შ ა — სახლში რა მინდა?! მე კაცი არ ვარ თუ?! თოფი არ მაქვს, ქვას ვესვრი, ქვას!

დ ა თ ი კ ო — მომყევით! (ყველანი გარბიან)

ფ ა რ დ ა

## სურათი მესამე

აპოლონის ოთახი. ხალიჩებითა და ძვირფასი ავეჯით. ოთახს ერთი კარი და ერთი დიდი ფანჯარა აქვს. მორთულობით ეტყობა, რომ ეს ოთახი მდიდარი მემამულის ძველი ოჯახია. ღამეა. ფანჯარა ღიაა.

მ ა რ ი ა მ ი — (ფანჯარასთან ზის. გიტარაზე უკრავს და მღერის).

მინდა გნახო, ვერ ვისვენებ,[1]
გული სევდით მიბნელდება.
ცეცხლი შენგან მოდებული
უფრო ღვივის, არ ნელდება.
მინდა გნახო, ვერ ვისვენებ,
თვალებიდან ცრემლი მომდის.
მითხარ, რა ვქნა? შენი სახე
ამ გულიდან არ გამოდის.
მინდა გნახო, ვერ ვისვენებ!
ველარ ვიჭერ აშლილ ძარღვებს.
ეშმაკს ღმერთად ვიწამებდი,
შენს თავს მარტოდ თუ მანახვებს.
მინდა გნახო, ვერ ვისვენებ,

[1] ლექსი მარიამ იორამაშვილისა, დაწერილი 1906 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ ვართობ გულს რამ სხვაზე.
ამ სიცოცხლეს, შენგან ტანჯულს,
გადავცვლიდი შენს ნახვაზე.
მინდა გნახო...

ა პ ო ლ ო ნ — (შემოდის) ვერ ნახავ, ვერა! ტყვილა უმღერი.

მ ა რ ი ა მ — მე შენ გიკრძალავ ამ საკითხზე ჩემთან ლაპარაკს.

ა პ ო ლ ო ნ — დასტოვე ჩემი ოთახი!

მ ა რ ი ა მ — აპოლონ!

ა პ ო ლ ო ნ — ჩვენს ნასუფრალზე გაზრდილი, ძაღლი, ჩემი სიძე ვერ იქნება.

მ ა რ ი ა მ — გაფრთხილებ, უშანგი უდიერად არ ახსენო, თორემ შენს ძმობას დავივიწყებ.

ა პ ო ლ ო ნ — ვიღაც „ბუნტოვჩიკისათვის", ძმას დაივიწყებ?! შენ გიყვარს იგი, ვინც უნდა გძულდეს. (მუშტს აღმართავს) კახპავ!

მ ა რ ი ა მ — დამკარი!

ა პ ო ლ ო ნ — დედამ ხომ აგიკრძალა მისი სახელის ხსენება?!

მ ა რ ი ა მ — თუ გინდათ რომ უშანგი დავივიწყო, მაშინ ენა უნდა მომკვეთოთ, გული უნდა ამომაცალოთ.

ა პ ო ლ ო ნ — ხმა!

მ ა რ ი ა მ — ხმა უნდა ჩამიწყვიტოთ!

ა პ ო ლ ო ნ — გიკრძალავ!

მ ა რ ი ა მ — სიცოცხლე უნდა ამიკრძალო! მაშინ დავივიწყებ.

ა პ ო ლ ო ნ — ჩემი ხელით გაგითხრი სამარეს.

მ ა რ ი ა მ — ჩემს საფლავზე ბალახი ხომ ამოვა, ის იმღერებს უშანგის შესახებ.

ა პ ო ლ ო ნ — მოგკლავ! (სკამს აღმართავს).

მ ა რ ი ა მ — რაღას უცდი!

ნ ი ნ ო — (კარებში გამოჩნდება, ხელში პატარა წიგნი უჭირავს) დადე სკამი. (აპოლონი ემორჩილება) რა ხმაურია?

ა პ ო ლ ო ნ — მოთმინებიდან გამომიყვანა!.. იმ წუწკის, — უშანგის გამო.

ნ ი ნ ო — უშანგი! (თავს იკავებს) ძილის პირული არ წაგიკითხავთ?

მ ა რ ი ა მ — მე წავიკითხე, დედავ-ბატონო.

ნ ი ნ ო — არ გილოცნიათ, ძილის პირული?

ა პ ო ლ ო ნ — ვილოცე, ხატსაც ვემთხვიე, ვადიდე სახელი მეფე იმპერატორისა.

ნ ი ნ ო — ლოცვის შემდეგ ვინ გაბედა აქ, ჩემს სახლში, უწმინდური სახელის ხსენება.

მ ა რ ი ა მ — დედავ-ბატონო...

ნ ი ნ ო — აპოლონ, დაგვტოვე ცოტა ხნით.

ა პ ო ლ ო ნ — (ყოყმანობს. თავისთვის) გოჯასპირი არ მოვიდეს... დედავ-ბატონო.

ნ ი ნ ო — ცოტა ხნით. (აპოლონი გადის) შვილო მარიამ, ახლოს მომიჯექ. (მარიამი გვერდით მოუჯდება) დარწმუნებული ვარ, რომ შენ ჩემთან იქნები გულახდილი, როგორც დედასთან და როგორც ქალთან.

მ ა რ ი ა მ — როგორც ყოველთვის ღვთის წინაშე.

ნ ი ნ ო — ღვთის წინაშე! მჯერა. შენოდენა ვიყავი მაშინ, ოღონდ შენზე უფრო სულელი, ერთი მდაბიო ბიჭი მიყვარდა.

მ ა რ ი ა მ — მერე დედა?!

ნ ი ნ ო — მამამ გაიგო და ის ბიჭი ერთ კაცს მოაკვლევინა.

მ ა რ ი ა მ — და შენ ძალით გაგათხოვეს?!

ნ ი ნ ო — არა, ერთ წელს ვიგლოვე, სულელი ვიყავი... შევხვდი მამაშენს და მივთხოვდი კიდეც.

მ ა რ ი ა მ — რა საშინელებაა!

ნ ი ნ ო — საშინელება მაშინ იქნებოდა, რომ იმ მდაბიოს გავყოლოდი, წამერთმეოდა უფლება, პატივი დიდთაგან, მამული და რაც მთავარია, სიამაყე ჩემი მაღალწოდებისა. ამას ისე გიყვები სხვათა შორის. იმედი მაქვს დაიხსომებ. სიყვარულის აკრძალვა როგორ იქნება! მაგრამ არც საკუთარ ღირსების დავიწყება შეიძლება.

მ ა რ ი ა მ — სჩანს ღირსება ადამიანის სხვადასხვაგვარად გვესმის ჩვენ, დედა.

ნ ი ნ ო — არა! შვილო ჩემო. შენ არ გესმის, ღირსება მაღალთა. შენ ის გიყვარს?

მ ა რ ი ა მ — ვერ მოგატყუებ.

ნ ი ნ ო — ეგ შეიძლება. მინდა გავიგო რამ შეგაყვარა ჭია ჩვენი საძირკველისა? ეს წიგნი შენს მაგიდაზე ვიპოვე, შემთხვევით.

მ ა რ ი ა მ — ლენინის წერილია... „ულარიბეს გლეხობას".

ნ ი ნ ო — ლექსი არ არის სატრფიალო, მე წავიკითხე. ვინ გადმოგცა?

მ ა რ ი ა მ — უშანგიმ.

ნ ი ნ ო — შენ უშანგი ამ წიგნში გატარებული აზრის ქადაგებისათვის მოგწონს, თუ ისე — ვაჟი შესახედავად?

ბიბლიოთეკა

მ ა რ ი ა მ — მე უშანგი ახალი დიდი, მართალი აზრისათვის შევიყვარე!

ნ ი ნ ო — ხმა! უტიფარო! (მაგიდას ხელი დაჰკრა)

ა პ ო ლ ო ნ — (შემორბის) მამან! სტუმარია.

ნ ი ნ ო — რა დროს სტუმარია?! ვინ არის?

ა პ ო ლ ო ნ — მისტერ ტარსეი. (კარებში) მობრძანდით მისტერ.

ნ ი ნ ო — სთხოვეთ.

ტ ა რ ს ე ი — (არავის არ ესალმება. აღელვებულია) ხელშეკრულება გაუქმებულია. ფული ჩარიცხული არ იქნება! მე ხვალვე მივემგზავრები.

ნ ი ნ ო — რა მოხდა? დაბრძანდით.

ტ ა რ ს ე ი — რევოლუცია, ჩემს ხელშეკრულებაში არ წერია. აქ გაფიცვა. ბათუმში გემზე ჩვენი ხეები არ დატვირთეს. ჩემი პატრონის მისტერ სკოტტის დეპეშა მივიღე, — დავტოვო აქაურობა. რევოლუცია გათავდება. მე მოვალ.

ნ ი ნ ო — მოითმინეთ. მალე დამსჯელი ჯარი ჩამოვა, ჩვენ ჩავახშობთ რევოლუციას... ჩვენ...

ტ ა რ ს ე ი — ჩვენ! ჩვენ! თქვენ ძალა არა გაქვთ! თქვენი ბუნტი-უშანგი მოვიდა და მიბრძანა, — დავტოვო აქაურობა, ტყე ხალხისაა და ნინო კნეინასი არა!

ნ ი ნ ო — უშანგიმ?! გესმით შვილებო?

ტ ა რ ს ე ი — ყველგან სროლა. თქვენი ტყე არ ვარგა. გახვრეტილია... თქვენი ხელშეკრულებაც გახვრეტილია. მე წავალ თორემ თქვენი უკულტურო გიჟები მეც გამხვრეტავენ. გახვრეტილი ხე მე არ მინდა.

ა პ ო ლ ო ნ — მისტერ ტარსეი.

ტ ა რ ს ე ი — რევოლუცია ჩემს ხელშეკრულებაში არ წერია. (შებრუნდა და ისევე ცივად წავიდა, როგორც მოვიდა).

ა პ ო ლ ო ნ — მისტერ ტარსეი. (სურს დაედევნოს).

ნ ი ნ ო — შეჩერდი, ის ინგლისელია. არ დაბრუნდება. მაშ ცარიელზე დამტოვეს ლაწირაკებმა, უშანგიმ... ხომ გაიგონეთ?! უშანგიმ... შვილივით ვზრდიდი.

მ ა რ ი ა მ — დედა...

ნ ი ნ ო — ხმა! აპოლონ, ძეო ჩემო, სისხლო ჩემო, დაიჩოქე.

ა პ ო ლ ო ნ — (დედის წინ იჩოქებს) მიბრძანე, დედა!

ნ ი ნ ო — შემომფიცე, რომ რასაც გეტყვი, შეასრულებ.

ა პ ო ლ ო ნ — ვფიცავ!

ნ ი ნ ო — ხვალ საღამომდე უშანგის სიკვდილს გამაგებინებ.

ა პ ო ლ ო ნ — ვფიცავ.

მ ა რ ი ა მ — დედა!.. შენ მე მკლავ!

ნ ი ნ ო — ხმა! ისე ჩაგკეტავ, მზის სინათლეს არ დაგანახვებ. აპოლონ, მოკვდი, ვინემ ამ ჭერქვეშ გლეხის ბრძანებას გაიგონებდე.

ა პ ო ლ ო ნ — ვფიცავ, უმალ მოვკვდები...

ნ ი ნ ო — ამ ბეჭედს ხედავ ფირუზის თვალით. (აპოლონს აჩვენებს) სამასი წლის იქნება იგი, საგვარეულო ბეჭედია, და მხოლოდ სულით ძლიერები ატარებენ მას. ამ ბეჭედზე წარწერა არის, — „მიიღე ჟამსა იმედის გაცრუებისასა“. გველის შხამია ამ ბეჭდის თვალს ქვეშ. (მარიამს) მიიღებ უშანგისათვის?

მ ა რ ი ა მ — არა, მე იმედი არ დამიკარგავს.

ნ ი ნ ო — აპოლონ, ადექ. მჯერა შენი! იმედი ხარ ჩემი რწმენისა! (მარიამს) წინ გამიძეხი. (მარიამი აქვითინდება და გადის, მას ნინო გაჰყვება).

ა პ ო ლ ო ნ — უცნაურია დედა-ჩემი! ნდობას მიცხადებს, უფლებას მაძლევს, მემკვიდრეობას კი არა. ო, ნეტა მალე მივიღებდე მემკვიდრეობას, ოქროთ ვაქცევდი და მერე პარიზი, „მოლენრუჟ“! ოცნება ჩემი! ოცნება! ჯერ ოცნებაა მხოლოდ. (საათს დახედავს. კარებს გადაკეტავს. ფანჯარას აღებს) კისერი უტეხია ამ სასახლეს, მეფეს და რევოლუციასაც. რა თავში ვიხლი ან მეფეს ან ახალთაობას. ვისაც ფული აქვს, ის არის ყველგან ყველაფერი. გოჯასპირი იგვიანებს. (გოჯასპირი ფანჯარასთან ამოყოფს თავს) რომელი ხარ?! (რევოლვერი იძრო).

გ ო ჯ ა ს პ ი რ — ვინ ვიქნები?!

ა პ ო ლ ო ნ — გოჯასპირ! ხელცარიელი დაბრუნდი?!

გ ო ჯ ა ს პ ი რ — კარებიდან მოგართვათ, თუ...

ა პ ო ლ ო ნ — ყოჩაღ, გოჯასპირ! კარიდან არა! ფანჯარაში გადმომაწოდე.

გოჯასპირ — გონწასულია, ცოტა აცალე. (მიიმალება).

აპოლონ — მომაწოდე. (გოჯასპირი გონწასულ ფატის ფანჯარასთან ასწევს. აპოლონმა ხელში აიტაცა ფატი და ტახტისაკენ გააქანა, დააწვინა, პირიდან ჩვარი ამოაცალა, ხელები გაუხსნა) უ, შენი ჭირიმე, ხელუხლებია, ცინცხალია... აი ჩემი იმპერატორი... წადი გოჯასპირ. მოიცა, ჯაბულოსი რა გაიგე?

გოჯასპირ — დიმიტრა მოუვლის. გათენებამდე ჯაბულოს ხეზე ჩამოჰკიდებენ.

აპოლონ — კარგია წადი, არავინ დაგინახოს.

გოჯასპირ — ღმერთმა შეგარგოთ.

აპოლონ — (ფულებს ამოიღებს) აი შენ. გათენებისას მომაკითხე, რომ წაიყვანო და მერე შენ იცი.

გოჯასპირ — ნუ გეფიქრებათ. ერთ საქმეს მივაკვლიე, რაზმელები იარაღის მიღებას აპირებენ. თუ გავიგე...

აპოლონ — იარაღის!? აბა შენ იცი. ოქროთი აგავსებ. გაფრინდი. (გოჯასპირი მიიმალება. აპოლონი ფანჯარას მიხურავს. ფატისთან მიიჭრება. მერე გრაფინიდან წყალს აპკურებს) გაახილე თვალი, მე ვარ, შენი ჯაბულო. ფატი! ფატი! (უჩურჩულებს) ჯაბული ვარ... ფატი! ფატი!

ფატი — (თვალებს ახელს. დამფრთხალი შველივით ზე წამოიჭრა) ჯაბუ!

აპოლონ — (რევოლვერს უმიზნებს) კრინტი არ დასძრა.

ფატი — (ტახტზე მოიკუნტა) ა! (იღიმება) ჯაბულო ხარ?

აპოლონ — ოქროთი აგავსებ! ჯაბულოზე უკეთესი შეგირთავს.

ფატი — (იცინის) გაწიე მაი რაცხაა იქით.

აპოლონ — აჰა! (რევოლვერს მაგიდაზე დადებს) ნუ გეშინია.

ფატი — ხომ გამიშოფ?

აპოლონ — დაგასაჩუქრებ და ისე.

ფატი — მალე გამიშვი. შინ ნენა მელოდება. (იცინის) ჯაბულო მღეროდა, საწყალი...

ინდი მინდი ფერად შინდი
ამოფრინდი, ამობრწყინდი.

აპოლონ — ფატი! (ქილეტი გაიხადა)

ფატი — ჯაბულო... „გადწიყარე თვალთა ბინდი".

აპოლონ — ფატი! (სურს ხელი მოხვიოს. ფატი წამოიჭრა, კედელს აეკრა) ფატი!

ფატი — მოიცა! მოიცა დაიფიცე, დაიფიცე, რომ გამიშოფ!

აპოლონ — გეფიცები...

ფატი — დაიჩოქე, შემომფიცე, არავინ დამინახავს, არავინ გაიგებს, ისე გამაპარებ. ღვთისმშობელი დაიფიცე.

აპოლონ — (დაიჩოქებს) ვფიცავარ ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს. ვფიცავარ, რაც წმინდანებია, რომ...

ფატი — მოიცა... მეც დავიფიცო, ცოტა ვილოცო.

აპოლონ — რაც გინდა დაიფიცე! რა დროს ლოცვაა!

ფატი — არ ადგე, მეც მინდა დავიფიცო. (ტახტიდან გადახტება, მაგიდაზე დადებულ რევოლვერს დასტაცებს ხელს)

აპოლონ — ფატი!!!

ფატი — მეც ვფიცავარ, რომ სანამ ცოცხალი ვარ, მხოლოდ ჯაბულო მეყვარება და მისი ვიქნები.

აპოლონ — ფატი!

ფატი — მოღალატეები და კახპები შენს გვარში ეძიე. არ მომეკარო! (ფანჯარასთან მიირბენს) არ მოგკლავ! მინდა ქვეყანას გავაგებინო შენი ძაღლობა! (ფანჯარაში გადახტება)

აპოლონ — (ფანჯარასთან მიიჭრა, ხელზე იკბინა. გარედან ძაღლების ყეფა და ხალხის ხმაური ისმის)

გიგოს ხმა: — სახლს ალყა შემოარტყით! არავინ გაგვექცეს.

რაზმელის ხმა: — ჯაბულო ვიხსნათ.

გიგოს ხმა: — აპოლონ, გარეთ გამოდი.

აპოლონ — ამათ რომ თავი შევაკლა რა ჭკუაა. (კარებს გაალებს, გარბის)

ხმები გარედან: — აპოლონია!
— შეჩერდი, გესვრი. (სროლა)

თაყა — (ფანჯარასთან) ბიჭებო, ეგ ქონება თქვენ გეკუთვნით, არაფერი დაზოგოთ. (ფანჯრიდან შემოხტება. ხმაური მატულობს)

გიგო — (კარებიდან შემორბის) აპოლონი გაგვექცა.

თ ა ყ ა — ჯანდაბას მისი თავი. (ნოხი ჩამოგლიჯა. ფანჯრიდან ისვრის) წაიღეთ — თქვენია. (გლეხები ოთახში შემოცვივდნენ) არაფერი დაიშუროთ! წაიღეთ! ხალიჩები და სამოსი თქვენ ფული და ოქროული მე! რევოლუციისათვის მჭირდება. (არის რბევა)

გ ი გ ო — თაყა, ჩვენ საძარცვავად არ მოვსულვართ! ძმებო, შეჩერდით! ჩვენ ჯაბული უნდა ვიხსნათ. ჯაბულო საბოქაულოში არ აღმოჩნდა. ის სადღაც აპოლონსა ჰყავს დამწყვდეული.

თ ა ყ ა — ჯერ ხალხი, მერე ჯაბულო. აიღეთ, წაიღეთ. დათიკო შევარდნაძემ ბრძანა, აპოლონისას ქვა-ქვაზე არ დატოვოთო. კნეინა ნინო მოძებნეთ, ოქრო იმის ხელშია. (კარებში ნინო გამოჩნდა, თაყა ვერ ხედავს) აი, ეს ხატი ოქროსია. (სურს მოხსნას)

ნ ი ნ ო — გაქვავდი! (თაყა თითქო მართლა გაქვავდაო)

თ ა ყ ა — ო, კნეინა ნინოს რევოლუციის სახელით ჩემი სალამი. (ნინო დგას ისე ვით ქანდაკება)

ნ ი ნ ო — სად არის ძე ჩემი, აპოლონი?

გ ი გ ო — ჩვენც იმას ვეძებთ.

ნ ი ნ ო — (ნაძალადევი სიმშვიდით) ნამდვილი მითხარით, — მოჰკალით?!

გ ი გ ო — არა, გაგვექცა.

თ ა ყ ა — მოვკლავდით რომ არ გაგვქცეოდა.

ნ ი ნ ო — ა...ხ! (ნინო შეტორტმანდა. მარიამი შემორბის, ხელი მოხვია დედას) სტყუით! (მარიამი მოიშორა) ის არ გაიქცეოდა.

მ ა რ ი ა მ — აპოლონი გაიქცა. დედა. მე ფანჯრიდან მოვკარი თვალი — გარბოდა.

ნ ი ნ ო — გაიქცა?! ვის გაექცა?! გლეხებს გაექცა. მის ფეხის მტვერს გაექცა იგი?! (ტუჩი მოიკვნიტა. ხატთან მივიდა. პირჯვარი გადაისახა. რაზმელებს მოუბრუნდა) მძარცველებო! ვიცი თქვენ ჩემი განძეული გაინტერესებთ. რასაც კი ზიდავთ, თან წაიღეთ მე თქვენ არ დაგსჯით.

თ ა ყ ა — ძვირფასეულს სად ინახავთ ,მოგვეცით გასაღები.

ნ ი ნ ო — აჰა! ჩემი ყელსაბამი საგვარეულო. ასეთი რამ ჯერ არცერთ დედაკაცს ჩემ კუთხეში არ ღირსებია, ძველი ოქროს თვალ-მარგალიტით მოჭედილი. (ყელსაბამს მოიგლეჯს) ეს სამაჯური იმპერატორის ნაბოძარი, უძვირფასესი. (ხელიდან წაიძრობს. თაყა ხარბად იღებს ყველაფერს) წაიღეთ ყველაფერი. ამ ბეჭდის გარდა, ყველაფერი წაიღეთ ჩემი, ოღონდ აპოლონი შეიპყარით და აქ მომგვარეთ, რომ მე თითონ მოუღო ბოლო.

მ ა რ ი ა მ — დედა!!!

ნ ი ნ ო — გაიქცა!

უ შ ა ნ გ ი ს ხ მ ა — შეჩერდით! მოგკლავ! დაბრუნდი უკან. ვინ ბედავს ძარცვას. (ყველანი გაქვავდნენ)

გ ი გ ო — ამხანაგი უშანგი!

მ ა რ ი ა მ — უშანგი! გვიშველე! (ნინო გაქვავდა)

უ შ ა ნ გ ი — (შემორბის. აუკიდნია ნაძარცვი) ვინ ბედავს ძარცვას?! (ყველაფერი მაგიდაზე დაყარა. ნინო უშანგის არ უცქერის. თაყას ძვირფასეულს გამოგლეჯს) თაყა, ეგ შენი ოინებია.

თ ა ყ ა — რევოლუციისათვის მინდოდა.

უ შ ა ნ გ ი — რევოლუციას ნაძარცვი არ სჭირდება. ხალხი კანონით მიიღებს ყველაფერს. კნეინა ნინო, ბოდიშისათვის დრო არა გვყოფნის გვითხარით სად არის ჯაბულო, ის თქვენმა შვილმა წაიყვანა.

ნ ი ნ ო — (სახეზე არ უყურებს) ვინ ბედავს შვილის მაგივრად პასუხი მაგებინოს?!

უ შ ა ნ გ ი — გურიის კომიტეტის სახელით გიბრძანებთ.

ნ ი ნ ო — მე შენ გაგაგდე, როგორც ლეკვი და შემოდი როგორც მბრძანებელი?

უ შ ა ნ გ ი — ხალხის სახელით გიბრძანებთ...

ნ ი ნ ო — ჩემი მამულის! ჩემი წოდების! ჩემი გურიის, რომლის დედა და მბრძანებელი ვარ და არა მოახლე გიპასუხებ. (შემოუბრუნდება და სილას გააწნავს!) გასწი აქედან! ა

მ ა რ ი ა მ — დედა!.. უშანგი!!!

უ შ ა ნ გ ი — სად არის ჯაბულო!

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მეორე

### სურათი მეოთხე

ტყიანი ფერდობი ზღვის ნაპირას. ბნელა, წვიმს, ზღვის ტალღები თავგამეტებით ეხეთქება კლდეებს. ნაბადმოსხმულნი კლდეებსა და ხევებს მოფარებულნი გლეხები. აქ არიან: უშანგი, ნიკოია და გიგო. გულო და ფატი ცალკე დგანან. ლადუშაც აქ არის.

ლ ა დ უ შ ა — (კლდეს გადაწოლილი) ეგერ ფელუკა მოსჩანს.

უ შ ა ნ გ ი — მოისვენე ლადუშა, გელანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადუშა — უშანგი ბიძია, ერთ თოფს ხომ მომცემ?
უშანგი — მიდი ქალებს მიხედე.
ლადუშა — ჩემი ძამიეს, ჯაბულოს თოფი მომეცი. ჯაბულოს ხომ ერგება?
უშანგი — იყუჩე, ბიჭო.
1-ლი გლეხი — ო, როგორ ბნელა.
2-გლეხი — ვერაფერს ვხედავ.
3-გლეხი — ო, ერთი თოფი.
უშანგი — ნიკოია, მიუნათე.
ნიკოია — უნათე რამდენიც გინდა. არაფერი ჩანს.
გიგო — ჯაბულოსი არაფერი ისმის.
უშანგი — კიკია არის წასული.
1-გლეხი — გონი გამოჩნდა რაღაც.
უშანგი — ნიკო მიუნათე.
გიგო — არაფერი სჩანს.
2-გლეხი — ნიკოია, ვითომ მართლა შევძლებთ მეფის ჩამოგდებას?
ნიკოია — მეფე რაა?! ბოლოკის კუდი! იარაღი ვიშოვოთ და... ბიჭო, ხალხმა ერთად ჰეიო რომ დაიძახოს, მეფეს კი არა, ციდან მთვარეს ჩამოაგდებს.
უშანგი — იყუჩეთ! ნიკოია მიუნათე. (ნიკოია ზღვისკენ სანათურს უნათებს).
გიგო — უნათე რამდენიც გინდა! ამ ჯოჯოხეთს რა გაანათებს?!
1-გლეხი — ყიამეთია სწორეთ. იარაღს ვინ სჩივის, ბიჭები არ დაგვეღუპონ.
2-გლეხი — დათიკოს ცოლს არ გააგონო.
უშანგი — მე დათიკოს იმედი მაქვს.
გიგო — დათიკო ამ ზღვასთან რას გახდება!
ნიკოია — დაიღუპებიან ბიჭები.
გიგო — დაატირე ახლა შენებურად! ოღონდ ი ფელუგა გამოჩნდეს და ნაპირზე ხელით გამოვიტან.
ნიკოია — კი, კი, შენი იმედი მაქვს. ბიჭო, ფელუგა შენ კეცის ჭადი ხომ არ გგონია.
გიგო — უშანგი, ნიკოია გააჩუმე, თვარა, დედას გეფიცები, დავახრჩობ.
ნიკოია — დამახრჩობ რა, ჩემგან იწყებ რევოლუციას? ყოჩაღ შენ!
უშანგი — ნიკოია, ხუმრობის დრო არ არის ახლა.
ნიკოია — რატომ? ახლა თუ არა, აბა, რომ მომკლავენ, მერე ვიხუმრო?! ახლა მინდა მოვასწრო, თორემ მერე სხვა იხუმრებს. ამ ქვეყანაში, პირის დაღებასთან ერთად უნდა იტაკო ლუკმა პირში, თორემ ვილაც ლუკმას გამოგტაცებს და პირი ქე დაგრჩება ღია.
ფატი — (ფიქრებში წასული) მკერდი მოუღელიაო. ნეტა ვისი ბედიაო. (ტირის) ჯაბულო...
გულო — ნუ ტირი, ჯაბულოს არაფერი უჭირს.
ფატი — თუ რაიმე გაუჭირდა, მეც ავიღებ თოფს, აპოლონას არ გავახარებ.
გულო — ნუ გეშინია. ჯაბულოს არაფერი მოუვა. დათიკოს რა ვუშველო? ხედავ რას გავს ზღვა?
ფატი — ნუ გეშინია, დათიკოს ფელუგა რომ ჩაიძიროს, ის ისე მარჯვეა, ამ ზღვას ისეც გამოცურავს.
გიგო — ზღვაზე რაღაც გამოჩნდა.
უშანგი — ნიკოია, მიუნათე. აი რაღაც შავი მოსჩანს. (ჯაბულო უნათებს. ყველანი წამოცვივიან).
ლადუშა — ეგე, ეგერ ანათებს!
გიგო — შავი არაა ყველაფერი?!
ნიკოია — ამიტომ ქვია შავი ზღვა. როგორაა ჩაკუპრული!
უშანგი — მოგვეჩვენა. ცუდათაა საქმე, რაიმე უნდა ვიღონოთ.
გიგო — ზღვასთან რას იღონებ?
უშანგი — აქ დგომა რას მოგვცემს, ფელუგა შეიძლება სხვაგან გამოაგდო ტალღებმა.
1-გლეხი — არ მაქვს იღბალი.
2-გლეხი — ჩუმად თორემ გემის ხმაურს ვერ გავიგონებთ.
უშანგი — მიუნათე, ნიკოია, მიუნათე. (ნიკოია უნათებს. სიჩუმეა, მხოლოდ ზღვის შხუილი ისმის).
გიგო — როგორ სთქვა ამხანაგმა კობამ? — „მალე ამოვა მზე, რომელიც მშრომელებს გაუნათებსო". როგორ მინდა ახლა მზე! სიმღერა მომინდა.
ნიკოია — ხომ არ კვდები!
გიგო — რატომ ვითომ!
ნიკოია — ჩიტია ერთი, თურმე მხოლოდ სიკვდილის წინ მღერის.
გიგო — ჩიტი რომელი, ბიჭო, ჭინჭალა თუ სკვინჩა?! (იცინის) ი ჩიტი, ბიჭო, ზურგზე შეგისვამს და გაგაცურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უ შ ა ნ გ ი — ვიღაც მოდის.

გ ი გ ო — კიკია!

კ ი კ ი ა — (შემოდის) გამარჯობათ. არაფერი ჩანს?

უ შ ა ნ გ ი — როგორც ხედავ. რა გაიგე? ჯაბულო სად არის?!

ლ ა დ უ შ ა — კიკია ბიძია, ჩემი ძამიე, ცოცხალია?!

ფ ა ტ ი — კიკია, ჩემი ჯაბულო?!

კ ი კ ი ა — ჯაბულოს საძებრად თაყა გავგზავნე.

ფ ა ტ ი — ვაიმე!

უ შ ა ნ გ ი — ჯაბულოს ბედი თაყას მიანდე?!

კ ი კ ი ა — რას მიყვირით? არა მგონია, რომ ჯაბულო ცოცხალი იყოს. ერთი სტრაჟნიკი შევიპყარით, მან მხოლოდ ის სთქვა, რომ სტრაჟნიკებმა, ჯაბულო სადღაც ტყისკენ გააქანეს. მას მხოლოდ თაყა თუ იპოვის.

უ შ ა ნ გ ი — თაყას რათ არ გაჰყევი?

კ ი კ ი ა — არ გამიყოლია! თაყაზე მე ვაგებ პასუხს. თუ გახსოვთ, მე სხვა დავალებაც მქონდა.

უ შ ა ნ გ ი — იარაღით დატვირთული ფელუგის ბედი! რა გაიგე?

ფ ა ტ ი — ჩემი დათიკოს რა გაიგე?!

გ ი გ ო — სად არის ფელუგა?

1-გ ლ ე ხ ი — ხომ არ დაიღუპა?!

გ უ ლ ო — ნუ მიმალავთ — მე ქვაი ვარ!

კ ი კ ი ა — ფელუგამ მშვიდობიანად აუარა ბათუმს. მერე ატყდა ქარიშხალი. დათიკო ფელუგაზეა.

გ უ ლ ო — ღმერთო უშველე!

უ შ ა ნ გ ი — იარაღი მოაქვს?

ფ ა ტ ი — ჩემი ჯაბულო?

კ ი კ ი ა — ფელუგა. იარაღითაა დატვირთული. აფხაზეთში სერგოს უკვე მიუღია იარაღი.

უ შ ა ნ გ ი — ნიკორია, უნათე ზღვას.

კ ი კ ი ა — „პოტიომკინი" ბათუმისაკენ წამოსულა.

ლ ა დ უ შ ა — ჩემი ძამიე?

უ შ ა ნ გ ი — მერე?!

კ ი კ ი ა — საწვავი შემოლევია და უკანვე გაბრუნებულა.

უ შ ა ნ გ ი — საწვავი? განა ვერ ვიშოვიდით! არა, ჩემო ძმაო, ერთი „პოტიომკინი" ყველას ვერ უშველის. საქართველოშიც უნდა დაიძრას ქართული „პოტიომკინი". ყველგან უნდა ისმოდეს პოტიომკინის გასროლა — და მაშინ საწვავი არ შემოელევა. იარაღია საჭირო! იარაღი!

ფ ა ტ ი — ჩემი ჯაბულო რა დღეშია. მე აქ ვის ვუცადო?!

გ უ ლ ო — სად მიხვალ?

ფ ა ტ ი — კაცებმა ვერ უშველა, იქნებ მე ვუშველო.

ლ ა დ უ შ ა — შენ გაგიშვა?! რა მე კაცი არ ვარ თუ?!

თ ა ყ ა — (მოულოდნელად შემოიჭრება, დასჭყივლებს) ხელები ზევით!

უ შ ა ნ გ ი — დაწექით!

თ ა ყ ა — არ მესროლოთ! თაყა ვარ, თაყა! უშანგი, სამაგიეროს ხომ გადაგიხადე! (იცინის).

უ შ ა ნ გ ი — შენც იშოვე დრო ხუმრობისათვის.

ნ ი კ ო რ ი ა — რომ გაგაჭიმიებდი ფეხს, მაშინ იხუმრებდი.

თ ა ყ ა — ნიკორია, შენ რომ სროლას ვერ მომასწრებ, ხომ იცი. სროლაში მე შეიძლება დათიკომ მაჯობოს, ისიც საეჭვოა.

უ შ ა ნ გ ი — გეეჭვება?

თ ა ყ ა — ჰო, ცოტა. კიკია კი ვერ მაჯობებს, ნამდვილად ვიცი. (ნიკორიაზე) თორემ ეს გლეხი...

ლ ა დ უ შ ა — თაყა ბიძია, ჩემი ძამიე სადაა?

ფ ა ტ ი — თაყა, სადაა ჩემი ჯაბულო?

თ ა ყ ა — აგერ მყავს ჯიბეში.

ფ ა ტ ი — ვაი ჯაბუ... (დაბარბაცდა. გულომ დაიჭირა ფატი).

გ უ ლ ო — (თაყას) თაყა ბატონო, უკეთესი პასუხი ვერ მოახერხე?

კ ი კ ი ა — მთვრალი ხომ არა ხარ?

უ შ ა ნ გ ი — კინკლაობის დრო არაა ახლა. თაყა, შენთან ბევრი რამე მაქვს სათქმელი, სალაპარაკო.

თ ა ყ ა — ჰო, ვიცი, ლაპარაკი გეხერხება. შენ ხომ ჩვენი მოლაპარაკე მეთაური ხარ. სალდათობიდანაც იმიტომ გამოიქეცი, იქ ლაპარაკის ნებას არ გაძლევდნენ.

უ შ ა ნ გ ი — თაყა, აზნაურულს კიდევ არ იშლი!

თ ა ყ ა — შენ იმის გეშინოდეს, გლეხი გლახურს არ მოიშლის, თორემ აზნაურული და ვაჟკაცური რა დასაძრახია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკორია — დაგაგლახებ მე შენ. (იძრო ხანჯალი. წაიწია).

თაყა — აიტ, შე გლახა! (ხმალი იშიშვლა, ნიკორიას დაჰკრა ხანჯალზე და გააგდებინა).

უშანგი — (რევოლვერი ამოიღო) დადექით ორთავენი, თორემ.

თაყა — (ხმალი ჩააგო) ნიკორია, დიდი ხანია კაცებში გაერიე?

უშანგი — გიბრძანებ დატოვო აქაურობა!

თაყა — სალდათო, არ გირჩევ ჩემს გადაკიდებას.

უშანგი — გიბრძანებ წახვიდე, თორემ ადგილზევე დაგხვრეტ. შენ რაზმელი კი არა, ყაჩაღი ხარ!

თაყა — ყოჩაღი გინდოდა გეთქვა.

უშანგი — ყაჩაღი, გარკვევით ვლაპარაკობ. ყაჩაღებს კი ჩვენ ვებრძვით.

კიკია — დადექი თაყა! ჯაბულო სად არის?

უშანგი — სად არის ჯაბულო?

თაყა — მე ხომ ყაჩაღი ვარ...

ყველა — სად არის ჯაბულო?

ჯაბულო — (შემორბის, ტანსაცმელი შემოფლეთილი, ყელზე თოკის მარყუჟი შერჩენია) აქა ვარ, ძმებო!

ყველა — ჯაბულო!!!

ლადუშა — ცოცხალია ჩემი ძამიე.

ჯაბულო — ცოცხალი ვარ. მტრის ჯინაზე ვიცოცხლებ. თაყამ მიხსნა სახრჩობელიდან. (ყელიდან თოკის ნაგლეჯს მოიხსნის) ამ თოკს შევინახავ. გამომადგება. ძმებო, თქვენთან ვარ! (გაერევა რაზმელებში. რაზმელებმა ხელი ჩასჭიდეს ჯაბულოს. იმართება გიჟური ცეკვა ხორუმი).

უშანგი — რას ჩადიხართ?! რა დროს ცეკვაა!

კიკია — გენაცვალეთ! ბიჭებო! ნუ დაუშლი უშანგი! ხედავ თვით ზღვა ჩვენს ვაჟკაცებს ტაშს უკრავს. თაყა, ყველაფერი მიპატიებია.

ფატი — (გულოს) რომ მოვეხვიო ვითომ სირცხვილია?

(ფატი პასუხს არ დაელოდა და ჯაბულს მოეხვია).

ჯაბულო — ფატი-ჩემო, ფატი. ლადუშა, შენც აქ?

ლადუშა — კაცი აბა სად უნდა ვიყო!

გიგო — სინათლე ზღვაში!

ნიკორია — ფელუგა გამოჩნდა! (უნათებს).

ხალხი — ფელუგა!

1-გლეხი — იარაღი!

მე-2 გლეხი — იარაღი! (გლეხები ზღვაში შეცვივიან).

უშანგი — სად მიხვალთ?! დაიხრჩვებით. დაბრუნდით! ხომ არ გაგიჟდით? (პირველ გლეხს ხელი ჩაავლო, უკანვე გამოაგდო).

1-გლეხი — გამიშვი.

უშანგი — (სილა გააწნა) ცურვა არ იცი, სად გარბიხარ?

1-გლეხი — რას მცემ ბიძია?! ცურვა არც ჩემმა ძმამ იცის, მაგრამ ხომ ხედავ გადახტა.

უშანგი — თოკები ჩქარა.

გულო — დათიკო! დათიკო!..

უშანგი — თოკები, ჩქარა!

თაყა — არც ახლა მენდობით?

უშანგი — მიხედეთ იქეთ. სანამ მთვარე გაგვაშუქებდეს, უნდა გადმოვტვირთოთ.

დათიკოს ხმა — (ზღვიდან) თოკები! ჩქარა!

გულო — დათიკოს ხმაა!

უშანგი — მომყევით! (გარბის, თაყას გარდა, ყველანი გადიან).

თაყა — (მთვარემ მოაშუქა. თაყამ მიიხედ-მოიხედა. ხანჯალი ამოიღო და ხეზე ჯვარი ამოთალა).

გარედან ისმის ხმები: — დათიკო!

— დათიკო!

— დათიკოს გაუმარჯოს.

— დათიკო!

კიკია — (მოულოდნელად შემოდის) აქ რას უდგეხარ?

თაყა — (შეცბა, მოუტრიალდა) კიკია!

კიკია — აქ ვის უცდი?

თაყა — ვის უნდა ვუცდიდე?! არ წამიყვანეთ, აქ მაინც დაველოდები-მეთქი. არ მიმიხმარეს. კიკია სათქმელი მაქვს შენთან.

კიკია — სათქმელს მერე მე გეტყვი. წელანდელს არ გაპატიებ.

თაყა — შენც გლეხებს აყევი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკია — რა ენაზე მელაპარაკები?!
თაყა — შენც აზნაურობას მსაყვედურობ?!
კიკია — არა, უკაცობას!
თაყა — კაცურად თუ გინდა მელაპარაკო, ის შენი მეთაური უშანგი მომაშორე, თორემ თავს შემომაკლავს.
კიკია — თაყა, ის მარტო ჩემი კი არა, შენი მეთაურიცაა. სანამ მის მოკვლას განიზრახავდე, იფიქრე, რომ მე ცოცხალი ვარ და წინდაწინ ეზიარე.
თაყა — კიკია, შენ წინ არც ახლა დავიხევ უკან.
კიკია — ახლა მე არ მცალია შენთვის.
უშანგი — (ყუთი მოაქვს) აქეთ! ზედმეტის წალება არავინ გაბედოს.
კიკია — (მოაქვთ ყუთები) იარაღს კომიტეტი გაანაწილებს.
1-გლეხი — ერთს მე ავიღებ და მერე რამდენიც გინდა ანაწილეთ.
2-გლეხი — (ყუთი გახსნა) ამ დღეს ველოდი! (თოფი ამოიღო).
1-გლეხი — რა თოფია! (ამოიღო) სადაურია?
თაყა — საზღვარგარეთული.
უშანგი — არა, რუსულია.
თაყა — ესა? (მეორე ყუთიდან ამოიღო თოფი) შვეიცარულია. როგორ ბრწყინავს.
უშანგი — კარგია, მაგრამ ცოტაა. დადეთ იარაღი, ყველას არ ერგება.
1-გლეხი — გადამწვარი ოჯახისათვის! მჭირდება თოფი!
2-გლეხი — აწიოკებული ცხოვრებისათვის! მე მინდა თოფი!
გლეხი — მიწისათვის! მოიტათ თოფი!
უშანგი — დადექით! იქ რა ამბავია?
თაყა — ფელუგა გაბრუნდა უკან.
კიკია — სამეგრელოში წაიღო იარაღი. (გარეთ ხმაური).
გიგო — (შემოდის დათიკო, მას ყველანი გარს ეხვევიან) როგორ ხარ, დათიკო?! (შემოდის ბრგე კაცი, მეზღვაური ფეოდოროვი).
ჯაბულო — მეჩვენე დათიკო. (მოეხვევა).
უშანგი — გაგიჭირდა, დათიკო?
კიკია — ძნელი იყო?
გიგო — გვითხარი რამე?
ნიკოია — შავი ზღვა შავ ბიჭს რას დააკლებდა!
გულო — აი ჩემი კაცი მეც დამითმეთ, გამარჯობა დათიკო!
დათიკო — გულო, შენც აქ? ბავშვები?
გულო — ბავშვებმა არ დამაყენეს შინ, მამა მომიყვანეო. უი, ჩემი სიკვდილი, აი უცხო კაცი რავა უყურადღებოდ გყავთ. ვინაა?
დათიკო — გამომაყეყეჩეთ. გაიცანით მეზღვაური ფეოდოროვი. იარაღი ამან გადმოგვცა.
უშანგი — გამარჯობათ ამხანაგო. საიდან?
ფეოდოროვი — გაგიმარჯოთ...
დათიკო — ძმებო, ეს მეზღვაური გემ „პოტიომკინიდან“ არის.
კიკია — პოტიომკინიდან?
უშანგი — აჯანყებული პოტიომკინი! (ყველანი შემოეხვივნენ. ხელს ართმევენ).
ფეოდოროვი — დასწყევლოს ეშმაკმა... ნუ მილტინებთ. თქვენ ვინა ხართ?
დათიკო — აკი გითხარი, ნიკალაი!
ფეოდოროვი — თქვენა ხართ გურულები?
კიკია — გურულები ვართ! გურულები!
ფეოდოროვი — (ნიკოიას) შენ გურული ხარ?
ნიკოია — რას მეკითხება?
ფეოდოროვი — ნამდვილი გურული ხარ? პასპორტი მაჩვენე.
დათიკო — ნამდვილი გურული თუ ხარო ნიკოია. პასპორტი მაჩვენეო.
ნიკოია — ფრთხილი კაცი ყოფილა. მე ავუხსნი. (ფეოდოროვს) ია გურიცკი. ეტა მენგრელცკი, ეტა კახეტინცკი! ეტა იმერეტინცკი. ყველა მი გრუზინცკი. გაიგე? პანიმაეშ? ია ნიკორა ცეცხლაძინცკი!
ფეოდოროვი — ქართველები ვიცი! გურულები... ვერაფერი გავიგე.
დათიკო — რა გაეჭვებს ნიკალაი?
ფეოდოროვი — დასალევი არაფერი გაქვთ?
კიკია — წყალი.
დათიკო — მეზღვაურს წყალი რათ უნდა, მთელი სიცოცხლე წყალში არა დგას. არაყი არაფისა გაქვთ? (გიგო ჯიბიდან ბოთლს ამოიღებს. ფეოდოროვს მიაწვდის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდოროვი — (დაყნოსა. გაიღიმა.) მაშ ნამდვილად თქვენა ხართ?.. ჩვენი „პოტიომკინი" რუმინეთს წავიდა, მე კომიტეტის დავალებით თქვენთან მოვედი.

უშანგი — მობრძანდით.

ფეოდოროვი — გურულები! (ქუდი მოიხადა) იცით თქვენ შესახებ რას წერს ლენინი?

ყველა — ლენინი?!

ფეოდოროვი — აი აქ წერია. (გაზეთს ამოიღებს ქუდიდან) 1905 წელი... 30 აპრილი. გაზეთი „ვპერიოდ". „გურიის გლეხთა მოძრაობა იშვიათი მოვლენაა მსოფლიოს ისტორიაში. ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად ემხრობა მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას". ა... მაშ თქვენა ხართ გურულები!

დათიკო — ამხანაგებო, გესმით ჩვენზე ლენინი ლაპარაკობს!

ფეოდოროვი — (ჩუმად წამოიწყებს) „Смело товарищи вногу". (ფეოდოროვი მღერის რუსულად. გურულები მას კრიმანჭულით აჰყვებიან. ფეოდოროვს რუსულად აჰყვებიან. დათიკო კიკია და უშანგი. დანარჩენები კრიმანჭულით).

ლადუშა — (შემოდის. უბე აუვსია ხელყუმბარებით. ერთი ხელში უჭირავს) უშანგი ბიძია, აი რაცხაა, არ ვარდება?

უშანგი — ვინ მოგცა?

დათიკო — სად იშოვე?!

ლადუშა — ყუთში იდო. თოფი არ მომეცით და...

გიგო — არ გავარდეს.

ლადუშა — გსინჯე არ ვარდება. ა! (ბომბი მაღლა აისროლა).

დათიკო — რას ჩადი!

— აი!

გიგო — აგვაფეთქა ამ მამაძაღლმა! (ყველანი მიწაზე დაემხენ)

ფეოდოროვი — ეს ასე არ ვარდება. ამას კაპსული უნდა. ის ცალკე ყუთშია (ბომბი აიღო) დედას გიტირებთ, თქვენო იმპერატორო უდიდებულესობავ!

თაყა — როგორ გავძვრე ახლა აქედან? (მიიმალა).

უშანგი — (გარედან. სტვენა) ჩუმად. გუშაგი ნიშანს იძლევა.

დათიკო — ნიშანი?

კიკია — ღალატია!

უშანგი — იარაღი!

ხმა გარედან: — სტრაჟნიკები! სტრაჟნიკები.

უშანგი — ჩააქრეთ სინათლე. (სინათლე ჩაქრა, სიჩუმეა. ისმის ზღვის შხუილი და ცხენების ფეხის ხმა. სადღაც უკუნეთში ცის ლურჯი ნაფლეთი გამოჩნდა).

ფარდა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალი დავითიანი

★

# განახლებული სვანეთი

თებერვლის რევოლუციამ სვანეთში ცოტა გვიან მოაღწია თავისუფლების ამბებით, უფრო სწორად, ის სვანებმა მოიტანეს ქუთაისიდან, სადაც სამგზავროდ იყვნენ წასული და რევოლუციამაც ადგილზე მოუსწრო მათ. მთის ქედებით გამიჯნულ სვანეთში იმ დროს ფოსტის ხურჯინით შემოდიოდა, ჩვეულებრივ თვეში ერთხელ ან უფრო გვიან. ფოსტის ხურჯინი ზაფხულში ცხენზე იყო გადაკიდებული, ზამთარში კი თვითონ კაცს ეკიდა და მწვერვალებზე, უღელტეხილებზე, ზვავებისა და თოვლიანი ქარიშხლისგან დაღუპვის შიშქვეშ გადაჰქონდა ცაგერიდან ბეჩოში. ზოგჯერ კაცი და ხურჯინი ერთად იკარგებოდნენ და დაღუპული ხშირად ყორნებს და ნადირს უპოვნიათ გაზაფხულზე.

სვანეთი ასე დაუხვდა თებერვლის რევოლუციას, რომლის მღელვარე ამბების შესახებ კაცის ხელით მივიღე ეცრის სკოლაში 1917 წლის 11 მარტით დათარიღებული წერილი ქუთაისიდან. წერილში ჩემი ბავშვობის მასწავლებელი მ. კვაჭაძე[1] მწერდა: „მოგილოცავ ახალი ხანის დადგომას, საშინელი და დიდად საკვირველი ამბებია აქეთ, რაც, თუ მიიღე ჩემი გამოგზავნილი გაზეთები და ტელეგრამები (არ მიმიღია. ა. დ.), გაგებული გექნება. საშინელი სისწრაფით მოხდა რევოლუცია. ყველა წრე აღფრთოვანებულია უმაღლეს ხარისხამდე, გარდა პოლიციელებისა და უკიდურესი რეაქციონერებისა. ქალაქში მხიარულება და ზეიმია ხალხის და ჯარისა. შენი ვიშნევეცკია თუ რაღაცა დირექტორი დღეს 11 მარტს დაატყვევეს მასწავლებელთა კრების დადგენილების ძალით. გიორგი ეპისკოპოზი სამღვდელოების კრებამ გადააყენა, ახალმა პოლიცმეისტერმა ჟღენტმა ქუთაისში ძველი პოლიცმეისტერი მახარაძე დაატყვევა კრების დადგენილებით და აგრეთვე სასულიერო სასწავლებლის სმატრიტელი ხოლმსკიც დაატყვევეს. ერთი სიტყვით, წარმოუდგენელი ამბებია. გუბერნატორს კი ჯერჯერობით ქუთაისის კომიტეტმა ნდობა გამოუცხადა. ეხლაც გიგზავნი გაზეთების ორ ნომერს 10 და 11 მარტისას. გერმანელები ძალიან აწვებიან რიგას და პეტროგრადს. არავინ იცის, საქმე რით გათავდება... სხვათა შორის, 26 ამა მარტის თვის სრულიად ქუთაისის გუბერნიის სახალხო და სამრევლო მასწავლებელთა კრებაა მოწვეული და იქნება შენ და სხვებიც, თუ გადასცემთ მათ ამ ამბავს, ჩამოხვალთ და ამიტომ გატყობინებ კრების დღეს. ხეირიანის ჩამოსვლა მეტად სასურველია, ხულიგნებისა კი არა..."

წერილმა აღგვაფრთოვანა სკოლაში, მაშინვე მოწაფეებმა საკლასო ოთახში ჩამოაგდეს მეფისა და დედოფლის პორტრეტები. რევოლუციის ამბები ერთბაშად მოედო სვანეთს. ბეჩოში მოწვეულ იქნა სრულიად სვანეთის ხევთა ყრილობა. ხალხმა პირველ რიგში გაიტაცა იარაღი, ბერდანის სისტემის თოფები, რომლებიც პრისტავის მეცადინეობით თავმოყრილი იყო ბეჩოში. შაშხანა ჯერ კიდევ არ იყო შემოსული.

სვანეთის ყრილობამ გააძევა პრისტავი და მისი ამალა, აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი და ცენტრიდან ოფიციალური ცნობების მიღებამდე სვანეთის მართვა-გამგეობა მას დაავალა. კომიტეტი ქუთაისს დაუკავშირდა. მალე სვანეთში ჩამოყალიბდა უბნის საკომისრო. ამგვარად, მეფური საპრისტავო მენშევიკური უბნის საკომისროდ გა-

[1] მიხეილ კვაჭაძე 1905 წლის რევოლუციას გურული ტემპერამენტით დახვდა მასწავლებლად სვანეთში, სადაც გამოგზავნეს თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1899 წელს, სხვა გურულ ახალგაზრდებთან — ს. კეკელიძესთან, ივლ. ჩლაიძესთან და პ. კოპლატაძესთან — ერთად ვოსტორგოვშჩინის რუსოფილური ტენდენციებისგან ქართული ენის გადასარჩენად.

რევოლუციური სულით გაჟღენთილი მ. კვაჭაძე გვერდში ამოუდგა რევოლუციონერ მღვდელს მ. სუპატაშვილს, აჯანყდნენ, პირველ რიგში, დადიშქელიანების საფეოდალო ხევები: ეცერი, ცხუმარი და ბეჩო, გადაწვეს ადგილობრივი პრისტავის სამმართველო, ალყაშემორტყმული ჰყავდათ მეფის ლეიბგვარდიის გადამდგარი პოლკოვნიკი, ფეოდალი თ. დადიშქელიანი და თავი გაითავისუფლეს ყოველგვარი გადასახადებისაგან, საშინელ ტვირთად რომ აწვა გლეხობას თაობიდან თაობამდე.

1905 წლის რევოლუციის შედეგად სასტიკი რეპრესიები სვანეთშიც გავრცელდა. ქუთაისში გაასამართლეს და სხვადასხვა ვადით დასაჯეს 36 სვანი (არღვიანები, კვიციანები, კვანჭიანები, გაშჟანები და სხვ.), გადაასახლეს მღვდელი სუპატაშვილი, ხოლო მ. კვაჭაძე ცოლ-შვილით დიდხანს იმალებოდა ცოლოურის მიყრუებულ სოფელში. თებერვლის რევოლუციის წინა წლებში მ. კვაჭაძემ დატოვა სვანეთი და გურიაში გადავიდა საცხოვრებლად.

დაიქცა,—მხოლოდ სახელებმა გადაინაცვლეს და მოსახლეობამ ახალი არაფერი მიიღო. მდგომარეობა უფრო გართულდა და აირ-დაირია.

თებერვლის რევოლუციამ იარაღი გაუგონარი სისწრაფით გაამრავლა სვანეთში; სვანური კაჟიანი თოფი შეცვალა შაშხანამ, რომელიც პირველად ოთხ ხარად, ექვს ძროხად ან ერთ დღიურ საუკეთესო სახნავი ადგილის ფასად იყიდებოდა. თოფები შემდეგში მომრავლდა და თანდათან გაიაფდა. ბოლოს კი თხის ფასიც აღარ ღირდა. იარაღი ყოველი მხრიდან მოდიოდა: ქუთაისიდან, ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან და ყარაჩაბალყარეთიდან.

შეიარაღებამ სვანეთს აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანა. ახალგაზრდობის ნაწილმა თავი თვითნებურად აიშვა, გახშირდა თავდასხმები, ძარცვაგლეჯა, მკვლელობა, სისხლის აღება; შურს იძიებდნენ ასი წლის წინათ მომხდარ მკვლელობაზეც. სისხლისღვრა ისე გახშირდა, რომ ორი წლის განმავლობაში თოფით და ხანჯლით მოკლულმა ოთხას კაცს მიაღწია. ცალკე ზარალდებოდნენ მეზობელი მხარეები. ისინი ხშირად განიცდიდნენ შევიწროებას. უწესოების აღსაკვეთად არ იყო საკმარისი მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის ბრძოლა, უბნის სამმართველო მხოლოდ ფორმალურად იყო ჩამოყალიბებული.

მენშევიკური მთავრობა სვანეთისთვის თითქმის არ არსებობდა და საქართველოს ეს კუთხე იმდენად მივიწყებული იყო, რომ ლეჩხუმში ბოლშევიკური გამოსვლებით გაბრაზებულმა ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელმა მთელი ლეჩხუმის მაზრა კანონგარეშედ გამოაცხადა. რა თქმა უნდა, ეს სვანეთზედაც ვრცელდებოდა, როგორც ლეჩხუმის მაზრაში შემავალი ნაწილზე. უმთავრობო სვანები ხევების წარმომადგენლების სახით თბილისშიც ჩამოვიდნენ „მთავრობის საძებრად“, რომ რაიმე კანონის საფუძველზე წესრიგი დამყარებულიყო სვანეთში.

გარედან საიმედო ხელის გაწოდების იმედდაკარგულმა მშვიდობიანმა მოსახლეობამ შიგნით „ხევობა“ გააძლიერა, აამუშავა საკუთარი ძალები და განიარაღებას შეუდგა. ხალხი თავმობეზრებული იყო თოფებით, მოსახლეობის უმრავლესობას შეძულდა იარაღი და მზად იყო თავიდან მოეშორებინათ. ეს განზრახვა აცნობეს მთავრობას და იარაღის მისაღებად მოვიდა კომისია ლეჩხუმის სამაზრო ერობიდან ცენტრალური ხელისუფლების რწმუნებულის — რ. ყიფიანის ხელმძღვანელობით.

მოსახლეობამ ნებისმიერად, მასობრივად აიყარა იარაღი და კომისიას ჩააბარა, მაგრამ კომისიამ თოფების მხოლოდ ნაწილი წაიღო და სხვა ისევ ჩუმად დაარიგა სვანეთში. მოსახლეობას არ გამოეპარა ეს ამბავი და მთავრობამ ხალხში ნდობა დაკარგა, რადგან თავისი ღონისძიებებით სვანეთში მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუუმჯობესებიათ. კომისია ლანძღვით გაისტუმრეს სვანეთიდან; ლექსი კი გამოუთქვეს და კიდეც წაუკითხეს ლატფარის უღელტეხილზე.

2.

ოქტომბრის რევოლუცია თავისი ძლევამოსილებით უფრო სწრაფად გავრცელდა სვანეთში და დასცა მენშევიკური ხელმძღვანელობა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ს. ნავერიანი, დ. დადვანი, ა. იოსელიანი და სხვები. მულახში ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც ქუთაისის გუბერნიის კომიტეტის რწმუნებული ფელდმანი დაესწრო და რომელმაც, სხვათაშორის, მასწავლებლებს დაურიგა უკვე ლიკვიდირებული ლეჩხუმის სამაზრო ერობის გამგეობისაგან მიუღებელი რამდენიმე თვის ხელფასი ბონებით.

რევოლუციით გამხნევებული ყოფილი სათავადო ხევები — ეცერი, ცხუმარი და ბეჩო ცალკე ამოქმედდნენ. მათი ჭირ-ვარამი და მძიმე უღელი არსებითად განირჩეოდა სხვა სვანების ხვედრისგან. თებერვლის რევოლუციამ ამ ხევების ყმადყოფილ გლეხებს ვერ გაუმართლდა იმედი. მართალია, ისინი საფეოდალო „ნადელს“ სახნავი და სათიბი ადგილების, საძოვარ-საბალახოების, ტყის სარგებლობისათვის, კირის დაწვის, ქვიშით სარგებლობისთვის, შენობის აგებისთვის ნაირნაირ გადასახადებს აღარ იხდიდნენ, მაგრამ, რაც მთავარია, დადიშქელიანი დარჩა და დაშინებულმა გლეხობამ უფრო რადიკალურ ზომებს მიმართა: თუ ვინიცობაა 1905 წლის რეპრესიები განმეორდებოდა (როცა სამი წლის „ნადელი“ ერთად გადაახდევინეს და, ადამიანის სულის მეტი, სხვა ყველაფერი წაართვეს). დაეცვათ თავისი მონაპოვარი თოფით და თავადობა საკუთარი ძალებით გაენადგურებინათ.

გლეხობამ კაცისთავზე ფიცი მიიღო, — ერთმანეთს შეჰფიცეს, დადიშქელიანი ან სხვა ვინმე არ შემოეშვათ სვანეთში მფლობელად. ხალხის მრისხანებას წინდაწინ მიუხვდა ეცერის სასახლის უკანასკნელი მაიორიტული მემკვიდრე, დალისტნის ყოფილი გუბერნატორი ჯანსუღ დადიშქელიანი, გაიტაცა სასახლის ძვირფასი განძეულობა და საცხოვრებლად სამეგრელოში გადავიდა. აღელვებულმა გლეხებმა ჯავრი სასახლეზე იყარეს, შეესიენ შენობებს და დაანგრიეს. კოშკით გამაგრებული მაღალგალავნიანი და რკინით მოსალტული, მუხის კარებიანი საფეოდალო ფუძე, ქვიტკირის სახლის დირეები ციდა-ციდა სიგრძეზე დაჭრეს და ნაჭრები ოჯახებში გაანაწილეს; ერთი წილი მასწავლებლებსაც არგუნეს, რომ, ვინიცობა, დრო შებრუნებულიყო, ყველა ყოფილიყო ხვედრის თანამოზიარე. მაგრამ ყმების მრისხანებას წინააღმდეგობა არავინ გაუწია და საფეოდალო ასე მოისპო ძირფესვიანად.

3.

საბჭოთა ხელისუფლებას განიარაღების საკითხი განსაკუთრებულად გართულებული დაუხვდა სვანეთში. ოჯახებში ჭარბად იყო იარაღი. იარაღის მოყვარულს ხშირად ორი თოფი ჰქონდა, მო-

ვლილი, გასუფთავებული, გაპოხილი, ერთი — სასადაგო, რომელსაც მუშაობის დროს ატარებდა, და ერთიც — სახევო კრებებზე და სოფლებში სატარებლად. მრავალვაჟკაციან ოჯახებში ხშირად 20-25 ნაირნაირი შაშხანა ინახებოდა. იარაღის გადამეტებითმა სიყვარულმა ცუდი გავლენა იქონია მეურნეობაზე. ბევრს გული აუცრუვდა ოჯახურ საქმიანობაზე; მეურნეობას ყოველდღიური ზრუნვა თანდათან მოაკლდა.

მშვიდობიანი მოსახლეობა წუხდა, გამოსავალს ეძებდა და ხელისუფლებას შველას სთხოვდა. ხალხის ხმა, მშრომელების მოთხოვნილება გაიზიარა ხელისუფლებამ, დაიწყო მუშაობა ხევდახევ. მაგრამ აღმოჩნდნენ მოწინააღმდეგენიც, რომლებსაც მოსახლეობაში არევ-დარევა შეჰქონდათ, რათა თვითნებურობა ისევ შეენარჩუნებინათ და მღვრიე წყალში თევზი მეტხანს ეჭირათ. მოსახლეობა ასე გაიყო ორად, წესიერების აღდგენა, გაძნელდა ერთხანს, საჭირო შეიქნა ცენტრიდან კომისიის მოწვევა.

სვანეთის სამაზრო ხელისუფლებამ მულახიდან გადაინაცვლა ბეჩოში, სადაც მოწვეული იყო სრულიად სვანეთის ყრილობა. ხევებიდან ათ-ათი რწმუნებული ესწრებოდა. მთავრობის კომისიამ სავსებით გაიზიარა მშრომელი გლეხობის მოთხოვნა და სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარედ გამოგზავნეს ცენტრალური მთავრობის რწმუნებული თ. ქლენტი, რომელმაც თავისი გულწრფელი და მზრუნველური მიდგომით მოსახლეობაში ერთიანი განწყობილება შექმნა. ხალხმა სრული ნებაყოფლობით ათასობით თოფი ჩააბარა მთავრობას. ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, არ შეეფარდებოდა იარაღის იმ რაოდენობას, რომელიც შემოიტანეს სვანეთში, მაგრამ კარგმა საწყისმა კარგი დაბოლოება მიიღო. მოსახლეობაში თანდათანობით განმტკიცდა იარაღისადმი სიძულვილი.

იარაღისაგან თავის დაღწევამ მოსახლეობაში მშვიდობიანი ცხოვრება დაამყარა, უკვე არ იყო თავდასხმები და სისხლისღვრები, მშრომელები დღისით უშიშრად მუშაობდნენ ყანებში და ღამით დამშვიდებული ეძინათ. თოფებისაგან სამეურნეო იარაღებს ამზადებდნენ. სამაზრო აღმასკომთან ჩამოყალიბდნენ ჯანმრთელობის განყოფილება, სასამართლო, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა. დაიწყო მშენებლობა. შეკეთებული იქნა ყველა თვრამეტი სკოლა, რომლებიც არევ-დარევამ უბადრუკ მდგომარეობამდე მიიყვანა. ერთი სიტყვით, მაზრამ თავისი ოფიციალური სახე მიიღო და სხვა სამაზრო ერთეულებს იურიდიულად და პოლიტიკურად გაუთანაბრდა რესპუბლიკაში. ამ უფლებებით სამაზრო ცენტრმა 1924 წლიდან ადგილი გადაინაცვლა ბეჩოდან მესტიაში.

4.

ყველაფერი ეს მაინც წვეთი იყო ზღვაში. სვანეთს გზა არ ჰქონდა; საჭირო იყო, ბოლო მოღებოდა უგზოობას. სვანებს ვისთვის არ მიუმართავთ გზის მშენებლობის თაობაზე, მაგრამ შეპირება მხოლოდ სიტყვად რჩებოდა და შესრულებაზე არავინ ფიქრობდა. გზის საკითხი კარგა ხანს იდგა მეფის მთავრობის დროს; კიდეც დააპროექტეს და ენგურის ხეობაში გაჭრეს თითქმის ერთ მეტრამდე სიფართოვის ტრასა, მაგრამ, რაც გზას მოხმარდა, იმაზე გაცილებით უფრო მეტი მიითვისეს მშენებლობის მესვეურებმა და მუშაობა საბოლოოდ შეწყვიტეს. სვანეთში გზის გაყვანის საკითხი დაისვა მენშევიკური მთავრობის დროსაც, მაგრამ ლეჩხუმის სამაზრო ერობის გამგეობამ მოთხოვნას ყური არ ათხოვა, ხოლო მთხოვნელებს იმ ღამესვე აპატიმრებდნენ. ბევრმა ცაგერიდან გაპარვით უშველა თავს.

5.

გზის გაყვანის აუცილებლობის საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე წამოიჭრა.

— თქვენს გზას საქართველოს ბიუჯეტი არ ეყოფა, ჩამოდით მოსკოვში და თქვენი გზა რუსეთს კომლზე თითო აბაზი არ დაუჯდებაო, — სხვათაშორის თქვა მესტიაში საზაფხულოდ მოსულმა მოსკოველმა პროფესორმა ს. ანისიმოვმა სვანთა ვიწრო წრეში. აღმასკომმა გაიზიარა ეს კეთილი რჩევა და, მართლაც, იმავე 1929 წლის სექტემბერს ხუთი სვანი წავიდა მოსკოვში საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავრობების შუამდგომლობით.

საკავშირო მთავრობამ დააკმაყოფილა ოცნებად გადაქცეული სურვილი სვანებისა, დაადგინა სვანეთის სამანქანო გზის გაყვანა სამეგრელოს მხრივ ჯვარი-მესტიის მიმართულებით და კიდეც დაიწყო მშენებლობა იმავე შემოდგომაზე. მუშაობა ზამთარ-ზაფხულ უწყვეტლივ წარმოებდა, განზრახული ორ მილიონნახევრის ნაცვლად, დაიხარჯა ოც მილიონზე მეტი და 1937 წლის 31 დეკემბერს მანქანების კალონა შევიდა მესტიაში.

6.

სამანქანო გზის გაყვანამ სვანეთის მოსახლეობის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა: ბოლო მოეღო სვანების საუკუნოებრივ კარჩაკეტილობას. ახალი გზის გაყვანით სვანეთში ახალი ერა დაიწყო. გზამ შეიტანა ყველაფერი ის, რაც სვანებისთვის აუცილებელი იყო ახალ ვითარებაში პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული დონის ასამაღლებლად. შეირყა კარჩაკეტილობით განმტკიცებული ცრურწმენა და ბოლო მოეღო უიმედო იმედით მზერას განგებისაკენ, ზეციური ძალებისაკენ, ოთხმოცზე მეტი რაოდენობით დარგობრივი ღმერთებისაკენ, ცის იერარქიისაკენ, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი მისცა საუკუნეებით მომლოდინე მოსახლეობას. ამგვარად, გზის შესვლის დღიდან სვანებმაც პირი იბრუნეს ძველი აღმოსავლეთის ოზირისის პროტოტიპის — სვანური მეზირისგან, რომლისადმი ლიმეზირ-ვედრებით აურაცხელი შესაწირით მოელოდნენ სიცოცხლეს და სასიცოცხლო მოსავალს, — პურს სააქაო და საიქიო ცხოვრებისათვის. გაცამტვერდა ყველაფერი ეს. სვანებიც ჩაუფიქრდნენ სინამდვილეს, შეიცვალეს ძველი წარმოდგენები და ახალი ძალით შეუდგნენ ცხოვრების შენებას.

სვანეთში გზის გაყვანას მოჰყვა უდიდესი მშენებლობა რაიონის ცენტრსა და პერიფერიებში თანმიმდევრულად ააშენეს კაპიტალური შენობები: საავადმყოფოები, სასკოლო შენობები, ტურისტური ბაზები, ელსადგურები, აეროდრომები და ყველაფერი ის, რაც საჭიროა ნორმალური ცხოვრებისათვის. სახელმწიფო მნიშვნელობის მშენებლობა გადაიზარდა მოსახლეობაში და მალე სოფლებში ევროპული ტიპის ინდივიდუალური სახლები აღმოცენდა. მთავრობა სამშენებლო მასალას, მინას, ლურსმანს და სხვ. ხელსაყრელ ფასებში აძლევდა მოსახლეობას და წახალისებული გლეხებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ახალ სახლებში ფისიანი კვარი ნავთმა შეცვალა, ნავთი კი ელექტრონმა განდევნა მთელ რიგ სოფლებში. ეს იყო სვანეთში მეორე უდიდესი მშენებლობის ხანა, როცა ფეოდალური კოშკების მასობრივი აგება შეცვალა სოციალისტურმა საგანმანათლებლო მშენებლობამ.

მშენებლობასთან ერთად პარალელურად იზრდებოდნენ სხვადასხვა დარგის კადრები, რომლებიც საშუალო განათლებას შიგ სვანეთში ღებულობდნენ, უმაღლეს განათლებას კი — კავშირის სხვადასხვა ქალაქში... ყოველივე ამან სასურველი ნაყოფი გამოიღო. სვანეთსაც საკმაო მრავლად ჰყავს საკუთარი კადრები: აგრონომები, გეოლოგები, ფილოლოგები, მედიცინის დარგის მუშაკები, ინჟინრები, სამეცნიერო ხარისხის მქონე ადამიანები, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად.

სვან მოსახლეობაში საბოლოოდ განმტკიცდა რწმენა, რომ სვანეთის იშვიათი ბუნებრივი საბადოები სვანეთშივე დაემუშავებინათ, რისთვისაც შესაბამისი კადრები იქვე აღზრდილიყო. დადგინდა, გაიხსნეს სპეციალური ტექნიკუმები: სამთომადნო, სატყეო, აგრონომიული და სხვ. ამ ბაზაზე კი განვითარდება მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა და ალაგ-ალაგ მევენახეობაც. ამის რეალური შესაძლებლობა ცნობილია უძველესი დროიდან დღემდე. სახელდობრ, ისტორიულად ცნობილია, რომ მეხუთე-მეექვსე საუკუნეში სვანეთი ლაზეთს ამარაგებდა ხილით, თაფლით და ბეწვეულით, სამაგიეროდ, ღებულობდა სანოვაგეს. ისიც ცნობილია, რომ სვანეთის ჯოგები ზამთრობით ბალახობდნენ შავი ზღვის სანაპიროებზე, ხოლო რძის წარმოება შიგ სვანეთში ზოგ ადგილას იმდენად იყო განვითარებული, რომ მთიდან სოფლამდე რძის სადინართა ნაშთი დღემდე დარჩენილია თიხის მილების სახით. ასევე მრავლად გვხვდება ოქროსა და სხვა ლითონების ადგილობრივად წარმოების უტყუარი კვალი. ამჟამად კი წარმოებს მხოლოდ მარმარილოს და ბარიტის დამუშავება.

სვანეთი თავისი ბრწყინვალე მონაპოვარით გახარებულია და მადლიერი ხვდება დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი რევოლუციის მეორმოცე წლისთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

★

# დავით აღმაშენებელი

ტეტრალოგია

## VII აბდულმესსია

…„ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია
ხონელსა,
აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს
რომელსა“…
რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

ამირ შიხ-ალდინ-ახმეტ თავათ განძელი იყო, გარდა ამისა, ათაბაგი განძისა, ამირ გოზგოლი ცოლის ძმად ერგებოდა მას, ამიტომაც არც თუ განაწყენებული დარჩენილა, როცა ისპაჰანის სასახლის ეჯიბთა უპირველესმა, ამირ მანსურმა სულტან მოჰამედის სახელით უბრძანა მას: დაუყოვნებლივ წასულიყო სპიანად განძას, განძის ათაბაგი აეყოლებინა და გძურჯისტანი დაელაშქრა დაზამთრებამდის.

დავით მეფის მსტოვართათვის თვალის ასახვევად ამირ ახმეტის სპიანად განძას ჩასვლის შეფარვულ მიზნად წინასწარ დასახული იყო:

დაუყოვნებლივ შეპყრობა დიარბექირის ამირის, ომარ ბენ იაკუტისა, რომელიც სულტან ბარქიაროკის სიკვდილის შემდეგ განუდგა მის ვაჟს, სულტან მოჰამედს და სომხეთის მთიანეთს შეაფარა თავი.

გარდა ამისა, კიდევ ერთ მიზეზს ასახელებდნენ: განძის ათაბაგი მეშვიდე ცოლს ირთავდა და ამ ქორწილს უნდა დასწრებოდა ამირ ახმეტი.

ეს ამბავი არ გამოპარვია დავით მეფის სარწმუნო კაცს ისპაჰანში, ჯოჯიკის, მან თავის დროზე აცნობა იგი კიდევაც ჰყონდიდელს, ხოლო მეორე სარწმუნო კაცი მეფისა გარეგინ მამიკონიანი იუწყებოდა: განძაში დიდის ამბით მოელიანო ლაშქრის ამირას ჩამოსვლას.

*

* *

ამირ შიხ ალდინ ახმეტ ფრიად განსწავლულ და მამაც ვაჟკაცად ითვლებოდა სელჯუკიანთა ისპაჰანურ სასახლეში. იგი იყო შეგირდი დიდი ვაზირის, ნიზამ ალმულკისა, რომელიც მომავალ სარდლებს გულმოდგინედ სწვრთნიდა არა მარტო სახელმწიფური მართველობისა და სტრატეგიის საქმეებში, არამედ მუსლიმური ღვთისმეტყველების საკითხებშიაც.

ამირ ახმეტის მამა, ამირ ყადირ, ალფ არსლანისა და მალიქ-შა სულტანის სარდალი იყო ოდითგანვე. მან თავის დროზე სისხლის წვიმები დააყენა დიარბექირსა და ანისში, სამშვილდესა და ახალქალაქის ბრძოლებშიაც იგი თან ახლდა ორივე სულტანს.

თავისი იშვიათი მამაცობით ამირ-ყადირის ვაჟმა, ამირ ახმეტმა სიჭაბუკეშივე დიდ წარმატებებს მიაღწია, ხორასანსა და სომხეთში აჯანყებების ჩაქრობისას და ჯვაროსნებთან ომებში.

ამირ ახმეტ დიდხანს ებრძოდა ბარქიაროკის დედინაცვალს, ტძურკან ხა-

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ №№ 6, 7, 8, 9.

თუნს, სულტანის ნახევარ ძმას, სინჯარსა და სულტანისავე ბიძას, ამირ ტუტუშს.

ამირ ახმეტი ალლაჰის რისხვად მოევლინებოდა აჯანყებულ სომხებს, ბერძნებსა და სირიელებს სახრჩობელების მთელ ტყეს აღმართავდა ხოლმე ანისიდან იერუსალიმამდის.

შიხ ალდინ ახმეტმა ჯერ კიდევ ბარქიაროკის დროს მოიპოვა თითქმის ყველა უმაღლესი ტიტული სელჯუკიანთა სასულტანოსი:

„ჰუსამ ალ-დინ“ — ხმალი სარწმუნოებისა, „სეიფ ად-დაულეჰ“ — მახვილი სახელმწიფოისა, „ამინ ად-დაულეჰ“ — სარწმუნო კაცი სულტანისა.

მისი აღზევება აქ როდი შემდგარა, სულტან ბარქიაროკის სიკვდილის შემდეგ, სელჯუკიანთა მიერ დაპყრობილ ხალხთა შორის ამბოხმა იმატა, საქმე რა მისჭირდა, ბარქიაროკის ძმ, სულტან მოჰამედმა კვლავ მოიხმო შიხ ალდინ ახმეტ და ამირ ხარასის თანამდებობა შესთავაზა.

ამირ ხარასი ისპაჰანელ სელჯუკიდების კარზე, ეს იყო უქცეველად აღმასრულებელი განრისხებული სულტანის ბრძანებისა.

განდგომილების თავის დაჭრა, გაცოფებული სპილოსთვის გადასათქერად ადამიანის მიგდება, ან ასეთი კაცის ლომების გალიაში ჩასმა, ეს ყოველივე შედიოდა ამირ ხარასის მოვალეობათა ციკლში.

ამირ ხარასის განკარგულებაში იმყოფებოდა ოცი მეხმლე, ამდენივე ჯალათი ვერცხლისა და ოქროს ჩუგლუგებით აღჭურვილნი. სულტანის წარბების ზეაწკიპვა საკმარისი იყო, დამნაშავედ შეცნობილთ თავისქალას, ან ხერხემლის მალებს ჩაულეწავდნენ მყისვე.

ამირ ახმეტი სოლომონ ჰურიათა მეფის დარად მთელი სიცოცხლის მანძილზე ნატრობდა თავის მრავალრიცხოვან ცოლთაგან ათასი ასული გასჩენოდა, იგი აგრე ვარაუდობდა: ყოველი მათგანი ყოველ წელს თითო მეომარს შეჰმატებსო სამშობლოს.

ნაცვლად ათასი ასულისა, მისმა უკვე შეძლალებულმა უფროსმა ცოლმა დაჰბადა ცალთვალა, და ცალხელა ვაჟი.

ეს ყმაწვილი რა წამოიზარდა, ასსასინებს — იზმაელიტებს დაუმეგობრდა, რატომღაც.

დასასრულ მთლად გაუგონარი ამბავი მოხდა: ისპაჰანის უმთავრესს ჯამეში ასსასინებმა ლოცვის დროს იატაგანით მოჰკლეს სულტან მოჰამედის უერთგულესი ამირა აბდალაჰ ბენ ჰარსუმ.

ხანგრძლივი ძიების შემდეგ ამირას მკვლელი, ვინმე კოჭლი ჰასანი შეიპყრეს ამირ შიხ ალდინ ახმეტის ცალთვალა და ცალხელა ვაჟის სასახლეში, მკვლელს არც კი მოჰგონებოდა სისხლიანი იატაგანის გაწმენდა.

ამ უცნაური ამბის გამომზეურების შემდეგ სულტან მოჰამედმა უხერხულად ჩასთვალა შიხ ალდინ ახმეტი დაეტოვებინა ამირ ხარასის მაღალ თანამდებობაზე, ბოლოს მის განაპატიეებას მაინც მოერიდა ამ ამირას დიდი დამსახურების მიხედვით.

სულტანი თავათ აპირებდა გძურჯისტანის დალაშქვრას და ხარაჯის არ გადამხდელი დავით მეფის „წურთვნას“; მაგრამ გარეული ვირის ხორცის უზომოდ მირთმევამ მუცლის სალმობა შეჰყარა მას, ამიტომაც ეჯიბთა უპირველესს ახმობინა შიხ ალდინ ახმეტ და გძურჯისტანის დალაშქვრა დააკისრა, თანაც მიანიჭა მას ლაშქრის ამირას მაღალი სახელწოდება.

*

* *

საქართველოში გამგზავრების კვირაძალში, ლაშქრის ამირამ დაათვალიერა თანწასაყვანი სპანი, მისმა მრავალნაცადმა თვალმა მყისვე შენიშნა ქვეით მოისართა და შუბოსანთა შორის ცხენოსნების სიმცირე.

ლაშქრის ამირას მთელი თავისი ვაჟკაცობისა და ჭარმაგობის მანძილზე ტრამალებზე უხდებოდა ცხენდაცხენ ბრძოლა ბიზანტიელების, ბერძნების და ჯვა-

რონსნების წინააღმდეგ, მთიანეთში მას იშვიათად თუ შეხვედროდა ომი.

ამირ ახმეტმა კარგად იცოდა რომ გაშლილ ველებზე იშვიათად თუ დაუდგება ქვეითი ჯარი ყიყინით ხმალამოწვდილად მომქროლავ ცხენოსანთა შემოტევას, ამიტომაც შეეთათბირა ეჯიბთა უპირველესს, ამირ მანსურს: ეგებ ცხენოსანთა რაოდენობის გადიდება ვთხოვოთო სულტანს?

ორივესთვის ცნობილი იყო რომ ჯვარონსნებთან ომების დროს დიდძალი ცხენები დაუხოცეს სელჯუკებს. ამიტომაც ინით შეღებილი ფრჩხილებით თავი მოიფხანა ამირ მანსურმა, ეჯიბთა უპირველესმა და სთქვა:

„მე მგონია ამის მოხსენება არ ივარგებს არამც და არამც. სულტანი ისედაც განაწყენებულია შენს მიმართ, აგრე იფიქრებს: ჩემი ნაბრძანის შესრულებას გაურბისო, გარდა ამისა, გძურჯისტანი მთაგორიანია, ამიტომაც იქ ნაკლებად გამოსადეგია ცხენი, აქლემი და სპილო.

ეგეც არ იყოს ამ შუაგულ ზაფხულში მთები და ველები გადარუჯული იქნება მზისაგან, ასე რომ ძლიერ მისჭირდება ცხენების გზადაგზა კვება.

ამირ მანსური ძველი თანამებრძოლი იყო ამირ ახმეტისა და ამიტომაც გვერდით მოისვა იგი და დიდხანს ესაუბრა „იმ შაითან მეფის დავუდის ოინების“ გამო. . . . . . . . . . . . . . .

ცხენების გამო მიღებულმა პასუხმა ვერ შეაჯერა ლაშქრის ამირა, მაგრამ მაინც დადუმება არჩია. მერმე ის იყო თავისი უფროსი ცოლი, ცალთვალა და ცალხელა ვაჟი და ბიჭების ჰარემი თან ჩამოიყვანა შიხ ალდინ ახმეტმა განძაში.

*

* *

ამირ ახმეტი თუმცა სამოც წელს იყო მიღწეული, მაგრამ ინით წვერშეღებილს ხანდაზმულობა არ აჩნდა, სიძვისა და ღვინის მოყვარული დაუცხრომლად განაგრძობდა ქეიფს.

მას ძლიერ შვენოდა თეთრი ჩალმა, შვინდისფერი კაბა, ასე რომ როცა იგი ვერცხლისფერ არაბულ იაბოს დააჯირითებდა განძის ქუჩებში, ულამაზესი ნადროსნები ნიავს წააშველებდნენ ხოლმე ხელს, რათა ამ სახელოვან ამირასთვის შორიდან მაინც მოეკრათ თვალი.

განძაში ამ დროს ბროწეულები ჰყვაოდნენ უკვე, ამირ ახმეტს თავისი სიჭაბუკე მოაგონდა, დღე და ღამ ნადიმებით იყო გართული. ქორწილს ჯეირნებზე ნადირობა და დაუცხრომელი ჯირითი თან მოჰყვა.

სელჯუკიანთა ლაშქრის კარვები აღარ ეტეოდნენ განძის შემოგარენში. მთელი ქალაქი სამხედრო ბანაკად იქცა, ცხენების ჭიხვინი და დაფდაფების ცემა მოსვენებას არ აძლევდა მოსახლეობას.

იმჟამად ეს ქალაქი ისეთივე იყო, როგორც ჰანდულაჰ ბენ ყაზვინი აგვიწერს მას:

„განძა მიეკუთვნება მეხუთე კლიმატს. მისი სიგრძე ბედნიერ კუნძულებიდან უდრის 88,0, ხოლო ეკვატორიდან 40,30. ეს ქალაქი დაარსებულია ისკანდერ რუჰმის მიერ, ხოლო კობად ბენ ფირუზმა განაახლა იგი.

განძა დიდი ქალაქია, უამრავი მცხოვრებია მასში და მრავალი მაღალი სახლი. ხილი აურაცხელია: ბროწეული, ყურძენი და ნიგოზი. წყალს მდინარე ბერბერიდან ღებულობს განძა“.

ამირ ახმეტს სანჯზე დაკვრა უყვარდა, წარამარა ზედ ამღერებდა ცნობილ ირანულ ლექს:

„არანის ქალაქთა მეფეა განძა
კეთილმშენი, უბადლო წყლითა და ჰავით.
განძა მირჩევნია მერვსა და ხორასანს,
ტუსა და აქსერას მე ვარჩევ განძას,
მუსკუსის სურნელი იფრქვევა ყოველგან,
ცა შაფრანის ფერია და ცეკვავს'მიწა“...

. . . . . . . . . . . . . . .

განძის ათაბაგის ქორწილი მოთავდა თუ არა, ამირებმა და უხუცესებმა გამართეს ბჭობა. სამ დღეს თათბირობდა სამი ამირა. ლაშქრის ამირა ახმეტ, ათაბაგი განძისა ამირ გოზგოლი და მესა-

ზღვრე ჯარის, აკინჯის სარდალი ამირ ჰუსეინ.

ლაშქრის ამირა დაკვირვებით ზომავდა და უჭვრეტდა არაბულ რუკებს. ბოლოს საქართველოს დაპყრობის ასეთი გეგმა წარმოადგინა მან:

თავდაპირველად აკინჯის ჯარის სარდალს ამირ ჰუსეინს გერკესა და ნერკეს[1] წესით ნადირობა უნდა მოემიზეზებინა და იორის ხეობაში შეჭრილიყო. ციხეებს შეძლებისამებრ განრიდებოდა, ეკლესიები, სოფლები და საბძლები გადაებუგა.

თავისთავად ცხადი იყო დავით მეფის სპასალარები შეებრძოლებოდნენ გზადაგზა მას, ამასობაში ლაშქრის ამირა და განძის ათაბაგი ჩაებმებოდნენ ბრძოლაში.

ლაშქრის ამირა სელჯუკიანთა ჯარითურთ რუსთავთან მტკვარს გადალახავდა და თრიალეთს გაივლიდა, იქაური ციხეთა გატეხის შემდეგ თეძმის ხევით უწევდა შიდა ქართლის ზეგანს.

განძის ათაბაგი მამკოდაზე გზაგავლით ხერკისა და ზედაზენის ციხეებს სამხრეთით დასტოვებდა და წეროვანის მინდვრებზე გაივლიდა.

ამასობაში ამირ ჰუსეინ ლოჭინის ხევიდან ტფილისს უწევდა, ბანუ ჯაფარსა და მის სპას აიყოლიებდა და მცხეთის გზით გამოვიდოდა შიდა ქართლის ველებზე.

ბოლოს ოთხივე ამირა შეერთებული ძალებით შეებმოდნენ დავით მეფეს უფლისციხის ქვემოდ, სადმე გაშლილ ზეგანზე. ლაშქრის ამირა თავის მსტოვარების ცნობათა მიხედვით აგრე ვარაუდობდა: დავით მეფეს ცხენოსანი სპაი არა ჰყავს და გაშლილ ველებზე უფრო ხელსაყრელიაო მასთან შებმა.

განძის ათაბაგი დავით მეფის სპასალარებთან უკვე ნაბრძოლი იყო, მან კარგად იცოდა ის სტრატეგიული სიძნელენი, რომელნიც თან ახლდა ჯერ ტყემრავალ კახეთ-ჰერეთის დალაშქვრას და მერმე შიდაქართლში სპიანად შეჭრას.

ეს პაექრობა ალბათ დიდხანს გასტანდა, წითლოსან დუკისძეს, იაი ცახელაისძეს, მამისთვალა მახარობლისძესა და ზაზაი ჯუბიელს რომ არ ჩამოესწროთ.

წითლოსან დუკისძე ზედმიწევნით კარგად იცნობდა ამ გზებს, ამიტომაც მან ხელაღებით დაუწუნა თავისი გეგმები ლაშქრის ამირას. რუსთავიდან თეძმის ხევამდის იმდენი ბასტიონი, ციხეთაფარი და კლდეებში გამოკვეთილი სახიზნო სამალები აქვს დავით მეფეს, ერთ წელსაც ვერ გაივლითო ბრძოლით.

მამკოდას ხეობით შიდა ქართლს გადასვლას ხერკისა და ზედაზენის ციხიონები არ დაგვანებებენო. გარდა ამისა, ამ გზაზე ისეთი უსიერი ტევრებია, ტყეებს ციხეებად იყენებსო დავით მეფე.

წითლოსან დუკისძის თურქული ძლიერ დაშორებული იყო დალაგებული მეტყველებისაგან. იგი ფრიად ბნელი და განსწავლას მოკლებული კაცი იყო, ამიტომაც უგერგილოდ ზოზღნიდა საუწყებელს.

მიუხედავად ამისა, ლაშქრის ამირა მიახლოებით ჩასწვდა მის მიერ თქმულს. ეს ენა კარგად იცოდა ზაზაი ჯუბიელმა და მან წვრილად აღნუსხა ამ სამივე გზაზე ლაშქრის გადაყვანასთან დაკავშირებული სიძნელენი.

ჯუბიელმა სთქვა:

„ტფილისს დასავლეთით მთები ახლავს. ამირ ჰუსეინმა და ტფილისის ამირამ, ბანუ ჯაფარმა კიდევაც რომ შესძლონ ამ მიმართულებით ტფილისიდან გადასვლა, მცხეთაში გამოსულნი ნამდვილ ხაფანგში აღმოჩნდებიან, რადგან ამ ქალაქს თითქმის ყოველი მხრიდან მთები და ციხეები არტყია გარს“.

ლაშქრის ამირა გულმოდგინედ უსმენდა ნათხრობს. მან კარგად იცოდა ეს გჲურჯები შინათგამცემელნი რომ იყვნენ, ამიტომაც აგრე ვარაუდობდა: ვინც ერთხელ მაინც გაჰყიდის თავის სამშობლოს, შესაძლოა მან ყოველ წამს უღა-

[1] **გერკე და ნერკე** — თურქ. კოლექტიური ნადირობა რომელსაც ეწეოდა მთელი ტომი, ირანულ-ქართული ჯელგა, ანუ ჯერგა, მარეკები ტყეს შეესევიან, ნადირს დააფრთხობენ, ხოლო სახუნდარში მსხდომნი—მეხუნდარნი ხოცავენ მას.

ლატოსო ყველას. გულში ფიქრობდა: ვინ იცის ეგებ დავით მეფის მსტოვარები იყვნენო ესენი.

მიუხედავად ამისა, ამირ ახმეტი გააოცა ზაზაი ჯუბიელის თავანკარა თურქულმა და მისმა დინჯმა საუბარმა. ამირ ახმეტის გულში ასეთი აზრი ღიმღამობდა: შესაძლოა ეს მაინც პატიოსანი კაცი იყოსო.

საერთოდ ამირ ახმეტი აგრე ფიქრობდა: უცხო ნათესავის კაცმა თუ კარგად იცის თურქული, შეუძლებელია თურქების მტერი იყოსო იგი. ვისაც ამა თუ იმ ხალხისადმი სიყვარული გულში არ უძევს, იგი ვერც ისწავლისო იმ ხალხის ენას, ეგზომ ზედმიწევნით.

ამგვარი აზრები ნიზამ ალმულკისაგან ჰქონდა შეთვისებული ამირ ახმეტს. ცნობილია: იმჟამინდელი თურქული განათლება ნიზამ ალმულკის მოძღვრებაში პოულობდა სათავეს.

მის მიერ იყო დაარსებული სელჯუკიანთა იმპერიის აურაცხელი მედრესეები, სადაც არაბულზე უფრო გულმოდგინედ თურქულს ასწავლიდნენ.

რომელიმე ქვეყანაში მოსპობდნენ თუ არა ეროვნულ სახელმწიფოს, თურქულის სწავლებას შეუდგებოდნენ მყისვე.

ნიზამ ალ-მულკი აგრე ამტკიცებდა: თუ ჩვენ შევძელით ისლამური რელიგიისა და თურქული ენის ყველგან გაბატონება, მთელს მსოფლიოს დავიპყრობთო უცილოდ.

თურქული ენა ალლაჰის ენაა, ვინც თურქულს ისწავლის, იგი საკუთარს თავისთავად დაივიწყებსო.

ამ მოსაზრებებით მოეწონა ლაშქრის ამირას ჯუბიელის თურქული, ამიტომაც საგანგებო გულისყურით უსმენდა მას.

ბოლოს ამირ ჰუსეინმა, აკინჯის ჯარის სარდალმა დაარღვია დუმილი, მზერა გაუმართა ამირ ახმეტს და სთქვა:

„რაც ამ გძურჯებმა აქ მოგვახსენეს, ყოველივე უცილოდ სწორია. შენ დიდი სარდალი ბრძანდები ალლაჰის წყალობითა და საკუთარი ხმლის მეოხებითა, ამირავ ბატონო, მაგრამ უნდა მოგახსენო: გძურჯისტანი სირიისა და ანტიოქიის დარად ტრამალების ქვეყანა როდია, აქ ყოველი მთა, ყოველი ხეობა, თუ ტყე ერთგვარი ციხეა, ამიტომაც თუნდაც ლაშქრიანად ზედ გასეირნებით მას ვერ დავიმორჩილებთ".

ახლა ზეზე წამოდგა ამირ ჰუსეინი, კახეთ-ჰერეთის არაბულ რუკას თითი მოუფათურა და სთქვა:

„კახეთ-ჰერეთში იმდენი ციხეებია, ტყეები და ქარაფებში გამოკვეთილი სახიზნონი, ჩვენ დაგვრჩენია ერთადერთი მდინარე, რომლის ხეობიდან შიდა ქართლში გადასვლას შევძლებთ, ეგ არის იორი.

ჩვენდა ბედად მის ნაპირებზე არც იმდენი ციხეა. მართალია, მთელი ხეობა ტყიანია და ჭაობიანი, მაგრამ ერთიცა და მეორეც ჩვენდა სასარგებლოდ გამოვიყენოთ... ამიტომაც ჩვენ აგრე დავთქვათ წინასწარ: მე და ჩემი თურქმანები ჯერ გერკე და ნერკეს წესზე ნადირობით შევყვებით იორის ხეობას, მაგრამ, როგორც კი მონაპირე სოფლებს საძარცვლად მიადგებიან ჩემი თურქმანები, ცხადია დავით მეფე არ დააყოვნებს და შემოგვებმის.

მთელს ამ მანძილზე დამპალამდის ციხე არაა, ასე რომ ჩვენ უნდა შევეცადოთ, დამპალამდის შევხვდეთ ველზე სადმე დავით მეფესა და მის ლაშქარს.

რაც მთავარზე უმთავრესია: ჩემი მსტოვარების ცნობათა მიხედვით დავით მეფის ცხენოსანი ჯარი მცირერიცხოვანია, ამიტომაც სამივეს ჩვენს ლაშქარს უნდა ვუბრძანოთ ყოველი კაცი ეცადოს ცხენები გამოუკლან მტერს... დავით მეფის ჯარში როგორც ვიცით, მარტო აზნაურნი სხედან ცხენებზე".

წითლოსან დუკისძე არ დაეთანხმა ამირ ჰუსეინს. დავითის მამის გიორგი მეფის დროს იყოვო აგრე, მხოლოდ აზნაურები ისხდნენ ცხენებზე, უკანასკნელ წლებში დავითმა და მისმა ვაზირთა უპირველესმა გიორგი ჭყონდიდელმა იმდენი ცხენები შეისყიდეს კავკასიონის მთიანეთში, ნაჭარმაგევის თავლებში ვეღარ დასტევს და საერისთაოებში დაგზავნესო ცხენთა რემები.

ლაშქრის ამირამ დუმილით მოისმინა წითლოსან დუკისძის ჩვენება და კიდევ ერთხელ ინანა:

პირადად რად არ ვთხოვეო სულტანს შესაძლებლად ბევრი ცხენების მოცემა.

*

* *

სამხედრო თათბირი რა მოთავდა, სამივე ამირა თავ-თავიანთ ამალებითურთ გაემართნენ განძას უმთავრესს ჯამესკენ, რომელიც ჯერ კიდევ ალფ-არსლანმა ააგებინა. ყურანის მკითხველნი, მეყრნი გალობითა და ღიღინით წინ მიუძღოდნენ მათ.

მუფტი ავიდა კათედრაზე და წარსთქვა ყურანის ლექსები:

„მორწმუნენო უწყოდეთ უსჯულონი პირუტყვზე უარესნი რომ არიან.

პირუტყვზე უარესნი არიან იგინი, ვისაც ალლაჰ არა სწამთ, ამიტომაც ტყვედ რა ჩაგივარდებათ, ისე დასაჯეთ, მემხრენი დაუფეთოთ მათ.

მაშ აღიჭურვენით როგორც კი მოიკრიფოთ ძალა, ხმლითა, შუბითა და ისრით, უმარდეს ცხენებზე ამხედრდით, რათა შიშის ზარი დასცეთ მათ ვისაც ალლაჰ არა სწამთ, არა მარტო მათ, არამედ იმათაც ვისაც თქვენ არც კი იცნობთ, არამედ მათაც ვისაც ალლაჰ უთქვენოდაც იცნობს, ყოველთა საგანთა და არსთა შემცნობი ალლაჰ.

იგიც უწყოდეთ მორწმუნენო: ყოველივეს, რასაც კი დასთესავთ ალლაჰის გზებზე, ისევე უკან დაგიბრუნებთ ალლაჰ.

ჰოჲ, წინასწარმეტყველო განამხნევე ერი შენი და აღაგზნე ომებისათვის და უკეთუ მარტოოდენ ათთორმეტნი პირმტკიცენი აღმოჩნდნენ შენს მემხრეთა შორის, იგინი შესძლებენ ათორმეტ ათასთან შებრძოლებას, რადგან ურწმუნოთ გონება წართმეული აქვთ ღვთით, ეგეც უწყოდეთ მორწმუნენო: ალლაჰ პირმტკიცეთა უფალია და ყოველთა საგანთა და არსთა მცნობია ალლაჰ“.

*

* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ სამი დღეც არ გასულა აკინჯის ლაშქრის თურქომანთა ბრბოებმა სამ ადგილას გადმოლახეს განძის საათაბაგოს და კახეთ ჰერეთის სამზღვარი.

ამირ ჰუსეინის მარბიელი ჯარი თავს დაესხა ქართველ მესაზღვრეებს, უბელო ცხენებზე ამხედრებული თეთრფაფახიანი ბრბოები ჩრდილოეთისკენ აღმა აყვნენ იორის ხეობას. წითლოსან დუკისძე და სხვა თრიალეთელი აზნაურები წინ მიუძღოდნენ, გზებს უჩვენებდნენ მტერს.

თურქომანებმა ისე მოიკატუნეს თავი, თითქოს გერკესა და ნერკეს წესით მონადირენი ყოფილიყვნენ. ისინი შეესიენ იორს გაღმა გამოღმა ატეხილ ტყეებსა და ჭაობებს, უმოწყალოდ ხოცავდნენ ჯეირნებს, ხოხბის ლაპებსა და მშვლის ნუკრებს.

ივრისპირელ მწყემსებს, მეკამეჩეებს თურქომანები თავდაპირველად მართლაც მონადირენი ეგონათ.

მოჭირნახულე ხალხი პურეულის მოსავლის აღებით იყო გართული. როცა თავდამსხმელებს ნანადირევი შემოელიათ, კალოებს მიაშურეს, კევრში გაბმული საქონელს იტაცებდნენ გუთნისდედების თვალწინ კლავდნენ ხარებს.

გაბოროტებულმა გლეხებმა ფიწლებს წამოავლეს ხელი, თურქომანები ხმლითა და ტაჯგანალებით დაერიენ დიდსა და მცირეს, ძნებსა და ჭელეულებს ცეცხლი შეუგზნეს.

მახლობელ სოფლებში მნათეებმა ზარები დაარისხეს, ციხეთა ზეთავებზე სანიშნო კოცონები აანთეს, ხანძარი და ყიჟინი მოედო სოფლებს.

უიარაღო ხალხს წამოეშველნენ კახეთ-ჰერეთის ერისთავები არიშანი და ბარამისძე ცხენოსანი სპითა. ფიწლებითა და ორთითებით აღჭურვილი მოსახლეობა მოირთვეს, ცხენები დაუხოცეს ამირ ჰუსეინის ბრბოების მეწინავეებს და ივრის ჭალებისკენ მისრისეს ისინი.

წითლოსან დუკისძემ და თრიალეთელმა აზნაურებმა აიყოლიეს დავით მეფის მიერ განპატიჟებული ეპისკოპოსები და ციხოვანი აზნაურები, ისინი ხალხს ამბოხებდნენ, ეუბნებოდნენ: ხომ ხედავთ დავით მეფემ განუკითხავად დაგაგდოთ, თურქები ჩვენდა საშველად არიან მოსულნი, ჩვენც მხარი მივსცეთ მათ და კახეთ-ჰერეთიდან გავაძევოთო დავით მეფის მემხრე ერისთავები და ეპისკოპოზები.

ერისთავების მიერ შევიწროებულ ამირ ჰუსეინს პირველ დღეებშივე ძლიერ გაუჭირდა თავის მონასპათა და მათი ცხენების კვება.

დავით მეფის ბრძანებისამებრ იორის სანახებიდან პანკისისა და ილტოს ხეობებში გადალალეს მთელი საქონელი, მოსახლეობა ციხეებში გახიზნეს, სოფლებში მარტო ძაღლები დარჩნენ.

ამირ ჰუსეინს ვარაუდი შეეშალა, წითლოსან დუკისძე და თრიალეთელები მას არწმუნებდნენ: კახეთ-ჰერეთის ხალხი ისე მოგელით როგორც დავით მეფის ტაჯგანალებისაგან განმათავისუფლებლებს, კახელები ხელის გულზე გატარებენო.

გარდა ამისა ამირ ჰუსეინ პირობისამებრ მოელოდა ლაშქრის ამირა და განძის ათაბაგი კვალდაკვალ მომყვებიანო, როცა ეს ორივე პირობა გამტყუნდა, იგი ძლიერ გაბოროტდა, წარამარა აგზავნიდა მალემსრბოლებს, უთვლიდა ორივე ამირას: დაუყოვნებლივ მომეშველეთო:

წითლოსან დუკისძეს და მის მემხრეებს პირში ლანძღავდა: აკი გვარწმუნებდით: როგორც კი კახეთ-ჰერეთში შემოვალთ სპიანად, ხალხი ხელის გულზე დაგისვამთო?

ახლა სადღა არისო ის ხალხი!

. . . . . . . . . .

* * *

დავით მეფე ტაძრეულისა და მცირე სპის ამარა მამკოდის გზით კახეთში გადმოვიდა ღამით და ბოჭორმის სასახლეში დაბინავდა უჩინრად. აქ უცდიდა იგი გიორგი ჭყონდიდელსა და სპასალარებს სპიანად...

ქარიმან სეტიელი ყოველ დღე მოახსენებდა მას იმ ბრძოლების გამო, რომელთაც ეწეოდნენ ერისთავები არიშიანი და ბარამისძე აკინჯის ჯარების წინაალმდეგ.

ქარიმანს მოყურიადენი ჰყავდა მიჩენილი წითლოსან დუკისძისა და კახეთ-ჰერეთის განდგომილ აზნაურთათვის.

მეორე დღეს მოაღწია ნიანია ბაკურიანმა სპიანად, მახარა ღელავდა: დავითი მაინც რომ არ აპირებდა შეტევას. მეფე ამჩნევდა კიდევაც ამას, ერთხელ ყრუდ სთქვა: ერისთავები არიშიანი და ბარამისძე მოუვლიანო თურქომანებსა და თრიალეთელ მოღალატეებს.

*
* *

მახარას თავისი სიყრმე მოაგონა ბოჭორმის სასახლემ. იგი გულისტკივილით შესცქეროდა ბაგრატისეულ უზარმაზარ ბუხარს, რომელსაც ხშირად უჯდა ხოლმე გვიანი ღამით დაუცხრომელი ომებისა და ჟამთასიავისაგან გულგასენილი მამაი.

მის საკარცხლულებს, მის საწოლს, მის მშვილდებსა და ხმლებს კედლებზე გაწკაპულთ. ბაგრატისეული ფსალმუნი იქვე იდო სასთუმალთან, სადაც მას უკანასკნელად გადაუფურცლავს. საწოლის ღვთისმშობლის წინ უქრობელი სანთელი ბჟუტავდა. ცალიერ საწოლზე თალათინები და ნატები ელაგნენ.

ტალანების კედლებიდან ბაგრატის მიერ მოკლული რქაბორჯღალა ირმის თავების ჩამქრალი თვალები უხიაგ დარდს აღძრავდა მათ მჭვრეტელში.

გახუნებულ სკარამანგებით მორთული ბებერი კარისკაცები კიბეებზე ძლივს დაჩოჩავდნენ...

ისინი არ მოელოდნენ მეფის და ტაძრეულის ჩამოსვლას, ამიტომაც გამალებული დაფამფალებდნენ, ფერთხავდნენ, ფხეკდნენ, რეცხავდნენ: საწო-

ლებს, საკარცხლულებს, ტაბაკებს, ნიშებს, კედლებსა და იატაკებს.

მწერებისაგან დასკორილ ხატებსა და სასანთლეებს აპრიალებდნენ, უქრობელ სანთლებს ანთებდნენ კანკელებისა და ხატების წინ.

რაღაც იდუმალი დარდი გულზე შემოეგზნო მახარას როცა იგი ბაგრატისეულ ზარდახანაში შევიდა.

ბრაზი წაეკიდა, რა დაინახა თუ როგორ მოუვლელი ეყარა ირგვლივ ბაგრატისეული საჭურველი. შერისხა ბოჭორმის სასახლის გამგეთუხუცესი, ქაჩალი მარკოზა:

„დავით მეფე აპირებს ზარდახანაში ჩამოსვლას, ახლავე დააკრიალეთ ყველაფერი, თორემ იგივე მოგივა მარკოზავ, რაც კოზმან ბერს ვუყავი ერთხელ“.

მარკოზა ხუმარა იყო და ამიტომაც ღიმილით შეჰბედა მახარას:

„მაინც რაი უქენ ეგეთი იმ გაოხრებულ კოზმანს, უფლისწულო, ბატონო?“

„რა და ის ორი ღერი ბეწვი რომ ამოგსვლია ბატის ნისკარტივით გაყვითლებულ ცხვირის ჭვინტზე, იმათ აგაცლი“.

„ეგ არც დიდი სასჯელი იქნება უფლისწულო ბატონო, იმ ბეწვებს მე თავათ ვიპუტავ ყოველ კვირას, მაინც ამოდის მაგ ტიალი“.

მახარამ თითი დაუქნია ქაჩალს.

„აბა ტანაჯორივით დატრიალდი მარკოზავ, ყოველივე დააკრიალეთ და მომახსენე ახლავე“.

როცა მახარა სასტუმრო დარბაზის აივანზე გავიდა, ასეთი რამ ნახა:

დავით მეფეს შუბლზე მიეჩრდილებინა მარჯვენა და ცას გასცქეროდა, ბოლოს მის უკან მდგარ ნიანიას მიუბრუნდა:

„ხომ ხედავ ნიანია რა მოდის ჩვენსკენ?“

ნიანიამაც ხელი მიიჩრდილა შუბლზე და სთქვა:

„მე ვერაფერს ვხედავ, მეფევ ბატონო“.

„ეჰე, მწვერვალზე რომ გოდოლი სდგას, იმის ზევით აიხედე, თეთრი ქორი ქარს ელაღობება.

ნახე, რა სილამაზეა! ღმერთო რა ბედნიერნი არიან ფრინველნი ცისანი! ჩვენ ამ გაუხარებელ მიწაზე ძლივს დავბობღავთ, ხოლო ისინი ცას ეთამაშებიან ლაღად!“

მართლაც უცნაური სანახაობა იყო, პორცელანივით ვასვასა თეთრი ქორი ირაოს აქეთებდა უსახელო ციხის ზეთავზე მაღლა, სულ მაღლა.

ხან ღრუბლებში გაუჩინარდებოდა, ხან ისევ ძირს ჩამოიწეოდა, ფრთების დინჯი რხევით ელაციცებოდა ქარს.

როცა მახარას მოახლოება შეიცნო, ახლა მას უთხრა დავითმა:

„აბა თუ გახსოვს მახო, რამდენი თეთრი ქორი მყავდა მე?“

„ორმოცი, ჩვენო პატრონო“.

დავითმა ნაღვლიანად სთქვა:

„ხომ ხედავთ რა უცნაური დამთხვევაა, ზუსტად იმდენი რამდენი წელიც ამ ქვეყნად დავყავი. მას შემდეგ რაც ჩემი ქორები, შავარდნები და მიმინოები ცაშიააფრინა ყლარუნამ, მე დავრწმუნდი ჩემი ახალგაზრდობის სიამის დღენი მათ აჰყვა ეთერში“.

მახარამ ღიმილით მიუგო:

„მე გახარებული ვარ კარგი გუნება რომ შემოგრჩენია ჩვენო პატრონო“.

„ეჰ, ჩემო მახო, ამ ჩვენს უბედურ ქვეყანას იმდენი მტერი გარს ეხვევა დღენიადაგ, თუ მეც ავღელვდი, მათ ვინ ღა მოიგერიებს.

მე მუდამ მინიშნებული მაქვს ჩემი მზრდელის, ჭყონდიდელის შეგონება: განა უგრილესი წყარონი ქარაფებიდან წვეთწვეთად ჩამოდენილნი არ ხვრეტენო უმტკიცესს კლდეთა? აგრე მეტყოდა ხშირად მამაი გიორგი“.

კარგა ხანს საუბრობდნენ სამნი, ბოლოს ქაჩალი მარკოზა შემობორიალდა, მახარას მოახსენა:

„ზარდახანაში ყოველივე რიგზეა, უფლისწულო ბატონო“.

ნიანია ბაკურიანი ბოჭორმის სასახლეში არ იყო ნამყოფი, ამიტომაც იგი გულდასმით ათვალიერებდა კედლებზე გაწკაპულ ბაგრატისეულ მუზარადებს, ჯა-

ჰვის პერანგებს, ქეიბურებს, ხმლებს, ჩუგლუგებსა და შუბებს.

მახარამ მთლად დაცხრილულ რკინის პერანგთან მიიყვანა ნიანია და უთხრა:

„ეს ჯაჭვი ეცვა სულკურთხეულ მამაჩემს, როცა ახალქალაქში ებრძოდა იმ წყეულ სულტანს ალფ არსლანს“.

ახლა მეორესთან შესდგა საჭურისი:

„ეს რკინის პერანგი ეცვა მას, როცა მამაჩემმა და ჩემმა ძმამ გიორგიმ მოაოხრეს განძა და ურიცხვი ტყვე და ნატყვევარი გამოგზავნეს შინ“.

დავითმა მხარზე ხელი დაადო ბაკურიანს და უთხრა:

„იცი ნიანია, ჩვენ ჟამიდან ჟამზე ჩვენი მიცვალებული წინაპრების ტყვენი ვართ. ისინი ხშირად ცოცხლებს გადააჭარბებენ ხოლმე.

მე აგრე მგონია, პაპაჩემმა ბაგრატმა, რომელიც მე თვალითაც არ მინახავს, ჩემზე მეტი ზეგავლენა მოახდინა ვიდრე მამაჩემმა.

მამაი მუდამ ცდილობდა ნადირობის, მოლხენის ჟინი აღეძრა ჩემში, როგორც ჰხედავ მიცვალებულმა პაპაჩემმა გადასძლია ცოცხალს.

ჩემს სიჭაბუკეში ხშირად ჩამოვსულვარ ამ ზარდახანაში. დღენიადაგ ვათვალიერებდი პაპიჩემის იარაღსა და საჭურველს, მის ჯაჭვის პერანგსა და ცხენთსაკაზმს... მე აგრე მგონია ნიანია: უჰასაკო საგანთა მეშვეობითაც გადმოდის ჩვენს არსებაში სული“.

სათითაოდ აჩვენებდა მახარა ნიანიას უკვე დაჟანგულ ნახმლევებისა და ნაისრალებისაგან დაჩითულ ჯაჭვის პერანგებს, დაუცხრომლად ეჩიჩინებოდა:

„ეს პერანგი ეცვა პაპაჩემს გიორგი პირველს, როცა მან ბასიანთან პირველად დაამარცხა ბასილი ბულგართმმუსვრელი, ბედიელი ოსტატების ნაკეთებია.

ეს ჯაჭვი ბაგრატ კუროპალატისეულია, უფლისციხელი ხელოსნების ნაოსტატარი,

ეს არ ვიცი ვისია, აგრე გამიგონია: ვახტანგ გორგასალს ეცვაო, როცა მან კავკასიონი დალაშქრა. მე აგრე მსმენია, ჩემზე უკეთ უფალს ეცოდინება.

იცი ეგ ჯაჭვი ვისია? ამირ ფადლონს გახადეს იგი, როცა დატყვევებული ბაგრატ მეფეს მოჰგვარა იგი კახელმა გლეხმა ბოჭორმის სასახლეში.

ახლა ვადაჯვარიან ქართულ ხმლებს მიადგა მახარა.

ეს ხმლები ღმანისელების გამოკვერილია, ისინი ბედიელი ოსტატებისა, იქითა კუთხეში დაკიდულნი ტაოს-კარელსა და არტანუჯელ ოსტატებს უკეთებიათო.

მახარა სათითაოდ იღებდა ხელში ზოგთა, ქართულ წარწერას უჩვენებდა, ზოგზე ოსტატის დამღა იყო მგლისთავიანი, მშვილდისრიანი, ჯვრიანი.

ეგეც ირანული ხმლებია, საუკეთესო ფოლადისაგან ნაკეთებნი, სპარსნი „პულადს“ ეტყვიან.

ეს ფერგანაა, ეს ბასორა.

ესეც დამასკისა, ან როგორც სპარსნი იტყვიან „დიმისკისა“.

ეს მუზარადები ქართულია, უფლისციხეში ნაკეთები, ისინი ირანული, რქამაღალნი...

დავითმა სთქვა: როცა ტფილისს ავიღებ, დიდ სახელოსნოებს მოვაწყობ ფოლადის საწრთობთ და ხმლისა და ჯაჭვის საოსტატოებს. ვისაც თავისუფლება სურს, მას საკუთარი საჭურველი და ზარდახანაც უნდა გააჩნდეს“.

„ეს როდის იქნება მეფევ ბატონო?“ შეეკითხა მახარა.

„როცა უფალი ინებებს მახო“.

„ინებოს უფალმა“ სთქვა მახარამ.

„ცხადია, მარტო ლოცვა არა კმარა. უფლის ნებას ხმლით უნდა წავეშველოთ მახო“.

დასხდნენ, ისაუზმეს და კვლავ ისაუბრეს. დასასრულ მახარას დასამშვიდებლად სთქვა მეფემ:

„შენ ამაოდ ღელავ მახო, მე ჩემბური გეგმა მაქვს დასახული ამ შემთხვევაში. საჭიროდ რომ ვცნობდე, ამ წუთში წარვგზავნიდი ნიანია ბაკურიანს სპიანად და ამირ ჰუსეინსა და აკინჯის ზრბოებს კახეთ-ჰერეთის საზღვარს გარეთ გავსვამდი, მაგრამ ჩემი ცნობების

მიხედვით სელჯუკიანთა ლაშქრის ამირა და ათაბაგი განძისა ჯერაც გზაში არიან, ამირ ჰუსეინი ივრის ხეობიდან რომ გავაძეო, სამივე ამირა შეერთდება და ჩვენ გაგვიძნელდება გაშლილ ზეგანზე მათთან შებმა, ამიტომაც გვიჯობს ცალცალკე მოვქანცოთ მტრები.

აქ ერთი რამეა მთავარზე უმთავრესი: უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის ველის შერჩევას. მე შინა ვარ და თურქ ამირებს ამას არ დავანებებ, მე თავათ შევარჩევ ბრძოლის ველს“.

. . . . . . . . . . . .

*

* *

ლაშქრის ამირა და განძის ათაბაგი ორი დღის შეგვიანებით გავიდნენ განძიდან. როცა ამირ ჰუსეინ და თრიალეთელი აზნაურები გზას გაუდგნენ, შიხ ალდინ ახმეტს აზრი შეეცვალა...

ანტიოქიაში მიღებული გამოცდილების მიხედვით იგი აგრე მსჯელობდა: შეუძლებელია საომრად მიმავალმა ლაშქარმა რომელიმე დიდი ციხე უკან ჩამოიტოვოს და ისე განაგრძოს წინსვლა.

ორიოდე ფარასანგი უკლდათ საქართველოს სამზღვრამდის, როცა ამირ ჰუსეინის მიერ წარმოგზავნილი მალემსრბოლი წინ შემოეგებათ.

ორი ერისთავი და ამბოხებული ხალხი კვალდაკვალ მომსდევენ, რამდენჯერმე შევეცადე ივრის ჭაობებიდან ამოვსულიყავ და ზეგანზე შევბმოდი მათ, მაგრამ საგორავებს მიშენენ, ჭაობებსა და ტყეებში ჩასაფრებულებმა უამრავი ცხენები დაგვიხოცეს.

საზრდო შემოგვაკლდა, ათასზე მეტი მონასპა უკვე გამექცნენ, რაც შეიძლება მალე მომეშველეთო შეჭირვებაში მყოფს.

იმასაც იუწყებოდა ამირ ჰუსეინ: როგორც ჩვენმა მსტოვარმა ზაზაი ჯუბიელმა მამცნო: დავით მეფე და სამი მისი სპასალარი ხორნაბუჯის ციხისკენ უნდა იყვნენო წამოსულნი სპიანად.

ამ ცნობამ მთლად აურია გონება ლაშქრის ამირას. ნიშნის მოგებით ეუბნება იგი თავის ცოლის ძმას:

„ხომ გეუბნებოდი ხორნაბუჯისებრ დიდი ციხის აუღებლად განზე დატოვება არ შეიძლება მეთქი? ეგეც არ იყოს, მე ისედაც მცირერიცხოვანი ცხენოსანი სპაი მახლავს, რა გამოვა ამირ ჰუსეინს უკან მივყვეთ, იმ ჭაობებსა და ტყეებში დავახოცვინოთ ცხენები.

ცხენები თუ გამოგვიკლეს, ჩემი სამი ათასი მძიმედ შეჭურვილი მონასპანი ჩირად არ ეღირებიან ქვეითად რომ გავუყენოთ ამ უკაცრიელ ჭაობებსა და ტყეებს.

ჩვენ, სელჯუკები ტრამალების მეომრები ვართ, ოდითგანვე აგრე გვქონია წესად: ჯერ ტყეს მოვსრავდით, მერმე მტერს, რადგან ტყეში გატვრინული მტერი იგივეა, რაც ციხეში ჩასაფრული. ამიტომაც ხორასანსა და სირიაში, ჩვენ უწინარესს ყოვლისა ტყეებს გადავწვავდით, მერმე ვიწყებდით შეტევას“.

ორივე ამირა მოღუშული ისხდნენ უნაგირებზე, ნაბიჯით მიყავდათ ცხენები უსიერ ტევრში გავლებულ საურმე გზაზე. ტურების ღნავილი მოისმოდა შორიდან.

ამირ ახმეტმა ბოგირთან შეაყენა ცხენი და ეუბნება თავის სიძეს:

„ჯერ კიდევ ისპაჰანში მაფრთხილებდა ეჯიბთა უპირველესი, ამირ მანსური: ის დავუდ მეფე ნამდვილი ეშმაკის კერძია, იცოდე ფრთხილად იყავი სადმე ორწოხებში არ შეგიტყუოსო, მაგრამ არც მე ვარ მასზე ნაკლები შაითანი.

ამიტომაც გეუბნები რაღა უსაზმნოდ ვტოპოთ იორის ჭაობებში. მე ნაბრძანები მაქვს სულტანისაგან: დაზამთრებამდის დავლაშქროთ გძურჯები, მეფესა მის სპასალარებს სადმე გაშლილ ზეგანზე უნდა შევხვდეთ, მაგრამ ეგეცაა ხომ შესაძლოა მან არ მოისურვოს ასე ადრე ჩვენთან შებმა? არა?

ამიტომაც გვიჯობს ხორნაბუჯი გარემოვიცვათ, მეფე არ ისურვებს ციხის დაკარგვას და ციხიონის გამოსახსნელად გამოეშურება.

როგორც შენ ამბობ იმ ციხეს აღმო-

სავლეთიდან დიდი ველი აკრავს, ამირ ჰუსეინი უკუვიხმოთ და აქ გავუმართოთ მთავარი ბრძოლა მტერს".

ათაბაგმა კიდევ დიდხანს უსმინა ლაშქრის ამირას საუბარს და მერმე სთქვა:

„მე შენოდენი გამოცდილება არა მაქვს ომებში, მაგრამ რამდენადაც მე ამ ქვეყანას შენზე უკეთ ვიცნობ, მაინც ჩემი უნდა გითხრა. გვიჯობს ამირ ჰუსეინს მივეშველოთ დროზე, თორემ დავით მეფე ჯერ აკინჯის ლაშქარს წაახდენს, მერმე ჩვენ ორს გაგვიძნელდება დაზამთრებამდის შინ გაბრუნება სვიანად".

*
* *

შავერდი ბურსელმა ხორნაბუჯის ციხის სამზერებიდან რა დაინახა ტრამალ-ტრამალ მომავალი თურქი მზვერავები, ხუთასი ცხენკეთილი მხედარი გამოიყვანა ციხიდან, მეწინავენი დაუხოცა ველზე მომავალ ამირების ლაშქარს, შელამებამდის ეკენწლავა, ბოლოს სიღამით ისარგებლა, ციხეს მიაშურა დაახშევინა დარკინული კარები.

უკვე ღამე იყო როცა ლაშქრის ამირას და განძის ათაბაგის ჯარებმა უწიეს ხორნაბუჯს... სელჯუკები და განძელები აუჩქარებლად დაბანაკდნენ ველზე და გარემოიცვეს ციხე.

მეორე დღეს ხორნაბუჯის ციხისთავი ბურსელი ციხის სამზერებიდან ხედავდა თურქების კარვებისაგან ისე გადათეთრებულიყო გადატრუსული შამბიანი ველი, თითქოს თოვლი მოსულაო ამ შუა ზაფხულში.

უთენია ატყდა დაფდაფების ცემა, ამირ ახმეტმა გამოჰყო მრავალნაცადი მოირიშენი, რომელთაც მრავალგზის უსინჯავთ ბედი ანტიოქიის ბასტიონის აღებისას.

მათ არა ერთხელ სცადეს თოკის კიბეებით აცოცება ციხეზე, მაგრამ მეციხოვნენი საგორავებს, ისრებს უშენდნენ და ადუღებულ ფისს ზედ ასხამდნენ მოირიშეთ...

ლაშქრის ამირას არც ჩვეულებრივი დამუქრება დავიწყნია, ისრის წვეტზე წამოგებული ბარათი ჩაუგზავნა ციხისთავს ბურსელს:

სამ დღეში თუ დასთმობ ციხეს, შენცა და ციხიონს სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ, თუ არა და ციხეს გავტეხ და თვალებს დაგთხრითო.

ისრითვე გადმონატყორცნი ბარათით უპასუხა გარემომცველს შავერდი ბურსელმა:

სამ წელსაც რომ იყურყუტო მაგ ტრამალებზე, ვერას გახდები. თუ მოგახელე, ციხის დილეგში მაჯის სისხო ბორკილებია კლდეზე მიდუღებული, იმ ჯაჭვებზე მიგაბამო ღორივით.

მაშინ განრისხდა, ამირ ახმეტი და ბრძანა: ლოდსატყორცნები დაუშინეთო მთავარ ჰიშკარს, მაგრამ ხორნაბუჯის ციხე მაღალ კვარცხლბეკზე სდგას, ასე რომ დარკინულ კარებისკენ ზეასროლილი ლოდები რიხინ-რიხინით უბრუნდებოდნენ გამტყორცნელებს უკან.

ვერც მოძრავი საიერიშო კოშკები მისწვდნენ მას აღმოსავლეთის კიდიდან, ხოლო სხვა მხარეთაგან მას ქარაფები გარს ერტყა.

*
* *

ბეშქენ ჯაყელმა და ჯონდი ერისთავმა მხოლოდ მესამე დღეს უწიეს ხორნაბუჯს სპიანად. აღმოსავლეთიდან წამოსული თვალუწვდენი ტრამალი ცხრება ზუსტად იმ მთის ჰვინტთან, რომელზედაც ხორნაბუჯის ციხე დგას დღესაც.

ამ არც თუ ეგზომ მაღალი მთის დასავლეთით, სადაც ამჟამად მდებარეობს რაიონული ცენტრი წითელი წყარო, წყალმრავალი ტყე იყო. დასავლეთისკენ მაღალი ქარაფი ახლდა ამ ტყეს, ხოლო ორი მხრიდან გაუვალი ჭაობი.

სწორედ ამ ტყეში დაბანაკდა ორივე ერისთავი სპიანად. ჯონდი ერისთავმა ზუსტად შეასრულა იმჟამინდელი წესები ბანაკების მოწყობისა.

კარვები ტყის სიღრმეში დაადგმევინა, მეოთხე მხარეს ტყესთან მისადგომ ნიადაგზე ღრმა ორმოები გააელებინა, ათი

წყრთის სიგანე არე დაუხრამავი დასტოვა და ორმოებზე მიაშვებინა ჭაობებიდან დაძრული წყალი.

ლაშქრის ამირა გაოცდა როცა მზვერავებმა ამბავი მოუტანეს, საფუძვლიანად მოეწყვნენო ერისთავები ამ ტყეში. მოპირდაპირეთა ბანაკები ისე ახლოს იყვნენ ურთიერთისაგან, თურქების მზვერავებს ესმოდათ არა მარტო ცხენების ჭიხვინი, არამედ ხეების კაფვა და ხუროთა ცულების რაკუნი.

ლაშქრის ამირას მწარედ გაეღიმა: საზამთრო შეშას ხომ არ იმარაგებენო ის წყეული გდურჯები? უზარმაზარ ნაძვებს სჭრიდნენ და ორმოებს გაღმოღმა სათადარიგო ჯებირებს აკეთებდნენ, ცხენოსანი ჯარის იერიშების მოსაგერიებლად.

ლაშქრის ამირა გაოცებული იყო. არც ციხისთავი შავერდი ბურსელი, არც ორივე ერისთავი არ აპირებდნენ ბრძოლის თაოსნობის აღებას.

დღეები დღეებს მისდევდნენ, თურქებმა პირველ დღესვე დაიწყეს წყაროს ძებნა, დიდხანს უტრიალეს ციხეს, მაგრამ არც ციხეში შემავალი, არც იქიდან გამომავალი წყაროსთვალი ვერსად იპოვნეს.

შეღამებისას ცხენოსნებს ტიკებით მოჰქონდათ შორი სოფლებიდან წყალი, მაგრამ ეს მარაგი მხედრებს ძლივს ყოფნიდათ პირის გასასველებლად. იმ სიცხისაგან გადატრუსულ ველზე სადაც თურქების კარვები იდგა, გამხმარი შამბის და ქამენიას გარდა არაფერი ჰქონდათ მოსაძოვი ცხენებს.

უარესად მისჭირდა ლაშქრის კვება, პირველ დღეებში ივრის პირებზე შემთხვევით დარჩენილ საქონელს მორეკავდნენ, ხანაც სოფლებს თავს ესხმოდნენ, ბატებსა და ქათმებს იტაცებდნენ, ეხლა როგორც მზვერავებმა დაადგინეს: მთელს არემარეში ქართველებს გაეხიზნათ როგორც მოსახლენი, ისე საქონელი.

ერთ ორჯერ შორს გაგზავნეს ცხენოსნები საკვებისა და საზრდოს მოსატაცებლად, ერისთავების მხედრები დაუხვდნენ მათ და ცხენები წაართვეს. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, დახოცეს.

თავდაპირველად აგრე ვარაუდობდა ლაშქრის ამირა: ალბათ მეფის სპიანად მოსვლას უცდიანო ეს ერისთავები.

დღეები დღეებს მისდევდნენ. აღარსად სჩანდა არც დავით მეფე და არც მისი სპაი.

ცნობილია: ყოველი დროის სარდლებს ნამეტნავად გამახვილებული ჰქონდათ თავმოთნეობის გრძნობა.

ამირ ახმეტი ბოჰემუნდთან, ბალდვინთან და ტანკრედთან იყო ნაბრძოლი. მას უხერხულადაც მიაჩნდა ვიღაც უსახელო ქართველ ერისთავებთან შებმა. როგორც დაკვირვებულმა სარდალმა, ამირ ახმეტმა კარგად იცოდა: ყოველ ბრძოლაში დამარცხებაც მოსალოდნელია ხანდახან, გააჩნია ადგილსა და ვითარებას.

ამ ერისთავებთან რომ დამარცხებულიყო სელჯუკიდების იმპერიის სახელგანთქმული ამირა, სად უნდა გამოეყო თავი? ეგეც არ იყოს სულტან მოჰამედის მიერ ახლად დანიშნული ამირ ხარასი ხერხემლის მალებს ჩაულეწდა ოქროს ჩუგლუგითა.

განძის ათაბაგი მთლად ჭკუა დამჯდარი სარდალი არ იყო, საკმაოდ მამაც ცხენოსანს, და იშვიათ მოჯირითეს დიდი ომების, ციხეთა გარემოცვის სტრატეგია არ ესმოდა.

ამირ ახმეტს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დიახაც მოყიჰებული ჰქონდა ის გაუძლისი ლოდინი, რომელიც მუდამ ესაჭიროებოდა ციხეთა გარემომცველ სარდლებს, მიუხედავად ამისა, ლაშქრის ამირა აგრე ამტკიცებდა:

მოთმინება მართებთო არა მარტო ციხეთა ამგებლებს, ციხეთა ამღებთაც.

ნამეტნავად ღელავდა განძის ათაბაგი... ახლა ეს აიჩემა მან: მსტოვარი შევგზავნოთ ციხეში და გავიგოთ რამდენი მეციხოვნე და რამდენი საზრდო აქვსო ციხიონისთვის ბურსელს.

განძის ათაბაგს ერთი ტფილისელი კოჭლი მჭედელი ჰყავდა ქართულის ჩი-

ნებული მცოდნე, გარემოცულ ციხეებში შეპარვის ოსტატი. მას უამრავი ქლიბები, სატეხები და ჰანგები ჰქონდა, ვერავითარი მოქლონი და კედელი მას ვერ დაუდგებოდა წინ.

და სთქვა ამ მჭედელმა ასეთი რამ:

„მათხოვრის კონკები ჩამაცვით, ერთი სალამური და ერთი იატაგანი მიშოვნეთ, შევიპარები ციხეში და მერმე რაც მოხდება თავათ ნახავთო.

ძველმანები ჩააცვეს იმ მჭედელს, სალამური და იატაგანიც მისცეს. ქლიბები შეაძლიეს.

არ დამჭირდებაო ქლიბები.

ბნელი ღამე იფარა იმ მჭედელმა, ზემო ციხეში ავიდა, გათენებისას ალაყაფის კარებთან დაჯდა და სალამურის დაკვრა დაიწყო, ჟამიდანჟამზე დაკვრას შესწყვეტდა და ციხიონებს მოწყალებასა სთხოვდა.

შავერდი ბურსელი მიხვდა ამ თურქულ ხრიკს.

ბრძანა:

აქ მომგვარეთო ის მესალამურე.

ჯერ დააპურა, მერმე ციხის მარანში წააყვანინა და მის თვალწინ მოახსნევინა ვეშაპივით ხახადაბჩენილი ქვევრები, ციხის ბეღლები და საბძლები მოატარებინა.

მერმე სარდაფებში ჩააყვანინა, ირმის, ველური ტახების და ზროხის აპოხტი და შაშხი აჩვენეს, მიაყვანინა წყაროსთვალთან რომელიც უფსკრულში ინთქებოდა ჩუხჩუხით. ბოლოს ორიოდე ფლური აჩუქა და ბრძანა:

ციხიდან გაუშვათ.

როცა ამირებმა წვრილად დაჰკითხეს ეგზომ პატივდადებული მათხოვარი თუ მსტოვარი, ლაშქრის ამირას კიდევ ერთხელ მოაგონდა სულტან მოჰამედის ნაბრძანი: გძურჯისტანის დაზამთრებამდის დალაშქვრის გამო .

ათაბაგს არაფერი გაუმხილა, გუნებაში კი გაიფიქრა: ეგზომ მომარაგებულ ციხეს ერთ წელსაც ვეღარ ავიღებთო.

ლაშქრის ამირას როგორც თავის ეპოქის უგანათლებულესს მეომარს, არაბთა, ბიზანტიელთა და სელჯუკიანთა მეისტორიების მიერ ჩანაწერი საომარი ხრიკები ჰქონდა ამოკითხული, მაგრამ იგი ძლიერ გააოცა ციხისთავის, ბურსელის ეშმაკობამ.

ამირ ახმეტი თავის სიძეს არ უმხელდა, მაგრამ იგი ხანდახან ნანობდა კიდევაც: რად არ მივყევითო სპიანად იორის ხეობას, ნადირობით მაინც გამოვკვებავდი ლაშქარს, ცხენების საზრდო და წყალი მაინც თავზე საყრელი მექნებოდაო.

თუმცა ათაბაგმა დაანამუსა კოჭლი მჭედელი, მონასპებს ნურას უამბობო ციხეში შეპარვის გამო, მაგრამ მჭედელმა საიდუმლო ვერ შეინახა. სელჯუკიანთა ლაშქრის ასისთავებმა და ათასის თავებმა კარგად იცოდნენ იგიცა, რომ სულტან მოჰამედი განაწყენებული რომ იყო ლაშქრის ამირას მიმართ.

ამას ყოველივეს იგიც ზედ დაერთო, რომ ისპაჰანიდან ლაშქრის წამოსვლას კვირაძალში სულტანი ლოგინად იყო ჩავარდნილი, ასე რომ ვერც ეჯიბთა უპირველესმა ამირ მანსურმა, ვერც ლაშქრის ამირამ ვერ დააძალეს მეჭურჭლეთუხუცესს ქირა გაეღო საომრად მიმავალ მინასპათათვის.

ქირის დროზე მიუღებლობას არა ერთხელ ბედითი შედეგები გამოუღია ჯერ კიდევ სულტან ბარქიაროკისა და მისი დედინაცვლის ტერკან ხათუნს შორის გამართულ ომებში.

ათასისთავები ლაშქრის ამირას ვერაფერს ეუბნებოდნენ იმ ბუზღუნის გამო, რომელმაც თავი იჩინა. უკმაყოფილონი უკვე ხმამაღლა ყაყანებდნენ:

რას ვუცდით ეგზომ სვიანად მომარაგებული ციხის კარებთან, ბარე წინ წავიდეთ და ძარცვით მაინც ვიშოვნოთო საზრდო .

ზოგნი აგრე ამბობდნენ: თუ მეფე აღარ მოდის ჩვენთან საბრძოლად, ჩვენ თავათ მოვძებნოთ მისი სამყოფლო და თავს დავესხათო.

განძის ათაბაგმა სამგზის წარგზავნა მსტოვარები და მზვერავები. ისინი აღმა აჰყვნენ იორს. ერთი კვირის შემდეგ მხოლოდ ერთი მათგანი მობრუნდა და ამცნო ორივე ამირას: ამხანაგები გზაში

დამიხოცეს, დამპალასთან მივეწვიეთო ამირ ჰუსეინს.

ორი ერისთავი და უამრავი ხალხი მისდგომია აკინჯის ლაშქარს, არც შესვენებას აცლიან და არც საზრდოს მოპოვებას.

უკან გამობრუნებას ლამობს ამირ ჰუსეინი, მაგრამ არც ამას ანებებენო. გვევედრებათ აკინჯის სარდალი: მალე მომეშველეთო როგორმე.

განძის ათაბაგი დარწმუნებული იყო მსტოვარის მიერ ნათხრობის გამგონე აზრს შეიცვლიდა ლაშქრის ამირა, ციხეს ალყას შემოხსნიდა და ამირ ჰუსეინის გამოსახსნელად წავიდოდნენ ორივენი.

როგორც ყოველი გულმამაცი მეომარი, ჯიუტი იყო ამირ ახმეტიცა. იგი აგრე ვარაუდობდა: თუ ამდენი სურსათი ხელში ჩავიგდეთ, მონასპათა ბუზლუნს ბოლოს მოვუღებთ და უფრო ხანგრძლივად შევძლებთო დავით მეფის მოლოდინებას.

*

* *

ბოლოს მოაღწიეს გიორგი ჭყონდიდელმა, შერგილ ლიპარტიანმა და შტორა მორკნეველმა ბოჭორმის სასახლეში სპიანად.

დავით მეფემ ტაძრეული სასახლეში დასტოვა, ჩრდილოეთისკენ ერთი ფარასანგის მანძილზე მოსძებნა ხელმარჯვე ზეგანი, სამი მხრიდან ხეობებითა და ქარაფებით შემოგარსული.

რამდენიმე დღე ისე გავიდა, თვით გიორგი ჭყონდიდელმა არ იცოდა: რას აპირებდა მეფე?

ქარიმან სეტიელი, სამი ჩუხჩის თანხლებით ძველმანებში გადაცმული მიმოდიოდა ხორნაბუჯსა და ბოჭორმას შორის, სამივე ამირას ჯარების მოძრაობას თვალს ადევნებდა...

მახარა შფოთავდა, წარამარა შეახსენებდა მეფეს: დავაჩქაროთ შეტევა, თორემ შესაძლოა სამივე ამირა გაერთიანდნენ და გამკლავება გაგვიჭირდესო. ასეთი აზრი ჰქონდა სპასალარებს: ეგებ დამპალს ციხის შემოგარენში შევებათო მტერს.

*

* *

მეფე და სპასალარები დიდ კარავში ისხდნენ, გარედან შემოდიოდა ჩანჩქერების დაუცხრომელი ქშუილი, ამიტომაც დავითმა ხმამაღლა სთქვა:

„ომში აჩქარება შვიდობის დაგვიანებას მოასწავებს ხანდახან. ვაჟკაცობა იგი როდია რაც შეიძლება ჩქარა მიახალო კლდეს შუბლი, ამაზე უფრო დიდი გმირობაა: ამ კლდეზე მტერს მიანთხევინო ტვინი.

ომი მარტოოდენ სიმამაცის ამბავი როდია, არამედ ხერხისა და მოხერხებისა. ომი რომ მხოლოდ გამბედაობის საქმე ყოფილიყო, მაშინ ლომებსა და ვეფხებს აირჩევდნენ მეფეებად და სარდლებად.

მათ გამბედაობა თავზე საყრელი აქვთ, მაგრამ ჭკუა და მოხერხება აკლიათ, ამიტომაც იოლად ებმებიან მენადირეთა მიერ დაგებულ ხაფანგებში.

გამბედაობას მაშინა აქვს ფასი, როცა იგი ჭკუასა და ხერხიანობასთანაა შეწყვილებული.

მე არ მეჩქარება მაინც და მაინც. ქარიმან სეტიელმა ჩინებული ამბები მომახსენა დღეს დილით. ჯერჯერობით ჩვენთვის მუშაობს დრო.

ამ სამწუხარო ამბავს ერთი ნათელი კიდე თან ახლავს.

ლიპარიტ ერისთავის ნაბარტყევებმა და განდგომილმა კახეთ-ჰერეთელმა აზნაურებმა კიდევ ერთხელ აჩვენეს ქართველ ხალხს თავისი ბნელი საქმეები.

როგორც სჩანს წითლოსან დუკისძის მემხრეთა შორის დიდი განხეთქილება უნდა იყოს. ქარიმანს იმედი აქვს მათ ბანაკში მსტოვარს გავიჩენთ ამ მოკლე ხანში“.

დავითმა ვაზირთა უპირველესს შეხედა და დასძინა:

„ჩვენ ჯერაც ვერ დავაყენეთ რიგია-

ნად სამსტოვრო საქმეები მამაო გიორგი. ნიზამ ალ-მულკს გამოცდილი მოყურიადენი რომ არა ჰყოლოდა როგორც საკუთარ ლაშქარში, ისე მტრების ბანაკში, აქამდის უცილოდ დაინგრეოდა სელჯუკიანთა სასულტანო.

მას ყველგან ჰყავდა საჰიბ-ბარიდები.

ეგრეც უნდა იყოს, სახელმწიფოს ხელმძღვანელის თვალი და ყური არა მარტო მტრის ციხეებში, მტრის გულშიაც უნდა იჭვრიტებოდეს.

ქარიმანს ფარცხისის ციხისთავყოფილთან, ზაზაი ჯუბიელთან ჰქონია ამას წინად მოლაპარაკება. ამის გამო თავათ მოგვახსენა ჩუხჩარხმა".

ქარიმანი მიეახლა მეფესა და ჭყონდიდელს და შემდეგი მოახსენა:

„ძლიერ გამიჭირდა ზაზაი ჯუბიელთან შეხვედრა, რადგან თრიალეთელები ისე დაფრთხნენ, ერთი მეორეს აღარ ენდობიან. ბოლოს მივაკვლიე ჯუბიელის ნათლიმამას, ვინმე მეწისქვილეს, დამპალას ციხის სანახებში. ერთ ღამეს თავის წისქვილში მომგვარა ზაზაი იმ მეწისქვილემ უხმლოდ და უჯაჭვოდ.

და მითხრა ჯუბიელმა ასეთი რამ:

„განძაში ყოფნის დროს მეც სხვა თრიალეთელ აზნაურების დარად ძლიერ ვაჩქარებდი სელჯუკიანთა და განძელთა ჯარების კახეთ-ჰერეთში შემოჭრას.

აგრე გვეოცნებებოდა: როგორც კი თურქებს შემოვიყვანთ კახეთ-ჰერეთში, ხალხი ჩვენ მოგვემხრობოდა, დავით მეფის ერთგულ ერისთავებს, ეპისკოპოზებსა და ციხისთავებს გააძევებდნენ.

ლაშქრის ამირა და განძის ათაბაგი გვარწმუნებდნენ: კახეთ-ჰერეთს გავათავისუფლებთ და ხელისუფლებას თქვენ ჩაგაბარებთო.

სწორედ მოვტყუვდით აქაც. სულკურთხეული დედიჩემისაგან მაქვს განაგონი: აკვანში ატირებულს დამემუქრებოდა ხოლმე დედაი: გაჩუმდი თორემ თურქს დავუძახებო.

იმ წყეულებმა: ლიპარიტმა, რატიმ და წითლოსან დუკისძემ გზა ამირიეს. მართლმორწმუნე ქრისტიანი თურქების ბადრაგად[1] და მსტოვარად მაქციეს.

ბოლოს თვალი ამეხილა და თავათ ვნახე რა საშინელი საქმე ჩავიდინეთ, ქართველი ხალხის სისხლით შევაღებინეთ მტერს ივრის ჭალები. მე ვიცი თქვენ ყველას გეზიზღებით როგორც მოღალატე, მაგრამ თუ დავით მეფე მომიტევებს ჩემს მძიმე დანაშაულს, მე შევძლებ როგორმე საკუთარი სისხლით ჩამოვირეცხო ეს ჭუჭყი.

თუ არა და აქა ვარ, უხმლოდ და უჯაჭვოდ მოსული, შენ სამი ჩუხჩი თან გახლავს, თავი დამაჭერით და ამ წისქვილის წყალს გაატანეთ თუ გნებავთ".

ესა სთქვა და ბალღივით აზლუქუნდა ეს ვეება დევკაცი".

დავითი მცირე ხანს სდუმდა და მერმე ხმადაბლა სთქვა:

„დავხედოთ, გამოვიყენოთ, ვნახოთ"... ბოლოს ჭყონდიდელს შეხედა და დასძინა:

„მე მგონია, მამაო გიორგი, არც ერთ ავაზაკს, არც ერთ მოღალატეს არ უხარია რომ ის აგეთია. ცხოვრება და გარემოება ისევე წარმოქმნიან ხოლმე მათ, როგორც ჭაობის წყალი: თავკომბალებს, წურბლებსა და ბაყაყებს.

ყველა ბავშვები ანგელოზებს ჰგვანან აკვანში, ყველა მხატვრები ბავშვების სახეს იყენებენ ანგელოზების გამოსახატავად.

ხვალ დილით ნიანია ბაკურიანი, შტორა მორკნეველი და ქარიმან სეტიელი სპიანად წავლენ ხორნაბუჯს. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ციხე არ უნდა დავთმოთ მამაო გიორგი".

არამც და არამც", სთქვა მშვიდად გიორგი ჭყონდიდელმა.

მერმე მაგიდიდან გრაგნილი აიღო მეფემ ნიანიას გადასცა და უთხრა.

„მე აქ ზოგ რჩევას ვაძლევ ბეშქენსა და ჯონდის. თქვენც გაეცანით და იმოქმედეთ მხარშეწყობილად. იცოდეთ: ქარიან ღამეს დაიწყეთ შეტევა".

იმ დღეს ითაყვანა მეფემ პანკისის

[1] ბადრაგა — მოგზაურთა, დიდვაჭართა მძღოლი, მეგზური, თანამედროვე „გიდი".

ერისთავი და პანკისელი სამი ხევისთავი: ხორანასძე, თაგაური და მატანელი.

* * *

ბეშქენ ჯაყელი და ჯონდი ერისთავი დიდ შეჭირვებაში ჩავარდნენ. ლაშქრის ამირა და განძის ათაბაგი უკვე შეტევაზე იყვნენ გადმოსულნი. ორივე ამირას ხუთგზის მეტი ქვეითი მონასპანი და ცხენოსნები ჰყავდათ, ვიდრე ორივე ერისთავს.

ქვეითნი თავს ესხმოდნენ ტყეში გამართულ ბანაკს, ერისთავების მონასპანი უმოწყალოდ ხოცავდნენ თურქებს, მაგრამ ცოცხლები ცხედრებზე აცოცდებოდნენ და ისე უტევდნენ მოწინააღმდეგეს.

ახალ ახალი მწკრივები წვებოდნენ დახოცილთა გვამებზე.

სავსებით გაუძლისი სუნი დადგა გახრწნილ გვამებისაგან ირგვლივ, ღამით ტურების, მგლების და ფოცხვერების ლეგიონები მოდიოდნენ, ყმუილით, ღნავილით და კნავილით იკლებდნენ ტყეს.

სურსათი ქართულ ჯარსაც ელეოდა ნელნელა, რადგანაც ამირ ჰუსეინის თურქომანები თავს ესხმოდნენ სურსათის მომზიდველთ.

თურქებმა მტრისაგან ისწავლეს ხერხი, სურსათის ან წყლის მოსატანად გაგზავნილნენ თუ არა ერისთავები ცხენოსნებს, გზაში დაუხვდებოდნენ მათ, და ცხენებს ართმევდნენ.

ბოლოს მოაღწიეს ნიანია ბაკურიანმა და შტორა მორკნეველმა სპიანად. მეფის მიერ შედგენილი გეგმა შეტევისა ამცნეს ორივე ერისთავს.

შეტევა ქარიან ღამეს უნდა დაეწყოთ, ამიტომ მთელ კვირას უცადეს ქარის ამოსვლას.

ოთხივე ერისთავი სპიანად აიყარნენ თავიანთ ბანაკებიდან, მხოლოდ გუშაგები დასტოვეს. ცხენებს თოფრები გაუკეთეს, სამი მხრით შორს - შემოუარეს თურქების ბანაკს...

ჯონდი ერისთავმა ერთი ათასეული აიყოლია და როცა თურქების კარვებს მიუახლოვდნენ, თურქი მზვერავები და გუშაგები დახოცეს, თავზარდამცემი ყიჟინა ასტეხეს და ანთებული ჩირაღდნებით შეიჭრნენ მძინარე ბანაკში. განუკითხავად დაერიენ კარვებიდან გამოცვენილ თურქებს.

ამასობაში სამმა ერისთავმა სამი მხრიდან ცეცხლი გაუჩინა ტრამალს.

თურქებმა ჩაცმაც ვერ მოასწრეს, ისე გასწიეს სახელდახელო თავლებისკენ, ხანძარი თავლებისა და კარვებისკენ მიაგდო ქარმა.

სახელდახელო თავლები კარვებიდან მოშორებით იყვნენ, აქ უკვე გაცოფებული ჰიხვინებდნენ ცეცხლშემოგზნებული ცხენები, ზოგს ძუაზე, ზოგს ფაფარზე წაჰკიდებოდა ალი.

მთლად ამაზრზენი იყო ცხენების ჰიხვინი.

საცვლებსამარა წამოცვივდნენ ორივე ამირა და მათი ამალა, ძლივს მოასწრეს უბელო ცხენებზე შეხტომა.

მეორე დღეს ძალი მოიკრიფეს სელჯუკებმა და განძელებმა და შეუტიეს ოთხივე ერისთავს, მაგრამ ლაშქრის ამირას და განძის ათაბაგს ცხენოსან ჯარს გარდა ქვეითნი თან ახლდნენ, ეს უკანასკნელნი რომ მიეტოვებინათ ლაშქარი ორად გაიყოფოდა და რაკი დავით მეფეს დღედღეზე მოელოდნენ, ეს ველარ გაბედეს თურქებმა, ამიტომაც აიყარნენ ლაშქრის ამირა და განძის ათაბაგი, იორს აღმა აჰყვნენ ამირ ჰუსეინის შესახვედრად, დამპალასაკენ გაემართნენ სპიანად. . . . . . . . . .

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაგრატ შინკუბა

★

## სიზმარი

— სიზმრად ვნახე, ლურჯა ცხენით
გადვიქროლე მთაო,
ეს რას ნიშნავს, ამიხსენი,
ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო ჩემო, გეთხოვება
ყრმობის წელთა ხმაო,
აზრი ფრთას შლის და ცხოვრებამ
უკვე გახსნა გზაო.
— ციცაბოებს, ლურჯა ცხენით,
მივაწვდინე ხმაო,
ეს რას ნიშნავს, ამიხსენი,
ნეტავ, დედავ, რაო?
— შრომის გარდა, შენს დიდებას
ვერვინ შექმნის სხვაო.
წინ ძნელი გზა დაგიხვდება
დაგელოცოს გზაო!
— შეჯგუფული, მწვანე მინდვრად
იდგა ხალხის ზღვაო,
ხალხი რატომ დამესიზმრა,
ნეტავ, დედავ, რაო?
— ღირსეული გამოხვიდე,
ხალხმა გულით თქვაო.
შვილო, გულით ვამბობ კიდევ:
— დაგელოცოს გზაო.

თარგმანი რ. მარგიანისა

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ი. ლისაშვილი

★

# ერთგულება *

რომანი

## თავი მეექვსე

1

დილით რაიკომში მოსულმა გაიოზმა კალენდარი გადაფურცლა და იქვე მის მიერ ჩაწერილი წაიკითხა: „დეკადის ბოლო დღე. სარემონტო სახელოსნოების მშენებლობათა შემოწმება“. მაგიდას გაშორდა; „საქმე ცუდად არ უნდა იყოს, მაგრამ ვნახოთ, რას იტყვის თვითონ გურამი“. — გაიფიქრა, მერე ტელეფონით ლომსაძეს გამოუძახა. მილი ის იყო დადო, რომ ტელეფონმა ისევ გაიწკრიალა. გურამი იყო. თვითონ მოვალო, უთხრა გაიოზს.

— კარგი, გელოდები, — მიუგო გაიოზმა და ყურმილი დადო.

ხუთი წუთიც არ იყო გასული ამ საუბრის შემდეგ, რომ გურამმა კარი შემოაღო. კაბინეტში ჩვეულებრივზე უფრო ცოცხლად, მაგრამ თითქოს დარცხვენით შემოვიდა.

— შენი აზრი გამართლდა! — დაიწყო მან, სანამ დაჯდებოდა.

— როგორ?

— კოლია ლომსაძემ სიტყვა შეასრულა.

გაიოზი კმაყოფილებით იღიმებოდა.

— როგორ დავიჯერო, რომ ჩვენი ჩარევა აბრკოლებდა ლომსაძეს, ინიციატივას უკარგავდა, აბნევდა? ვნახოთ, გამოვცადოთ, სანამ თავის შესაძლებლობას არ ამოწურავს.

სარკმელთან დასხდნენ.

გაიოზმა ჩაახველა და ბეჯითად დაიწყო.

— კოლა ლომსაძეს წინათაც ვიცნობდი და ამიტომ მისმა ახლანდელმა მუშაობამ გამაოცა. იძულებული ვიყავი თავი მეტეხა, რაც არ უნდა დამჯდომოდა, გამეგო მისი ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი... მაგრამ რამდენია ისეთი, რომელთაც ჩვენ აგრე ახლო არ ვიცნობთ და ამიტომ მათ მიმართ შეცდომას ვუშვებთ?

გურამმა ცოტა ხნით იყუჩა, მერე უპასუხა:

— ჩვენ ხშირად ვჩქარობთ, მაგრამ ზოგჯერ არც შეგვიძლია, რომ არ ვიჩქაროთ.

— ამიტომ ყოველთვის ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, რომ ნაკლები შეცდომები დავუშვათ.

ლომსაძე შემცბარი შემოვიდა. როცა გურამიც დაინახა, უეცრად შედგა.

ნეტავი რას მიპირებენო, — გაიფიქრა.

— მობრძანდით! — მიაძახა გაიოზმა და ღიმილით მიეგება.

ლომსაძე გაიოზის მეგობრულმა დახვედრამ გაამხნევა. მიხვდა, საქმე არც ისე ცუდადააო, და უფრო გაბედულად მიესალმა უფროსებს.

— კოლა, მეგონა გეხმარებოდი, მაგრამ გამოირკვა, რომ... — დაიწყო მაგრამ აღარ დაასრულა გურამმა.

— არა, თუ ვიბნეოდი, ეს ჩემი ბრალია, — მიუგო კოლამ და იგრძნო, როგორ აჩქარებით უცემდა გული.

— ვითომ მარტო თქვენი?

— ჯერჯერობით ისევ ჩამოვრჩებით, მაგრამ...

— ჩვენ იმედი გვაქვს, — ჩაურთო გაიოზმა, შორიახლო რომ დადიოდა და თავისთვის ქვეშ-ქვეშ იღიმებოდა.

— ვეცდებით, ამხანაგო გაიოზ, — უპასუხა კოლამ და გამურული ხელი უნებლიეთ სახეზე მოისვა. მერე მოა-

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6, 7, 8, 9.

გონდა, ხელზე დაიხედა და გაეცინა, — ბოდიში, ხელის დაბანვა ვერ მოვასწარი და ალბათ თქვენც გაგმურეთ.

— შრომის მური ჩვენი მალამოა, მუშა და შრომა არ დაგვავიწყდება, — ძმური სიყვარულით იღიმებოდა გაიოზი.

* * *

მთავარი ინჟინერი სმირნოვი და ინჟინერი ბარველიძე ამთავრებდნენ საქმეების მიღება-გადაბარებას.

ბარველიძემ უკანასკნელი საქაღალდე რაღაც მძიმედ აიღო, სმირნოვს გადასცა და ჩურჩულით თქვა:

— მორჩა!—მიღება-გადაბარების აქტზედაც ხელი მოაწერა და კაბინეტი დატოვა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, მიიხედა, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მის მიერ სამუდამოდ დატოვებული კაბინეტის კარს და ხელი ჩაიქნია, წავიდა. თითქოს რაღაც თავისუფლებას გრძნობდა ის ახლა, მაგრამ ამგვარი „თავისუფლება“ გულს უმძიმებდა. ახლა უფრო მწვავედ იგრძნო ეს სიმძიმე. „რატომ წავედი? განა იმიტომ, რომ დამაწინაურეს?“ — უკვე ასეთი კითხვები გაჩნდა მის თავში. „პირველი რიგის მუშაკობიდან, ჩემი ნება-სურვილით გადავებარგე და უნდა მიხაროდეს?.. ჰო, უნდა მიხაროდეს, რადგან ეს ჩემი სურვილით მოხდა“. ცოტა ხნის შემდეგ თავისი პასუხის სისწორეში ეჭვი შეეპარა და ისევ იკითხა: „განა ჩემი სურვილით? როგორ, განა დამტოვებდნენ და არ მომხსნიდნენ? დიახ, მომხსნიდნენ და მე დავასწარი. ჰო, ყოჩაღ, ილარიონ, სხვა რაღა გინდა ახლა!“

აი, უკვე ტექნიკური მომარაგების განყოფილებაში შედგა ფეხი და კართან შეჩერდა.

საბეჭდ მანქანასთან მჯდარი, ახალგაზრდა, გამხდარი ქალი წამოდგა, სათვალე გაისწორა და გაიღიმა.

— სალამი, ვენერა! — დიდმნიშვნელოვნად მიესალმა ქალს ბარველიძე.

— სალამი, ბატონო ილარიონ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მგონი... — აღარ დაასრულა ვენერამ, მივიდა და ხელი ჩამოართვა.

ბიბლიოთეკა

— დიახ, მგონი კი არა, ნამდვილად მოვედი, მაგრამ საკითხავია, თქვენ როგორ დამხვდით.

— კარგად... თუმცა, თქვენთან უკეთესად ვიქნებით, — ეშმაკურად გამოხედა ვენერამ.

— უკეთესად, ა, უკეთესად... — თითქოს რაღაც იჭვნეულად ჩაილაპარაკა ბარველიძემ, მერე ჰკითხა: — ხელაძე აქაა?

— აქაა, ბატონო, კაბინეტშია, მოადგილეც აქაა.

— აა, მოადგილეც... ისევ საეჭვოდ თქვა ილარიონმა და კაბინეტის კარი შეაღო.

— აჰა, ილარიონიც მობრძანებულა! — წამოიძახა ივანემ და ბარველიძეს მიეჭრა, — კეთილად, კეთილად, ბატონო, თქვენი მობრძანება და ჩვენი დახვედრა!

— თქვენ მომავალი ხართ, მე წარმავალი, — წამოდგა ხელაძეც და შემოსულს ხელი ჩამოართვა, — მაგრამ არავითარი თქვენი ვალი არა მაქვს, ამიერიდან ჩემი უფროსიც აღარ ბრძანდებით, მაგრამ აღარც მე ვარ თქვენი უფროსი და ქვით... ჩვენ შორის ანგარიში გასწორებულია და გამოთხოვებისას შეგვიძლია ღვინოც გადავკრათ.

— ნუ ხუმრობ, კოწია, — წარბი შეიკრა ბარველიძემ, — როცა დავლიე, მაშინ რა მოვიგე! ერთი ჩინებული შარვალი ვიმსხვერპლე და ამით დავამთავრე... ახლა კი კეთილინებეთ და ჩამაბარეთ, რაც ჩასაბარებელია, — რაღაც ყრუდ თქვა ბარველიძემ და სკამზე დაეშვა. მის თვალებში სევდის ჩრდილი მოჩანდა.

— ასეა ბატონო, თავი აქვს მოჭრილი, მაგრამ ლაზღანდარობას მაინც არ ანებებს თავს! — ჩაიქირქილა ივანემ და მერე ისევ ხელაძეს მიეჭრა: — ჰო, წადით ახლა ფურნეში და აცხვეთ პურები? რამდენი გდიეთ, როგორ არ გარიგეთ, რა არ ვაკეთე, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლეთ! ჰოდა, ახლა რაღას უდ-

გეხართ! პატიოსანი კაცი მოვიდა აგერ. ღმერთმაააშენოს ბატონი ილარიონი, იქნებ ცოტა მომეხმაროს, საქმები შემიმსუბუქოს და რამე მეშველოს...

— განჯინები გაალე, — შეუღრინა გაორგულებულ მოადგილეს ხელაძემ, — „საქმეები“ ამოალაგე, ასწერე, გადასწერე და გადააბარე. მერე კი შენ იცი და ილარიონმა!

ბარველიძემ რაღაც ირიბულად გადახედა ივანეს, მაგრამ მაინც არაფერი თქვა.

— როგორ, მე უნდა გადავაბარო თუ თქვენ? ამას რას ამბობთ? — გაიკვირვა ივანემ.

— მე ხელს მოგიწერ, სხვა რაღა გინდა!

ივანე მიხვდა, თუ მე არა, ხელაძე ხელსაც აღარ გაანძრევსო და ისევ თვითონ შეუდგა საქმეს. ყველა განჯინა და მაგიდების ყუთები გაალო, „საქმეები“ ამოალაგა, ხელაძეს ცეცხლგამძლე სალაროს გასაღებიც გამოართვა, სალარო გაალო, იქ მოთავსებული „საქმეები“ ყოფილ უფროსს წინ დაუყარა და აბუზღუნდა:

— ამაში ეშმაკიც ვერ გაერკვევა! როგორც გინდა, ისე ახედე, ჩახედე და გადააბარე! ესაა საქმე? სანამ აქ ბრძანდებოდა, მე ვპატრონობდი, ახლა მიბრძანდება და ხურჯინივით გადამეკიდა; დაწყევლოს ღმერთმა ამისთანა სამართალი!

— ბოლო დღეა, ივანე, და მემსახურე. კაი კაცობა არ დაიკარგება, რასაც დასთეს, იმას მოიმკი, — ამშვიდებდა ივანეს ხელაძე.

ბარველიძე თითებს აკაკუნებდა მაგიდაზე, ხელაძესა და ივანეს მორიგეობით აცქერდებოდა. „ჩამაბარეთ და მერე მე ვიცი, უფროსი და მოადგილე ერთიმეორეზე უკეთესები ხართ. ეტყობა, ჩემს გახუნებას ლამობენ, მაგრამ ბოდიში“ — ფიქრობდა იგი.

როცა ივანემ „საქმეების“ ამოლაგება მოათავა, გადაბარებასაც თვითონ შეუდგა. „საქმეებს“ შლიდა, შიგ თითსა და ცხვირს ჩაასობდა, ბარველიძეს ზოგ რამეს უკითხავდა და განმარტებასაც თვითონ აძლევდა.

— ესაა რაცაა, თუ ამ მასალებმა დაიგვიანა, ლომციხე და გორის ციხეც უკან დაგვრჩება. ხომ იცით სმირნოვის ამბავი! თუ დაგვეცა თავზე, მტრისას!..

სმირნოვის გაგონებაზე ბარველიძემ თვალები მოწკურა, ჩაახველა და აიმრიზა.

— ვინ ვის დაეცემა ან წაიქცევა, ამაზე შემდეგ, ახლა კი საქმე გავაკეთოთ, — უკმაყოფილოდ წაილაპარაკა მან და მაგიდაზე თითების თამაშს მოუჩქარა.

— არა, ბატონო ილარიონ, მე ჩვენთვის ვამბობ, თორემ სხვებს კისერიც უტეხიათ, დაეცემა, წამოდგება თუ წაბარბაცდება, რა ჩვენი საქმეა! — სწრაფად გამოასწორა ნათქვამი ივანემ.

ნიშნად კმაყოფილებისა ბარველიძემ თავი დააქნია და შეანელა თითების თამაშიც.

— სმირნოვს რაღას ერჩით, მისთვის მოადგილეობა ზედმეტი ბარგია. თავისიც ეყოფოდა, მაგრამ აიძულეს და ილარიონის აწეწილი საქმეები თავს დააყარეს, — ჩაურთო ხელაძემ.

— აწეწილიო? — გაიკვირვა ბარველიძემ და სახეზე ალი მოედო, — აწეწილი თქვენა ხართ, პატივცემულო კოწია! წასვლის წინ სისხლს ნუ მიმღვრევთ, თორემ მწარე სიტყვა მეც მეხერხება.

— ეგ არაფერი. თუ საქმეები აქაც აგემღვრათ, ივანე მიუშვით და ბაყაყივით გაცურავს.

ივანე ზეზე წამოვარდა და ხელაძეს შეუტია:

— ბაყაყს მოგცემ მე შენ! თუ არაფერს გაგვიკეთებ, ხელს ნუღარ გვიშლი, პატიოსანი კაცი გელოდება და საქმეს უნდა შეუდგეს, ერთი წუთი მილიონად ულირს და გვაღირსე, მოგვეცი საშველი, თორემ ბაყაყს მოგცემ მე შენ!

— მომცემს! — აიმრიზა ხელაძე.

გადაბარება კარგა ხანს გაგრძელდა. კოწია უხალისოდ აწერდა ხელს ქაღალდებს. ბოლოს, უკანასკნელ აქტსაც რომ

მოაწერა ხელი, ივანეს გადახედა აგდებულად და იკითხა:

— გათავდა?

— გათავდა, ჰო.

ხელაძე წამოდგა, პალტო ჩაიცვა, კრაველის შავი ქუდი დაიხურა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ოთახში უკანასკნელად გაისეირნა. ბოლოს კართან შეჩერდა და დაიგუგუნა:

— ვენერა, ახალი მთავრობა არ მომიწყინო, გაართე, გაათამაშე.

— მიბრძანდებით, ბატონო? სამწუხაროა, მაგრამ, იმედია, შორს არ იქნებით და ისევ გნახავთ, — წამოიწია ვენერამ და წამოდგა.

— გინახულებთ, ვენერა, გინახულებთ და აგაშენებთ, მაგრამ თუ უხასიათო ხალხმა ხასიათი გაგიფუჭოს, ისევ მე მომნახე.

— კეთილი, ბატონო, — მიადევნა ქუჩაში გასულ ყოფილ უფროსს ვენერამ, მერე ფეხაკრეფით უკან გამობრუნდა და თავის საბეჭდ მანქანას მიუჯდა.

ხელაძემ გზას გვერდი აუქცია, პირდაპირ მინდვრისაკენ გაემართა; აქ, ჰაერზე, თავისუფლად ამოისუნთქა. მერე მახლობელ მთებს შეავლო თვალი, ხელი გაშალა და წამოიძახა:

— გახედე, კოწია, რა ქვეყანაა, ამისთანა ხომ არსად იქნება?

მინდორი გადაიარა და ახალ გზაზე გავიდა. აქ კარგა ხანს იდგა, ქუჩაში მიმავალ ავტომანქანებს უთვალთვალებდა. წასვლაც დააპირა, რომ უეცრად ქუჩის მოსახვევში ავტო შეჩერდა.

— კონსტანტინე კარპოვიჩ! — მოესმა მას და თავი ასწია.

მანქანიდან ფელდმანს გადმოეყო თავი.

— ისააკ აბრამოვიჩ, საიდან გაჩნდი, თქვენი თავი ვინ გადმომიგდო, გამახარა და ამაშენა! — მიაძახა ხელაძემ, მანქანასთან მიირბინა და მკლავში ხელი ჩაავლო ფელდმანს, — ჩამოდი! ვერა, ვერსად ვერ გაგიშვებ, ახლა შენს გარდა ველარავინ მიშველის!

— აქ რას უდგახარ, კაცო, — აწრიალდა ფელდმანი, — ჩაჯექი მანქანაში მიგიყვან, სადაც გინდა.

— სადღა მიმიყვან! მე არსად არ მივდივარ. დღეს თავისუფალი ვარ და, თუ მოისურვებ, გაგიმასპინძლდები. ჰოდა, დამიჯერე, მომყევი!

— რას ამბობ, საქმეზე მივიჩქარი, ხალხი მელოდება, რა დროს ეგაა, — გულწრფელად იუარა ფელდმანმა, მაგრამ, სანამ სათქმელს დაასრულებდა, ხელაძემ ძირს ჩამოაგდო იგი.

— მაგრამ მხოლოდ ნახევარი საათით!.. — რადგანაც სხვა გზა აღარ ჰქონდა, დაყაბულდა ფელდმანი.

— პირობას გაძლევ, ბეჭედს დაგირტყამ, ხელსაც მოგიწერ და სხვა რაღა გინდა, — იჭაჭებოდა ხელაძე.

ფელდმანმა შოფერს ხელით ანიშნა, მოგვყევიო, მერე ისევ ხელაძეს მიუბრუნდა:

— დავრჩი, რასაკვირველია, მაგრამ ახლა საით?

ხელაძემ ხელი აიქნია.

— სანანებელი არაფერია, ყველაფერი თქმულია და დადგენილი. ალმატება მივიღე, ფურნეში მივდივარ.

— ფურნეში? — გაიკვირვა ფელდმანმა.

— ასეა და რა გაეწყობა, მაგრამ სანამ ფურნის აშენებას დავიწყებდე, საჭიროა სრული თავისუფლება გამოვიყენო, — და მან ხელი ახლად აშენებული სახლებისაკენ გაიშვირა, — გუნებაზე მომყვანი დაწესებულება სად არის აქ?

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რომელ ფურნეზე ლაპარაკობდი, რაშია საქმე? — სიტყვა ბანზე აუგდო ფელდმანმა.

— რაშია და ახლა პურის ქარხანას ვაშენებ. რკინებით მომარაგებას პურით მომარაგება გიჯობსო, მითხრეს და რა გაეწყობა.

— რას მეუბნები! აშენებულხარ, რასაკვირველია... მაგრამ შენს ადგილას ვინღა დანიშნეს?

— ბარველიძე გადმოაბარგეს.

— ბარველიძე? — თვალები გაუფართოვდა ფელდმანს, — მაშ მთელი მოვ-

ლენები დატრიალებულა. მე კი მეძინა, მაგრამ ეტყობა, თავს მეც უნდა მოვუფრთხილდე, თორემ, რასაკვირველია, მომწვდებიან და ტყავს გამაძრობენ, ვერა, ძმაო, ვერ გამოგყვები, უნდა წავიდე.

— სიტყვა სიტყვაა, — მკლავში ხელი ჩასჭიდა კოწიამ, — ჰმ, მიამიტი! შენი ამბავი არ ვიცი მე, გგონია? თავდაყირა რომ გადაგაგდონ, კატასავით ფეხზე დადგები!

— ვნახოთ! აკი შენც იკვეხნიდი?

— მე? რა, გათავებულია ჩემი საქმე თუ?

— რა ვიცი, ჩამომაყენესო და...

— კი არ ჩამომაყენეს, გადამაყენეს, სხვა სამუშაოზე გადამიყვანეს. ჩამოყენება და გადაყენება ერთი და იგივეა?

— ჰო, არა... მაგრამ, რაკი არ მიშვებ, აი, აქაა და შეგიძლია შებრძანდე, — ახლად გახსნილ სასაუზმეზე მიუთითა ფელდმანმა.

— აი, რა ყოფილა, რა უკეთებიათ, რა არ უშენებიათ და ჩვენ სად ვიყავით? შევიდეთ, რა გაეწყობა... — თქვა ხელაძემ და პირველი შევიდა სასაუზმეში. მიიხედ-მოიხედა. ერთი სკამიც კი არსად ჩანდა ირგვლივ.

— ჩამოსაჯდომიც რომ არსად არის? — თქვა გაკვირვებულმა.

— დასადგომია და არა დასაჯდომი— უპასუხა ფელდმანმა, რომელიც უკმაყოფილოდ იყურებოდა აქეთ-იქით, იქნებ მშველელი გამოჩნდეს ვინმეო.

— რა გაეწყობა, ბედს შეურიგდა ხელაძე, — ამოდენა კაცი თუმცა, ფეხზე კი არა, დამჯდარი ვერ ვჩერდები. ცხენი ხომ არა ვარ, ბაგაზე ჰივდგე, და ჭამა-სმა დავიწყო. ჰო, მაგრამ ახლა სხვა რაღა გზა მაქვს! მოიტათ ღვინო, პური და მისაჭმელი! — ბოლოს რიხიანად მიაძახა ოფიციანტს და, როგორც იყო, ფელდმანს მკლავში ხელი გაუშვა.

ფელდმანმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა.

— ო, ღმერთო ჩემო, მგონი გადავრჩი! — წამოიძახა ფელდმანმა და დაბუჟებული ხელი გაიქნია, აამოძრავა.

ხელაძემ ლუდის ჭიქებში ჩაასხმევინა ღვინო.

ფელდმანი აყვირდა, გაიწია, გაქცევით დაემუქრა, მაგრამ ხელაძემ ისევ მოხვია ხელი და ჩაიხუტა:

— ვიცი, გეჩქარება და მეც ამიტომ ავჩქარდი. შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ, უცხო ხომ არა ხარ! მოკიდე ხელი ამას! აილე, აილე! ამით ვადღეგრძელოთ ქვეყნიერება, მშვენიერება და ბედნიერება. — ყველას ტკბილი პურმარილი ჰქონდეს, კანონი და სამართალი ჰქონდეს, ტკბილი ასულიც არ მოჰკლებოდეს... მგონი ყველაფერი ვთქვი, არა?— ჭიქა პირთან მიიტანა ხელაძემ და ღვინოს დაეწაფა.

ფელდმანი რაღაც შეშინებული მისჩერებოდა, ხელი უთრთოდა, გავსილი ჭიქიდან ღვინო წურწურით გადმოსდიოდა.

ხელაძემ ულვაშები ხელისგულით გადაიწმინდა და ღვინოს მოზრდილი ლუკმა დააყოლა.

ფელდმანმა ღვინო მოწრუპა, როგორც იქნა, დაცალა ჭიქა.

— დააყოლე, გაამოს! — ხემსი მიაწოდა ხელაძემ.

ფელდმანმა ისევ გაიწია, წასვლა დააპირა, მაგრამ ხელაძეს ის გამოცდილი ჰყავდა, იცოდა, თუ ფრთხილად არ ვიქნები, გამექცევაო. ამიტომ თვალს არ აშორებდა ფელდმანს:

— ვერა, მე შენი ამბავი ვიცი და ეშმაკობით ვერ მომატყუებ. გამიგონია, გამოცდილება გენიოსიაო, და მეც ჭკუა ვისწავლე.

— კონსტანტინე კარპეს-ძე, გთხოვთ. რასაკვირველია, გევედრებით... გამიშვით ახლა... — ემუდარებოდა ფელდმანი, მაგრამ ხელაძეს მისი გაგონებაც კი არა სურდა:

— ბოლოსდაბოლოს რის მეგობარი ხარ, თუ თანაგრძნობას არ გამიწევ. ღვინოში უნდა ჩავკლა ჯავრი. ისე მაგრად უნდა დავლიო, რომ მეორედ დალევა აღარ დამჭირდეს. შენ კი ანგარიშის გაწევაც არ გსურს, გამირბიხარ. ვერ გაგი-

შევბ, გესმის? — ამბობდა ხელაძე და თანამეინახეს ღვინოს აძალებდა.

ისევ ლუდის ჭიქებით სვამდნენ.

როცა ფელდმანმა თავი ჩამოჰკიდა, ხელაძე მიხვდა, საქმე ცუდადაა, ზურგით წასაღები შემექნებაო და ფელდმანს ღვინის პატარა ჭიქა გადასცა, ხოლო თვითონ ისევ ლუდის ჭიქა გაივსო. უკანასკნელად სადღეგრძელო თქვა:

— ეს გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას.

— გაუმარჯოს!—ჩაილუღლუღა თავჩაქინდრულმა ფელდმანმა.

ხელაძე ახლა თვითონ აჩქარდა. ნახარჯი გადაიხადა, ფელდმანს ხელი ჩასჭიდა, სასაუზმიდან ძლივს გამოიყვანა. მიხვდა, ფელდმანი ფეხით ველარ წავაო. ქუჩაში შეჩერდა. მიიხედ-მოიხედა. ის მანქანა წასულიყო. ძლივს იშოვნა თავისუფალი მანქანა.

— საით, შინ თუ სამსახურში? — ჩასძახა ფელდმანს, როდესაც მანქანაში მოთავსდნენ, მაგრამ, რადგანაც ფელდმანმა ხმა ვერ გასცა, ხელი ჩაიქნია და შინ წაიყვანა.

ხუთ წუთში მივიდნენ. ხელაძემ ბავშვივით ხელში ატატებული ფელდმანი შინ შეიყვანა და ლოგინზე დააწვინა:

ფელდმანს ამქვეყნიური აღარაფერი ესმოდა, ეძინა უკვე.

კარგა ხანს დასცქეროდა ხელაძე ჩაძინებულ ამხანაგს.

მერე პაპიროსი ამოიღო, გააბოლა, ტახტზე დაეშვა და კედელზე თავმიდებულმა ხვრინვა ამოუშვა.

როცა ოთახში ნახევრად ჩამობნელდა, ფელდმანმა უგრძნობლად გაახილა თვალები. შეშინებულმა აქეთ-იქით მიიხედმოიხედა. ფანჯარაში დღის მკრთალი შუქი შემოდიოდა. ხრიალი შემოესმა, ტახტზე გაშხლართული ხელაძე დაინახა და გონს მოვიდა. „ჰო, რასაკვირველია, ყველაფერი გასაგებია. ამ ვეშაპმა ჩამყლაპა. მის მუცელში ვარ და ჯერაც ვცოცხლობ“ — გაიფიქრა, წამოიწია, ლოგინზე ჩამოჯდა მერე მივიდა, ჩაძინებულ ხელაძეს მუცელზე ხელი დაუთათუნა, ჩასძახა:

— ვეშაპო, გაიღვიძე, ვეშაპო, გაახილე თვალი!

ხელაძემ, გაღვიძების მაგიერ, ხრიალს მოუმატა. ბევრს ეცადა ფელდმანი, მაგრამ ვერას გახდა. ხელაძის გამოღვიძების იმედი დაჰკარგა, ბუზღუნით გატრიალდა, კარი გააღო და გარეთ გავიდა.

ამასობაში დაღამდა კიდეც.

ფანჯრიდან შემოსული შორეული შუქი ოდნავ თუ ანათებდა ხელაძის ოთახს.

უცებ ფანჯარას ჩრდილი აეფარა. მერე კაკუნი მოისმა, ჯერ ფრთხილად, შემდეგ უფრო ძლიერად. ფანჯარამ ზრიალი დაიწყო.

რადგან ოთახში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ცოტა ხნის შემდეგ აჩრდილი მოშორდა ფანჯარას, კარი შემოაღო და შემოვიდა:

— შეჩვენებულო, ისევ ჩაიღრჩე? — შეიცხადა შემოსულმა, შუქი აანთო და ხელაძის გაღვიძებას შეუდგა.

— გაიღვიძე, ყაჩაღო! რა დროს ძილია! — ჩაჰყვიროდა ყურში, — ივანე მოგივიდა, გაიხარე! გაიღვიძე, კაცო, გაიღვიძე!

ხელაძემ უეცრად გაახილა თვალები. იცნო, ვინც იყო და გაიკვირვა:

— ივანე?

— მოვედი, — უპასუხა ივანემ და სკამზე მოსხლეტილივით დაეშვა.

— რა მოხდა, ივანე? შენ და ილარიონი ხომ საუცხოოდ მოეწყვეთ!

— როგორ არა, მოვეწყვეთ, მაგრამ ილარიონმა ინჟინრის დიპლომი მომთხოვა, ჯიბეები მოვიქექე და გამოვეპარე.

ხელაძემ უცბად ხარხარი მორთო. სუნთქვა ეკვროდა, წამოიწია, ტახტზე ჩამოჯდა და მართლაც ვეშაპივით პირგაღებულმა ხარხარი განაგრძო.

— ნუ დამცინი, კოწია. ბარველიძე რა ჩემი კაცია, ისევ შენ და ისევ მე...

ხელაძე უეცრად შეიცვალა სახეზე. ზეზე წამოიჭრა, ხელი გაშალა, მერე ივანეს კარზე მიუთითა და დაიქუხა:

— შორს! მიბრძანდი! ჩვენი გზები გაიყარა დიდი ხანია!

შეშინებულმა ივანემ წამწამები დაახამხამა და დაიღრიჯა:

— გეხუმრე, კოწია... მაპატიე... შეგპირდი, მოვალ-თქვა, მოვედი აგერ, გამოგცადე და გამოგეცხადე.

— არა, წადი! — ისევ დაიქუხა კოწიამ, ივანეს მხარში ჩაავლო ხელი, კართან ძალით მიიყვანა და გარეთ გააგდო. ის იყო უკან გამობრუნდა აქლოშინებული, რომ კარზე კაკუნი ხელახლა მოესმა. „ისევ ივანე იქნებაო“, — გაიფიქრა, მაგრამ კაკუნი კიდევ გაიგონა.

— ვინ არის? — დაიყვირა ხმამაღლა.

— მე ვარ... გამიღე...

— ვინ?

— ივანე ვარ, ივანე... თუ კარს გამიღებ, ყველაფერს გეტყვი.

— რას მეტყვი?! — რაღაც უდარდელად, სახსვათაშორისოდ შეეკითხა ხელაძე.

— რაც გაგიხარდება.

— რა გამიხარდება?

— შე კაცო, ასე კაცს კი არა, ძაღლს არ გააგდებენ ქუჩაში. რა დაგიშავე, რად გამიბრაზდი. შენს ხელში გამოზრდილ ივანეს არ იცნობ თუ?

„წავწყდები, თუ კარი არ გავუღე ამ უბედურს“, — ღიმილით გაიფიქრა ხელაძემ და კარის ჭრილში გასაღები გადაატრიალა.

ივანე ხელებგაშლილი შემოიჭრა. ხელაძის მსუქანი მკლავი გულში ჩაიხუტა და აქაქანდა:

— კაცი ხარ, კაცი! ამიტომ მიყვარხარ, კოწია, ჩემსავით ვინ იცის შენი ოქრო გულის ამბავი!

— კარგი, გეყოფა! — ფრთხილად მოიცილა კოწიამ მისი ხელები.

II

საღამოს თამაზი მთავარ ქუჩაზე იასონოვს შეხვდა.

იასონოვი არ მოეშვა და შინ წაიყვანა. ისხდნენ ვიქტორის პატარა ოთახში და ბაასობდნენ ფრონტისა და ლომკინის ამბებზე.

თინა უსმენდა, მეგობრების საუბარში იშვიათად თუ ჩაერეოდა.

— დრეზდენში შესულო ჩვენი ჯარის ყიჟინა ისმოდა, — განგებ შორეულ ამბებზე გადასვლას ამჯობინებდა თამაზი, როცა ცოლ-ქმარი ღიმილით მიაჩერდებოდა ხოლმე ერთმანეთს, რომ აღარ მოეგონებინა სიყვარულზე და ოჯახზე ომის შემდეგ მის მიერ განცდილი ამბები.

— გახსოვს, თამაზ, ქალაქის დათვალიერებით ისე გავერთეთ, რომ დრეზდენიდან დაძრულ ჩვენს ჯარს კინაღამ მოვწყდით, — უმატებდა ვიქტორი.

მერე ლომკინის ამბებზეც გადავიდნენ.

— მე და თინა ამ პატარა ოთახში ვცხოვრობთ, — თქვა ვიქტორმა, — გამრავლებაც ხომ საჭიროა...

— სულ გამრავლებაზე ფიქრობს ვიქტორი, — ღიმილით ჩაურთო თინამ.

— ცხადია, გამრავლება მთავარია. — თავისაზე იდგა ვიქტორი. მერე თამაზს მიუბრუნდა: — ამბობენ, ქალაქმშენის უფროსს, შვინდიაშვილს, მშენებლობის რაღაც ჩქაროსნული მეთოდი მოუგონებიაო. მართალია?

— გამოცდა მალე მოხდება — მიუგო თამაზმა.

— ეს კარგი ამბავია, მაგრამ შენი მუშაობის საქმე როგორ წავიდა? გახსოვს, ფრონტზე სადისერტაციო თემაზე რომ მიყვებოდი?

— ვმუშაობ. თეორიული დასკვნები მალე მექნება. ტექნიკურად მისი გამოცდა-შემოწმება ვნახოთ, რას მოგვცემს.

— აჰა, მაშ მხოლოდ გამოცდაა საჭირო. ცეცხლგამძლე მასალის გამოცდა შეიძლება ჩვენთან მოეწყოს.

— მეც თქვენი იმედი მაქვს.

თინა სუფრის გაშლას შეუდგა. ისე მოხდენილად, ხელშეწყობილად და მსუბუქად ალაგებდა მაგიდაზე თეფშებს, ჭიქებს, ღვინოსა და ლიმონათის ბოთლებს, რომ კაცს ეგონებოდა, რაღაც უჩინარ მუსიკალურ საკრავზე ხელს ათამაშებსო, მაგრამ ხელების ჰარმონიულ მოძრაობას თინას ტანიც აჰყოლოდა და

ყოველ მის მიმოხვრაში გარკვეული რიტმიც იგრძნობოდა.

ხუთიოდე წუთში მაგიდა გააწყო. მერე ისევ ვიქტორთან დაჯდა.

— მიირთვით, — ისე სავსე გულით თქვა მან, სუფრა ცარიელიც რომ ყოფილიყო, კაცს ეს სიტყვა ეყოფოდა ყველაფრად.

ვიქტორს, რაც საქართველოში ჩამოსულიყო, თამადობის შესწავლაც მოესწრო და პირველი ჭიქით თინას სადღეგრძელო წარმოთქვა.

თამაზმა შეუსწორა:

— მომითმინეთ, ჯერ თქვენი დაქორწინების სადღეგრძელო უნდა შევსვა. ამიტომ, ნება მომეცით, თინას ვიქტორიც მივუმატო.

— თამაზი მართალია! აი, ვიქტორ, როგორ მალე ჩავარდი! — გაუღიმა საყვარელ ქმარს თინამ.

— ჩამჭერით ხომ? არაფერია! — გულღიად გაიღიმა ვიქტორმა, — არა უშავს, ჭკვიანი ხალხი შეცდომებზე სწავლობს!

ამაზე სამივემ მხიარულად გადაიხარხარა.

— ბედნიერებას გისურვებთ. გისურვებთ ოცნების განხორციელებას, გამრავლებას, წარმატებას, — განაგრძო თამაზმა ცოტა ხნის შემდეგ.

— მაშ მეც მოკლედ წარმოვთქვა? — გაიღიმა ვიქტორმა.

— შენი ნებაა, — გაუღიმა თამაზმაც და დაცლილი ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა.

— კარგი! თუ ჩემი ნებაა, მე თინას ვადღეგრძელებ, თინას, ჩემს ცუგრუმელა მეუღლეს და ექიმს. ლომციხის ახალ საავადმყოფოში ბევრი ავადმყოფი მოერჩინოს და ვიქტორისთვის მუდამ მხურვალე გული ჰქონოდეს.

— ეს მართლა ნამდვილი თამადა ყოფილა — გადაიკისკისა თინამ, მერე თვითონაც აიღო ჭიქა, ვიქტორი ადღეგრძელა, ხოლო თამაზს მადლობა გადაუხადა დღეგრძელობისათვის.

ვიქტორი ახლა-ღა მიხვდა, რომ თვითონ, თავის მხრივ, მადლობა არ უთქვამს თამაზისათვის. შეავსო ჭიქა და თამაზი ადღეგრძელა, გაბედნიერება უსურვა. მე ახლაც კარგად მახსოვს, როგორი გულისფანცქალით კითხულობდი ფრონტზე სატრფოს ბარათებსო.

თამაზმა თავი ჩაღუნა, მოიღუშა. მას მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, როდის დაამთავრებდა ვიქტორი ამ „სატრფოზე“ ლაპარაკს.

— ისიც ვიცი, ბარათმა რომ დაიგვიანა, როგორ განიცდიდა, — ახლა თინას უყვებოდა ვიქტორი, — არა, ასე არაფერი არ გამოვა, სატრფო უნდა მოინახოს ან ძველი, ან ახალი. სხვა გზა არაა, მაგრამ თუ შენ, თამაზ, ვერ აღმოაჩინე, ეს საქმე თინას მივანდოთ!

თინამ ისევ სიცილი მორთო:

— მე ვინ ვარ, ვიქტორ, ცოლი თამაზმა უნდა ითხოვოს და მე გამოვუნახო?

— ქალს ქალის ამბავი უკეთ გაეგება და არ შეცდება, მამაკაცებს კი ზოგჯერ ქალის ნაზი ღიმილი გვაბრმავებს და ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი გვგონია ჩვენი ამორჩეული. ჰოდა, დავალება მოცემულია, შესრულებას მოველით, — ღიმილით დაასრულა ვიქტორმა და ჭიქა დაცალა.

ქმრის მაგალითს ცოლმაც მიბაძა. იმანაც ადღეგრძელა სტუმარი, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში თავი ისე ეჭირა თამაზს, თითქოს არც კი ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ მისი მომავლის შესახებ.

მალე თინამ ჩაიც მოაყოლა ვახშამს.

— ვიქტორ, იმის გარდა, რომ გაბედნიერდი, ვიცი, სხვა მიღწევებიც გაქვს, მაგრამ ამაზე არაფერს ამბობ, — უსიამოვნო საუბრის ერთბაშად გადასხვაფერება სცადა თამაზმა.

— მართალია, ვიქტორს მარტო სხვისი ამბები აინტერესებს, თავისთავზე კი არაფერს ამბობს, — ჩაურთო თინამ.

— რა მოგახსენოთ, ჩვენც ცოტა რამ წარმატება გვაქვს, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არა ღირს... ახლა, აი, ჩაის შევექცევი, — თამაზისაგან ვიქტორსაც

ესწავლა სიტყვის ბანზე აგდება, რომ კითხვაზე პასუხი არ გაეცა.

თინამ რადიომიმღები ჩართო, დაბალ ხმაზე დააყენა. ოთახი მუსიკის მიმზიდველმა ხმამ აავსო.

ვიქტორი გაირინდა და ოცნებას მიეცა.

— პატარაობისას მეგონა: რაც მშობლიურ რუსეთს სიმღერა და მუსიკა გააჩნია, საკმარისია, მეტს გული და გონება ვეღარ დაიტევს-მეთქი, — ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო მან, — მაგრამ რამდენი ხელუხლებელი სიმები ყოფილა გულში, სხვა ხალხთა სიმღერებმა და მუსიკამ პირველად რომ ააჟღერა და გაანათა სულში ყრუდ დარჩენილი ბნელი ადგილი. გამოდის, რომ ადამიანის სულს საზღვარი არა აქვს, მას ხმათა სიუხვით ვერ ამოავსებ და რაც მეტი ხმები იქნება, მით უფრო შეივსება და გამდიდრდება...

— ძველს ახალიც მიემატება! — ჩაურთო თინამ.

— ისე მაინც ვერასოდეს შეივსება, რომ ახალი ვერ მოათავსოს, — ანთებული თვალები შეანათა ცოლს ვიქტორმა.

— რაც სუსტია, დავიწყებას მიეცემა, ძველიდან მხოლოდ უმაღლესი დარჩება და მას ემატება ახალი, — თქვა თამაზმა.

ცოტა ხნის შემდეგ თინამ და ვიქტორმა თამაზი გააცილეს.

გრილოდა.

შინ მიმავალ თამაზს თბილისის მხრიდან მონაბერი ნიავი ელამუნებოდა სახეზე. ლომციხეში ჩამოსვლის შემდეგ მან დღეს პირველად დაისვენა სულით და გულით. მეგობრის ახალი ოჯახის სითბომ მის გულში მიმქრალი გრძნობებიც გამოაცოცხლა.

როცა ბინას მიუახლოვდა, ქუჩაში ერთად მიმავალი ქალ-ვაჟი შენიშნა.

„გუჯა და მარფა? ბარაქალა! გული გულს იცნობს და სული სულს! ერთმანეთი თვით უპოვნიათ“, — გაიფიქრა მან და ნაბიჯი შეანელა.

აი, იმათაც შეანელეს ნაბიჯი, სახლის შესასვლელს მიუახლოვდნენ. მარფა შეჩერდა.

— ხომ მნახავ, მარფა? — წასჩურჩულა მას ჭაბუკმა.

— მერე, მერე! — უპასუხა მარფამ და შენობაში შევარდა.

უკან გამობრუნებული გუჯა თამაზს შეეჩეხა და უცბად შეკრთა.

— მაშ, აღარ დაიკარგებით, გზა ნაპოვნია, — მხარზე ხელი დაადო თავის უმცროს მეგობარს თამაზმა.

გუჯა გაწითლდა. მიხვდა, თამაზმა დაგვინახაო, და რაღაც უხერხულად ჩაღუნა თავი.

— რატომ წითლდები, განა სასირცხვოა? მხოლოდ უნდა იცოდე, მარფა უმწიკვლო გოგონაა, სათუთად და სინდისიერად უნდა მოეპყრა.

— ვეცდები, თამაზ... აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოვექცე... აი, ახლა გზაში შემთხვევით შემხვდა და ორი სიტყვის თქმა ძლივს მოვასწარი...

— ბევრ ლაპარაკს მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რა გულით ამბობ! მარფა კი იმ გაზეთს ინახავს, რომელშიაც შენი სურათია ჩახატული.

— ჩემი სურათი? რას ამბობთ! — დაიყვირა გუჯამ. ახლა იმასაც მიხვდა, თუ რა დიდი სამსახური გაუწია თამაზის მეგობარმა მხატვარმა, პავლემ, მისი სურათი რომ დახატა და გაზეთში გაუშვა.

— მაშ ასე, კარგად იყავი, ჩემო გუჯა, — თამაზის ხმამ გამოიყვანა იგი თავდავიწყებიდან.

— ნახვამდის, პატივცემულო თამაზ! — წამოიძახა თვითონაც და გზა განაგრძო.

* * *

კიბის თავში მარფა შემოეგება თამაზს. კონვერტი გადასცა.

— დღეს მოიტანეს! — უთხრა და სწრაფად გაბრუნდა.

თამაზმა კონვერტს დახედა. ხელი იცნო. მიხვდა, ვინ უგზავნიდა. შევიდა ოთახში და ბარათის კითხვა დაიწყო:

ძვირფასო თამაზ! ხალხი დიდად მად-

ლიერია; ჩვენი სოფლის წარმომადგენელი კასპში ჩავიდა და ცემენტი მიიღო. აქ თბილი დღეებია და მშენებლობაში ხელი არ გვეშლება. ჩვენები ლომციხის მშენებლობის უფროსსაც მადლობას უთვლიან. ყველამ მოგიკითხა. გაზაფხულს მოუთმენლად მოველი. პატივისცემით — თქვენი ნატო".

„თქვენი ნატო", „გაზაფხულს მოუთმენლად მოველი" — თავისთვის გაიმეორა თამაზმა, — „მეც მოველოდი გაზაფხულს, მაგრამ ვერ მოვესწარ" — სკამზე მძიმედ დაეშვა. ყველგან, ფეხის ყოველ ნაბიჯზე დაქორწინების, გაბედნიერების, გამრავლებისა და ოჯახის შექმნის ამბები ესმოდა. ახლა კი ნატომ რაღაც გადაკრულად გაზაფხულიც მოაგონა...

ყოველივე ამას კი თითქოს იერიში მიჰქონდა იმ ციხე-სიმაგრეზე, რომელიც თამაზმა მწვავე ჭრილობების შემდეგ თავის გულში თვითონ ააგო და ზედ დააწერა: „არასოდეს". თამაზი ებრძოდა ამ შემოტევას, ებრძოდა იმავე იარაღით, რაც მან ჭრილობის განსაკურნავად გამოიყენა: განუწყვეტელი შრომით, მეცადინეობით, ამხანაგებთან საქმიანი ურთიერთობით, მაგრამ რაღაც შეუგნებელი ხმა თითქოს ჩასძახოდა: „აგრე სანამ შეიძლება გაგრძელდეს, საბოლოოდ რა უნდა მოხდეს? განა ბერად შედგომას ფიქრობ?" და მაინც ამ ხმას ყურადღებას აღარ აქცევდა თამაზი, უგულებელყოფდა, თუმცა, რაც დრო გადიოდა, ეს ხმა უფრო ხშირად ესმოდა.

ფანჯარა გაიღო.

ჩაძინებულ ლომციხეს გაჰხედა.

ქვეყნის დუმილი ამშვიდებდა მის აშლილ გრძნობებს.

*
* *

იანვარი სუსხით დაიწყო. თოვდა. თოვლის ფიფქები უხვად ცვიოდა დედამიწაზე, ყველაფერს თეთრად მოსავდა, ბნელსაც ათეთრებდა. შეთეთრებულიყო, გაერთიანებულიყო თვით ცა და მიწა.

თოვლს ერთ მთლიან, თეთრ საბანში გაეხვია ქალაქისა და ქარხნის უბნები, მატარებლები, მანქანები, თვით ადამიანებიც თეთრად შეემოსა და ისე გამოეცოცხლებინა. ქუჩებში და ბაღებში, თითქოს საგანგებოდ, თოვლის ფიფქით შებურვილი ხეები უძრავად იდგნენ; ფოთლებშემოძარცვულებს თეთრი მკლავები მაღლა აღეპყროთ და თითქოს ცას შესთხოვდნენ, „უხვად დაგვაყარე შენი წყალობა გაძარცვული ტანი რომ დავიფაროთ".

ბაღებში თავშეყრილი პატარები ახალი თოვლის გუნდებს აყრიდნენ ერთმანეთს, დარბოდნენ, თვითონაც თოვლის გუნდებად გადაქცეულნი.

რუსთაველის პროსპექტზე ერთად მიმავალი ხუთი კაცი გამოჩნდა.

ახალ თოვლს ხალისიანად მითელავდნენ. ისინი სამსართულიან სახლთან შეჩერდნენ, ქართული სტილით ნაშენი ახალი სახლი ჯერ გარედან შეათვალიერეს, მერე შიგ შევიდნენ.

წინ გაიოზი და გურამი მიდიოდნენ, უკან — იასონი, ჯამლეთი და ლომციხის მთავარი არქიტექტორი, სიმონი.

ერთი ბინის სამზარეულოში გაიოზმა ონკანი მოსინჯა და ვერ გააღო:

— აი, ონკანს ჟანგი მოსდებია, უნდა გაკეთდეს, — თქვა და მერე სააბაზანო ოთახის კარი შეაღო — აქაც აბაზანა მოსათავებელია. ჩაინიშნე. აქაც კარი, სუფთადაა გაკეთებული, მაგრამ ნედლი მასალა გამოუყენებიათ და უკვე ჭუჭრუტანები მოჩანს აქა-იქ.

— იატაკსაც ხელი აკლია, ნაჩქარევად უკეთებიათ. თუ მომავალშიც აგრე გაგრძელდა, არ ჩავიბარებთ და ხელახლა გაკეთებას მოვითხოვთ, — თქვა იასონმა.

— ოჰო, იასონი პრეტენზიებს აცხადებს! — წამოიძახა ჯამლეთმა და გრძელი ულვაშები საქმიანად გადაიგრიხა.

იქვე, მეორე ბინაში შევიდნენ.

— აქ კი, იასონ, ვერაფერს დაგვიწუნებთ, — ვფიქრობ, ყველაფერი რიგზეა, — თქვა სიმონმა.

იასონმა ის ბინა დაათვალიერა და ძლივს გაიმეტა:

— არა უშავს.

— სიმონ, თუ იასონისაგან მოწონებას ელი, შემცდარხარ, ამას ვერასოდეს ეღირსები: „არა უშავს“ იასონის უმაღლესი შეფასებაა და სასახლეც რომ ააშენო, ამაზე უკეთესს ვერაფერს გეტყვის, — გაამხნევა არქიტექტორი გაიოზმა.

ყველას გაეცინა. იასონი გაბუტულივით გამოიყურებოდა, ბინებში ახალ-ახალ ნაკლს ეძებდა.

კარგი სანახავი კი იყო ეს გვერდის გვერდ ამართული ორი შენობა! ერთი სიმაღლისა და სიდიდისა იყო ორივე, ორივეგან ქართული სტილი იგრძნობოდა, მაგრამ არქიტექტურულად მაინც მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან.

დღის პირველი საათი იქნებოდა, როცა რამდენიმე საბარგო მანქანა შემოგრიალდა რუსთაველის პროსპექტზე. ახალი სახლების წინ გაჩერდნენ. მანქანებიდან ხალხი ჩამოვიდა. ძარიდან საოჯახო ნივთები, ლოგინები, საწოლები, სკამები, პურის კარადები გადმოჰქონდათ. აი, პატარა ვაჟაც! მას წინ გაესწრო მშობლებისათვის. ახალი ბინისაკენ მირბოდა.

— მოიცა, ვაჟიკო, ჩვენც შენთან მოვდივართ, — გასძახა შვილს მარომ, მაგრამ გალაღებულ ბავშვს უკანაც არ მოუხედავს...

— გზა მშობლებზე უკეთ სცოდნია. — ღიმილით გაჰყურებდა ბიჭუნას ხმელხმელი ჭაბუკი, ამ ახალი სახლების კომენდანტი.

— არაფერია, ამხანაგო ჭიჭიკო, თუ სწორად ივლის, ჩვენც ვაჟას მივყვებით, — გადასძახა მას იასემ.

— მომყევით! — თქვა ჭიჭიკომ, ბოხოხი გაისწორა და მობინადრეებს წინ გაუსწრო. ჩექმების ბრახაბრუხით მეორე სართულში რომ ავიდა, გასაღებები ააჩხარუნა, უფრო ზევით ასულ ყმაწვილს გასძახა:

— ეი, ვაჟა, სად წასულხარ, კაცო, აგრე მაღლა შეიძლება?

ვაჟა სასწრაფოდ დაბრუნდა უკან, კიბე ჩამოირბინა.

ამასობაში იასე და მაროც მოვიდნენ. ბინაში წინ შესულ ბავშვს ისინიც შეჰყვნენ.

ვაჟამ მოზრდილ ოთახში შეირბინა, ახლად შეღებილ იატაკზე ფეხი აუცდა, იქვე გაგორდა, მაგრამ მყისვე წამოხტა და, ტირილის მაგიერ, სიცილი დაიწყო.

— იხარე, შვილო! — უთხრა დედამ და ხელი მოხვია.

— ეს ოროთახიანი ბინაა, მაგრამ ყველაფერი საკუთარი აქვს: გათბობა და განათება, წყალი და აბაზანა, სამზარეულო და... ჰო, ორი საწოლი და ორი მაგიდა, ორი ლეიბი და ერთი ბალიში, ხუთი სკამი და ერთი კაჩხა, ექვსი ელნათურა და ერთი აბაზანა, — შეამოწმეთ და ჩაიბარეთ! — ჩაიბუბუნა ჭიჭიკომ და ახლა მეორე ოთახის კარიც შეაღო, აივანზე გავიდა, მიიხედ-მოიხედა, — ხომ ხედავთ, აქედან მთელი ქვეყნიერება შეიძლება დაინახოთ. მთა და ბარი, ბაღი და მტკვარი, ყველაფერი აქაა, — დაასრულა; ახლადმოსახლეებს სამზარეულო და საბაზანოც დაათვალიერებინა, ბავშვი აიყვანა და მაღლა მაღლა ასწია: — აი, ამოდენა გაზრდილიყო და მეტს არ გთხოვ!

— მარო, ამ ახალ ბინაში სინათლე და სიხარული არ მოგვკლებოდეს! ნატვრით შეავლო ცოლს თვალი იასემ.

მალე გერონტი და ვალოდიაც გამოჩნდნენ. ერთსაც ახლადშერთული ცოლი მოჰყვებოდა გვერდით, მეორესაც.

ისე გამოიყურებოდნენ, ახალ ბინაში კი არა, თითქოს ახალ, სანეტარო ნაპირზე გადადიანო.

ახლა ორი, მსუბუქი მანქანიდან ჩამოვიდნენ სმირნოვი, ტკაჩენკო, თამაზი, ხანთაძე და ვიქტორი, მეუღლითურთ.

სმირნოვმა ახალი საცხოვრებელი სახლები შეათვალიერა და ხელები გადაშალა:

— შეხედეთ, შეხედეთ ამხანაგებო,

ამისთანა სასახლეებს შაჰინ-შაჰიც არ დაიწუნებდა. თქვენ კი, ჩემო კარგო, ხელცარიელი მოდიხართ! — თამაზს გადაჰკრა მან, — რუსეთიდან ჩამოსულმა იასონმა თქვენს ქვეყანაში მზეთუნახავი აღმოაჩინა, თქვენ კი ვერ გიპოვიათ! განა ეს მოსათმენია?

— თამაზს ეს ამბავი არ ეპატიება, მაგრამ ეს არაფერი, რადგან მშვენიერ ბინებში შევდივართ, ამ საქმეს მოვუვლით, — დაუმატა საერთო სიცილ-ხარხარში ვიქტორმა.

ისინი, ჩემოდნებით ხელში, მძიმედ ადიოდნენ ახალი სახლის ახალ კიბეზე.

ყველა თავის ბინაში მოთავსდა.

თამაზმა თავის ოროთახიან ბინაში გაიარ-გამოიარა. ვერ მოისვენა. არც დამჯდარა, ისე დაკეტა კარი, დაეშვა კიბეზე და ქუჩაში გავიდა.

ქვეით მომავალი გუჯა შენიშნა:

— გუჯა, შენც მარტო მოდიხარ?

გუჯამ ჩემოდნები თოვლზე დააწყო, ოფლი სახელოთი მოიწმინდა და გაიღიმა.

— მარფა რომ გამომყოლოდა, აგრე მარტო არ ვიქნებოდი, მაგრამ...

— ფიქრი ნუ გაქვს, გუჯა, ახალგაზრდები ხართ, მოესწრებით!

— იმედი კარგია, მაგრამ მარფა სულ „მერეს" მეუბნება, მერეს საზღვარი კი არავინ იცის.

— გული რად გაგტეხია, გუჯა! ახალგაზრდა ქალი რომ „მერეს" გეტყვის, ეს „ახლას" ნიშნავს.

— განა! — გამოცოცხლდა გუჯა და ჩემოდნებს ხელი დაავლო, — თუ მართლა ეგრეა, ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყნად არ იქნება.

— იჩქარე, გუჯა! — მიაძახა ადგილიდან დაძრულ ჭაბუკს თამაზმა და გზა განაგრძო.

მიწაზე ბუმბულივით დაყრილი ახალი თოვლი ჭრიალებდა მის ფეხქვეშ. ქუჩის გასწვრივ თოვლით შებურული, რტოებდახრილი, პატარა ნაძვები იდგნენ და თითქოს ვიღაცას ელოდებოდნენ.

ეს ხმა და ახალი თოვლის სისპეტაკეც თითქოს მის გულში იღვრებოდა და მთელი არსებით აგრძნობინებდა რაღაც გამოუთქმელ შვებას, განახლებას, განწმენდას.

გავიდა იმ ბაღიდან, მალე ისევ ძველი, მის მიერ დატოვებული სახლის აივანზე შედგა ფეხი და წინ აცრემლებული მარფა შემოეგება.

— მარფა, რა მოხდა, რა მოგივიდა?

პასუხის მაგიერ, მარფას უეცრად ცრემლები წასკდა.

— რა გატირებს მარფა?

— ყველა წავიდა, ჩვენ მარტო დავრჩით! — შესჩივლა მარფამ.

თამაზს გული დაეწვა, დაამშვიდა ქალიშვილი:

— განა აქ მარტო იქნებით? დღესვე სხვები გადმოვლენ... მერე კი თქვენც ჩვენთან გადმოხვალთ.

— ჩვენც? მართლა გადმოვალთ? — ეკითხებოდა იმედმოცემული მარფა. ახლა უკვე იღიმებოდა, თუმცა ისევ ცრემლები ეღვრებოდა მომღიმარე ლოყებზე.

— მართლა, ჰო... დაწყნარდი, მარფა... შენ იცნობ იმ ბრიგადირს, გაზეთში რომ დახატეს?

— გუჯას? — რაღაც წინდაუხედავად წამოიძახა მარფამ, მაგრამ ბედად ბებიამისი გამოვიდა ამ დროს აივანზე და გამოსვლის უმალვე თამაზს მიმართა:

— მიდიხართ, შვილებო?

— გადავდივართ, დედი, მაგრამ შორს არ ვიქნებით, მით უფრო, მარტოხელეები ვერ შეგელევით, უთქვენოდ ჩაის წყალსაც ვერ ავადუღებთ, ამ ცივ ზამთარში გავიყინებით, — თითქოს ბოდიშს იხდისო, ისე უპასუხა მოხუცს თამაზმა.

— მართლა, თქვენი პერანგები უკვე მზადაა, წაიღე, შვილო.

— მე გაგირეცხეთ, ბებიამ კი დააუთოა! — ჩაერია მარფა, — თუ ბებია თან არ მეყოლა, ერთი საათითაც ვერსად დავრჩები.

— რატომ, ჩემო გოგო! — გაიკვირვა ნადეჟდა ივანეს ასულმა, — თუ აღარ გეყოლები, მაშინ, სხვა საქმეა; ქვეყანა დიდია და არ დაიკარგები.

თამაზი მიხვდა, რას ეხებოდა მარფას გადაკრული სიტყვები და უპასუხა:

— ვინც შენ გაფასებს, ბებიას არასოდეს ჩამოგაშორებს.

— ო, რა კარგია! — დაიძახა მარფამ და მოხუცს მოეხვია.

— რა იყო, გოგო, აგრე საეჭვოდ რომ ლაპარაკობ, მართლა ხომ არ მტოვებ?

— არა ბებია ,მე მეშინია შენ არ დამტოვო.

— არ ვკვდები, ნუ გეშინია!

— ო, რა კარგია! — გაიმეორა მარფამ და შემოტრიალდა, გაიქცა, თამაზს დაუთოვებული პერანგები გამოუტანა, ჩააბარა და დაუმატა:

— მე და ბებია ისევ აქა ვართ.

თამაზმა მადლობა გადაუხადა, მერე ისევ თავის ძველ ოთახში შევიდა, იქ მოგროვებული რაღაც მთის ჯიშები ორ ჩემოდანში ჩააწყო, ბარგი აივანზე გამოიტანა, ოთახი დაკეტა და გასაღები პატარა დიასახლისს გადასცა.

— ჩაიბარე, მარფა. ამ ოთახში აღარ შემოვალ.

„ჩვენთან ხომ მოხვალთ? — გაუბედა მარფამ.

— მოვალ, მაშ არ მოვალ? ჩვენი მეზობლობის აგრე ადვილად დავიწყება განა შეიძლება?

ამ სიტყვებით ის ბებიასა და შვილიშვილს დაემშვიდობა და კიბე ჩაიარა.

იქვე, კიბის თავში ჩამოჯდა გულდაწყვეტილი მარფა. ცრემლი უციმციმებდა თვალზე.

* *

... როცა თამაზი ისევ რუსთაველის პროსპექტზე გავიდა, ახალ სახლებისაკენ მიმავალი ხალხის მთელი რაზმი შენიშნა. დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, თან რაღაც მიჰქონდა, დიდები ბარგით დატვირთულიყვნენ, პატარებს სათამაშოებისათვის ჩაევლოთ ხელი და მიბაჯბაჯებდნენ. სათამაშოები ზოგს გულზე მიეკრა, ზოგი თოვლში ძლივს მიათრევდა, ან მიაგორებდა.

ერთ გოგონას ხის ცხენი თოვლში წაექცა, მიირბინა, უნდოდა აეყენებინა, მაგრამ ვერ შეძლო და ტირილი მორთო.

დედა მიეშველა, ცხენი ფეხზე დააყენა და გოგონამაც ტირილი სიცილით შეცვალა.

აი, კიდევ ერთი წყვილი — მომღიმარე ქალ-ვაჟი! აჩქარებული ნაბიჯით მიდიან წინ.

— დალი, შეხე როგორ სასახლეში შევდივართ, განა ასეთი ყაზბეგი გინახავს? — ხმამაღლა მიმართავს ვაჟი ქალს.

— არა, ალექსი, მაგრამ შენთან ცხოვრებას ქოხშიც არ დავიწუნებ.

— გაიოზმა შეასრულა თავისი სიტყვა, შენი აქ ჩამოსვლაც მისი მოწყობილია.

— მაშ, მადლობა გაიოზს ეკუთვნის.

— ეკუთვნის, მართალია და ვაღიარებ!

ის იყო თავის ბინაში შევიდა თამაზი და ჩემოდნები დააწყო, რომ კარის კაკუნმა მოახედა:

— შეიძლება?

— მობრძანდით! — გაეპასუხა სტუმარს.

გუჯა შემოვიდა.

— აა, გუჯა, კარგია რომ მოხვედი; მარტო ვიყავი.

— მოვედი... მეც ამ სართულზე ვარ... — აბნეულ-დაბნეულად ალაპარაკდა გუჯა, — ჩემიც კარგია...

— მართლა? წამო, ვნახოთ.

დერეფანში გავიდნენ.

— აი, ესაა — კარი შეაღო გუჯამ.

თამაზმა საგულდაგულოდ დაათვალიერა გუჯას ერთოთახიანი ბინა და უკან გამობრუნდა.

გუჯაც თან გაჰყვა. ისევ თამაზის ბინაში შევიდნენ.

— კარგი ბინა გქონია, გუჯა, — დაიწყო თამაზმა, — მაგრამ მარფა რომ ცოლად შეირთო, ბებიაც მოჰყვება და ერთ ოთახში ვერ მოთავსდებით.

გუჯამ კარგა ხანს ვერაფერი თქვა.

მერე თითქოს შორიდან დაწყებული ამბავი განაგრძო:

— ნეტავი გამომყვებოდეს და მოვთავსდებით.

თამაზმა მხარზე ხელი დაადო და ბეჯითად უთხრა:

— გუჯა, გაბედნიერდი და უბინაობა არ დაგაბრკოლებს.

— როგორ?

— ჯერ ის მითხარი, როცა მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა დამთავრდება, ისევ ლომციხეში დარჩები?

— დავრჩები. ჩემთვის საქმე გაჩნდება, აქ მირჩევნია.

— რადგან აგრეა, შენი საქმე გამოჩარხულია.

— როგორ?

— როცა მარფას მოიყვან, თქვენ აქ, ჩემს ბინაში, მოთავსდებით, მე კი შენს ბინაში გადავალ.

— რას ბრძანებთ, ეს როგორ იქნება! ამას როგორ ჩავიდენთ! — წამოიძახა გუჯამ, — ამას არ ჩავიდენ. მხოლოდ ის მახარებს, რომ აქაც, ლომციხეშიაც, საიმედო პირისუფალი და მოამაგე მყოლია.

— რაც ვთქვი, იმას უკან არ წავიღებ. მით უფრო, აქედან მე მალე წავალ. კიდევ ერთი წელი თუ დავრჩი, ისიც ბევრია. რაც დამავალეს, შევასრულებ და მერე წავალ, მანამდე კი ერთოთახიანი ბინაც მეყოფა.

— კი, მაგრამ...

— კარგი, ეს საკამათო არაა, — შეაწყვეტინა სიტყვა თამაზმა. მერე ჩემოდნიდან ერთი ბოთლი ღვინოც ამოიღო და გუჯას გადასცა — გახსენი, ახალ ბინებში შემოსვლისა შევსვათ.

თოვდა...

ახალ სახლში ახალ მოსახლეთა ჟრიამული ისმოდა...

4

თამაზი ღამით შინ გვიან მივიდა. კარზე მიმაგრებული საფოსტო ყუთიდან გაზეთები და ერთიც ღია ბარათი ამოიღო... შევიდა ოთახში ბარათი წაიკითხა და გაიფიქრა: „მაშ, ხვალ, დღის პირველ საათზე დაიწყება გამოცდა? შაქრო კი არა ჩანს. მერიდება? საჭიროა თვითონ მივიდე“.

მალე ისევ ქუჩაში გავიდა.

წყნარი ღამე იყო. ციოდა. გაყინული თოვლი შაქარ-ყინულივით იმსხვრეოდა თამაზის ფეხქვეშ. თითქოს მთვარეც დაერთვილა, გაეყინა სიცივეს. მხოლოდ საბარგო ავტომანქანების მინელებული გუგუნი თუ არღვევდა ცივი ღამის მყუდროებას.

დადუმებული, უკაცური ბაღი გადაჭრა. მალე შვინდიაშვილის ბინას მიადგა. კარზე დააკაკუნა. ოთახში ფეხის ხმა გაისმა, კარიც გაიღო.

— თამაზ? — გაკვირვებით თქვა შაქრომ, — მობრძანდით! ვიჯექი, არ მეძინებოდა. თვითონ მოსვლა ვერ გადამეწყვიტა, კომისიის წევრი ხარ და უხერხულად ჩავთვალე.

— მოკლედ რომ ვთქვათ, მეც მომერიდე, არა? აგრე როდი ვარგა. ჩვენ ხომ უცხოები არა ვართ. ვიგრძენ, ამ დღეებში რად დამეკარგე, ამიტომ მოველ. საქმე როგორაა, ხომ ყველაფერი შემოწმეთ წინასწარ?

— შევამოწმეთ, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებ... თითქოს ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი დაზუსტებულია, მაგრამ ახალი საქმეა და ვინ იცის, სად რა დაბრკოლება შეიძლება წარმოიშვას, — თქვა შაქრომ.

შაქრო ამას ამბობდა, მაგრამ გარეგნულად არავითარი მღელვარება არ ეტყობოდა. თითქოს უფრო მშვიდად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე.

თამაზი გამოცდის შედეგებს გაეცნო.

— მთავარია სიდინჯე გამოცდის წუთებში. თუნდაც ოდნავ შეფერხებას შეუძლია უნდობლობის გრძნობა უეცრად წარმოშვას და მოწინააღმდეგე მყისვე წამოყოფს თავს.

— სწორედ იმიტომ შეიძლება ავღელდე, რომ ეს მართალია. მაინც ვეცდები... ჩვენი მუშები ჩვენზე უფრო ღელავენ. ღამეებს თეთრად ათენებდნენ, სანამ ყველაფერი არ მოვათავეთ...

თამაზი რომ წავიდა, შაქრო კიდევ დიდხანს იჯდა ფანჯარასთან და შორს იყურებოდა.

მთვარიანი ღამე დღედ ეჩვენებოდა და თითქოს ამიტომ უძილობა აღარც კი უკვირდა.

„ერთგული მეგობარნი ყველაზე საიმედო ციხე-სიმაგრეა ამქვეყნად“ — გაიფიქრა შაქრომ.

*

* *

დილით, ერთი მოზრდილი კვარტალის ეზოში სადაც ექსკავატორების მთელი მწკრივი მოჩანდა, შაქრო ყველაფერს ხელახლა ამოწმებდა. ბოლოს მის გვერდით მდგომ ამხანაგს უთხრა:

— ბაადურ, მუშაობას შენ უხელმძღვანელე. ჩემს თავს ვერ ვენდობი; შესაძლოა ავღელდე.

ბაადურმა სათვალე მოიხსნა:

— განა მე მშვიდად ვარ? კარგი... ვეცდები!

გამოცდა დაიწყო.

გაიოზმა მღელვარება შენიშნა შაქროს და გაამხნევა:

— ნუ ღელავ, შაქრო, ვნახოთ, შევამოწმოთ, თუ რაიმე დაბრკოლება წარმოიშვა, გამოვასწორებთ; მშვიდად იყავი.

— შაქრო არც ისე სუსტი ნერვების კაცია, რომ ჩვენი გამხნევება დასჭირდეს, — რიხიანად თქვა გურამმა, თუმცა თვითონაც ამჩნევდა, რომ შაქრო უკვე ღელავდა.

— მხნედ უნდა იყო! — ჩაიბუხუნა სმირნოვმა.

შაქრო ბარველიძეს აცქერდებოდა. ეჭვი ჰქონდა, რომ მას არ შეეძლო მიუდგომელი ყოფილიყო ამ სიახლის მიმართ. ამიტომ ყურადღებას აქცევდა ბარველიძის ყოველ მიმოხვრას, გამომეტყველებას.

უცბად რაღაც ზუზუნი გაისმა .მუშაობა შეჩერდა. ზუზუნიც შეწყდა.

— ბაადურ, რა მოხდა?

ყველა ცივწყალგადასხმულივით გამოიყურებოდა, მხოლოდ ბარველიძემ გაიქნია თავი, რაღაც საეჭვოდ ცალი თვალი მოწკურა და სეირნობა დაიწყო.

— მოიცა, მოიცათ! — წამოიძახა უეცრად ხანთაძემ, მივიდა, ელექტრომოტორს სინჯვა დაუწყო, — მე ვფიქრობ, მოტორის ბრალია, დენი არის, რაღაც სხვა დაბრკოლებაა — პალტო გაიხადა, წაიმკლავა, საქმეს შეუდგა.

თამაზიც მიეშველა.

ყოველ დეტალს სინჯვა დაუწყეს.

გაიოზი, გურამი და სმირნოვი ერთმანეთს რაღაც შეფიქრიანებული აცქერდებოდნენ.

შაქრო სახეშიაც აღარავის უცქეროდა.

ნახევარი საათი ნახევარ საუკუნესავით გაგრძელდა.

ერთბაშად მოტორმა გაიზრიალა და ექსკავატორებმაც ჩაბღუჯული ბელტები მაღლა აიტაცა.

მუშები ახმაურდნენ.

ბარველიძე შეკრთა.

შაქრო, თითქოს ტვირთი მოიშორაო, წელში გაიმართა.

— დაბრკოლება მოტორში აღმოჩნდა, — თქვა ხანთაძემ.

გამოცდა შეუფერხებლად გრძელდებოდა. შაქრომ დღეს პირველად შენიშნა როგორ იყურებოდა მისკენ ბარველიძე. თითქოს რაღაც მომხდარიყო მის გულში ამ ხნის მანძილზე მტრობის ნასახიც კი აღარსად ჩანდა.

საკუთარ ხელისგულს აცქერდებოდა, ხანდახან გაიოზსაც გადახედავდა თვალშეპარვით. ის თითქოს გრძნობდა, რომ აქ მყოფთა ყურადღებას შაქროზე მეტად თვითონ იპყრობდა, მაგრამ ცდილობდა ასეთი არასასურველი ყურადღება თავიდან აეშორებინა.

— მაშ, აგრე! სამჯერ სწრაფად, ორჯერ იაფად! ეს სინამდვილეა და არა ფანტაზია! თქვენ რაღას იტყვით? იქნებ რაიმე შენიშვნა გაქვთ? გთხოვთ მოგვახსენოთ, თქვენი აზრი გამოთქვათ, — პირზე განუშორებელი ღიმილით და სიღრმეში ჩასული თვალების ციმციმით თქვა გაიოზმა.

სიჩუმე ჩამოვარდა, უსიტყვოდ იგრძნობოდა, რომ ახლა მხოლოდ ბარველიძის მხრივ ელოდნენ რაიმე შენიშვნას.

„გელოდებიან, გაბედე, ილარიონ, აღიარე“ — გაიფიქრა ბარველიძემ და და ყრუდ თქვა:

— შაქრომ მაჯობა.

ყველამ მას შეხედა. გაოგნებული თვალებით უყურებდნენ. ნუთუ მართლა ბარველიძემ თქვა ეს?! არა, ამას თვით შაქროც არ მოელოდა.

მაგრამ ბარველიძის ეს აღიარება განა მარტო შაქროს აოცებდა? ეს ყველას ახარებდა, იმიტომ კი არა; თითქოს ბარველიძის წინააღმდეგობა რაიმეს შეცვლიდა ახლა, არა! ბარველიძემ დაამარცხა თავისი თავი. აი, ეს იყო მთავარი. ბარველიძემ გაიმარჯვა ბარველიძეზე, კეთილმა საწყისმა სძლია ბოროტ საწყისს.

— შაქროს წარმატება თქვენი მარცხი როდია, ეს ჩვენი საერთო წარმატებაა. — უთხრა მას გაიოზმა.

ბარველიძემ თავი ჩაღუნა. ის ახლა მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში დღეიდან რაღაც ახალი და კარგი იწყებოდა.

* * *

თავის სამუშაო ოთახში შესულმა გაიოზმა გამხდარ, ფერმიხდილ სახეზე ხელი ჩამოისვა.

— კარგია, შაქრომ მაინც თავისი გაიტანა, — უთხრა მან გურამს.

მერე ჩამოვარდნილი სახით გურამმა დაარღვია:

— ჩვენ ბლიუმინგის მშენებლობის უფროსს ვეძებდით, მაგრამ ახლა თვითონ გამოჩნდა.

— ვინ?

— ლომსაძე, უპასუხა გურამმა.

გაიოზმა შუბლზე ხელი იტკიცა:

— ხედავ? სანამ შესაფერი კაცის ძებნაში ვიყავით, ჩამორჩენილი მოწინავე გახდა, და ეს კინაღამ მხედველობიდან გამოგვეპარა! კარგია, კარგი! ჩავაბაროთ ეგ საქმე.

* * *

შინ ერთად წავიდნენ შაქრო და თამაზი. გულში დაფარულ სიხარულზე არაფერს ამბობდნენ. ისინი მთავარ ქუჩაზე გავიდნენ.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, შაქრო შეჩერდა, თოვლის ფიფქით დაწმენდილი ჰაერი ჩაისუნთქა.

— რით შემიძლია გადაგიხადო?

— გადამიხადო? — გაიკვირვა თამაზმა.

— კარგი, თამაზ, მაპატიე, წამომცდა, მეტს აღარ ვიტყვი.

ახლა არ თოვდა, მხოლოდ გაყინული თოვლის ფიფქი ბრწყინავდა ჰაერში...

(გაგრძელება იქნება)

# კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი ნატროშვილი

★

## პოეტი და რევოლუცია

„რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები აშორებს თესვას მკისაგან".

ვ. ი. ლენინი

ყველასათვის გასაგები და უბრალო ამბავია, რომ ხორბლის ერთი პატარა მარცვალი პოტენციურად შეიცავს ოკეანეებივით თვალგადაუწვდენელ აბიბინებულ ჯეჯილებს, რომელთაც შეუძლიათ დაფარონ მთელი დედამიწა. ეს არის სიცოცხლის დიდი საიდუმლოება, მაუწყებელი მისი საზღაპრო ძლევამოსილებისა. იმ პატარა მარცვალში მშვიდად სძინავთ მომავლის ყანებს, რომელთაც ძალუძთ მისცენ კაცობრიობას პური მისი არსობისა, აცოცხლონ ის, შეინახონ, კერა არ ჩაუქრონ კაცთა მოდგმას; ამიტომ არის ხალხში მადლმოსილი ის მთესველი, რომელიც ამ მარცვალს მიწაში გადააგდებს და გზას გაუხსნის, რათა გაღვივდეს ის, ფესვი გაიდგას, დაბუჩქდეს და მუხლი ამოიყაროს. იმ მარცვალს შემთხვევით არ უწოდა ბიბლიამ თესლი კეთილი, და არც ის არის შემთხვევითი, რომ ოდითგანვე თავიანთ სიმბოლოდ სწორედ მთესველი აქციეს იმ ადამიანებმა, ვისაც მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა სიცოცხლე გაეწირა კაცობრიობის განთავისუფლებისათვის. დიახ, სწორედ აქ დაუწყო ძებნა ადამიანმა სახეს, სიმბოლოს თავის ყველაზე სანუკვარი მისწრაფების გამოსახატავად. ამ ძიებამ თავისი სრულყოფილი გამოხატულება პოვა საბჭოთა კავშირის ღერბში, რომელიც არის პურის ერთი ხელეური, ერთი ძნა, რომლის თავთავები გარს შემოხვევიან ამომავალ მზესაც, ჩაქუჩ-ნამგალსაც და მთელ ჩვენს პლანეტასაც; როცა ამ ღერბს ამტკიცებდნენ, მრავალი ვარიანტი წარადგინეს, — ზოგი გამიშვლებულ ხმალსა ხატავდა, ზოგი ცეცხლის ალსა და ბრძოლის ველს, მაგრამ ლენინმა ყველა ეს ვარიანტი უარყო და ისევ თავთავების ის ხელეური შეარჩია, რომელსაც ამომავალი მზის სხივები დაჰნათიან.

ამ სიმბოლოს იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც ადამიანის ნატვრას თავისუფლებაზე. მართლაც, ძველია და მარად ახალი ეს სახე, თვალს ვერ მიაწვდენ მას, საუკუნეთა სიღრმეში მიკარგულს და ვერც ადვილად დაადგენ პირველად ვის წარმოესახა ასერიგად ლანდი მთესველისა, რომელმაც იცის, რომ, თუმცა მკამდე დიდი დრო გაივლის, თვითონ ველარ მოესწრება იმ ჯეჯილის აღაღანებას, რომელსაც თესავს, მაგრამ ამას არ დაგიდევს. ის აკეთებს მას, რასაც ისტორია კარნახობს, მიდის იქით, საითაც გულისხმა მოუხმობს. ამ მთესველებს ამხნევებდა, აგულიანებდა ნეკრასოვი, როცა წერდა თავის ლექსში „Сеятелям":

„Где же вы, умелые, с бодрыми лицами,
Где же вы, с полными жита кошницами?
Труд засевающих робко, крупицами
Двиньте, вперед!
Сейте разумное, доброе, вечное".

და ჩვენს სიამაყეს ის წარმოადგენს, რომ ამ მთესველთა შორის პირველნი იყვნენ პოეტები; სწორედ ისინი გამოვიდნენ с полными жита кошницами, რათა დაეთესათ გონივრული, კეთილი და მარადი თესლი რევოლუციისა. არის ამ ამბავში რაღაც გასაოცარი კანონზომიერება და ეს ხსნის იმასაც, თუ რატომ აქვს მინიჭებული ჩვენს სამშობლოში პოეტს ესოდენ დიდი როლი, ესოდენ დიდი ფუნქცია.

ჰაინრიხ ჰაინე, პოეტი, რომელმაც თავის თავს თავისუფლების დიდი არმიის ჯარისკაცი უწოდა, ამბობდა, რომ ლიტერატურის ისტორია — ეს არის დიდი მორგი, სადაც ყველა ეძებს თავის საყვარელ მიცვალებულებსო, როცა მე ამ მორგში შევდივარო, — განაგრძობდა პოეტი, — გული აჩქარებით იწყებს ცემას, და როგორ შემიძლია გავუარო გვერდით ლესინგსა და ჰერდერს, რომ არ ვემთხვიო მათს სიკვდილისაგან გაფითრებულ ტუჩებსო.

გენიალურად არის ნათქვამი, ლიტერატურის ისტორია მართლაც ვეება მორგია, უფრო ზუსტად — ვეება ბრძოლის ველია, სადაც უთანასწორო შეტაკებაში მკერდგანგმირულნი ასვენიან ჩვენთვის ყველაზე საყვარელი ცხედრები. იმ ბრძოლის ველზე წევს ჩვენი დიდი ილიაც, ბაირახტარი ქვეყნის განახლებისა, მედროშე ახლისა, რომელმაც ჯერ ისევ ჭაბუკობაში წარმოთქვა: სიტყვამ „რევოლუცია" არ შეგაშინოს მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვსო; იქ, იმ ბრძოლის ველის დასაწყისში აღმართულია ხუთი სახრჩობელა, რომელთა შორის ერთზე პოეტი ჰკიდია. გერცენი წერდა:

„ისტორია ჩვენი ლიტერატურისა — ეს ან მარტიროლოგიაა, ან საკატორღო რეესტრი.

რილეევი ჩამოახრჩო ნიკოლოზ პირველმა.

პუშკინი მოკლეს დუელში, ოცდათვრამეტი წლის ასაკში.

გრიბოედოვი გამცემლურად მოკლეს თეირანში.

ლერმონტოვი მოკლეს დუელში, ოცდაათი წლისა, კავკასიაში.

ვენევიტინოვი მოკლა საზოგადოებამ, ოცდაორი წლისა.

კოლცოვი მოკლა თავისმა ოჯახმა, ოცდაცამეტი წლისა.

ბელინსკი მოკლეს ოცდათხუთმეტი წლისა, მოკლეს შიმშილითა და სიღატაკით.

პოლეჟაევი მოკვდა სამხედრო ჰოსპიტალში, კავკასიაში, რვა წლის იძულებითი სამხედრო სამსახურით გაწამებული.

ბარატინსკი მოკლა თორმეტწლიანმა გადასახლებამ.

ბესტუჟევი დაიღუპა კავკასიაში, ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა, ციმბირის კატორღის შემდეგ“.

მართალია, გერცენს აქ ცალკეული ფაქტობრივი არასიზუსტენი აქვს, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ საკაცობრიო ბრძოლის ველზე დაცემულთა შორის მან პირველ რიგში მწერლები დაასახელა. ყოველი ერის ადამიანს შეუძლია მიუმატოს გერცენის ამ სიას თავისი ეროვნული გმირები — ბულგარელები აქ გაიხსენებენ თავიანთ ქრისტო ბოტევს, რომელიც ჩვენს ილიასთან ერთად დასტიროდა პარიზის კომუნის დაცემას და რომელიც მოკლეს ვრაჩანის ბალკანებში, პოლონელები აქ გაიხსენებენ სამშობლოდან სამუდამოდ განდევნილ მიცკევიჩს, უნგრელები — თავიანთ შანდორ პეტეფის — მოკლულსა და დაჩეხილს ბრძოლის ველზე, უკრაინელები — კატორღაში ნაწამებ შევჩენკოს, სომხები — თავიანთ უკვალოდ დაკარგულ ხაჩატურ აბოვიანს, ხოლო ჩვენ, ქართველები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გავიხსენებთ დიდ ილიას, რევოლუციის მაუწყებელს, შრომის სუფევის მქადაგებელს და ადამიანთა განთავისუფლებაზე მეოცნებეს.

რისთვის კლავდნენ პოეტებს, ერთი შეხედვით თითქოს ყველაზე უწყინარი და უვნებელი პროფესიის ადამიანებს, რომელნიც უმღერიან სიყვარულს, სილამაზეს, მზის ამოსვლას და იმ მზის სხივებზე გაბრწყინებულ ნამის მარგალიტებს? რა საჭირო იყო ტყვია და სახრჩობელა მათ მიმართ? მაგრამ ისტორიას თავისი ლოგიკა აქვს; მტერი მუდამ იმასა ცდილობს, მოწინააღმდეგის ლაშქარს სარდალი გამოაცალოს ხელიდან. პუშკინი წერდა რუსეთის იმპერატორის მისამართით:

„Самовластительный злодей!
Тебя, твой трон я ненавижу,
Твою погибель, смерть детей
С жестокою радостью вижу.
Читают на твоем челе
Печать проклятия народы,
Ты ужас мира, стыд природы,
Упрек ты богу на земле“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ამისათვის მოკლეს ის და ყველაფერი დანარჩენი, მთელი ის სასახლის ინტრიგები, პასკვილები, წვრილმანი ვნებათაღელვანი — მარტო ნიღაბი იყო ამ დიდი ბრძოლის დასაფარავად, დასაინტერესოა, რომ პუშკინის ეს ლექსი დაწერილია 1817 წელს — დახეთ, როგორ უცნაურობანი სჩვევია ისტორიას — ჰო, სწორედ 1817 წელს, და არა 1917 წელს, როცა ეს უკვე პუშკინის ლექსი კი არა, ლენინის საბრძოლო მოწოდება იყო, როცა „ავრორას“ ზარბაზნები უკვე ქუხდნენ კაცობრიობის ახალი ისტორიის დასაწყისის მაუწყებლად.

ასე დაიწყეს პოეტებმა დიდი საქმე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ დააგვირგვინა, ასე გადაყარეს მათ პირველი თესლი სიკეთისა სამშობლოს მიწაზე — როგორ კარგად იხარა იმ თესლმა, გაღვივდა, გალაღდა და ისეთი ყლორტები დაიყარა, მზისკენ მიმსწრაფველნი, გათქვირებულნი, რომ მათ წინ ვერაფერი დაუდგათ, ისე როგორც ვერაფერი ვერ დაუდგება წინ დილას — ის აუცილებლად მოვა, ვინაიდან აუცილებელია გათენება მიწაზე. ერთი წესი, ერთი კანონი აქვს ბუნებასაც და კაცთა ცხოვრებასაც.

* * *

ასეთია ყველაზე კეთილშობილური ტრადიცია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისა.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, თუ რად მიანიჭა პარტიამ ესოდენ დიდი როლი პოეტის სიტყვას.

ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ნამდვილ პოეზიაზე, ნამდვილ პოეტებზე, რომლებიც წინ მიუძღვიან ერს, რომელთა გულში, ილიასი არ იყოს, დიდი ღმერთის საკურთხევლის ცეცხლი ღვივის და ნაპერწკლებს აფრქვევს.

და პოეზია მარტო მაშინ კი არა, მარტო იმ ასი თუ ორმოცდაათი წლის წინ კი არა, ახლაც დგას ყველაზე მოწინავე პოზიციებზე, ის არის ხალხის ყველაზე ნამდვილ გულისთქმათა გამომხატველი.

ვინც ბრძოლის ველზე ყოფილა, იმან იცის, როგორ იწყებდნენ გერმანელები შეტევას: მათი არტილერია და ნალმტყორცნელები ჯერ მოწინააღმდეგის წინა ხაზს გადახნავდნენ ხოლმე, ჯერ იმ სანგრებს დაუშენდნენ, რომლებიც ყველაზე ახლოს იყო, შემდეგ კი ცეცხლი სიღრმეში გადაჰქონდათ, იქით გადაჰქონდათ, სადაც გული იყო, სადაც მთავარი ნერვი იყო სიცოცხლისა, როგორც იმ ზღაპარში, სადაც დევგმირის სულს ეძებდნენ, უნდოდათ მოეკლათ ეს დევი, და ვერა კლავდნენ მას, ვიდრე იმ კოლოფს არ იპოვნიდნენ, სადაც მისი სული იყო ჩაკეტილი. რაღაც ასეთი, ზუსტად ასეთი შეტევა დაიწყეს მტრებმა ამ ბოლო ხანებში ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ, მაგრამ, განსხვავებით ჰიტლერელების

საარტილერიო დაბომბვისაგან, მათ ცეცხლი პირდაპირ ღრმა ზურგში გადაიტანეს, მათ იერიში დაიწყეს სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ.

ეს გასაგებიც არის. ეტყობა, ჩვენმა მტრებმა და ცდუნებულმა არამტრებმაც კარგად იციან ჩვენი ლიტერატურის ისტორია. რას მოასწავებს ეს შეტევანი სოციალისტურ რეალიზმზე, თუ არა იმ ბრძოლის გაგრძელებას ძველი სამყაროს მიერ, როცა ის უპირისპირდებოდა ახალს, ნორჩს, აღმოცენებადს. რეაქციას, მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალივით, ვითომდა მტრის თვალის დასათხრელადო, უყვარს გამოეწყოს იმ ტანსაცმელში, რომელსაც მისი მოწინააღმდეგენი ატარებდნენ ოდესღაც. ამიტომ დაირქვეს ცოფიანები („ვშჩელკლი“) იმ პოლონელმა ლიტერატორებმა, რომელთაც პირველებმა შეუტიეს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას და თავიანთი ჭკუით ვითომ კიდეც დაამხეს ის. მაგრამ ნამდვილად არა ჰგვანან ისინი იმ ცოფიანებს — ვარლეს, შალიეს, ლენკერკს, რომელთაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ყველაზე მარცხენა ფლანგი ეჭირათ და პირველი მოიერიშენი იყვნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ახალი ცოფიანები კი კაპიტალიზმს როდი უტევენ, სოციალისტურ რეალიზმს ებრძვიან, სტალინისა და გორკის მიერ მოგონილ ქიმერად აცხადებენ მას, აბსტრაქციად აცხადებენ და ეს იმ დროს, როცა სოციალისტური ლიტერატურა ითვლის უამრავ წიგნს, სამუდამოდ რომ შევიდნენ კაცობრიობის სულიერ საგანძურში.

რა ფასი აქვს ამის მერე ცოფიანების განცხადებას — სოციალისტური რეალიზმი აჩრდილია, მირაჟია, რომელიც სინამდვილეში არ არსებობსო.

ეს ახლადმოვლენილი ცოფიანები ცდილობენ ხაზი გადაუსვან, წაშალონ საბჭოთა ლიტერატურის მთელი ისტორია, წაშალონ მასში ის, რაც ყველაზე მოწინავეა, ყველაზე სანუკვარია. პოლონეთში გამოდის ჟურნალი „ოპიენიე“ („მოსაზრებანი“); თავისი პირველი ნომერი ამ ჟურნალმა მიუძღვნა ახალ რუსულ საბჭოთა ლიტერატურას და მის ყველაზე დიდ მიღწევებად მიიჩნია მარინა ცვეტაევას ლექსები და ა. იაშინის უხეირო, ორგვერდიანი მოთხრობა „ბერკეტები“, სადაც მრუდე სარკეშია წარმოდგენილი მთელი ჩვენი სინამდვილე.

ეს არის და ეს. თურმე ამ სახელებით იწყება და აქვე თავდება ახალი რუსული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია. მაგრამ ეს როდია მთავარი: მთავარია ის, რომ ცოფიანები აუქმებენ თვით პოლონური ლიტერატურის ყველაზე კეთილშობილურ ტრადიციას, მიცკევიჩის ტრადიციას — პოეტის მოქალაქეობრიობას, მის საბრძოლო შემართებას კაცობრიობის განთავისუფლების სახელით.

ამ ცოფიანების ხმას აყოლილი ახალგაზრდა პოლონელი პოეტი ბოგდან დროზდოვსკი წერს ლექსს „თექვსმეტი წლის გოგონა, შეღებილი ტუჩებით“. ლექსში დაცინვით არის მოხსენებული ინდუსტრიაც და არმიის შეიარაღებაც, ხოლო ადამიანური ცხოვრების უმაღლეს მიზნად ნეილონის ჩულქებია მიჩნეული. ეს ლექსი ცალკეულმა კრიტიკოსებმა ყველაზე წინა პლანზე წამოსწიეს, ეპოქის ყველაზე ადამიანურ დოკუმენტად მიიჩნიეს, იმავე დროს, ის დაავიწყდათ, თუ რა დღეში იქნებოდა ახლა ევროპა, ის ინდუსტრია რომ არ ყოფილიყო, საბჭოთა ხუთწლედებმა რომ გამოსჭედეს, ის შეიარაღება რომ არა, საბჭოთა ქვეყანამ თავისი არმია რომ აღჭურვა; აბა არ ამოქმედებულიყო პირველი ბრძმედი კუზნეცკში ცხრაას ოცდათორმეტ წელს, აბა სტალინგრადის სატრაქტოროს არ აეთვისებინა თავისი საპროექტო სიმძლავრე, აბა ჩელიაბინსკის გიგანტი არ მიჰყოლოდა მათ; მაშინ ნახავდით, რა დღეში იქნებოდა ახლა ევროპა. ფერფლი-ღა დარჩებოდა ლამაზი ვარშავისაგან, პარიზისაგან, მთელი კაცობრიობისაგან. და ახლა ყველას მონის უღელი გვედგმებოდა ქედზე — ქართველებსაც და პოლონელებსაც, ბულგარელებსაც და რუმინელებსაც. იმ ინდუსტრიამ იხსნა მსოფლიო, სწორედ იმ ინდუსტრიამ, რომელზეც ასე აგდებულად ლაპარაკობს ახალგაზრდა პოეტი და მას უპირისპირებს ნეილონის ჩულქებს — ეს არის არგაგება იმისა, თუ რა არის მთავარი და რა არა ხალხების ცხოვრებაში, ხალხებისა, რომელნიც თავიანთი საუკეთესო შვილებით სისხლის ფასად იცავენ თავიანთ თავისუფლებას.

ასე მიდის ე. წ. სიღრმეში დაბომბვა ახალი ეპოქის პოეზიისა, სოციალისტური რეალიზმის პოზიციებისა.

ასე იყო უნგრეთშიც, სადაც ესთეტიკის განყენებული საკითხებით დაიწყეს, პირველად სოციალისტურ რეალიზმს შეუტიეს და იმავე წუთს ამერიკელებმა ამ „ესთეტიკოსებს“ ტყვიამფრქვევები შეაჩეჩეს ხელში. როგორც ეტყობა, მშვენიერების პრობლემიდან სადაზგო ტყვიამფრქვევამდე ძალიან მცირე მანძილია და კლასობრივი ბრძოლების სადემარკაციო ხაზიც ზედ პოეზიის შუაგულზე გადადის.

ასე იყო ისტორიულად, ასეა ახლაც.

პირველად როდი უტევენ ოქტომბრით წარმოშობილ და ოქტომბრის წარმომშობელ რევოლუციურ მწერლობას. ლიტერატურის ისტორია აღსავსეა ამ ბრძოლით, მაგრამ არასოდეს დაუხრია დროშა ამ დიდ ლიტერატურას, ის დროშა, რომელზეც კაცობრიობამ ამაყად წააწერა წმინდა მცნებანი:

„შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.

აქ ნათლად არის გამოხატული ოქტომბრის სამარადისო და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. სიფრაშვილი

★

# ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა, მარქსიზმ-ლენინიზმის პრაქტიკულად განხორციელების, კაპიტალიზმის ნგრევისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა, ახალი ისტორიის შემოქმედი მშრომელი ხალხის თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონად გადაქცევისა, მათი ინიციატივის, ნიჭისა და ტალანტის გაფურჩქვნისა და აყვავების ერა.

ძლევამოსილმა, დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძვლიანად შეარყია იმპერიალიზმი, გაუადვილა მსოფლიო პროლეტარიატს ექსპლოატატორთა კლასების ბატონობის დამხობისათვის ბრძოლა და გენიალური ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია ინტერნაციონალურ ძალად, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის „დამკვრელ ბრიგადად გადაიქცა".

მარქსიზმის მდიდარი მემკვიდრეობის შემოქმედებითად გამავითარებელმა გენიალურმა ლენინმა მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია შეაიარაღა თეორიულად, შეაკავშირა-შეადუღაბა ორგანიზაციულად, განამტკიცა და გამობრძმედა პოლიტიკურად, გადააქცია მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებულ დისციპლინირებულ უძლეველ რაზმად, პროლეტარული ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად, მშრომელთა მილიონიანი მასების მაორგანიზებელ, წარმმართველ, უბადლო ხელმძღვანელ ძალად.

კომუნისტური პარტია ხალხთა ბელადის დიდი ლენინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1905 — 1907 წლების რევოლუციისა და 1907 — 1910 წლების რეაქციის პერიოდში მუშათა კლასისა და გლეხობის შეტევისა და უკან დახევის რთულ პირობებში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, იდეურად ძლევდა მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებს და სწორად წარმართავდა ხალხთა მილიონიანი მასების ბრძოლას ცარიზმზე გამარჯვებისათვის, რათა გაწმენდილიყო გზა სოციალისტური რევოლუციისათვის, სოციალიზმისათვის.

პირველმა მსოფლიო ომმა ცხადჰყო მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიებისა და მათი ბელადების აშკარა გადასვლა იმპერიალიზმის მხარეზე, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, მხოლოდ კომუნისტური პარტია აღმოჩნდა მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგული, სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ერთგული, ყველა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების ერთგული. მან არა მარტო გამოამჟღავნა ომის ყაჩაღური იმპერიალისტური ხასიათი, საქვეყნოდ ამხილა მენშევიკების, ესერების და მათი საზღვარგარეთული მასწავლებლების მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ბელადების მოღალატური სახე, არამედ იმპერიალიზმს წაუყენა სასიკვდილო განაჩენი და გადაჭრით მოითხოვა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა.

მარქსიზმის შემოქმედებითად განვითარების საფუძველზე მარქსისტულ ლიტერატურაში გენიალურმა ლენინმა პირველმა მოგვცა იმპერიალიზმის ღრმა მეცნიერული ანალიზი თავის კლასიკურ შრომაში; „იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". მან ამ შრომაში მეცნიერულად დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიაა, მომაკვდავი კაპიტალიზმია, „პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინა დღეა".

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა და ცხადჰყო, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში იზრდება მშრომელი მასების ჩაგვრა, ექსპლოატაცია, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ძარცვა-გლეჯა, მშრომელთა აბსოლუტური და შედარებითი გაღატაკება, რაც დღის წესრიგში აყენებს რევოლუციური აფეთქების საკითხს, მეტროპოლიურ ქვეყნებში, ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ომების საკითხს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ლენინმა დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი ასუსტებს კაპიტალისტური წყობილების ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებს, პროლეტარიატი მიჰყავს რევოლუციისაკენ და აჩქარებს პროლეტარული რევოლუციის მოახლოვებას.

ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ სტატიებში „ევროპის შეერთებულ შტატების ლოზუნგის შესახებ", „სოციალ-დემოკრატიის სამხედრო პროგრამა" და კლასიკურ შრომაში „იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" — გენიალურად შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია. მან იმპერიალიზმის ეპოქის წინააღმდეგობის ღრმა ანალიზის საფუძველზე გააკეთა მეცნიერული დასკვნა იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკუ-

რი უთანაბრო ნახტომისებური განვითარების გამო შესაძლებელია იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევა მის ყველაზე სუსტ რგოლში, რომ შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად რამოდენიმე ან თუნდაც ერთ ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის დამთავრებული თეორია, რითაც ვ. ი. ლენინმა ახალი საბრძოლო-სამოქმედო გზა უჩვენა ყველა ქვეყნის პროლეტარიატს ნაციონალური ბურჟუაზიის წინაამდეგ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. მეფის რუსეთი, რომელიც ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევისათვის ყველაზე სუსტი რგოლი აღმოჩნდა.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც შეიარაღებული იყო სოციალისტური რევოლუციის ლენინური ახალი თეორიით, დარაზმა მუშათა კლასი და მისი საიმედო მოკავშირე გლეხობა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისთვის, ცარიზმის დამხობისა და ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტური რევოლუციაში გადაზრდისა იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტისათვის მეფის რუსეთში.

მაგრამ კომუნისტური პარტიის ბელადის ლენინის რუსეთში და მისი მოწაფეების პეტერბურგში არ ყოფნისა და მენშევიკებისა და ესერების მიერ ანტიხალხური მოღალატური პოლიტიკის გატარების გამო, ომით და შიმშილით განაწამები ხალხთა მასები რევოლუციის გამარჯვებით გაბრუებულნი წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენაში მოექცნენ და ცარიზმის დამხობის შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების გვერდით შეიქმნა ბურჟუაზიის დროებითი მთავრობა.

შექმნილმა ვითარებამ ორძალაუფლებიანობის რთულ პირობებში რევოლუციის გენიის ლენინისა და კომუნისტური პარტიის წინაშე დღის წესრიგში ახალი ამოცანა დააყენა; გაენთავისუფლებინათ მუშათა-გლეხთა და ჯარისკაცთა მილიონიანი მასები დროებითი მთავრობისა და მენშევიკურ-ესერულ თვალთმაქცური პოლიტიკის გავლენისაგან და დაეწყოთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციისაკენ გადაზრდა.

ამ ისტორიულ ამოცანას ისახავდა მიზნად ჯერ კიდევ „წერილები შორიდან“, რომლებიც ლენინმა თებერვლის რევოლუციის მრისხანე დღეების ამბების ანალიზის შედეგად დაწერა შვეიცარიაში.

ვ. ი. ლენინმა თავის წერილში საყოველთაოდ ცხადჰყო, რომ ბურჟუაზიულ მთავრობას არ შეეძლო ხალხის საკეთილდღეოთ არცერთი საკითხის გადაწყვეტა; მას არ შეეძლო ხალხისათვის მიეცა არც ზავი, არც პური და არც თავისუფლება, რადგან ეს რევოლუციური ღონისძიებანი ეწინააღმდეგებოდა იმპერიალისტური ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებს. ამიტომ ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ პირველ წერილში „შორიდან“ წერდა: — „მუშებო, თქვენ გამოიჩინეთ პროლეტარული, ხალხური გმირობის სასწაულები სამოქალაქო ომში ცარიზმის წინააღმდეგ, თქვენ უნდა გამოიჩინოთ პროლეტარული და საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციის სასწაულები, რათა მოამზადოთ თქვენი გამარჯვება რევოლუციის მეორე ეტაპზე“, (ლენინი ტ. 23, გვ. 406 — 407).

ამ მოწოდებით სიტყვებში ვ. ი. ლენინი იძლეოდა პროლეტარიატის ახალ სამოქმედო პროგრამას. აუცილებელი გახდა რევოლუციის გენიის ლენინის დაუყოვნებლივ ჩამოსვლა რუსეთში, სადაც ჩაღდებოდა სახალხო მოძრაობის მძლავრი ხანძარი. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობისა, რომელსაც ჰქმნიდნენ რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები ბოლშევიკ-ემიგრანტებისა და კერძოთ კომუნისტური პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის რუსეთში ჩამოსვლის წინააღმდეგ—ვლადიმერ ილიას-ძე გერმანიაზე გავლით 1917 — წლის 3 აპრილს პეტროგრადში ჩამოვიდა.

თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთში შექმნილ რთულ ვითარებაში სწრაფად გარკვევა, ხალხთა მილიონიანი მასების დროებითი მთავრობისა და მისი დამხმარე მენშევიკებისა და ესერების თვალთმაქცური გავლენისაგან განთავისუფლება, რევოლუციის მეორე ეტაპისათვის ახალი საბრძოლო-სამოქმედო მიზნის დასახვა და შეუცდომლად ამ მიზნისაკენ სახალხო მოძრაობის წარმართვა მოითხოვდა არაჩვეულებრივი ძალის, გონების, აზრისა და ნებისყოფის ისეთ ადამიანს, როგორიც იყო რევოლუციის გენია დიდი ლენინი. 3 — აპრილიდან რევოლუციის ბელადი დიდი ლენინი სათავეში ჩაუდგა უშუალოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლის საქმეს და მან „რევოლუცია, — როგორც მისი მოწაფე და თანამებრძოლი ი. სტალინი შენიშნავდა, — ერთი მოქნევით ახალ სიმაღლეზე აიყვანა“.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის გენიალური პროგრამა ვ. ი. ლენინმა მოგვცა თავის ცნობილ აპრილის თეზისებში. მან მარქსიზმის შემოქმედებითად გამდიდრების საფუძველზე აპრილის თეზისებში მოახდინა ახალი აღმოჩენა იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად უნდა გამხდარიყო არა პარლამენტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც ლენინამდე მარქსისტები ფიქრობდნენ, არამედ საბჭოების რესპუბლიკა. ვ. ი. ლენინის ამ გენიალურმა აღმოჩენამ უდიდესი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში.

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები საფუძვლად დაედო ჩვენი პარტიის VII კონფერენციას, რომელიც 1917 წლის 24-აპრილს შეიკრიბა პეტროგრადში. კონფერენციამ ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ახალი გეზი, გამოამჟღავნა და დაგმო კამენევის, რიკოვისა და მათი მცირერიცხოვანი თანამოაზრეების ანტილენინური მოთხოვნა და მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება აპრილის თეზისების ცხოვრებაში გასატარებლად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის.

მაგრამ ბურჟუაზია მენშევიკებისა და ესერების აქტიური დახმარებით რევოლუციის წინააღმდეგ აშკარა შეტევაზე გადავიდა, 3 — 5-ივლისს დახვრიტა მშვიდობიანი დემონსტრაცია პეტერბურგში და დაამყარა სისხლიანი კონტრრევოლუციური დიქტატურა. რევოლუციის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ალვირახსნილმა კონტრრევოლუციურმა შეტევამ აიძულა კომუნისტური პარტია და მისი ბელადი ლენინი გადასულიყვნენ არალეგალურ მდგომარეობაზე და იატაქქვეშეთიდან დაეწყოთ შეიარაღებული აჯანყების მომზადება. რევოლუციის ბელადი ვ. ი. ლენინი ივლისის ამბების შემდეგ, როგორც კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის მიერ დევნილი, არალეგალურად ცხოვრობდა სადგურ რაზლივის მახლობლად და იქიდან ხელმძღვანელობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას, ხალხთა მილიონიანი მასების პოლიტიკური არმიის მომზადებას, შეიარაღებული აჯანყების მომზადებას.

გენიალურმა ლენინმა, როგორც აზრისა და მეცნიერული განჭვრეტის გიგანტმა, ხალხთა მასების აბობოქრებულ მრისხანე ბრძოლების ხელმძღვანელობის დიდ ოსტატ-ორგანიზატორმა სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და შეიმუშავა ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის საბრძოლო მოქმედების ახალი ტაქტიკა.

შეიარაღებული აჯანყების საკითხი გადაწყვიტა პარტიის VI ყრილობამ პეტერბურგში. (რომლის მუშაობა მიმდინარეობდა არალეგალურად 26-ივლისიდან 3-აგვისტომდე). ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა ლენინის დირექტივების საფუძველზე. იგი ყრილობის მუშაობას ხელმძღვანელობდა იატაქქვეშეთიდან თავისი მოწაფეების და თანამებრძოლთა — სტალინის, სვერდლოვის, ორჯონიკიძის და სხვების საშუალებით.

VI ყრილობის ძირითადი საკითხები იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ორივე ამ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა ი. სტალინი, რომელმაც ლენინურ დირექტივებზე დაყრდნობით ზუსტად შეაფასა 3 — 5 ივლისის შემდეგ რუსეთში შექმნილი მდგომარეობა და გადაჭრით მოითხოვა შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხის ლენინის მითითებათა საფუძველზე გადაწყვეტა, ი. სტალინი მტკიცედ იცავდა რა ვ. ი. ლენინის მითითებას შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ — ყრილობაზე ტროცკისტ პრეობრაჟენსკის ოპორტუნისტული მოთხოვნის წინააღმდეგ განაცხადა, რომ „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სახელდობრ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა.., საჭიროა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა“. (VI ყრილობის ოქმები, გვ. 233 — 234).

VI ყრილობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის შესახებ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესახებ. ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბოლშევიკებმა გაშალეს დაძაბული რევოლუციური მუშაობა მუშებში, გლეხებში და ჯარისკაცებში და ამზადებდნენ მათ გადამწყვეტი იერიშისათვის ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად.

ამ დროს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდა ორი ძალა: ძალა კონტრრევოლუციისა და ძალა რევოლუციისა. ძალა კონტრრევოლუციისა მიზნათ ისახავდა ისტორიული განვითარების ბორბლის შეჩერებას, რევოლუციის სისხლში ჩახშობას და იმპერიალისტური ომის გაგრძელებას. მეორე ძალა ახალი ისტორიის შემოქმედი მშრომელი ხალხისა, დიადი განთიადის დასაწყისის ძალა, რომელიც დიდი ლენინის ხელმძღვანელობით ამსხვრევდა ძველს და საფუძველს უყრიდა ახალ ცხოვრებას. კონტრრევოლუციის ძალამ გენერალ კორნილოვის მეთაურობით და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის აქტიური მხარდაჭერით მოაწყო ამბოხება და დაიწყო შეტევა პეტერბურგზე, რათა ჩაეხშო რევოლუცია და აღედგინა მეფის ძალაუფლება. მაგრამ ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლებისა და მოწაფეთა ხელმძღვანელობით ფეხზე დააყენეს ხალხთა მასები, გაანადგურეს კორნილოვის ამბოხება და რესტავრატორების ცდა მარცხით დამთავრდა. კორნილოვის ამბოხების განადგურებამ — მიუთითებდა ლენინი — დასაბამი მისცა ახალ პერიოდს, რევოლუციის ისტორიაში დაიწყო იერიშის მომზადების ორგანიზაციის პერიოდი, როდესაც კვლავ დღის წესრიგში დადგა ლოზუნგი მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადაცემის შესახებ, რადგან ამ დროისათვის აშკარა გახდა მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკური გაკოტრება და სწრაფად მიმდინარეობდა საბჭოების ბოლშევიზაცია.

7-ოქტომბერს რევოლუციის გენია ლენინი ჩამოვიდა არალეგალურად ფინეთიდან პეტერბურგში და სათავეში ჩაუდგა შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საქმეს. 10-16 ოქტომბერს ჩატარდა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით პარტიის ც. კ-ის ისტორიული სხდომები, რომლებმაც გა-

დაწყვიტეს შეიარაღებული აჯანყების დაჩქარებისა და აჯანყების მომზადებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საკითხები. მიუხედავად ოპორტუნისტების მიერ გააფთრებული წინააღმდეგობისა ც. კ-ის 16-ოქტომბრის სხდომამ ვ. ი. ლენინის წინადადებით აირჩია შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი: სტალინის, სვერდლოვის, ძერჟინსკის, ურიცკის, ბუბნოვის შემადგენლობით. ეს პარტიული ცენტრი წარმოადგენდა პეტროგრადის საბჭოსთან არსებული სამხედრო რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელ ბირთვს და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა აჯანყებას.

21-ოქტომბერს ვ .ი. ლენინის მითითებით გაიგზავნა ყველა რევოლუციურ ნაწილებში სამხედრო- რევოლუციური კომიტეტის კომისრები ადგილებზე აჯანყების ხელმძღვანელობის გასაწევად. მიუხედავად დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის თავმჯდომარის კერენსკის მუქარისა, რომ „ცეცხლითა და მახვილით ჩაახრჩობდა ყოველგვარ გამოსვლას“, 24-ოქტომბერს ბოლშევიკების გაზეთმა „რაბოჩი პუტმა“ გამოაქვეყნა მოწოდება „დაემხოთ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა“. 24-ოქტომბერს ღამით სმოლნში, რევოლუციის შტაბში მოვიდა ვ. ი. ლენინი და უშუალოდ აიღო ხელში აჯანყების მთელი ხელმძღვანელობა. იმ ღამით და მეორე დღეს 25-ოქტომბერს დილით ვ. ი. ლენინის მითითებით წითელი გვარდიის რაზმებმა დაიკავეს ვაგზლები, ფოსტა, ტელეგრაფი, სამინისტროები, სახელმწიფო ბანკი.

25-ოქტომბერს კრეისერმა „ავრორამ“ ზამთრის სასახლისაკენ მიმართულ ზარბაზნების ჭექა-ქუხილით ამცნო ქვეყანას დიადი განთიადი, ახალი ერის დასაწყისი.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის დიდი ლენინის გენიალური ორგანიზატორობით პირველად გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი მეფის რუსეთში, დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რაც ცალკეულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის კლასიკურ განხორციელებას წარმოადგენდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გრიგალისა და ქარიშხლის მრისხანე დღეებში სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე 1917-წლის ოქტომბერში შეიქმნა ლენინური მოძღვრების საფუძველზე კაცობრიობის ისტორიაში პირველი საბჭოთა მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ ყრილობამ ვ. ი. ლენინი აირჩია. საბჭოების II-ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები, ზავისა და მიწის შესახებ, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა სოციალისტურმა სახელმწიფომ თავისი ძლიერება და სიცოცხლის-უნარიანობა საქვეყნოდ დაამტკიცა ჯერ კიდევ 1918 — 1920 წლებში, როცა გმირმა საბჭოთა ხალხმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციაზე და შინაურ კონტრრევოლუციაზე.

დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის უდიდესი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შემოღებულმა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა 1921-წლიდან წარმოადგენდა უდიდეს შემობრუნებას სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ისტორიაში, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცების ისტორიაში.

უდიდესი მოვლენა იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიაში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მრავალეროვან ხალხთა დიდი ოჯახის — სსრ კავშირის შექმნა. სსრ კავშირის შექმნით საბჭოთა ქვეყანა გადაიქცა სერიოზულ საერთაშორისო ძალად, რომელსაც შეუძლია მოახდინოს და ახდენს კიდეც შესამჩნევ გავლენას საერთაშორისო ვითარებაზე ყველა მშრომელთა სასარგებლოდ, მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმის, სასარგებლოდ მთელ მსოფლიოში.

მშობლიურმა პარტიამ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სწორად წარმართა მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის შემოქმედებითი ძალები დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით სახალხო მეურნეობის აღსადგენად და გმირმა საბჭოთა ხალხმა მიუხედავად გაუგონარი სიძნელეებისა, კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტების გააფთრებული წინააღმდეგობისა, მიაღწია მოკლე დროში სახალხო მეურნეობის აღდგენას.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური მოძღვრების განხორციელებისათვის ბრძოლებში მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ ი. სტალინის მეთაურობით იდეურად გაანადგურა ლენინიზმის მტრები, ტროცკისტები, ზინოვიელები, ბუხარინელთა პანიკიორები, დაიცვა და შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი და უზრუნველყო საბჭოთა გმირი ხალხის სწორად წარმართვა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემოღებამ ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა საბჭოთა დემოკრატიის განვითარების ისტორიაში, მან საქვეყნოდ ნათელჰყო სოციალისტური დემოკრატიის ხალხურობა და ყოველმხრივ უპირატესობა ყველა სახისა და ფორმის დემოკრატიაზე კაცობრიობის ისტორიაში.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებით სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანზე

ექსპლოატაცია, მოისპო ერებს შორის ფაქტიური უთანასწორობა, განმტკიცდა სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური ერთიანობა, განმტკიცდა ხალხთა მეგობრობა და პატრიოტიზმი, რომლებიც სოციალისტური წყობილების მძლავრ მამოძრავებელ ძალებად გადაიქცნენ.

გენიალური ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ და სოციალისტურმა სახელმწიფომ თავისი უძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ნათელჰყო 1941 — 1945 წლებში დიდი სამამულო ომის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ი. ბ. სტალინის მეთაურობით ჩაშალა ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების ყველა ვარაუდი, ფეხზე დააყენა არმია და ხალხი, ქვეყანა გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე, ფოლადის კედლად შეადუღაბა ფრონტი და ზურგი, ყველაფერი დაუმორჩილა მტრის განადგურებისათვის ბრძოლის ინტერესებს და ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა ფაშისტურ გერმანიაზე და იაპონიის იმპერიალიზმზე.

მსოფლიო რეაქციის დასხყრდენის ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე გამარჯვებით სსრ კავშირმა იხსნა მსოფლიოს კულტურა განადგურებისაგან და მშრომელი ხალხი მონობისაგან. სსრ კავშირის იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიური დახმარებით ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში მშრომელმა ხალხმა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა და შექმნეს პროლეტარიატის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა სახალხო-დემოკრატიული წყობილება, სადაც მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია სსრ კავშირის მდიდარი გამოცდილებით შეიარაღებულნი წარმატებით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, რომ რომელიმე ეპოქაში, რომელიმე ქვეყანაში მომხდარიყო ისტორიის მოკლე მონაკვეთში, რაღაც 40-წლის მანძილზე ისეთი გრანდიოზული ცვლილებები სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და კულტურის აყვავება და გაფურჩქვნა, როგორც ამას ადგილი აქვს გამარჯვებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქვეყანაში — სსრ კავშირში.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გმირულად დასძლია ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო წინააღმდეგობანი, ააშენა სოციალიზმი და მოამზადა ყველა პირობა სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი საკაცობრიო ისტორიული მნიშვნელობა, არა მარტო იმაშია, რომ მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით ჩამორჩენილი რუსეთი სოციალისტური წარმოების წესის შემოღების საფუძველზე 40-წლის მანძილზე მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე ძლიერ და ყველაზე კულტურულ ქვეყნად გადაიქცა, არამედ იმაშიაც, რომ ახლა ლენინური პარტია და გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა სსრ კავშირი, მაგალითისა და მიმართულების მიმცემია მოძმე პარტიებისათვის, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლებში.

ახლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლის თავზე სსრ კავშირი ერთადერთ ქვეყანას კი აღარ წარმოადგენს კაპიტალისტური სამყაროს ოკეანეში, არამედ სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა და ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მესამედზე მეტმა სამუდამოდ დააღწია თავი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის უღელს და მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, წარმატებით იბრძვის ახალი საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

„განვლილი ორმოცი წლის მოვლენები მოწმობენ — ნათქვამია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლის თავისათვის გამოქვეყნებულ თეზისებში, რომ მხოლოდ საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელშიც იგი შეიყვანა კაპიტალიზმმა, გადაჭრას მომწიფებული სოციალური პრობლემები, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას თანამედროვე ეპოქაში. მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია შეუზღუდველი გზა მისცეს საწარმოო ძალების განვითარებას, ბოლო მოუღოს ეკონომიურ კრიზისებს, უმუშევრობას, მშრომელთა სიღატაკეს, ახალი, ყველაზე გამანადგურებელი ომების საფრთხეს, უზრუნველყოს ხალხებისათვის მტკიცე მშვიდობა. მხოლოდ სოციალიზმი და კომუნიზმი უსახავენ კაცობრიობას მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების უსაზღვრო განვითარების და ადამიანის პიროვნების ყოველმხრივ განვითარების პერსპექტივებს“.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული სსრ კავშირის მრავალეროვანი კომუნიზმის მშენებელი ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლის თავს აღნიშნავს ახალი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ვითარებაში, ხალხთა შორის ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური ერთიანობის განვითარებისა და განმტკიცების ვითარებაში, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცების ვითარებაში, სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთაურობით მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის შეუნელებელი ბრძოლის ვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. სიხარულიძე

★

# საქართველოს კომუნისტური პარტია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია რუსეთის ხალხთა ცხოვრებაში. დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ შეიქმნა „განაგრძობდა იმპერიალისტურ ომს, ახორციელებდა ანტიხალხურ პოლიტიკას. მას არ სურდა და არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მუშებისა და გლეხების სასიცოცხლო საჭიროებანი“ [1]. კერძოდ, საქართველოში კაპიტალისტები და მემამულეები ძველებურად განაგრძობდნენ ბატონობას და მუშებისა და გლეხების მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა.

მიუხედავად ამისა თებერვლის რევოლუცია დიდი პროგრესული მოვლენა იყო. დაამხო რა მეფის მთავრობა, რომელიც დიდი ხანია აფერხებდა რუსეთის ხალხთა განვითარებას, თებერვლის რევოლუციამ დაამთავრა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი ეტაპი და გზა გაკაფა მეორე ეტაპზე გადასვლისათვის სოციალისტური რევოლუციისათვის. თებერვლის რევოლუციის შედეგად იატაკქვეშეთიდან გამოვიდა კომუნისტური პარტია და დიდი ლენინის მეთაურობით სათავეში ჩაუდგა მშრომელ მასებს რევოლუციის მეორე ეტაპზე გამარჯვების მოპოვებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პარტია მაშინ მეტად მცირერიცხოვანი იყო, იგი ერთადერთი ჩაუდგა სათავეში პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოღვიძებულ მრავალმილიონიანი მშრომელი მასების ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის.

საქართველოს ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ პრაღის კონფერენციის წინ ჩაუყარეს საფუძველი თავიანთ დამოუკიდებელ ორგანიზაციას. 1911 წლის გაზაფხულზე თბილისსა და სოხუმში ბოლშევიკური ორგანიზაციები მენშევიკებისაგან დამოუკიდებლად და მათ წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში აღდგნენ. პრაღის კონფერენციამ როგორც მთელ რუსეთში ისე საქართველოშიც საბოლოოდ განდევნა მენშევიკები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან და განამტკიცა ბოლშევიკების ორგანიზაციული ერთიანობა.

1917 წლის 6 მარტს ზუბალოვის სახალხო სახლში შედგა თბილისის ბოლშევიკების კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებლად განეგრძოთ თავიანთი მოღვაწეობა. კრებაზე აღმოჩნდნენ მენშევიკებთან გაერთიანების მომხრეებიც (ნ. ელიავა, ნ. ქარციეაძე და სხვ.), მაგრამ ისინი უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდნენ [1]. თბილისელ ბოლშევიკთა ამ გადაწყვეტილების უმნიშვნელოვანესი შედეგი ის იყო, რომ თბილისის მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო ჩამოყალიბდა ბოლშევიკების ინიციატივით და მასში ბოლშევიკების გავლენა სჭარბობდა [2].

თბილისელ ბოლშევიკთა გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მუშაობის შესახებ გაიზიარეს ბაქოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელმა მუშაკებმა (ფიოლეტოვმა, ბასინმა და სხვებმა) მაგრამ ბაქოს ბოლშევიკთა კრებამ ისე როგორც შემდეგში თბილისელმა ბოლშევიკებმა მხარი დაუჭირეს მენშევიკებთან გაერთიანებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ გაერთიანებას ფორმალური ხასიათი უფრო ჰქონდა ვიდრე არსებითი (თვითეულ მხარეს თავიანთი გაზეთები ჰქონდა, იყო იდეური ბრძოლის თავისუფლება, მხოლოდ კრებები იწვეოდა გაერთიანებული და ისიც ცხარე ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა) და იგი დიდხანს არ გაგრძელებულა (თბილისში გაგრძელდა დაახლოებით ერთ თვეს, ბაქოში — ცოტა მეტ ხანს) მან გარკვეული ზიანი მოუტანა ბოლშევიკური ძალების კონსოლიდაციის საქმეს. ეს შეცდომა გამოსწორებულ იქნა რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის შემდეგ, რომელმაც ლენინის განთქმული „აპრილის თეზისების“ საფუძველზე დასახა რევოლუციის პირველი ეტაპიდან — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან, მის მეორე ეტაპზე — სოციალის-

---

1 თეზისები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის (1917 — 1957).

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ს. ქავთარაძის მოგონება, გვ. 57-58.

2 ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, სახელგამი, 1927 წ., გვ. 48.

ტურ რევოლუციაზე გადასვლის კონკრეტული გზები.

1917 წლის 5 მარტს — სამი წლის აკრძალვის შემდეგ, გამოსვლა განაახლა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „პრავდამ". „პრავდის" გამოსვლის შემდეგ რუსეთში ფართოდ გაიშალა საგამომცემლო მუშაობა. რუსეთის სხვა ადგილებთან ერთად ბოლშევიკური გაზეთებით მოიფინა კავკასიაც. 1917 წლის 11 მარტს გამოსვლა იწყო „კავკაზსკი რაბოჩიმ", აპრილში — „ბაკინსკი რაბოჩიმ", ხოლო უფრო გვიან ქართულმა „ბრძოლამ" და სომხურმა „ბანვორი კრივიმ" (მუშათა ბრძოლა).

ბოლშევიკების ინიციატივით თბილისში ჩამოყალიბდა მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო, მაგრამ საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი სხდომა დამთავრებული არ იყო, როცა მოულოდნელად კრებაზე გამოცხადდნენ მენშევიკების ლიდერები ჟორდანია და რამიშვილი, მათ არ მოეწონათ, რომ საბჭო მათი მონაწილეობის გარეშე ჩამოყალიბდა და „მაშინვე შეუდგნენ ამ შეცდომის გამოსწორებას"[1], მიაღწიეს კრების გადატანას სხვა ადგილას და იქ საბჭოში თავისი უმრავლესობის შექმნას. საბჭოები ჩამოყალიბდა ბათუმში, ფოთში, ქუთაისში და სხვაგან, სადაც აგრეთვე მენშევიკებმა უმრავლესობას მიაღწიეს. საბჭოები იქმნებოდა კავკასიის არმიის ნაწილებში. აქ პირველ ხანებში უმრავლესობას ესერები აღწევდნენ.

კავკასიის ამბებით შეშფოთებულმა დროებითმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ „იმ მიზნით, რათა სასწრაფოდ დამყარებულიყო წესრიგი და მოგვარებულიყო ამიერკავკასიის საქმეები" 1917 წლის 6 მარტს შექმნა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ორგანო ამიერკავკასიაში — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). განსაკუთრებულ კომიტეტში წევრებად შეყვანილი იქნენ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს რეაქციონერი დეპუტატები მემარჯვენე კადეტ ხარლამოვის თავმჯდომარეობით. კომიტეტის წევრები თავიანთი რწმენით და პოლიტიკური მიმართულებით იმდენად კონტრრევოლუციონერები იყვნენ, რომ მის შექმნას მენშევიკებიც კი პროტესტით შეხვდნენ. მაგრამ მალე დამშვიდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ მათგან კომიტეტში შეყვანილ იქნა სახელმწიფო სათათბიროს წევრი მენშევიკი ა. ჩხენკელი, რომელიც ამ ბურჟუაზიულ მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრის როლს ასრულებდა და განსაკუთრებული სისასტიკით იბრძოდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ. „სოციალისტებიდან" განსაკუთრებულ კომიტეტში შეყვანილ იქნა აგრეთვე ფედერალისტი კ. აბაშიძე.

[1] ფ. მახარაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 48-49.

ამრიგად, ისე როგორც რუსეთის ცენტრებში საქართველოში და ამიერკავკასიაში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა იმ განსხვავებით, რომ აქ მეორე ხელისუფლება — მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები უფრო სუსტნი და უსახონი იყვნენ. აქ არსებითად წაშლილი იყო საზღვრები დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ორგანოსა (განსაკუთრებული კომიტეტი) და საბჭოებს შორის, სადაც უმრავლესობას მენშევიკები და ესერები წარმოადგენდნენ. საბჭოებს აქ ზოგჯერ ისეთი დადგენილებები გამოჰქონდათ, რომ ისინი რეაქციულობით არ ჩამოუვარდებოდნენ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ღონისძიებებს. მაგალითად, მათ უმალ წაბაძეს რუსეთის კონტრრევოლუციას, რომელმაც პეტროგრადში დახურა გაზეთი „პრავდა" და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელსაც ჟორდანია თავმჯდომარეობდა, 19 აპრილს (2 მაისს) მიიღო დადგენილება მოეხდინათ კონფისკაცია 40 ათასი ცალი გაზეთ „პრავდისა", რომელიც პეტროგრადის მუშებმა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებს გამოუგზავნეს საჩუქრად. მენშევიკები ცდილობდნენ ბოლშევიკების გაძევებას მასებისაგან, ებრძოდნენ და ავიწროვებდნენ ბოლშევიკურ გაზეთებს.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობაზე (1917 წლის 3 — 13 ივნისი) ქართველი მენშევიკები ჟორდანიას მეთაურობით გამოვიდნენ ბურჟუაზიულ მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობის წინააღმდეგ, მაგრამ გამოვიდნენ არა იმისათვის, რომ მოითხოვდნენ ძალაუფლების საბჭოების ხელში გადაცემას, არამედ იმიტომ, რომ სოციალისტებს, „არ დაეშინებინათ ბურჟუაზია", და ამ უკანასკნელს „უარი არ ეთქვა ძალაუფლებაზე", რომელსაც მენშევიკები ბურჟუაზიის საკუთრებად თვლიდნენ. ამ მოთხოვნის თანახმად მენშევიკებს ბურჟუაზიული მთავრობიდან (განსაკუთრებული კომიტეტიდან) უნდა გამოეყვანათ თავიანთი წარმომადგენელი (ა. ჩხენკელი), მაგრამ ისინი ასე არ მოიქცნენ, სამაგიეროდ თვით ჩხენკელი, რათა თავისი „სოციალისტობით" ბურჟუაზია „არ დაეფრთხო", სისასტიკით და ვერაგობით სავსებით გაუთანასწორდა განსაკუთრებული კომიტეტის სხვა წევრებს. ცნობილია მაგალითად, რომ განსაკუთრებული კომიტეტის ყველაზე შავბნელ ბრძანებულებებს, დადგენილებებს, მიმართვებს, რომლებიც იცავდნენ კაპიტალისტთა და მემამულეთა კერძო საკუთრებას, ამცირებდნენ და აბუჩად იგდებდნენ მუშებსა და გლეხებს, განსაკუთრებული კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად ხელს აწერდა „სოციალისტი" ჩხენკელი.

საქართველოშიც ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როგორც ვ. ი. ლენინი მთელი რუსეთის გლეხების შესახებ აღნიშნავდა: "მიწის საკითხში და-

იცადე დამფუძნებელ კრებამდე, დამფუძნებელი კრების მოწვევას დაუცადე ომის დამთავრებამდე, ომის დამთავრებას დაუცადე სრულ გამარჯვებამდე. აი რა გამოდის. გლეხებს პირდაპირ დასცინიან კაპიტალისტები და მემამულეები, რომლებსაც თავიანთი უმრავლესობა ჰყავთ მთავრობაში" [1].

ბოლშევიკები ამ პერიოდში არ მოითხოვდნენ დროებით მთავრობის დამხობას, არამედ ცდილობდნენ რათა ახსნა განმარტებითი და მოზიდვითი მუშაობის გზით მოპოვებული ყოფილიყო უმრავლესობა საბჭოებში, შეცვლილიყო საბჭოების პოლიტიკა, ხოლო საბჭოების საშუალებით — მთავრობის შემადგენლობა და პოლიტიკა. ეს იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზა, რომელიც ივლისის ამბებამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს საბჭოების შემადგენლობის შეცვლა, მაგრამ თავიანთი ახსნა-განმარტებითი მუშაობით დიდი როლი შეასრულეს დროებითი მთავრობისა და შემთანხმებელი პარტიების — მენშევიკების და ესერების გამოაშკარავების საქმეში, მშრომელ მასებში ჩანერგეს რწმენა, რომ „მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლებებით", რომლებმაც ისინი პირველად „აღფრთოვანების მდგომარეობაში" მოიყვანეს, შორს ვერ წავიდოდნენ, რადგან წარმოება ისევ კაპიტალისტს დარჩა, მიწა — მემამულეს და კულაკს, მათი მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. ბოლშევიკების გავლენით მშრომელმა მასებმა ამოძრავება იწყეს, გაისმა პირველი პროტესტები.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში სწრაფად დაიწყო რევოლუციამდე არსებული პროფესიული ორგანიზაციების აღდგენა და ახლის შექმნა. პარტია ცდილობდა, რათა პროფკავშირებს ხელში აეღოთ საწარმოებში მუშათა კონტროლის შემოღებისა და გატარებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა.

1917 წლის მარტსა და აპრილში ძლიერი პროფკავშირული ორგანიზაციები შეიქმნა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ჭიათურის, ტყიბულის და სხვა ქალაქების მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში.

1917 წლის მაისში თბილისში შეიქმნა პროფკავშირის ცენტრალური ბიურო, რომელშიც გაერთიანდა 31 პროფკავშირული ორგანიზაცია, პროფკავშირების ხაზით დიდ მუშაობას ეწეოდნენ ს. თოდრია, გ. მჟავანაძე და სხვები.

ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას და ყოველნაირად ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ პროფესიული კავშირები ბურჟუაზიის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან ფრონტისაგან, შეძლეს გამძვრალიყვნენ მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებათა პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში და შეეცადნენ პროფკავშირები გადაექციათ „ნეიტრალურ" ორგანიზაციად, ხელიდან გამოეცალათ მისთვის მუშათა კლასის ეკონომიური და უფლებრივი პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ძირითადი ფუნქციები.

მუშათა და გლეხთა საბჭოების სამხარეო ყრილობას, რომელიც 1917 წლის 21 მაისს (3 ივნისს) ჩატარდა, მენშევიკებმა სათანადო დადგენილებაც მიაღებინეს, რომელიც კრძალავდა მუშათა კონტროლს წარმოებაზე, მაგრამ ამ დადგენილებამ ვერ შეაჩერეს მუშები. ბოლშევიკების გავლენით თბილისის მთელ რიგ საწარმოებში (ტრამვაი, სტამბები და სხვ.) მუშებმა თვითნებურად 8 საათის სამუშაო დღე შემოიღეს. ჭიათურის მუშებმა მრეწველებს წარუდგინეს 22 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნა და მიაღწიეს მათ დაკმაყოფილებას. ბათუმში პიტოევის იარაღ-დამამზადებელ ქარხანაში, სადაც ბოლშევიკებს მრავალრიცხოვანი პარტიული ორგანიზაცია ჰქონდათ, მუშებმა თავიანთი კონტროლი დააწესეს წარმოებაზე.

ამოძრავდა საქართველოს გლეხობაც. მან ზურგი შეაქცია დაცდისა და მოტყუების პოლიტიკას და იწყო მიწების თვითნებური დატაცება.

აგრარული მოძრაობა მთელ საქართველოს ედებოდა. აგრარული მოძრაობით შეშინებულმა ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა სპეციალური განკარგულება მისცა გუბერნიებისა და მაზრების ალმასკომებს „უმიწო გლეხების მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების შესაწყვეტად სასწრაფო ზომების მიღების შესახებ". „უკანასკნელ დღეებში დროებითი მთავრობა იღებს ცნობებს, — ნათქვამი იყო დირექტივაში, — სოფლის საზოგადოებათა და სოფლის ალმასკომების მიერ თვითნებური დაპატიმრებებისა და მიწების თვითნებური დატაცების შესახებ. ასეთი თვითნებობა მიწათმფლობელებს — როგორც მსხვილს ისე წვრილებსართმევენ საშუალებას... დათესონ თავიანთი მიწები. დროებითი მთავრობა დაუშვებლად თვლის მიწის საკითხის თვითნებურ გადაჭრას... თავის დროზე დამფუძნებელი კრება დაადგენს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხების ძირეული გადაწყვეტის საფუძვლებს" [1]. ამ დირექტივას განსაკუთრებულმა კომიტეტმა მიაშველა იძულებითი ზომები, ჯარიმები, საბეგრო გადასახადთა იძულებითი გადახდევინება, მოწინავე გლეხების დაშინება, დაპატიმრება და სხვ., მაგრამ ამ ზომებმა არა თუ ვერ შეაჩერა, კიდევ უფრო გააფართოვა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა.

დიდი მოძრაობა გაჩაღდა კავკასიაში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში. თბილისის გარნიზო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 272.

1 საქ. სსრ ცსია. ფ. 147, ს. 639, ფ. 1.

ნის ჯარისკაცები განსაკუთრებული ხალისით ესწრებოდნენ მიტინგებს, რომლებიც ალექსანდრეს ბაღში იმართებოდა. ეს მიტინგები გადაიქცა რევოლუციური აღზრდის სკოლად, სადაც ჯარისკაცები ბოლშევიკურ იდეებს ეცნობოდნენ. კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგები: „ძირს ომი“, „მიწა გლეხებს“. „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და სხვ. ჯარისკაცებში მხურვალე გამოძახილს პოულობდნენ. ბოლშევიკების შეუპოვარი მუშაობის შედეგად ჯარისკაცები ისე როგორც მუშები და გლეხები, თანდათან თავისუფლდებოდნენ ობორონცული პარტიების გავლენისაგან და ბოლშევიკების მხარეზე დგებოდნენ. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს პროტესტის ის მძლავრი ტალღა, რომელიც ამიერკავკასიაში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში გაისმა იმასთან დაკავშირებით, რომ დროებითმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ ბრძანება გასცა ფრონტზე შეტევის დაწყების შესახებ. ამ ანტიხალხურ ბრძანებასთან დაკავშირებით 1917 წლის 8 (25) ივლისს თბილისში შეიკრიბა ჯარისკაცთა მიტინგი, რომელსაც 10 ათასი კაცი დაესწრო. მიტინგმა მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია — „ჩვენ ვაღიარებთ, რომ ბრძანება შეტევის შესახებ, არ შეიძლება თავისუფალი ხალხის ბრძანება იყოს. ეს იმ ბურჟუაზიის საქმეა, რომელიც დროებით მთავრობაში უმრავლესობას შეადგენს და ომის საქმეს თავის სასარგებლოდ წყვეტს. და ამიტომ ჩვენ კიდევ უფრო დაჟინებით, კიდევ უფრო გადაჭრით მოვითხოვთ, რომ მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში გადავიდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში“ [1]

საქართველოს ბოლშევიკებმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს კავკასიის ფრონტის ჯარის ნაწილებში პარტიული ორგანიზაციების შესაქმნელად და განსამტკიცებლად. არმიაში ბოლშევიკების გავლენის ზრდა შიშის ზარს სცემდა არა მარტო დროებით მთავრობას, არამედ მათ მოკავშირე მენშევიკებს. ისინი ეფარებოდნენ ძველ კადეტურ ლოზუნგს: „არმია პოლიტიკის გარეშე უნდა იდგესო“ და პროტესტებით ხვდებოდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნას არმიის ნაწილებში. მენშევიკების ამ მოღალატურ გამოხდომებს სასტიკ ბრძოლას უმართავდნენ ბოლშევიკები. ჯარისკაცთა პოლიტიკური აღზრდის საკითხზე გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ წერდა: „დატოვო ჯარისკაცი პარტიის გარეშე — ნიშნავს დატოვო იგი პოლიტიკის გარეშე, ნიშნავს სრულიად გარიყო იგი სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, რომ დაასუსტო რევოლუციის ძალები და გაზარდო კონტრრევოლუციის ძალები“[2].

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 85, 1917 წ. 27 ივნისი.

[2] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 37, 1917 წ. 28 აპრილი.

ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ახალგაზრდობაში. ამ უბანზედაც დიდი იყო წინააღმდეგობა. მენშევიკებმა თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე შექმნეს ახალგაზრდობის „მარქსისტული ორგანიზაციები“, რომლებიც მენშევიკური პარტიის კვალს მისდევდნენ. ახალგაზრდობა ამ ორგანიზაციებში პოლიტიკურად იხრწნებოდა, ეჩვეოდა ბურჟუაზიისა და მემამულეებისადმი მლიქვნელურ სამსახურს. ბოლშევიკების ამოცანას შეადგენდა ახალგაზრდობის განთავისუფლება ამ ორგანიზაციების გავლენისაგან, ზრუნვა მათი შეგნებულობის ამაღლებისათვის, მათგან ბოლშევიკური პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის რეზერვების მომზადება. ბოლშევიკების ეს მიზანსწრაფვა კარგად ჩანს გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ წერილიდან გურულ მოსწავლეთა ჯგუფისადმი, რომელმაც 1917 წლის 18 მაისს ქ. ოზურგეთში მოსწავლეთა კლუბის დამფუძნებელი კრება მოიწვია და შეადგინა თვითგანვითარების პროგრამა. „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქციამ მოიწონა ახალგაზრდობის ინიციატივა და თან ასეთი დარიგება მისცა მათ: „ახალგაზრდა ამხანაგებო! ჩვენ მივესალმებით მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზაციას საერთოდ და თქვენსას კერძოდ, გირჩევთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ საზოგადოებრივ პოლიტიკურ მნიშვნელობის საკითხებს, ვინაიდან თვითეული თქვენგანი უნდა მოემზადოს პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, რომელიც მიმართული უნდა იქნეს მუშათა კლასის საკეთილდღეოდ და მის დასაცავად... ისწავლეთ სოციალისტური ლიტერატურა“ [1]...

ახალგაზრდობის გათვითცნობიერების მიზნით ხშირად ეწყობოდა ლექციები და მოხსენებები, კლასთა ბრძოლის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე როგორც ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და სხვ.), ისე სოფლად. ახალგაზრდობის წინაშე ხშირად გამოდიოდნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, ა. ნაზარეტიანი და სხვები. ლექციები და მოხსენებები დიდძალ ახალგაზრდობას იზიდავდა.

ახალგაზრდებს შორის მუშაობა განსაკუთრებით გაფართოვდა პარტიის VI ყრილობის შემდეგ, რომელმაც სპეციალური რეზოლუცია მიიღო ახალგაზრდებს შორის მუშაობის საკითხზე. VI ყრილობამ აუცილებლად ჩათვალა ახალგაზრდობის დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნა და მათზე პარტიის იდეური და პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაძლიერება. ეს რეზოლუცია 21 აგვისტოს დაიბეჭდა „კავკაზსკი რაბოჩიში“, 25 აგვისტოს — „ბრძოლაში“ და იგი საფუძვლად დაედო ახალგაზრდებს შორის შემდგომ მუშაობას საქართველოში. 1917 წლის 3 სექტემბერს ავლაბრის კლუბის საზამთრო შე-

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, № 56, 1917 წ. 24 მაისი.

ნობაში, სადაც მოთავსებული იყო თბილისის პარტიული ორგანიზაციის მესამე რაიონის პარტბიურო, ჩატარდა კომუნისტური ახალგაზრდობის კრება, რომელსაც 200-ზე მეტი ახალგაზრდა დაესწრო (უმეტესად მუშები და ჯარისკაცები)[1]. კრებამ მიიღო ორგანიზაციის წესდება და აირჩია დროებითი კომიტეტი, გამოაქვეყნა მოწოდება ამიერკავკასიის მშრომელი ახალგაზრდობისადმი და მოუწოდა ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დარაზმვისაკენ[2]. მომდევნო თვეში პარტიამ კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციები შექმნა თბილისის ოთხივე რაიონში, ქუთაისში, სამეგრელოში, გურიაში და სხვაგან. პარტიის გარშემო ახალგაზრდობის შემოკრების საქმეში დიდ მუშაობას ეწეოდნენ ა. მიქოიანი, ბ. ძნელაძე, ი. იონიდი, დ. კაჭარავა, კ. გორდელაძე, კ. ორაგველიძე, ვ. გოგეშვილი და სხვები.

---

მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოში აღდგენილ იქნა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციები და მათ მრავალი ახალი წევრი შეემატა.

კომუნისტური პარტიის ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია შეიქმნა თბილისში, სადაც ყოველდღიური მოღვაწეობა უხდებოდათ პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებს მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძეს, ა. მიქოიანს, ს. ქავთარაძეს, ა. ათაბეგოვს და სხვებს.

თბილისში ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ქალაქის გამგეობაში. გამგეობის უკანასკნელი არჩევნები ჩატარდა ივლისის ამბების შემდეგ, როცა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი მენშევიკებისა და ესერების დახმარებით ბოლშევიკებს დევნიდნენ და ბოლშევიკებს საშუალება არ ჰქონდათ მაქსიმალურად გამოეყენებინათ საარჩევნო კამპანია. მიუხედავად ამისა ბოლშევიკებმა შეძლეს გამგეობაში 7 ბოლშევიკი ხმოსნის გაყვანა[3]. ხმოსანთა შორის იყვნენ მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე, რომლებიც გამგეობის ტრიბუნას იყენებდნენ ბოლშევიზმის იდეების პროპაგანდისათვის. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საოლქო საბჭოში, სადაც ბოლშევიკებს აგრეთვე თავისი ფრაქცია ჰყავდათ, ივლისის ამბების შემდეგ ერთხმად გავიდა ბოლშევიკური შესწორებებით წარდგენილი რეზოლუცია კოალიციური მთავრობის შედგენის წინააღმდეგ, მიღებული იქნა აგრეთვე ბოლშევიკების წინადადება მუშათა მილიციის შექმნის შესახებ[4].

ბათუმში პარტიული ორგანიზაცია 1917 წლის აპრილში იქნა აღდგენილი. მისი ინიციატორები იყვნენ ს. განშინი, ი. პევცოვი, ნ. [illegible], კ. კურზიდი და სხვები. პირველ [illegible] კრებას 15 კაცი დაესწრო, მაგრამ ორგანიზაცია შემდეგ სწრაფად გაიზარდა. ხანგრძლივი და თანმიმდევრული მუშაობის შედეგად ბოლშევიკურმა იდეებმა შეაღწიეს ბათუმის გარნიზონის ჯარებში, სადაც ადრე ძლიერი იყო ესერების გავლენა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში არჩეულ იქნა 15 ბოლშევიკი, ხოლო ქალაქის თვითმმართველობაში — 2.

სოხუმელმა ბოლშევიკებმა მთლიანად თავიანთ გავლენას დაუმორჩილეს სოხუმის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის საშუალებითაც ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ სოხუმის გარნიზონის ჯარებზე, მუშებზე და აფხაზ გლეხობაზე. ბოლშევიკების გავლენით სოხუმის ჯარისკაცთა საბჭომ მიიღო დადგენილება სეკვესტრი დაედო დიდი მთავრის — რომანოვის მამულებზე — „სინოპზე“ და „ძიამურზე“, საბჭომ მხარი დაუჭირა გლეხთა აგრარულ მოძრაობას, მოითხოვა მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მათი დაუყოვნებლივ გადაცემა გლეხობაზე.

ძლიერი და გავლენიანი ბოლშევიკური ორგანიზაციები ჩამოყალიბდნენ ქალაქ ქუთაისში, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის და სხვა მაზრებში. ორგანიზაციები შეიქმნა აგრეთვე დაბებსა და მოზრდილ სოფლებში, მაგრამ ისინი დაქსაქსულად მოქმედებდნენ, არ იყო ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრი, რის გამოც მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში ადგილი ჰქონდა დაბნეულობას. ყველაზე მთავარი იყო მენშევიკ ობორონცებთან დამოკიდებულების საკითხი. თბილისის ორგანიზაციამ, როგორც აღვნიშნეთ, ადრე გაწყვიტა ორგანიზაციული კავშირი მენშევიკებთან და დამოუკიდებლად განაგრძობდა მუშაობას, მაგრამ სხვა ადგილებში, განსაკუთრებით სოფლად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები ცალკე იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ თავიანთ საჭირბოროტო საკითხებზე, იწვეოდა მენშევიკებთან გაერთიანებული კრებებიც, რომლებიც თუმცა მწვავე ბრძოლების ასპარეზად იქცეოდნენ, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ბოლშევიკების ავტორიტეტის ზრდის ინტერესები მოითხოვდა მენშევიკებისაგან სავსებით განცალკევებას, დამოუკიდებელ ხელმძღვანელობას მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცთა მასებისადმი და უფრო შეუპოვარ ბრძოლას მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ.

პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებისა და ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა რსდმპ VI ყრილობის შემდეგ, რომელმაც ამომწურავად

---

[1] „კავკაზსკი რაბოჩი“, № 148, 1917 წ., 13 სექტემბერი.

[2] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, № 163, 1917 წ. 3 ოქტომბერი.

[3] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 169, 1917 წ. 10 ოქტომბერი.

[4] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 170, 1917 წ. 11 ოქტომბერი.

ჩათვალა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობანი და კურსი აიღო შეიარაღებული აჯანყების გზით დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობასა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაზე.

ინიციატივა პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრის შექმნისა ხელში აიღეს თბილისისა და ბაქოს კომიტეტებმა, რომლებმაც 22 აგვისტოს მიიღეს გადაწყვეტილება კავკასიის სამხარეო ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის მოწვევა გადაწყდა 15 სექტემბრისათვის, მაგრამ არახელსაყრელმა პირობებმა გამოიწვია ამ რიცხვის გადაწევა ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე.

კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 2 (15) ოქტომბერს და მისი მუშაობა გაგრძელდა 7 (20) ოქტომბრამდე. საქართველოდან ყრილობას ესწრებოდნენ თბილისის, ბათუმის, ჭიათურის, ფოთის, ქუთაისის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხიდისთავ-ერკეთის პარტიული ორგანიზაციების მიერ წარგზავნილი დელეგატები, აგრეთვე საქართველოში დაბანაკებული ჯარის ნაწილებში შექმნილი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყრილობამ რამდენიმე სხდომა მოანდომა ადგილებზე არსებული მდგომარეობის გაცნობას და დაადასტურა, რომ ბოლშევიკების გავლენა ყველგან და განსაკუთრებით არმიაში იზრდებოდა. ყრილობაზე ცხადი გახდა აგრეთვე, რომ მენშევიკებსა და ესერებს თუმცა საკმაოდ შეერყა ნიადაგი, მაგრამ პარტიას ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება, რომ მშრომელი მასები საბოლოოდ ამხედრდნენ მათ წინააღმდეგ.

ყრილობამ მოისმინა ს. ქავთარაძის მოხსენება რსდმპ (ბ) VI ყრილობის შედეგების შესახებ, ს. შაუმიანის მოხსენება მიმდინარე მომენტზე, მ. ტოროშელიძის — ნაციონალურ საკითხზე. ფ. მახარაძის — აგრარულ საკითხზე და სხვ., ანალიზი გაუკეთა კავკასიაში არსებულ მდგომარეობას და რსდმპ (ბ) VII კონფერენციისა და VI ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე დასახა ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის. ყრილობამ პარტიული ორგანიზაციები გააერთიანა ერთ სამხარეო ორგანიზაციად და აირჩია სამხარეო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი, მ. ორახელაშვილი, ა. ჯაფარიძე, ა. ნაზარეტიანი, ს. ქავთარაძე, მ.. ტოროშელიძე, დ. შავერდოვი, ს. კასიანი, ა. ათარბეგოვი, ს. ხანოიანი, ა. მრავიანი და სხვები.

კავკასიის არმიაში პარტიული მუშაობის გაძლიერების მიზნით ყრილობამ სამხარეო კომიტეტთან შექმნა სამხედრო ორგანიზაციების დროებითი ბიურო გ. ყორღანოვის ხელმძღვანელობით. ამასთანავე ყრილობამ სასურველად ცნო არმიის ბოლშევიკთა მეორე ყრილობის მოწვევა, რომელსაც უნდა აერჩია მუდმივი ბიურო.

ყრილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს მენშევიკებთან დამოკიდებულების განსაზღვრა. ეს საკითხი ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის ნათელი იყო დიდი ხნის წინ, მაგრამ ყრილობამ იგი ხელახლა განიხილა იმასთან დაკავშირებით, რომ მენშევიკების ყრილობამ, რომელიც თბილისში ამ ყრილობის პარალელურად მიმდინარეობდა, წინადადებით მიმართა ბოლშევიკებს გაერთიანებისა და „შეთანხმებული“ მუშაობის შესახებ. მენშევიკები ხედავდნენ, რომ ისინი თავიანთ დაპირებათა სისტემატური შეუსრულებლობის გამო თანდათან კარგავდნენ მშრომელი მასების ნდობას და ამიტომ შეეცადნენ ბოლშევიკების მზარდი ავტორიტეტი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ყრილობამ გადაჭრით გაილაშქრა მენშევიკებთან „გაერთიანების“ ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ და მიიღო სპეციალური რეზოლუცია დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნის შესახებ „იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობენ გაერთიანებული ორგანიზაციები“ [1]

საბოლოოდ გაემიჯნა რა მენშევიკ-შემთანხმებლებს ყრილობამ „ცალკეული ორგანიზაციებისა და ჯგუფების“ კომუნისტურ პარტიასთან შეერთების უმთავრეს პირობად აღიარა „გადაჭრით კავშირის გაწყვეტა ობორონცობასთან“ [2]

ამ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივაც, რომ სწორედ იმ დღეებში პარტია დიდ მუშაობას ეწეოდა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობისა და დამფუძნებელი კრების დეპუტატთა არჩევნებთან დაკავშირებით.

კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობა მიმდინარეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღეებში. ყრილობა, რომ დამთავრდა ოქტომბრის რევოლუციისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სწორედ ამ პერიოდში იწერებოდა მთელი რიგი ისტორიული დოკუმენტები, რომლებსაც დაუყოვნებლივ ბეჭდავდნენ რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების ორგანოები. — „კავკაზსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“, „ბანვორი კრივი“. ლენინის წერილი „კრიზისი მომწიფდა“, რომელიც პირდაპირ საომრად რაზმავდა პარტიას და დაიბეჭდა „რაბოჩი პუტის“ 7 ოქტომბრის ნომერში, „კავკაზსკი რაბოჩში“ დაიბეჭდა 15 ოქტომბერს. ხოლო იგივე წერილი „ბრძოლაში“ გადმოთარგმნილია და დაბეჭდილია 22 ოქტომბერს.

ამრიგად საქართველოს კომუნისტური პარტია და საქართველოს მშრომელი ხალხი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის მზადების

1 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 170, 1917 წ. 11 ოქტომბერი.

2 რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები, გვ. 15.

კურსში იყვნენ და თვითონაც ემზადებოდნენ რევოლუციისათვის, იბრძოდნენ მისთვის, სწამდათ მისი გამარჯვება.

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების, ყველა მისი წინააღმდეგობის უკიდურესი გამწვავების გარდუვალი შედეგი“[1] იგი წარმოადგენდა მთელი კაცობრიობის ისტორიაში ძირითად მობრუნებას ძველ კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან ახალ, სოციალისტურ მსოფლიოსაკენ. ოქტომბრის რევოლუცია აღიმართა როგორც სოციალიზმის ჩირაღდანი, რომელმაც გამოიწვია მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებში ულრმესი სიმპათია საბჭოთა ქვეყნისადმი, რუსეთის მუშათა კლასისადმი. მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი მასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს“ მეხივით დაიქუხა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები.

ამიტომ იყო, რომ ექსპლოატატორული კლასები და მათი ინტერესების დამცველი პარტიები ზიზლით შეხვდნენ ოქტომბრის რევოლუციას. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, მეწშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები, ესერები, მათი პრესა ჯერ გულმოდგინედ მალავდნენ ოქტომბრის რევოლუციის ფაქტს, ხოლო შემდეგ მასებს ატყუებდნენ ათასგვარი სიცრუით პეტროგრადის ბოლშევიკების „დამარცხების“ შესახებ. უკეთებდა რა ანალიზს მმართველი პარტიების მიერ გავრცელებულ ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობებს ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა“ სტატიაში „ცრუ დეპეშები“ აღნიშნავდა:

„ეს ცნობები ისეთი წინააღმდეგობებით არის სავსე, რომ არავითარი ნდობის ღირსნი არ არიან. ამ ცნობების მიხედვით კერენსკიმ ჯერ აიღო პეტერბურგი, მერე ჯარებით მიუახლოვდა პეტერბურგს. მოსკოვის ბოლშევიკებმა ჯერ ჩაიბარეს კრემლი, მერე აიღეს იგივე კრემლი, საიდან მოდის ეს დეპეშები ან ვინ არის მათი პასუხისმგებელი?“[2] ამავე ნომერში გაზეთმა დაბეჭდა მოწინავე წერილი „რევოლუცია ვითარდება, დაირაზმეთ“, რომელშიც მოუწოდებს მშრომელ ხალხს თავგანწირვით დაუჭირონ მხარი ოქტომბრის რევოლუციას.

შიში, დაბნეულობა და ძრწოლა, რაც ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოსა და ამიერკავკასიის შეძლებულ კლასებში გამოიწვია, იმით იყო გამოწვეული, რომ ამ რევოლუციის გამარჯვებაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში ისინი გარდუვალ დაღუპვას ხედავდნენ. ასეთმა შიშმა შეიპყრო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებიც. ოქტომბრის რევოლუცია ამ პარტიებს ძალაუფლების დაკარგვით ემუქრებოდა. ამიტომ გასაგები იყო მათი გულისწყრომა ოქტომბრის რევოლუციისადმი, ამ მიზეზებმა განაპირობეს ამიერკავკასიის შეძლებული კლასების და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბლოკი საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების და მშრომელი მასების წინააღმდეგ. ბლოკმა არ დააყოვნა და წინანდელი განსაკუთრებული კომიტეტის ადგილას 1917 წლის 12 ნოემბერს შექმნა დამოუკიდებელი კოალიციური მთავრობა — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელშიც შევიდნენ, ერთი მხრივ, მსხვილი მემამულეებისა და კაპიტალისტების წარმომადგენლები და, მეორე მხრივ, „სოციალისტური“ პარტიები — მენშევიკების, დაშნაკების, ესერების, ფედერალისტებისა და სხვათა სახით. ეხებოდა რა ამ ბლოკისაგან შემდგარ კოალიციური მთავრობის საქმიანობას ი. სტალინი სტატიაში „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით“, წერდა „აქ“ „სოციალიზმიც“ არის, „ნაციონალური თვითგამორკვევაც“ და რაღაც უფრო რეალურიც, ვიდრე ეს ძველი საქლარუნოები, სახელდობრ: შეძლებული ფენების რეალური კავშირი მუშურ-გლეხური ძალაუფლების წინააღმდეგ“[1]. ახალი მთავრობის ერთ-ერთმა თათბირმა, რომელსაც ესწრებოდნენ მეფის გენერალი პრჟევალსკი, ამერიკისა და საფრანგეთის სამხედრო აგენტები და ამერიკის კონსული სმიტი, მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის შესახებ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ ცნობის მიღებისთანავე თბილისში, ბათუმში, ფოთში, ალექსანდროპოლში და სხვა ქალაქებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შედგა მიტინგები, რომლებმაც მოითხოვეს მთელი ძალა-უფლების გადასვლა საბჭოების ხელში. 9 ნოემბერს თბილისის არსენალის რაიონის საერთო კრება, რომელსაც 2 ათასამდე კაცი დაესწრო, მხურვალედ მიესალმა პეტროგრადის მუშების, ჯარისკაცებისა და მეზღვაურების აჯანყებას და საბჭოთა წყობილების დამყარებას.

ძლევამოსილ რევოლუციას მიესალმა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა კრება. მბეჭდავთა კავშირში შემავალმა მუშებმა მოითხოვეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ გადარჩევა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა რკპ (ბ) სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა და დაიწყო ფართო მოსამზადებელი მუშაობა არჩევნებისათვის. ოქტომბრის რევოლუციას მხურვალედ მიესალმა მე-5 ქართული პოლკის ჯარისკაცები, რომლებმაც თავიანთ მიტინგზე ასეთი რეზოლუცია მიიღეს: „სალამს ვუძღვნით პეტ-

---

1 თეზისები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის.

2 გაზ. „ბრძოლა“ № 24, 1917 წ. 2 ნოემბერი.

1 ი. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 58.

როგრადის გმირ მებრძოლთ.. ჩვენ ქართველი ჯარისკაცები ხელს ვაძლევთ ჩვენს ამხანაგ რუს ჯარისკაცთ და ვცნობთ ძალაუფლებას მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებისას და მათგან არჩეულ ხალხთა კომისრებს, აგრეთვე სახალხო რევოლუციურ კომიტეტს"[1]. 10 ნოემბერს თბილისში შედგა 36 სამხედრო ნაწილის დელეგატთა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სასარგებლოდ. მოკლე ხანაში ამ ნაწილებს კიდევ 34 ნაწილის დელეგატები შეუერთდნენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას მიესალმა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გადაჭრით მოითხოვა ბათუმის მუშათა საერთო კრებამ, რომელსაც 1500 კომუნისტი და თანამგრძნობი დაესწრო. ბათუმში შეიქმნა რევკომი და წითელი გვარდია, რომელშიც ხალისით შედიოდნენ მუშები და სოფლებიდან ჩამოსული გლეხები. ბათუმის რევკომმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ტრაპეზუნდის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტთან. ფრონტის ამ უბანზე დიდი იყო ბოლშევიკების გავლენა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკების დიდი დასაყრდენი იყო კავკასიის არმია, სადაც ბოლშევიზაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ „ჯარის ის ნაწილები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების შემოღებას თანაუგრძნობდნენ თითქმის 100%-ით არა ადგილობრივი ელემენტებისაგან შესდგებოდნენ", ამიტომ როგორც ამ ბრძოლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფ. მახარაძე მიუთითებს „სავსებით მათზე დაყრდნობა შეუძლებელი იყო"[2]. ჯარის ეს ნაწილები დაქანცულნი რამდენიმე წლის განუწყვეტელი ბრძოლით მიისწრაფოდნენ სამშობლოში.

ეს მისწრაფება განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1917 წლის 5 დეკემბერს ხელმოწერილი იქნა საზავო ხელშეკრულება კავკასია-თურქეთის ფრონტზე. დაიწყო მასობრივი ლტოლვა რუსეთისაკენ, სადაც მიმდინარეობდა უკანასკნელი ბრძოლები დამარცხებულ ექსპლოატატორულ კლასთა ნაშთების წინააღმდეგ. ამასთანავე ჯარისკაცებს ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით თვითნებურად თან მიჰქონდათ იარაღი, რაც მათთვის საჭირო იყო ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად. იყო შემთხვევები, როცა არასამწყობრო ნაწილებიც კი იარაღდებოდა და თან მიჰქონდა იარაღი სახლში. მიუხედავად ამისა იყო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ჯარის ნაწილების გამოყენების სერიოზული ცდები. მაგალითად, შეთანხმებით ქალაქ შერენხანეს სამხედრო რევოლუციურ კომიტეტთან, რომლის თავმჯდომარე თენგიზ ჟღენტი იყო, გადაწყდა თბილისში არმიის მთელი კორპუსის შემოყვანა, მაგრამ მოვიდა თუ არა პირველი ცნობა ამის შესახებ მენშევიკებმა აყარეს თბილისში მისასვლელი, რკინიგზის ხაზები და ეს განზრახვა შეუსრულებელი დარჩა.[1]

იმ საბაბით თითქოს ბოლშევიკები შეიარაღებულ აჯანყებას აწყობდნენ 27 ნოემბერს თბილისში საალყო წესები გამოცხადდა. მენშევიკებმა და ესერებმა პირი შეკრეს, ხელში ჩაეგდოთ თბილისის არსენალი, რომელსაც ბოლშევიკურად განწყობილი საყარაულო რაზმი იცავდა და 29 ნოემბერს (12 დეკემბერს) თავდასხმა მოახდინეს, განაიარაღეს საყარაულო რაზმი და არსენალი ხელში ჩაიგდეს. ეს იყო სერიოზული მარცხი, რომელმაც ძალთა თანაფარდობა კიდევ მეტად გადახარა მენშევიკების მხარეზე.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ამ მძიმე მომენტში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა კავშირი დაემყარებია ლენინთან და მიელო მისგან საჭირო მითითებები. ამ მიზნით დეკემბრის პირველ რიცხვებში პეტროგრადში გაგზავნილ იქნა სამხარეო კომიტეტის წევრი (ეს იყო კ. ცინცაძე) რომელიც ნახულობს ლენინს და ინფორმაციას უკეთებს „ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ"[2].

რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ და პირადად ვ. ი. ლენინმა ყველა შესაძლებელი დახმარება აღმოუჩინეს საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტებს. ეს დახმარება გამოიხატა არა მარტო უაღრესად საჭირო მითითებებით, არამედ მატერიალური სახით, ადამიანთა ძალებით და სხვ.

1917 წლის 16 დეკემბერს სრულიად რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით მოისმინა ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრის ი. სტალინის მოხსენება კავკასიის შესახებ და დასახა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დასაჩქარებლად. სახკომსაბჭომ შექმნა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის პოსტი და ამ თანამდებობაზე დანიშნა ს. შაუმიანი, მის თანაშემწედ — კუზნეცოვი. ამასთანავე სახკომსაბჭომ მატერიალური დახმარებაც აღმოუჩინა კავკასიელ ბოლშევიკებს (ს. შაუმიანმა რწმუნება, რომ ის კავკასიის საგანგებო კომისრად იყო დანიშნული, მიიღო 1918

[1] („ბრძოლა", № 43, 1917 წ. 25 ნოემბერი).

[2] ფ. მახარაძე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირობები საქართველოში (ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" № I (24) 1931 წ., გვ. 6.)

1 თ ჟღენტი, მუშაობა ოქტომბრისათვის (ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" № 2 (17), გვ. 74).

2 მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს, სახელგამი 1927 წ. გვ. 53.

წლის 22 იანვარს და მაშინვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას).

საქართველოსა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა კავკასიის არმიის მეორე ყრილობა, რომელიც დიდი, წინასწარი მუშაობის შემდეგ გაიხსნა 1917 წლის 10 (23) დეკემბერს. ყრილობა მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების და რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცთა ზეგავლენით.

ამიერკავკასიის კომისარიატმა და გაბატონებულმა კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ყველა ზომა იხმარეს იმისათვის, რომ ყრილობაზე კომუნისტებს ვერ შეექმნათ თავისი უმრავლესობა. მაგრამ მიუხედავად ამისა ყრილობაზე კომუნისტებმა უმრავლესობას მიაღწიეს. ყრილობის მიმდინარეობის პერიოდში დიდი რყევა მიმდინარეობდა ესერების პარტიაში, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო არმიის პირველ ყრილობაზე (1917 წლის აპრილ-მაისში), მაგრამ ამ ყრილობაზე ეს პარტია ერთ მთელს აღარ წარმოადგენდა, მისი მემარცხენე ნაწილი კომუნისტებს მიემხრო. რამაც ბოლშევიკების მდგომარეობა ყრილობაზე კიდევ უფრო მყარი გახადა.

არმიის ყრილობამ გამოიტანა დადგენილება ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ, თავი გამოაცხადა უმაღლეს ხელისუფლად სამხედრო მმართველობის დარგში და ტელეგრაფით მიმართა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს, რომ იგი მხარს უჭერს მის ყველა დეკრეტებსა და დადგენილებებს და ცნობს მის ხელისუფლებას ამიერკავკასიაში. ყრილობამ აირჩია არმიის ახალი სამხარეო საბჭო, რომელშიაც შევიდნენ 52 ბოლშევიკი და მათი თანამგრძნობი და 48 მენშევიკი და მათი თანამგრძნობი. ეს იყო ბოლშევიკების დიდი გამარჯვება, მაგრამ არ ეძინათ რევოლუციის მტრებს, ისინი ჩუმად მოქმედებდნენ და კულისებს იქით ამზადებდნენ ახალ კონტრრევოლუციურ ღონისძიებებს. მათი მეცადინეობით 19 დეკემბერს თბილისში მოწვეული იქნა მუშათა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობა, სადაც მენშევიკებმა თვალთმაქცურად დაარღვიეს რა წარმომადგენლობის წინასწარ შემუშავებული ნორმები, შეძლეს მეტი დელეგატების წარგზავნა ყრილობაზე. მაშინ როცა ბაქოს პროლეტარები ყოველ ორი ათას მუშაზე ერთ დელეგატს გზავნიდნენ, თბილისის გუბერნიის ყოველი 500 ამომრჩეველი ყრილობაზე ასევე ერთი დელეგატით იყო წარმოდგენილი. საერთოდ კი ბაქოს 80 ათასი ამომრჩეველი მუშა წარმოდგენილი იყო 37 დელეგატით, თბილისის გუბერნიის 25 ათასი ამომრჩეველი — მუშა, გლეხი, ხელოსანი 70 დელეგატით. ამ შეუფარდებლობის აღმოსაფხვრელად ბოლშევიკმა დელეგატებმა მოითხოვეს ოთხჯერ მაინც გაედიდებინათ მათი ხმები, მაგრამ, ვინაიდან თანხმობას ვერ მიაღწიეს, ბოლშევიკი დელეგატები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ყრილობა.[1]

დარჩნენ რა ყრილობის ბატონ-პატრონნი, მენშევიკებმა გაატარეს მთელი რიგი კონტრრევოლუციური ღონისძიებანი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მენშევიკებმა უწინარეს ყოვლისა ბრძოლა გამოუცხადეს კავკასიის არმიის მეორე ყრილობის ბოლშევიკურ გადაწყვეტილებებს, სამხარეო საბჭოში არჩეული 48 მენშევიკი და მათი თანამგრძნობი არ დაექვემდებარა უმრავლესობას და თავი გამოაცხადა სამხარეო საბჭოდ. ამრიგად შეიქმნა ორი საბჭო — ერთი ბოლშევიკების მეთაურობით — ნამდვილი და მეორე — მენშევიკების მეთაურობით — ყალბი, რომელიც არსებობდა განსაკუთრებული კომიტეტისა და მენშევიკების მიერ შექმნილი ქართული და სომხური ეროვნული საბჭოების დახმარებით.

ამის შემდეგ ბრძოლამ ბოლშევიკებსა და ანტისაბჭოთა კოალიციას შორის, რომელსაც მენშევიკები მეთაურობდნენ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მენშევიკებმა ავაზაკურად დაარბიეს ბოლშევიკური გაზეთების რედაქციები, სცემეს გაზეთების თანამშრომლებს და ბევრი მათგანი დააპატიმრეს. თბილისში დაძრწოდნენ მენშევიკების, ესერებისა და დაშნაკებისაგან შემდგარი ბანდები. ეს შეუპოვარი ბრძოლები ბოლშევიკებსა და რეაქციის ძალებს შორის დამთავრდა ამ უკანასკნელის დროებითი გამარჯვებით, 1918 წლის 10 თებერვალს ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტით ალექსანდრეს ბაღში, მიტინგისა, რომელიც შეიკრიბა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორების პროტესტის ნიშნად, რასაც იმ დღეს საბოლოოდ აფორმებდა ცრუპარლამენტი — ამიერკავკასიის სეიმი. რეაქციის ეს გამარჯვება დაემთხვა საბჭოთა რუსეთის გარშემო კონტრრევოლუციური ძალების დარაზმვას. ამიერკავკასია თანდათან იქცეოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ამ კონტრრევოლუციური ძალების ერთ-ერთ შესაკრებ ადგილად.

მაგრამ მიუხედავად რეაქციის ძალების ზეიმისა, საქართველოს და ამიერკავკასიის კომუნისტები, რომლებიც არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ, განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლებს, განუწყვეტლივ ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებებს.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შეფასებაში უკანასკნელ დრომდე ადგილი ჰქონდა დამახინჯებას, მექანიკურად აიგივებდნენ 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შექმნილ ვითარებას რუსეთში (პეტერბურგსა და მოსკოვში) და ამიერკავკასიაში. გამოითქვა მოსაზრება, თით-

---

1 გაზ. „ბრძოლა“ № 66, 1917 წ. 30 დეკემბერი.

ქოს აქ იყო რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭირო პირობები და ადგილობრივმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა ვერ გამოიყენეს ეს პირობები. ხალხის მტერ ბერიას „წიგნი“ ამ ხელმძღვანელ მუშაკებს ოპორტუნისტებად და მოღალატეებადაც კი ნათლავდა.

ვ. ი ლენინი თავის შრომაში „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?“ აღნიშნავდა, რომ „პოლიტიკურ პარტიას — განსაკუთრებით კი მოწინავე კლასის პარტიას — უფლება არ ექნებოდა არსებობისა, ღირსი არ იქნებოდა პარტიის სახელწოდებისა, ყოველმხრივ უბადრუკი ნული იქნებოდა, თუ იგი უარს იტყოდა ხელისუფლებაზე. რაკი არის შესაძლებლობა ხელისუფლების აღებისა“ [1]

შრომაში „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ ლენინი მიუთითებს იმ შესაძლებლობაზე, რასაც შეუძლია გამარჯვებამდე მიიყვანოს პროლეტარიატი და ხელისუფლების საკითხიც მის სასარგებლოდ გადაწყდეს. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, — წერს ლენინი, — როცა „ქვედა ფენებს“ აღარ სურთ ძველი და როცა „ზედაფენებს“ აღარ შეუძლიათ ძველებურად, მხოლოდ მაშინ შეიძლება რევოლუციის გამარჯვება. სხვანაირად ეს ჭეშმარიტება გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: რევოლუცია შეუძლებელია საერთო ნაციონალური კრიზისის გარეშე (რომელიც ექსპლოატირებულებსაც შეეხება და ექსპლოატატორებსაც)... რევოლუციისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, მივაღწიოთ იმას, რომ მუშების უმრავლესობამ (ან ყოველ შემთხვევაში შეგნებული, მოაზროვნე, პოლიტიკურად აქტიური მუშების უმრავლესობამ) სავსებით შეიგნოს გადატრიალების აუცილებლობა და მზად იყოს სიცოცხლე გასწიროს მისთვის; მეორე, რომ მმართველი კლასები განიცდიდნენ მთავრობის კრიზისს, რომელიც ყველაზე ჩამორჩენილ მასებსაც კი ითრევს პოლიტიკაში... აუძლურებს მთავრობას და რევოლუციონერებისათვის შესაძლებელს ხდის მის სწრაფად დამხობას“ [2].

ცხადია, რომ ეს შესაძლებლობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაშინ არ ყოფილა.

უმთავრესი მიზეზი, რამაც საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში, მსგავსად რუსეთის ზოგიერთი სხვა განაპირა მხარეებისა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების გაჭიანურება გამოიწვია, ცალკეულ ადამიანთა შეცდომები კი არ იყო (თუმცა შეცდომებსაც ჰქონდა ადგილი), არამედ ის, რომ აქ შეიქმნა სავსებით განსხვავებული ვითარება, რამაც კომუნისტურ პარტიას არ მისცა საშუალება ხელში აეღო და შეენარჩუნებინა ხელისუფლება. ცნობილია, რომ ამიერკავკასია ბაქოს გამოკლებით (სადაც კიდევაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება) იყო რუსეთზე კიდევ უფრო გლეხური ქვეყანა, (ლენინი)... სადაც წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა, განსაკუთრებით მენშევიზმმა მაგრად გაიდგეს ფესვები. ბოლშევიკებმა თავიანთი შეუპოვარი ბრძოლით, მასებზე თავიანთი გავლენის გაძლიერებით და ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თავისი ისტორიული დეკრეტებით, რომლებიც ბრძოლისათვის აღანთებდნენ მშრომელ ხალხს მაგრად შეარყიეს ეს ფესვები, მაგრამ სავსებით ვერ ამოგლიჯეს ისინი. ხელი შეუწყო ამას საგარეო ფაქტორებმა: მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების მჭიდრო კავშირმა უცხოელ-იმპერიალისტებთან, რომლებმაც ეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები თავიანთ ნოქრების მდგომარეობაში ჩააყენეს.

„საოლქო კომიტეტს, — ამბობს ამ ბრძოლების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი მამია ორახელაშვილი, — არ გადაუფასებია თავისი ძალები. იმ ხანებში მას არ შეეძლო იერიშით მოეხდინა ძალთა გადაჯგუფება და რაც უმთავრესია, არ შეეძლო განემტკიცებინა და შეენარჩუნებინა ძალაუფლება ფიზიკურად და პოლიტიკურად. საბჭოებში ბლოკის მეთაურობით ბატონობდნენ მენშევიკები; არმიაში თუმცა განუწყვეტლად მიმდინარეობდა გაბოლშევიკების პროცესი, მაგრამ ჯერ საქმე არ მისულიყო შემთანხმებელი პარტიების მიმართ იმ „გამხეცებისა და სიძულვილის“ საზღვრამდე, რაც ლენინს აუცილებელ პირობად მიაჩნდა იმისათვის, რომ მუშები და ჯარისკაცები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ; გლეხობას როგორც მასას, ჯერ კიდევ თავი ვერ დაეღწია შემთანხმებელთა რეჟიმისაგან უკეთეს დღეთა მოლოდინისათვის და არ აღვსილიყო უმძაფრესი მძულვარებით, როგორც ეს შემდეგში მოხდა“ [1].

მენშევიკების გამარჯვება საქართველოში ისე როგორც მუსავატელებისა აზერბაიჯანში და დაშნაკებისა სომხეთში განაპირობებული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ძალების, ინტერვენციის გაძლიერებით, ხოლო ამავე ძალების განადგურებამ და საბჭოთა რუსეთის დიდმა ისტორიულმა გამარჯვებებმა განაპირობეს აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება როგორც საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში, ისე სხვა განაპირა ქვეყნებშიც.

ქართველი ხალხის ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა საბჭოთა რუსეთის დახმარებით დაამხეს მოღალატე მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 26, გვ. 89.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 89.

[1] მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს, გვ. 51.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ქავთარაძე

★

# 1921 წელი, თებერვალი

1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, საბჭოთა ჯარის თბილისთან მოახლოებისთანავე, რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენლობა საქართველოში — რტიშევის ქუჩაზე — გარემოცული იყო მენშევიკური მთავრობის ფარული თუ აშკარა მეთვალყურეობის ქსელით. სრულუფლებიან წარმომადგენლობას აუცილებლად უნდა გადაეცა განსაზღვრული თანხა სომხეთის საბჭოთა წარმომადგენლობისათვის, რომელიც იმხანად სრულიად უსახსროდ აღმოჩნდა. გადაწყდა, რომ ეს მისია ჩემზე უნდა ყოფილიყო დაკისრებული, ვინაიდან მე ვსარგებლობდი დიპლომატიური ხელშეუხებლობით, როგორც ოფიციალური პირი, სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი. მაგრამ ჩემი ცდა, მანქანით გამერღვია განსაკუთრებული რაზმის კორდონი, უშედეგო აღმოჩნდა და სომხეთის საბჭოთა წარმომადგენლობის ნაცვლად თავი ამოვყავი სოლოლაკში — განსაკუთრებული რაზმის შტაბში. ჩემს პროტესტზე და მოთხოვნაზე — დაებრუნებინათ ჩამორთმეული ფული, მეფის ყოფილმა პოლიციელებმა კედიამ და ფაჩულიამ, რომლებიც სათავეში უდგნენ განსაკუთრებულ რაზმს — პოლიტიკურ პოლიციას (ეს ორგანო ფაქტიურად მხოლოდ ბოლშევიკებთან ეწეოდა ბრძოლას), მიპასუხეს ცივი უარით, აშკარა იყო, რომ ისინი წინასწარ განიცდიდნენ სიამოვნებას ფულის „დაბანდების" გამო... თავიანთ საკუთარ ჯიბეში. გაძლიერებული კონვოით განსაკუთრებული რაზმიდან მე გამგზავნეს სადგურზე და ჩამკეტეს ცალკე ოთახში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ მე გავწყვეტე კავშირი გარესამყაროსთან. ოთახი — მგონი ყოფილი საპარიკმახერო — იმყოფებოდა ქვედა სართულში და მისი ფანჯარა გადიოდა სადგურთან მდებარე მოედანზე, სადაც ღამის წყვდიადში ატყდა რაღაც აურზაური და დავიდარაბა. ჩემი ვარაუდით, დილიდან მე მელოდა საინტერესო სანახაობა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სმენით მქონდა აღქმული. და მართლაც დილის სინათლესთან ერთად თვალწინ წარმომიდგა სურათი, რომლის აღწერა მეტად ძნელია. სადგურის წინ, მოედანზე, რომელიც ეკვრის წინა შესავალს, სრულიად უწესრიგოდ ეყარა ჩემოდნები, დატენილი ტომრები, ფუთები, სამზარეულოს ნივთები, ქოთნები, ტაშტები, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ხარახურა, შიშაც კი. ერთი ტომრიდან ლობიო სცვიოდა. იქვე ფუსფუსებდნენ ვიღაც ქალები დაფლეთილი ტანსაცმელით და თმაგაბურძგნულნი. მათ სახეზე სასოწარკვეთილება და საშინელება იყო აღბეჭდილი. ისმოდა ოხვრა და წყევლა-კრულვა. დატვირთული მანქანების, ეტლების და დროგების რიცხვი სულ მატულობდა. ეს იყო შეუკავებელი გაქცევა ნახევრად შეშლილი ხალხისა, რომელსაც ამოძრავებდა შიშის გრძნობა.

რა მოხდა? რამდენიმე საათის წინ წარმომადგენლობაში ჩვენ დაახლოებით ვიცოდით საბჭოთა ჯარების ადგილმდებარეობა და წარმოუდგენელი იყო, რომ ისინი ასე ელვისებურად შემოსულიყვნენ ქალაქში. ასედაც რომ ყოფილიყო, რა საფრთხე მოელოდა მცხოვრებლებს, ამ ქალებს, მშვიდობიან მოქალაქეთ? მალე საბჭოთა ჯარებმა დაამტკიცეს. რომ მათ მუქარა, დარბევა და სიკვდილი კი არ მოჰქონდათ თან, არამედ მშვიდობიანობა და სოციალიზმის დროშა.

უეცრად ჩემი დროებითი საკანის კარი გაიღო და ჩემთან შემოიჭრა ნაცნობი ექიმი.

— შენ გენაცვალე... მიშველე — მუდარით მომმართა მან.

— რა მოგივიდა? რა გინდა? — შევეკითხე მე.

— გთხოვ, მომეცი რაიმე საბჭოთა ნიშანი...

— რა ნიშანი, კაცო, არავითარი ნიშანი მე არა მაქვს...

— გემუდარები... — წარმოთქვა მან ლუღლუღით.

— არა მაქვს, თორემ მოგცემდი... სიამოვნებითაც, — ვუპასუხე მე.

— მაშ, ბარათი მაინც მიმიწერე წარმომადგენელთან, რომ მე გამოსადეგი ვარ ჯარისათვის მედიკამენტებითა და ფარმაცევტული საქონლებით მომარაგების დარგში! — მე ვიცი, სადაც ინახება ყოველივე ეს.

მე დავუწერე ბარათი რსფსრ-ს სრულუფლებიან წარმომადგენელთან და ის გაქრა. ქურდს ქუდი ეწვისო, გავიფიქრე მე. ეს იყო ძველი მენშევიკი, ქ. თბილისის მილიციის უფროსი, რომელიც ბოლშევიკებისადმი ჰუმანური მოპყრობით არ გამოირჩეოდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩემი ბარათი მან, რა თქმა უნდა, მისამართით არ გადასცა, არამედ დაიტოვა თან, როგორც თავის დასაცავი საბუთი.

დილით ადრე, მე სხვა პატიმარ ამხანაგებთან ერთად, სპეციალური მატარებლით წამიყვანეს ქ. ქუთაისში. იმ ღამესვე მომათავსეს საგუბერნიო ციხეში, მაშინვე განმაცალკევეს და მომი-

ყენეს სპეციალური დაცვა. მიდიოდა დღეები და ვიტანჯებოდი სრული უცოდინარობით იმ ამბებისა, რაც ხდებოდა ციხის გარეთ. მე დავწერე განცხადება ჩემი დაპატიმრების შესახებ, ვეყრდნობოდი ჩემს დიპლომატიურ ხელშეუხებლობას და ამას გარდა მოვითხოვდი გათბობას საკნისას, სადაც აუტანელი სიცივე სუფევდა. ჩემი „ნოტა", როგორც მოსალოდნელი იყო, სრულიად უშედეგოდ დარჩა: არ მიმიღია არც პასუხი და არც შეშა.

ერთ საღამოს მე შევნიშნე სარკმელიდან, რომ ვიღაცა ხელს მიქნევდა. მივედი, ეს იყო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ლამაზი შესახედაობის კაცი, ჩაცმული მენშევიკური „არმიის" უმცროსი ოფიცრის ფორმაში. მან ჩურჩულით თქვა:

— მე კიდევ ვიქნები მორიგე თქვენს საკანთან, მითხარით, რა გინდათ.

ის შიშით იყურებოდა გარშემო.

— შენ პროვოკატორი ხომ არა ხარ? — შევეკითხე მე.

— არა... ღმერთია მოწამე.

— პური და გაზეთი, — ვუთხარი მე და ის წავიდა. მის მიერ დასახელებული მოწმე არასოდეს არ იწვევდა ჩემში განსაკუთრებულ ნდობას, მაგრამ გულწრფელმა ტონმა და მისი მშვენიერი თვალების გამომეტყველებამ უცბად მოინადირა ჩემი გული. ამასთან სარისკოც არაფერი მქონდა.

მეორე დღეს, საღამოს, მან შემოსჩხირა სარკმელში გაზეთის ქაღალდში გახვეული მოზრდილი პურის ნატეხი.

ახლა მე საკმარისი მასალა მქონდა პოლიტიკური ანალიზისათვის. ქაღალდის ნაჭერი წარმოადგენდა მენშევიკების ორგანოს „აზრის" მესამე-მეოთხე გვერდებს. გაზეთი დაბეჭდილი იყო ქუთაისში, შემცირებული ფორმატით — ტიპოგრაფიული ფურცლის მეოთხედზე, თანაც მეტად დაუდევრად და უსუფთაოდ. ეს ნიშნავდა, რომ რედაქცია გაიქცა თბილისიდან, ქაღალდი გამოილია და არც ტექნიკური რედაქტურა არსებობდა, ნომერი გაკეთდა ნაჩქარევად, სახელდახელოდ, ჩანდა, რომ გაზეთის თავი აღარავის ჰქონდა. ტექსტი კი მთლიანად წარმოადგენდა ქართველი ეპისკოპოსის ქადაგებას. ის აღწერდა მის მიერ გზაზე ნახულ სურათებს თბილისიდან ქუთაისში გამოქცევის დროს, მიმართავდა სამშობლოს, რომლის საზღვრები გადათელილია, დეზერტირებულ ჯარისკაცებს და მოსახლეობას, რომლებიც გულგრილობას იჩენდნენ, ლოცავდა მათ, მაგრამ მის რელიგიურ პათოსში სრული უიმედობა იგრძნობოდა.

მეც გავუგზავნე მას „კურთხევა" კარგი ინფორმაციისათვის.

საერთოდ, ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისი ჩვენი ჯარებით არის დაკავებული, მთავრობა გაიქცა და აქაც დიდხანს ვერ გაჩერდება, ჯარი დემორალიზებულია და დეზორგანიზებული, ხოლო შემდგომი ეტაპია — ზღვა, ბათუმი და სრული გაურკვევლობა. მარტო ის ფაქტი, რომ მენშევიკურმა მთავრობამ მიმართა დასახმარებლად ღმერთს, ეკლესიას, ეპისკოპოსს და სამღვდელოების წარმომადგენელს გადაასცა სრულ განკარგულებაში თავისი ცენტრალური პარტიული ორგანო, უკვე ეს ლაპარაკობდა მენშევიკების სრულ უმწეობაზე და განწირულებაზე. როგორც ნათქვამია, წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდა. და მართლაც, მენშევიკებს არავითარი პოლიტიკური და მორალური დასაყრდენი არ აღმოაჩნდათ ხალხში. მენშევიკების მდგომარეობის ტრაგიზმი იმაში იყო, რომ მთელი მათი იმედები ფართო მხარდაჭერაზე და თანაგრძნობაზე ხალხის მხრივ, განსაკუთრებით, გლეხობის მხრივ, რომელშიც ისინი ერთგვარი გავლენით და ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ფუჭი აღმოჩნდა, გამოცდას ვერ გაუძლო, საპნის ბუშტივით გასკდა.

საქართველოს მშრომელებს — მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს არ უნდოდათ ომი, იმიტომ რომ საბჭოთა ხელისუფლებაში და მის არმიაში ისინი მტერს არ ხედავდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათს სიცოცხლეს და ბედილბალს ამ მხრივ არავითარი საფრთხე არ ელოდა. მართალია, უფრო ადრე, საქართველოს გლეხობის უმრავლესობამ ხმა მისცა მენშევიკებს დამფუძნებელ კრებაში არჩევნების დროს, მაგრამ საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ იგი ვერ აამხედრეს. სრულიად სხვა სურათი გადაიშალა, როდესაც დადგა საკითხი ბათუმიდან და, საერთოდ, აჭარიდან თურქების განდევნის შესახებ. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ ვიტყვით.

ციხეში მატულობდა მღელვარება, ატმოსფერო დაიძაბა. ჩვენს ამხანაგებში ცოტა როდი იყო შმაგი და თავშეუკავებელი ტემპერამენტის მქონე მებრძოლი, რომლებსაც უნებურად შეეძლოთ გამოეწვიათ პროვოკაცია, რასაც სისხლისღვრა მოჰყვებოდა, რადგან ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა სიძულვილი და შურისძიების გრძნობა ბობოქრობდა იმათ გულში, ვინც კარგავდა ძალა-უფლებას, დიდებას, კეთილდღეობას და სამშობლოსაც კი.

ჩემთან გამოცხადდა მენშევიკების სამხედრო შტაბის წარმომადგენელი ნ. ჟუმბურიძე. მან გამომიცხადა, რომ მე დაპატიმრებული ვარ ფრონტის მოთხოვნით, რომელიც დაჟინებით მოითხოვს ჩემს სამხედრო სასამართლოში მიცემას, სამშობლოს მოღალატისას. ამასთანავე, მაცნობა, რომ ციხე გარშემორტყმულია ტყვიამფრქვევებით და ოდნავი წინააღმდეგობის ან ბუნტის შემთხვევაში ატყდება სროლა. მან გამომცდელის თვალით გადმომხედა, ჩანდა, სურდა გამოერკვია, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ ცნობამ. მე მშვიდად ვუპასუხე მას, რომ მათ,

რა თქმა უნდა, შეუძლიათ მომკლან მე, მაგრამ სანამ თავიანთ გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანდნენ, ჩაუფიქრდნენ იმას, რომ მათ წარმომადგენელს მოსკოვში — გერასიმე მახარაძეს ყველა მისი თანამშრომლით ამისათვის არავინ არ მოეფერება. ახლა მე გავზომე იგი თვალით და მივედი დასკვნამდე, რომ ის აშკარად დაიბნა, ასე კუდამოძუებულად წავიდა იგი. „მე ვცდილობ, რომ არაფერი არ მოხდესო“, დაუმატა მან.

მე არ ვიცოდი, რა ხდებოდა კამერებში, რას ფიქრობდნენ ამხანაგები, რა გადაწყვიტეს, რა ინფორმაცია ჰქონდათ გარედან. ეჭვი არ იყო, რომ ისინი შეძლებდნენ გარესამყაროსთან კავშირის დამყარებას, მითუმეტეს, მენშევიკების ასეთი პანიკური დაბნეულობის ვითარებაში. ჩემი ახალგაზრდა ოფიცერი აღარ გამოჩენილა ფანჯარასთან — როგორც შემდგომ გავიგე, საწყალი მენშევიკებს დაეხვრიტათ, როგორც „მოღალატე“. დიდხანს ვიგონებდი მე შემდეგ მის მშვენიერ სახეს, პურის ნატეხსა და გაზეთის ნაგლეჯს, რომლებიც მან გადმომცა და სინანულის მწვავე გრძნობა მიპყრობდა.

იგრძნობოდა, რომ საქმე დასასრულისაკენ მიდიოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი კამერა გაალეს და მე შევუერთდი კორიდორებში თავმოყრილ ამხანაგების მასას. ატყდა მხურვალე და აგზნებული დავა იმის შესახებ, წავიდეთ თუ არა. ჩანდა, რომ ჩვენ სადღაც მივყავდით, ალბათ ბათუმში, რამდენადაც სხვა მიმართულება გაქცეულ მენშევიკურ მთავრობას არ ჰქონდა. ჩემთვის სავსებით ცხადი იყო, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზროა, პროვოკაციულია, მას მოჰყვებოდა სისხლის ღვრა და მსხვერპლი. წინააღმდეგობის მომხრენი ყვიროდნენ, რომ ჩვენ უნდა მოვუცადოთ საბჭოთა ჯარების მოსვლას, რომ ვინ იცის, სად მივყავართ, რას გვიპირებენ და ა. შ. დიდმა უმრავლესობამ უარყო წინააღმდეგობა, როგორც უგნური და ავანტურისტული. ნაბიჯი, გაიზიარა ჩვენი საბუთები და მოსაზრებანი: გახრწნის და დეზორგანიზაციის პროცესი აღწევს უკვე ქაოსისა და სრული ანარქიის მდგომარეობას; ადმინისტრაცია, ციხის უფროსები, მცველები და გუშაგები პანიკურად არიან განწყობილნი, თავისი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობენ და, რამდენადაც ისინი ვერსად დაიმალებიან და გაიქცევიან, ეცდებიან ჩვენი ნდობის მოპოვებას, ჩვენი გულის მონადირებას. ციხის რეჟიმი და ინსტრუქციები დაკარგავენ ძალას და მნიშვნელობას. წინ ჯერ კიდევ მთელი ღამეა და მოხერხებულ შემთხვევაში ამხანაგებს შეუძლიათ წავიდნენ; ადგილზე მისვლისას განსჯიან მდგომარეობას და მიიღებენ სათანადო გადაწყვეტილებას. ჩვენ, დაახლოებით 400 კაცი, გამოგვიყვანეს და ალყაშემორტყმულნი წაგვიყვანეს ვაგზლისაკენ, სადაც შეგვრეკეს ჩიხში სპეციალური მატარებლის მოლოდინში. საქმე მაინც არ გათავდა უსისხლოდ. მენშევიკური მთავრობის ქუთაისიდან გაქცევის შემდეგ, სალორის ტყეში ქალაქთან ახლოს აღმოჩენილ იქნა ნახევრად დამწვარი გვამები დახვრეტილი ბოლშევიკების — ივანოვისა და მარდალეიშვილისა. მათი სისხლი გვიხმობდა შურისძიებისათვის.

ბათუმის ციხე პატარა აღმოჩნდა, ჩვენ ყველანი ვერ დავეტიეთ და ნაწილი გაგზავნეს ფორტებზე, საიდანაც იმ ღამესვე დაიწყეს პატიმრებმა გაქცევა. ქალაქი საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არ იყო სინათლე, სათბობი, სანოვაგე, ქუჩები აქოთებული იყო სიბინძურისაგან. ლტოლვილთა ტალღა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოედინებოდა შეუწყვეტლივ ბათუმისაკენ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი უნდა ყოფილიყო ცხოვრების პირობები ციხეში. ჩვენ გვკვებავდნენ ტკბილ-მწარე სოიოს კვერებით და რაღაც გაუგებარი ბალანდით. ფორტებიდან გაქცეულმა ამხანაგების ჯგუფმა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის დახმარებით სცადა მოეწესრიგებინა ჩვენთვის კვება, მოეწყო გადაცემები, მაგრამ მათი შესაძლებლობა შეზღუდული იყო და ეს ძლივს შეგროვებული ნამცეცები, აბა, რას გაამლებდა სამასიოდე ცარიელ კუჭს!

მე სხვა ამხანაგებთან ერთად ხელახლა განმაცალკევეს, მაგრამ კავშირი სხვა კამერებთან მაინც გვქონდა. ორი სამი დღის შემდეგ ამხანაგებმა, რომლებსაც სეირნობის უფლება ჰქონდათ, შემატყობინეს, რომ სეირნობის დროს ვხვდებით ყველასათვის უცნობ ვინმე ტერ-გ-იანსო, რომელსაც თავი ბოლშევიკად მოაქვს და შენ გიმოწმებსო. ამხანაგები მეკითხებოდნენ, ვადასტურებ თუ არა მე ამ დამოწმებას, არის თუ არა სანდო ეს პიროვნებაო. ამ ცნობამ მე დიდი სიხარული მომანიჭა, თუმცა ჯერ ეს გრძნობა არავისთვის არ შემეძლო გამეზიარებინა. მე ვუპასუხე — „ტერ-გ-იანს ვიცნობ, თუმცა არც ისე კარგად და ამიტომ გირჩევთ მასთან თავშეკავებული იყავით“. ის გამოგზავნილი იყო ჩვენთან, სრულუფლებიან წარმომადგენლობაში, საგარეო საქმეთა კომისარიატიდან მითითებით გამოგვეჩინა მისდამი დიდი მზრუნველობა და შეგვექმნა ყველა პირობა დასვენებისათვის. ჩვენ მოვათავსეთ იგი სასტუმრო „ორიანტის“ საუკეთესო ნომერში და ზუსტად ვასრულებდით მიღებულ მითითებებს, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მე აბსოლუტური სიზუსტით გამოვარკვიე, რომ ის იყო ჯაშუში, ინგლისის დაზვერვის აგენტი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო ინგლისელ პოლკოვნიკ სმიტთან თბილისში და რომ იგი აქ ჩამოვიდა არა ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად, არამედ გადმოყვანილი იყო ახალ უბანზე დაზვერვის საგანგებო დავალებებით. ჩვენ ვერ ჩავიგდეთ იგი ხელში ვერც პირდაპირი გზით და ვერც მოხერხებით და ვუცდიდით შესაფერის შემთხვევას. ახლა ის ჩვენს შორის იყო და ჩვენ სიფრთხილე გვმარ-

თებდა, რათა არ მიგვეცა საბაბი ეჭვისათვის და არ გაგვქრომოდა ხელიდან. ამჯერად იგი მართლაც ვერსად ვერ წაგვივიდა.

ციხე ღელავდა. ყოველდღე ვრცელდებოდა ათასგვარი ხმები. ხან ამბობდნენ, რომ ჩვენ, თუ ყველას არა, ნაწილს მაინც წაგვიყვანენ სტამბოლში, ხან გადმოგვცემდნენ, რომ ხელმძღვანელებს გაიყვანენ ბარჟით ზღვაში და იქ დახვრეტენო, ხან ამბობდნენ, რომ ჩვენ სამხედრო-საველე სასამართლო გაგვისწორდება სახელდახელოდ. ღამით ჩვენამდე აღწევდა თოფის ხმა ზღვის მხრიდან: ვილაცას ხვრეტდნენ. ერთ-ერთ ასეთ ჯოჯოხეთურ ღამეში მე გამიყვანეს კანტორაში. საკნებში მღელვარება დაიწყო, აღარავის არ ეძინა ჩემს მოლოდინში. კანტორაში დამხვდა მენშევიკების ყოფილი სამხედრო მინისტრი, ბათუმის და ოლქის· გენერალ-გუბერნატორი გრ. გიორგაძე.

— შენ, როგორც ვხედავ, ჯალათის ხელობა ამჯობინე იურისტის პროფესიას, — ვუთხარი მე მას.

— არა... ოჯახს გეფიცები... არა.

— მაშ რაშია საქმე? რისთვის გამომათრიეთ საკანიდან ღამით?

— ნოე ნიკოლოზის ძე გიხმობთ, — მიპასუხა მან.

— იცოდეთ, თუ ეს პროვოკაციაა და დასახვრეტად გინდათ გამიტყუოთ — უბრალოდ არ ჩაგივლით... ამხანაგები შურს იძიებენ... მან ხელახლა დაიფიცა, რომ ჟორდანიას სურს ჩემთან საუბარი. წამიყვანეს ჩაბნელებული ქუჩებით და მიმიყვანეს აზიზიეს მოედანზე, სადაც იდგა გაუნათებელი პულმანის ვაგონი, როგორც კი ვაგონში ავედი, ღამის ნათურის მბჟუტავ სინათლეზე დავინახე ჟორდანია, რომელიც ტყავის დივანზე იჯდა, და იქვე მდგომი მისი მთავრობისა და სახალხო გვარდიის შტაბის ზოგიერთი წევრი. მან წინადადება მომცა დავმჯდარიყავი.

— მე თქვენ მოგიწვიეთ, რათა მოგელაპარაკოთ, სანამ ჩვენ საქართველოს დავტოვებდეთ. საქართველოს მთავრობა იძულებულია დატოვოს საქართველო. ჩვენ ვერ გავუძლებთ საბჭოთა ჯარის შეტევას. განთიადზე გადავალთ კრეისერზე, რომელიც გვიცდის რეიდზე. მე მოგმართავთ თქვენ როგორც პასუხისმგებელ პარტიულ პირს... მიიღეთ ზომები, რომ თქვენმა ჯარებმა არ დაარბიონ ხალხი და ქვეყანა, არ დაანგრიონ და არ მოსპონ კულტურული და ისტორიული განძეულობა, რომელიც შექმნილია ჩვენი ხალხის მიერ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი აქ ამ მიზნით მოდიან?... — —ვკითხე მე.

— არა, მე ამას არ ვფიქრობ... მაგრამ ომი — ომია, ვინც არ უნდა აწარმოებდეს მას... ის საზოგადოდ ვერ ეგუება კანონიერებას და წესრიგს... იგი ყოველთვის ძალადობაა... და მას ყოველთვის უბედურება მოაქვს ხალხისათვის, ქვეყნისათვის.

— თქვენი შიში მით უფრო უსაფუძვლოა, რომ, როგორც თქვენ თვითონ სთქვით ახლა, საბჭოთა ჯარები არ ხვდებიან უკვე არავითარ წინააღმდეგობას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ომი ფაქტიურად აღარ წარმოებს.

— მთავრობამ დაჰყარა იარაღი, მაგრამ შესაძლებელია ჯარის ცალკეული ნაწილები ან ჯგუფები განაგრძობენ წინააღმდეგობას. მე გავგზავნე ცარიელი მატარებლები ქუთაისის მიმართულებით, რომ თქვენი ჯარები საჩქაროდ შემოვიდნენ აქ... ქალაქში უკვე შემოდიან თურქები... ქუთაისში გაგზავნილია აგრეთვე ჩემი მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე...

ის მიეყრდნო დივანის ზურგს, დახუჭა თვალები და ფიქრს მიეცა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მან კვლავ მომმართა ასე:

— თუ თქვენ ვერ შეინარჩუნებთ საქართველოს, დაგვიბრუნეთ ჩვენ.

ეს ფრაზა სრულიად უაზრო და გაუგებარი იყო, მაგრამ მე აღარ შევყევი კამათს და საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე.

— მე მინდა გამოვთქვა ჩემი პირადი აზრი. — მან ყურადღებით შემომხედა. მის გარემოცვასაც დაეტყო შეშფოთება.

— ვიმეორებ, მე არავისი რწმუნება არა მაქვს ამ საკითხში... თქვენ კარგად გიცნობენ ლენინი, სტალინი და პარტიის სხვა მოღვაწეებიც. დარჩით საქართველოში. საბჭოთა საქართველოში თქვენ ნახავთ ჩვენი ხალხისათვის სასარგებლო სამუშაოს. პოლიტიკის გარეშე, დავუმატე მე. ის ხელახლა მიაწვა დივანის ზურგს და მის სახეს რაღაც საოცარი სიფითრე დაეტყო. მცირე პაუზის შემდეგ მან მიპასუხა:

— არ შემიძლია... მე მთავრობის თავმჯდომარე ვარ. მთავრობა კი ტოვებს ქვეყანას... არ შემიძლია...

ძნელი მისახვედრი იყო, რა მიზეზი უშლიდა ხელს დარჩენილიყო: ფორმალური თუ პოლიტიკური, იქნებ ორივე ერთად. ყოველ შემთხვევაში მე ეს არც თუ ისე მაინტერესებდა... ჩამოვარდა სიჩუმე. ცოტა ხნის შემდეგ მან წარმოთქვა:

— ესაა და ეს... ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის.

მის წინ გამოიჭიმა იგივე გიორგაძე და ჰკითხა:

— სად გვიბრძანებთ წაყვანას...

მან შემომხედა რაღაც ცალყბად და მწარე ღიმილით.

— ახლა იქვე, სადაც იყო, ხვალ კი ეს ვაგონიც და საერთოდ ყველაფერი მის განკარგულებაში იქნება.

მე ჩუმად ავდექი და კვლავ წამიყვანეს ციხისაკენ. იქ არავის არ ეძინა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მე ვაუწყე, რომ რამდენიმე საათის შემდეგ თავისუფლები ვიქნებით.

ციხიდან რომ გამოვედით, ქალაქში ნამდვილი ქაოსი სუფევდა. თურქების შეიარაღებული ძალების მთავარი ნაწილი უკვე ქალაქში იყო და იწყებდა პარპაშს. ქუჩებში გაკრული იყო თურქეთის სარდლობის ბრძანებულება, რომლის ერთი მუხლი ამბობდა, რომ გამოსაძიებელი და სხვა საქმეები გადადიან თურქეთის სასამართლოს იურისდიქციაში. ცენტრში დასეირნობდა პიკეტი ასკერებისა, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, ქალაქში შემოდიოდა ასკერთა ახალი ჯგუფები, გადმოსროლილი ხოპიდან და რიზედან. ქალაქის კომუნალური, განსაკუთრებით სანიტარული, საბინაო და სასურსათო მდგომარეობა საშინელი იყო. საქართველოს კომუნისტების წინაშე, რომლებსაც ახალი დატოვებული ჰქონდათ ციხე, იდგა ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანები: ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს შექმნა, თურქების განდევნა ქალაქიდან, ცხოვრების ელემენტარული პირობების მოგვარება, ქალაქის განტვირთვა, თბილისთან კავშირის დამყარება (ფოსტა და ტელეგრაფი თურქების მიერ იყო დაკავებული).

ჩვენ უმალვე დავიკავეთ მენშევიკების გენერალ-გუბერნატორის ცარიელი სახლი და ფართო პარტიულ კრებაზე ჩამოვაყალიბეთ ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის რევოლუციური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ამირჩიეს მე. რევკომის შემადგენლობაში შეყვანილი იქნენ აჭარის მოსახლეობის წარმომადგენლები მამედბეგ აბაშიძე, რეჯები ნიჟარაძე. ისინი ესწრებოდნენ მხოლოდ რევკომის პლენუმს.

მე მაშინვე წავედი მენშევიკების მიერ ევაკუირებულ რსფსრ-ს სრულუფლებიან წარმომადგენელ ა. შ-თან, რომ მასთან ერთად განმეხილა ბათუმში თურქების შემოჭრის საკითხი.

— თქვენ უნდა მიიღოთ საჩქარო ზომები ამ ფაქტთან დაკავშირებით, — ვუთხარი მე. საქართველოში გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება... ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი... თქვენ ერთადერთი წარმომადგენელი ხართ რსფსრ-სი, რომლის ჯარებიც მოქმედებენ საქართველოში და თქვენ მოვალე ხართ შეუდგეთ მოლაპარაკებას თურქებთან, რათა მათ დაუყოვნებლივ დატოვონ საბჭოთა ტერიტორია... ეს თქვენი მოვალეობაა...

— არა, ჩემი აზრით ეს არ უნდა შედიოდეს ჩემს მოვალეობაში... მე სამხედრო კაცი არა ვარ... მე არ მიყვარს სროლა... უკეთესია, რომ თქვენ საჩქაროდ გამამგზავროთ თბილისში... აი ჩემი თხოვნა...

მე გაოცებული დავრჩი ასეთი პასუხით, მაგრამ ცხადი იყო, რომ შეშინებული კაცის დარწმუნება და დაჯერება არ შეიძლებოდა და მასთან ლაპარაკი ამ მიმართულებით მხოლოდ დროს დაკარგვა იყო.

— ვის უყვარს ომი და სროლა? მაგრამ ჩვენი მოვალეობაა... წამოვიძახე მე.

— არა, არა, ძვირფასო. ს. ი., რაც შეიძლება ჩქარა გამგზავნეთ თბილისში.

ამ დროს შემოვიდა თანამშრომელი და მოახსენა სრულუფლებიან წარმომადგენელს, რომ გამოცხადდა ორი თურქი ოფიცერი და თხოულობენ მიღებას.

მან შემომხედა გაუგებრობით აღსავსე თვალებით. მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და მოვემზადე წასასვლელად.

— ნუ წახვალთ... დარჩით... მე თქვენ გთხოვთ, მომმართა მან. ოთახში შემოვიდა ორი ახალგაზრდა თურქი ოფიცერი. ერთი მათგანი დაწინაურდა, სამხედრო სალამი მისცა სრულუფლებიან წარმომადგენელს და თქვა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ამიერიდან ბათუმი და ბათუმის ოლქი გადადის თავისი ძველი დედის — თურქეთის წიაღში.

მცირე პაუზის შემდეგ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა უპასუხა: ამის შესახებ მე არავითარი ცნობა არ მაქვს... ჩემს მთავრობას არავითარი მითითება არ მიუცია. ოფიცრები წავიდნენ.

— თქვენ საქმეში ჩარევის შემთხვევა გაუშვით, — ვუთხარი მე მას.

ქალაქში ისმოდა სროლა. ჩემთან მოვიდა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ ოფიცერთა ჯგუფი, რათა გავეცილებინე რევკომამდე.

ეს ოფიცრები ერთბაშად გამოცხადდნენ რევკომში და შეგვთავაზეს სამსახური თურქების ქალაქიდან გასადევნად, იმათვე გვაცნობეს, რომ მენშევიკების ჯარის ნაწილები გაფანტულია ფორტებში, კაზარმებში — ქალაქში და ქალაქგარეთ და მათ შორის დაიწყო დეზერტირობა. რევკომმა იმ ღამესვე გაგზავნა იმ ნაწილებში აგიტატორები კარპ მ-ს მეთაურობით, რათა შეეჩერებინათ ჯარისკაცები, აეხსნათ მათთვის, რომ საფრთხე მოელოდა ბათუმს, რომ საჭიროა გადამწყვეტი შეტევა თურქების წინააღმდეგ, რომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ბათუმი უნდა შევინარჩუნოთ, რომ ახლა პარტიების საკითხი არ დგას, არამედ ჩვენი ქართული ქალაქის ხსნაშია საქმე. ჯარისკაცთა შორის დიდი უმრავლესობა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან იყო. აგიტაციამ მოახდინა მათზე გავლენა, აამაღლა მათი ბრძოლის უნარიანობა. კომუნისტების რაზმი, რიცხვით 200 კაცამდე, სახელდახელოდ შეიარაღებული, გენერალ ვ. ც-ძის მეთაურობით გაგზავნილი იყო სადგურის რაიონში, რათა დაეცვა 1500 ვაგონი და პლატფორმა ბათუმში მენშევიკების მიერ მორეკილი და ათასნაირი ქონებით დატვირთული. საჭირო იყო სარდალი, რომელიც შეძლებდა მაგარი დაჯგუფების შექმნას, სამხედრო მოქმედების მეთაურობას და ომის მოგებას. ასეთი არავინ იყო, მაგრამ მაინც უნდა მოგვე-

ნახა. ეს იყო conditio sine qua non. ჩემთან მოიყვანეს ერთი ქართველი გენერალი (ფურცელაძე), რომელმაც იუარა — მე საინტენდანტო სამსახურის გენერალი ვარო. შემდეგ შემოვიდა პოლკოვნიკი ქურული, რომელიც დათანხმდა და გაგვაცნო თავისი გეგმა: ყველა შეიარაღებული ძალის გაყვანა ქალაქგარეთ და მათი იქ მომზადება ქალაქზე თავდასხმისათვის. მაგრამ ამ აშკარად მცდარ გეგმას მე არ დავეთანხმე. შეიქმნა უკიდურესად კრიტიკული მდგომარეობა, სროლა ქალაქში გაძლიერდა. ბულვარის მხრიდან ესროდნენ ჩვენ სახლს და ჩვენმა ამხანაგმა აკაკი • დალაქიშვილმა, რომელიც სულ ჩემთან იყო, პირდაპირ წამაქცია იატაკზე და თვითონაც მომიწვა გვერდით მაუზერით ხელში. რამდენიმე ჩემი ნაცნობი ოფიცერი შემოვარდა რევკომში და მოგვახსენეს, რომ ერთადერთი სარდალი, რომელიც სარგებლობს დიდი ავტორიტეტით და რომელსაც შეუძლია შეაკავშიროს სამხედრო ნაწილები, ეს გენერალი მაზნიაშვილიაო, რომელიც ახლა ფელუგაზეა და ოჯახთან ერთად მიიპარება თურქეთშიო. მე გავეცი ბრძანება, დაეკავებინათ იგი და დაუყოვნებლივ მოეყვანათ რევკომში. ნახევარ საათში გენერალი მოიყვანეს. ეს იყო ხანში შესული კაცი, მკვრივი აგებულებისა, ტანდაბალი. ჩვენ შორის გაიმართა შემდეგი დიალოგი:

— თქვენ გენერალი მაზნიაშვილი ხართ?

— სწორედ ასეა, მიპასუხა მან მშვიდი ხმით.

— თქვენ თურქეთში გაქცევის განზრახვა გქონდათ და ბათუმის ასეთ მდგომარეობაში დატოვება?

— რა ვქნათ,.... ყველა მირბის...

— გენერალო, დიდი ხნის ლაპარაკის დრო არ არის. თქვენ ახლავე უნდა შეუდგეთ ქალაქის დაცვას და თურქებისაგან გაწმენდას. ასეთია რევკომის გადაწყვეტილება. თქვენ გელაპარაკებათ რევკომის თავმჯდომარე.

მან ისევ მშვიდი ტონით მიპასუხა:

— მე თქვენ გიცნობთ... მაგრამ არ შემიძლია... აქ ისეთი ქაოსია, რომ არავითარ დისციპლინაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

— ასეთია რევკომის გადაწყვეტილება, — გავუმეორე მე,—წინადადებას გაძლევთ შეასრულოთ ბრძანება.

— არ შემიძლია, — ხელახლა მიპასუხა მან. — ჩემი ნაწილები რომ იყვნენ აქ, მე იქნებ შევძლებდი რაიმეს გაკეთებას... მაგრამ ისინი არ არიან და ვერაფერს ვერ ვიკისრებ.

— გენერალო, უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას... დრო არ ითმენს... გესმით რა ხდება ქალაქში?..

— მე უკვე ვთქვი...

— გენერალო, გაძლევთ სამ წუთს... გადაწყვიტეთ ან მქ თქვენ დაგხვრეტთ, როგორც სამშობლოს მოღალატეს...

ვერ ვიტყვი, რომ ამ მუქარამ მოახდინა მასზე დიდი შთაბეჭდილება...

მე გავედი ჩემს კაბინეტში. მას გარს შემოეხვია ოფიცრები და ჩვენი ამხანაგები, დაუწყეს რწმუნება, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემთან შემოვიდა თენგიზ ქლენტი და ღიმილით მითხრა: ის დათანხმდა. მოგვთხოვა ცალკე შენობა, ადიუტანტები, მანქანა, ცხენები, აგიტატორები და ქალაქის რუკა.

— შენ მასთან კომისრად იქნები. გააკეთე ყოველივე, რაც საჭიროა. შეარჩიე, რომელი სახლიც გნებავს და დაიკავე.

შესასვლელში გენერალს ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი:

— თქვენ მოგეცემათ ყოველივე... ჩვენ, ჩანს, ძილისთვის არ გვეცლება. მე რამდენიმე საათის შემდეგ მოგაკითხავთ.

სადღაც კაკანებდა ტყვიისმფრქვეველი. თენგიზმა ამიხსნა, რომ მძარცველთა ბანდები ტამოჟნის საწყობებს დაესხნენ თავს და რომ მან გაგზავნა ტყვიისმფრქვევლები.

— რა ბანდაა? — ვკითხე მე.

ასლან-ბეკის ბანდიტებია.

დილის ექვს საათზე მე უკვე „შტაბში“ ვიყავი. შენობასთან ფუსფუსი იყო. მე მივმართე მორიგეებს:

— რას აკეთებს გენერალი?

მათ მიპასუხეს, რომ ის დაუკავშირდა ჯარის ნაწილებს, აგზავნის ბრძანებებს, არ უძინია, საჭმელზე უარი თქვა, მოითხოვა კონიაკი.

— როგორაა ჩვენი საქმეები, გენერალო, — შევეკითხე მე, შევედი თუ არა მასთან.

— არა უშავს... ზოგი რამ მე უკვე გამოვარკვიე. მაგიდაზე იდგა ბოთლი კონიაკით, ჩანდა, რომ საკმაოდ გადაუკრავს.

— მე სამხედრო პირი არა ვარ. დეტალების ახსნას არ გთხოვთ... საერთო ხაზებში ამიხსენით თქვენი გეგმა.

— დღეს მინდა გაფანტული ნაწილების შეერთება. ხვალ დავიწყებ ტაწოლას და თურქებს გავრეკავ „გოროდოკში“. და თუ ხვალ ვერა, ზეგ დილით მაინც დავიწყებ ბრძოლას. ვფიქრობ, საღამოთი ყოველივე დამთავრებული იქნება, — მიპასუხა მან იმავე უცვლელი სიმშვიდით.

— რა შანსები გაქვთ?

— განწყობილება კარგი აქვთ ჯარისკაცებს და ოფიცრებს... ძლიერ მოგვეხმარნენ თქვენი ამხარაგები. გარდა ამისა მე მსუბუქი სამთო არტილერია მაქვს, მათ კი არა.

ეს მისი შეურყეველი სიმშვიდე და გამარჯვების მტკიცე რწმენა იმედს გვინერგავდა. მთელი დღის განმავლობაში ქალაქში წარმოებდა სროლა. თენგიზი გვაცნობებდა სროლის მიზეზს: მაზნიევი თურქებს ერეკება „გოროდოკშიო“, მეორე დღეს, დილის 5 — 6 საათზე, მოგვახსენეს, რომ მან (მაზნიევმა) დაიწყო შეტევა. მე მანქანით წა-

ვედი „გოროდოკში“. ხიდიდან ცხენზე მჯდომი ფრიდონ ც-ძე იძლეოდა ბრძანებას:

— მშვიდად... ცე-ცხლი!

ჩემთან მოიჭრა ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც იქვე ხის ქვეშ აღგენდა რელაციას ბრძოლის შესახებ, და ჩამომართვა მანქანიდან: როგორ დგახართ? თქვენ ნიშანში ამოგიღებენ!

— სად არის გენერალი? — ვკითხე მე.

მახლობლად ნახევრად დანგრეულ ფარდულთან იდგა მაზნიაშვილი ჯოხით ხელში და იძლეოდა ბრძანებებს. იქვე იდგა მომცრო ზარბაზანი, რომლის ქვეშ შებოჭილი თურქი ეგდო.

— როგორაა საქმე, გენერალო?

— არა უშავს... არაა ცუდად... ვფიქრობ, საღამოს დავამთავრებ...

— ეს ვინაა?

— ეს თურქების მზვერავია. ჯერჯერობით აქ იწვეს.

— შეიძლება დამშვიდებული ვიყოთ?

— დიახ, — მტკიცედ მიპასუხა მან.

მე ვბრუნდებოდი უკან, გამარჯვების იმედით ფრთაშესხმული საქართველოსათვის და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ასეთ დიდ საქმეში. ერთერთ ქუჩაზე თვალი მოვკარი თურქეთის კონსულს ფახრედინ ხაირის. სადღაც მიიჩქაროდა. მე ის წინა ჩამოსვლების დროს მინახავს აქ, მაგრამ ახლა იგი, ნახევრად სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, ტყავის კრაგებით, თავზე ფაფახით და ვეებერთელა ხანჯლით სრულიად არ ჰგავდა დიპლომატს.

— მიაშურეთ საკონსულოს. აქ ვინმეს არ შემოაკვდეთ, — სიცილით მივაძახე მას.

მან დაბნეულად შემომხედა, ჩანდა არ იცოდა, რა ეპასუხა. დაიწყო ღრეჭა და რაღაც წაიბუტბუტა.

საღამოს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გაისმა სიმღერა ქართველი ჯარისკაცებისა. ისინი მიერეკებოდნენ საქონლის დიდ ჯოგს, რომელიც მტრისათვის წაერთმიათ. მაგრამ ბევრს აღარ შეეძლო ეგემა გამარჯვების სიხარული და სიხალისე ამხანაგური ღრეობისა. მათთვის მზადდებოდა საძმო საფლავი.

გვიან ღამით მე მაცნობეს, რომ ქალაქში შემოვიდა ქლობას ცხენოსანი ჯარის შტაბი თვით უფროსის მეთაურობით. მე მივიღე ქლობა და მისი შტაბი და გავიგე მათგან, რომ ისინი ბათუმის გასათავისუფლებლად იყვნენ წამოსული.

ქლობა — მაღალი, ხმელი, წელში ოდნავ მოხრილი ყუბანელი კაზაკია, მზით შერუჯული სახით და რუხი თვალებით. მას თითქოს დაენანა კიდეც, რომ ქალაქი, რომლის აღება და გაწმენდა ჰქონდა ნაბრძანები, განთავისუფლებული დახვდა. მართლაც, მის რაზმს მოუხდა გადმოსვლა გოდერძის ულელტეხილზე ცოცხალმკვდარი ცხენებით, უმძიმეს პირობებში, თოვლში, სიცივეში, ტალახში.

— შეუსვენებლად, უძილოდ, მშივრები მოვიჩქაროდით აქეთ და თქვენ კი ყველაფერი გაგიკეთებიათ... აი, შტაბის უფროსი მოგიყვებათ ყოველივეს დაწვრილებით.

ჩემს წინ წამოიჭიმა ახალგაზრდა შტაბისტი და მიპატაკა, რომ ცხენოსანი დივიზია ქალაქის მისადგომებთან იმყოფება და დილით ქალაქში შემოვა.

ვერ მოასწრო მან პატაკის დამთავრება, რომ მოცელილივით დაეცა იატაკზე. ეტყობა, ქლობასათვის ეს ჩვეული ამბავი იყო და მან მშვიდად წაილაპარაკა:

— არა უშავს რა, დაიღალა ყმაწვილი... სამი დღე და ღამე არ უძინია.

შემდეგ ანიშნა თავის თანმხლებლებს:

— დააწვინეთ სკამზე.

და იგი, უკვე ღრმა ძილს მიცემული, როგორღაც დააწვინეს, ჩვენ კი საუბარი განვაგრძეთ.

— მე აქ აღარაფერი დამრჩენია გასაკეთებელი... ოღონდ ცხენებს უნდა ვაჭამო... ხვალ შეუჩერებლად განვაგრძობ გზას... ცხენებისათვის საკვები უნდა გამოვძებნოთ, ამაში თუ დაგვეხმარებით, — ამბობდა ქლობა.

მეორე დღეს დილით ქალაქში გაიარა კავალერიამ ქობულეთის მიმართულებით. მხედართა სახეებს უკიდურესი დაღლილობის ბეჭედი ემჩნეოდათ, ხოლო ცხენები ფეხებს ძლივს მიათრევდნენ.

სასტუმრო „საფრანგეთში“ შერჩენილიყო თურქების შტაბი პოლკოვნიკ ქიაზიმ-ბეის მეთაურობით. მისი ფანჯრიდან ქუჩაში ტყვიამფრქვევი იყო გაშვერილი. ტელეგრაფშიც ჩასაფრდა თურქთა ყარაული ხუთი ასკერის შემადგენლობით და მათზე არ მოქმედებდა არც მუქარა და არც მოლაპარაკება. ძალის ხმარება, მაგალითად, ხელყუმბარის ფანჯარაში შეგდება, სახიფათო იყო აპარატურისათვის, მაგრამ ტელეგრაფი ჩვენ საჩქაროდ გვჭირდებოდა და ასკერთა ჯიუტობა კი ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გასტანდა. ჩვენ გადავწყვიტეთ მშვიდობიანი მოქმედება. კედელს კიბე მივუყუენეთ და ფანჯარაში პურის სამი „ბუხანკა“ შევაგდეთ. როდესაც დანაყრდნენ, ასკერებმა ფანჯარაში გამოიხედეს და ჩვენ ავუხსენით მათ თურქულად, რომ ყველა მათი ამხანაგი და მეთაური თურქეთში წავიდა და ა. შ. თურ-

ქული აგრესიის უკანასკნელმა პოსტმა ვერ გაუძლო პურით ბომბარდირებას და დაგვნებდა.

პოლკოვნიკ ქიაზიმ-ბეის წინადადება მიეცა ქალაქი დაეტოვებინა, და, თუ მას სურდა, სამხედრო სასულე ორკესტრიც კი შევთავაზეთ საპატიო გაცილებისათვის. მან, რა თქმა უნდა, ასეთ „პატივისცემაზე“ კატეგორიული უარი განაცხადა და გვთხოვა კატარღაზე დაგვესვა იგი [1].

რიონის ხიდზე, საჯავახოსთან მოძრაობის აღდგენიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ბათუმში შემოვიდნენ საბჭოთა არმიის რეგულარული ნაწილები, რომელთა მეთაური კუიბიშევი იყო, ხოლო პოლიტკომისარი — ლისოვსკი.

1. ორი წლის შემდეგ, როდესაც თურქეთში ჩავედი, გავიგე, რომ პოლკოვნკი ქიაზიმ-ბეი ბათუმის მარცხისათვის დაქვეითებული იქნა სამსაჩურში ქემალ ათათურქის მიერ.

ასეთია საერთო ხაზებში 1921 წლის მარტის შუა რიცხვებში ბათუმში მომხდარი ამბების ნამდვილი ისტორია.

ამ სამხედრო „ინცინდენტის“ მსხვერპლთა მთური საფლავი აზიზიეს მოედანზე მუდამ იქნება ქართველი მეომრების თავდადებული გმირობისა და მგზნებარე პატრიოტიზმის მოწმე, მეომრებისა, რომელთაც მსხვერპლად გაიღეს თავიანთი სიცოცხლე ბათუმის და აჭარის გასათავისუფლებლად, სამშობლოს სასახელოდ. [1]

1 უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკური „სახალხო გვარდიის“ ნაწილებმა, რომლებიც ბათუმში იმყოფებოდნენ თავისი მეთაურებითურთ (ალ. დგებუაძე და ვ. ჯიბლაძე), ქალაქის განთავისუფლებაში მონაწილეობა არ მიიღეს. მათ მხოლოდ ფული მოგვთხოვეს გვარდიის დემობილიზაციისათვის. ჩვენ შევასრულეთ ეს თხოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუხუტ ბღაჟბა

★

# აფხაზეთის ლიტერატურა

აფხაზი ხალხი ისტორიულად დაკავშირებულია ქართველ ხალხთან. უკანასკნელ ხანებამდე მას არ ჰქონდა თავისი დამწერლობა. მიუხედავად ამისა, მან მაინც შეინარჩუნა თავისი ენა, დაიცვა თავისი ორიგინალური კულტურა. აფხაზთა ზეპირსიტყვიერებაში, რომელიც ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო მათ მიერ სამყაროს პოეტური აღქმის ერთადერთი გამომხატველი, შედის ზღაპრები, ეპიკური თქმულებები ბუმბერაზ ნართებსა და აბრსკილზე, ლეგენდები, მითური მოთხრობები ხადირობაზე, საყოფაცხოვრებო და ისტორიულ-გმირული სიმღერები, გამოცანები, ანდაზები და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური ზეპირი შემოქმედება, განსაკუთრებით პოეტური თქმულებები, მნიშვნელოვან ლიტერატურულ როლს ასრულებდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. აფხაზებმა მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ დაიწყეს თავისი მხატვრული ლიტერატურის შექმნა, თუმცა მათი დამწერლობა შეიქმნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში. სოციალისტური კულტურის განვითარებასთან ერთად აფხაზეთში ხდება იგივე პროცესი, რაც ჩვენი ქვეყნის სხვა, წარსულში ჩამორჩენილ ხალხებთან, ახლა ზეპირი პოეტური შემოქმედება არ ახდენს უშუალო გავლენას აფხაზური ლიტერატურის განვითარებაზე. პირიქით, გაძლიერდა ლიტერატურის ზემოქმედება ხალხურ შემოქმედებაზე.

ჩვენამდე ასე თუ ისე მთლიანი სახით მოღწეულ აფხაზური გმირული თქმულებებიდან გამოირჩევა: ლეგენდა აბრსკილზე, ნართების ეპოსი და ისტორიულ-გმირული სიმღერები.

თქმულება კლდეზე მიჯაჭვულ, ანდა გამოქვაბულში დატყვევებულ გმირებსა ანდა გოლიათებზე სხვადასხვა ვარიანტად ცნობილია მთელ რიგ კავკასიელ ხალხთა შორის. ესაა ქართველების ამირანი, ოსების ამრანი, სომხების — მხერი, ყაბარდოელთა დიდი ტანჯული, რომელიც მიჯაჭვულია უაშხა-მახას მთაზე. ამ თქმულებების წარმოშობისა და პრომეთეოსზე ბერძნული მითისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ გამოთქმული იყო სხვადასხვა მოსაზრება. ზოგიერთი რევოლუციამდელი ავტორი კავკასიელი ხალხის ამ თქმულებებში ხედავდა ბერძნული მითის გამოძახილს (ლ. გ. ლოპატინსკი და სხვ.). ვ. ფ. მილერმა ჯერ კიდევ 1883 წელს გამოთქვა ასეთი მოსაზრება: ბერძნებმა შექმნეს თავიანთი თქმულება პრომეთეზე, კავკასიელმა ხალხებმაც შექმნეს დამოუკიდებელი ლეგენდები მიჯაჭვულ ანდა დატყვევებულ გოლიათზე ანუ ბუმბერაზზე. ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, აკაკი წერეთელი პიესა „მედეას“ კომენტარებში, ლაპარაკობდა რა ამირანის თქმულების ორიგინალობაზე აღნიშნავდა: უძველესი მითები პრომეთეზე, იაზონსა და მედეაზე ჩვენს მხარეში დაიბადნენ და კოლხიდიდან ელინთა ქვეყანაში გადავიდნენო. ასეთივე მოსაზრება გამოთქვა შემდგომში აკად. ნ. მარმა შრომაში „კავკასიისმცოდნეობა და აფხაზური ენა“.

თქმულებები ნართების შესახებ წარმოადგენენ სპეციფიკურ კავკასიურ მასალას, თუმცა მასში გამოყენებულია ტრადიციული ფოლკლორული მოტივებიც.

არც გადმოცემებში, არც ნართების შესახებ თქმულებებში არ არის საკმარისად მკაფიო მითითება კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენებზე, რომლებიც შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა მათ. თქმულებებს ხანდახან აქვთ ფანტასტიკური ხასიათი, შესაძლებელია ისინი შეიქმნენ ხალხის განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ საფეხურზე და გამოხატავდნენ მის წარმოდგენას გმირობის შესახებ, განსხვავდებოდნენ რა საკუთრივ ისტორიული ხასიათის თქმულებებისა და სიმღერებისაგან. მართალია, კავკასიის სხვადასხვა ხალხის თქმულებები ნართებზე ძლიერ ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ ისინი, მაინც გამოირჩევიან სახეებისა და თემების დამუშავების ნაციონალური თავისებურებებით (ტიპაჟი, სიუჟეტების შერჩევა, მოტივთა ციკლიზაცია, კომპოზიცია, სტილი, კონტამინაცია და სხვ.). აფხაზთა თქმულებები ნართებზე დღემდე თითქმის უცნობია ლიტერატურაში.

გამოჩენილი რუსი ენათმეცნიერი და კავკასოლოგი უსლარი, ეხებოდა რა კავკასიის მთიელთა თქმულებებს ნართებზე, წერდა: „სიმღერები და ზღაპრები (ნართული), გარეგნულად დაქუცმაცებულია, მაგრამ ერთმანეთს შორის მჭიდრო კავშირი აქვთ და ქმნიან მთლიან ეპიკურ პოემას, რომელსაც ახლო მომავალში ელის ან სამუდამო დავიწყება ანდა, ვინ იცის, იქნებ ისინი მოევლინონ განათლებულ კაცობრიობას უდიდესი ეროვნული პოემების გვერდით[1]“.

---

[1] П. Услар. — Кое-что о словесных произведениях горцев. Сборник сведений о Кавказских горцах. Тифлис, 1868.

აფხაზური თქმულებები ნართებისა და აბრსკილის შესახებ გავრცელებულია უპირატესად პროზაული ფორმით, მაგრამ ნართული თქმულებები გვხვდება ეპიკური სიმღერების ფორმითაც.

ნართული თქმულებების გვერდით აფხაზურ ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისტორიულ-გმირულ სიმღერებს და ბილინებს. მათ ხშირად ასრულებენ მუსიკის თანხლებით. ძველი აფხაზეთის საყვარელი მუსიკალური ინსტრუმენტებია აფხიარცა (ორსიმიანი ქამანიანი ინსტრუმენტი) და აჰარპინი (სალამური). ძველად აფხაზებს ჰქონდათ ქნარის (ავიუმაა) მსგავსი ეკსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელსაც თოთხმეტი სიმი აქვს. ცნობილია აგრეთვე, ოცდარვასიმიანი ინსტრუმენტი ახიმაა.

გმირების გამარჯვება, სამშობლოს დაცვა, სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლა — ძველი აფხაზური გმირული სიმღერების მთავარი თემებია.

„აფირცახისა" (ელვის ნაშობი გმირის) და ახაცა-იხაცას" (გმირთა გმირის) კეთილშობილებისა და მამაცობის ქება-დიდებით და „აფსიბზას" (ცოცხალი ლეშის), მოღალატეებისა და ლაჩრების წყევლა-კრულვით ეპოსი ხალხში ზრდიდა მაღალ მორალურ თვისებებს და აღვივებდა სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას.

გმირული სიმღერა და გმირის დიდება ქარზე უსწრაფესად მოეფინებოდა მთელ ქვეყანას. სიმღერა იყო საზოგადოებრივ შეხედულებათა გამოხატვის საუკეთესო საშუალება. გმირისათვის უდიდეს ჯილდოდ მისი სახელის მადიდებელი სიმღერა ითვლებოდა.

გმირული სიმღერები სრულდებოდა ლაშქრობებში, საქორწინო ღრეობაში, აფხაზეთში უაღრესად პოპულარულ დოღებზე და სხვა დღესასწაულებზე. სიმღერებში გამოხატულებას პოულობდა ჩვენი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები, აისახებოდა მისი ყოფა და ფსიქოლოგია.

„სიმღერა ფშკიაჰ-იფა მანჩასა და ბაალო უ-ფხა მადინას" შესახებ ასახავს ხალხთა ბრძოლას უცხო დამპყრობელის — აფსტირის წინააღმდეგ. ამ სიტყვის მნიშვნელობა არ არის გამორკვეული. შესაძლებელია, რომ ეს სიტყვა მოგვცემს გასაღებს იმის გამოსარკვევად, თუ რომელ დამპყრობთა შესახებაა ლაპარაკი პოემაში. მას საფუძვლად, უეჭველია, უდევს ხალხის შეგნებაში ღრმად ჩაბეჭდილი ისტორიული მოვლენები, დროთა განმავლობაში მიმქრალი ტექსტუალური ფენებით. ებრძოდა რა დამპყრობლებს, მანჩა არ ზოგავდა სიცოცხლეს და თავგანწირულად იცავდა სამშობლოს.

ქვეყნის შორეულ კუთხეში ცხოვრობდა შვიდი მონადირე ძმის და — მზეთუნახავი მადინა. მანჩამდე ვერავინ ვერ შეძლო დაეპყრო მისი მიუკარებელი გული. პოემაში თბილი ლირიზმითაა გადმოცემული შეყვარებულთა გულის ნადების გამჟღავნება, რაც არც ისე ახასიათებს სხვა ისტორიულ-გმირულ თქმულებებს. შვიდდღიანი ქორწილის მეორე დღეს ხდება თავდასხმა რომელიღაც აფსტირებისა, რომლებმაც დაიპყრეს აფხაზეთის ნაწილი. ცნობა ამის შესახებ გავრცელდა მთელ ქვეყანაში, ხალხმა დაიწყო მზადება ბრძოლისათვის.

ნათელ სურათებშია მოცემული ბრძოლის რეალისტური აღწერა. დამპყრობელები უკვე მარცხდებოდნენ, როდესაც მანჩა სასიკვდილოდ დაიჭრა. ბრძოლა დროებით შენელდა. ჩვეულების თანახმად, ის, ვინც დაიღუპა გმირული სიკვდილით, უნდა დაკრძალულიყო თავის წინაპართა შორის, და, აი, გმირის ნეშტი სახლში მიაქვთ. ხალხმა ძაძები ჩაიცვა.

როგორც სიმღერაშია აღწერილი, მამაკაცურად გადაცმული მადინა გამოჩნდა ბრძოლის ველზე იმ გადამწყვეტ მომენტში, როცა ერთი მამაცი კაცი ასს უდრიდა. მადინას გამოჩენამ ახალი ძალა შეჰმატა მის თანამემამულეებს და დამარცხებული მტერი უკან იხევს.

აფხაზურ ეპიკურ თქმულებებსა და სიმღერებში ვხვდებით გმირ ქალებს, რომლებიც მადინასავით მამაკაცივით გადაცმული შურს იძიებენ თავიანთი ქმრების დაღუპვისათვის, იხსნიან ძმებსა და დებს ტყვეობისაგან. მაგრამ აფხაზური ეპოსის ქალთა პერსონაჟებში გამოირჩევა მადინას სახე: ესაა ქმრის მოყვარული სათნო ცოლი, ვაჟკაცური და ხალასი ბუნების ადამიანი, უდიდესი ნებისყოფის მქონე და თავისი პატრიოტული მოვალეობისადმი უერთგულესი ქალი.

სიმღერის ენა ცოცხალი და ხატოვანია. მისი რიტმი იცვლება აღწერილ მოვლენათა ხასიათის შესაბამისად.

„სიმღერას ფშკიაჰ-იფა მანჩა და ბაალოუფხა მადინას" შესახებ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აფხაზურ ისტორიულ-გეოგრაფიულ თქმულებებს შორის.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე, სიმღერები („უაზბაკი", „წაბალწელთა ქვაბი"), რომლებიც გამოხატავენ სულთანის თურქეთში გადასახლებულ აფხაზ მახაჯირთა სავალალო ბედ-იღბალს.

გმირული სიმღერების ციკლებში ჩვეულებრივ ქება-დიდებას ასხამენ ცალკეული გმირების პირად მამაცობას. ამ ნაწარმოებებში, ზემოდასახელებული პოემებიდან განსხვავებით, არ ჩანს ხალხის ფართო მონაწილეობა. ამ თქმულებების თემად ჩვეულებრივად აღებულია მშობლიური სოფლის ანდა მხარის დაცვა ამა თუ იმ შემოსევისაგან, რაც ხშირი იყო ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში, გვარტომული შუღლისა და სისხლის აღების ნიადაგზე. ადგილობრივი და მეზობელი ფეოდალების თავდასხმები საშინლად ტანჯავდა ხალხს.

ხალხურ თქმულებებში შექმნილია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახეები გლეხთა დამცველებისა, რომლებიც იბრძოდნენ მოძალადე ფეოდა-

ლთა წინააღმდეგ. ეს თავდასხმები, რომლებიც ფეოდალებს ამდიდრებდა, ხშირად აჩანაგებდა აფხაზების მთელ სოფლებს.

საყვარელ და პოპულარულ გმირებად, რომლებიც იბრძვიან ფეოდალური ძალადობის წინააღმდეგ, ბევრ თქმულებაში გამოყვანილია ნაფხა კიალუა, ზემოხსენებული ფშკიაჩ-იფა მანჩა, აჯირ-იფა დანა-კაი, კიაჩ-ხაჯარათი და სხვ.

ნაფხა კიალუა უდავოდ ისტორიული პიროვნებაა, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მთხრობელთა შორის.

„ნაფხა კიალუას სიმღერაში“ და მის მრავალრიცხოვან ვარიანტში რელიეფურადაა გამოხატული მშრომელი გლეხობის კეთილშობილი და უშიშარი დამცველის სახე. ნაფხა კიალუა ვაჟკაცურად იცავდა ხალხს ფეოდალთა თავდასხმებისაგან და მან თავი ისახელა მრისხანე ჩერქეზი თავადის ხაამიტ მაზლოუს წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელმაც გაძარცვა და ააოხრა ნაფხა კიალუას მშობლიური სოფელი, გაიტაცა გლეხები და მათი საქონელი.

ძნელადგასავლელი მთის ვიწროებში ნაფხა კიალუა ჩაუსაფრდება და ანადგურებს მაზუელოუს და მის რაზმს. ამით გადაარჩენს თანასოფლელებს. მაგრამ, ამასთან ერთად, როგორც ეს შეიმჩნევა სხვა ანალოგიურ თქმულებებში, გმირი მსხვერპლი ხდება მისი გაუფრთხილებლობისა (ანდა, უფრო სწორად, ადათისა). ნაფხა კიალუა ცოცხალს ტოვებს ერთ-ერთ თავის მტერთაგანს იმისათვის, რომ მან შეატყობინოს თანამოგვარეებს თავდასხმის წარუმატებლობა და მისი სამწუხარო შედეგები. მაგრამ ჩასაფრებული მტერი კლავს თვითონ ნაფხა კიალუას.

თქმულება მთავრდება ნაფხა კიალუას სიკვდილით. მაგრამ გმირის სახე, რომელიც თავის სიცოცხლეს ხალხის ინტერესებს სწირავს, თვითონ თქმულების ოპტიმისტური სულისკვეთებით არ კვდება, იგი მისაბაძ მაგალითად ხდება სხვებისათვის. მომაკვდავი გმირის ბაგეები გადმოგვცემენ ვაჟკაცურ, შთამაგონებელ სიტყვებს:

„თუმცა სიცოცხლე მინდა, მაგრამ
სიკვდილითაც კმაყოფილი ვარ,
მე ხომ მოვკვდები, როგორც გამარჯვებული.
და ასე მიჯობს, ვიდრე ჩავვარდე ხრამში,
ანდა გამოვესალმო სიცოცხლეს
დამარცხებული“.

ისტორიულ-გმირული სიმღერების პერსონაჟები, როგორიცაა ფშკიაჩიფა მანჩა, ნაფხა კიალუა, აჯირ-იფა დანაკაი და სხვ., ნაჩვენები არიან არა მარტო როგორც მამაცი მებრძოლები, არამედ ისინი გამოდიან როგორც მარჯვე მსროლელები და ყოჩაღი მონადირეები, რომელნიც კარგად იცნობენ მთებში ყოველ გზა-ბილიკს. მთის ადგილების ცოდნა აუცილებელი იყო საბრძოლო ვითარებაშიც, როდესაც საჭირო იყო მთის გაუვალი ჭიუხებიდან შემოპარული მტრის გამოდევნება ყველაზე მოკლე გზით.

სხვა თქმულებებს შორის გამოირჩევა ბზიბის აფხაზეთში გავრცელებული ისტორიული სიმღერა „კიაჩ ხაჯარათზე“. მისი წარმოშობა შეიძლება, მიეკუთვნოს მე-20 საუკუნის დასაწყისს, როდესაც დაიწყო გლეხთა მასობრივი გამოსვლები თვითმპყრობელობისა და ადგილობრივი თავადაზნაურობის თვითნებობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, იმ დროს, როდესაც აფხაზეთში რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე.

ისტორიულ-გმირულ სიმღერების აგებისას მთქმელებმა გამოიმუშავეს ზოგიერთი საერთო სქემა. ამ სიმღერების ანდა პოემების დასაწყისი ჩვეულებრივ იძლევიან გმირის საერთო დახასიათებას, რომელიც გამოხატავს მის დადებით შეფასებას, საერთოდ, თვით მთქმელის თვალსაზრისს.

შემდეგ, როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევაში ამ თქმულებათა მოქმედება ამგვარად ვითარდება: სოფელს ან ოლქს თავს ესხმის მტერი, მათთან ბრძოლაში გმირი იმარჯვებს, მაგრამ ბრძოლის დასასრულს მას დაჭრიან და იგი კვდება, როგორც ეს აღწერილია ზემოთ ნაფხა კიალუას თქმულების გარჩევისას.

ისტორიულ-გმირულ სიმღერებს მიეკუთვნება, აგრეთვე, იმ გმირთა დამახასიათებელი მოკლე პოეტური შაირები, რომლებმაც თავი ისახელეს ბრძოლებში ანდა სიმხდალე გამოიჩინეს. ამ შაირებში ღირსეულ შეფასებას აძლევდნენ გმირულ თავდადებას ბრძოლებში, მწვავედ კიცხავდნენ მხდალებს, ამათრახებდნენ მათ, რომლებიც ესწრაფვოდნენ პირად კეთილდღეობას. ეს მწვავე პოეტური ჩანახატები, რომლებიც შექმნილია დღიურ ჭირ-ვარამზე, ძალზე პოპულარული და ადვილადგასაგები იყო. ისინი სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში და ასრულებდნენ ქმედითს საბრძოლო ფუნქციას. ასეთ სიმღერებს ჰქონდათ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც.

სიმღერებში უთუოდ იხსენიება კონკრეტულა ისტორიული პირები, რომელთა მოქმედება მტერთან ბრძოლებში თავის დროს საზოგადოებრივი აზრის მიერ შეფასებული იყო დადებითად ანდა უარყოფითად. სავსებით დასაშვებია, რომ გარემოებათა ცვლილებასთან დაკავშირებით ამ შაირებში შეიძლება ჩამატებულიყო ახალი სახელებიც, მასთან არ შეტანილიყო ტექსტში რაიმე არსებული ცვლილებები. ამისთვის შეიძლება ხელი შეეწყო ფორმის თავისებურებას და რამდენადმე თვით პოეტური ჩანახატის „სტანდარტულობას“.

ხალხურ შემოქმედებაში ყველაფერი როდია ჩვენთვის მისაღები. არსებობს ისეთი თქმულებები, რომლებიც ატარებენ რეაქციულ იდეოლოგიას. ისინი აღმოცენდნენ ადათის საფუძველზე. სისხლის აღება, უსიტყვო მორჩილება ცოლისა ქმრისადმი, ბრმა მორჩილება უფროსების მიმართ, მტრული დამოკიდებულება ყოველივე

იმის მიმართ, რაც არსებობს სხვა სოფელში; მტრული ურთიერთობა მეზობლებისადმი, რომლებიც ეკუთვნიან სხვა გვარს, — აი რა შეადგენს ამ მცირერიცხოვანი გადმოცემებისა და სიმღერების ვიწრო თემატიკას. ჰორიზონტის შეზღუდულობას თანა სდევს თემობრივი და გვაროვნული შეზღუდულობაც. ცნება სახელისა და ბიწიერების შესახებ იქცევა გაყინულ დოგმად.

თქმა არ უნდა, რომ აფხაზურ ფოლკლორში გავრცელებული ესა თუ ის თქმულებები და გადმოცემები იკვებებოდნენ იმით, რაც შეადგენდა უკვე უარყოფილი ადათის საფუძველს. ის გარემოება კი, რომ ასეთი ტიპის სიმღერებს ანდა გადმოცემებს ჯერ კიდევ მოუთხრობენ აქა-იქ აფხაზურ სოფლებში, მაინც ვერ ცვლიან მათ არსს და მათს მოძველებულ იდეურ ტვირთს.

ასეთ სიმღერათა მაგალითად, რომლებიც, კერძოდ, ხოტბას ასხამენ სისხლის აღებას და გვაროვნულ შუღლს, შეიძლება ნაწილობრივ დავასახელოთ თქმულება ძმებზე აჯიროვებზე. იქ მოხსენებულია, რომ გამარჯვებული მტრის სისხლსაც კი სვამს, მასრაში ჩასხმულს.

ფოლკლორისტის ამოცანაა არა ფეტიშიზაცია, არა ბრმად თაყვანისცემა ყველაფრის წინაშე, რაც შექმნილი იყო ხალხურ ზეპირ შემოქმედებაში, არამედ ამ შემოქმედების კრიტიკული შეფასება მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური პოზიციებიდან. მეცნიერულ შრომებში დროის კოლორიტის დაცვისათვის ხალხის მაშინდელი ცხოვრების პირობების შესწავლისათვის მსგავსი თქმულებები შენახული უნდა იყოს როგორც თვითონ ხალხის წარსულის შემსწავლელი საბუთები. მაგრამ საბჭოთა მკითხველებს ჩვენ უნდა შევთავაზოთ არა ეს, დროის მიერ შეზღუდული, მასალა, არამედ ხალხის ცოცხალი, ფრთაშესხმული აზრი, რომელიც შეძლებს გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება და მიგვიყვანოს ნათელი ოცნების განხორციელებასთან, ე. ი. იმ მთავართან, რაც შეადგენს ხალხური ზეპირშემოქმედების საფუძველს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა და განვითარდა სოციალისტური შინაარსით გამდიდრებული აფხაზური ხალხური პოეზია. სევდიანი სიმღერების ნაცვლად, სადაც ისმოდა მუდმივად მისამღერები სიტყვები — „უბედური", „ტანჯული", „საბრალო" და ა. შ., აჟღერდა მხნე საბრძოლო მოტივები.

საბჭოთა ხალხის ბელადი, საბჭოთა კონსტიტუცია, ჩვენი სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, საბჭოთა ადამიანის გმირობა დიდ სამამულო ომში, ომისშემდგომ აღდგენა ბრძოლა მშვიდობისა და კაცობრიობის ნათელი იდეალებისათვის, — ყოველივე ეს პოულობს თავის გამოძახილს სახალხო მთქმელებისა და მომღერლების მიერ გამოთქმულ სტრიქონებში.

დამწერლობის წარმოშობის შემდეგ, ე. ი. პირველი აფხაზური ანბანის გამოცემიდან (თბილისი, 1865) გავიდა მნიშვნელოვანი დრო, სანამ აღმოცენდებოდა აფხაზეთის მხატვრული ლიტერატურა. თუმცა რუსეთთან შეერთებამ შექმნა წინამძღვრები აფხაზეთის ეკონომიური და კულტურული განვითარებისა, მაგრამ მხოლოდ ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარება ფერხდებოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით.

საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრამ, მეფის კარისკაცების, არისტოკრატიისა და ვაჭრების მიერ შავი ზღვის სანაპიროს საუკეთესო მიწების მიტაცებამ, — ყოველივე ამან გააღრმავა მშრომელი ხალხის მდგომარეობის სიმძიმე. მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობის განმტკიცებას აფხაზეთში, მიუხედავად ყველა უბედურებისა, რაც მას თან ახლდა, მაინც ჰქონდა პროგრესული ხასიათი, რამდენადაც ხალხი ეზიარა ცივილიზაციის უფრო მაღალ ფორმას, ფეოდალურ-გვაროვნულ ურთიერთობასთან შედარებით.

აფხაზური პოეზიის ჩასახვა (პროზა კი წარმოიქმნა შედარებით გვიან, ფაქტიურად უკვე საბჭოთა ხელისუფლების წლებში) ეკუთვნის მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებს. მისი პირველი მარცვალი დათესა აფხაზეთის სახალხო პოეტმა დიმიტრი გულიამ. მისი ლექსების წიგნმა, რომელიც გამოვიდა თბილისში 1912 წელს, საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ პოეზიას.

დიმიტრი გულია აფხაზი გლეხის შვილია. მისი ნიჭი მთელი თავისი წყაროებით დაკავშირებულია ხალხურ ცხოვრებასა და ხალხურ შემოქმედებასთან, მშობლიური ხალხის სიმღერებთან და ფიქრებთან, როგორც პოეტი, აფხაზეთის კულტურული და საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი გულია თავის ხალხის ცხოვრების ყოველ ეტაპზე მასთან ერთად მიდიოდა, გამოხატავდა მის მისწრაფებებსა და ინტერესებს, და ეს ძლიერი მხარე გულია-პოეტისა განსაკუთრებით სავსებით გამომჟღავნდა საბჭოთა ეპოქაში, აფხაზეთის დიდი აღორძინებისა და მთელი საბჭოთა კავშირის საყოველთაო კულტურულ ცხოვრებაში მისი ჩაბმის წლებში.

ცოდნის რა სფერომ, რა ინტერესებმა განსაზღვრა მომავალი პოეტის მსოფლმხედველობა და მხატვრული მიდრეკილებანი?

ასეთი მთავარი წყარო სამი იყო. პირველი — ეს იყო თვითონ აფხაზეთის ცხოვრება მისი ნაციონალური ტრადიციებით, სიმღერებით, ლეგენდებით, გადმოცემებით. ეს სამყარო, ლამაზი და თვითმყოფადი, სახელოვანი აბრსკილის, აფხაზეთის ამ პრომეთეოსის, ხალხთა დამცველის, გმირული სახით მდიდარ საზრდოს აძლევდა პოეტის შთაგონებას.

შეიძლება ითქვას, რომ დ. გულიას პოეტური ტალანტი გაალვიძა, სახელდობრ, ხალხის ზეპირმა ნაწარმოებებმა. ზეპირი შემოქმედების ცო-

ცხალი წყაროები კვებავდნენ მის პოეზიას, ავსებდნენ მას თავისი სახეებით და სალებავებით. ამის შესახებ ავტობიოგრაფიაში წერს თვითონ დ. გულია: „ლექსების წერა მე დავიწყე, უმეტეს შემთხვევაში, ფოლკლორის დახმარებით“. მშობლიური ხალხის სიმღერების, ზღაპრების შეკრებიდან დ. გულია თანდათან გადავიდა დამოუკიდებელ შემოქმედებაზე. შემოდგომის გრძელ საღამოებზე, როდესაც სოფლის მცხოვრებნი თავიანთ ქოხებში საკუთარ კარებთან იკრიბებიან, დ. გულიას დედისაგან და მეზობლებისაგან განაგონი ამბები შეჰქონდა უბის წიგნაკში. ქმნიდარა თავის პირველ ლექსებს აფხაზურ ენაზე, დ. გულია, ბუნებრივია, ფართოდ იყენებდა ხალხური პოეზიის სახეებს, მის სიუჟეტს, მის რიტმულ-მელოდიურ წყობას და გამოსახვის საშუალებებს.

მეორე ლიტერატურული წყარო, რომელიც დ. გულიას პოეტურ შემოქმედებას ასაზრდოებდა, იყო ქართული პოეზია, ქართული ლიტერატურა. აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიული ბედის ერთიანობამ ღრმა გავლენა მოახდინა აფხაზური კულტურის განვითარებაზე. პოეტმა ჯერ კიდევ ბავშვობაში შეისწავლა ქართული ენა, შემდეგ კი ქართული წერა-კითხვა. დ. გულიამ კარგად იცის ქართული ლიტერატურა. ახალგაზრდობიდანვე იყო იგი გატაცებული მე-12 საუკუნის კლასიკოსის შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილებით „ვეფხისტყაოსნით“; შემდეგ უკვე ხანდაზმულობის წლებში დ. გულიამ განახორციელა დიდი ხნის წინათ განზრახული საქმე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისა აფხაზურ ენაზე. „განა არ უნდა ვგრძნობდე, — წერდა იგი 1941 წელს, — უდიდეს პასუხისმგებლობას მკითხველის წინაშე, საკუთარი შემოქმედებითი სინდისის წინაშე, როდესაც ხელი მოვკიდე პოემის აფხაზურ ენაზე თარგმნის საქმეს? რუსთაველის პოემას დიდი ხანია ვიცნობ, ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან, მაგრამ მე მომიხდა კარგად შემესწავლა იგი, ჩემთვის ბევრი ახალი რამ აღმომეჩინა მასში, სანამ მუშაობას შევუდგებოდი“.

რუსთაველისა და მისი პოეზიის სიდიადის შესახებ დ. გულია წერდა ლექსში, რომელიც მან მიუძღვნა დიდი ქართველი პოეტის ძეგლის გახსნას სოხუმში 1938 წელს:

„მთვარეს წყვდიადი ჩააქრობს, მზე
ღრუბლით დაისუდრება,
მაგრამ სიმღერის ნათელი არასდროს
დაილრუბლება!
მზე ზაფხულობით გვაცხუნებს, ზამთრობით
ვხედავთ წამითა,
შოთას მხურვალე ლექსი კი, გვათბობს
დღითაც და ღამითაც“.

დ. გულიას მსოფლმხედველობის ფორმირებისა და მისი მხატვრული განვითარებისათვის უთუოდ მნიშვნელობა ჰქონდათ რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ისეთ გამოჩენილ ქართველ პოეტებს, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. დ. გულია განსაკუთრებულ პატივს სცემდა აკაკი წერეთელს, რომელიც იყო გასული საუკუნის ბოლოს და ჩვენი საუკუნის დამდეგს ქართველი ხალხის თითქმის ყველაზე პოპულარული და საყვარელი პოეტი. უკვე პირველ რევოლუციამდელ ლექსების კრებულში დ. გულიამ შეიტანა ქართული ლიტერატურიდან თარგმანებიც. 1918 წელს დ. გულიამ თარგმნა ა. წერეთლის პოემა „გამზრდელი“, რომელშიაც აფხაზური ცხოვრებაა გამოხატული. ამ პოემის თარგმანი აფხაზური ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა.

დ. გულიასათვის განსაკუთრებით ახლობლები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რადგან ისინი ერთად გამოდიოდნენ ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის მქადაგებლებად, ხოლო დ. გულიას შეეძლო გაეძეორებინა მისი თანამედროვის, საყოველთაოდ ცნობილი სიმღერის „სულიკოს“ ავტორის — აკაკი წერეთლის სიტყვები: „ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ხალხთან... არის ახალგაზრდა რუსეთი, ვისთანაც გვსურს ჩვენ ხელიხელ ჩაკიდებული სიარული ნაციონალური და საერთოკაცობრიული იდეალების განსახორციელებლად, რომელსაც ჰქვია ძმობა, ერთობა, ერთუფლებიანობა“.

ეს ახალგაზრდა სახალხო-დემოკრატიული რუსეთი მისი კლასიკური ლიტერატურით, გამათავისუფლებელი ბრძოლების ტრადიციებით, ხალხთა მეგობრობის იდეებით, იყო მესამე მთავარი წყარო აფხაზი პოეტის სულიერი განვითარებისა. დ. გულიას მაგალითზე შეიძლება თვალყური ვადევნოთ, თუ როგორ და რა გზით მიმდინარეობდა რუსული მოწინავე კულტურის გამოცდილების ათვისება ისტორიულად დაგვიანებულად განვითარებული ხალხის მიერ, ხალხისა, რომელიც აცდენილი იყო ისტორიის დიდ გზას. დ. გულიას მაგალითით ჩვენ დავინახავთ, რომ მოწინავე წარმომადგენლები წინათ ჩაგრული ხალხების, ფეოდალებისა და მმართველი კლასების ნაციონალისტური პოლიტიკის მიუხედავად, რუსეთის თვითმპყრობელობის ნაციონალური პოლიტიკის მიუხედავად. რომელიც ცდილობდა ერთმანეთზე წაეკიდებინა და დაექსაქსა ხალხები, მაინც აგნებდნენ გზის გამონახვას რუსეთის ხალხთა კულტურის საგანძურისაკენ და იქიდან თავისათვის ყოველივე ძვირფასისა და შთამგონებლის გადმოღებას.

ასეთი იყო ის სამი სულიერი წყარო, ის შემოქმედებითი იმპულსი, რომლებმაც ხელი შეუწყეს დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის გა-

ღვიძებაში დიმიტრი იოსების-ძე გულიას.

თუ თვალს გადავავლებთ დ. გულიას მრავალმხრივს მოღვაწეობას, რომელიც დაუღალავად გრძელდება უკვე ექვსი ათეული წელია, მას, ერთად აღებულს, შეუძლია აღძრას უდიდესი ინტერესი, როგორც მოვლენას, რომელშიაც გამოისახება ჩვენი ეპოქის ისტორიული კანონზომიერება. და მართლაც აფხაზური კულტურის რომელ დარგსაც არ მივმართავთ, ყველგან ვხვდებით დ. გულიას სახელს, როგორც მისი მოღვაწისა და ფუძემდებლისას. დ. გულია — ანბანის შემდგენელი და ერთ-ერთი პირველი აფხაზი მასწავლებელი-განმანათლებელია; იგი პირველი პოეტია, რომელმაც აფხაზურ ენაზე გამოსცა წიგნი, პირველი აფხაზური გაზეთის რედაქტორია, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, თეატრალური დამდგმელი.

დ. გულიას პოეტურ ნაწარმოებთა პირველი კრებული გამოვიდა თბილისში 1912 წელს. ეპიგრაფის სახით თავის წიგნს პოეტმა წაუმძღვარა ძველი აფხაზური სიბრძნე: „ცხენი მოკვდება — მინდორი დარჩება, ადამიანი მოკვდება — სიტყვა დარჩება“.

თავისი შინაარსით დ. გულიას პირველი წიგნი თითქმის ორ ნაწილად იყოფა — სადღეისო და ფოლკლორულ-ლეგენდარული ანუ ისტორიული.

სადღეისო, — ეს არის ყოფითი და სოციალური-საზოგადოებრივი ინტერესების რკალი, როგორშიც ცხოვრობდა რევოლუციამდელ წლებში აფხაზეთის სოფელი. ჩვენ აქ ვხედავთ აფხაზეთის ცხოვრებისა და ბუნების პოეტურ ჩანახატებს. აღსანიშნავია სამოძღვრებო და სატირული ხასიათის ლექსები. როგორც განმანათლებელი-დემოკრატი, დ. გულია, თავის სატირულ ისრებს მიმართავს რევოლუციამდელი აფხაზეთის იმ ხალხისა და მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიდნენ მშობლიური ხალხის აღორძინებასა და განათლებას. და აქაც სატირის ობიექტად იქცეოდა ქარაფშუტა, რომელიმე თავაშვებული ახალგაზრდა, რომელსაც არ ესმოდა თავის პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე.

ამ კრებულის ლექსები უკვე პოულობენ აფხაზი ხალხის გრძნობებისა და აზრების მართალ გამოხატულებას, მის სიძულვილს დამპყრობთა წინააღმდეგ, მებრძოლ სულს, მის ოცნებას თავისუფლებაზე, ბედნიერ მომავალზე. პოეტი ყოველთვის მიმართავს მშრომელებს; ლექსებში „ხოჯონ-დუ“, „მოქეიფე“, „მტაცებელი“ იგი გამოდის მამხილებლის როლში. მისი ლექსები გაჟღენთილია ხალხის სიყვარულით და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტით, რომელიც უკეთესი მომავლის რწმენითაა გამსჭვალული. მას სურს ნახოს ხალხი მხიარული და ბედნიერი.

დ. გულიას ადრინდელი ლირიკის გმირული მოტივები უთუოდ წარმოადგენდა რევოლუციური ბრძოლის გამოძახილის თავისებურად ასახვას. რეაქციის ეპოქაში დ. გულიას ლექსებში შეიმჩნევა რელიგიურ-იდეალისტური განწყობილებების გამოსახულება, გაისმის ჰუმანიზმის მოტივები. პოეტი იბრძვის სიკეთისა და სამართლიანობისათვის, მაგრამ ავტორი მათ რაღაც განყენებული სულისკვეთებით ხსნის.

დ. გულიას პირველ კრებულში არის აგრეთვე რიტორიკული, მშრალი, მსჯელობითი ლექსები — „უმაღლესი სწავლება“, „სიწყნარე“, „აღდგენილის ზმანება“ „სურვილი“, „ვლადიმერი“. ამ ლექსებში გამოიხატა სუსტი მხარეები დ. გულიას ადრინდელი პოეზიისა, მისი განმანათლებლობის შეზღუდულობა. ზოგიერთი ადრინდელი ლექსი სუსტია მხატვრული თვალსაზრისითაც.

პოეტს ჯერ ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი ის გზა, რომელიც მართლაც მიიყვანდა ხალხთა მშრომელ მასებს თავისუფლებისა და სამართლიანობისაკენ. მისთვის ნათელი არ იყო, აგრეთვე, სახელმწიფო რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობა; იმ წლებში დ. გულია ჯერ კიდევ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოების ზნეობრივ სრულყოფას. დ. გულიას შემოქმედების ეს სუსტი მხარეები დაძლეულ იქნა მომდევნო წლებში, მაგრამ ერთბაშად არა. ამ ძველი სიმპათიებისა და შეხედულებათა გამოძახილს, რომელიც თავისი ფესვებით მიდის ძველი აფხაზეთის პატრიარქალურ ზნე-ჩვეულებებში, ვხვდებით ოქტომბრის შემდგომ ზოგიერთ ლექსშიაც.

აფხაზურ ენაზე ლექსების პირველი წიგნი წარმოადგენდა აფხაზური ლიტერატურული ენის შექმნისა და დამკვიდრების სფეროში დ. გულიას ნოვატორულ მონაპოვარს. დ. გულიამდე აფხაზურმა ლექსთწყობამ იცოდა მხოლოდ ფოლკლორული რიტმიკა და პოეტიკა.

ახლო ხანამდე ჩვეულებრივ მიღებული იყო ფიქრი იმის შესახებ, რომ დ. გულია იყო რევოლუციამდელი აფხაზეთის ერთადერთი მწერალი, მაგრამ ეს ასე არ არის. 1919 წლის დამდეგს დაიწყო გამოსვლა პირველმა აფხაზურმა გაზეთმა „აფსნიმ“ (აფხაზეთი), რომლის რედაქტორი იყო დ. გულია. გაზეთში შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყეს მომავალმა აფხაზმა მწერლებმა ს. ჭანბამ, ი. კოღონიამ, მ. ლაკერბაიმ, მ. ხაშბამ და სხვებმა.

გაზეთმა „აფსნიმ“ იარსება ორ წელს, შემდეგ იგი დახურული იქნა მენშევიკური მთავრობის მიერ. მაგრამ პირველმა აფხაზურმა გაზეთმა თავისი საქმე გააკეთა: მან შეაერთა დამწყები მწერლები, ხელი შეუწყო აფხაზურ ენაზე პერიოდული ბეჭდვის შემდგომს განვითარებას, რაც შესაძლებელი შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზური პოეზია გაიზარდა, გაივსო ცოცხალი ძალებით. იზრდებოდნენ აფხაზი პოეტების და პროზაი-

კოსების კადრები. ახლა აფხაზური ლიტერატურა საბჭოთა ლიტერატურის დიდი ხის ცოცხალი შტოა. აფხაზურ პოეზიაშიც გაისმის ხმები ისეთი თავისებური და სხვადასხვა ხმის პოეტებისა, როგორიცაა სამსონ ჭანბა (იგი, აგრეთვე, დრამატურგიცაა და პროზაიკოსიც), იუა კოღონია, ლევარსი კვიციniა, ოთარ დემერჯიფა, შალიკო ცვიჯბა, ლეონტი ლაბახუა, კიაზიმ აგუმაა, ბაგრატ შინკუბა, ალექსი ლასურია, ივანე თარბა, ალექსი ჯონუა, ჭიჭიკო ჯონუა, სანდრო სანგულია, კუმფ ლომია, კირშალ ჩაჩხალია, გიორგი გუბლია, აგრეთვე, ახალგაზრდა თაობის პოეტები. — ალექსი გოგუა, ნელი თარბა, ბორის ტუება, ჯოტო ტაბალუა და სხვ.

ალორძინებული აფხაზეთი, საყვარელი სამშობლო, ბუნებრივია, აფხაზი პოეტების შემოქმედების უსაყვარლეს თემად იქცა. მას მიეძღვნება ლირიკული ლექსები, სიმღერები, პოემები, რომანები ლექსად. ეს ნაწარმოებები ხატავენ სოციალისტური მშენებლობით გარდაქმნილი ახალი ქვეყნის ცოცხალ სცენებს, იძლევიან ახალი აფხაზების პოეტურ სახეებს.

დ. გულიას გვერდით აფხაზური ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწედ ითვლება სამსონ იაკობის-ძე ჭანბა (1886 — 1937), რომელმაც 1920 წელს გამოაქვეყნა პირველი ორიგინალური დრამატული ნაწარმოები აფხაზურ ენაზე — „მახაჯირი". მრავალი წლის მანძილზე იმყოფებოდა რა პასუხსაგებ სახელმწიფოებრივ სამუშაოებზე აფხაზეთის ასსრ-ში (ცაკის თავმჯდომარე, განათლების სახალხო კომისარი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), ს. ი. ჭანბა, ამასთან ერთად, ამდიდრებდა აფხაზურ ლიტერატურას სხვადასხვა ჟანრში (პოეზია, პროზა და დრამატურგია). მისმა დრამატულმა ნაწარმოებებმა (პიესები და კომედიები), რომლებიც დაწერილია ისტორიულ-რევოლუციური მოძრაობის მასალებსა და ხალხთა ყოფაცხოვრების შესახებ, საფუძველი ჩაუყარეს აფხაზურ დრამატურგიას. ს. ჭანბა ცნობილია, აგრეთვე, როგორც პირველი დიდი ოსტატი აფხაზური პროზისა, როგორც ავტორი მოთხრობებისა და ნოველებისა, რომლებიც გამოხატავენ ახალი საბჭოთა აფხაზეთის დაბადებასა და ფორმირებას. მის კალამს ეკუთვნის პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი, რეალისტური ნაწარმოები აფხაზური ლიტერატურისა — მოთხრობა „სეიდიყი", რომელიც ასახავს აფხაზეთში კოლექტიური მშენებლობის პირველ წლებს. იგი გამოცემულია რუსულ ენაზე 1935 წელს ზაკკოზის მიერ (თბილისი), აგრეთვე, დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში" ქართულ ენაზე (ი. აგლაძის თარგმანი).

ს. ჭანბას პოეტური ნაწარმოებებიდან უფრო დამახასიათებელია რომანტიკული პოემა „მთების ქალწული" (1920) და „კოლექტიური სიმღერა".

რევოლუციური რომანტიკის გავლენით გაჟღენთილი ს. ჭანბას შემოქმედება, რომელიც შეწყდა ნამდვილი გაფურჩქვნის დროს, ვითარდებოდა სოციალისტური რეალიზმის გზებით. ს. ჭანბას საუკეთესო ნაწარმოებები ძლიერია თავისი ცოცხალი კავშირით საბჭოთა სინამდვილესთან, ყურადღებას იპყრობს შინაგანი ხასიათების სიღრმით, სახეებისა და ენის ხალხურობით.

პირველი აფხაზი მწერლისა და აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის ლიტერატურული ცდები, ბუნებრივია, გახდა იმ შემოქმედებით წყაროდ, რომელსაც ეწაფებოდა შემდეგ ყველა საბჭოთა აფხაზი პოეტი. სწორედ ამ წყაროდან გამომდინარეობს აფხაზეთის ნორჩი ლიტერატურის ტრადიციები.

იუა კოღონია (1903 — 1928) ერთ-ერთი ნიჭიერი აფხაზი პოეტთაგანია, რომელიც აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შევიდა ლიტერატურაში. ხუთი წლის განმავლობაში მან შექმნა პოემების ციკლი და რამდენიმე ათეული ლირიკული ლექსი. კოღონიას ნაწარმოებები წარმოადგენენ ძვირფას განძს აფხაზეთის მხატვრულ ლიტერატურაში.

კოღონია უმთავრესად ცნობილია პოემებით. მათში სიუჟეტურ ფუძედ უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებულია ფოლკლორიდან აღებული, მაგრამ თავისებურად დამუშავებული, მოტივები. კოღონიას პოეზია მდიდარია რიტმულობის მხრივ. კოღონია ადრე გარდაიცვალა. მან ვერ მოასწრო მოსკოვის ჟურნალისტიკის კომუნისტური ინსტიტუტის დამთავრება, სადაც იგი სწავლობდა.

აფხაზურ პოეზიაში ყურადღებას იპყრობს ლირიკა. იგი, ისე როგორც ხელოვნების სხვა სახეები, ცდილობს გვიჩვენოს ხალხი ბრძოლასა და შრომაში, ოცნებასა და ფიქრებში, ბედნიერების წარმოდგენაში და მისი მიღწევების გზებზე. ამასთან ერთად, ეს ლირიკა მოწოდებულია ალაფრთოვანოს ხალხი სიძნელეებისა და ნაკლოვანებების გადასალახავად, გაკიცხოს ის ძველი ზნე-ჩვეულებები, რომლებიც ხელს უშლიან წინსვლას, და ამით დაეხმაროს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

აფხაზური პოეზია ნამდვილად განვითარდა მხოლოდ უკანასკნელ ოცწლეულში, მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის შემდეგ.

იყენებენ რა მრავალეროვნული და, პირველ რიგში, რუსული და ქართული საბჭოთა პოეზიის უმდიდრეს გამოცდილებას, აგრეთვე ახალგაზრდა აფხაზური ლიტერატურის ტრადიციებს, ჩვენი საუკეთესო პოეტები მიისწრაფვიან ფართოდ „დაიპყრონ" გარემო სამყარო, იმუშავებენ თავიანთ შემოქმედებითს მანერას, დამოუკიდებლად ეძებენ მხატვრული გამოხატვის ინდივიდუალურ საშუალებებსა და ხერხებს. ყოველივე ამაში ჩვენ ვხედავთ აფხაზური პოეზიის შემდგომი აღმავლობის საწინდარს.

დიდი სამამულო ომი მძიმე გამოცდა იყო საბჭოთა ქვეყნისათვის. ამ წლებში აფხაზი პოეტებიც დაძაბულად მუშაობდნენ, მობილიზაციას უკეთებდნენ მთელ თავის ძალასა და მისწრაფებას ერთი მიზნისათვის — სრული გამარჯვებისათვის საძულველ მტრებზე. რიგი პოეტები, როგორიცაა კვიცინია, აგუმაა, ჭ. ჯონუა და სხვ., იარაღით ხელში იცავდნენ სამშობლოს ბრძოლის ველზე. მეორენი კი, რომლებიც ზურგში იმყოფებოდნენ, მიმართავდნენ პოეზიის ძლავრ და შემტევ ფორმას. ძლიერი და თავისუფალი სუნთქვა ცხოვრებისა, ომის მძიმე წლები აღბეჭდილია დ. გულიას, კ. აგუმაას, ბ. შინკუბას, ა. ჯონუას და სხვათა მთელ, რიგ პოეტურ ნაწარმოებებში.

აფხაზური პოეზიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლევარსი კვიცინიას (1909—1941) შემოქმედებას.

კვიცინიას ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა პოემა „შარიზანი“ და „დაური“, კრებულ „ახალ დროში“, უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ. მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1937 წ.) ლ. კვიცინია რამდენიმე წლის განმავლობაში იყო აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი. ლ. კვიცინია დაიღუპა დიდ სამამულო ომში 1941 წელს.

კიაზიმ აგუმაა (1914—1950) 1939 წლიდან 1944 წლამდე იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში, მათგან ოთხი წელი იყო ჩაპაევის სახელობის პარტიზანთა რაზმში, რომელიც მოქმედებდა ბელორუსიასა და უკრაინაში. პოეტი — პარტიზანის ლექსები და მოთხრობების უმრავლესობა დაწერილია ჰოსპიტალში და დემობილიზაციის შემდეგ.

ახალი აფხაზური პოეზიის ფორმირებაში თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის ბაგრატ შინკუბას. იგი პოეტიცაა, ფოლკლორისტიც და ლინგვისტიც. ამ დარგებში მას თავისი წვლილი აქვს შეტანილი. შინკუბას ლირიკა გამსჭვალულია აზრის სიღრმით, ხალხურობით და მასში ჩაქსოვილ გრძნობათა სიმართლით. იგი ძლიერია სინამდვილის ეპიკურ გამოხატვაში, ლექსის მშვენიერი ოსტატია. პოეტი ეყრდნობა თავისი ხალხის შემოქმედებითს გამოცდილებას, რომელიც არ გაყინულა თავის ტრადიციებში, არამედ აღფრთოვანებულია ჩვენი დროის მოწინავე ტრადიციებით.

ბაგრატ შინკუბას რომანი ლექსად „ჩემი თანამემამულეები“ მნიშვნელოვანი მოვლენაა აფხაზურ ლიტერატურაში. იგი ფართო ეპიკური ტილოა, რომელიც გამოირჩევა მხატვრული მთლიანობით, თემების სხვადასხვაობით, ცხოვრების ღრმა ცოდნით.

რომანში გახსნილია საკოლმეურნეო სოფლის რიგითი მშრომელების მაღალი სულიერი თვისებები. პოეტი ხატავს ხალხის კონკრეტულ ბედს მის ტიპიურ გამოხატულებაში.

მწერალს კარგად გამოუვიდა [illegible] კონფლიქტების ჩვენება, ინტერესთა შეჯახება, ბრძოლა ახლისა, ძველთან.

რომანის სიუჟეტში ორგანულადაა ჩაქსოვილი სიყვარულის ხაზი. დამეის უყვარს ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი ასტანდა. ასტანდასთან სიყვარულში დამეი გულისხმიერია და თავდაჭერილი. ასტანდა მოსწონს აგრეთვე ვინმე საკუნს, რომლის სახით ავტორს გამოყავს და დასცინის წარსული დროის „იდეალს“, უსაქმურის, მუქთამჭამელისა და ფრანტის ტიპს.

ავტორს ფართო თვალთახედვა აქვს, — იგი არ იფარგლება აფხაზეთის საზღვრებით, იგი იღებს თავის მშობლიურ ავტონომიურ რესპუბლიკას, პოულობს ყველაზე თბილ სიტყვებს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის — მოსკოვის გამოსახატავად.

ავტორი პოულობს თბილისისადმი მიძღვნილ გულისხმიერ სიტყვებს. მეგობრები არსანა და პროფესორი ძნელაძე მოსკოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არიან აღზრდილნი. მათი ცხოვრების გზები აქაც, აფხაზეთშიც, ხვდებიან ერთმანეთს. ძნელაძე მოდის თავისი ამხანაგის არსანის დასახმარებლად წყალსაწევზე და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე.

რომანში ნათლადაა გამოსახული მთელი საბჭოთა ხალხის ერთიანობის იდეა. ეს ჩანს აზმარელებსა და მეზობელ ქართველ კოლმეურნეებს მზიურელებს შორის ურთიერთდახმარებისა და გამოცდილების გაზიარებაში. უფრო ფართო პლანითაა წარმოდგენილი ყველა საბჭოთა ხალხის ერთიანობა, მეგობრობა და ძმობა დიდი რუსი ხალხის მეთაურობით.

„ჩემი თანამემამულეები“ მეტად რთული რომანია, თანმიმდევრულად განვითარებული სიუჟეტით, კარგად დამუშავებული ხასიათებით, გამოკვეთილი კომპოზიციით.

მნიშვნელოვან შემოქმედებითს ზრდას მოწმობს ი. თარბას, ა. ლასურიას, ა. ჯონუას, კ. ლომიას და სხვების ამ ბოლო წლებში გამოსული წიგნები. მთელმა რიგმა მათმა ნაწარმოებებმა დიდი გამოხმაურება პოვა მკითხველის გულში. ესენი სხვადასხვა ტემპერამენტის, გემოვნებისა და მიმართულების მქონე პოეტებია.

ალექსი ლასურიამ წარმატებით დაიწყო თავისი პოეტური შემოქმედება. გასულ წლებში მან დაწერა მთელი რიგი ლექსები და პოემები, რომლებიც მიძღვნილია ჩვენი სინამდვილის თემებისადმი და იძლევიან შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ამ უდავოდ ნიჭიერი პოეტის მნიშვნელოვან შემოქმედებითს ზრდაზე.

ლასურიას ლექსებში გვახარებს ავტორის პოეტური ხმის თავისებურება. ეს ლექსები დაწერილია გამოცდილი ოსტატის ხელით. ლასურიას პოეზიისათვის დამახასიათებელია გამომსახველი

ფორმის ძიება ამაღელვებელი ლირიკული საუბრისათვის. განცდები, საფუძვლად რომ უდევს ამ ლექსებს ტიპიური განცდებია. თავისი საკუთარი „მე"-დან, თავისი ლირიკული გმირიდან პოეტი გამოხატავს გრძნობას, რომელიც ახლობელი და ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის. წარმატებით მისდევს რა მაიაკოვსკის ტრადიციებს, ლასურია ისწრაფვის გახადოს თავისი ლექსები ემოციურად ზემოქმედი და ტემპერამენტიანი.

ლასურიას საუკეთესო ლექსების დიდ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მათში დგას საბჭოთა ადამიანი მთელი თავისი მღელვარებით, ფიქრებითა, და მისწრაფებებით. თავისუფლების, ცხოვრების სისავსის, ცხოვრების სიხარულის შეგრძნება ჩქეფს მისი ლირიკიდან.

საუკეთესო პოეტური ნაწარმოებები, რომლებიც მოთავსებულია ი. თარბას ლექსთა კრებულებში („პირველი დღიდან", „გამოცდა"), გვიზიდავს თავისი ცხოველმყოფელობით, სახეების პოეტური სინათლით. იგი ბევრს წერს აფხაზეთზე, საქართველოზე, მაგრამ არ იზღუდება მშობლიური მხარის ფარგლებით, რაზედაც მეტყველებენ ლექსები მოსკოვზე, ვოლგაზე, ვოლგადონის არხზე, ციმლიანსკის ზღვაზე, მეფოლადეების, მეშახტეების, მეთევზეების, კოლმეურნეების შრომაზე. ასეთი თემებიდან თითქმის უფრო რელიეფურადაა წარმოდგენილი მის ლექსებში საბჭოთა ხალხის მეგობრობა და უბრალო საბჭოთა ადამიანების შრომითი წინსვლა. დიდი პოეტური მღელვარებით და სითბოთი აღინიშნება ლექსები საქართველოზე.

ამას გარდა ი. თარბა ავტორია პოემებისა — „გვარის დაუსახელებლად" და „რაქდენ ქიბა"-ს ინდუსტრიული ტყვარჩელის შესახებ.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში ი. თარბა არაეკონომიურია, მრავალმეტყველია იქ, სადაც საჭიროა მოკლე სიტყვა და გამომსახველობა. პოემა „რაქდენ ქიბა", რომელიც მიეძღვნა აფხაზეთში მუშათა კლასის ჩამოყალიბებას, ტყვარჩელის მეშახტეების შრომას, რამდენიმედ გაჭიანურებულია, ეტყობა სიჩქარის კვალი, რაც გავლენას ახდენს ენის სიწმინდეზე, სახეების პოეტურად დახატვისას.

ა. ჯონუას შემოქმედებაში პატარა ადგილი როდი აქვს დათმობილი უბრალო საბჭოთა ადამიანის შრომითს წინსვლას. მისი ლექსები — „მეურმის სიმღერა", „შემოდგომა", „ქარხანაში", „სამჭედლოში" ასახავენ შრომითი პროცესებს, ყურადღებას იპყრობენ ინტონაციის სიახლით, რითმული გამომგონებლობით.

ხალხთა მეგობრობის პოეზია — აი მოტივი, რომელიც დიდი ხანია შევიდა მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის იდეისა და სახეების წრეში. ხალხთა მეგობრობას ლექსები მიუძღვნეს აფხაზმა პოეტებმაც. მათ მონახეს თავისი სიტყვა, თავისი სახე მთელი საბჭოთა ხალხის ერთიანობის გრძნობის გამოსახატავად. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია დ. გულიას ლექსები „მეგობრები", „კაცი მთებში", „საახალწლო", ა. ლასურიას „კომუნისტურ ოჯახში", ი. თარბას „უფროსი ძმა", „პოეტს", „მაიაკოვსკი მთებში", „თბომავალი", „რასია" კ. ლომიას „თბილისური სიმღერები".

აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობითა და საქართველოს სიყვარულითაა გამთბარი აფხაზი პოეტების მრავალი ნაწარმოები. ცნობილმა აფხაზმა პოეტებმა (დ. გულია, ლ. კვიცინია ბ, შინკუბა, ა. ლასურია და სხვ.) ღრმა ლირიკული მღელვარების გრძნობით მიუძღვნეს შთამაგონებელი ლექსები უდიდეს ქართველ კლასიკოსს შოთა რუსთაველს. ომის მრისხანე დღეებში ფრონტელი პოეტი კ. აგუმაა ცხოვლად გამოეხმაურა გალაკტიონ ტაბიძის პატრიოტულ ლექსს დამახასიათებელი მისამღერით — „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა". საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარულითაა გაჟღენთილი დ. გულიას („რუსთაველის ძეგლი სოხუმში") ბ. შინკუბას („რუსთაველი", „საქართველო"), ი. თარბას პოეტური სტრიქონები („მთაწმინდა", „სიღნაღის მუზეუმი", „ფოლადის დაბადება") და კ აგუმაას ლექსები ბარათაშვილზე, ყაზბეგზე...

ყველა ხალხს შეაქვს კულტურის საერთო საგანძურში თავისი საღებავები, თავისი ნაციონალური სპეციფიკა. ნაციონალური სპეციფიკა მჟღავნდება არა მარტო ენაში, ტრადიციაში, ზნეჩვეულებაში, ნაციონალური ცხოვრების ნაირფეროვან ფორმაში. მისი გამომჟღავნების ერთ-ერთ სახეს ემსახურება ლიტერატურა და ხელოვნება. ლიტერატურამ უნდა გააცნოს სხვა ხალხებს თავისი მშობელი ხალხის ნაციონალური თავისებურება და სილამაზე. აფხაზურ ლიტერატურას მაშინ მიენიჭება ფართო მნიშვნელობა, თუკი თავისი ფორმით აფხაზურად დარჩენილი ეს ლიტერატურა, ამასთან ერთად, იქმნება საერთოკაცობრიული, განთავისუფლდება აღწერილობისაგან, ტკბობისაგან (რომლითაც ჯერ კიდევ ცოდავს ბევრი აფხაზი მწერალი) და გახდება ვაჟკაცური და ღრმა, ხალხის სულიერი დამხმარე კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

მსოფლიო ლიტერატურულ ცხოვრებასთან შერწყმის ამ დიად მიზნებს შეუძლია მიაღწიოს უაღრესად მცირერიცხოვანი ხალხის ლიტერატურასაც. ამ მიზანს ისახავს და კიდევაც უნდა დაისახოს აფხაზურმა ლიტერატურამაც. ამ მიზნების განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თავისი ცხოვრების მთელი საბჭოთა სინამდვილის ღრმა შესწავლასთან, ამასთან ერთად, როგორც რუსული, ისე ქართული რეალისტური ლიტერატურის გამოცდილებათა ათვისებასთან.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ გორკის სიტყვები, წარმოთქმული მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე 1934 წელს იმის თაობაზე, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული ღირსება არ განისაზღვრება მისი შემქმნელი ხალხის რიცხობრივობით; რომ შე-

იქმნეს მხატვრული ნაწარმოები, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ტალანტი, და აქ, რასაკვირველია, მწერლის ეროვნებას რომელსაც იგი ეკუთვნის და ხალხის რიცხვს არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ტალანტი — ეს მხოლოდ შემოქმედებითი ძალაა. ნაწარმოების შინაარსს განსაზღვრავს გამოცდილება, ცხოვრების მოვლენათა ღრმა ცოდნა, დაბოლოს, მწერლის მსოფლმხედველობა, მისი შემოქმედების იდეური მიმართულება.

აფხაზი პოეტები გარკვეული წარმატებებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის 40 წლისთავს. მაგრამ მათს შემოქმედებაში არის აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებებიც. მათგან ძირითადად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ჩვენი პოეტები ჯერ კიდევ არასაკმაო გამბედაობით იჭრებიან ცხოვრებაში, ღრმად ვერ გამოხატავენ ჩვენი ლიტერატურის მთავარი გმირის — საბჭოთა ადამიანის გრძნობათა მთელ სისავსეს, რომელ ჟანრშიაც არ უნდა ვითარდებოდეს იგი.

ბევრ პოეტურ ნაწარმოებს აკლია ცხოვრების ფართოდ ასახვა, აზრის სიღრმე, დიდი მასშტაბები. ცალკეული ლირიკული ლექსები ცოდავენ გულუბრყვილობით, სახეების სიღარიბით, ხასიათების უფერულობით. რასაკვირველია, ყველა ლექსი არ შეიძლება იყოს ერთნაირი წონის, მაგრამ პლასტიურობა და მხატვრულობა საჭიროა მკაფიოდ ჩანდეს ყოველ პოეტურ სტრიქონში. თვალში გვცემათ ჟანრების ერთფეროვნებაც. ჩვენ კი გვინდა ლირიკაც, იგავ-არაკიც, ლექსი — ფელეტონიც, სატირული და იუმორისტული ჩანახატები, სიუჟეტიანი ლექსები, უფრო დიდი მოცულობის ეპიური ნაწარმოებები — ისეთები, როგორიცაა პოემა.

რამდენიმედ ერთფეროვნება და სტანდარტულობა განსაკუთრებით შეიმჩნევა ლირიკულ პოეზიაში. უკანასკნელ ხანებში გაჩნდნენ მნიშვნელოვანი რაოდენობით ლექსები და პოემები, რომლებშიც ასახულია სიყვარულის პრობლემა. ეს, ერთის მხრივ სასიხარულო მოვლენაა, რადგან ეს სახე პოეზიისა, როგორც ცნობილია, რამდენიმე ხანს დევნილიყო. მაგრამ მეორეს მხრივ, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ზოგი ჩვენი პოეტი, რომლებმაც მიუძღვნეს თავიანთი ნაწარმოებები ამ პრობლემას, ამცირებენ მას, სიყვარულის მრავალფეროვანი ლირიკის თემატიკა მხოლოდ სასიყვარულო განცდათა აღწერამდე დაჰყავთ და ავიწროებენ ლირიკული თემის ჩარჩოებს.

ასეთი შთაბეჭდილება იქმნება, როდესაც კითხულობთ კ. ლომიას ლექსებს სიყვარულზე, „დატყვევებული გული“, „მისი გულის საიდუმლოებები“, „როდესაც გული არ არის მშვიდად, აღარ ეტევა მკერდში“, გ. გუბლიას („ლირიკული ლექსების“ ციკლის) და ზოგიერთი სხვა პოეტების ლექსებიც.

ერთი შეხედვით, ამ ნაწარმოებებში, თითქოს ყველაფერი რიგზეა — თემა, რითმები, რიტმი და სხვ. მაგრამ თუ ღრმად გაეცნობით ამ ლექსებს ჩაწვდებით მის შინაარსს, ნათელი გახდება, რომ გრძნობა, რომლებიც გამოთქმული აქვთ მათ ავტორებს, პირადი განცდებიდან კი არ გამომდინარეობენ, არამედ მეტ წილად ლიტერატურიშჩინიდან.

აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეობამ, მიიღო რა მხედველობაში არსებული მდგომარეობა აფხაზური ლირიკული პოეზიისა, საჭიროდ ჩათვალა გაეშალა დისკუსია თემაზე „აფხაზური ლირიკული პოეზიის განვითარება უკანასკნელ წლებში“. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი მწერლები და კრიტიკოსები მიიღებენ ყველაზე აქტიურ მონაწილეობას ამ დიდ ლიტერატურულ გასაუბრებაში, რაც უფრო გულღიად, რაც უფრო პრინციპულად გვექნება ეს საუბარი, მით უფრო სწრაფად გამოვავლენთ ჩვენი პოეზიის სისუსტესა და ნაკლოვანებებს და აღმოვფხვრით მათ.

თანამედროვე დადებითი გმირის უფრო ღრმად და მკაფიოდ გამოვლენასთან ერთად (როგორც ეპოსში, ისე ლირიკაში), აფხაზურმა პოეზიამ უნდა გამოიყენოს სატირის ბასრი იარაღი, მიმართოს რა იგი მანკიერების წინააღმდეგ, რომელსაც კიდევ აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში, ძველის გადმონაშთების წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ ბუდობს ხალხთა შეგნებაში, გაბედულად ვამხილოთ და გამოვამჟღავნოთ ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები, მაგრამ ჩვენს პოეტებს სატირის დარგში განსაკუთრებით სატრაბახო არაფერი აქვთ. ძალზე იშვიათია ჩვენში სატირული იუმორისტული ნაწარმოებები.

ამ ჟანრზე ლაპარაკის დროს აუცილებელია აღინიშნოს სატირული ჩანახატები პოეტ კირშალ ჩაჩხალიასი, რომელიც მიმართულია მლიქვნელობის, მაამებლობის, თვითკმაყოფილების, მექრთამეობისა და სხვ. წინააღმდეგ. ასეთ ლექსებს, რომლებმაც ფართო გამოხმაურება მოიპოვეს, ეკუთვნის „მაღაზია №“, „ამბაკო ქაფავს ჩუმად“ და სხვ. მაგრამ კომიკური სიტუაციები ავტორს ბევრ შემთხვევაში გამოუდის პირდაპირულად და დიალექტიკური. ავტორს სურს ყველაფერი მიიყვანოს კეთილ ბოლომდე, ზოგ შემთხვევაში იგი ისწრაფვის მსუბუქ სიცილისკენ, ღიმილისაკენ, და ამით მისი სატირის ძალა მცირდება და სუსტდება.

აფხაზურ პოეზიაში დაუმსახურებლად უკავია მცირე ადგილი საბავშვო ლექსებს. მართალია, დ. გულიას მიერ ბავშვებისათვის დაწერილ ცნობილ ლექსების გვერდით, შეგვიძლია დავასახელოთ ზოგი სხვა ნაწარმოებებიც, დაბეჭდილი ბ. შინკუბას, ა. ჯონუას, ა. ლასურიას, კ. ლომიას კრებულებში მათ შორის არის მთელი რიგი ნამდვილად კარგი, ორიგინალური ლექსებიც. საბავშვო ლექსების წიგნი გამოსცა შ. ცვიჟბამ. მაგრამ სამწუხაროა, რომ აქამდე აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა ცოტას უშვებს საბავშვო წიგნებს და აფერხებს ჩვენი პოეტების მუშაობას საბავშვო ნაწარმოებების შექმნაში.

აფხაზეთის მწერალთა კავშირი და განათლების სამინისტრო აუცილებლად სერიოზულად უნდა მოეკიდოს საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საქმეს. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს პოეტური ოსტატობის ზრდის პრობლემა. დაუდევრობას რითმებსა და რიტმში, ენობრივ შეცდომებს და არასაკმაო ყურადღებით მოპყრობას მხატვრულ გამოთქმებისადმი, სამწუხაროდ ვხვდებით ჩვენი პოეტების ბევრს ნაწარმოებებში, კერძოდ, ჩ. ჯონუას (პოემა „სასიძო), კ. ლომიას (პოემა „სოფელ დაუსთან მიახლოებისას“) თხზულებებში და სხვ.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, ბოლო წლებში გვაჩნია მნიშვნელოვანი რიცხვი ეპიკური ნაწარმოებებისა: ბ. შინკუბას რომანი ლექსად, ი. თარბას, ა. ლასურიას, ა. ჯონუას, ჭ. ჯონუას, კ. ლომიას და სხვა პოეტების პოემები. მაგრამ მთელ რიგ პოემებში თვალში გვხვდება დიდი ნაკლოვანებები სახეების უფერულობა და გაცვეთილი ენა. სუსტი კომპოზიცია, ცხოვრებისეული მასალის სიღარიბე. ბევრ პოემაში საერთო პერსონაჟი ხდება ნაწარმოებიდან ნაწარმოებში მოხეტიალე დიდი ხნის მოხუცი, რომელიც როგორც წესი, შემკულია ბრძნულ ცხოვრების გამოცდილებით და ამასთან ერთად არის მომღერალი ანდა მთქმელი. ასეთებია — ტვან რაშიტი, ჭ. ჯონუას ამავე სახელწოდების პოემაში, ბაჯი — ა. ჯონუას „ფიცში“, მკანი — კ. ლომიას „სოფელ დოუსთან მიახლოებისას“, ბასი — ი. თარბას „რაქდენ ქიბაში“, ა. ლასურიას პოემა „გუაჯარის სიმღერაში“ — გუაჯარი და სხვ. ამ უკანასკნელ მოხუცს უკვე 130 წელი შეუსრულდა. არ შეიძლება არ დავინახოთ, ის რომ ყოველივე ეს ქმნის მოსაწყენ ერთფეროვნებას და მათ არაფერი საერთო არა აქვთ ავტორის ჩანაფიქრთან. მაგალითად, ა. ჯონუას პოემა „ფიცში“ მოხუცი ბაჯის მოთხრობები და სიმღერები მოცულობით და გამოსახვის სიძლიერით ახშობენ ძირითად სიუჟეტურ ხაზს, რომელსაც უნდა ასახა ეს ეპიზოდი დიდი სამამულო ომიდან. მრავალგზის გადაღეჭილ ჭეშმარიტებას გადმოგვცემს მოხუცი ბასას პირით. „რაქდენ ქიბას“ ავტორი განსაკუთრებით მის დასაწყის თავებში.

ცხოვრებაში არაღრმად ჩაწვდომას და ცალმხრივ ორიენტირებას მიყავს ავტორები ჩავარდნამდე. მაგალითად, ასე მოხდა ა. ჯონუას პოემაში „საქმრო“. ავტორმა კარგი მიზანი დაისახა — გაესამართლებინა ახალგაზრდა ვაჟის — სტილიაგისა და უქნარას არასწორი ქცევა. მაგრამ მან ისე დაამუქა საღებავები, ისე არასწორად განალაგა სახეები, რომ ცხოვრების რეალური გამოსახვის ნაცვლად იგი მრუდე სარკეში წარმოგვიდგინა. პოემის მთავარი პერსონაჟი ზურიკ აცბა, მისი დედა და მამა — გამოსახულნი არიან მთლიანად უარყოფითი ხაზებით. პოემაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საკმაოდ ფერმკრთალ გამოსახულებას ქალიშვილი არდუსი, არ არის არც ერთი დადებითი გმირი და ოდნავადაც არ არის მონახული საზოგადოებრივი ფონი, არ შეიძლება არ დავინახოთ რომ სინამდვილის ასე ცალმხრივ გამოსახვას არ შეეძლო ავტორი არ მიეყვანა სერიოზულ მარცხამდე.

იდეური დონისა და პოეტური ოსტატობის ამაღლების საკითხები მუდმივად უნდა იდგეს მწერალთა ორგანიზაციის თვალთახედვის არეში, ისინი იმსახურებენ ფართო მსჯელობას, დისკუსიებს, მოხსენებებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ პოლიტიკური ჟურნალი — „ალაშერა“ („სინათლე“) ძალზე სერიოზულად მოეკიდება არსებული შემოქმედებითი საკითხების განხილვას, აღმოუჩენს ნამდვილ დახმარებას პოეტებს, უპირველესად ყოვლისა კი ახალგაზრდობას, დამწყებ ავტორებს, მაღალმხატვრული, ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერ ნაწარმოების შექმნაში. ჩვენი შეხედულებით ჟურნალის რედაქციას მოეთხოვება გააძლიეროს მომთხოვნელობა პოეტური მასალის შერჩევაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის ისტორიულმა დადგენილებებმა, და აგრეთვე საბჭოთა კავშირის კპ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ ხელი შეუწყეს მწერალთა შემოქმედებითი აქტივობას შემდგომ ამაღლებას. უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის პოეტებმა გადახედეს თავიანთ პოეტურ საქმიანობას, უფრო გულდასმით შეაფასეს გასული წლების ნაწარმოებთა ღირსება-ნაკლოვანებები. ამ მხრივ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობაზეც. სამწუხაროდ ჩვენი კრიტიკა დღემდის ვერ ახერხებს ნაწარმოების კონკრეტულ ანალიზს, ხშირად კმაყოფილდება მათი იდეურ-თემატიური არსის დახასიათებით, შინაარსის მოყოლით. მრავალი კრიტიკული წერილი მხოლოდდამხოლოდ საერთო ხასიათისაა და არასაკმაოდ გვიჩვენებს, თუ რა მხატვრული ხერხებით ასახავს მწერალი იდეასა და თემას.

აფხაზეთის პოეზია ამაღლების გზაზე დგას უკანასკნელ ხანებში მას მიემატნენ და ემატებიან ახალი შემოქმედებითი ძალები. საკმაოა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სასწავლებელში შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურული გაერთიანებები. დამწყებ პოეტთა შორის მრავალია ნიჭიერი ახალგაზრდა. აფხაზ პოეტთა ნაწარმოებები რუსი, ქართველი და სხვა ხალხთა პოეტების დახმარებით ცნობილი ხდება საბჭოთა ქვეყნის მასებისათვის, ჩვენი პოეტები სწავლობენ და აზოგადებენ დაგროვილ გამოცდილებას. მათ კიდევ უფრო უნდა აიმაღლონ მომთხოვნელობა. თავიანთი შემოქმედებისადმი, უფრო ღრმად ჩაწვდნენ ცხოვრებას და დაუცხრომლად აიმაღლონ იდეური დონე და მხატვრული ოსტატობა.

# ილია ჭავჭავაძის
## დაბადებიდან 120 წლისა და გარდაცვალების 50 წლისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ითონიშვილი

★

# ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროები

ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილმა“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ლიტერატურაში. ამის დამადასტურებელია ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე თუ ცალკეული მონოგრაფიების სახით გამოქვეყნებული ნარკვევები, სადაც მრავალი საინტერესო საკითხია აღძრული და თავისებურად გადაწყვეტილი. რამდენიმე მკვლევარი შეეცადა პოემის სხვა ლიტერატურულ ძეგლებთან სიუჟეტური ნათესაობისა თუ მისი ფოლკლორული წყაროების დადგენას. ჩვენთვის საინტერესოა სწორედ იმ წყაროების გადმოცემა, რომლებითაც „განდეგილის“ ავტორს უნდა ესარგებლა. მაგრამ ვიდრე ამდაგვარი მასალის მიმოხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა გავეცნოთ პოემის შესახებ ამ თვალსაზრისით წამოყენებულ მოსაზრებებს.

ინგლისურ ენაზე ქართული ზღაპრების გამოცემასთან დაკავშირებით „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. V. Vasiani-ს ვრცელი სტატია, სადაც ავტორი დიდ შეფასებას აძლევს ილიას პოემას და სიუჟეტური პარალელებისა თუ შემხვედრი მომენტების გათვალისწინების ნიადაგზე მას ზოლას „აბატ მურიეს შეცდომას“ და ფლობერის „წმინდა ანტონის განსაცდელს“ ადარებს[1].

V. Vasiani-ს ეს შეხედულება არ გაიზიარა კიტა აბაშიძემ. მისი აზრით, ზოლას რომანისა და ილიას პოემის სიუჟეტური იგივეობის ნიშანია ასკეტიზმის ბრძოლა ცხოვრების მოთხოვნილებასთან, მაგრამ მას ბევრად სჭარბობენ განმასხვავებელი ნიშნები: 1. ზოლასთან ასკეტიზმი იმარჯვებს, ილიასთან კი ბუნება სძლევს ასკეტიზმს; 2. ზოლას გმირი ცხოვრების ფერხულში ჩაბმული ფანატიკოსი მღვდელია, ხოლო ილიას გმირი ცხოვრებისაგან განრიდებული წმინდანია. ზოლა მხოლოდ კათოლიციზმისაგან შექმნილ კანონებს ებრძვის, ხოლო ილია საზოგადოდ „განდეგილობას“, ცხოვრების უარმყოფელ ფილოსოფიას გამკლავებია.

რაც შეეხება ფლობერის რომანს, კიტა აბაშიძე აქაც ვერ ხედავს „განდეგილთან“ იგივეობის ნიშანს, რადგან ფლობერის მიზანია ცხოვრებისა და ადამიანის სიცოცხლის უაზრობის დასაბუთება, ილია კი ცხოვრების სიკეთის მქადაგებელია.

კ. აბაშიძე უმართებულოდ მიიჩნევს აგრეთვე ლერმონტოვის „მწირთან“ „განდეგილის“ შედარებას, იმ მოტივით, რომ მწირი ცხოვრებისაკენ მიილტვის, ხოლო ილიას პოემის გმირი ცხოვრებას გაურბის.[1]

გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძემ პოემას „ლეგენდა“ უწოდა, კ. აბაშიძემ სცადა „განდეგილის“ წყაროს დადგენა, მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო იმანაც ლიტერატურულ ძეგლებთან სიუჟეტური პარალელების ძიებას მოჰკიდა ხელი.

1895 წელს ჟურნალ „Нива“-ს მეხუთე ნომერში დაიბეჭდა მოთხრობა „Бегство от женщины“, თარგმანი ერთი ძველი ლიტერატურული ძეგლისა („ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა მარტინიანესი“), რომელიც „დაწერილი უნდა იყოს ბერძნულად მეოთხე საუკუნის დამლევს თუ მეხუთის დამდეგს“.[2] მარტინიანეს „ცხოვრების“ მოკლე შინაარსს[2] კ. აბაშიძე აღნიშნული გამოცემის მიხედვით გაეცნო და წამოაყენა მოსაზრება ამ თქმულებასთან ილიას „პოემის არაკის“ დიდი მსგავსებისა და მის პარალელურად არსებითი განსხვავების შესახებ. განსხვავებას ხედავს მკვლევარი შემდეგში: მარტინიანეს შემაცდენელი ქალი ფლიდი და გაიძვერაა, „განდეგილის“ მწყემსი ქალი კი გულუბრყვილო არსებაა. მარტინიანე უფრო ფორმის აღსასრულებლად ეტანება ასკეტობას, როგორც თავისებური ფანატიკოსი, ხოლო განდეგილი ცხოვრებას გაექცევა თავისი შეხედუ-

---

1 „ივერია“, 1894 წ. № 198.

1 კიტა აბაშიძე, „განდეგილი“ — პოემა თ.* ილია ჭავჭავაძისა, ჟ. „მოამბე“, 1896 წ. № 9, გვ. 78 — 86.

2 კ. კეკელიძე, „სამიჯნურო ცთუნების“ პრობლემებისათვის ქართულ ლიტერატურაში“, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ. II, თბილისი, 1945 წ. გვ. 15.

3 წმ. მარტინიანეს თავგადასავალის მოკლე შინაარსი იხ. კ. კეკელიძე, დასახ. შრომა, გვ. 15 — 17.

ლების გამო ამ ცხოვრების შესახებ. კ. აბაშიძე იქვე მიუთითებს, რომ „მთავარი აზრი სარწმუნოებრივის თქმულებისა, რასაკვირველია, ძალიან განსხვავდება საერო პოეზიის აზრისაგან"..., მაგრამ ამდაგვარი ხასიათის განსხვავებათა მიუხედავად, მკვლევარი ამ ორი ძეგლის სიუჟეტური ნათესაობის აზრის მომხრედ რჩება და მისთვის „მხოლოდ ის არის საინტერესო ავტორმა თავისი პოემის არაკი პირდაპირ ამ თქმულებიდან ისესხა, თუ ჩვენს ხალხშია ამგვარი ლეგენდა დარჩენილი".[1]

„განდეგილის" ფოლკლორული წყაროებით დაინტერესებული იყო პროფ. ალ. ხახანაშვილიც. 1908 წელს 12 მარტს მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველებისა, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების ეთნოგრაფიის განყოფილების სხდომაზე[2], რომელიც მიეძღვნა ილიას, როგორც ეთნოგრაფის ხსოვნას, ალ. ხახანაშვილმა თავის მოხსენებაში[3] აღნიშნა, რომ პოემა „განდეგილს" საფუძვლად უდევს მოხევეთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ავტორის მიერ დამოწმებული ხალხური ლეგენდა[4]. როგორც ჩანს, ალ. ხახანაშვილი არ მიჰყვება უცხოური ლიტერატურიდან სიუჟეტური სესხების მომხრეთა გზას, ილიას პოემის წყარო მოხევეთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ეგულება, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერს ამბობს თვით ლეგენდის შინაარსსა და რაობაზე.

ლიტერატურულ ძეგლებთან, სახელდობრ, მარტინიანეს „ცხოვრებასთან" სიუჟეტური ნათესაობის საკითხს სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა აკად. კ. კეკელიძემ. მან კიდევ უფრო ნათლად ჩამოაყალიბა მსგავსება- განსხვავების მაჩვენებელი ნიშნები, რაც თავის დროზე კ. აბაშიძესაც აინტერესებდა, მეცნიერულად დაასაბუთა, რომ მარტინიანეს „ცხოვრება" ილიასათვის ხელმიუწვდომელი იყო და წამოაყენა დებულება ამ ძეგლის შინაარსის ხალხში გადასვლა-გავრცელებისა და ილიას მიერ ხალხური სიტყვიერების მასალების შესწავლის გზით პოემის სიუჟეტად მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ამით კ. კეკელიძემ გარკვეული წვლილი შეიტანა მასზე დიდი ხნით ადრე აღძრული საკითხის კვლევის სფეროში, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხცოვანი მეცნიერი ბევრ რამეში კ. აბაშიძის პოზიციებზე დგას და არსებითად მის კონცეფციას ავითარებს. ამის მხედველობაში მიღებით უმართებულოდ გამოიცქირება კ. კეკელიძის საყვედური კ. აბაშიძისადმი იმის თაობაზე, თითქოს „განსვენებული" მკვლევარი, სრულიად უსაბუთოდ, „განდეგილს" ზოლას და ფლობერის ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებთან უფრო ახლოს აყენებს, ვიდრე მარტინიანეს „ცხოვრებასთან"[1]. პირიქით, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, კ. აბაშიძე ამ ძეგლსა და „განდეგილს" შორის იმდენად დიდ შინაარსობლივ მსგავსებას ხედავდა, რომ ის ილიას მიერ მარტინიანეს „ცხოვრებიდან" სესხების შესაძლებლობის საკითხსაც კი აყენებდა ხალხურ ენთოგრაფიულ სინამდვილეში მსგავსი ლეგენდის არსებობის შესაძლებლობასთან ერთად.

ჩვენ მიერ აქ დასახელებულ მკვლევართაგან მხოლოდ ალ. ხახანაშვილის შეხედულებაშია საძებნელი სინამდვილის მარცვალი, ყველა დანარჩენი კი, რომლებიც სუჟეტური პარალელების გათვალისწინების ნიადაგზე „განდეგილს" უცხო ლიტერატურული გავლენის უშუალო ნაყოფად ან ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან ხალხურ ლეგენდად ქცეული გადმოცემების გამოყენების საფუძველზე შექმნილ თხზულებად მიიჩნევენ. შეცდომაში ვარდებიან.

უფრო მეტიც, კ. კეკელიძე იმდენად დარწმუნებულია ჰაგიოგრაფიული ძეგლის გახალხურებასა და ამ გზით ილიას მიერ პოემის სიუჟეტად მისი გამოყენების სინამდვილეში, რომ მოხევეების ეთნოგრაფიულ ყოფაში ს. მაკალათიას მიერ დამოწმებული ხალხური გადმოცემებიც კი არაფრად ჩააგდო იმ მოტივით, რომ ბეთლემის გამოქვაბულში მყოფი ბერის შეცდენის შესახებ არსებული ლეგენდის აქ წარმოდგენილი „ვარიანტების უხეში, ნატურალისტური თქმულება ძალიან შორსაა, როგორც მარტინიანეს „ცხოვრების", ისე ილიას „განდეგილის" ლეგენდის თქმულებისაგან, უკანასკნელს ისინი ზოგად ხაზებში ხვდებიან"[2].

მოხეური ხალხური გადმოცემა, რომ ჰაგიოგრაფიული ძეგლის შინაარსს არ იმეორებდეს, ეს სრულებითაც არ არის საკვირველი, რადგან ისეთი ლიტერატურული ნაწარმოების გახალხურება, რომელიც ილიასთანა სწავლული კაცისათვისაც კი ხელმიუწვდომელი იყო, თვით კ. კეკელიძის შრომაში დასახელებული მიზეზების გამო[3] ჩვენი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა. ან რაღა მარტო საქართველოს ჩრდილო პერიფერიის მკვიდრთა ეთნოგრაფიულ ყოფაში მოხდა მისი გავრცელება და არა ჩვენი ქვეყნის დანარჩენ კუთხეებშიც. რანაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ათონის მთაზე არსებული, ერთადერთი ქართულად ნათარგმნი ხელნაწერით მოხევეები და თუნდაც სხვა კუთხის წარმოჰადგენლები მარტინიანეს „ცხოვრების" შინაარსს

---

[1] კ. აბაშიძე, დასახელებული წერილი, „მოამბე", 1896 წ. № 10, გვ. 89.

[2] დაწვრილებით იხილეთ ჟ. „Этнографическое обозрение", 1908 წ. № 1 — 2, გვ. 119 — 148.

[3] А. Хаханов, Князь И. Г. Чавчавадзе, как этнограф, დასახ. ჟურნალი, გვ. 122 — 135.

[4] იქვე, გვ. 127, 131.

---

[1] კ. კეკელიძე დასახელებული წიგნი; გვ. 22.

[2] კ. კეკელიძე, დასახელებული წიგნი; გვ. 22.

[3] კ. კეკელიძე, იქვე, სქოლიო.

ზიარებოდნენ და მის საფუძველზე იმავე მოტივის ლეგენდები შეეთხზათ. ასეთი რამ დაუჯერებელია და აკად. კ. კეკელიძის მიერ წამოყენებული მოსაზრებაც უარყოფის ღირსია.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ს. მაკალათიას წიგნში[1] გამოქვეყნებული თქმულების ვარიანტები მხოლოდ „ზოგად ხაზებში ხვდებიან“ ილიას პოემას, ეს სრულიად ბუნებრივია, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ყოველი დიდი შემოქმედი ხალხურ გადმოცემას სიტყვა-სიტყვით არაღროს არ გაიმეორებს, მას თავისი მსოფლმხედველობის ქურაში გადაადნობს და მხატვრული ტილოს იდეის შესაბამისად ჩამოქნის. ილიამ, როგორც დიდმა მოაზროვნემ, ამ პოემაში გაალრმავა და განავითარა „ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“ მოძრაობის აუცილებლობის იდეა. ხალხურ მასალას პოეტმა თავისებური სახე მისცა და ის არსებითად პროგრესულ-დემოკრატიული იდეის დანერგვა-გამოხატვის სამსახურში ჩააყენა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ილიას პოემას საფუძვლად დაედვა ასკეტის ცხოვრებასთან დაკავშირებით ხევში გავრცელებული თქმულება, რომლის სხვადასხვა ვარიანტი უკვე გამოქვეყნებულია.[2]

ჩვენ შემთხვევა გვქონდა ადგილზე ჩაგვეწერა გამოქვეყნებულ ფრაგმენტებზე გაცილებით ვრცელი და სრულყოფილი ვარიანტი. ამ გადმოცემების მიხედვით, ხევის უშორეულეს წარსულში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გმირობით სახელგანთქმული ღ უ რ ბ ე ლ ა ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი. ის მოხევეების ჯარის სარდლად არის ცნობილი იმ პერიოდისათვის, როდესაც ხევის ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი იყო სოფ. ს ა თ ა რ გ მ ნ ო — ხევის ყველაზე ძველი სათემო ცენტრი და სახევისბრო. უფრო გვიან მას შენაცვლებია სოფ. გ ა რ ბ ა ნ ი, სადაც ეკლესიის აშენების შემდეგ“[3], სახევისბროც მოუწყვიათ, ხოლო გერგეტის წმინდა სამების მონასტრის ალმართვის დღიდან[4] თემის ცენტრს სოფ. გერგეტში გადაუნაცვლებია.

იგივე გადმოცემა ღურბელას სამხედრო მოღვაწეობას სპარსელებთან ქართველი ხალხის ბრძოლისა და საქართველოს დედაქალაქად მცხეთის არსებობის პერიოდს უკავშირებს.

ყოველივე ეს თავისთავად საინტერესოა, მაგრამ მისდამი ჩვენი ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ გადმოცემის დათარიღების მიზნით. აღნიშნული საკითხის გაშუქებისათვის ჯერ საჭიროა გავეცნოთ გადმოცემის მხოლოდ [illegible] ნაწილს, ღურბელას ბერად შედგომის და განდეგილის ტრაგედიას. მისი მოკლე შინაარსი ასეთია: ღურბელას ცოლად ჰყავდა სილამაზით განთქმული ქალი — ი ა თ მ ზ ე, რომელიც, სახლში ქმრის არ ყოფნის დროს, მის მოსატაცებლად მოსულ ჩერქეზებთან ბრძოლაში დაიღუპა. მოძალადეებზე ღურბელამ შური იძია, ცოლი გამოიტირა და მიწას მიაბარა.

ღურბელას დაქვრივებით მასზე გათხოვების იმედი მიეცა ერთ გერგეტელ ქალს, რომელიც ღურბელას სიყვარულს შეეპყრო, მაგრამ ქვრივი ვაჟკაცის გულის მონადირებაზე ფიქრმა მას ამაოდ ჩაუარა. ღურბელა საყვარელი ცოლის ერთგული დარჩა, დაამთავრა ერთწლიანი გლოვისათვის საკუთვნო წესების შესრულება, ხელახლა მოინათლა, სახელად სტეფანე დაირქვა და მყინვარის გამოქვაბულში — ბეთლემში მყოფი ბერების ცხოვრებას ეზიარა, ბერად აღიკვეცა.

უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქალმა მწყემსად წასვლა გადაწყვიტა, რომ მყინვარწვერის კალთებზე ცხვრის შეფენის დროს მაინც შეხვედროდა სტეფანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მას მართლაც მიეცა ამ ოცნების სინამდვილედ ქცევის შესაძლებლობა; ის შეხვდა მ ო ს ე ბ ე რ თ ა ნ ერთად დათვიას ტყისაკენ შეშის დასამზადებლად მიმავალ სტეფანეს. სტეფანემ მას შესაფერის კაცზე გათხოვება ურჩია, მოსემ ქალი გამოაძევა და ბერები ბეთლემისაკენ გაემართნენ.

დადგა მეორე ზაფხული და ქალმა კვლავ მეცხვარის ჯოხს მოჰკიდა ხელი, რაც მისთვის და მთელი ბერებისათვის საბედისწერო გამოდგა...

ერთ მშვენიერ დღეს მან ბატკნის საძოვრად განკუთვნილი მთის — ლ ი ჯ ე ს მწვანითმოსილ ფერდობებზე შეჰფინა მეწველი ცხვარი. შუადღის ხანს მწყემსმა პური ჭამა და სტეფანეზე ფიქრით დაღლილს ჩაეძინა. ბალახით წახალისებული ცხვარი მისი გამოღვიძების ჟამს „ს ა ბ ე რ წ ე ს“ ასულიყო და ყინულების ზონას მიახლოებოდა, რომლის დაბლა ჩამოწევის მიზნით ქალი აღმართს აყვა. შორიდან მან შენიშნა ბ ე რ ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო ს ა კ ე ნ მიმავალი 20 მეუდაბნოე. დაიმახსოვრა მათ მიერ განვლილი გზა და რაკი ისინი უკან გამობრუნდნენ, წავიდა იმ მიმართულებით და თითონაც იბანავა ცივ წყალში, მაშინ როდესაც გაგონილი ჰქონდა, რომ „არაწმინდანის“ ამ წყალში ჩასვლას საშინელი სეტყვა და ქარიშხალი მოჰყვებოდა. და აი, მისი იქიდან ამოსვლისთანავე შავმა ღრუბელმა შეკრა პირი, ატყდა ელვა და მეხთა ტკრციალი, მოსცა ძლიერი სეტყვა და მწვანე ფერდობები თეთრად შემოსა.

ქარიშხლის მძლავრმა შემოტევამ მთელ ფარას

[1] სერგი მაკალათია, ხევი, თბილისი, 1934 წ.

[2] იქვე, გვ. 239 — 242; მიხეილ ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბილისი, 1947 წ. გვ. 82 — 83.

[3] გარბნის წმ. გიორგის ეკლესია დათარიღებულია 9 — 10 საუკუნეებით (იხ. В Долидзе, Р. Шмерлинг, Военно — Грузинская дорога, Тбилиси, 1956 г. стр. 43 — 47.

[4] წმინდა სამების მონასტერი დათარიღებულია მე-13 — 14 ს. ს. (იქვე, გვ. 68 — 69).

უფსკრულისაკენ აბრუნებინა პირი, საშინლად ჩამობნელდა, ღონეგამოღეულმა მწყემსმა ვეღარ შეძლო ფეხდაფეხ მიყოლა, ერთ სალ კლდესთან შეჩერდა და შენიშნა მბჟუტავი შუქი. შეშინებულმა ქალმა ეშმაკების სადგურად ჩათვალა ეს ადგილი, მაგრამ როცა შუქზე მან ადამიანის ლანდი შენიშნა, დაიმედდა — ეგების ეს იყოს ბერების სავანე და სტეფანეც აქ იმყოფებოდესო. შეეცადა ელვის შუქზე დაენახა შესასვლელი გზა ან კიბე, მაგრამ ამაოდ. გამოსავალი დაკივლებაში ჰპოვა. ქალის კივილი მავნე სულის მაცდურ ხმად მიიჩნია სავანის მკვიდრმა, მაგრამ რაკი მუდარის გამომხატველი კივილი განმეორებით შემოესმა, დარწმუნდა, რომ დასაღუპავად განწირული ადამიანი სთხოვდა შველას.

კლდეში გამოკვეთილი სავანე წარმოადგენდა მთელ საქართველოში სახელგანთქმული, ერთი ყველაზე დიდი წმინდანის ადგილსამყოფელს. მის გარდა იქ არც ერთი ბერი არ ბინადრობდა. ბერები და მათთან ერთად სტეფანედ მონათლული ღურბელაც ბეთლემის ქვაბებში იმყოფებოდნენ და მოწიწებით ეპყრობოდნენ ბეთლემზე უფრო შემაღლებულ ადგილას გამოკვეთილი სადგურის ერთგულ მკვიდრს, რომელიც ყველასაგან გ ა ნ დ ე გ ი ლ ი ს სახელით იყო ცნობილი.

გზადაბნეული მწყემსი სწორედ ბეთლემის მკვიდრთაგან თავის სულიერ მამად აღიარებული წმინდანის სავანეს მიადგა. ქალის ხმის გამგონმა განდეგილმა ჯაჭვის კიბე ჩამოუშვა და მწყემსი თავისთან აიყვანა. მწყემსურად გამოწყობილი ქალის დანახვაზე მან პირჯვარი გადაიწერა და იმაში დარწმუნებულმა, რომ ნამდვილად ადამიანთან ჰქონდა საქმე, ცეცხლთან მისვლა ურჩია, განდეგილი ცხვრის მოსაძებნად წავიდა, ხოლო ქალმა რომელსაც მისთვის პირდაპირ შეხედვა ვერ გაებედა (რადგან ეგონა, რომ სტეფანეს შეხვდა), სველი ტანსაცმელი გაიხადა და გაშიშვლებული მიუჯდა აგუზგუზებულ კერას სტეფანეს ცდუნება — მოჯადოებისა და ამ გზით თავისი მრავალწლოვანი ოცნების სინამდვილედ ქცევის მიზნით.

განდეგილმა ცხვარი ვერსად ნახა, უკან მობრუნდა და თავის სავანეში ასვლისთანავე დაინახა მისკენ ნახევრად ზურგშექცეული მტრედივით ლამაზი ქმნილება. ამ გამაბრუებელი სურათის წინაშე მდგომ ბერს გონებიდან გაუქრა ცოდვამადლისა და საიქიოს რწმენა, ჩასაფრებულ ლომივით გადაეშვა შემთხვევით მოვარდნილი მსხვერპლისაკენ, ღონივრად მოხვია ხელები და მასთან განცხრომას შესწირა თავისი წმინდანობა.

ირიჟრაჟა. ბერმა აშკარად იგრძნო თავისი გამოუსწორებელი შეცდომა, მივარდა ხატებს და მუხლმოყრილმა დაუწყო ვედრება, მაგრამ ამაოდ. ღმერთისაგანაც და ჯვარ-სალოცავებისაგანაც ის განწირული იყო. ან კი რა ექნებოდა საეჭვო, როცა ვეღარც სანთელს მოუკიდა ცეცხლი, ვეღარც საკვამლე ხვრელიდან შემომდგარი მზის სხივზე გადაკიდა თავისი „მადლიანი ხურჯინი“, რომლის თითოეულ თვალში სამ-სამი ცალი „სეფის კვერი“ იდო, ვეღარც მოწყურებული ყელმთით წყაროს წყლის ამოტანა შეძლო, მაშინ როდესაც მანამდე ნაცარში შეხვეული ნაღვერდალით სანთელი ერთ შებერვაზე ინთებოდა, მზის სხივი ხურჯინს იმაგრებდა,[1] ხოლო კალათი წყლის საზიდ ჭურჭლად იყო მოხმარებული.

ქალი თავს გამარჯვებულად თვლიდა და მოუთმენლად ელოდა სტეფანეს შემოსვლას, მაგრამ სულიერ ტრაგედიაში ჩავარდნილი განდეგილი ბერების აბანოში ბანაობითა და ხატებისადმი მუდარით ცდილობდა დანაშაულის გამოსყიდვას. მხოლოდ მესამე დღეს დაეჭვდა განდეგილის პირდაპირ შემხედავი ქალი, რომ სტეფანესთან არ ჰქონია საქმე. თან იმით ინუგეშებდა თავს, რომ სავანეში შესული ბერი სულ სხვა წმინდა-

---

[1] წმინდანობის სიმბოლოდ მზის სხივის აღიარების შესახებ საქართველოს სხვა კუთხეებში დამოწმებული მასალაც მეტყველებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსე ჯანაშვილის მიერ ფიქსირებული თქმულების ფრაგმენტი: „ზეპირ გადმოცემით მთიულეთის, სოფელ ბეთლემის (sic) მაღალს და მიუვალ კლდეზე აგებულს ეკლესიაში სცხოვრობდა წმ. კაცი, ისეთი წმინდა, რომ კითხვის დროს წიგნს მზის თინათინზე აყრდნობდა ხოლმე“. (მ. ჯანაშვილი, ქართველთა მატიანე, ჟ. „მოამბე“, 1903 წ. № 4 გვ. 60). ზემო იმერეთში, ქ. ციცქიშვილის მიერ ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით თამარ მეფე ქალწულური სიწმინდის შენარჩუნებისათვის „ღმერთმა იმითი დააჯილდოვა, რომ სარკმლიდან შემონათებულს სხივზე ეკიდა ხოლმე მისი ტანისამოსი“. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალწულობა დაჰკარგა, თამარის ცდა ამაო გამოდგა, „აიღო ტანისამოსი და გადაჰკიდა სხივზედ, მაგრამ სხივმა აღარ დაიმაგრა იგი და ძირს დაეცა (იხ. „კვალი“, 1893 წ. № 37, გვ. 12).

მსგავსი თქმულებაა დაკავშირებული ერეკლე მეორის სახელთანაც. ერთი ლეგენდის მიხედვით, „ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან ისევ აიღებდა ხმალსაო“. (იხ. ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931 წ. გვ. 365).

ხასიათის მიხედვით ანალოგიურია რელიგიური რწმენის ნიადაგზე შემუშავებული წარმოდგენა წმინდა ჯაჭვზე. „ქართლური ბალადა მოგვითხრობს, რომ ღვთის მოსავი წმინდა ბერი თავისუფლად დადიოდა წვრილ ჯაჭვზე, რომელიც მცხეთის ჯვრის მონასტრიდან არაგვზე იყო გაჭიმული. მაგრამ როცა წმინდა კაცმა მდინარეში მობანავე ქალი დაინახა და მით განიმსჭვალა, ჯაჭვი ჩაწყდა და ბერი დაიღუპა“. (მიხეილ ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი“, თბილისი, 1947 წ. გვ. 82).

ნია, სტეფანესთან სტუმრად შემოსწრებული, ხოლო სტეფანე ბერების ეკლესიაში ლოცვით იქნება გართულიო. მაგრამ ეს ნუგეში მეტად ხანმოკლე გამოდგა... განდეგილმა სინამდვილე აღიარა და ორივენი განუზომელ მწუხარებას მიეცნენ, ორივემ დაღუპულად ჩათვალა თავი.

ქალმა კლდიდან გადაჩეხა გადაწყვიტა, მაგრამ ბერის მძლავრმა ხელმა იხსნა. ამ დროს განდეგილთან მუდმივად მყოფი მტრედებიც[1] გაფრინდნენ, რის გამო მეუდაბნოე კიდევ უფრო დიდ გოდებაში ჩავარდა და ღმერთს მდურება დაუწყო „მავნე სულის“ მოგზავნისა და მისი სისპეტაკის უდანაშაულოდ განწირვის გამო.

მაშინ, როდესაც სავანეში ასეთი ტრაგედია სუფევდა, ქალის გვარის წევრები მდევარში წასულიყვნენ და დაეძებდნენ უგზო-უკვლოდ დაკარგულ მწყემსს. სახლში არც მისი დედა გაჩერებულა, ამოჰყვა მყინვარის კალთებს და მიადგა განდეგილის სავანეს. მისი კივილის ხმაზე განდეგილი დაბლა ჩამოვიდა და აუწყა მომხდარი უბედურება. შემდეგ ორივენი ერთად ავიდნენ ჯაჭვის კიბით და სიკვდილისაგან იხსნეს ქალი, რომელსაც მარტოდ დარჩენით ესარგებლა და თავის დახრჩობის მიზნით ყელზე მანდილი მოეჭირა. გაწბილებულ განდეგილსა და ასულს დედამ სავანის მიტოვება, სოფლად დაბრუნება და დაქორწინება ურჩია, მაგრამ ქალი ცივს უარზე იდგა. მას ორი არჩევანი ჰქონდა — სტეფანესთან შეუღლება ან სიკვდილი, მაგრამ დედის დაჟინებით ხვეწნა-მუდარის შემდეგ ქალი განზრახ დათანხმდა.

სამივენი თავქვე დაეშვნენ. ბეთლემს რომ მიუახლოვდნენ, განდეგილი ბერებთან შევიდა, აუწყა თავისი უბედურება და სავანის მიტოვების სურვილი განუცხადა. ბერები მისი წასვლის წინააღმდეგი წავიდნენ და ღმერთს პატიება სთხოვეს.

იმაში დარწმუნებული სტეფანე, რომ ქალი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და მას აღარ შეხვდებოდა, შეშის ამოსატანად წასულიყო. მან არაფერი არ იცოდა განდეგილისა და ქალის ტრაგედიის შესახებ. და აი, სწორედ მაშინ, როდესაც ბერები განდეგილის შეცდომების პატიებას ღმერთს ევედრებოდნენ, შეშობიდან მობრუნებულმა სტეფანემ დაინახა ქვის ყადეზე ჩამომჯდარი დედა-ძენი. ბერმა სალამი მისცა და გაოცებულმა ჰკითხა მისვლის მიზეზი. ქალმა დედას არ აცალა და თითონ აღიარა ყველაფერი. მოათავა რა ამბის გადმოცემა, ფიცი მისცა, რომ საიქიოს მაინც მის სახელზე იქნება, ამოიღო დანა და გულში დაიცა. ამის დანახვაზე დედამაც აღარ დააყოვნა და იმავე დანით მოისწრაფა სიცოცხლე.

მოულოდნელი უბედურებით დაბნეული სტეფანე ეკლესიაში შეიჭრა, მაშინ როდესაც მუხლმოყრილი ბერები ღმერთს ევედრებოდნენ, რომ განდეგილისათვის ეპატიებინა ჩადენილი შეცდომა. აღშფოთებულმა სტეფანემ ავხორცი ბერის გაძევება მოითხოვა. ბერები ეწინააღმდეგებოდნენ და განდეგილის ცდუნებას ღვთის განგებით ხსნიდნენ. სტეფანე დარწმუნდა, რომ ამაო იყო მისი სიტყვიერი ქადაგება, შემოიტანა არყის ნედლი ტოტი, დაერია ბერებს, მაგრად გასახრა და დაოსებულ-დასისხლიანებულები წიოკით ჩამოატარა გერგეტის ქედამდე, სადაც ახლა წმინდა სამების მონასტერია აღმართული.

სტეფანესთან დარჩა მხოლოდ ბერი კვირიკე, რომელმაც გაამართლა მისი მოქმედება და მასთან ერთად ლოცვა-ვედრებაში გაატარა მრავალი წელი.

ისინი უკვე ხანდაზმულები ყოფილან, რომ ერთ-ერთ ივანობაზე სოფ. სათარგმნოს სტუმრებიან. ხევისბერსა და თემის კაცებს გაუთვალისწინებიათ ის გარემოება, რომ ხანში შესულ ბერებს თანდათანობით გაუძნელდებოდათ სანოვაგისა და შეშისათვის სიარული და გადაუწყვეტიათ მათთვის სავანის აშენება სათარგმნოს ზევით მდებარე ერთ მზიან ადგილზე, რომელსაც „საკიტრეს“ უწოდებდნენ. ბერები დათანხმებულან. დღეობის დამთავრების შემდეგ ხევის ყველა სოფლიდან შეყრილა ხალხი და აუშენებიათ პატარა ეკლესია. საერთო ხარჯით თემს სამხლო გადაუხდია, სავანე უკურთხებიათ და უწოდებიათ „ნინო წმინდა“. ახალგაზრდებს კი „წითელის ეკ-

[1] ამ გადმოცემის ანალოგიურად, მტრედის როგორც წმინდა სულის სიმბოლიური გამოხატულების მოტივი, ცნობილია ძველი ქართული მწერლობის მიხედვითაც. ერთ-ერთ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში მტრედი სწორედ ამ ფუნქციით გვხვდება: ღმერთი დარწმუნდა რა შიოს წმინდანობაში, მას ნუგეშისმცემლად მტრედი მიუჩინა და საზრდოთი ბერის უზრუნველყოფა დააკისრა. ამის მნახველად თხზულების ავტორს გამოყავს ვინმე ევაგრე, რომელიც სანადიროდ გამოსულა შიოს ადგილ-სამყოფელის სიახლოვეს „და განგებითა საღმრთოთა იხილა ტრედი იგი პირუტყ̂ლ ხსენებული, რამეთუ მიაქუნდა საზრდელი წმიდისა შიოს მიმართ მსგავსად ჩუჩულებისა“. მეორე დღეს იმავე ადგილას სანადიროდ გამოსულმა ევაგრემ კვლავ შენიშნა იგივე მტრედი... „და აჰა ესერა ხედვიდა ტრედსა მას, რომელი ეხილვა უწინარესსა დღესა მიმღებელად საზრდელისა პირითა თჳისითა ბერისა მიმართ, ესერა იხილა ევაგრე განცვიფრებული იყო განსაკჳრუტ̂ბელსა ამას სახილველსა ზედა, ვინაცა შეუდგა კუალსა ტრედისასა, რათა ცნას ზედა მიწევნით თუ რასა მიზეზისათჳს ორგზის იხილა მის მიერ ტრედი მიმღებელად საზრდელისა მის ადგილისა მიმართ. ხოლო ვითარცა მიიწია იხილა წმიდა მამა შიო, მჯდომარე ქუაბსა მას შინა და მადლობისა აღმავლენელი ღუთის მიმართ“. (იხ. „ცხოვრება და საკჳრუტ̂ლებანი წმიდისა და ნეტარისა შიოსნი“, საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 230, 231, 232).

ლესია“ დაურქმევიათ, რადგან ბერების დასისხლიანების გამო სტეფანეს „წითელ ბერს“ ეძახოდნენ. ადგილის ძველი სახელწოდება — საკიტრე დავიწყებას მიეცა და იმ ტერიტორიას, სადაც ეს ეკლესია მდგარა, დღესაც „წითელის ეკლესიას უწოდებენ.

წითელის ეკლესიის აშენებიდან ორი წლის შემდეგ ხევში დიდი წვიმა და სეტყვა მოსულა. მთა ყუროს მიწა-ქვიშიანი ფერდობები ჩამორეცხილა და მდ. ყუროს დაქანებულ კალაპოტში მძლავრ ნიაღვრად დაშვებულა. მის გრუხუნზე გამოღვიძებია სტეფანეს, თავზე კოდით გარეთ გამოსულა და ელვის შუქზე შეუმჩნევია ვეებერთელა ქვა-ტალახიანი ნიაღვარი, რომელიც სოფ. სათარგმნოს წალეკვით ემუქრებოდა. აზვირთებული ყუროს დინების მიმართულებით სტეფანე თავქვე დაშვებულა, მივარდნილა 71 კომლიანი სოფლის ცენტრში მდგარ შავხალის[1] ციხესთან და ის ზარი დაურეკია, რომლის ხმაზე ჩვეულებისამებრ მტრის შემოსევის ან თემის ყრილობის დროს იკრიბებოდნენ. ხალხი ფეხზე დამდგარა და სტეფანეს კარნახით მდინარის მარცხენა სანაპიროზე გადახიზნულან. მალე მოვარდნილა „თავნი“ (ნიაღვრის პირველი ტალღა) და სათარგმნო ტალახსა და ქვა-ღორღში ჩაუფლია.

სათარგმნოს დაღუპვის ამბავი უმალ მოედო ხევს. მეორე დღეს მთელი თემის მამაკაცებმა მოიყარეს თავი და მოკლე დროის მანძილზე ახალი სოფელი გააშენეს, სწორედ იმ ადგილას, რომელიც ახლა სოფ. ყაზბეგის ზემო უბნად იწოდება. მოსახლეობის დაბინავებისთანავე გადაიხადეს სამხდო და ხალხის მხსნელი სტეფანე ბერის სახელის უკვდავსაყოფად სათარგმნოელთა ახალსაცხოვრისს ს ტ ე ფ ა ნ წ მ ი ნ დ ა დაარქვეს.

სოფლის ეს სახელწოდება ძალაში იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, მანამდე, სანამ რუსები სტეფანწმინდასა და მყინვარწვერს ყ ა ზ ბ ე გ ს დაარქმევდნენ მათთვის ერთგული მოხელის, სტეფანწმინდის მოურავის, გაბრიელ ყაზბეგის პატივსაცემად.

ჩვენ არ შევეცდებით ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ გადმოცემასა და ილიას პოემას შორის არსებული იგივეობის მაჩვენებელი ნიშნების ცალკე გამოყოფას, რადგან აქ წარმოდგენილი ამბავის გაცნობა და „განდეგილის“ შინაარსის გახსენება ყოველ მკითხველს აძლევს ანალოგიების ძიების შესაძლებლობას. დავკმაყოფილდებით იმის თქმით, რომ ამ გადმოცემიდან პოეტმა აიღო მხოლოდ ის, რაც მას ამქვეყნიური ცხოვრებისა და ასკეტიზმის, მოძრაობისა და უძრაობის სიავკარგის დასაპირისპირებლადა და იმის დასამტკიცებლად ესაჭიროებოდა, რომ „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“, რომ დაყუდებული ცხოვრება და მყუდრო ნეტარება ბუნების საწინააღმდეგო სიმახინჯეა და მასზე იმარჯვებს „ვაი-ვაგლახიანი“, მოძრავი და დაუდეგარი ცხოვრება.

გადმოცემაში ასახულია ხევის უძველეს წარსულში მომხდარი ამბები, რომლებიც გარკვეული დროის მონაკვეთში ერთმანეთში გადაჯაჭვულ მოვლენათა სახით ერთ სიბრტყეზე თავსდება. ამის დამამტკიცებელია თუნდაც ის გარემოება, რომ მოქმედების ერთ-ერთ ასპარეზად სოფელი სათარგმნო არის დასახელებული, რომელიც ხევში მართლაც არსებულა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ თაობიდან თაობამდე მოღწეულმა ზეპირმა ტრადიციამ ჩვენამდე შემოინახა გადმოცემაში დასახელებულ პირთა სახელები, ვინაობისა და სადაურობის მაუწყებელი ცნობები, სათავგადასავალო ამბები და სხვა.

ბეთლემის სახელწოდებით ცნობილი სავანის შესახებ ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბ ე თ ლ ე მ ს ა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქვაბიდამ, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუმებ“[1].

საეჭვო არ არის ის, რომ ვახუშტი ემყარება ადგილზე დამოწმებულ ხალხურ გადმოცემას, რომელიც რეალური სინამდვილის ამსახველია და მას საერთო არა აქვს რა ფანტაზიით შექმნილ ამბავთან. მაგრამ რიგი მკვლევარებისა, როგორც ჩანს, ან არ იცნობდნენ ვახუშტის თხზულების ამ ადგილს, ანდა განგებ უვლიდნენ გვერდს, იმაში დარწმუნებულნი, რომ ეს ხალხის მიერ გამოგონებული ლეგენდა იყო და არა ხევის წარსულში ნამდვილად მომხდარი ამბის მაუწყებელი გადმოცემა.

როგორც ჩანს, ვახუშტის ცნობას ანგარიში გაუწია ილია ჭავჭავაძემ, შეაჯერა ის ხევში დამოწმებულ მასალებთან და ამის საფუძველზე თავისი პოემის განთქმულ შესავალში მაღალი ოსტატობით დაგვიხატა მეუდაბნოეთა ადგილ-სამყოფის გრანდიოზული სურათი.

მაგრამ ასეა თუ ისე, აქ გადმოცემულ ვარიანტში ასახული ამბავი მკვლევართაგანაც და თვით „განდეგილის“ ავტორისგანაც ლეგენდად იყო აღიარებული. ალბათ ამასვე ფიქრობდა ვახუშტიც, რომ დასკვნაზე თავი შეიკავა და მხოლოდ გაგონილის გადმოცემით დაკმაყოფილდა. საყოველთაოდ უფლებამოსილი ეს შეხედულება უახლოეს წარსულამდე ბატონობდა, მაგრამ, ქართველ მთამსვლელთა მიერ ერთი გამოქვაბულის

---

[1] ხევისბრად მაშინ შავხალი ყოფილა, სათარგმნოს ციხე მისი ინიციატივით აშენებულა და გადმოცემაში მისი სახელითაა ცნობილი.

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი 1941 წ. გვ. 67.

აღმოჩენისა და მასში მოთავსებული ნივთების შესწავლის საფუძველზე მითი ბეთლემის ლეგენდის შესახებ შეირყა და ეჭვმიუტანლად დადასტურდა წმინდანთა ცხოვრების სინამდვილე[1]. გამოქვაბულში აღმოჩენილი ნივთები ქართველ მეცნიერთაგან შედგენილი კომისიის მიერ დათარიღებულია XIII, XV, XVII, XVIII და XIX საუკუნეებით[2]. ამის მხედველობაში მიღებით კომისიის წევრები აღნიშნულ საუკუნეებში ვარაუდობენ დასახელებულ სავანეში ღვთისმოსავათა მოღვაწეობას[3], მაგრამ თუ ეს შეხედულება მართებულია ადრეული ხანისათვის, ძნელია გავიზიაროთ აზრი XIX საუკუნეში წმინდანთა იქ ყოფნის შესახებ. ჩვენი ვარაუდით, XIX საუკუნის ნივთის გამოქვაბულში მოხვედრა არა აუცილებლად ბერის მოღვაწეობითაა განაპირობებული, არამედ მლოცველთაგან ჩანს შეწირულების სახით მიტანილი. XIX საუკუნეში, რომ გამოქვაბულში ბერს ეცხოვრა, ხალხში ეს აუცილებლად ცნობილი იქნებოდა. ბერი ხალხისაგან მთლიანად მოწყვეტილი არასოდეს არ ყოფილა, სხვა არ იყოს რა სურსათ-სანოვაგით მომარაგების მიზნით მაინც სოფელთან ექნებოდა კავშირი და ადგილობრივ მკვიდრთა თვალს ის ვერასგზით ვერ დაემალებოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი შეუჩნეველი არ დარჩებოდა თვით ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ამ საკითხით საგანგებოდ იყო დაინტერესებული, და მით უმეტეს ამ ეპოქის ხევის ისტორიის ნამდვილ მემატიანეს — ალ. ყაზბეგს.

ბეთლემი წარმოადგენდა არა მარტო ბერების ადგილ-სამყოფელს, არამედ თემის სალოცავსაც. ბეთლემის წმინდა გიორგის ხატში სიარული მოხევეებმა არც თუ ისე დიდი ხანია დაივიწყებას მისცეს. ოქტომბრის რევოლუციამდე ამ სალოცავში ასვლას და საწირის მირთმევას რეგულარული ხასიათი ჰქონდა და თუ კი რაიმე ნივთი შედარებით ახალი ეპოქით თარიღდება, ეს მლოცველთა მიერ ხატის კარზე მიტანილ შეწირულებად უნდა მივიჩნიოთ და არა ბერის ცხოვრების დამადასტურებელ საბუთად.

უფრო მეტიც, საეჭვოა ბერის იქ ცხოვრება XVIII საუკუნეშიც. ძნელი წარმოსადგენია ბეთლემში ვინმე წმინდანი ყოფილიყო და ეს არ სცოდნოდა ვახუშტი ბაგრატიონს, მეცნიერს, რომელიც მეტად გულმოდგინედ იკვლევდა ამ საკითხს და თვით გადმოცემაში მოტანილ ისეთ ამბებსაც კი ყურადღებას აქცევდა, რომლებიც ნამდვილად ლეგენდარული ხასიათისაა (უფლის

[1] Александра Джапаридзе, Пещера Бетлеми „Заря Востока“, 1948 г. №30.

[2] სხვათაშორის, ბეთლემში აღმოჩენილ ნივთებზე დაკვირვება აწარმოეს რ. შმერლინგმა და ვ. დოლიძემ და ერთი ხატი და ერთი ქვა, რომლებზედაც წარწერების ფრაგმენტებია აღბეჭდილი, X — XI საუკუნეების ძეგლებად მიიჩნიეს (იხ. В. Долидзе Р. Шмерлинг, გვ. 67).

[3] იხ. „Заря Востока“, 1948 г. № 30.

აკვნის, აბრამის კარავის და სხვა საკვირველთა არსებობა) და მას საერთო არა აქვს რა ისტორიულ სინამდვილესთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი გამოქვაბულის აღმოჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბეთლემის გამოქვაბულებისა და სალოცავების შესწავლას. გადმოცემა გვაგულისხმებინებს გამოქვაბულთა მთელი კომპლექსის არსებობას, რის შესახებაც ხშირად მოისმენს კაცი მოხევე მთხრობელთაგან. მყინვარწვერზე ნავალი მოხევეები გვიმტკიცებენ, რომ შორსმხედველი ბინოკლით შეიარაღებული თვალი გამოქვაბულების მიდამოებში ამჩნევს ნასახლარ ნაგებობათა ნანგრევებს.

ადგილობრივ მკვიდრთა შეხედულებით, ეს ნანგრევები თავის დროზე დაყუდებული მრავალრიცხოვანი ბერების საცხოვრისს წარმოადგენდა, იქვე ჰქონიათ კლდეში გამოკვეთილი ეკლესია, ხოლო ჯაჭვისკიბიანი სავანე ბერების სულიერ მამად აღიარებული და ყველაზე დიდ წმინდანად შერაცხილი განდეგილის საბრძანებლად ყოფილა განკუთვნილი. ჯერჯერობით შესწავლილია მხოლოდ ეს გამოქვაბული.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ საფუძვლად დაედვა ხევის ისტორიულ წარსულში მომხდარი მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენების ამსახველი გადმოცემა, რომელმაც თაობიდან თაობამდე ჩვენს ეპოქამდე საკმაო სისრულით მოიტანა თავი.

იმის მხედველობაში მიღებით, რომ აქ აღწერილი ამბები თემის ცენტრად და სახევისბროდ სოფელ სათარგმნოს არსებობას ემთხვევა და რომ ამ სოფლის ნიაღვრით წალეკვის შედეგად სახევისბროს გადმონაცვლება თუ უფრო ადრე არა IX — X საუკუნეებით დათარიღებული გარბნის ეკლესიის აშენებასთან დაკავშირებით მაინც ხდება, საფიქრებელია, რომ გადმოცემაში აღბეჭდილი ამბები IX საუკუნის წინარე ეპოქას ებჯინებოდეს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, გადმოცემის მიხედვით, საქართველოს დედაქალაქად მცხეთა არის ნაგულისხმევი და სპარსელებთან ბრძოლის შესახებაა ლაპარაკი, მომხდარ ამბავთა თარილად კიდევ უფრო ადრეული ხანა უნდა მივიჩნიოთ. ასეთი რამ არ არის გამორიცხული იმის გამოც, რომ სოფელ სათარგმნოს არსებობა ემთხვევა თარილს სპეციალურ ლიტერატურაში „ყაზბეგის განძის“ სახელწოდებით ცნობილი ნივთებისა[1], რომლებიც სწორედ სათარგმნოელთა სასაფლაოდ და მოსისხლე საგვარეულობის დაზავებისათვის საგანგებოდ გამოყოფილ იმ ტერიტორიაზე აღმოჩნდა, სადაც დღეისათვის რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და პარტრაიკომის ახალი შენობა დგას, ხოლო ხევის უშორეულეს წარსულში „სამან-საყუდად“ იწოდებოდა.

[1] „ყაზბეგის განძის“ ერთი ნაწილი დათარიღებულია X — VI სს. ქ. წ., ხოლო — მეორე ნაწილი IV — VI სს. ქ. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბენ სხვიტარიძე

★

# ი. ჭავჭავაძე ქართველთა შორის სასოფლო-სამეურნეო განათლების მედროშე

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობის კულტურულ-რენტაბელურად მოწყობას, არჩევდა პროგრესულ ჯიშებს, ნერგავდა და ამრავლებდა მეურნეობაში.

ილიას სახლ-მუზეუმის ეზოში (საგურამოში) დღემდე შემონახულია ათეული ძირი კაკლისხე, რომელნიც ილიას საკუთარი ხელით დაურგავს. (კაკლის ხეებს სპეციალური მემორიალური წარწერა ამშვენებს: „დარგულია ილიას მიერ"). ეს კაკლისხეები გამოირჩევიან ლამაზი შტამპით. ისინი დეკორაციული მცენარის ფორმით გაუზრდია დამრგველს, ჯიშიც სპეციალურად შეურჩევია. ეს მსხვილი თეთრგულანაყოფიანი კაკალი ხომ ძველი ქართლური არაგვისპირულია. შორიდან ეს ხეები უცხო დეკორაციული მცენარე ჰგონია მნახველს.

საგურამოელი დროული კაცები დღესაც სიამოვნებით იგონებენ, დიდი ილია ყოველ შემოდგომაზე კაკლის ბერტყვის დროს თბილისიდან საგურამოში მოდიოდა. კაკლის ბერტყვას პირადად ესწრებოდაო. მათივე ცნობით, ილია ხალისით აგროვებდა და არჩევდა სათესლედ სავარგულ კაკლებს, შემდეგ ურიგებდა მეზობელ გლეხებს უსასყიდლოდ და, თანაც, რჩევას აძლევდა, როგორ დაეთესათ.

ილია მეფუტკრეობას დიდად სასარგებლო საქმედ თვლიდა, ფუტკარს გლეხკაცის მოამაგეს უწოდებდა. თავისი მეუღლის დის ქმრის, ქართლში ცნობილი მეფუტკრე აგრონომის სტაროსელსკის დახმარებით ილიამ შეიძინა 70 ოჯახი ფუტკარი, თავის კარმიდამოში მოაწყო საფუტკრეები ჩარჩოებში ევროპული წესით, მან, პირველმა, ველური მეფუტკრეობის ბუკის (როფის) დრომოჭმული მეთოდი — წესი უარყო და შეცვალა პროგრესულით. ილიას მადლიანი მარჯვენის ნაყოფია დღემდე შემონახვა ძველი ქართული გრძელი ხორთუმა ფუტკრისა, რომელსაც ილია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე აძებნინებდა თავისი მეურნეობის მოურავებს და ამ ფუტკრის შესაძენად ფულს არ იშურებდა. ილიას ქველმოქმედების ნაყოფია ის, რომ ხსენებული ძვირფასი ფუტკრის ჯიში დღესაც მასობრივად არის გავრცელებული არა მარტო მცხეთისა და თბილისის გარეუბნის რაიონებში, არამედ მთელ ყოფილ დუშეთის მაზრის ტერიტორიაზე; ილიამ სპეციალურად დაამზადებინა ადგილობრივ დურგლებს, აგრონომ სტაროსელსკის ხელმძღვანელობით, ჩარჩოიანი ბინები ფუტკრისათვის. ეს ბინები გავრცელდა მახლობელ რაიონებში. ილია როგორც თავისი საფუტკრიდან, ისე ქვისლის — სტაროსელსკის საფუტკრიდან შეღავათიან ფასებში აყიდვინებდა ამ ნაყოფიერი ფუტკრის ახალ ნამრავლს და საფუტკრე ჩარჩოებს.

ილიამ, პირველმა, მიაქცია ყურადღება შემოეღო ჩვენში რუსეთის მაგალითზე თესლბრუნვა და პირუტყვთა საკვები ბალახების თესვა. მანვე, პირველმა, შემოიყვანა ჩვენში „შვიცის" ჯიშის ძროხები და მწარმოებელი და მოაწყო სანიმუშო სარძეო ფერმა.

ცნობილია, რომ ამ შვიცის ჯიშის მწარმოებლით და ჯიშიანი კერატით უსასყიდლოდ სარგებლობდნენ მთელი მახლობელი სოფლები და ამ გზით ვრცელდებოდა ჩვენში ჯიშიანი პირუტყვი.

ილიას სახლ-მუზეუმში დღესაც დაცულია სპეციალური კონსტრუქციის ილიასეული სკამ-ჯოხი. ცნობილია, რომ ილია ამ სკამ-ჯოხით ხელში სისტემატურად ეწვეოდა ხოლმე მეურნეებს პირდაპირ ბაღ-ვენახებში, ზოგჯერ ნახირში, და კალოზეც კი ჩამოჯდებოდა, საუბრობდა მათთან, აძლევდა რჩევა-დარიგებებს მეურნეობის საკითხებზე და, როგორც თვით ილია იტყოდა, „სწავლობდა მათგან და ასწავლიდა მათ".

ილია ჭავჭავაძე სოფლის მშრომელთა ხსნას დუხჭირი ცხოვრებიდან და მათ მომავალს მიწათმოქმედების კულტურულად მოწყობაში ხედავდა და ამის საშუალებად ხალხში სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელებას მიიჩნევდა, ამიტომ იყო, რომ მან ჯერ კიდევ 1881 წლის ნოემბერში ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური საპროგრამო სტატია, რომელშიაც ღრმა ცოდნით ასაბუთებდა სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოწყობის აუცილებლობას. ილია მოძმე რუსი ხალხის მიღწევების მაგალითზე იძლევა ასეთი სკოლების მომავალი პროგრამის ჩონჩხს. იგი სამეურნეო-საბაღოსნო სკოლის აუცილებლობას ასაბუთებდა. სოფლისმეურნე ქართველთა ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ერთადერთი გზა მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღების გზით სოფლის მეურნეობის კულტურულად მოწყობააო, ფიქრობდა ილია. თავის წერილში ილია გულისტკივილით აღნიშნავს, ლოჰინის „სკოლის" დახურვის შემდეგ საქართველოში არავითარი სამეურნეო სკოლა აღარ გვაქვსო. როგორც ცნობილია,

ქართლ-კახური ღვინოებით მოხიბლულმა, ცნობილმა ნავთის — მრეწველმა მირზოევმა დიდი ზვარი გააშენა ლოჭინის ხევის ტაფობზე, მაგრამ მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა. მირზოევმა სოფლებში გაავრცელა ხმა, რომ მან გახსნა სპეციალური სკოლა, სადაც ახალგაზრდა გლეხებს საფრანგეთიდან მოწვეული სპეციალისტები შეასწავლიან მევენახეობა-მებაღეობასო. სინამდვილეში კი სოფლებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს არა ადამიანურად ამუშავებდნენ და მიწურებში აცხოვრებდენ. ვის რა უნდა ესწავლებინა, როდესაც ზვარში მირზოევს ერთი პრაქტიკოსი ბორდოელი მეღვინე გლეხის გარდა არავინ ჰყავდა. მოთმინებიდან გამოსული ახალგაზრდები მალე თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. ასე დაიხურა არსებული ლოჭინის სკოლა. ასეთ კრიტიკულ დროს ილიამ ხმა აღიმაღლა. აი ერთი ადგილი ილიას წერილისა, რომელმაც გამოაფხიზლა ქართველი საზოგადოებრიობა და რომლის შემდეგ ჩვენში საფუძველი ეყრება სასოფლო-სამეურნეო განათლებას.

„მაგრამ სკოლის გამმართველი სრულს ნებას აძლევს თითონ ამოირჩიონ სკოლის გამგებელიც, ოსტატებიც და მზრუნველებიც და ყოველივე გამგეობა სკოლისა თითონ იქონიონ, მხოლოდ უმაღლესი ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა რჩება მთავრობისა. სახელოსნო-სამეურნეო სკოლაში მომსახურეების გასამრჯელო და აგრეთვე სამსახურის უფლებანი უფრო უკეთესი არიან, ვიდრე საოსტატო სემინარიის მომსახურეებისა.

გარდა ამისა, რადგანაც ამისთანა სკოლაში უფრო მოზრდილი ყმაწვილები უნდა შევიდნენ და მოზრდილი ყმაწვილი გლეხკაცისათვის რაღმე ღირს შინაობაში და იმისი მოშორება მისთვის დანაკლისია, დადებულია — რომ ყოველი შეგირდი, რომელიც სკოლაში შევა, მოჯამაგირესავით იყოს „...აძლიოს საჭმელი, სასმელი, საცმელი და ჯამაგირიც“ (ტომი 6, 1927 წელი, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, გვ. 167).

ილიას ჩანაფიქრმა და მისი მადლიანი კალმის ძალამ ნაყოფი გამოიღო: ბევრმა კეთილშობილმა და მოღვაწე ქართველმა სამოქმედოდ პირველი ნაბიჯები გადადგა. ილია ჭავჭავაძის წერილებით აღფრთოვანდნენ არა მარტო საერო, არამედ სასულიერო პირნიც. 1882 წლის თებერვალს ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო იმერეთ-სამეგრელოს ეპისკოპოსს გაბრიელს, ქუთაის მახლობლად, სოფელ ჭომაში გაეხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. სკოლის გახსნის ნებართვას გაბრიელმა დიდი საქმიანობით უპასუხა, შეიძინა საჭირო მიწის ნაკვეთი, ააგო 3 სახლი სასკოლო შენობისა; ყოველივე მზათ იყო სამეურნეო სკოლის გახსნისათვის, მაგრამ დახეთ უბედურებას: მომავალი სკოლის სულისჩამდგმელმა გაბრიელ ქიქოძემ საქართველოში ისეთი კაცი ვერ აღმოაჩინა, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო საშუალო განათლება მაინც ჰქონოდა და სკოლის ხელმძღვანელობა გაეწია. გ. ქიქოძე სასულიერო განათლების პირი იყო. ის ვარაუდობდა, თავისი მდგომარეობით (გაბრიელი ხომ უმაღლესი სასულიერო პირი იყო ქუთაისის გუბერნიაში). განემტკიცებინა სკოლის ავტორიტეტი და პოზიციები და ეკლესიის მდიდარი სალაროდან შეექმნა სასკოლო მატერიალური ბაზა. რაკი სკოლის ხელმძღვანელი ვერ შეირჩა, სკოლის გახსნა რამდენიმე წლით შეფერხდა. შემდეგ გ. ქიქოძის ღვაწლმა ნაყოფი მაინც გამოიღო. ქ. ქუთაისთან ახლოს, სოფელ ჭომაში გაიხსნა მშვენიერი სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელიც მალე ცნობილი გახდა „ფერმის“ სახელწოდებით. ამ სკოლამ რამდენიმე ასეული აგროტექნიკოსი სოფლისმეურნე მისცა ჩვენს ქვეყანას.

დიდი ილია არ დაკმაყოფილებულა საწესდებო სტატიებითა და სიტყვებით. იგი გულმოდგინედ შეუდგა სასოფლო-სამეურნეო სკოლისათვის შესაფერისი პირის ძებნას. ილიას გამჭრიახმა ალღომ ასეთიც აღმოაჩინა, ეს იყო პეტერბურგში სწავლამიღებული, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, გერცენისა და სხვათა იდეებს ზიარებული, დიდი პატრიოტი ილია წინამძღვრიშვილი, რომელმაც ილიას გავლენითა და დახმარებით იკისრა იმ დროისათვის საგმირო საქმე, როგორც ილია იტყოდა, საშვილიშვილო დიდი საქმე. მან საკუთარ, მამაპაპისეულ კარ-მიდამოში, ქ. მცხეთის მახლობლად, სოფელ წინამძღვრიანთკარში მოაწყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა. და აი, დადგა ილიასა და მის თანამოაზრეთათვის დიდი ხნის ნანატრი დღე — 1883 წლის აგვისტო. ამ დროს წინაამძღვრიანთკარში ოფიციალურად გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა პრიმიტიული პანსიონით. სკოლის გახსნაზე, (რომელსაც მაშინ კურთხევა ეწოდებოდა) საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სიტყვა წარმოთქვა ი. ჭავჭავაძემ. ამ სიტყვაში მოცემულია სკოლის მუშაობის მთელი პროგრამა.

როგორც სასკოლო დავთარის (ჟურნალის) შესწავლიდან ირკვევა, წინაამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა ყოველწლიურად კომპლექტდება საქართველოს ყველა კუთხის შვილებით. (აქვე გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია წინამძღვრიშვილის არქივი ერთ მთლიან ფონდად არ არის შეკრებილი და სათანადოდ დაცული; ნაწილი ინახება სოფ. დუშეთის მაზრის არქივში, ზოგი ამ სკოლის ბაზაზე შექმნილ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სარდაფში, მეტად საინტერესო მასალები კი წინამძღვრიშვილის მემკვიდრეთა ოჯახებში გაფანტული).

წინამძღვრიაანთკარის სკოლაზე ილია ჭავჭავაძე სისტემატურად ზრუნავდა. როგორც ამ სკოლაში აღზრდილებმა გადმოგვცეს, დიდი ილია თვეში 2-3 კვირა დღეს სკოლაში ატარებდა, პირადად სინჯავდა შეგირდების ნამუშევარს, თა-

ვისი თვალით ამოწმებდა მოსწავლეთა საცხოვრებელ ოთახებს, სასადილოს და სხვა. ილია ჭავჭავაძის შუამდგომლობით დააკისრა დუშეთის მაზრის უფროსმა მაიორმა ფალავამ სამაზრო ექიმ პებუთოვს სკოლის მოსწავლეებზე საექიმო მეთვალყურეობა, რაც, როგორც წესი, ყოველ თვეში 4-ჯერ ტარდებოდა. სკოლის საკეთილდღეოდ ილია ჭავჭავაძე ყოველ შემთხვევას მოხერხებულად იყენებდა. 1887 წლის ოქტომბერში ილიას ქვისლის აგრონომ სტაროსელსკის მოპატიჟებით სტუმრად ჩამოვიდა ყირიმში (ქ. იალტაში) არსებული საბაღოსნო-სამეურნეო სკოლის გამგებელი, ცნობილი სუბტროპიკოსი აგრონომი ნიკიტინი (მის პატივსაცემად ქ. იალტის ბოტანიკურ ბაღს მინიჭებული აქვს ნიკიტინის სახელი). ქართველთა შორის სასოფლო-სამეურნეო განათლების დანერგვით დაინტერესებულმა ილია ჭავჭავაძემ კარგად გამოიყენა ნიკიტინის საგურამოში სტუმრობა. ნიკიტინს ილიამ გააცნო სკოლის საქმიანობა. ნიკიტინი მოხიბლული ყოფილა ილია ჭავჭავაძით. ილიას თხოვნით, ნიკიტინს უკისრია იალტის საბაღოსნო სკოლაში მიეღო 15 ახალგაზრდა, რომელნიც წარმატებით დაამთავრებდნენ წინამძღვრიანთკარის სკოლას.

როგორც გამოშვების აქტებიდან ჩანს, ვისაც წინამძღვრიანთკარის სკოლა წარმატებით დაუმთავრებია, სკოლის გამგეობის დადგენილებით, სასწავლებელში გაუგზავნიათ სკოლის ხარჯზე (გამგეობის საპატიო თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე ყოფილა, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგი ილია წინამძღვრიშვილი). მრავალი მათგანი დღემდე, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ნაყოფიერად მოღვაწეობს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ფრონტებზე, ზოგი მათგანი ჩვენ პირადად გავიცანით. აი, ისინიც:

1) კონსტანტინე (კოტე) ქარცივაძე. 47 წელია მოღვაწეობს შავი ზღვის სანაპიროს საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში. მას ეკუთვნის პირველობა გარეული ლიმონის (ტრიფოლიატი) საძირე, სამყნელ სადედედ შემოტანაში. გაგრამდე საქართველოში ნარინჯოვანთა მყნობა არავის უცდია, არც გარეულ ლიმონს — „ტრიფოლიატს“ იცნობდნენ ჩვენში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნიკო ნიკოლაძის მიერ იტალიიდან შემოტანილ ტრიფოლიატის ცოცხალ ღობედ გამოყენებას. (თავის მამულში — ჯიხაიშში მოაწყო). კოტე ქარცივაძე დღესაც ჩაქვის მრავალდარგოვანთა მეურნეობის აგრონომ-კონსულტანტად მუშაობს, მას რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის წოდება მიენიჭა; მრავალგზის ორდენოსანია.

2) ალექსანდრე მიხეილის-ძე ხუნდაძე. იალტის სკოლის დამთავრების დღიდან თითქმის ნახევარი საუკუნე მოღვაწეობდა ყოფილ ოზურგეთის მაზრაში. მისი უანგარო შრომითა და ღვაწლით განვითარდა მებაღეობა, მევენახეობა, მეღვინეობა მთელ აღმოსავლეთ გურიაში. ამ მიწამცირე მთაგორიან კუთხეში ხუნდაძე პირდაპირ მხსნელად მოევლინა მშრომელ ხალხს მევენახეობა-მეღვინეობის დანერგვის დარგში. ვაზის მყნობა, ღვინის ევროპულად დაყენება ა. მ. ხუნდაძემ, პირველმა, შეიტანა გურიაში, კერძოდ — მის აღმოსავლეთ მთიან ნაწილში. მანვე რამდენიმე ათეულ ახალგაზრდას შეასწავლა ეს საქმე. მის ღვაწლს მიეწერება დღემდე უძველესი ვაზის ჯიშების — ჩხავერისა და ალადასტურის შემონახვა. აღმოსავლეთ გურიაში იგი აქტიური საკოლმეურნეო სოფლის მშენებელი იყო. გარდაიცვალა 1955 წელს თავისი საყვარელი სამეურნეო საქმის შესრულების დროს.

3) ბესტავაშვილი. ცნობილი მიჩურინელია, დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართლის რაიონებში, შექმნა და გამოიყენა რამდენიმე ახალი პროგრესული ჯიში კურკოვანი ხილისა.

4) ლადიკო რამიშვილი (ვან-ყვითოლოქრელი). მან ხელი მოკიდა მეფუტკრეობა-მეცხოველეობას. დღესაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს შრომას საკოლმეურნეო ფერმებში.

შავი ზღვის სანაპიროზე საყოველთაოდ ცნობილი ნოვატორი-მეციტრუსეებია აჭარის მკვიდრნი — ასლან ზოიძე, მემედ ანანიძე, შავიშვილი დურსენ ტაკიძე და სხვები, რომლებსაც წინამძღვრიანთკარის სკოლა დაუმთავრებიათ.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ილია ჭავჭავაძე ქართველთა შორის სასოფლო-სამეურნეო განათლების დიდი მედროშე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია დუმბაძე

★

# გურიის სახალხო გმირი ბულარა მამალაძე

ბულარა მამალაძე XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს სახალხო გმირთა პლეადას უნდა მიეკუთვნოს. მის შესახებ აღმოსავლეთ გურიის სოფლებში შემონახულია რამდენიმე ლექსი და ზეპირგადმოცემა. გამოქვეყნებულ ხალხურ თქმულებებში კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა ნართაულ მითითებას, ბულარა თითქმის არაა ცნობილი.

ბულარას შესახებ ზეპირგადმოცემებიდან და ცალკეულ პირთა მიერ შეთხზული ლექსებიდან ჩანს, რომ იგი თავის დროზე გურიაში მეტად პოპულარული გმირი ყოფილა. დღესდღეობით ბულარა მამალაძეს, როგორც მშრომელი ხალხისათვის თავდადებულ ისტორიულ პიროვნებას, უპირატესად ჩოხატაურის რაიონის უფროსი თაობა-ღა იგონებს. ხანში შესული და მოხუცი კოლმეურნეები სიამაყის გრძნობით გვიამბობენ ამბავს „ხეველი გმირის" შესახებ, რომლის ხმალი „რკინას სჭრიდა" და რომელიც სიცოცხლეს ასალმებდა ადამიანებზე მონადირე ოსმალო ყაჩაღებს.

* * *

ბულარას სამშობლო სოფელ ხევს, რომელიც ახლანდელი ჩოხატაურის რაიონში, მდ. გუბაზოულის ხეობაში მდებარეობს, 82 წლის წინათ, 1873 წელს ესტუმრა მაშინ დიდად ცნობილი ქართველი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარსულს იკვლევდა და ისტორიისათვის სათანადო მასალებს აგროვებდა. დ. ბაქრაძეს, იმ დროის სხვა ბურჟუაზიულ ისტორიკოსთაგან განსხვავებით, მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებაც აინტერესებდა. ამიტომ იყო, რომ მან თავის წიგნში, რომელიც 1878 წელს გამოიცა პეტერბურგში, რუსულ ენაზე — „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში" — ბულარას გმირობაც მოიხსენია. დ ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ბულარას ხეველები „შესანიშნავ გმირობას მიაწერდნენ" და რომ ბულარა ცხოვრობდა უკანასკნელ გურიელთა დროს", როცა გურიას თავს ესხმოდნენ ოსმალო ყაჩაღები, რომლებიც აქედან გოგო-ბიჭებს იტაცებდნენ და უცხოეთში ჰყიდდნენ.

დ. ბაქრაძე ბულარას შესახებ გადმოცემას უფარდებდა ისტორიულ სინამდვილეს და აღნიშნავდა, რომ იგი არა მარტო ქლეტდა წვრილ წვრილ ჯგუფებად შემოსეულ თავდამსხმელებს, არამედ ახმედ-ბეგის საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმიც დაუმარცხებია. ახმედ-ბეგის რაზმის მოსპობას „გურია უნდა უმადლოდეს ბულარას სიმამაცესა და გამჭრიახობასო". დ. ბაქრაძისავე მოსაზრებით, 1819 წ. 9 აპრილს ახმედ-ბეგის ლაშქრის დამარცხება ასკანასთან შეიძლებოდა ბულარას მეთაურობით მომხდარიყო.

ცხადი ხდება, რომ XIX ს. 70-იან წლებში ხეველებს კარგად ახსოვდათ ახმედ-ბეგი და მისი მძარცველი რაზმები, რომლებსაც გურულები ბულარას მეთაურობით ამარცხებდნენ. ახმედ-ბეგი მაშინ ოსმალეთის მთავრობას აჭარის უფროსად ჰყავდა დანიშნული. იმ დროის დოკუმენტების მიხედვით იგი ცნობილია როგორც ისეთი კაცი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა გურიის მოსახლეობას და გამუდმებით იტაცებდა აქედან ადამიანებს. ახმედ-ბეგი XIX ს. I მესამედის შავბნელი პიროვნებაა, ხოლო ბულარა — იმავე დროის სახალხო გმირი.

დ. ბაქრაძის წიგნში მოცემული ეს მითითება ჯერჯერობით ერთადერთი წერილობითი ისტორიული ცნობაა, რომლის წყალობითაც საეჭვო აღარ არის ბულარა მამალაძის, როგორც ისტორიული პიროვნების, არსებობა. ეს ცნობა, მიუხედავად მისი სიმცირისა, ბევრ რამეს მეტყველებს და საშუალებას იძლევა, შემოწმებულ იქნას არსებულ ზეპირგადმოცემათა სინამდვილე.

სოფ. ერკეთში ცხოვრობს 90 წლის მოხუცი ლეონტი გრიგოლის-ძე რამიშვილი, კომუნისტური პარტიის წევრი 1904 წლიდან, XX ს. დამდეგის რევოლუციურ ბრძოლათა მონაწილე. ისტორიულად დასტურდება მისი ზეპირგადმოცემა (ჩავიწერეთ 1954 წ. აგვისტოში), რომ ბულარა „ოსმალო მტაცებლებისაგან იცავდა აღმოსავლეთ გურიის სოფლებს".

ბულარას შესახებ ზეპირგადმოცემებს ჩვენ ადრეც ვიცნობდით, ხეველი მოხუცებისაგან, რომლებიც მოგვითხრობენ არა უშუალოდ მათ მიერ ხილულს, არამედ გაგონილ ამბებს. თაობიდან თაობაში ზეპირად გადმოცემული ამბების ისტორიულ სინამდვილედ გამოცხადება, სხვა უფრო სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო, რა თქმა უნდა, გაგვიძნელდებოდა. მაგრამ, რაკი წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნდა, ბულარას მოღვაწეობის რამდენადმე მაინც მიახლოებითი დახასიათებისათვის უნდა მიგვემართა მისი საქმიანობის მხილველის, თანამედროვის, ან იმ ამბებთან ახლოს მყოფის ნათქვამისათვის.

1954 წ. სოფ. ზენობნის კოლმეურნეობის წევრმა მარიამ სოლომონის ასული კეკელიძე-ჯანიშვილისამ გაგვაცნო „ბუღარას ლექსი“, რომელიც შეუთხზავს მამამისს — სოლომონ გიორგის-ძე კეკელიძეს.

ბუღარას შესახებ ს. კეკელიძის მიერ დაწერილი ეს პოემა მხატვრულ-პოეტურ ღირსებას მოკლებულია. ამას, როგორც ჩანს, თვით ს. კეკელიძეც გრძნობდა, თავის ნაწარმოებს იგი „ბუღარა ოთიას-ძე მამალაძის ამბავს“ უწოდებს, მიუხედავად გულუბრყვილო ფორმისა, ს. კეკელიძის ნაწარმოები თავისი შინაარსით მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს.

ს. კეკელიძეს, როგორც ლექსის ბოლოშია აღნიშნული, იგი დაუწერია 1899 წელს. პოემა სრულდება ბოლო სტრიქონით: „შემოკლებით დავასრულე, მაგრამ ნუ დამემდურებით.

1899 წ. აზ. სოლ. გ. კ.“.

მართალია, ს. კეკელიძე არ გვაუწყებს, თუ ვისი ნაამბობის მიხედვით დაუწერია მას ეს პოემა, მაგრამ თვით ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ნამდვილად მის მიერვე ჩაწერილ ზეპირგადმოცემებზეა აგებული. ამრიგად, დ. ბაქრაძის ცნობასთან ერთად, ჩვენ ხელთაა შედარებით უფრო გვიანდელი, მაგრამ ბუღარას მოღვაწეობის ხანასთან ახლოს მყოფ პირთაგან ჩაწერილი გადმოცემები.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ზეპირგადმოცემები, რომლებიც ჩაწერილია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში „ცალფეხა“ გიორგი ლომთათიძის მიერ.

ჩამოთვლილ მასალებს სადღეისოდ ავსებს აგრეთვე ბუღარა მამალაძის შორეულ მემკვიდრეების — იპოლიტე ვარდენის ძე მამალაძის, ვიქტორ არჩილის ძე მამალაძის და სხვათა გადმოცემები. ჭიჭიკო ვიქტორის ძე მამალაძემ გაგვაცნო რომელიღაც უცნობი ავტორის მიერ ბუღარას შესახებ შეთხზული ლექსი, რომელიც ს. კეკელიძის ლექსთან შედარებით უფრო გვიანდელი და კიდევ უფრო მდარე ღირსებისაა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ილარიონ დიმიტრის ძე დუმბაძის გადმოცემაც.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე მეტ-ნაკლებად ხერხდება ბუღარა მამალაძის მოღვაწეობის ძირითადი მომენტების გარკვევა. საამისოდ, დ. ბაქრაძის ცნობას შემდეგ, ჩვენს უმთავრეს წყაროს ს. კეკელიძის პოემა წარმოადგენს.

ს. კეკელიძის პოემაში ნათქვამია, რომ ბუღარას 3 ვაჟიდან ერთი, უმცროსი, ბექანა „ცოცხალია, დღესაც ჩანა“. იმ დროს (1899 წელს) ბექანა 96 წლის ყოფილა („ას წელს 4 კლებია“), მაგრამ ჯანი ჯერ კიდევ იმდენად მოსდგამდა თურმე, რომ „ქვის კეცებს თლიდა მოხუცი“. ამრიგად, 1899 წ. ს. კეკელიძეს ბექანა უნახავს. ეს უკანასკნელი ბუღარას მე-3 შვილი ყოფილა და დაბადებულა 1803 წელს. ამ ცნობის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახელოვან ბუღარას მესამე შვილი დაახლოებით 30 წლისას უნდა შესძენოდა და თვით ბუღარა კი 1772 წ. ახლოს უნდა დაბადებულიყო. შეიძლება ბუღარას გარდაცვალების თარიღის ასევე მიახლოებით განსაზღვრაც: ლექსში, ალბათ ბუღარას შვილის — ბექანას ცნობის მიხედვით, ნათქვამია, რომ ბუღარას 71 წელს უცოცხლია. ამრიგად, იგი 1843 წ. ახლოს უნდა გარდაცვლილიყო.

დ. ბაქრაძის მიერ ჩაწერილი გადმოცემა და აღნიშნული პოემის ცნობები თანხმობით ადასტურებენ ამ ისტორიული პიროვნების მოღვაწეობის დროს — მე-18 ს. მიწურულიდან ვიდრე XIX ს. 40-იან წლებამდე. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ბუღარას გარდაცვალების თარიღი, ჩვენ მიერ მიახლოებით განსაზღვრული, ემთხვევა სახელოვანი არსენა ოძელაშვილის მოკვლის თარიღს — 1843 წელს.

ბუღარა მამალაძე გურული თავადის — ერისთავის ყმა ყოფილა. ისე როგორც საერთოდ, გუბაზეულის ხეობაში მცხოვრები გლეხები, ხეველებიც, დაბლობ რაიონთა ყმა-გლეხებთან შედარებით, უფრო მსუბუქად იყვნენ დაბეგრილნი. ხევის გლეხები მაშინ ყმა-მსახურთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ. გლეხთა ეს ჯგუფი თავიანთ მებატონეებს მხოლოდ „ხადილს“, ანუ სამასპინძლო გადასახადს, უხდიდა. „ხადილი“ ის იყო, რომ ყოველი 3 წლის თავზე გლეხს მებატონისათვის ძროხა, ქათამი და გარკვეული რაოდენობის ღვინო და ღომი უნდა მიერთვა, გლეხთა ძირითადი ნაწილი, ე. წ. მებეგრეები კი, გადასახადებს ჩვეულებრივ ყოველი წლის თავზე იხდიდნენ. მსახურთა ასეთი, შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა ძველითგანვე მომდინარეობდა. მართალია, მებატონეები განუწყვეტლივ ცდილობდნენ მათ უფრო მეტ დამონებას, მაგრამ გლეხები, თავის მხრივ, ბრძოლით იცავდნენ თავს. ბატონყმობის ხანაში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა კლასობრივი ბრძოლა ბატონებსა და ყმებს შორის.

მებატონეთა ხელყოფისაგან თავდაცვას უფრო ახერხებდნენ ის გლეხები, რომლებიც მთებსა და შორეულ ხეობებში ცხოვრობდნენ. მათ რიცხვს ეკუთვნოდნენ მდ. გუბაზოულის ზემო ხეობას სოფელთა გლეხებიც.

ბუღარა მამალაძე არა მარტო უცხოელი დამპყრობლებისა და ადამიანებზე მონადირე მტაცებლების წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნება იყო, არამედ იგი სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგაც ილაშქრებდა.

XIX ს. I ნახევარი, როდესაც ბუღარა მამალაძე ცხოვრობდა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის უაღრესად რთული მოვლენებით აღსავსე ხანა იყო.

1801 წლის დიდადმნიშვნელოვანი ისტორიული აქტით რუსეთმა საქართველო შეიერთა. ამით ქართველი ხალხი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, რომელიც მას მოელოდა, თუ რუსეთს არ შეუერთდებოდა. საქართველოს დაპყრობასა და

სრულ განადგურებას უქადდნენ ოსმალეთისა და ირანის მტაცებლური სახელმწიფოები. მათთან შედარებით რუსეთი იმ დროს უფრო დაწინაურებული და პროგრესული ქვეყანა იყო. საქართველოს რუსეთთან აკავშირებდა არა მარტო ერთნაირი სარწმუნოება, არამედ სოციალურ-ეკონომიური წყობის სიახლოვე და ის ინტერესები, რომლებიც ამ ორ ქვეყანას ჰქონდა მახლობელ აღმოსავლეთში.

მანამდე ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო, 1801 წლიდან მოყოლებული, რუსეთის მფლობელობაში, თანდათანობით გაერთიანდა. რუს ხალხთან ერთად საგარეო მტრების წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლის შედეგად XIX ს. პირველ მესამედში საბოლოოდ გაირღვა ის მტრული გარემოცვა, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა და ქართველ ხალხს მშვიდობიანი განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები შეექმნა. მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა. ათეული წლები გახდა საჭირო ამ დიდი ამოცანის გადასაწყვეტად. აღნიშნულ საქმეს საკმაოდ დიდი მსხვერპლი შეეწირა. ქართველი ხალხი მხნედ იტანდა უდიდეს გასაჭირს და პროგრესისათვის ბრძოლაში არაჩვეულებრივ მხნეობას იჩენდა. იგი რუს ხალხთან ერთად წარმატებით ებრძოდა არა მარტო უცხოელ დამპყრობლებს, არამედ რუსი და არარუსი ხალხების მჩაგვრელ თვითმპყრობელურ მთავრობასაც, რომელიც ბატონყმურ მონობას იცავდა.

XIX ს. I ნახევარში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ჩვენი ქვეყნის ფეოდალური დაშლილობის ნაშთები. მართალია, რუსეთმა საქართველო თავისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა და მთავრებს პოლიტიკური უფლება წაართვა, მაგრამ გარკვეულ დრომდე მაინც შეუნარჩუნა მათ საშინაო ხელისუფლება. ასეთები იყვნენ აფხაზეთის, სვანეთის, სამეგრელოსა და გურიის მთავრები, რომლებიც თავიანთ სამთავროებს მემკვიდრეობით მართავდნენ. ამჯერად ჩვენ გურიის სამთავრო გვაინტერესებს, რადგან ბუღარა მამალაძე გურიაში, იქაური სამთავროს არსებობის უკანასკნელ ხანაში მოღვაწეობდა.

გურიის სამთავრო, როგორც პოლიტიკური ერთეული, ძველი მთლიანი საქართველოს დაშლის ეპოქაში წარმოიშვა. ცენტრალური სამეფო ხელისუფლების მიერ ცალკეულ პროვინციებში დაყენებულმა ერისთავებმა დროთა განმავლობაში თანდათანობით გაიფართოეს უფლებები. ისინი მეფისაგან დამოუკიდებელ მთავრებად გადაიქცნენ. ეს მოხდა XV — XVI საუკუნეებში. მთავრებმა უაღრესად რეაქციული როლი ითამაშეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მთავრები და ქვეყნის გამყიდველი სხვა ფეოდალები შიგნიდან ანგრევდნენ ქვეყანას, კიდევ უფრო აღრმავებდნენ საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესს და ლახვარს სცემდნენ გამაერთიანებელი ძალების ყოველგვარ ცდას ცენტრალური ხელისუფლების აღდგენისათვის. თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მთავრები ხშირად მიმართავდნენ დახმარებისათვის საქართველოს მტრებს — ირანსა და ოსმალეთს და ამით ხელს უწყობდნენ ამ მტაცებლებს ჩვენი ქვეყნის დაპყრობა-დამონების საქმეში.

XIX ს. დამდეგიდან, საქართველოში რუსეთის ბატონობის დამყარებასთან დაკავშირებით, მთავრების ხელისუფლება და თვითნებობა დიდად შეიზღუდა. მიუხედავად ამისა, მათი კვლავ არსებობა მაინც აფერხებდა ჩვენი ქვეყნის შემდგომი დაწინაურების საქმეს, ხელს უწყობდა ფეოდალური, კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობას შენარჩუნებასა და გახანგრძლივებას.

XIX ს. I ნახევარში გურია წარმოადგენდა ფეოდალურ-ბატონყმურ პროვინციას, სადაც ხალხის ბედ-იღბალს ძირითადი მთავარი და სხვა ფეოდალები განაგებდნენ. მშრომელი მოსახლეობა მძიმე ბატონ-ყმური ჩაგვრის უღელში იყო გაბმული. გლეხები, გარდა იმისა, რომ მებატონეებს ათასგვარ გადასახადს უხდიდნენ და ემსახურებოდნენ, მათგან ყოველგვარ შეურაცხყოფასა და ძალადობასაც განიცდიდნენ.

გურიის მშრომელთა მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ ეს პროვინცია უშუალოდ, ხმელეთითაც და ზღვითაც, ემეზობლებოდა ოსმალეთის მტაცებლურ სახელმწიფოს.

ოსმალეთმა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. მე-16 საუკუნეში მან საქართველოს მოგლიჯა მისი მიწა-წყლის ერთი მესამედი — მესხეთის ქვეყანა, ყოფილი სამცხე-საათაბაგო, მტკვრის ზემო ხეობა და ჭოროხის ხეობა. საქართველოს მოერღვა სამხრეთ-დასავლეთიდან დამცველი ზღუდეები. ოსმალეთის ჩამორჩენილი სახელმწიფო მაშინ ფეოდალიზმის ყველაზე უფრო დაბალ, ბარბაროსულ საფეხურზე იდგა. მის მიერ დაპყრობილი ქართველი მოსახლეობის ცხოვრებაში დიდი ტრაგედია დაიწყო. უდიდესი საშიშროება შეექმნა აგრეთვე საქართველოს სხვა პროვინციებსაც. მე-16 — 18 საუკუნეებში ოსმალო დამპყრობლებმა ხელთ იგდეს შავი ზღვის ნაპირზე მდებარე საქართველოს ციხე-ქალაქებიც — ბათუმი, ფოთი, სუხუმი და სხვ. ეს ქალაქები მათ ტყვე ადამიანებით სავაჭრო პუნქტებად აქციეს. საქართველოს სოფლებიდან ასობით და ათასობით იტაცებდნენ ქალ-ვაჟებს, რომლებსაც ჰყიდდნენ უმთავრესად სტამბოლისა და ეგვიპტის ბაზრებზე.

გურიის სამთავრომ იმთავითვე განიცადა პირველი შემოტევა ოსმალეთის მხრიდან. გურია მაშინ წარმოადგენდა საკმაოდ ვრცელ პროვინციას, რომლის საზღვრები გადაჭიმული იყო მდ. რიონიდან ვიდრე მდ. ჭოროხის ნაპირებამდე. ახლანდელი ქობულეთის რაიონი და ბათუმის რაიონის დიდი ნაწილი, ბათუმითურთ, გურიის ფარგლებში შედიოდა. გურიის სამთავროს ეკუთვნოდა აგრეთვე ჭანეთი (ლაზისტანი), რომელიც მე-16 საუ-

კუნეში მიიტაცა ოსმალეთმა. მომდევნო ხანაში ოსმალეთი დაეპატრონა საკუთრივ აჭარას (ქედისა და ხულოს რაიონები და ბათუმის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) და მთელ ქვემო გურიას. ამრიგად, XIX ს. დამდეგისთვის ოსმალეთის სახელმწიფოსა და საქართველოს, შორის საზღვარი უკვე მდ. ჩოლოქზე გადიოდა. ამ დროს გურიის სამთავრო მოქცეული იყო მდინარეებს — ჩოლოქსა და ფიჩორას შორის. დასავლეთიდან იგი ზღვას ეკვროდა, ხოლო აღმოსავლეთიდან — იმერეთს.

ქართველმა ხალხმა იმთავითვე შეურიგებელი ომი გამოუცხადა ოსმალო დამპყრობლებს და მათ მიერ აქ გავრცელებულ გამანადგურებელ სენს — ტყვეებით ვაჭრობას. ქართველთა ბრძოლას მეტი გასაქანი მიეცა ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შეერთების შემდეგ, მაგრამ მიუხედავად ამ ბრძოლისა, ტყვეთა ტაცება და გაყიდვა, ფარულად თუ აშკარად, მაინც გრძელდებოდა. საქართველოს შიგნით ქვეყნის მოღალატე ფეოდალებიც ეწეოდნენ ასეთ შავბნელ საქმიანობას. ტყვეებით ვაჭრობა ანადგურებდა ქვეყნის მწარმოებელ ძალებს და დიდად აფერხებდა მის განვითარებას. ტყვეთა გატაცება განსაკუთრებით ანადგურებდა გურიას, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფ პროვინციებს.

ოსმალეთის ხელთ მყოფი ქობულეთ-აჭარიდან და ახალციხიდან გურიაში მრავალი გზა შემოდიოდა. მძარცველები ქურდულად, ჩვეულებრივ, ვიწრო ბილიკებითა და ძნელსავალი ხეობებით გადმოლახავდნენ ხოლმე საზღვარს. სხვებზე მეტად ზარალობდნენ სწორედ საზღვარის პირას მდებარე სოფლები.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა აღმოსავლეთი საქართველო შეიერთა და დასავლეთის მთავრებიც თავის მფარველობაში გააერთიანა, შეშფოთებული ოსმალეთი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საქართველოდან რუსეთი გაეძევებინა და აქ თავისი ბატონობა დაემყარებინა. ამიტომ იგი თავისი მოხელის, ახალციხის ფაშის, მეშვეობით, სისტემატურად უსევდა ქურდულ რაზმებს საქართველოს და მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდა. ახალციხის საფაშოდან მტაცებლები ჯგუფ-ჯგუფად იჭრებოდნენ გურიაში. ხანისწყლისა და კვირიასწყლის (მდ. გუბაზოულის შენაკადები) ხეობათა, ისევე როგორც ბახვის წყლის ხეობის გზით, ისინი ქურდულად ესხმოდნენ თავს ამ მდინარეთა ნაპირებზე და მათ ახლო-მახლო მდებარე სოფლებს — ხევს, ნაბეღლავს, ერკეთს, ბჟოლიეთს, სურებს, მეწიეთს, ასკანასა და სხვებს. გუბაზოულისა და ბახვისწყლის ხეობათა დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ გურიის მოსახლეობისათვის.

აღნიშნულ ხეობათა დაცვისა და ოსმელეთიდან გზავნილი მტაცებლური რაზმების განადგურების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა გურიის სახალხო გმირმა ბუღარა მამალაძემ.

ბუღარა მამალაძე გულმართალი, გაჭირვებულთა მოსარჩლე და დამცველი კაცი ყოფილა. ბავშვობიდანვე მიუპყრია მას თავის თანამემამულეთა ყურადღება. გარეულ ღორებზე ნადირობისას, ჯერ კიდევ 12 წლის ბავშვს, არაჩვეულებრივი სიმამაცე გამოუჩენია. იგი ადრე დავაჟკაცებულა და მალე ჩადგომია სათავეში ოსმალო ავაზაკების წინააღმდეგ მებრძოლთა გუნდს.

ტანად არცთუ ისე მაღალი, მაგრამ მხარბეჭიანი და „მორგვის სიმსხო“ მკლავების მქონე ბუღარა გოლიათურად ღონიერი ყოფილა. ამასთანავე მას თურმე ახასიათებდა სიმარდე, სწრაფი საზრიანობა და სარდლის ნიჭიც. ხელჩართული, ხმალდახმალ ბრძოლის დიდ ოსტატს არაერთხელ დაუმარცხებია ბევრად მეტი მტერი და უძლეტია ტყვეთა მტაცებლები.

ბუღარა მამალაძის საოცარი მჭექარე ხმა, გამგმირავი შეძახილი მტრის ზნეობრივად გატეხის ერთ-ერთი ხერხი იყო. ზეპირგადმოცემათა მიხედვით, ბუღარას საბრძოლო ყიჟინა ახლო-მახლო სოფლებს სწვდებოდა ხოლმე. როცა ბუღარა დასჭყივლებდა, თუ სადმე ახლოს ორსული ქალი იყო, აუცილებლად მუცელი მოეშლებოდაო. ამიტომ ბუღარას ხშირად აფრთხილებდნენ, ამა და ამ ადგილას ორსული ქალი არისო. ზოგჯერ, როდესაც მას მარტო უხდებოდა შებრძოლება ავაზაკთა გუნდთან, იგი სხვადასხვაგვარი შეძახილებით მოაჩვენებდა მტერს, რომ მას ერთ კაცთან კი არა, არამედ მრავალ მებრძოლთან ჰქონდა საქმე. მისი ხარისებური თვალების გამგმირავი გამოხედვაც ძრუანტელს ჰგვრიდა თურმე მტერს.

როგორც ჩანს, ბუღარა ანგარიშს უწევდა იმერეთის მეფე სოლომონ II-ს, რომელიც პოემაში მოხსენებულია „სოლომონის“ სახელით. იგი იმერეთში მეფობდა 1789 — 1810 წლებში. მასთან ერთად ნადირობასა და ბრძოლაში ბუღარას მონაწილეობის შესახებ გადმოცემა-ლექსები გვამცნობენ, რომ ბუღარა საკმაოდ ფართო მასშტაბის მებრძოლი ყოფილა.

გადმოცემაში მოთხრობილია ბუღარას მონაწილეობა იმ ბრძოლაში, რომელიც მოხდა გურიისა და სამეგრელოს მთავრებს შორის, ორი მდინარის, რიონსა და ფიჩორას შუა მდებარე ტერიტორიის გამო. ამ გადმოცემაში ისტორიული სინამდვილე მკრთალად მოჩანს. საარქივო დოკუმენტებიდან კი ვიცით, რომ გურიის უკანასკნელი მთავრის — მამია გურიელის გარდაცვალების შემდეგ, როცა მისი მეუღლე სოფიო გურიელი ვამთავრდა, განსაკუთრებით გამწვავებული იყო დავა პალიასტომის ტბის გარშემო. 1827 წელს სოფიო გურიელის რაზმსა და სამეგრელოს მთავრის კაცებს შორის შეტაკებაც მომხდარა. ლექსში მოცემული მითითება ბუღარას მეთაურობით დადიანის ჯარების დამარცხების შესახებ ნამდვილად უნდა იყოს საქართველოში არსებული ფეოდალური შინაომების ხანის ანარეკლი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ლექსის ავტორი და არსებული გადმოცემები მეტად

აზვიადებენ მომხდარ ფაქტს და გვიამბობენ, თითქოს მარტო ბუღარას მარტოდმარტო დაემარცხებინოს 400-ოდე კაცი. ეს, რა თქმა უნდა, ზღაპარია.

ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ ბუღარასა და გურიის მთავარ გურიელს შორის თანხმობა და ურთიერთგაგება არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ბუღარას არ მოსწონდა გურიელის პოლიტიკა, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ს. კეკელიძის პოემაში და სხვა გადმოცემებში მოცემულია გაბატონებული კლასისადმი ბუღარას დამოკიდებულების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ამრიგად, პოემა წინააღმდეგობას შეიცავს და ვერ არის თანმიმდევრული. ეს წინააღმდეგობა ლექსის ავტორის იდეოლოგიის შედეგიცაა: აზნაურ კეკელიძეს თავისი კლასობრივი თვითშეგნება უკარნახებდა, რომ ხეველი გმირი მაშინ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა მებრძოლად კი არა, არამედ მის დამცველად გამოეყვანა. იმავე დროს ავტორს ხელთ ჰქონდა საწინააღმდეგო გადმოცემები, რომელთა კვალის წაშლა მან ვერ შესძლო. ეს კარგად ჩანს პოემის იმ ადგილიდან, სადაც საუბარია გურიელის მიერ სოფლებში გადასახადების ასაკრებად დაგზავნილი ლეკების შესახებ.

როგორც ზემოთ ითქვა, გურიის მთიან სოფელთა გლეხები, ყმა-მსახურები, სხვებთან შედარებით უფრო მსუბუქად იყვნენ დაბეგრილნი, მათ მხოლოდ „სადილის“ გადახდა ეკისრებოდათ. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების განვითარების შესაბამისად, როდესაც ფეოდალების მოთხოვნილება იზრდებოდა, ისინი სულ უფრო მეტსა და მეტ გადასახადს ადებდნენ მოსახლეობას. ასე იქცეოდა გურიელიც, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ყმა-მსახურთა შემდგომ დამონებას ცდილობდა. მას არ აკმაყოფილებდა მსახურ გლეხთაგან ყოველი 3 წლისთავზე მიღებული გადასახადი და მათ სისტემატურ დაბეგვრას ფიქრობდა. ასეთი ცდების გამოვლინება იყო სწორედ გურიელის მიერ ლეკების დაგზავნა ახალი გადასახადის ასაკრებად.

საამისოდ დაზგავნილი ლეკები ბუღარამ დაარბია: ერთი მათგანი მოჰკლა, დანარჩენი 2 კი გააქცია. ეს გამოსვლა იმ დროის გურიაში გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის მაჩვენებელი იყო. მომხდარი მოვლენა იმასაც მიგვითითებს, რომ ხეველი გმირი ბრძოლას უცხადებდა სოციალურ უსამართლობას, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას.

ს. კეკელიძის პოემაში მაინც გამოსჭვივის პროტესტი არსებული სოციალური უსამართლობის — ბატონყმობის წინააღმდეგ. მებატონეთა კლასის წარმომადგენლის, მთავარ გურიელის შესახებ პოემაში ვკითხულობთ:

„ბატონს როდი აწუხებდა სხვისი ბედი,
სხვისი დარდი;
სხვის ფულზე და ქონებაზე ისიც იყო
თურმე მადლი“.

შემდეგ, ლექსის მიხედვით რაც გამოდის, თითქოს, როდესაც ბუღარა გადასახადების ამკრებ ლეკებს სდევნიდა, იგი ამით თავად ერისთავის ნება-სურვილს ასრულებდა. ეს გარემოებაც პოემის ავტორის ფეოდალური იდეოლოგიის შედეგი უნდა იყოს: ბუღარა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერისთავის მომხრე, რადგან თავადი ერისთავი ხალხის ისეთივე მჩაგვრელი იყო, როგორიც მთავარი გურიელი. არსებული ზეპირგადმოცემებიც ადასტურებს, რომ ბუღარას ხშირად ჰქონია კონფლიქტი ერისთავებთან, მას სძულდა ერისთავები და საერთოდ მშრომელთა მჩაგვრელები. ამის ანარეკლი გამოსჭვივის აღნიშნულ პოემაშიც: ერისთავი უსაყვედურებს ბუღარას — „ორჯერ-სამჯერ მოგიკითხე, ძლიერ მიკვირს, რომ ვერ მნახეო“. საგულისხმოა აგრეთვე შემდეგი გარემოება: როდესაც ოსმალეთის სულტანის შვილს თითქოს მოუთხოვია იმერეთის მეფისა და გურიელისათვის ბუღარას ბათუმში გაგზავნა მასთან შესახვედრად და ეს საქმე გურიელს ერისთავისთვის დაუვალებია, ბუღარას კვლავ უარი უთქვამს მისთვის და ავადმყოფობა მოუმიზეზებია. ეს ცნობაც კარგად გვაჩვენებს იმ კლასობრივ შეურიგებლობას, რომელიც ჩაგრულსა და გაბატონებულ ფენებს შორის იყო. ფეოდალები აჩერხებდნენ გარეშე მტრებთან შერიგებას და პოულობდნენ მათთან საერთო ენას, მშრომლები კი სიძულვილით უყურებდნენ მათ. ბუღარა მამალაძე, რა თქმა უნდა, არ ისურვებდა საქართველოს მტრის — ოსმალეთის სულტანის შვილთან თუ მის სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრას.

ზეპირგადმოცემის მიხედვით, ბუღარას მეუღლე ავად ჰყოლია, როდესაც მას ერისთავის შიკრიკი გამოცხადებია და შორიდან დაუძახნია, „ბატონი გიბარებსო“. შიკრიკს ახლოს მისვლა ვერ გაუბედნია, რადგან სცოდნია, რომ ბუღარას საერთოდ ეჯავრებოდა ერისთავი. განრისხებული ბუღარა ერისთავის კაცს საცემად გამოდგომია...

სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბუღარას ბრძოლას ნათლად მიგვითითებს ის ზეპირგადმოცემები, რომლებიც თავის დროზე შეუკრებია „ცალფეხა“ გიორგი ლომთათიძეს.

ზეპირგადმოცემები ნიღაბს ხდიან გურიის ფეოდალთა შავბნელ საქმიანობას. ქვეყნის გამყიდველი მებატონეები მალულად ჰყიდდნენ თავიანთ ყმა-გლეხებს ოსმალეთში; ხელს უწყობდნენ ოსმალო ავაზაკებს ტყვეებით ვაჭრობაში. ამ საქმეს არც დასავლეთი საქართველოს მთავრები თაკილობდნენ. ასე, მაგალითად, XIX ს. დამდეგს აფხაზეთის მთავარი ქელეშ-ბეგ შარვაშიძე აშკარად ყიდდა ტყვეებს. ყიდდნენ ყმა-გლეხებს, ოღონდ მალულად, სამეგრელოს, სვანეთისა და გურიის მთავრებიც. ამას ადასტურებს არა მარტო ზეპირგადმოცემები, არამედ საარქივო საბუთებიც. ამიტომ შინაური და გარეული მტაცებ-

ლების წინააღმდეგ ამხედრებული ბულარა მამალაძე და მისი თანამებრძოლი სხვა გმირები უტევდნენ არა მარტო ოსმალო მტაცებლებს, არამედ შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდნენ თავიანთ მებატონეებსაც, რომელთა ხელშეწყობითაც სარგებლობდნენ ის ავაზაკები.

გადმოცემის მიხედვით, გურიის მთავარს თანაგრძნობაც კი გამოუცხადებია მაშინ აჭარის ბეგად დანიშნული სულტანის მოხელისათვის, რომელიც თურმე ბულარას გამო დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა:

— „ეს ვიღაც ბულარაა, საქმეს აჭირებს, მისი გამოისობით გურიაში გლეხი ველარც გვიყიდნია და ველარც მოგვიტაცნია; დაედევნება, მეთაურებს დახოცავს და ტყვეებს უკანვე აბრუნებს... მოგვაშორე როგორმე ეს კაციო!".

გურიელს ბულარა დაუბარებია, „ჩამოდი, შენთან საჭირო საქმე გვაქვსო".

ბულარამ იცოდა გურიელის მუცლის გვრემა, არ მისულა მასთან და ასე შეუთვლია: „თხის ჯოგივით რომ ჰყიდი ყმებს, ერთიც ვნახოთ და ომი გამოგიცხადონ, მერე ვილას იმედი გაქვს დაცარიელებულ ქვეყანაშიო?"

იმ დროისთვის ბულარა მამალაძის, გურიელის ამ ყმა-გლეხის მიერ „ქვეყნის ბატონისადმი" მიმართული ასეთი სიტყვები წარმოადგენდა უაღრესად გაბედულსა და აშკარა გალაშქრებას ბატონყმური უსამართლობის წინააღმდეგ. აქ ნათლად მოჩანს მშრომელ-მწარმოებელი კლასის ინტერესთა დაცვა და მკაფიოდაა გამოხატული ყოველ მხრივ სწორი დებულება, რომ საგარეო მტრებისაგან ქვეყნის დაფარვა შეუძლებელი იქნება, თუ დაცული არ იქნა მწარმოებელი საზოგადოების ადამიანური უფლებები.

ნ ე ს ტ ო რ  მ ა მ ა ლ ა ძ ი ს  გადმოცემით, „ბულარა არ ემორჩილებოდა ბატონებს. იგი რომ გურიელს დამორჩილებოდა, ჩვენ სულ თხის ფასად გევიყიდებოდით და აი სოფლები, სადაც ახლა ჩვენ ვართ ,ნასოფლარები იქნებოდა".

შინაური და გარეშე მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში ბულარა მამალაძე, როგორც ითქვა, მარტო როდი იყო. მასთან ერთად გმირულად იბრძოდნენ მისივე ძმები გიორგი და ესე. ბულარასთან სოფ. სურებიდან სოფ. ხევში გადმოსულა და მას დამეგობრებია განსაკუთრებული სიმამაცის მქონე რამიშვილი, რომელსაც მეტსახელად „შლეგი" უწოდეს. მათთან იყვნენ აგრეთვე ძმები უჯმაჯურიძეები, ანთიძეები და სხვანი. ბულარა და მის გარშემო მყოფ ვაჟკაცთა გუნდი მთელი მშრომელი მოსახლეობის მხარდაჭერითა და სიყვარულით სარგებლობდნენ.

• • •

ს. კეკელიძის პოემაში და სხვა ზეპირგადმოცემებში მოთხრობილია რამდენიმე გმირული ეპიზოდი ბულარას ცხოვრებიდან. უპირველეს ყოვლისა, აღწერილია ბულარას მეთაურობით ბრძოლა მძარცველ-ავაზაკთა იმ რაზმის წინააღმდეგ, რომელსაც რეშიტ-აღა და ქართველი რენეგატი, გამუსლიმანებული [illegible] მეთაურობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძარცველები ღამით დასხმიან თავს ხევსა და მის მეზობელ სოფლებს, დაურბევიათ მშვიდობიან მცხოვრებთა სახლ-კარი, დაუტაცნიათ მათი ყოველგვარი ქონება. ავაზაკებს ქალები, ბავშვები და მოხუცებიც კი არ დაუნდვიათ, ხელ-ფეხშეკრული ტყვეები ერთმანეთზე გადაუბამთ და „თათრის შარის" გაყოლებით ოსმალეთისაკენ გაურეკავთ გასაყიდად. შეძრწუნებულა სოფლები. სასოწარკვეთილი ტირილი და გოდება ამტყდარა ყოველი მხრიდან. ბულარა თავის ძმებთან და სხვებთან ერთად დასდევნებია მძარცველებს და თელვანში (ბახმაროსაკენ მიმავალ გზაზე) დასწევია მათ. გმირები მოულოდნელად დასცხრომიან თავს ოსმალებს. პირველი გასროლის შემდეგ დაწყებულა ხელჩართული ბრძოლა. ბულარა ისე დარევია მტაცებლებს, როგორც მგელი ცხვრის ფარას. დაუმარცხებია ისინი და გაუთავისუფლებია ტყვეები. ბრძოლაში ბულარას მოუკლავს ავაზაკთა ერთი მეთაური — დადიან-ოღლი.

ეს ბრძოლა მომხდარა ბახმაროს ახლოს, მთაზე, რომელსაც ახლაც „დადიან ოღლის ნაკლავი" ჰქვია. ამის შესახებ ბულარას ლექსის მეორე ვარიანტში ვკითხულობთ:

„იქ, სადაც ახლა ხევია,
მის შორს, გადაღმა, სერია
სერს იქით კიდევ მთა არის
— ბულარას ნაბრძოლებია.
იქ მოჰკლა დადიან-ოღლი,
ასე გვიყვება ამბავი;
და შერჩა იმ მთას სახელად
„დადიან-ოღლის ნაკლავი".

ბულარას რაზმის გამარჯვებას დიდი სიხარულით შეხვედრია სოფლის მოსახლეობა:

„და სოფლიდან გამოსული ხალხი გზაში
შეეყარა.
ბულარაზე იძახოდნენ — ღმერთი არის,
კაცი არა.
გამარჯვებას ულოცავდნენ — შენი ჭირი
შეგვეყარა!"

მეორე ეპიზოდიც ადამიანებზე მონადირე ოსმალო ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლას ეკუთვნის. ამჯერად მძარცველები სოფ. სურებს დასხმიან თავს, სურებიდან კი ოთხ ჯგუფად გაყოფილან და სხვა სოფლებს მოსდებიან. მათი საერთო სარდალი ყოფილა ვინმე შერიფ „ბაირახტარი". ავაზაკთა ერთ ჯგუფს, რომელსაც შერიფ ბაირახტარი წინამძღოლობდა, მოუტაცნია 5 ქალი და 2 ვაჟი. ლექსის მეორე ვარიანტის მიხედვით, ვიდრე ბულარა წამოეწოდა ამ რაზმს სამი ძმა უჯმაჯურიძე შებმიან. ერთ მათგანს, ანდრიას 5 ოსმალო შემორტყმია გარს. უჯმაჯურიძეს ხუთივე მოუკლავს უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ახლა მისთვის ავაზაკთა ახალს, 8 კაცისაგან შემდგარ რაზმს შეუტევია. ანდრია მოუკლავთ. ამასობაში ბულარა მამალაძეც წამოსწევია

თავდამსხმელებს და პირადად, ხმალდახმალ მოუკლავს ბაირახტარი. მასა და მის მცირერიცხოვან თანამებრძოლებს სასტიკად დაუმარცხებიათ 40 კაცისაგან შემდგარი რაზმი და დაუხსნიათ ტყვეები [1].

კიდევ უფრო საინტერესოა მესამე ეპიზოდი, რომელშიც ბულარა მამალაძე გვევლინება, როგორც უცხო თავდამსხმელთა წინააღმდეგ სახალხო ბრძოლის ორგანიზატორი და მეთაური.

კვლავ მოულოდნელად შემოსევია ავაზაკთა მრავალრიცხოვანი რაზმი გუბაზოულის ხეობის სოფლებს. ავაზაკებს ამ დროსაც მრავალი ტყვე და ალაფი უშოვიათ და დატვირთულებს შინისაკენ გაუწევიათ. ამასობაში მთაში სანადიროდ გასულ ძმებს — ანთიძეებს შეუნიშნავთ ოსმალები და უმალვე ბულარასთვის უცნობებიათ. ბულარას მაშინვე მიუღია საჭირო ზომები. ანთიძეებს დაევალათ სოფლებიდან მებრძოლთა გამოყვანა და ზურგის გამაგრება ავანგარდისათვის, ავანგარდს კი თვით ბულარა წარძღომია წინ:

„ანთიძეებს დაუბარა, თქვენ ამოდით
ქვევიდანა.
იმ ადგილას მოიყვანეთ, ვინც იშოვოთ
სოფლიდანა.
როცა მე თოფს გავისროლი, თქვენც
ისროლეთ შარიდანა.
და ბულარამ მისი რაზმი მალვით ტყეში
შეიყვანა“.

ბულარას რაზმი თავს წადგომია მძარცველებს. ბულარას ერთი გასროლით ორი მტერი მოუკლავს, მერე ხმალი უშიშვლია და მტაცებლებს ჰკვეთებია. გაცხარებული ხელჩართული ბრძოლის დროს ბულარას წინ გადადგომია „ურჯულოთა თაოსანი“ — „ყემბერ-აღა იუზბაში“. ეს მხდალი სარდალი ბულარას მალე გამოუსალმებია წუთისოფლისათვის. მეორე იუზბაში (ასისთავი) ბულარას ძმებს მოუკლავთ. კვლავ გაუთავისუფლებიათ ტყვეები. ავაზაკთა მიერ მოტაცებული ქონება ბულარას პატრონებისათვის დაუბრუნებია, სოფლებისათვისვე მიუცია მას მტრისთვის აყრილი თოფ-იარაღი.

*

* *

ასე წარმატებით იბრძოდნენ ბულარა და მის მხარში მდგომი სხვა გმირები უცხოელი თავდამსხმელებისა და ავაზაკების წინააღმდეგ. მათი ეს ბრძოლა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ტყვეებით მოვაჭრე ოსმალო ფაშებსა და ბაგებში, ისევე როგორც ამ საქმის მიმდევარ ადგილობრივ თავად-აზნაურებში, ამიტომ იყო, რომ მაშინდელი ახალციხის ფაშა და აჭარის ბეგი უკვე ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ როგორმე თავიდან მოეშორებინათ ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები და, უპირველეს ყოვლისა, ისეთი გმირები, როგორიც ბულარა მამალაძე იყო.

ოსმალთა მრავალრიცხოვანი მძარცველური რაზმების შემოსევა გუბაზოულის ხეობაში განსაკუთრებით უნდა გახშირებულიყო XIX ს. 20-იანი წლების მიწურულში, რუსეთ-ოსმალეთის 1828—1829 წლების ომის დროს, ან მის ახლო ხანაში. შეიძლება სწორედ იმ დროს მოხდა მუხანათური თავდასხმა ბულარას სახლზე, რაც აშკარა შურისძიებად უნდა ჩაითვალოს. სოფ. ხევში შემოჭრილი ოსმალთა რაზმი პირდაპირ ბულარას ოჯახს წასევია და საამისოდ უხელთებია დრო, როცა ეს უკანასკნელი შინ არ ყოფილა. ავაზაკებს მოუკლავთ მამა, ღრმა მოხუცი ოთია, დაუწვავთ მისი სახლი, დაურბევიათ სოფელი, დაუტაცნიათ ტყვეები და გაქცეულან. ბულარა სოფელში დაგვიანებით დაბრუნებულა და დიდად დამწუხრებულა საყვარელი მამის დაკარგვის გამო.

ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ უნდა ვივიფიქროთ, რომ სამშობლოსა და თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ ბულარას მხურვალე მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთ-ოსმალეთის აღნიშნულ ომში, როდესაც ქართველობა რუსებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდა ოსმალო დამპყრობლების მიერ მიტაცებული ახალციხის მხარის გასანთავისუფლებლად.

1829 წ. ადრიანოპოლის ზავით დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ამ ზავის შედეგად მეფის რუსეთმა შემოიერთა ოსმალთა მიერ საქართველოსაგან წაგლეჯილ მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართველოს დაუბრუნდა ყოფილი ახალციხის საფაშოს 10 რაიონი, ქალაქები ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. ამ კუთხეების კვლავ შემოერთებამ დიდი ზეიმი გამოიწვია ქართველ ხალხში: ქართველობა დღესასწაულობდა მე-16 საუკუნის მიწურულში დაკარგული მშობლიური მიწა-წყლის დაბრუნებას. ლახვარი ჩაეცა ტყვეადამიანებით ვაჭრობის საბუდარს ახალციხეში, მაგრამ იმჟამად ვერ მოხერხდა ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი აჭარისა და ქვემო გურიის განთავისუფლება. ეს განხორციელდა მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ — 1878 წელს საქართველოს აჭარაც დაუბრუნდა.

ახალციხის მხარის შემოერთების შემდეგ ტყვეადამიანების მტაცებელთა სარბიელი თანდათან იზღუდებოდა და ეს გამანადგურებელი სოციალური სენი ისპობოდა. მან მეტ-ნაკლებად მოაღწია ვიდრე XIX ს. II ნახევრამდე და იმხანად კი უკვე საბოლოოდ მოისპო.

*

* *

ბულარა მამალაძის, როგორც სოციალური ჩაგვრისა, მისი უმახინჯესი ფორმის — ტყვეთა სყიდვისა და უცხო თავდამსხმელების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის სახელი დღესაც ცოცხლობს გურიის სოფლებში.

[1] შერიფ ბაირახტარის რაზმთან ბულარას ბრძოლის შესახებ გვიამბობს ტ. მამალაძეც თავის მოგონებებში: „სამშობლო სურათები“, II ნაწ. 1918, გვ. 52.

# წიგნების მიმოხილვა

## მონოგრაფიები ოქტომბრისათვის მებრძოლ ქართველ რევოლუციონერებზე

★

### 1. სამუელ (ნოე) ბუაჩიძე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავზე განსაკუთრებული პატივისცემით ვიგონებთ იმ გამოჩენილ ქართველ რევოლუციონერებს, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა **მშრომელი ხალხის** განთავისუფლების საქმეს მოახმარეს. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია სამუელ (ნოე) გრიგოლის ძე ბუაჩიძეს, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს კ. ივანიძის სარეცენზიო წიგნი.

მტკიცე ლენინელი-ბოლშევიკი, პროფესიონალი რევოლუციონერი ნ. ბუაჩიძე დაიბადა 1882 წლის 17 (5) ივნისს სოფელ ფარცხნალში, ყოფილ შორაპნის მაზრაში (ახლა ორჯონიკიძის რაიონი).

1897 წელს ნოემ დაასრულა ხარაგაულის ორკლასიანი სასწავლებელი და შევიდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. აქ დაუკავშირდა მოსწავლეთა არალეგალურ წრეებს; გაიცნო მ. ცხაკაია, რომელმაც ჩაუნერგა რევოლუციური მუშაობის სიყვარული.

1901 წელს ნ. ბუაჩიძე შევიდა ოზურგეთის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელთან არსებულ ერთწლიან კურსებზე, რომლის დამთავრებით მიიღო სახალხო მასწავლებლის წოდება.

1901 — 1904 წლებში ნ. ბუაჩიძე პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას: 1902 წელს შედის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში.

ნ. ბუაჩიძე აქტიურად მონაწილეობდა 1905 — 1907 წ. რევოლუციაში. იგი ხელმძღვანელობდა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ბელაგორის ორგანიზაციას. როცა რსდმპ იმერეთ — სამეგრელოს კომიტეტმა მიიღო ცნობა, რომ მოსკოვისა და თბილისის პროლეტარიატი დამარცხდა და დასავლეთ საქართველოში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით დამსჯელი ექსპედიციაა გამოგზავნილი, სპეციალურად მოწვეულ თათბირზე გადაწყდა — წინააღმდეგობა გაეწიათ სამხედრო რაზმებისათვის, არ მიეცათ მისთვის დასავლეთ საქართველოში თავისუფლად შეჭრის საშუალება. სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა ამის განხორციელება ნ. ბუაჩიძეს მიანდო. მებრძოლმა რაზმმა ნ. ბუაჩიძის მეთაურობით წიფის გვირაბთან 1906 წ. 2 იანვარს მოაწყო თავდასხმა თენგინის პოლკის მე-9 ასეულზე და ხანმოკლე, მაგრამ მეტად მძიმე ბრძოლის შედეგად დაამარცხა და უკუაგდო იგი. ამის შემდეგ ნ. ბუაჩიძის რაზმმა წარმატებით განაიარაღა სადგურ წიფის რაიონში განლაგებული კაზაკთა ეისკის ასეული და, დამსჯელი ძალების წინსვლის შესაფერხებლად, წიფის გვირაბში ააფეთქა ორთქლმავალი. მაგრამ რიცხვობრივად ჭარბი ძალებისათვის შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეიძლებოდა. ასრულებდა რა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მითითებას, ნ. ბუაჩიძის რაზმმა უკან დაიხია და ღამით ხარაგაულში ჩავიდა. იქ გამართულ წითელარმიელთა თათბირზე ნ. ბუაჩიძემ აღნიშნა აჯანყების დამარცხების დროებითი ხასიათი: „ჩვენი ვალია, ეუბნებოდა ბუაჩიძე თავის რაზმელებს, გაორკეცებული ენერგიით ვემზადოთ ახალი ბრძოლებისათვის, სულით არ დავეცეთ, კარგად და საიმედო ადგილას შევინახოთ იარაღი, რათა ყოველ საჭირო მომენტში გამოვიყენოთ ის მტრის წინააღმდეგ“ (გვ. 14).

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ საველე სასამართლოები საქართველოშიც ამოქმედდა. პასუხისგებაში მისცეს ასობით რევოლუციონერი, მათ შორის იყო ნ. ბუაჩიძე, რომელსაც მიუყენეს სამხედრო დებულების 279-ე მუხლი, რაც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. მაგრამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მამაცი მებრძოლი ხელიდან გაუსხლტა მეფის სატრაპებს და 1906 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მიხა ცხაკაიასა და სხვა ამხანაგების რჩევით დატოვა ქუთაისი. იგი ჯერ სოფელ არდონში, ხოლო შემდეგ ქ. ვლადიკავკავში (ახლა ქ. ორჯონიკიძე) ჩავიდა. ნ. ბუაჩიძემ არალეგალური ცხოვრება დაიწყო.

წიგნის ავტორი გვიხასიათებს ვლადიკავკავში ნ. ბუაჩიძის პარტიულ საქმიანობას. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე, დაძაბული პარტიული მუშაობის პერიოდი. ბუაჩიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ვლადიკავკავის ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის საკუთარი არალეგალური სტამბის მოწყობაში. ამასთან, მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა 1906

წლის აგვისტოში „კაზბეკის“ ლეგალური სტამბის ხელში ჩაგდება, რაც ვლადიკავკავის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და გაბედული წამოწყება იყო. პოლიციის აგენტები გაფაციცებით დაეძებდნენ „კაზბეკზე“ თავდასხმის მონაწილეებსა და ხელმძღვანელებს. მიუხედავად კარგი კონსპირაციისა, ნ. ბუაჩიძე დააპატიმრეს. მან აქაც თავისი მოხერხებულობის შედეგად თავს დააღწია ყველაზე მკაცრ სასჯელს. ვერ გამოარკვია რა 1905 წლის შეიარაღებულ აჯანყებაში ნ. ბუაჩიძის როლი, მოსკოვის სასამართლომ მას 4 წლით საკატორღო მუშაობა, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ ციმბირში სამუდამო დასახლება მიუსაჯა. სასჯელს ნოე ვოლოგდის სატუსაღოში იხდიდა, საიდანაც 1910 წელს იაკუტიის ოლქის სოფელ ისიდსკოში გადაასახლეს. 1911 წლის მაისში ნოე გადასახლებიდან გამოიქცა.

ნ. ბუაჩიძის ცხოვრების მთელი გზა მშრომელთა განთავისუფლების დიადი იდეით იყო გაცისკროვნებული და მისი მოღვაწეობის ყოველი მხარე ამ იდეის განხორციელებას ექვემდებარებოდა. კარგად არის წიგნში გახსნილი ნ. ბუაჩიძის პიროვნების მთლიანი ხასიათი, პიროვნებისა, რომლისთვისაც პირადული ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით არც არსებობდა. ამას კარგად გვიჩვენებს წიგნში მოტანილი ზოგიერთი ამონაწერი ნ. ბუაჩიძის პირადი წერილებიდან. მას სწორად ესმოდა კლასობრივი საზოგადოების განვითარების კანონები, მიუთითებდა თანამედროვე საზოგადოების კლასებად დაყოფას და მათ შორის გაჩაღებულ ბრძოლაზე. კაპიტალისტური ჩაგვრისაგან პიროვნების განთავისუფლების გზა მას ასე აქვს გაგებული: „ჩვენი, პირადად ჩვენი, განთავისუფლება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ხალხიც იქნება განთავისუფლებული. ასე რომ, ჩვენი თავისუფლება, ხალხის თავისუფლებაა, ხალხის თავისუფლება ჩვენი თავისუფლებაა“ (გვ. 24).

ნ. ბუაჩიძე განათლებული მარქსისტი იყო; სწავლობდა პოლიტიკურ ეკონომიას, ფილოსოფიას, ისტორიას, მარქსისა, ენგელსის და ლენინის ნაშრომებს; იცნობდა რუსულ და საზღვარგარეთულ კლასიკურ ლიტერატურას. 1916 წლის შემოდგომაზე ნ. ბუაჩიძე შედის ჟენევის უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე.

ჟენევაში ნოე პირველად შეხვდა ვ. ი. ლენინს, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია მასზე. მკითხველის ყურადღებას იპყრობს წიგნის ის ადგილი, რომელშიც მოთხრობილია ვ. ი. ლენინთან ნოეს ურთიერთობის შესახებ. ეს იყო პარტიის ერთგული მოღვაწის ურთიერთობა პარტიის გენიალურ ბელადთან, რომლის ყოველ დავალებას პირნათლად ასრულებდა. ვ. ი. ლენინი ნდობით ეკიდებოდა ნ. ბუაჩიძეს. მასში ხედავდა მტკიცე და შეუდრეკელ ბოლშევიკს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნ. ბუაჩიძე პეტროგრადში ჩამოდის. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მას ჩრდილოეთ კავკასიაში გზავნის პარტიულ სამუშაოზე. ნოე ფართო პროპაგანდას უწევს სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას; პარტიულ კრებებზე კითხულობს მოხსენებებს ომისა და რევოლუციის საკითხებზე. ვლადიკავკავში ს. მ. კიროვთან ერთად იგი დიდ ბრძოლას ეწევა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში მოკალათებული მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ, მათი გავლენისაგან მასების განთავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა წარმატებით დამთავრდა. რსდმპ ვლადიკავკავის ორგანიზაციიდან მენშევიკები განდევნეს და პარტიული ორგანიზაცია მონოლითური გახდა, ნ. ბუაჩიძე ჯერ საბჭოს, ხოლო შემდეგ მისი პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.

წიგნში ფართოდ არის წარმოდგენილი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნ. ბუაჩიძის მოღვაწეობა. ეს შესანიშნავი ბოლშევიკი-რევოლუციონერი ს. კიროვთან ერთად უნარიანად ხელმძღვანელობს თერგის ოლქის მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კავკასიის ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის, რევოლუციურ რუსეთთან, დიდ რუს ხალხთან კავშირის განმტკიცებისათვის. ის ხალხები, ამბობდა ნ. ბუაჩიძე, რომლებიც ახლა რუსეთის დემოკრატიას არ გაჰყვებიან, დაიღუპებიანო.

თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოზდოკის ხალხთა პირველ ყრილობას, რომელიც 1918 წლის 25 იანვარს გაიხსნა ქ. მოზდოკში. ეს მნიშვნელობა იმით გამოიხატებოდა, რომ გაიმარჯვა ერთიანი რევოლუციური ფრონტის ტაქტიკამ, რაც მაშინ თერგის ბოლშევიკების სერიოზულ ამოცანას წარმოადგენდა, ჩაიფუშა კონტრრევოლუციის გეგმები, შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლება. თერგის სახალხო საბჭოში ნ. ბუაჩიძე არჩეულ იქნა საზოგადოებრივი და რევოლუციური წესრიგის ორგანიზაციისა და დაცვის თავმჯდომარედ.

შემდგომი დიდი ნაბიჯი საბჭოთა ხელისუფლებისათვის თერგის ხალხთა ბრძოლის გზაზე იყო თერგის ოლქის ხალხთა მეორე ყრილობა (გაიხსნა ქ. პიატიგორსკში 1918 წ. 16 თებერვალს). ყრილობის გახსნის დღეს, თერგის სახალხო საბჭოს სახელით დელეგატებს მგზნებარე სიტყვით მიმართა ნ. ბუაჩიძემ. ყრილობაზე გაიმარჯვა ბოლშევიკების ერთიანი რევოლუციური ფრონტის ტაქტიკამ. ყრილობამ სცნო საბჭოთა ხელისუფლება და მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს. არჩეულ იქნა ხელისუფლების ადგილობრივი უმაღლესი ორგანო — თერგის სახალხო საბჭოს ახალი შემადგენლობა. მალე თერგ-დაღისტნის კონტრრევოლუციური მთავრობა დამხობილ იქნა. გამოცხადდა თერგის

ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც შევიდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში. შედგა თერგის პირველი საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ბუაჩიძე. მასვე დაევალა რესპუბლიკის სამხედრო კომისრის მოვალეობის შესრულება.

თერგის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მშენებლობის, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის, მხარის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით თერგის სახკომსაბჭომ, რომელსაც ნ. ბუაჩიძე ედგა სათავეში, მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა. 1918 წლის 13 მარტს ნ. ბუაჩიძის ხელმოწერით გამოქვეყნდა დეკრეტი მიწის შესახებ. ნოე აქტიურად მონაწილეობს კონტრრევოლუციონერთა შეთქმულების ლიკვიდაციაში; 1918 წლის 2 მაისს ნ. ბუაჩიძე პიატიგორსკის საბჭოს საერთო კრებაზე გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ, რამაც გამოიწვია მთელი კრების მხურვალე მოწონება. ნ. ბუაჩიძე აქტიურად მონაწილეობს და ხელმძღვანელ როლს ასრულებს თერგის ოლქის ხალხთა III ყრილობაზე (გაიხსნა 1918 წლის 22 მაისს გროზნოში).

ნ. ბუაჩიძე გარდაიცვალა 1918 წლის 20 ივნისს. იგი გმირულად დაეცა თავის საბრძოლო პოსტზე კლასობრივი მტრის ტყვიით განგმირული.

ერთ-ერთ თავის სიტყვაში ნ. ბუაჩიძე ამბობდა: „როგორც ბნელი ღამის შემდეგ არაფერს არ შეუძლია დააბრკოლოს ნათელი დღის დადგომა და ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ — გაზაფხულის მოსვლა, ასევე ვერავინ და ვერაფერი დააბრკოლებს ახალი ეპოქის, სოციალიზმის მოსვლას". ნოეს სიტყვა გამართლდა. ის რაზედაც იგი ოცნებობდა, რასაც შესწირა სიცოცხლე, დღეს საბოლოოდ განხორციელდა. ლენინის ერთგული მოწაფის, თერგის ბოლშევიკების ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი ნოე ბუაჩიძის ნათელ ხსოვნას სიყვარულით ინახავს მადლიერი საბჭოთა ხალხი.

ნ. ქუპრავა.

## 2. მიხეილ ბოჭორიძე

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მოგვცა ლენინური სკოლის მრავალი სახელოვანი პროფესიონალი რევოლუციონერი. ისინი დაუღალავად იბრძოდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მათი დარაზმვისათვის. ასეთი იყო მიხეილ ზაქარიას ძე ბოჭორიძე, რომლის მთელი შეგნებული ცხოვრება საუკეთესო მაგალითია კომუნისტური პარტიის დიადი იდეებისათვის ბრძოლისა.

მიხეილ (მოსე) ზაქარიას ძე ბოჭორიძე დაიბადა 1873 წლის 2 (14) ივნისს ქ. თელავში, მუშის ოჯახში. მან, ჯერ კიდევ 12 წლისამ, მოეწყო რა ვლადიკავკავში (ახლა ორჯონიკიძე) სირაჯთან ხელზე მოსამსახურედ, საკუთარ თავზე განიცადა ექსპლოატაციის მთელი საშინელება. ექსპლოატაცია უფრო მწვავე ხასიათს ატარებდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, სადაც 1890 წლის 4 თებერვალს დაიწყო მუშაობა. მონოგრაფიის ავტორი ზ. გეგეშიძე ყურადღებას ამახვილებს იმ სასტიკ ექსპლოატაციაზე, რომელიც გამეფებული იყო მაშინ რკინიგზის სახელოსნოებში. მართლაც, ცხოვრების არაადამიანურ პირობებისადმი, მშრომელი ხალხის ულმობელი ჩაგვრისადმი შეურიგებლობამ განსაზღვრა შესანიშნავი რევოლუციონერის შემდგომი ცხოვრების გზა.

რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ყოფნის დროს მ. ბოჭორიძე ენერგიულად მუშაობდა საკუთარ თავზე, ქართული და რუსული წერა-კითხვის შესწავლაზე. ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია მიხოს 80-იანი წლების ბოლოს რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშებისა და ხელოსნების მიერ დაარსებულმა პოლიტიკური თვითგანვითარების წრემ და „კრასნოგორსკაიას კომუნამ", რომლის არალეგალური ბიბლიოთეკით სარგებლობდა იგი. მუშა-ხელოსანთა ხელნაწერ ჟურნალებში მ. ბოჭორიძე ათავსებდა ლექსებს, რომლებიც მწიგნობარმა ზაქარია ჭიჭინაძემ 1895 წელს ცალკე წიგნაკად გამოსცა. ეს ლექსები მ. ბოჭორიძის ბიოგრაფიისათვის იმ მხრივ არის საინტერესო, რომ გვიჩვენებენ მისი ავტორის კავშირს ხალხის ცხოვრებასთან.

მონოგრაფიის ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ მ. ბოჭორიძის კლასობრივი გათვითცნობიერება სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნის შემდეგ იწყება. 1894 წლის ნოემბერში თ. აფანასიევის ხელმძღვანელობით თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში დაარსდა პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომელთა რიცხვმა 1896 წელს 20-ს მიაღწია. მ. ბოჭორიძე ამ წრეებს თ. მაიოროვთან, ზ. ჩოდრიშვილთან, ს. ალილუევთან და ვ. სტურუასთან ერთად ხელმძღვანელობდა.

მ. ბოჭორიძე, როგორც რსდმპ თბილისის კომიტეტის აქტიური წევრი, მონაწილეობს ახალი სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნაში, საპროპაგანდო მუშაობის გაძლიერებაში. იგი რკი-

ნიგზის მთავარი სახელოსნოების ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე მუშა-რევოლუციონერი გახდა. ამაზე მეტყველებს 1926 წლის 8 ივნისის თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა კრებაზე ი. სტალინის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომლებშიც იგი თბილისის სხვა მოწინავე მუშებთან ერთად მ. ბოჭორიძეს თავის ერთ-ერთ პირველ მასწავლებლად თვლის. ასევე საინტერესოა წიგნში მოტანილი სიტყვები, რომლებიც ვანო სტურუას ეკუთვნის: „მიხო ბუნებრივად რევოლუციონერი იყო. ახმანაგებისათვის არაფერი ეშურებოდა. ჩვენ შორის ის იყო ცენტრი. მის გარეშე და უმისოდ არაფერი გაკეთდებოდა“ (გვ. 8).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მ. ბოჭორიძის ოჯახის სხვა წევრებიც (დედა — ნინო, დეიდა — ბაბე, და — მარო) რევოლუციურ საქმიანობაში იყვნენ ჩაბმული. მათ ბინაში იმართებოდა რსდმპ თბილისის კომიტეტის სხდომები.

წიგნი მოგვითხრობს მ. ბოჭორიძის აქტიურ მონაწილეობაზე თბილისის მუშათა პირველი მაისობის მოწყობაში, რომელიც 1898 წელს ჩატარდა თბილისის გარეუბანში არალეგალური მუშათა კრების სახით და 1898 წლის დეკემბერში თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებისა და დეპოს მუშების მიერ მოწყობილ პირველ მასობრივ გაფიცვაში, რომლის დროსაც მიხო საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

1899 წლიდან რსდმპ თბილისის კომიტეტის დავალებით მ. ბოჭორიძე პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა კონკისა და ადელხანოვის ტყავის ქარხნის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. ამ პერიოდისათვის იგი უკვე ნიჭიერი ორგანიზატორი და თეორიულად მომზადებული ხელმძღვანელია: 1899 წლის 19 აპრილს ღრმაღელეში და 1900 წლის 23 აპრილს მლაშე ტბის მიდამოებში თბილისის მუშათა არალეგალური საპირველმაისო მიტინგების მოწყობასა და ორგანიზებულად ჩატარებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა მ. ბოჭორიძემ; ამ მიტინგზე მან მგზნებარე რევოლუციური სიტყვები წარმოსთქვა.

მონოგრაფიაში მ. ბოჭორიძე გამოყვანილია, როგორც ნიჭიერი კონსპირატორი და ორგანიზატორი, რსდმპ თბილისის კომიტეტის არალეგალური სტამბების ერთ-ერთი ყველაზე უნარიანი ხელმძღვანელი. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა დაუღალავად და თავგამოდებით მუშაობდა იგი ავლაბრის არალეგალური სტამბის მოწყობაზე.

მ. ბოჭორიძემ მოაწყო რამდენიმე არალეგალური სტამბა: პირველად მოწყობილი იყო თბილისის რკინიგზის დეპოს მოწინავე მუშის სოლომონ აზმაიფარაშვილის სახლის სარდაფში (ლოტკინის ქუჩაზე) პატარა სტამბა (1900 წ.). 1902 წ. ზაფხულში რსდმპ თბილისის კომიტეტის დავალებით მიხო აწყობს ახალ არალეგალურ სტამბას (ლოტკინის ქუჩაზე, სოლოღაშვილების ეზოში), სადაც დადგეს საბეჭდი მანქანა „ბოსტონკა“.

როგორც ცნობილია, რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობამ მიიღო დადგენილება ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის შემდგომი გაფართოების შესახებ, რის გამო მკვეთრად დაისვა საკითხი თბილისში მძლავრი არალეგალური სტამბის მოწყობის დაჩქარებისა. მალე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც, დაიწყო ცნობილი ავლაბრის არალეგალური სტამბის მშენებლობა, რომლის გეგმა მ. ბოჭორიძემ შეადგინა, რაც კონსპირაციის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა: გეგმა ითვალისწინებდა ღრმა მიწისქვეშეთში ჭის საშუალებით ჩასვლას. მ. ბოჭორიძემ შეარჩია მშენებელთა კადრებიც: დურგლები — სანდრო, ნიკო და ვანო ჩოდრიშვილები; კალატოზები — მირიმან და თედო მაღრაძეები.

მ. ბოჭორიძე ზემოხსენებულ სტამბების არა მხოლოდ მომწყობი და ინიციატორი იყო; იგი უშუალოდ წარმართავდა სტამბების მუშაობას. არაჩვეულებრივი კონსპირაციულობით ახერხებდა სტამბაში დასაბეჭდი მასალების მიწოდებას და დაბეჭდილის წაღებას; ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში გასაგზავნი ლიტერატურის განაწილებას, აგვარებდა რევოლუციური ლიტერატურის ტრანსპორტირებასაც და სხვ.

1900-იანი წლების მნიშვნელოვან მოვლენების ფონზე მონოგრაფიის ავტორი გვიხატავს ბოჭორიძის რევოლუციურ მოღვაწეობას. მ. ბოჭორიძემ მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის სოციალ-დამოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი ყრილობის მოწვევასა და ჩატარებაში, რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობის მუშაობაში... ამ ყრილობებზე მ. ბოჭორიძის გამოსვლებიდან ჩანს, რომ იგი შეურიგებლად ებრძოდა ყოველგვარ ოპორტუნიზმს, თანმიმდევრულად ატარებდა „მესამე დასის“ რევოლუციური ფრთის ხაზს. მიხა ცხაკაია თავის მოგონებაში აღნიშნავდა რომ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე დამსწრე მუშები მ. ბოჭორიძე და გ. თელია არაერთხელ გამოვიდნენ კამათში კარდინალური საკითხების განხილვის დროს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდაო. ორივე ყრილობაზე მ. ბოჭორიძე აირჩიეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში.

მ. ბოჭორიძე სასტიკად იბრძოდა მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც სურდათ ხელში ჩაეგდოთ ავლაბრის არალეგალური სტამბა. ბოლშევიკებმა საბოლოოდ შეინარჩუნეს სტამბა. იგი განსაკუთრებული ინტენსიობით მუშაობდა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. აქ იბეჭდებოდა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“

ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე; აქ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ბროშურები „სოფლის ღარიბებს“ „პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“ და სხვ. სტამბის მთელ მუშაობას მ. ბოჭორიძე ხელმძღვანელობდა.

მ. ბოჭორიძეს, ისე როგორც სხვა პროფესიონალ რევოლუციონერებს, მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. მეფის ოხრანკის აგენტებს 1904 წლის 4 მარტიდან იგი ფარული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. თბილისის ოხრანკის განყოფილების 1904 წლის საგენტურო ცნობებში მ. ბოჭორიძე დახასიათებულია როგორც ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თვალსაჩინო მოღვაწე, რომელსაც ურთიერთობა აქვს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრებთან: მ. ცხაკაიასთან, ი. ჯუღაშვილთან, ვ. ბობროვსკისთან, ა. წულუკიძესთან.

1905 წლის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მ. ბოჭორიძე კვლავ განაგრძობს მჩქეფარე რევოლუციურ მოღვაწეობას. დავალებები, რომლებსაც იგი ასრულებს, პასუხსაგები და სერიოზულია: სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის ორგანიზება და ავლაბრის არალეგალური სტამბის ხელმძღვანელობა გაძლიერებული რეპრესიების პირობებში დიდ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ლენინური სკოლის პროფესიონალი რევოლუციონერი არცერთ სიძნელეს არ შეუშინებია. იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს, განიცდიდა გამუდმებულ დევნას და მაინც თავისი საქმისათვის არასოდეს უღალატნია.

მ. ბოჭორიძეს ახასიათებდა დიდი რევოლუციური ენერგია, შეუპოვარი სწრაფვა დასახული მიზნისადმი, რომლის განხორციელებასაც სამწუხაროდ სიცოცხლეში ვერ შეესწრო (იგი გარდაიცვალა 1913 წლის 31 აგვისტოს). იმ იდეებს, რომლებიც წარმართავდნენ მ. ბოჭორიძის რევოლუციურ საქმიანობას, ხორცი შეასხა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ, რომლის მე-40 წლისთავს დღეს საერთო სახალხო ზეიმის ვითარებაში აღნიშნავს არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ მთელი კაცობრიობის მშრომელი მასები.

**გ. კეთილაძე**

## 3. მიხეილ დავითაშვილი

ქართლის ტრიალ მინდორზე, ქალაქ გორის მახლობლად, მდებარეობს სოფელი წრომი, რომელიც განთქმულია მეშვიდე საუკუნეში აგებული შესანიშნავი ტაძრით. ამ სოფელში გაატარა თავისი ბავშვობა ცნობილ ქართველ რევოლუციონერმა მიხეილ დავითაშვილმა. იგი დაიბადა მეზობელ სოფელ როკში 1877 წლის 5 (17) მარტს. წრომში ცხოვრობდა მისი ბიძა შიო დავითაშვილი, რომელმაც ფაქტიურად აღზარდა მომავალი რევოლუციონერი: მანვე გაგზავნა იგი გორში განათლების მისაღებად.

1893 წ. მ. დავითაშვილმა დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ იგი დაუმეგობრდა ი. სტალინს. 1895 წლის შემოდგომაზე მ. დავითაშვილი შედის სემინარიაში არსებულ ერთ-ერთ რევოლუციურ წრეში, ხოლო შემდეგ, როდესაც სემინარიელებმა მარქსისტული წრე ჩამოაყალიბეს, მისი აქტიური წევრი გახდა: ბეჯითად კითხულობს მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებს, პლეხანოვის შრომებს, პირველად ეცნობა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს — „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ. სტრუვეს წიგნში“ და სხვ.

სემინარიაში გამეფებულ მკაცრ რეჟიმს, მ. დავითაშვილი სხვა მოწინავე სემინარიელებთან ერთად, ვერ ურიგდებოდა. მიუხედავად დევნისა და რეპრესიებისა, იგი განაგრძობდა არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას. მონოგრაფიის ავტორი ა. გუკასიანი კარგად გვიხატავს, თუ როგორ ისწრაფვის მ. დავითაშვილი ღრმა მეცნიერული ცოდნის დაუფლებისაკენ, რა იდეებით იყო გატაცებული, როგორ იწრთობოდა მისი რევოლუციური სული. ამ პერიოდისათვის იგი უკვე განათლებული რევოლუციონერია, ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ახალგაზრდაა.

1899 წ. სექტემბრის ბოლოს მ. დავითაშვილი თავს ანებებს სწავლას და მუშაობას იწყებს თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში. ამ დროიდან კიდევ უფრო მეტად იშლება მისი მოღვაწეობა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში: იგი მუშაობს, როგორც პროპაგანდისტი და ამასთან ერთად სხვადასხვა ორგანიზაციულ დავალებებსაც ასრულებს. 1900 წ. აგვისტოში მ. დავითაშვილი მოსკოვს გაემგზავრა. აქ მან კავშირი დაამყარა არალეგალურ მუშათა წრესთან, ხოლო მისი მეშვეობით მოსკოვის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან. 1901 წელს მ. დავითაშვილი თბილისში დაბრუნდა.

1902 — 1903 წლებში მ. დავითაშვილი რსდმპ თბილისის კომიტეტის დავალებით საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას აჩაღებს ბათუმის მუშებში, იგი აქტიურად მონაწილეობს მუშათა დემონსტრაციებსა და გაფიცვების მოწყობა-ჩატარებაში. ბათუმში მ. დავითაშვილი 1903 წლის ნოემბრამდე დარჩა. შემდეგ იგი საზღვარგარეთ,

ლაიპციგში, გაემგზავრა და უნივერსიტეტში შევიდა. მალე მ. დავითაშვილი ლაიპციგის ბოლშევიკთა ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. ამ ჯგუფს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჟენევაში მყოფ ვ. ი. ლენინთან. ლაიპციგის ჯგუფი მარქსისტულ ლიტერატურას გზავნიდა რუსეთში, აწყობდა დისკუსიებს პარტიულ საკითხებზე, აგროვებდა სახსრებს პარტიის საჭიროებისათვის.

1905 წლის 9 იანვრის ამბების შემდეგ მ. დავითაშვილი ლაიპციგის ბოლშევიკური ჯგუფის წევრთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი დაბრუნდა სამშობლოში. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის 1905 წლის 30 იანვრის დადგენილებით მ. დავითაშვილი შეყვანილ იქნა თბილისის კომიტეტის (ბოლშევიკური) შემადგენლობაში, აგრეთვე კავკასიის კავშირის კომიტეტში.

მონოგრაფიაში ფართოდ არის დახასიათებული მ. დავითაშვილის პარტიული მუშაობა, რომელსაც იგი კავკასიის კავშირის კომიტეტის დავალებით ეწეოდა. ყველგან, სადაც კი გაგზავნეს (გორის მაზრა, დუშეთი, ჭიათურა), იგი ენერგიულად წარმართავდა პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას, ერთგულად ასრულებდა პარტიის ყოველ დავალებას. მ .დავითაშვილი რევოლუციის ლენინური ტაქტიკის მგზნებარე პროპაგანდისტი იყო და დაულალავად ზრუნავდა მუშათა და გლეხთა მებრძოლი რაზმების ზრდისა და შეიარაღებისათვის, განუმარტავდა მათ რევოლუციის ამოცანებს, რაზმავდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლისათვის. თუ როგორი შეურიგებელი იყო მ. დავითაშვილი მენშევიკების, ანარქისტებისა და სხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიების მიმართ, მოვიყვანთ გ. პარკაძის სიტყვებს: „მიხეილ დავითაშვილის პირველსავე გამოსვლებში( ლაპარაკია ჭიათურის პერიოდზე) მისი ცოცხალი შეურიგებელი ბუნება გამოვლინდა. იგი ადვილად აბათილებდა მოწინააღმდეგეთა ყველა დებულებას და მთლიანად იპყრობდა მუშათა მასის თანაგრძნობას.

მ. დავითაშვილი ვერ იტანდა ისეთ ორატორებს, რომლებიც მჟღერალა ფრაზებით გამოდიოდნენ. თავის დასაბუთებას იგი ზედმიწევნით შერჩეულ ფაქტებზე აგებდა, იმოწმებდა პარტიულ დოკუმენტებს, ციტატები მოჰყავდა მარქსისტული ლიტერატურიდან“ (გვ. 28).

მ. დავითაშვილმა, როგორც განათლებულმა მარქსისტმა, თვალსაჩინო როლი შეასრულა ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური პრესის განვითარებაში: იგი იყო ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის — „ახალი ცხოვრება“ — სარედაქციო კოლეგიის წევრი, შედიოდა „ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს“ შემადგენლობაში, ი. სტალინთან და მ. ცხაკაიასთან ერთად ხელმძღვანელობდა პროფკავშირთა ყოველკვირეულ ლეგალური ორგანოს „ახალი დროების“ მუშაობას, მონაწილეობდა აგრეთვე გაზეთების — „ჩვენი ცხოვრების“ (1907 წ. თებერვალ-მარტი), და „დროს“ (მარტი-აპრილი) გამოცემაში.

გაზეთში „ახალი ცხოვრება“ (1906 წ.) მ. დავითაშვილმა მოათავსა სტატიები: „რევოლუცია და სათათბირო,“ „უსაქმოთ დარჩენილები“, „უმუშევრობა და რევოლუცია“, „რკოს რა ისხამს?“. ამ სტატიებში სწორადაა შეფასებული იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება, ღრმადაა განმარტებული პროლეტარიატისა და გლეხობის ამოცანები რევოლუციური მოძრაობის ახალ ეტაპზე. სტატია „რკოს რა ისხამს?“ იცავს სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ლენინურ ტაქტიკას, „რევოლუცია და სათათბირო“ ატარებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას და ა. შ.

როგორც „ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს“ წევრი მ. დავითაშვილი აქტიურად მონაწილეობდა პარტიის მეხუთე ყრილობის მომზადებაში. ბოლშევიკების ფრაქცია ყრილობის წინ საკუთარი პლატფორმით გამოდიოდა. ბოლშევიკების პლატფორმა მოცემული იყო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციათა პროექტებში. „ბოლშევიკების ლიტერეტურული ბიუროს“ სხვა წევრებთან ერთად მ. დავითაშვილი ფართო პროპაგანდას ეწევა ლენინური ხაზის გატარებისათვის. იგი წერს სტატიების სერიას „მოლიპულ გზაზე“, რომელიც ამხელს მენშევიკების ოპორტუნიზმს ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში. „მხოლოდ პარტია, — წერდა მ. დავითაშვილი, — შეაძლებინებს პროლეტარიატს მის დიდებულ ისტორიული მიზნების ასრულებას; პარტია იცავს მის დამოუკიდებლობას ბურჟუაზიის მიერ გონებრივ და პოლიტიკურ დამორჩილებისაგან. პარტიის მოსპობა ნიშნავს პროლეტარიატის ხელიდან ძლიერი და ბასრი იარაღის გამოგლეჯას, რაც მისი მტრების გაძლიერება იქნებოდა“ (გვ. 41).

1908 წლის დასაწყისში მ. დავითაშვილი ჟენევაშია. აქ იგი პირადად გაიცნობს ვ. ი ლენინს. 1908 წლის შემოდგომაზე მ. დავითაშვილი რუსეთში დაბრუნდა და ენერგიულად ჩაება პარტიულ მუშაობაში. მალე იგი შეიყვანეს პარტიის მოსკოვის კომიტეტის შემადგენლობაში.

1909 წლის 23 მაისს მ. დავითაშვილი კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს რსდმპ მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე. პატიმრობამ მკვეთრად გააუარესა მ. დავითაშვილის ჯანმრთელობა. ტუბერკულიოზით დაავადებული თავდებით გამოუშვეს გასამართლებამდე. მ. დავითაშვილმა გადაწყვიტა ემიგრაციაში წასვლა.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს, სამშობლოს დაშორებული, მ. დავითაშვილი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს რუსეთის ცხოვრებას. მას სწამდა რომ მალე დაუბრუნდებოდა სამშობლოს. როდესაც გაიგო მ. ცხაკაიას ავადმყოფობის ამბავი, წერილი მისწერა: „თავს კარგად მოუარე, რომ შესაძლებლობა გვქონდეს დავბრუნდეთ რუსეთ-

ში, როგორც კი ზარი გაისმის. ვეცადოთ არაფერმა არ შეგვიშალოს ხელი. ვფიქრობ რომ ეს მალე მოხდება. ყველაფერი ამის მაუწყებელია“ (გვ. 53).

მ. დავითაშვილს სისტემატური კავშირი ჰქონდა ვ. ი. ლენინთან. 1914 წლის ივნისში დაწერილ ბარათში, რომელიც საქართველოში გამოგზავნა, იგი ითხოვდა, ვ. ი. ლენინისათვის გადასაცემად საჩქაროდ მოეწოდებინათ ვრცელი ცნობები კავკასიის სოციალ-დემოკრატიული გაზეთების შესახებ. წერილთან ერთად, მ. დავითაშვილმა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს გამოუგზავნა ვ. ი. ლენინის შრომა „პროექტი კანონისა ერთა თანასწორ-უფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ“.

ამაღელვებელია მონოგრაფიის ბოლო ნაწილი, სადაც მოთხრობილია მ. დავითაშვილის ცხოვრების უკანასკნელი წლები. პირველმა მსოფლიო ომმა მას პარიზში მოუსწრო. იგი პრინციპულად იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგი იყო, მაგრამ საბოლოოდ ვერ გაერკვა იმ რთულ ვითარებაში, რომელიც ომის დროს შეიქმნა და 1914 წლის შემოდგომაზე მოხალისედ შევიდა საფრანგეთის ჯარში. ეს შეცდომა მ. დავითაშვილს სიცოცხლის ფასად დაუჯდა: 1916 წლის 6 მარტს იგი მოკლეს ვერდენის ფრონტზე, არაგონის მახლობლად, მე-385 სიმაღლისათვის ბრძოლაში.

მ. დავითაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში მ. ცხაკაია წერდა: „ჩვენ გვწამს, რომ ძლევამოსილი მშრომელი კაცობრიობა არ დაივიწყებს შენს სახელს იმ ადამიანთა შორის, ვინც მთელი თავისი შეგნებით და გულწრფელი თავდადებით შეეწირა ხალხის საქმეს“.

შ. ობოლაძე

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ბროშურები

★

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ რამდენიმე მეცნიერულ-პოპულარული ბროშურა გამოსცა.

ამ სერიით გამოცემულია დოც. ი. მირცხულავას ბროშურა „კომუნისტური პარტია — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“. ნაშრომის დასაწყისში ავტორს მოყავს მარქსისტულ-ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ ყოველი სოციალური რევოლუციის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის შეურიგებელი კონფლიქტი, რომ სოციალური რევოლუციები ხდება კანონზომიერად; საზოგადოების განვითარების პროცესში მზადდება ობიექტური პირობები რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ბროშურაში მითითებულია, რომ 1917 წელს რუსეთში ადგილი ჰქონდა მწარმოებლურ ძალებსა და წარმოების ურთიერთობას შორის მწვავე კონფლიქტს. რუსეთის მუშათა კლასმა, ღარიბ გლეხობასთან კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამოიყენა რა მწარმოებლური ძალებისადმი წარმოებითი ურთიერთობის სავალდებულო შესაბამისობის ობიექტური კანონი მოახდინა სოციალისტური რევოლუცია. ავტორი სწორად განაზოგადებს ისტორიულ ფაქტებს და ნათლად გვიჩვენებს ვ. ი. ლენინის მეთაურობით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ, წარმართველ როლს სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და გამარჯვებაში.

ავტორი თავის ნაშრომში გვიჩვენებს თუ რა ენერგიულ მუშაობას ეწევიან ბოლშევიკები ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისების, პარტიის VII კონფერენციისა და VI ყრილობის მითითებათა შესაბამისად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის. მთელი ამ მუშაობის ცენტრში იდგა ვ. ი. ლენინი თავის ერთგულ თანამებრძოლებთან ი. სტალინთან, ი. სვერდლოვთან, მ. კალინინთან, ფ. ძერჟინსკისთან, ს. ორჯონიკიძესთან, კ. ვოროშილოვთან და სხვებთან ერთად.

ბროშურაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები ესერმენშევიკების წვრილ-ბურჟუაზიულ, შემარიგებელი პარტიების გამცემლობა რევოლუციის საქმისადმი, პარტიის ბრძოლა — ზინოვიევის, კამენევის, ტროცკის, ბუხარინის, რიკოვის და სხვა ანტიპარტიულ დაჯგუფებათა წინააღმდეგ; ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდა მასებში, პარტიის წევრთა და პარტიული ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა.

ავტორი სათანადო სიღრმით აშუქებს პარტიის მიერ შეიარაღებული აჯანყების მომზადებას; შეიარაღებული აჯანყების ლენინურ გეგმას, ვ. ი. ლენინის შრომების: „ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ძალაუფლება“, „მარქსიზმი და აჯანყება“, „კრიზისი მომწიფდა“ ისტორიულ მნიშვნელობას. გაშუქებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 და 16 ოქტომბრის ისტორიული

სხდომები, მიძღვნილი შეიარაღებული აჯანყების საკითხისადმი და აჯანყების გამარჯვება პეტროგრადში.

დასასრულ ავტორი ჩერდება ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ძირითად მიზეზებზე, ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის თავისებურებებსა და ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიოისტორიულ მნიშვნელობაზე.

1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებას ეხება მ. იაროვას ბროშურა. ავტორი აღნიშნავს, რომ 1917 წლის შემოდგომაზე რუსეთში მომწიფდა რევოლუციური კრიზისი, რომელიც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ შეიარაღებული აჯანყებით, დროებითი მთავრობის დამხობით და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით.

კომუნისტური პარტიის ბელადმა ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაამუშავა შეიარაღებული აჯანყების საკითხი, შემოქმედებითად განავითარა მარქსისტული შეხედულება შეიარაღებული აჯანყების მომენტის შერჩევის, მისი ორგანიზაციის ფორმის და პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ აჯანყებაში.

პარტიამ მოახდინა ყველა ძალების მობილიზაცია შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისათვის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო წითელი გვარდიის ორგანიზაციისა და მისი სწავლების საკითხს. პეტროგრადში, მოსკოვში, კიევში, თბილისში და სხვა ქალაქებში ჩატარდა საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები და საბჭოების საოლქო ყრილობები.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრა აჯანყების დაწყების ხელსაყრელი მომენტი. აჯანყებულმა ჯარის ნაწილებმა აიღეს ყველა სტრატეგიული პუნქტები. აღებულ იქნა ზამთრის სასახლე.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ბრწყინვალედ დაადასტურა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის სიდიადე.

ა. ირემაძე ბროშურაში „კომუნისტური პარტიის ბრძოლა მშვიდობისათვის ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში“ ნათლად უჩვენებს, რომ პარტიის ბრძოლა მშვიდობისათვის ამ პერიოდში განუყრელადაა დაკავშირებული სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლასთან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით იწყება მშვიდობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი. საბჭოების მეორე ყრილობაზე მიღებული იქნა მშვიდობისათვის ბრძოლის უდიდესი რევოლუციური საპროგრამო დოკუმენტი — ზავის ლენინური დეკრეტი. ბროშურაში ნაჩვენებია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გმირული ბრძოლა საყოველთაო სამართლიანი დემოკრატიული ზავისათვის.

ვ. რეხვიაშვილის ბროშურაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა“ მოტანილია სათანადო ფაქტობრივი მასალები 1918 — 1920 წლების სამოქალაქო ომის ისტორიიდან, 1918 — 1925 წლებში დასავლეთსა და აღმოსავლეთში ოქტომბრის რევოლუციის გავლენით წარმოშობილი რევოლუციებისა და ახლად აღმოცენებული კომუნისტური პარტიების ისტორიიდან, ნაჩვენებია, თუ რა საფუძვლიანად შეარყია დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა.

ნაშრომში გამოქვეყნებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უდიდესი წარმატებები მსოფლიო მასშტაბით, რაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განვლილი 40 წლის უმნიშვნელოვანესი შედეგია.

დ. ჯიბლაძის ბროშურაში „ოქტომბრის რევოლუცია და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში“ მოკლედაა აღნიშნული 1917 — 1921 წლებში საქართველოს მშრომელების რევოლუციური ბრძოლების მთავარი და ყველაზე შესანიშნავი ეპიზოდები.

აღწერილია მდგომარეობა საქართველოში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ცნობამ რუსეთში მეფის თვითმპყრობელობის დამხობისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შესახებ სწრაფად მოაღწია საქართველომდეც. იმ დღეებში თბილისში და მთელს საქართველოში თითქმის ყოველდღე იმართებოდა მიტინგები, მანიფესტაციები, რომლებშიაც მშრომელებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჯარისკაცებიც.

რუსეთის მსგავსად საქართველოშიაც შეიქმნა ორხელისუფლებიანობა. ერთი მხრით შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი, რომელიც რუსეთის დროებითი მთავრობის ფილიალს წარმოადგენდა, ხოლო მეორეს მხრივ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტში გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები — ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები, აზერბაიჯანელი მუსავატელები და სხვა.

ბროშურაში აღწერილია პოლიტიკური ვითარება საქართველოში 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

თავიანთი უსუსური არსებობის შესანარჩუნებლად საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ჯერ გერმანელი და თურქი ოკუპანტები მოიპატიჟა, ხოლო მათი წასვლის შემდეგ ინგლისელ დამპყრობლებს მიენდო. მენშევიკების ბატონობის თითქმის მთელ მანძილზე საქართველოში ისე თარეშობდნენ უცხოელი დამპყრობლები, როგორც ნამდვილ კოლონიაში.

საქართველოს მშრომელები საბოლოოდ დარწმუნდნენ რა მენშევიკების აშკარა მოღალატეო-

ბაში კომუნისტური პარტიის მეთაურობით ირაზმებიან, რათა იარაღით ხელში, რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის მაგალითისამებრ დაამხონ მენშევიკების მოღალატური მთავრობა და დაამყარონ საბჭოთა ხელისუფლება.

ბროშურაში აღწერილია გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები საქართველოში 1918 და 1919 წლებში. ამ პერიოდში ყველაზე უფრო შესანიშნავია საქართველოს მშრომელების ბრძოლა დენიკინის ბანდების შემოჭრის საფრთხის ასაცილებლად. დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლასთან მჭიდროდაა დაკავშირებული 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება, რომელიც ერთი მხრივ მიზნად ისახავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და მეორე მხრივ რუსეთის საბჭოთა მთავრობისა და მისი გმირული წითელი არმიისათვის დახმარების გაწევას დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბროშურის ბოლო ნაწილში აღწერილია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა 1920 წელს და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში.

საქართველოს მშრომელებმა ბრძოლებში გამობრძმედილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და მისი წითელი არმიის უანგარო დახმარებით საბოლოოდ დაამხეს ექსპლოატატორული კლასების ბატონობა. განვლილი 37 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველო ეკონომიურად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მაღალი კულტურის მქონე მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად. ბროშურაში ჩამოთვლილია რესპუბლიკის უდიდესი მიღწევები, რომლითაც იგი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს ხვდება.

ბროშურაში „ოქტომბრის რევოლუცია და ქართველი სოციალისტური ერის წარმოშობა-განვითარება“ (ავტორი გ. აბულაძე) — გაშუქებულია საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არის აუცილებელი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსპობისათვის და ბურჟუაზიული ერების სოციალისტურად გარდაქმნისათვის, სოციალისტური ერების წარმოშობისა და განვითარებისათვის.

ავტორი ეხება აღდგენით პერიოდს (1921 — 1925 წწ.), როგორც ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპს, მრეწველობის ინდუსტრიალიზაციას, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბების საქმეში და რომლის საფუძველზედაც მოხდა არა მარტო ქართველი ერის ეკონომიური ერთობის გარდაქმნა, არამედ, აგრეთვე მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის, მთელი ერის სულიერი სახის გარდაქმნაც; სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, როგორც ქართველი სოციალისტური ერის წარმოშობის აუცილებელ პირობას.

შრომაში განხილულია ქართველი სოციალისტური ერის კლასობრივი სტრუქტურის საკითხი. მკაფიოდაა ნაჩვენები თუ როგორ მოხდა სოციალისტური სისტემის გამარჯვების შედეგად ყოფილი ექსპლოატატორთა კლასების ლიკვიდაცია, კაპიტალისტებისა მრეწველობაში, კულაკობისა სოფლის მეურნეობაში, ვაჭრებისა და სპეკულიანტებისა საქონელბრუნვაში, როგორ მოხდა საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობის ურთიერთობის ძირფესვიანი შეცვლა. მათ შორის მტკიცე კავშირის დამყარება.

დოც. ი. ბაჯაძე ბროშურაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება“, ხაზგასმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, განსაკუთრებით ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაციის, სსრ კავშირის ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების მეურნეობრივი, კერძოდ ინდუსტრიული აღმავლობის საქმეში.

ნაშრომში მოცემულია საბჭოთამდელი საქართველოს მრეწველობის მოკლე დახასიათება, ნაჩვენებია მისი ჩამორჩენილობა და პროგრესული დაქვეითება 1914 — 1920 წ.წ.

ფართო სტატისტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე განხილულია საქართველოს სსრ მრეწველობის აღდგენა (1921 — 1925 წ.წ), მისი გაშლილი აღმავლობა (1925 — 1940 წ.) და ჩვენი რესპუბლიკის გადაქცევა სსრ კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-კოლმეურნეობრივ რესპუბლიკად. ავტორი ახასიათებს საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული წარმოების როლს დიდი სამამულო ომის წლებში და მის აღმავლობას ომის შემდგომ პერიოდში. აქვე ნაჩვენებია მეტალურგიული, ავტომშენებელი და მძიმე ინდუსტრიის ზოგიერთი სხვა დარგის შექმნა-განვითარება ომისშემდგომ წლებში. ამასთან ხაზგასმულია სათბობ-ენერგეტიკული, მარგანეცის, მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, მსუბუქი და კვების მრეწველობის როლი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

დოც. აპ. ნუცუბიძის ნაშრომი „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა ოქტომბრის რევოლუციის 40 წლის თავზე“, რომელიც მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავს, ნათელყოფს იმას, თუ რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს გლეხობას, როგორ შეიცვალა საქართველოს სოფლის სახე, რა კულტურულ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებებს აქვს ადგილი კოლმეურნე გლეხობის ცხოვრებაში.

ჩვენი რესპუბლიკის ხელსაყრელ ბუნებრივკლიმატურ და ნიადაგობრივ პირობების შესაბამისად ფართო გავრცელება ჰპოვა ისეთმა უძვირფასესმა დარგებმა და კულტურებმა, როგორიცაა ჩაი, ვენახი, ციტრუსები, ხილი, თამბაქო,

აგრეთვე მემცენარეობამ, მეცხოველეობამ და სხვ.

ავტორის დახასიათებით ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, აგრეთვე ეთერზეთოვანი კულტურები და სხვა, რომლებიც კოლმეურნეთა შემოსავლის უდიდეს წყაროს წარმოადგენენ, საბჭოთა ხელისუფლების პირმშო არიან. ამას ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ მაგალითად ჩაის პლანტაციებს რევოლუციამდელ საქართველოში ეჭირა მხოლოდ 900 ჰექტარამდე ფართობი, რომელიც იძლეოდა მხოლოდ 500 ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლს. 1956 წელს კი ჩაის პლანტაციების ფართობები 66 ათას ჰექტარს უდრიდა, რომლიდანაც სახელმწიფოს ჩაბარდა 107 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

პროფ. დ. ენუქიძე ბროშურაში „საბჭოთა საგარეო პოლიტიკა 40 წლის მანძილზე". სამართლიანად აღნიშნავს, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკას, რომელიც ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმს, განსხვავებით ბურჟუაზიული ქვეყნების საგარეო პოლიტიკისაგან, მყარი მეცნიერული საფუძველი აქვს, საბჭოთა საგარეო პოლიტიკა მშვიდობის პოლიტიკაა.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებათ მიჩნეულია: პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, სოციალისტური პატრიოტიზმი, ხალხების თავისუფლება და დამოუკიდებლობა, სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩაურევლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს საკითხები საკმაო სივრცითა და სიღრმითაა მოცემული.

ხაზგასმითაა აღნიშნული საბჭოთა კავშირის მთავრობის თანმიმდევრული ბრძოლა განიარაღებისათვის, ურთიერთ თავდაუსხმელობის პაქტებისა და სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის. განხილულია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის საკითხები მეორე მსოფლიო ომის ვითარებაში.

ავტორი მიუთითებს, რომ საბჭოთა მთავრობა ურყევად განაგრძობს ბრძოლას მთელ მსოფლიოში ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

დოც. ვ. დონაძის ბროშურაში „ოქტომბრის რევოლუცია და რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთში" გაშუქებულია ის უდიდესი გამარევოლუციონერებელი როლი, რომელიც ითამაშა დიდმა ოქტომბერმა აღმოსავლეთის ხალხების ბედზე, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელი მასების განწყობილებაზე, მათ ბრძოლაზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საფუძვლიანად განხილულია დიდი ოქტომბრის უდიდესი გამოძახილი აღმოსავლეთში, მოტანილია სათანადო კონკრეტული მაჩვენებლები და აღმოსავლეთის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ ორგანიზატორთა შეხედულებები ამ გამოძახილის ხასიათისა და მასშტაბის შესახებ. მოტანილია ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებები, ეროვნულ-კოლონიური საკითხის შესახებ, აღნიშნულია ამ ბრძოლის კონკრეტული ფორმები, ხასიათი, მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები.

ბროშურაში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს იმ სპეციალური ფორმების ნათელყოფას და ანალიზს, რომლითაც ხასიათდება 1918 წლიდან აღმოსავლეთის ცალკეულ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში გაჩაღებული რევოლუციური ბრძოლა და კოლონიური რევოლუციები. ცალკეული ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის გაშუქებისას განხილულია ამ ქვეყნის შინაგანი ვითარება და საერთაშორისო მდგომარეობა.

დოც. მ. გორგაძის ბროშურაში „ფიზიკური კულტურა და სპორტი საქართველოს სს რესპუბლიკაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე" აღნიშნულია ის დიდი მიღწევები, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში.

ზემოდ დასახელებული ბროშურები საინტერესო და სასარგებლოა მკითხველთა ფართო მასისათვის.

შ. ნემსაძე

## „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან"

★

პროფ. ი. ცინცაძე რუსეთ-საქართველოს ისტორიის პრობლემებზე დიდი ხანია ეწევა სპეციალურ კვლევას. მან არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა ამ საკითხს და გამოაქვეყნა საარქივო დოკუმენტებიც.

ი. ცინცაძის სარეცენზიო ნაშრომი არსებითად წყაროთმცოდნეობითი ძიებაა. მასში მოცემულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ დაცული მეტად ძუნწი და ფრაგმენტული ცნობების ღრმა ანალიზი. ავტორს დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებია და ნაშრომში, ბევრ გონებამახვილურ დასკვნებთან ერთად, ორიგინალურ მიგნებებთანაც გვაქვს საქმე. ნაშრომის თითოეული დებულება და დასკვნა, მათ შორის ისეთები, რომლებიც სადავო შეიძლება იყოს, ავტორის ხან-

გრძლივი მეცნიერული დაკვირვებისა და ნაყოფიერი ძიების შედეგად არის მიღწეული.

პროფ. ი. ცინცაძის ძიებანი, რომელიც ქრონოლოგიურად მე-10 — 16 საუკუნეს მოიცავს, ხუთი თავისაგან შესდგება.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი დიდი გულისყურით სწავლობს უძველეს ცნობებს არა მარტო რუსებისა და სლავების შესახებ ქართულსა და რუსულ ძეგლებში, არამედ ასეთივე ინტერესით იკვლევს ქართველობისა და რუსობის მაშინდელ ურთიერთობას. ავტორის დასკვნით, მე-10 — 12 საუკუნეებში „საქართველოს და რუსეთს შორის არსებული სამიმოსვლო გზაა კიევი — დნეპრი — შავი ზღვა და ამ ზღვით საქართველოს სანაპიროები, რიონით ბაშამდე — ქუთაისი, ლიხის გადასასვლელი — თბილისი“ (გვ. 330)

პროფ. ი. ცინცაძის ძიებით, მართალია, ქართული საისტორიო უძველესი წყაროების (სუმბათ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“) და უცნობი მემატიანის („მატიანე ქართლისაჲ“) ცნობა რუსების, ვარანგებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ მე-11 საუკუნეზე ადრინდელი არ დაუცავს, მაგრამ ამ შეხვედრებს (სომხური, რუსული და ბიზანტიური წყაროებით) უფრო ადრე, მე-10 საუკუნეში ჰქონდა ადგილი, ბიზანტიის მეშვეობით ბარდა-ფოკას განდგომის (888 — 889) პერიოდში (გვ. 15) და სხვ. ავტორის ზოგად მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „რუსების და ქართველების ურთიერთგაცნობის დრო ბევრად უფრო ადრეა სავარაუდებელი, ვიდრე იგი ასახვას პოულობს ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებშიო“ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ.

სომეხი ისტორიკოსის მოსე დასხურანელის ცნობებზე დაყრდნობით, ავტორი დასძენს, რომ უფრო ადრე, მე-10 საუკუნის დასაწყისშივე, რუსები თვით ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩანან ბარდავის მიდამოებში (913 — 914 წლები) საქართველოს მახლობლად, და ავტორის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ გზით მათ შეეძლოთ ერთმანეთის გაცნობა — რამდენადმე დამაჯერებელია. საზოგადოდ კი ამ ხალხთა ერთმანეთთან შეხვედრისა და უშუალო გაცნობის ძირითად ადგილებად ავტორს უმთავრესად მაინც შავი ზღვის ბასეინი მიაჩნია, რაც უდავო ფაქტია. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ ჩრდილო კავკასიასა და ყირიმელებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ უხსოვარ დროიდან (სამაგალითოდ მოაქვს ეგრისელების მიერ ყირიმიდან მარილის ზიდვა, რომ ისინი კარგად იყვნენ დაუფლებულნი ზღვაზე ნაოსნობას და სხვა. (გეორგიკა, 111, ყაუხჩიშვილის გამოც. გვ. 50).

ქართულ ორიგინალურ ძეგლებში რუსები მე-11 საუკუნიდან იხსენიებიან. ეს ცნობები დაცულია ბაგრატ დავითის-ძის თხზულებებში, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ მეფე გიორგი 1-ლის წინააღმდეგ ბასილ კეისრის ლაშქრობის (1021 — 23 წ.წ.) აღწერისას. მაგრამ ცნება „რუსის“ გამოსახატავად ქართული ძეგლები სხვა ტერმინსაც იყენებდნენ. ამ საკითხის ძიებისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულების იმ ადგილზე, სადაც ერთ-ერთი სოფლის მკვიდრად (ლივსიდიის) მოხსენებულია „ბოლღარნი“, რომელთა „სკლავ ეწოდების“. „ბოლღარი და სკლავ“ გიორგი ათონელისათვის ირკვევა იდენტური მნიშვნელობისაა და ისინი სლავთა ტომების თითქოს კრებითი გამოხატულების ცნებებად ჩანან, მაგრამ აქედან მაინც არ ირკვევა, ასხვავებდნენ თუ არა ათონელები ბალკანეთის სლავებს აღმოსავლეთ ევროპის სლავთაგან, თუ უკანასკნელთ აიგივებდნენ რუსებთან.

მე-11 საუკუნიდან რუსებს ათონსა და იერუსალიმში საკუთარი მონასტრები უჩნდებათ, ამიტომ ეს ადგილები იმ შესაკრებ პუნქტად ხდება, სადაც რუსებს და ქართველებს ერთმანეთთან შეხვედრა და გაცნობა უხდებათ. ამ ფაქტს ჩვენს ისტორიოგრაფიაში ადრე მიაქციეს ყურადღება; ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. აღაპებში მოხსენებულ „იოანე რუს ყოფილის“ ვინაობის გასარკვევად სხვადასხვა აზრი გამოითქვა.

დაახლოებით იგივე ითქმის „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული „რუს ეგნატაანტაგანი“ს შესახებ. ი. ცინცაძე მართალია, როცა ასკვნის, რომ წყაროში დასახელებული „რუს ეგნატაანტაგანთა და იოანე რუს ყოფილი“ ძველ ქართველთა და რუსთა შორის კულტურული ურთიერთობის არსებობის დამამტკიცებლად არ გამოდგებაო“ (გვ. 49).

ი. ცინცაძე, კ. კეკელიძის ნაშრომზე დაყრდნობით, სწავლობს ბერძნულიდან ქართულად მე-11 საუკ. თარგმნილ თხზულებებში დაცულ „რუსის“ გამომხატველ სხვა ცნებებსაც და მიუთითებს ტერმინზე სადაც „სკვითი“, „რუსის“ მნიშვნელობითაა განმარტებული. სწორია ვარაუდი, რომ ამ ძეგლთა ინტერპრეტაციით „სკვითი“ მე-11 საუკუნეში მაინც ბარბაროსს და წარმართსაც უნდა ნიშნავდეს“ (გვ. 54). ამის დამადასტურებლად თავის ადგილზეა მოტანილი თამარ მეფის ისტორიკოსის ის ადგილი, სადაც „რუსი“ და „სკვითი“ სინონიმურ ცნებებადაა წარმოდგენილი.

ქართულ ორიგინალურ და თარგმნილ ძეგლებში „რუსის“ და „რუსეთის“ გამომხატველი ტერმინების კრიტიკულად გამოძიების შემდეგ ავტორი ცდილობს გარკვევას, თუ რა ტერმინით გამოხატავდნენ ძველი რუსები „საქართველოს“ და „ქართველებს“. ავტორის ძიებით, ძველ რუსულ წერილობითს ძეგლებში მე-11 საუკუნეზე

ადრინდელი ცნობა, სადაც ქართველების შესახებ იყო საუბარი, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. ასეთ ძეგლად კი დასახელებულია კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრების (Киево-печерский патерик) ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ტაძრის აგებაზე, მოხატვაზე და კონსტანტინეპოლიდან კიევში ფერწერის ოსტატების მოსვლაზე. რუსული მატიანეს ცნობით, კიევში კონსტანტინეპოლიდან ჩამოსულ მხატვრებად დასახელებულია „Греци и Обези“, რაც მკვლევართა მიერ ბერძნებისა და ქართველების გამომხატველ ცნებებათაა აღიარებული და ჩვენი ავტორიც ამას ამტკიცებს უძველეს რუსულ პირველწყაროთა შესწავლის საფუძველზე. ი. ცინცაძე სწორად დაასკვნის, რომ „მე-11—12 საუკუნეების ამბების თხრობის დროს რუსული წერილობითი ძეგლები საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინად „Обези“-ს ხმარობდნენ“ (გვ. 59). ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ი. ცინცაძის კამათი მ. ნ. ტიხომიროვთან, რომელიც „Обези“-ს არსებითად მცდარ, სხვაგვარ გაგებას გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ ნაშრომიდან მაინც ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ტერმინი „Обези-ს ცნების გაგებაში ავტორი ბოლომდე არ იცავს თავის ამ სწორ თვალსაზრისს და არ არის თანმიმდევარი( გვ. 172, 189, 190).

ნაშრომის მეორე თავში, სადაც განხილულია „ურთიერთობა ძველ რუსულ სამთავროებსა და საქართველოს შორის“, ანაქრონიზმად გვეჩვენება ავტორის მიერ მიღებული გადმოცემის წესი, რომლის მიხედვითაც, ჯერ განხილულია თამარის პირველი ქმრის ამბავი და ისიც მეტისმეტად გაგრძელებულია (გვ. 68 — 170), მხოლოდ ამის შემდეგაა გადმოცემული უფრო ადრინდელი, ბევრად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები ამ ორი ხალხის ურთიერთობისა, რასაც მე-11 — 12 საუკუნის მანძილზე ჰქონდა ადგილი (გვ. 171 — 202).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რუსი ვოლინელი მემატიანის ცნობებზე დამყარებული მოსაზრება ავტორისა: „რუსი მთავრობის, კერძოდ ვლადიმერ მონომახის მიერ სისტემატური თავდასხმები ყივჩაღებზე იძულებულს ხდის ყივჩაღთა ტომს საქართველოში ეძიოს თავშესაფარი და ქართველი მეფის ლაშქარში სამსახური იკისროს“ (გვ. 195). ამრიგად ვრწმუნდებით, რომ რუსი მთავრის ომები ყივჩაღთა წინააღმდეგ, სხვა მოვლენებთან ერთად, მკვიდრ ნიადაგს ამზადებდა დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღთა საქართველოში გადმოსხმისათვის 1118 წელს.

ავტორს ამ პერიოდისათვის ყივჩაღეთი სავსებით მართებულად მიაჩნია რუსთა და ქართველთა შეხვედრების ასპარეზად, სადაც ეს ორი ხალხი უფრო ახლო ეცნობოდა ერთმანეთის ცხოვრებას. ამ დროს საქართველოს ძლიერი ფეოდალური სამეფო უკვე საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი ხდება. რასაკვირველია, შეუძლებელი იყო, ეს ფაქტი გამოჰპარვოდათ კიევის რუს მთავრებსაც. სხვაგვარად ძნელი ასახსნელი ხდება ქართველი დედოფლის გათხოვების ფაქტი კიევის დიდ მთავარ იზიასლავზე (1154 წ.), რომელიც, ავტორის დამაჯერებელი მტკიცებით, მეფე დავით აღმაშენებლის ასული უნდა ყოფილიყო (გვ. 175 — 176). ეს არის პერიოდი, როცა საქართველოს პროგრესულმა ელემენტებმა ზურგი შეაქციეს ბიზანტიურ კულტურას და ახლო კავშირი დაამყარეს ჩრდილო კავკასიისა და (ყივჩაღეთის მეშვეობით) უკვე დაწინაურებულ კიევის რუსთა სამთავროსთან. რასაკვირველია, შემთხვევითი არაა ამაზე უფრო ადრინდელი ფაქტი დავით აღმაშენებლის მიერ ცოლად ყივჩაღთა ქალის მოყვანის შესახებ, ხოლო მეფე დემეტრეს არა მკვიდრი დის, როგორც ეს კ. კეკელიძემ გამოარკვია, ოსთა მეფეზე გათხოვება (და აქედან დავით სოსლანის ნათესაობის ფაქტი შემდგომ ბაგრატოვანთა სახლთან), სხვა უფრო საგულისხმო ამბებზე აქ რომ არაფერი ვთქვათ. საქართველო ამ ეტაპზე კავკასიის გამაერთიანებელია, იგი ათავისუფლებს ქვეყანას უცხო დამპყრობთაგან. ყოველივე აქ აღნიშნულის გადმოცემას წინ გიორგი რუსის ამბები უძღვის.

ავტორს რუს უფლისწულზე ვრცელი მსჯელობა უნდა მოეცა დავით აღმაშენებლის, იზიასლავისა და სხვათა ამბების გადმოცემის შემდეგ. ამას მოითხოვდა როგორც ქრონოლოგია, ასევე ამ ნაშრომის ლოგიკა, რასაც თითქოს კარგად გრძნობს თვით ავტორიც, როცა წერს: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით თამარ მეფის პირველი ქორწინების ფაქტს ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს. სიძედ შემოსულ რუს უფლისწულს თვით არ ჰქონია რუსეთთან არავითარი კავშირი“ (გვ. 330). ამას იმეორებს ავტორი სხვაგანაც (იხ. გვ. 141). ერთი კი მაინც აღსანიშნავია: ქართულ საისტორიო წყაროებში რუსი უფლისწულის შესახებ დაცული ცნობების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პროფ. ი. ცინცაძე ბევრ ახალ დებულებას აყენებს და ასაბუთებს. ამ მსჯელობაში, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო საყურადღებოისაა, რომ გიორგი რუსსა და თამარს შორის წამოჭრილ კონფლიქტს ღრმა სოციალ-ეკონომიური საფუძველი მოუნახა ი. ცინცაძემ და სავსებით ახლებურად ახსნა იგი. ავტორის მტკიცებით, თამარის პირველი ქმარი პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგად ჩახედული კაცი იყო, მაგრამ ვინაიდან იგი თამარის მოწინააღმდეგე დიდებულთა რეაქციას ემყარებოდა, მისი დამარცხებაც გარდუვალი გახდა.

ამით დავამთავრებდით ამ საკითხზე მსჯელობას, რომ პროფ. ვ. დონდუას წერილში — „ღირსშესანიშნავი თარიღი“ (ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1956 წ. № 10) ადგილი არ ჰქონდეს ერთ გაუგებრობას. იგი წერს: „დიდ რუს ხალ-

ხთან ქართველი ხალხის ურთიერთობის სათავეები მე-9 — 15 ს. ს. ბურუსითაა მოცული. ამ ბურუსს რამდენადმე ფანტავს... სუზდალის მთავრის შვილის გიორგი ანდრიას ძის საქართველოში ხანმოკლე (1185 — 1188 წწ) მაგრამ საინტერესო მეფობა“ (გვ. 8.). აშკარაა, ვ. დონდუას განცხადება „გიორგის ხანმოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო მეფობაზე“ დაუსაბუთებელია. ავტორს არ მოყავს და, რასაკვირველია, არც შეეძლო მოეყვანა საბუთი, რომელიც ადასტურებდეს გიორგის მეფობას, — მეფე თამარი იყო. ორმეფობა საქართველოში მაშინ არ არსებობდა.

პროფ. ი. ცინცაძე სწავლობს პირველწყაროებს, სადაც კი ერთგვარად მაინც პოვა ასახვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობამ. მას მოყავს რომის პაპის ელჩის პლანო კარპინის, თემურლენგის ისტორიკოსის, რუსი და ქართველი მემატიანეების ცნობები საკვლევ საკითხზე და დასძენს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ამ ეტაპზე უმთავრესად ოქროს ურდოს ყაენის კარის გზით ხორციელდებოდა და აქედანვე პოულობდა ეს ფაქტი ასახვას ისტორიულ ანალებში. ამდროინდელი რუსული წყაროებით, საქართველო სამი სახელწოდებით იხსენიება: „გორზუსტანი“, „ობეზი“ და „გურზი“. ამათგან ორი — „გორზუსტანი“ და „გურზი“ — ახლად შეთვისებული ტერმინებია (გვ. 221). მე-14 საუკუნის ბოლოს და მე-15 საუკუნეში რუსულ მატიანეში ბერძნულის გავლენით მკვიდრდება ტერმინი „ივერია,“ მაგრამ „გურზი“ და „ივერია“ როდია იდენტური ცნებები. ავტორის დასაბუთებით, “გურზია“ შემკრებელობითი ცნება იყო და ეწოდებოდა როგორც საქართველოს, ასევე ქართლის სამეფოსაც, ხოლო „ივერიას“ უპირატესად კახეთის სამეფოს უწოდებდნენ (გვ. 225).

ნაშრომის ორი უკანასკნელი თავი რუსეთ-კახეთის ურთიერთობის ისტორიის საკითხებს მიეძღვნება. პროფ. ი. ცინცაძე ნაშრომის ამ ნაწილში კარგად ახასიათებს საერთო ისტორიულ ვითარებას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში, საქართველოსა და რუსეთში იქმნება მონღოლთა ბატონობის დამხობითა და რუსეთის ცენტრალისტური სახელმწიფოს შექმნით ერთი მხრივ, ხოლო თურქეთის გაძლიერებით, საქართველოს სამეფოს რღვევით სამეფო-სათავადოებად და ანტითურქულ კოალიციაში მისი მონაწილეობით, მეორე მხრივ. მტრული გარემოცვისაგან თავის დაღწევისა და გაძლიერებულ რუსეთთან დაახლოების პირველი ნაბიჯები მე-15 საუკუნის მიწურულს პირველად კახეთის მეფის — ალექსანდრე გიორგის-ძის მიერ იქნა გადადგმული. სწორია ავტორის მტკიცება, რომ მე-15 საუკუნეში მონღოლთა ძლიერების დაცემას მოსკოვის რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის განახლება მოჰყვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის უკანასკნელ თავში წარმოდგენილი კრიტიკული ანალიზი, სადაც „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში დაცული ცნობები მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვის მთავრის მიერ ლევან ბატონიშვილისათვის რუსთა ჯარის მიშველების შესახებ მართებულადაა უარყოფილი.

ი. ცინცაძის დასკვნით, ამ მხრივ მკვლევარი უნდა ემყარებოდეს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, სადაც ლაპარაკია ივანე მე-4 მიერ ლევან მეფისადმი 500 კაზაკ—მეციხოვნეთა მიშველების შესახებ. ძიებაში აღძრულ სხვა მომენტებზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. პროფ. ი. ცინცაძემ პირველწყაროების ძუნწ ცნობებზე დაყრდნობით კრიტიკულად გააანალიზა და ისტორიული თანმიმდევრობით განიხილა და მართებულად გაასწორა რიგი არსებითი ხასიათის შეცდომები, რომლებთაც ადგილი ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ძველი პერიოდის კვლევის დარგში. ავტორმა წინ წასწია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მეცნიერულად შესწავლის საქმე. ამდენად ეს გამოკვლევა შენაძენია ჩვენი საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის.

სარეცენზიო ნაშრომი, როგორც ჩვენ ამაში გზადაგზა დავრწმუნდით, მაინც არაა უნაკლო. ავტორი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განხილვისას უმეტეს შემთხვევაში იფარგლება რუსთა და ქართველთა შეხვედრის (მართალია, თავისთავად მეტად საინტერესო და საჭირო) ფაქტების დადგენით, მაგრამ იგი ასეთივე მონდომებით ნაკლებად ცდილობს წარმოაჩინოს ამ ხალხთა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის თუნდაც სავარაუდებელი სურათი. ნაცვლად ამისა, ნაშრომში ზოგჯერ გვხვდება იმგვარი წიაღსვლები, რომლებიც ნაკლებად უპასუხებს თემას (ვარანგების, რუსი უფლისწულის და სხვ. შესახებ), ისინი უმეტესად განკერძოებული წყაროთმცოდნეობის საკითხთა რიგს განეკუთვნებიან.

ი. ცინცაძე ამ წიგნში რუსეთ- საქართველოს ურთიერთობის შესწავლის პირველი რიგის საკითხებით იფარგლება. შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს პრობლემის ამგვარ გაგებაში, მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ ავტორი რაკი გვპირდება მუშაობის გაგრძელებას ამ მიმართულებით, ჩვენი მკითხველი საზოგადოება მისგან მოელის განმაზოგადოებელი ხასიათის ახალ ნაშრომს, სადაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომი პერიოდების პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა უკვე დადგენილი ფაქტების საფუძველზე უფრო მეტი სისავსითა და ცხოველმყოფელობით იქნება წარმოდგენილი.

სარეცენზიო შრომა უდავოდ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა კვლევის დარგში.

ᲐᲕᲗ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სევერიან ისიანის ლექსები

★

შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის ბრძოლის მწვავე საკითხები სევერიან ისიანს პოეზიაში შემოსვლის პირველ დღეებიდანვე აფიქრებდა, რადგან არც ისე ადვილი იყო საკუთარი ხმით ამღერება კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ტრადიციებზე დავაჟკაცებულ ქართულ საბჭოთა პოეზიაში... აღნიშნული გარემოება შესანიშნავად მეტყველებს პოეტური სიტყვისადმი სევერიან ისიანის იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელსაც იგი მთელი თავისი შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე გრძნობდა.

მაგრამ საკუთარი ხმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში მარტო გამომხატველობითი საშუალებები როდია საკმარისი. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მეორე გარემოებასაც, სახელდობრ, რა ახალი სათქმელი გააჩნია ამა თუ იმ პოეტს... ის პირველი ცეცხლი, რომელმაც შემომქმედი სულიერად უნდა შესძრას, სწორედ ამ სათქმელზეა დამოკიდებული და რამდენადაც პოეტი ღრმად არის შეჭრილი ცხოვრების შუაგულში, მით უფრო ახლო იმყოფება საკუთარ თავთან და მისი ხმის ორიგინალობაც ნათელი და გარკვეული ხდება.

სევერიან ისიანმა სიჭაბუკის წლებში მთელი რიგი საინტერესო ლექსები დაწერა, როგორიცაა მაგალითად: „მზეს ამოიტანს რევოლუცია", „შეხვედრა ქართან", მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში მისი პოეტური ხმა მაშინ გახდა შედარებით უფრო შესამჩნევი, როდესაც მან ცხოვრებისეულ მოვლენათა სიმძიმე საკუთარ მხრებზე განიცადა. ეს მოხდა სამამულო ომის მრისხანე დღეებში:

ცაში ცეცხლია ლაჟვარდის ნაცვლად
და ყუმბარებით მთები იძვრიან.
არა, კალმის და წიგნების კაცად
მე დღეს დარჩენა არ შემიძლია...
...თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად.
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ არ დაბრუნდება!..

(„ნახვამდის")

ამ ნათელ და შთამაგონებელ სტრიქონებში იგრძნობა სევერიან ისიანის სულიერი სილამაზე. რა დიდი ძალა ჰქონია ცხოვრებისეული მოვლენების გულწრფელ აღქმას პოეტური ხმის ორიგინალობის დადგენაში. აქ მხატვრული ოსტატობა ავტორისათვის თვითმიზნური საშუალება როდია, რაც ესოდენ დამახასიათებელია ცხოვრებისადმი ინერტულად განწყობილი პოეტებისათვის. აქ ჩვენ ნამდვილად მოწმენი ვხდებით ნიჭიერი პოეტის შინაგანი მღელვარებისა, და „მხატვრული ოსტატობა", როგორც განყენებული ცნება, ჩვენთვის უკვე აღარ არსებობს ამ შემთხვევაში. ლექსი დაწერილია ძლიერი პოეტური პათოსით და თვითეული მისი სტრიქონი ანთებულია ჭეშმარიტი პატრიოტიზმის ნათელი გრძნობით. შემოქმედებითი პათოსი, თუ შეიძლება ითქვას, პოეტის სულიერი მდგომარეობის ბარომეტრია, და ვინც ვითომდა სიყალბეში გადავარდნის შიშით გაურბის მას, სწორედ თვითონ ისვე ვარდება ნამდვილ სიყალბეში. სიყალბე იმ გულგრილობაშია, რომელსაც პოეტი ამა თუ იმ მოვლენისადმი იჩენს და რადგან იგი ემოციის საშუალებით ვერ ახერხებს თავისი ჩანაფიქრის გამოხატვას, გარეგნული ეფექტიანობის ხერხს მიმართავს და რაც მან საკუთარ ნაწარმოებში უნდა გამოთქვას, შემძახებლობითს ინტონაციაში ვლინდება, ყოველგვარი ბუნებრივობაც იკარგება...

სევერიან ისიანის საუკეთესო ლექსებში სწორედ შინაგანი ცეცხლი, შემოქმედებითი პათოსი მჟღავნდება. ამის უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს პოეტის ის პატარა წიგნი, რომელიც სამამულო ომის შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა, უკანასკნელი კი დათარიღებულია 1957 წლით... წიგნს, რომელსაც სათაურად ჰქვია „ყველაფერს ვხედავ", წამძღვარებული აქვს გიორგი ჯიბლაძის ვრცელი და საკმაოდ შინაარსიანი წერილი. ხაზგასმით აღნიშნავს რა სევერიან ისიანის უტყუარ ნიჭს, გ. ჯიბლაძე დიდ ყურადღებას უთმობს პოეტის ბიოგრაფიულ მომენტებს და მათთან მჭიდრო ურთიერთობაში განიხილავს მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს.

სევერიან ისიანის ყველაზე ადრინდელი ლექსები დათარიღებულია 1933 — 1934 წლებით. ზოგიერთი მათგანი ჩვენ უკვე წერილის დასაწყისშივე დავასახელეთ. დანარჩენების დასახელება, ვფიქრობთ, არ არის საჭირო, რადგან უფრო საინტერესო ლექსები პოეტის შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ პერიოდებს ეკუთვნის. ეს პერიოდებია სამიოდე წელი სამამულო ომის დაწყებამდე და თითქმის ამდენივე — სამამულო ომის დაწყების შემდეგ...

სევერიან ისიანი იყო ლირიკული ხმის პოეტი. მას არ შეუქმნია არცერთი ეპიური ტილო, მაგრამ მცირე მოცულობის ნაწარმოებებშიც კარგად ახერხებდა ჩვენი დროის ადამიანთა ფიქრისა და განწყობილების, შრომისა და ბრძოლის მხატვრულ ფორმებში გადმოცემას... ჯერ კიდევ ადრე, ლევანევსკის გმირული გაფრენით შთაგონებული პოეტი მთელი ხმით აცხადებდა — დაე, სამშობლოს მსხვერპლი მიწოდონ, მეტი არ მინდა ქვეყნად სახელიო... სამშობლოსადმი სიყვარული, მისთვის, როგორც სულიერად უსპე-

ტაკესი ადამიანისათვის, ყველა გრძნობაზე უმაღლესი იყო:

ჩემი ოცნების კრიალა ცაზე
მუდამ შენი მზის არის დიდება,
მისი სხივები და სილამაზე
არ ინისლება, არ იბინდება!..

(„სამშობლო“)

პოეზიაში საერთოდ ხშირად გამოყენებული პოეტური ფერების მიუხედავად, სამშობლოსადმი სიყვარულის დიდი გრძნობაა ჩაქსოვილი აგრეთვე ლექსში — „განთიადია“:

სად იცას მიწამ ასე სუნთქვა,
ცამ — ლაჟვარდები
და გაზაფხულმა — ახავერდება?
რომელი მზის ქვეშ
იცინიან ასე ვარდები?!
ლაღობს გული და არა ბერდება!..

სამშობლოს მზე რომ „უდასავლეთო“ ყოფილიყო, ხოლო გაზაფხული — „დაუჭკნობელი“, სხვა მებრძოლებთან ერთად, სევერიან ისიანიც აკი თავის დროზე გაჰყვა ფრონტზე მიმავალ ეშელონს... ისიანი ლენინური კომკავშირის რიგებში აღიზარდა. კომუნისტურმა პარტიამ დააეაჟკაცა. ამიტომ მისთვის სიტყვა და საქმე ერთი იყო, ერთმანეთისაგან არ გათიშულა მისი ცხოვრება და შემოქმედება. — ჩვენ კომკავშირი გვზრდიდა გმირული, ვიცავთ სამშობლოს უძლეველ დროშასაო, — სწერდა პოეტი და ჩვენც მტკიცედ გვჯეროდა ამ სიტყვების...

მიუხედავად წიგნის მცირე მოცულობისა, სევერიან ისიანის პოეტური შემოქმედება მაინც მრავალფეროვნად გვესახება. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ მისი პეიზაჟური ლექსები, რომლებშიც მდიდარი ფერებით არის დახატული სვანეთის, ლეჩხუმის, იმერეთის, ქართლკახეთის და საქართველოს სხვა მრავალი კუთხის მომხიბლავი ბუნება ადამიანებთან ურთიერთობაში. აღსანიშნავია ჩვენი კლასიკური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლებისადმი — ილიას, აკაკის და ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები. ასევე ითქმის სატრფიალო თემაზე დაწერილ ნაწარმოებებზეც, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩევიან: „სიყვარულის შემოპარვა“ და „საყვედური ჩემს საათს“. წერილში რომელიც წამძღვარებული აქვს ისიანის წიგნს, ნათქვამია, რომ თავის ლექსებში სიყვარულის თემას პოეტმა მოუნახა ისეთი ნიუანსები, რომლებიც არ შეიძლება მკითხველის გულს არ მოხვდნენ. კითხულობთ ლექსს — „საყვედური ჩემს საათს“ და გრძნობთ, თუ რა ღრმა ლირიკული განცდის პოეტთან გვაქვს საქმე. მან ეს თემა გასწმინდა ყოველგვარი შაბლონისაგან და მისცა მოკრძალება. ის საყვედურს არ უ[illegible]და თავის საათს, რომელიც დროის დინებას ატყობინებდა, მაგრამ „ძვირფას ლანდთან“ შეხვედრის მოლოდინში „ბედნიერების ქამთაღმნიშვნელს“ მიმართავდა: წუთები ნელა გადის, ხვალამდე მკერდში გულს ველარ დავტევ, უნდა აჩქარდე, უნდა მომეშველოვო... სევერიან ისიანის სატრფიალო ლირიკის ამგვარი შეფასება სავსებით სწორია და მას არაფრის დამატება სჭირდება.

**როგორც მეომარმა, სევერიამ ისიანმა დიდი** საბრძოლო გზა განვლო სამამულო ომის წლებში. ყირიმის ნახევარკუნძული, ქერჩის მიდამოები, უკრაინის ველები, ყუბანის ხოდაბუნები, ბელორუსიისა და ბრიანსკის დაბურული ტყეები — აი, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ის წმინდათა-წმინდა ადგილები, სადაც გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, მოძმე ერების მამაც შვილებთან ერთად, თავდადებით იბრძოდა ახალგაზრდა ქართველი პოეტი და მეომარი — სევერიან ისიანი. ვკითხულობთ ომის წლებში დაწერილ მის ლექსებს და გარკვეულად გვესმის მგზნებარე პატრიოტი პოეტის შეუდრეკელი გულის ფეთქვა:

დაჰკარ! — მონურად ქედმოხრილობას
საძმო საფლავში სჯობია წოლა!..

(„საბრძოლო გადაძახილი“)

ამ სიტყვებით მარტო სხვებს კი არა, თავის თავსაც მოუწოდებდა მტერზე საიერიშოდ. ზემოთმოყვანილ სტრიქონებს უფრო მეტ დანიშნულებას აძლევს პოეტი, როდესაც ამბობს:

ერთი ფიქრი გვაქვს, ერთი სამშობლო,
ერთხელ სიკვდილი, ან გამარჯვება!...

მტრისადმი ძლიერი შურისძიების გრძნობით არის გამსჭვალული ფრონტული ციკლის სხვა ლექსებიც, მაგალითად: „გაანადგურე“, „მე და არწივა“, „ჩემს ლურჯას“ და სხვები.

სამამულო ომის ფრონტიდან სევერიან ისიანი ცოცხალი ველარ დაბრუნდა. იგი გმირულად დაიღუპა ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლაში...

„ყველაფერს ვხედავ“ ასე ეწოდება უკანასკნელად გამოცემულ მის წიგნს, და ის მართლაც ყველაფერს ხედავდა — რა იყო საჭირო სამშობლოს თავდაცვისათვის; მისი წინსვლისა და ბედნიერების განმტკიცებისათვის... როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სევერიან ისიანისთვის სიტყვა და საქმე ერთი იყო, რაზედაც შესანიშნავად მეტყველებს მის მიერ განვლილი საბრძოლო გზა და ლექსების ის პატარა წიგნი, რომელმაც უკვე რამდენიმე გამოცემას გაუძლო.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲛᲘᲡᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# ახალი წიგნები

## სახელმწიფო გამომცემლობა

ნ. ს. ხრუშჩოვი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი. გვ. 90, ფასი 95 კაპ.

გ. კრჟიჟანოვსკი — დიდი ლენინი, რედ. ვ. მამალაძე, გვ. 110, ფასი 1 მან. 50 კაპ.

ა. რატია — საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის". რედ. ალ. ორახელაშვილი, გვ. 184, ფასი 2 მან. 50 კაპ.

ვ. სიფრაშვილი — ვ. ი. ლენინის მიერ ახალი ტიპის პარტიის შექმნა. რედ. ა. კელენჯერიძე, გვ. 254, ფასი 3 მან. 70 კაპ.

ნოდარ შველიძე — პარტიის ბრძოლა ღარიბესი გლეხობისათვის ოქტომბრის მომზადების პერიოდში. რედ. ი. ყიფიანი, გვ. 182, ფასი 3 მან. 40 კაპ.

მ. ჯავახიშვილი — ჯაყოს ხიზნები. რედ. დ. დუმბაძე, გვ. 184, ფასი 4 მან. 70 კაპ.

ალიო მირცხულავა — რჩეული. რედ. პლ. ბებია, გვ. 330, ფასი 8 მან. 50 კაპ.

ორდე დგებუაძე — ღვთიშობლის მოტაცება. რედ. პლ. ბებია, გვ. 116, ფასი 2 მან.

ვლადიმერ თორდუა — განვლილი გზა. რედ. ბ. მირცხულავა, გვ. 84, ფასი 1 მან.

კალე ბობოხიძე — ულიანოვსკის დღეები. (ლექსები) რედ. ვ. ჯავახაძე, გვ. 90, ფასი 1 მან. 25 კაპ.

ვახტანგ კუპრავა — ილია ჭავჭავაძე ხელოვნების დანიშნულების შესახებ. რედ. მ. დუდუჩავა, გვ. 112, ფასი 1 მან. 40 კაპ.

სამუელ მოძღვრიშვილი — ლექსები. რედ ი. არაბული, გვ. 86, ფასი 1 მან. 20 კაპ.

გარეგინ სევუნცი — თეირანი. წიგნი მეორე. თარგმანი გივი კარბელაშვილისა, რედ. პლ. ბებია, გვ. 598, ფასი 10 მან.

## საბლიტგამი

ილია ჭავჭავაძე — ოთარაანთ ქვრივი. რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 62, ფასი 4 მან.

ი. გრიშაშვილი — საბავშვო ლექსები. რედ. მ. ჭავჭანიძე, გვ. 78, ფასი 2 მან. 40 კაპ.

შალვა ამისულაშვილი — გამარჯვების სალუტები. რედ. რ. მარგიანი, გვ. 72, ფასი 2 მან. 20 კაპ.

ანდრო ლომიძე — მშობლიური მიწა. რედ. მ. ჭავჭანიძე, გვ. 136, ფასი 3 მან.

ზურაბ ლორთქიფანიძე — სოფლის გზაზე. რედ. ხუტა ბერულავა, გვ. 62, ფასი 2 მან. 10 კაპ.

ილია ხოშტარია — ყვავილები. რედ. ვ. გაბესკირია, გვ. 78, ფასი 2 მან. 25 კაპ.

აზერბაიჯანული მოთხრობები — რედაქტორები: ნ. ჯანაშია, ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 324, ფასი 7 მან. 50 კაპ.

## საბჭოთა მწერალი

ილია ჭავჭავაძე — აჩრდილი. პ/მგ. გამოშვებისათვის თ. იოსელიანი, გვ. 20, ფასი 25 კაპ.

ილია ჭავჭავაძე — მეფე დიმიტრი თავდადებული. პ/მგ. გამოშვებისათვის თ. იოსელიანი, გვ. 28, ფასი 40 კაპ.

ილია ჭავჭავაძე — რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ. პ/მგ. გამოშვებისათვის თ. იოსელიანი, გვ. 20, ფასი. 30 კაპ.

ილია ჭავჭავაძე — რჩეული ლექსები. პ/მგ. გამოშვებისათვის თ. იოსელიანი. გვ. 50, ფასი 50 კაპ.

აკაკი ბელიაშვილი — ძალა სიყვარულისა (მოთხრობები და ნარკვევები). რედ. გ. მელაძე, გვ. 210, ფასი 5 მან. 10 კაპ.

ლადო სულაბერიძე — წარწერები კლდეზე. რედ. ა. შენგელია, გვ. 172, ფასი 3 მან. 75 კაპ.

როსტომ ბეჟანიშვილი — მოთხრობები. რედ. ე. ქარელიშვილი, გვ 208, ფასი 5 მან. 10 კაპ.

შოთა ლომსაძე — მესხეთის ბუხრები. რედ. ა. შენგელია, გვ. 142, ფასი 2 მან. 10 კაპ.

---

ფასი 8 მ.

б 10/222

3 11/379

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ